

1986

ISSN 0134-9848

1986/5

УСЛОВИЯ

УМІСТ
ЗОВІЛЛЯ

94

780





အမြတ်ဆင့် ခုနှစ်ပေါက်၊ နမောင်း ဖြောက်သံ စာဖြေလောက

ԱՅԹԵՐ

1986/5

ବେଳତୀର୍ଥକାଳୀ
ମଧ୍ୟାହ୍ନକାଳୀ




၁၀၆၁၁၄၆၆၀

ପ୍ରକାଶନ

კორცეი ჩუპლავები. ჩემი უდისენი. დახასრული. თარგმნა ანდრი ბუაჩიძემ	261
ელიზარ უბილავა. ლიტერატურული პაიმონია თუ აგრძილებით თავმოაწოვანა?!	275
ლევან პეტერავეზვილი. ნოჰილის პრემის ლაურეატები ტურქეთის დარეჭი	284
კავშირ ცისრიან ნორვეგი. აზრიში. თარგმნა აშშონის გრიშიყაშვილმა	309
შერეპაზელი ხელოვნება აღორძინების ტარიელების. მასალა მოამზადა მარია შუგირიშვილმა	317

ეხარველული თარგმანისა და ლიტერატურულ უსთიართობათა
მთავარი სარადაკციო კოლეგია



ეროვნული
სამეცნიერო ცენტრი

მთავარი რედაქტორი:

მამერან მაშავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელია ახვლეიძიანი

ახალ აჯიაშვილი

გიორგი ბახანიძე

მზია გაერაძე

პარანა პრეზენტაცია

გერამ გოგიაშვილი

ნანა დარიანი (ა. მგ. მდივანი).

მაგალი თოლია

ნიდარ კაპაპაძე

ზერაბ კისიძე

ვახაშვილი კომიტიუტილი

რომან მიმილიშვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ლოდია

არენ ფაჯიაძე

რასელან ჯავალიძე

იორგან ევართოლიძე

ნიკო ყისაშვილი

გივი შავაზარი

გივი ქელაძე

დავით ზარებიანი

ნიკო ზარებიანი

თამაზ ჭიათუალი

რამი ჭიათუალი

რამი ჭიათუალი (შ. რედ. მთალგილე)

გარეკანე: ვანს გორგავანი, ქალაქის თავის აგიანის სიკვდილი.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა. ტექნიკური რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბართაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

თელეფონი: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განკუთხილებათა გამგეები — 72-26-30

სილ. თ. 24,78 სასტ. თ. 28. სიღების გატ. 28,7 ლირ. 10 000, შეკვ. № 1648
გვ. 7 წ. 7 86 წ., ხელმოწ., დააბეჭდდა 28. 10. 86 წ., ქალალდის ზომა 70 X 108^{1/16}.
ფასი 1 შას. 60 კაპ.

საქ. კბ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენისანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14

გეონიკა ბირლი

პლოშის თვალთახედვა

რომანი

ერმანელიფან თარგმნა ცელი ახაშუალეა



10

Ωუვ ივკრიფე მონიკა ზილვსის ნომერი, დიდხანს არც მიფიქ-
რია, ისიც კი არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ზარი ჭერ კიდევ
რეკლა, ოოცა მან უურმილი აიღო და თქვა:

— ალო.

მისი ხმის გაგონება მესიამოვნა. მონიკას ძლიერი და ჭკვიანი ხმა აქვს.

— ჰანსი ვარ, მინდოდა...

მაგრამ მონიკამ სიტყვა შემაწყვეტინა და მითხრა:

— აა, თქვენა ხართ... — მისი ხმა შეურაცხმყოფელად ან უსიამოდ არ ულერ-
დე, ოლონდ აშკარად იგრძნობოდა, რომ სხვის დარეკვას ელოდა და არა ჩემ-
სას. იქნებ მეგობარ ქალს უნდა დაერექა ან დედამისს... მაგრამ მაინც გული
დამწყდა.

— მხოლოდ მაღლობის გადახდა მინდოდა, — ვუთხარი მე, — ისეთი
გელგეთილობა გამოიჩინეთ. — აშკარად მცემდა მისი სუნამოს სუნი — ტაიგა
თუ რაც ჰქვია — მისთვის მეტისმეტად მძაფრი რომ არის.

— მწყინს, რომ ყველაფერი ასე მოხდა, — მითხრა მან, — ალბათ ძა-
ლიან გიჭირთ. — ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა: ქოსთერთის კრიტიკულ
წერილს, რომელიც ალბათ მთელ ბონს ჰქონდა წაკითხული, მარის დაქორ-
წინებას თუ ორივეს ერთად.

— ხომ არ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ? — მკითხა მან ჩუმად.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — მესტუმრეთ და ჩემი სული შეიბრალეთ,
ავრეთვე მუხლიც, რომელიც გვარიანად გამისივდა.

მონიკა დუმდა. მეგონა, მაშინვე მეტყოდა, „კარგიო“. მაღლვებდა იმის
გაფიქრება, ვაითუ მართლა მოვიდეს-მეთქი, მაგრამ მონიკამ უბრალოდ მით-
ხრა:

— დღეს ვერა, სტუმარს ველოდები.

შეეძლო იუწყებინა, ვის ელოდებოდა, ანდა უბრალოდ ეთქვა, მეგობარ
ქალს ან მამაკაცსო. სიტყვა „სტუმარმა“ ცუდ გუნებაზე დამაყენა.

— კარგი, ხვალ იყოს. მე ალბათ სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც მომი-
წევს ლოგინში წოლა.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 4.

— იქნებ შემიძლია სხვა რამით დაგეხმაროთ, მე ვგულისხმობ ისეთ რამეს, რისი მოგვარებაც ტელეფონით ხერხდება.

ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, რომ იმედი მომეცა  ხმაშ შეიძლება მეგობარ ქალს ელოდებოდეს.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — დამიკარით შოპენის **მაზურუკა უდჩემოლ-ბიბულისა**

მონიკას გაეცინა და მითხრა:

— რა არ მოგივათ აჩრად. შოპენის დიდი მოყვაოსული არა ვარ, გარდა ამისა მის ნაწარმოებებს ცუდიდ ვუკრავ. — მისი ხმის გაგონებამ ჩემი მონვამიისადმი მიღრეკილება პირველად შეარყია.

— ო, ღმერთო, — ვუთხარი მე, — ამას რა მნიშვნელობა აქვს, ნოტები გაქვთ?

— საღლაც მაქვს, — მითხრა მან, — ერთი წუთით...

ყურმილი მავიღაზე დადო და გავიგონე, როგორ გაიარა ოთახში. რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ ტელეფონთან დაბრუნდებოდა და მე გამახსენდა, რომ ერთხელ მარიმ მითხრა, მეგობარი ქალი ზოგიერთ წმინდანსაც კი ჰყავდა. ცხადია, მხოლოდ სულიერი მეგობარი, მაგრამ ეტყობა, იმ წმინდანებს ყველაფერი ჰქონდათ, რასაც ქალი სულიერად იძლევა, მე კი ესეც არ მქონდა.

მონიკამ ისევ აიღო ყურმილი.

— მაზურუკები, ო, აგერაა, — მითხრა მან ოხვრით.

— ჩემო კარგო, — ვუთხარი მე, — დამიკარით მაზურკა სი-ბემოლ-მაური, ოპუსი მეშვიდე, ნომერი პირველი.

— საუკუნეა შოპენი არ დამიკრავს, ცოტა უნდა წავივარჯიშო.

— იქნებ არ გინდათ, თქვენმა სტუმარმა გაიგონოს, შოპენს რომ უკრავთ?

— ო, — თქვა მან სიცილით, — გაიგონოს თუ უნდა, რა მენაღვლება.

— ზომერვილდა? — ვკითხე ძალიან ჩუმად. გაოცებისაგან მონიკას ყვირილი აღმოხდა, მე კი განვაგრძე: — თუ მართლა ის არის, როიალის სახურავი თავში ჩასცეთ.

— მას ეს არ დაუმსახურებია, — მითხრა მან, — თქვენ ძალიან უყვარხართ,

— ვიცი, — ვუპასუხე მე, — მჯერა კიდეც, მაგრამ მე მაინც მირჩევნია იმის ვაჟკაცობა მეყოს, რომ სიცოცხლეს გამოვასალმო.

— ცოტას წავივარჯიშებ და მაზურკას დაგიკრიცეთ, — მითხრა მან სწრაფად. — დაგირეცავთ.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, მაგრამ ყურმილი არც ერთს არ დაგვიდვია. ცხადად მესმოდა მონიკას სუნთქვა, არ ვიცი, რამდენ ხანს, მაგრამ მესმოდა. ბოლოს მან ყურმილი დადო. მე კი დიდხანს არ გავუშვებდი ყურმილს ხელიდან, ოლონდ მისი სუნთქვა გამეგონა. ღმერთო ჩემო, თუნდაც ქალის სუნთქვა...

ლობით ჭრაც მძიმედ მაწვა კუჭზე და ჩემს მელანქოლიას ამძაფრებდა. მიუხედავად ამისა მაინც გავედი სამზარეულოში, მეორე ქილა გავხსენი, ლობით იმავე ქვაბში ჩავისხი, რაშიც პირველი ულუფა გავაცხელე და გაზჟურა ავანთე. შემდეგ ყავის ნალექიანი ქალალდის ფილტრი სანავავ ვედროში

ჩავაგდე, სუფთა ფილტრი ავილე, შიგ ოთხი ქოვზი ყავა ჩავყარე, წყალი ცეცხლზე შევდგი და შევეცადე სამზარეულო დამელაგებინა. იატაკის, საწმენ-დი ჩვარი ყავის გუბეზე დავაგდე, კონსერვის ცარიელი ქილები და ჭვერცხის ნაჟუპები ვედროში ჩავყარე. მძულს დაულაგებელი ოთახები, მაგრამ მე თვითონ დალაგების თავი არა მაქვს. შემდეგ საერთო ოთახში ჩვენი უკუკუინი ჭიქები გამოვიტანე და სამზარეულოში წყლის ბაკატში ჩავჭარე ბინა თითქოს დავალაგე, მაგრამ მაინც დაულაგებელი ჩანდა. მარი სწრაფად და ბარჯვედ იხერხებდა ოთახი დალაგებულს დამსგავსებოდა, თუმცა ამისათვის არაფერს განსაკუთრებულს, თვალნათლივ დასანახს არ აკეთებდა. ეს ყველა-ფერი, ეტყობა, მის ხელებზე იყო დამოკიდებული. მარის ხელების გახსენება — მხოლოდ იმის წარმოდგენამ, რომ შეეძლო ხელები ციუპფნერისათვის მხრებზე დაეწყო — ჩემი მელანქოლია სასოწარკვეთილებამდე გაამძაფრა. ქალის ხელებს იმდენი რამ შეუძლიათ გამოხატონ ან მოგაჩვენონ, რომ მათთან შედარებით მამაკაცის ხელები მხრებზე მიწებებულ ჯირკვებად მეჩვენება. მამაკაცის ხელები ხელის ჩამორთმევის და ცემა-ტყეპის, სროლისა და ხელის მოწერის ხელებია. ხელის ჩამორთმევა, ცემა-ტყეპა, სროლა და ანგარიშსწორების ჩეკებზე ხელის მოწერა — აი, ყველაფერი, რისი გაკეთებაც მაშაკაცის ხელებს შეუძლიათ, ცხადია, შრომაც, ქალის ხელები კი თითქმის არც მიმაჩნია ხელებად, მაშინაც კი, როცა პურზე კარიქს უსვამენ ან შუბლიდან თმას იყრიან. არც ერთ თეოლოგს არ მოსვლია აზრად ექადაგა სახარებაში ნახენები ქალების ხელებზე: ვერონიკასა და მაგდალინის, მარიამისა და მართას ხელებზე, რამდენი ქალის ხელია სახარებაში და რა სათუთად ეფერებოდნენ ისინი ქრისტეს. ნაცვლად ამისა, სულიერი მამები ქადაგებენ კანონებზე, წესრიგის პრინციპებზე, ხელოვნებაზე და სახელმწიფოზე. სინამდვილეში კი, ასე ვთქვათ, პირადად ქრისტეს თითქმის მხოლოდ ქალებთან ჰქონდა საქმე. რა თქმა უნდა, მამაკაცებიც სჭირდებოდა, რაღაც ისინი ქალიკივით ხელისუფლებასთან არიან დაკავშირებულნი, ერკვევიან ორგანიზაციებში და სხვა ამგვარ სისულელეებში. ქრისტეს მამაკაცები მძიმე სამუშაოსათვის სჭირდებოდა, როგორც ბინის გამოცვლის დროს ავეჯის შემფუთველები სჭირდებათ, უხეში სამუშაოს შესასრულებლიდ. პეტრე და იოანე ისეთი ხათრიანები იყვნენ, რომ ვაჟკაცობის თითქმის არაფერი ეცხოთ, სამაგიეროდ პავლე ისეთი ვაჟკაცი იყო, რომაც რომ შეეფერება. სახლში, როგორც კა დროს იხელ-თებდნენ, ხმამამლა გვიკითხავდნენ ბიბლიას, რადგან ჩვენს ნათესაობაში უამრავი პასტორია, მაგრამ არც ერთს არ ულაპარაკია ოდესმე სახარებაში ნახსენებ ქალებზე, ანდა ისეთ გაუგებარ ამბავზე, როგორიცაა არაკი უსა-მართლო მამონაზე. უსამართლო მამონაზე კათოლიკურ „წრეშიც“ კი არავის არ სურდა ლაპარაკი, როცა ამაზე სიტყვის ჩამოვაგდებდი. კინკელი და ზომერ-ვილდი ისე მორცხვად ილიმებოდნენ, თითქოს ქრისტე რაღაც საჩოთირო ლაფ-სუსში გამოიჭირეს, ფრედებოილი კი ამბობდა, ისტორიის მსვლელობაში ეს გამოთქმა გაცვდაო. თურმე ნუ იტყვით და მას არ მოსწონდა ამ გამოთქმის „ირაციონალობა“. ისე გამოდიოდა, თითქოს ფული რაღაც რაციონალური იყოს. თუმცა მარის ხელში ფულიც კი კარგავდა საეჭვო შინაარსის, რადგან მარის ერთი საოცარი თვისება ჰქონდა — ფულის ხარჯვაში უყაირათობასაც იჩენდა და დიდ ყაირათიანობასაც. პირადად მე პრინციპულიად უარვყოფ რო-გორც ჩეკებს, ასევე „უნაღდო ანგარიშსწორების“ სხვა საშუალებებსაც. პო-

ნორარს ყოველთვის ნალდი ფულით ვღებულობდი ადგილზე და ამიტომ ხარ-
ჯების წინასწარი დაგეგმვა ორ ან სამ დღეზე მეტი ხნით არ გვჰქონდებოდა.
მარა ყველას აძლევდა ფულა, ვინც კი სთხოვდა, ზოგჯერ კი იმისაც, ვინც
არ სთხოვდა. საუბარში თუ ვინმეს დასცდებოდა, ვილაცას უჭირსო, იგრ მზად
იყო დახმარებოდა.

რეკვაშიც კი ებმარებოდა. ერთხელ ვუთხარი, კარგი იქნებოდა, სადგურის ქრისტიანულ მისიაში დაგეწყო სამსახური-მეოქი, რაზედაც მან თუნავ გეკლიანად მომახადა;

— რატომაც არა?

ეს რომ ვუთხარი, არც ბოროტი ზრახვა მეღო გულში და პროჭიჭულ ჩადება მინდოდა. ახლა კი მარი რაღაცნაირად მაინც აღმოჩნდა სადგურის ქრისტიანულ მისიაში. ჩემი აზრით, ციუპფნერმა იმიტომ შეირთო მარი, რომ „გადაერჩინა“, მარიც იმიტომ ვაჰვა ციუპფნერს, რომ „გადაერჩინა“, მაგრამ არა მგონია, ციუპფნერი დათანხმებოდა მარის ბებიების მაგივრად გადაეხადა მისი ფული ჩქარი მატარებლით მგზავრობისა და პირველი კლასის ვაგონში გადაყვანისათვის. ციუპფნერი ნამდვილად არ იყო ძუნწი, მაგრამ ლეოსავით ისიც გულის გამაწყალებლიდ მცირედით კმაყოფილდებოდა. იგი არ ჰგავდა ფრანცისკ ასიზელს, რომელიც მცირედით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ამავე დროს კარგად ესმოდა იმათი, ვინც მცირეს არ სჭერდება. იმის წარმოდგენა, რომ ახლა მარის საფულეში ციუპფნერის ფული იდო, აუტანელი მეჩვენებოდა, ასევე აუტანელი მეჩვენებოდა სიტყვები „თაფლობის თვე“ და იდეა, რომ მარისათვის უნდა მებრძოლა. ბრძოლა ხომ მხოლოდ ფიზიკურ მხარეს გულისხმობს. ისეთ ცუდად ნავარჯიშებ კლოუნსაც კი, როგორიც მე ვიყავი, დიდი უპირატესობა მქონდა როგორც ციუპფნერთან, ასევე ზომერვილდთან შედარებით. სანამ ისინი საბრძოლო პოზიციას მიიღებდნენ, მე სამხერ გადავიდოდი ყირაზე, მათ ზურგში მოვეძეოდი, ძირს დავცემდი და ყელში ხელებს წავუჭერდი. ვინ იცის, იქნებ ისინი ნამდვილ ჩეუბს გულისხმობდნენ. მათგან უველავერია მოსალოდნელი, „ნიბელუნგებზე თქმულების“ ასეთი გაუკუღმართებული ვარიანტებიც კი. ან იქნებ სულიერ ბრძოლას, გულისხმობდნენ? მე არც ამ შემთხვევაში მეშინოდა მათი. რატომ არ მისცეს მარის უფლება პასუხი გაეცა ჩემს წერილებზე, რაც ერთგვარი სულიერი ბრძოლის გამოცხადებას უდრიდა? თვითონ უსირცხვილოდ წარმოთქვამენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „თაფლობის თვე“, „საქორწილო მოგზაურობა“, მე კი უზნეობაში მდებენ ბრალს. ფარისევლები არიან, აბა რა. ნეტავ ერთი მოასმენინათ, რას უვებიან თფიციანტები და მოახლეები „თაფლობის თვეზე“ და „საქორწილო მოგზაურობაზე“. სადაც ირ უნდა გამოჩნდეს წყვილი — მატარებელში თუ სასტუმროში, — ყველა ვიგინდარა ჩურჩულებს „თაფლობის თვე“ აქვთ და ყოველმა პავშემა იცის, რომ ისინი დაუსრულებლად „იმ საქმეს“ აკეთებენ. თანაც ვიღაცა ხომ უცვლის მათ თეთრეულს და რეცხავს. როცა მარი ციუპფნერს მხრებზე ხელებს დაადებს, ნუთუ არ გაახსენდება, ყინულივით გათოშილ ხელებს რომ იღლიებქვეშ ვუთბობდი.

მარის ხელები სახლის კარს აღებენ, ზევით მძინარე პატარა მარის საბანს უსწორებენ, ქვევით სამზარეულოში ტოსტერს რთავენ, წყალს ასაღულებლად ცეცხლზე დგამენ, კოლოფიდან სიგარეტს იღებენ. მოახლოს ბარათი ამჯერად სამზარეულოს მაგიდაზე კი არა, მაცივარზე ხვდება: „წავედი კინოში, ათზე დაებრუნდები“. საერთო ოთახში ტელევიზორზე ციუპფნერის ბარათი დევს: „სასწრაფოდ მომიხდა ფ-სთან წასვლა. გეოცნი ბევრს. ჰერიბერთი“. სამზარეულოს მაგიდის ნაცვლად — მაცივარი, „გკოცნის“ ნაცვლად „გკოცნი ბევრს“. სამზარეულოში დაბრაწულ პურს სქლად უსვამ კარაქს და ზემოდან

ლვიძლის ძეხვის სქელ ნაჭრებს ადებ, ორი კოვშის ნაცვლად ფინჯანში სამ კოვზ შოკოლადის ფხვნილს ყრი და პირველად გრძნობ, რა გმირიზიანებელია გასახდომი დიეტი. გაგონდება, ფრაუ ბლოთერტმა ტოგოთ დაწრიპინა, როცა მეორე ნაჭერი ნამცხვარი გადაიღე:

— საბოლოო ჯამში ეს ხომ ათას ხუთას კალორიაზე შეტყიშ მნიშვნელი შეგიძლიათ ამის უფლება მისცეთ თავს? გრიგორი შემადგრინებელი

შემდეგ შენს წელს ყასბის თვალი შეავლო და ამ მზერაში ძნელი არ იყო უთქმელი დასკვნის ამოკითხვა: „არა, თქვენ არა გაქვთ ამის უფლება“.

ო, უშმინდესო „კა-კა-კა“, „შენ—ნცლერო“, „და — თოლონო!“ დიახ. დიახ, თანდათან სუქდები. ქალაქში ჩურჩულებენ, ჭორიკანათა ქალაქში ჭორიკანობენ, რატომ ვერ ისვენებ, რატომ ეძებ მარტოობას სიბნელეში, კინოებსა და ექლესიებში, რატომ მიირთმევ შოკოლადსა და დაბრაწულ პურს ჩაბნელებულ საერთო ოთახში? რა უპასუხე იმ ყმაწვილს, ცეკვის დროს რომ სწრაფად გითხა: ჩქარა მითხარით, მოწყალეო ქალბატონო, რა გიყვართ ამ ქვეყანაზე, ჩქარა! შენც სიმართლე უთხარი:

— ბავშვები, სააღსარებო, კინო, გრეგორიანული ქორალები და კლოუნები.

— კაცები არ გიყვართ, მოწყალეო ქალბატონო?

— როგორ არა, მაგრამ მხოლოდ ერთი, — უპასუხე შენ, — სხვა კაცი ჩემთვის არ არსებობს, ისინი ბრიყვები არიან.

— მომცემთ ნებას თქვენი პასუხი გამოვაქვეყნო?

— არა, არა, ღვთის გულისათვის, არა!

რაფი თქვი, ერთი კაციო, რატომ ირ დაამატე, ჩემიო? როცა ერთი კაცი გიყვარს და ამბობ ერთიო, შეიძლება მხოლოდ შენს კანონიერ ქმარს გულისხმობდე. ო, რა მნიშვნელოვანია ეს პატარა, დავიწყებული, უთქმელი სიტყვა „ჩემი“.

მოახლე შინ ბრუნდება. გასაღებს ბუდეში აჩხაუნებს, კარს აღებს, შემდეგ კეტავს და კვლავ ისმის გასაღების ჩხაკუნი. წინკარში სინათლე ინთება და ისევ ქრება. შემდეგ სინათლეს სამზარეულოში ანთებს და მაცივრის კარს აღებს. ბოლოს სამზარეულოშიც ქრება სინათლე და შენს კარზე მორიდებით აქაქუნებენ:

— ღამე მშვიდობისა, ქალბატონო.

— ღამე მშვიდობისა, პატარა მარი კარგად იქცეოდა?

— დიახ, ძალიან კარგად.

დერეფანში სინათლე ქრება. ისმის კიბეზე ამავალი ნაბიჭების ხმა (მაშასადამე, მარი სრულიად მარტო იჯდა ბნელ ოთახში და საეკლესიო მუსიკის ისმენდა).

იმ ხელებით, ზეწარი რომ გარეცხე და შემდეგ იღლიებქვეშ გავითბე, ახლა ცველაფერს ეხები: ფირსაკრავს, ფირფიტებს, სახელურს, ლილაკს, ფინჯანს, პურს, ბავშვის თმას და ჩოგბურთის ჩოგანს.

— ჰო, მართლა, რატომ აღარ დადიხარ ჩოგბურთის სათამაშოდ?

მხრებს იჩეჩიავ. არ გეხალისება, უბრალოდ, აღარ გეხალისება. არადა, ჩოგბურთი ხომ პოლიტიკოსებისა და ხელმძღვანელ კათოლიკეთა ცოლების შესაფერისი თამაშია. არა, არა, ეს ცნებები ჭერჭერობით მთლად იდენტური როდია. ჩოგბურთის თამაშით ინარჩუნებენ ფორმას, მოქნილობას და მიმზიდ-

ვილობას.

— ფ-ს ძალიან უყვარს შენთან ჩოგბურთის თამაში, შეც/ჭ იგი არ
მოგწონს.

— როგორ არა, როგორ არა!

— ფ- გულთბილი კაცია. თუმცა მასზე ამბობენ, უშისქენის კატა ვასტა
პრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით და მუშტი-კრივით მიაღწიან. შას ძლაძიადად
და ინტრიგანიდ თვლიან, მაგრამ პერიბერთის მიმართ მართლაც კეთილადაა
განწყობილი. უნამუსოებსა და მოსყიდულებს ზოგჯერ უყვართ ნამუსიანი და
მოუსყიდველი ადამიანები. პერიბერთმა ისე კეთილსინდისიერად აიშენა სახლი,
კაცს გული აუჩუყდება. არც საგანგებო კრედიტით უსარგებლია და არც დახ-
მარება უთხოვია სამშენებლო საქმეში გამოცდილი პარტიული და ერთმორ-
წმუნე კათოლიკებისათვის. ერთი კი — ბალის გაშენება მოინდომა ფერდობ-
ზე, არ აქ კი ზედმეტი ფულის გადახდა დასჭირდა, რაც „თავისთავად“ უწნეო
საქციელად მიაჩინია. ახლა კი რა გამოვიდა, ბალი ფერდობზე მოუხერხებელი
რამ ყოფილა.

ვრც ბალს ფერდობზე აშენებს, ორი ვარიანტიდან შეუძლია აირჩიოს
ერთ-ერთი — ან აღმავალი ან დაღმავალი. პერიბერთმა დაღმავალი აირჩია.
სწორებ ეს ქმნის უხერხელობას. მალე პატარა მარი ბურთის თამაშს დაიწ-
ყებს, და ბურთი ყოველთვის მეზობლის ბალის მესერამდე ჩავთვალდება. ზოგ-
ჯერ კი ლობეშიც გაძვრება, ტოტებს დაამტვრევს, ყვავილებს გათელავს, ნაზ,
ძვირფასი ჭიშის ხავს გააოხრებს, რაც ბოლოს და ბოლოს დაძაბულ, საბო-
დიშო სიტუაციის შექმნის. „როგორ შეიძლება გაუბრაზდე ასეთ პატარა, მომ-
ხიბულელ გოგონას“. არ შეიძლება. მხიარული, წკრიალა ხმები ვითომე
უდარდელობას გამოხატავენ, გასახდომი დიეტისაგან დამანჭული ტუჩები —
სისარულს, დაძაგრული, ძარღვებდაჭიმული კისრები — სიხალისეს. არადა,
ერთი რიგიანი ჩხუბი და მაგარი ლანძღვა-გინება პირდაპირ ცხონება იქნე-
ბოდა მათთვის. რალაც გარკვეულ დრომდე როგორლაც ახერხებენ გრძნობე-
ბის დაოცებას, კეთილმეზობლური ლიმილის მიღმა დამალვას, მაგრამ როდის-
მე. ზაფხულის ერთ წყნარ საღამოს გაიგონებთ, ჩაკეტილი კარებისა და ჩა-
მოშეებული ფალუზების უკან რა ლაწალუწი აუტყდება ფაიფურის ძვირფას
სურჟელს, ემბრიონის ლანდებს რომ უშენენ: „მე კი მინდოდა შვილი მყო-
ლოდა, შენ, შენ არ გინდოდა“. ძვირფასი ჭურჭელი იაფეასიანი ხმაურით
მიეფშვნება სამხარეულოს კედლებს. სასწრაფო დახმარების მანქანა ყურის-
წამლები წივილით აუყვება აღმართს. გადატეხილა კროკუსი, გაოელილა ხავ-
სი, ბავშვის ხელით ნასროლი ბურთი მეზობლის ბალში მიგორავს. მანქანის
ყურისწამლები წივილი ხალხს გამოუცხადებელი ომის დაწყებას აუწყებს.
ოი, ნეტავ სხვანაირად გაგვეშენებინა ბალი.

ტელეფონის ზარმა შემაქრთო. ყურმილი ავილე და გავწითლდი, მონიკა
ხილვის სულ გადამავიწყდა.

— ალო, ჰანს, — მითხრა მონიკა.

— დიან, — ვუპასუხე მე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მომესაზრებინა, რის-
თვის დამირექა მაზურქა მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა მითხრა, „იმედი
გაგიცოუედებათ“. უკან დასახევი გზა მოჭრილი მქონდა, ვერ ვეტყოდი, გა-
დავიფუქრე-მეთქი, ძალაუნებურად ამ საშინელი მაზურქისათვის უნდა გა-
ვეძლო. გავიგონე, როგორ დადო მონიკამ ყურმილი როიალზე და დაიწყო

დაკვრა. უკრავდა შესანიშნავად, ბგერი დიდებული იყო, მაგრამ მოსმენისას ისე ცუდად გავხდი, რომ ავტირდი. როგორ გავძედე და ვცადე, რომ წამის განმეორება, მარისაგან წამოსული შინ რომ დაებრუნდი და სამუშავო ოთახში ლეო ამ მაზურქას უკრავდა. არა, არ შეიძლება განცდილი წამის განმეორება და მისი სხვისთვის გაზიარება. შემოდგომის ერთ საღამოში ენცუფილი პარკი ედგარ ვინეკენმა 100 მეტრი 10,1 წამში გაირჩინა. თავში ჭრების მუტანილი, მცვე ვაკეირდებოდი წამზომს, იმ საღამოს მან მართლა გაირჩინა 100 მეტრი 10,1 წამში. მაშინ საუკეთესო ფორმაში იყო, ერთგვარ აღმაფრენას განიცდიდა, მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, არავინ დაგვიგერა. შევცდით, რომ ყოველივე ეს სხვებს ვუამბეთ და იმ წამის გახანგრძლივება მოვინდომეთ. ნუთუ არ შეიძლებოდა დავმტკბარიყავით იმის შეგნებით, რომ მან 100 მეტრი 10,1 წამში გაირჩინა. შემდეგ ედგარი ამ მანძილს ძველებურად 10,9 და 11,0 წამში ფარავდა და ჩვენი, რა თქმა უნდა, არავის სჯეროდა, მასხარად გვიგდებდნენ. ასეთ მომენტებზე ლაპარაკი თავისთავადაა შეცდომა, მათი განმეორების ცდა კი — თვითმკვლელობა. ცხადია, ერთგვარი თვითმკვლელობა იყო მონიკას დაკრული შობენის მაზურქის მოსმენა. არსებობენ განმეორებაზე დაფუძნებული რიტუალური მომენტები. თუნდაც ვინეკენების ოჯახში პურის დაჭრა. ერთხელ გადავწყვიტე ეს რიტუალი გამემეორებინა, მარის ვთხოვე პური დაეჭრა ფრაუ ვინეკენივით, მაგრამ მუშის ოჯახის სამზარეულო არაფრით არ ჰგავს სასტუმროს ოთახს, ხოლო მარი არ იყო ფრაუ ვინეკენი — დანახელიდან გაუსახლტა, მარცხენა მკლავი გაიჭრა და იმ შემთხვევამ სამი კვირით ამოგვაგდო კალაპოტიდან. ასეთი უკულმართი შედეგი შეიძლება მოჰყვეს სანტიმენტალობას. არ უნდა შეაშფოთო გარდასული წამები, არასოდეს არ უნდა სცადო მათი განმეორება.

როდესაც მონიკამ დაკვრა დაამთავრა, ისე ცუდად ჰიყავი, ტირილის თავიც აღარ მქონდა. ეტყობა, მან ეს იგრძნო, როცა ყუჩმილი აილო და ჩუმად მითხრა:

— აი, ხომ ხედავთ.

— ჩემი ბრალია და არა თქვენი, — ვუპასუხე მე, — მაპატიეთ.

ასე მეგონა, თითქოს გალეშილი, აქოთებული, საკუთარ ნარწყევში ამოგანგლელი ვეგდე წუმპეში, უწმაწურად ვიგანებოლი და ვაღაც, ჩემ მიერვე დაბარებული, სურათს მიღებდა, რათა შემდეგ ფოტო მონიკასათვის გამეგზავნა.

— შეიძლება კიდევ ერთხელ დაგირეკოთ? — ვკითხე ჩუმად, — თუნდაც რამდენიმე დღის შემდეგ საძაგლად ვრჩევავი და გასამართლებლად მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვითხრათ, ისე ცუდად ვარ, ვერც კი გადმოგცემთ.

რამდენიმე წამს მისი სუნთქვის მეტი არაფერი მესმოდა, ბოლოს მითხრა:

— ორი კვირით სხვაგან მივემგზავრები.

— სად? — ვკითხე მე.

— მინდა ლვოისმეტყველებაში წავიმეცადინო, ცოტაც ვხატო.

— როდის მესტუმრებით? — ვკითხე მე, — როდის გამიკეთებთ სოკონ ომლეტს და თქვენებურ სალათს?

— ვერ მოვალ, — მითხრა მან, — ახლა ვერ მოვალ,

— მერე?

— მერე კი, — მითხრა მონიკამ და სანამ ყურმილს დადგეტდა, მისი ტირილი გავიგონე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავიფიქრე, აბაზანა თუ მიშველის-მეთქი, ისეთი გაბინძურებული მეჩ-
ცენებოდა საკუთარი თავი, მეგონა, ლაზარესავით ვყარდი. არადა, სრულიად
სუფთა ვიყავი და ორც არაფრის სუნი არ მდიოდა. სამზარეულოში შევლას-
ლასდი, გამოვრთე ქურა, რაზედაც წყალი და ლობით ცხელდებოდა, შემდეგ
ისევ საერთო ოთახში დაებრუნდი და კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოვ-
სვი — არაფერმა არ მიშველა. ტელეფონის ზარმაც კი ვერ გამომიყვანა გა-
ოგნებიდან, მილი ავილე და ვთქვი:

— დიახ.

საბინე ემონდი აღმოჩნდა.

— ჰანს, რა გემართება? — მე ვდუმდი, მან განავრძო: — დეპეშებს
გვიგზავნი, ეს ისეთ დრამატულ შთაბეჭდილებას ახდენს, მართლიც ასე ცუ-
დად გაქვს საქმე?

— საკმაოდ ცუდად, — ვუპასუხე დალლილმა.

— ბავშვებს ვასეირნებდი, — თქვა მან, — კარლმა კი თავისი კლასი
სოფლის სკოლა-ინტერნატში. წაიყვანა ერთი კვირით. შენთან რომ დამერეკა,
ვინმე უნდა დამეტოვებინა ბავშვებთან. — ხმაზე ეტყობოდა, გასავათებული
და ცოტათი ვალიზიანებულიც კი იყო, თუმცა მისი ხმა ყოველთვის ასე უღერ-
და. ვერაფრით ვერ მოვახერხე ფული მეთხოვა მისთვის. მას შემდეგ, რაც
კარლმა ცოლი შეირთო, მუდამ საარსებო მინიმუმის გამოანგარიშებაში იყო.
როცა მასთან ჩხუბი მომივიდა, შევე სამი შეილი ჰყავდა და მეოთხეს ელო-
დებოდა. ვერ გავბედე მეკათხა საბინესათვის, მეოთხე თუ დაიბადა-მეთქი.
მათ ოჯახში ყოველთვის სუფევდა შეუნილბავი გამაღიზიანებელი დაძაბულობა,
ზეალგან ეყარა კარლის დაწყევლილი უბის წიგნაკები, სადაც ანგარიშობდა,
როგორ გაეტანა თავი ხელფასით. როცა მარტონი ერჩებოდით, კარლი „შემ-
ზარავად მიხსნიდა გულს“, იწყებდა მამაკაცურ საუბარს ბავშვების გაჩენაზე,
ესაუცედურებოდა კათოლიკურ ეკლესიას (საამისოდ რაღა მე ამირჩია) და
ბოლოს დგებოდა წუთი, როცა აყმუვლებულ ძალლივით შემომხედავდა და უმე-
ტეს შემთხვევაში სწორედ ამ დროს შემოდიოდა ოთახში საბინე, რომელსაც
კარლი გაბოროტებული მიაჩერდებოდა, რადგან ფეხმძიმედ იყო. ჩემთვის
იმაზე საშინელი არაფერია, როცა ქმარი ცოლს იმის გამო უყურებს გაბორო-
ტებოთ, რომ ფეხმძიმედაა. ბოლოს ერთად ჩამოსხდებოდნენ და წყვილად იწ-
ყებდნენ ყმუილს, რადგან მათ მართლა უყვარდათ ერთმანეთი. კედლის მიღმა
კი ბავშვებს ერთი უიკილ-ხიკილი ჰქონდათ, სიამოვნებით აყირავებდნენ ღამის
ქოთნებს და სველ ჩერებს ახალშპალერგაქრულ კედლებს უშენდნენ. ამ
დროს კარლი დაუღალავად ვაიძახოდა „დისციპლინა“, „დისციპლინა“ და
„აბსოლუტური, უსიტყვო მორჩილება!“ მე იძულებული ვხდებოდი ბავშვე-
ბის ოთახში გავსულიყავი და პატარების დასაწყნარებლად რამდენიმე ფოკუსი
შეჩვენებინა, მაგრამ დაწყნარების ნაცვლად სიამოვნებისაგან წიოდნენ და
ფოკუსების გამეორებას ლამობდნენ. უველაფერი ეს იმით თავდებოდა, რომ

ზველანი მივუსხდებოდით მაგიდას, ბავშვებს სათითაოდ შეეისვამდით მუხლზე და ნების ვაძლევდით ჩვენი ჭიქიდან ცოტაოდენი ღვინო მათაც მოუწოდებათ. კარლი და საბინე იმ წიგნებზე და კალენდრებზე იწყებდნენ საუბროს, სადაც წერია, როდის არ უჩნდება ქალს ბავშვი. მიუხედავად ამისაკერძოდ მაინც უჩნდებოდათ და მათ აზრად არ მოსდიოდათ, რომ იმგვარი ჭავჭავაშვილის კუთრებით გამაწამებელი იყო ჩემთვის და მარისათვის, რადგან ბავშვები არ გვყავდა. მოგვიანებით, როცა კარლი შეზარხოშდებოდა, წყევლა-კრულვას უთვლიდა რომს, ქოქოლას აყრიდა კარდინალებს და პაპებს. ზველაზე სასა-ცილო კი ის იყო, რომ პაპის დაცვა მე მიხდებოდა. მარი ამ ამბებში გაცი-ლებით უკეთ ერკვეოდა და ცდილობდა აეხსნა კარლისა და საბინესათვის, რომ რომს არ შეუძლია ამ საკითხს სხვაგვარად მიუდგეს. მაშინ კარლი და საბინე ეშმაკურად გადახედავდნენ ერთმანეთს, რითაც ამბობდნენ: „ვიცით, რა შვილებიც ხართ... რა უებარ საშუალებას არ მიმართავთ ალბათ იმისათ-ვის, რომ შვილი არ გეყოლოთ“. ბოლოს უძილობისაგან დალლილი რომელიმე ბავშვი მარის, მე, კარლს ან საბინეს ხელიდან ჭიქას გამოგვტაცებდა და ღვი-ნოს საკლასო სამუშაოების რვეულებზე გადაასხამდა. რვეულები ყოველთვის დასტებად ეწყო კარლის საწერ მაგიდაზე. კარლი ცოფდებოდა, რადგან მო-წაფეებს მუდამ დისციპლინაზე და წესრიგზე ელაპარაკებოდა და ამავე დროს იძულებული იყო მათთვის ღვინით დალაპიანებული რვეულები დაებ-რუნებინა. დამნაშავეს მიტყიბავდნენ, იწყებოდა ღრიალი, საბინე კი ისე დაგ-ვესლავდა მზერით, თითქოს ამბობდა: „რის მაქნისები ხართ მამაკაცები“ და მარისთან ერთად გავიდოდა სამზარეულოში ყავის მოსახარშად. იქ ისინი დე-დაკაცურ საუბარს გააბამდნენ, რასაც მარი ისევე ვერ იტანს, როგორც მე მამაკაცურ საუბარს. ამასობაში კარლი და მე მარტო ვრჩებოდით და იგი ისევ იწყებდა ლაპარაკს ფულზე, ხანდახან საყვედურსაც გამოურევდა, თით-ქოს მეუბნებოდა: გულს იმიტომ გიხსნი, რომ კარგი ბიჭი ხარ, თორემ შენ ჩემსას რას გაიგებო.

— საბინე, — ვუთხარი ოხვრით, — სრულიად გაყოტრებული ვარ — სულიერადაც, ფიზიკურადაც, პროფესიონალურადაც და ფინანსიურადაც.

— თუ მართლა გშია, — მითხრა მან, — იმედია იცი, რომ ქურაზე ყო-ველთვის დაგხვდება წვნიანი ქვაბი.

ხმა ვერ ამოვილე. მისი სიტყვები ისე გულწრფელად და საქმიანად უღერ-და, რომ გული ამიჩუყდა.

— გესმის? — მკითხა მან.

— მესმის, — ვუპასუხე მე, — და არა უგვიანეს ხვალისა, მოვალ სადი-ლად და ჩემს წილ წვნიანს შევხვრიპავ. აი, კიდევ რა, თუ როდისმე დაგჭირ-დებათ ვინმე, ვინც ბავშვებს უნდა მიხედოს. — მე... მე... მე — ენა დამება: აბა, რას ემგვანებოდა, ახლა რომ ფული მეთხოვა იმის სანაცვლოდ, რაც მუ-დამ უფასოდ გამიკეთებია მათთვის, თანაც ის იდიოტური შემთხვევა გამახ-სენდა, გრევორს რომ კვერცხი ვაჭამე. საბინემ გაიცინა და მითხრა:

— თქვი, თქვი, რა ვინდა?

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, — ვუთხარი მე, — იქნებ შეგიძ-ლიათ თქვენს ნაცნობებთან რეკომენდაცია გამიწიოთ. ტელეფონი მაქვს და საფასურს სხვებზე მეტს არ გამოვართმევ.

საბინე დუმდა და მე ვიგრძენი, თუ რა ძლიერ იყო აღელვებული.

— მისმინე, — მითხრა მან, — დიდხანს ლაპარაკის დრო არ მაქვს, გა-
მაგებინე, რა მოხდა?

ეტყობა, საბინე ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ბონში, რომელსაც
ქოსთერთის კრიტიკული წერილი წაյითხული არ ჰქონდა. უჭერებულებებისაც,
რომ მან არ იცოდა, რა მოხდა ჩემსა და მარის შორის. იმუწადანამდე არა-
ვის არ იცნობდა.

— საბინე, — ვუთხარი მე, — მარიმ მიმატოვა. ცოლად გაპყვა ვიღაც
ციუპფნერს.

— ლმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — არ მჯერა.

— დაიჭერე, — ვუთხარი მე.

საბინე დუმდა და მე გავიგონე, როვორ აკაკუნებდა ვიღაც ტელეფონის
ჯიხურის კარზე. ეს ალბათ ერთი იმ იდიოტთაგანი იყო, რომელსაც სურდა
პარტნიორისათვის ემცნო, რომ შანსი ჰქონდა სკატში მოეგო პარტია
თხილის კოზირით უსამვალეტოდ.

— უნდა შეგერთო, — მითხრა საბინემ ჩუმად, — იმის თქმა მინდა...
ეს, კარგად იცი, რის თქმაც მინდა.

— ვიცი, — ვუპასუხე მე, — ვაპირებდი კიდეც, მაგრამ შემდეგ გამო-
ირკვა. რომ ხელთ უნდა მქონოდა ის წყეული მოწმობა ჭორწინების სარეგის-
ტრაციო ბიუროდან და უნდა დამედო წერილობითი პირობა, გესმის, წერი-
ლობითი პირობა, რომ ბავშვებს კათოლიკურად აღვზრდიდი.

— კი, მაგრამ, ამის გამო ხომ არ ვაჩენილა თქვენს შორის ბზარი, —
მითხრა მან. ტელეფონის ჯიხურზე კიდეც უფრო ძლიერ დაკაჭუნეს.

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე, — მთავარი მიზეზი ეს იყო, მაგრამ ამას
კიდეც ბევრი ისეთი რამ ერთვის, რაშიც ვერ გავრკვეულვარ. დაკიდე ყურ-
მილი, საბინე, თორემ ეგ გაცოფებული გერმანელი ჯიხურის კართან ბოლოს
მოგიღებს. ჩვენს ქვეყანაში ნადირები ჯერ კიდეც არ ვადაშენებულან.

— დამპირდი, რომ გვესტუმრები, — მითხრა მან, — და იცოდე, შენი
წილი წვნიანი ყოველთვის ცეცხლზე იქნება შედგმული. — უეცრად ხმას
დაუწია და ჩურჩულით მითხრა: — რა სულმდაბლობაა, რა სულმდაბლობაა, —
საბინე ისე იყო გაოგნებული, რომ ყურმილის დაკიდებაც კი დაავიწყდა და
იმ თაროზე დადო, სადაც ტელეფონის წიგნი დევს. ამ დროს გავიგონე იმ
იდიოტის სიტყვები: „როვორც იქნა“, მაგრამ საბინე, ეტყობა, უკვე გაეცალა
იქაურობას. ყურმილში გამყინვი ხმით ჩავძახე:

— მიშველეთ, მიშველეთ!

ახალგაზრდა კაცი ანკესზე წამოეგო, ყურმილი აიღო და მითხრა:

— რათ შემიძლია დაგეხმაროთ? — მისი ხმა სერიოზულად, დარბასისლურ-
ად და ვაჟკაცურადაც კი ჟღერდა და მე ვიგრძენი, რომ რაღაც მეავე ჰქონდა
ნაჭიმი, დამტავებული ქაშაყი ან რაღაც ამდაგვარი.

— ალო, ალო, — მითხრა მან.

— გერმანელი ბრძანდებით? — ვკითხე მე, — პრინციპულად მხოლოდ
გერმანელებს ველაპარაკები.

— მშეენიერი პრინციპია, — მითხრა მან, — რა გიჭირო?

— ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ბედი მაწუხებს. თქვენც ხომ
მხოლოდ ამ პარტიას აძლევთ ხმას?

- თავისთვად ცხადია, — მითხრა ვანაწყენებულმა.
- თუ ასეა, ილარიონერი მიჭირს, — ვუთხარი მე და ყურმილი დავდე.



ის ვიგინდარი საკადრისად უნდა გამელანძლა, უნდა მექითხა, საკუთარი ცოლი თუ გააუპატიურა უკვე, სკატში პარტია თუ მოიგო ორი ვალეტით და ილაქლაქი თუ არა სამსახურში კოლეგებთან ორი საათი ომზე. ნამდვილი მეულლისა და პატიოსანი გერმანელის ხმა ჰქონდა, ხოლო მისი „როგორც იქნა“ ისე ფლერდა, თითქოს ბრძანებას იძლეოდა, „მიზანში ამოიღეთ“. საბინე ემონდისის ხმამ ცოტათი დამამშვიდა. მართალია, ხმაში დალლილობა და ოდნავი გაღიზიანება იგრძნობოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მარის საქციელი მართლაც უნამუსობად მიაჩნდა და მის ქურაზე ჩემთვის ყოველთვის იდგმებოდა ქვაბით ცხელი წვნიანი. საბინე ვემრიელ კერძებს ამზადებდა და როცა ფეხმძიმედ არ იყო, როცა მამაკაცებს თვალებით არ გვეუბნებოდა „რისი მაქნისები ხართ“, უაღრესად მხიარული ქალი იყო და გაცილებით უკეთესი კათოლიკე, ვიდრე კარლი, რომელმაც „სექსზე“ თავისი უცნაური სემინარისტული წარმოდგენა შეინარჩუნა. საბინეს მომდურავი მზერა სინამდვილეში მთელ საკაცეს ეხებოდა, ხოლო როცა კარლს უყურებდა, ვისი მიზეზითაც ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მისი თვალები არაჩვეულებრივ მუქ შეფერილობას იძენდნენ და მრისხანებას აკვესებდნენ. მე ყოველთვის ვცდილობდი, საბინე გამერთო, რომელიმე სცენას ვავითამაშებდი და ისიც დიდხანს, გულიანად რცინოდა, სიცილისაგან ცრუმლები სდიოდა, მერე კი ტირილს მორთავდა და სიცილი ალარც ახსოვდა. მარის საბინე გარეთ გაძჟავდა დასამშვილებლად, კარლი კი, რომელსაც ამ დროს სახეზე დანაშაულის გრძნობა აღებეჭდებოდა, ერთხანს წარბშეკრული იჯდა ჩემს წინ და ბოლოს სასწარკვეთილი იწყებდა რვეულების გასწორებას. ზოგჯერ რვეულების გასწორებაშიც ვეხმარებოდი, შეცდომას წითელი ივტოკალმით ვუსვამდი ხაზს, მაგრამ კარლი არ მენდობოდა, ყველაფერს თავიდან გადახედავდა და ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ შეუმჩნეველი არც ერთი შეცდომა არ მრჩებოდა, წითელი ხაზი ყოველთვის სწორად იყო გასმული. ვერაფრით ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ამგვარი სამუშაო მეც შემიძლია ნორმალურად შევასრულო და ამ საქმეში მას ტოლს არ ვუდებ. კარლს მხოლოდ ერთი პრობლემა აწესებდა — ეს განლდათ ფული. მას რომ შვიდოთახიანი ბინა ჰქონოდა, არც გაღიზიანებული იქნებოდა და არც გასავათებული. ერთხელ კინკელს მისი ამოჩემებული ცნების „საარსებო მინიმუმის“ გამო შევეკამათე. კინკელს ამგვარი საკითხების ერთ-ერთ გენიალურ სპეციალისტად თვლიდნენ. მგონი სწორედ მან გამოიანგარიშა — დიდ ქალაქში მცხოვრები მარტოხელა მამაკაცის საარსებო მინიმუმი ბინის ქირის გამოკლებით ოთხმოცდაოთხ მარკას უდრისო. მოგვიანებით ცოტა წაამატა — ოთხმოცდაექსსო. ალარ შევდავებივარ, რადგან თუ იმ უხამსი ანეკდოტის მიხედვით ვიმსჯელებთ, მან რომ გვიამბო, თვით მას საკუთარ საარსებო მინიმუმად დასახელებულ თანხაზე ოცდათხუთმეტჯერ მეტი სჭირდებოდა. ასეთ გამოდავებას პირადი სიძულვილით ახსნიდნენ და უტაქტობაში ჩამითვლიდნენ, თუმცა იმაზე მეტი უტაქტობა

რა შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა კინკელისთანა ადამიანები სხვების საარ-სებო მინიმუმს განსაზღვრავდნენ. ოთხმოცდაექვსი მარკა ითვალისწინებდა აგ-რათვე კულტურული მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებელ-ნარისაც, ალ-ბათ კინოს და განხეთს გულისხმობდა. მე ვკითხე, ამ ფულით „მარტინელი“ აუცი კარგ, აღმზრდელობითი ხასიათის ფილმს თუ ნახავს-მეჭრეული კურთხვამ კინკელი გააცოფა. შემდეგ ვკითხე, როგორ უნდა გავიგთხოვ პუნქტუალურების მარაგის განახლება“, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, სამინისტრომ საგან-გებოდ იქირაოს ერთი გულკეთილი ბერიკაცი, რომელიც ბონში ირბენს იმი-სათვის. რომ ქვედა საცვალი გაცვითოს და შემდეგ სამინისტროს მოახსენოს, რამდენი ხანი სჭირდება ნიფხვის გაცვეთას. აქ უკვე საქმეში კინკელის ცოლი ჩაერია და სახითვათო სუბიექტურობა დამწამა. ჩემთვის ასე თუ ისე გასავე-ბია, როცა კომუნისტები აღგენენ პროლეტების ხარჯვის ან ცხვირსახოცის გაცვეთის ნორმებს, რადგან ისინი არ პირფერობენ და ზებუნებრივ საწყისებს, არ ეძებენ, მაგრამ როცა ისეთი ქრისტიანები, როგორიც მისი ქმარია, ასეთ უტიფარ სიგიურმდე მიღიან, აღარ ვიცი, რა ვთქვა-მეთქი. კინკელის ცოლმა მიჰთრა, პირწავარდნილი მატერიალისტი ხართ და არაფერი გავეგებათ მსხვერ-პლის გაღების, ტანჯვის, ბედისწერის და სიღატაკის სიდიადისო. კარლ ედ-მონსის ოჯახში არ იგრძნობა მსხვერპლის გალების, ტანჯვის, ბედისწერისა და სიღატაკის სიდიადე. კარლს საკმაოდ კარგი ხელფასი აქვს და თუ რამე ბე-დისწერისა და სიღატაკის სიდიადის განცდას იწვევდა, ეს იყო მუდმივი უკ-მაყოფილება იმის გამო, რომ მისი გამოანგარიშებით, არასოდეს არ ექნე-ბოდა შესაფერისი ბინის დასაქირავებელი თანხა.

როცა დავრწმუნდი, კარლ ემონდის ერთადერთი კაცია, ვისაც შემიძლია ფული დავესესხო, ცხადზე ცხადად დამიღვა თვალწინ, რა დღეში ვიყავი, ჯიბეში პფენიგიც კი აღარ მედო.

22

წინასწარ ვაცოდი, არაფერს არ მოვიმოქმედებდი: არც რომში გავემგზავ-რებოდი და არც პაპთან მექნებოდა საუბარი, დედაჩემის ხვალინდელ უურ-ფიქსზე არც სიჭარეტებს მოვიპარავდი და არც მიწის თხილით ავივსებდი ჭი-ბეებს. ძალა იღარ მჭონდა უვალაფერი ეს ისევე დამეჯერებინა, როგორც ის მჭეროდა, რომ მე და ლეომ ბოძი გავხერხეთ. ყოველი ცდა, ისევ გამესკვნა ძაფები და მარიონეტივით ჩამოვკონწიალებულიყავი, ჩასაფუშავად იყო ვან-წიორული. როდისმე ალბათ იქამდეც მივალ, რომ ფულს კინკელსაც დავესესხე-ბი, ხომერვილდასაც და იმ საღისტ ფრედებოილსაც, რომელიც ხუთმარკიან ქალალდა ცხეირწინ ამიტრიალებს და მაიძულებს, აბა შეხტი, თუ მიწვდე-ბიო. გამეხარდება, მონიკა ზილვსი ყავაზე თუ დამპატიუებს და არა იმიტომ, რომ მონიკა ზილვსია, არამედ იმის გამო, რომ ყავას უფასოდ დავლევ. კი-დევ ერთხელ დავურეკავ იმ გონებაჩლუნგ ბელა ბროზენს, მიველაქუცები და აღარ დაკუწყებ გამოკითხვას, რა თანხის გაღება შეუძლია, ვეტყვი, სულ მცი-რელსაც სიხარულით მიეიღებ-მეთქი. სულ ბოლოს კი, ერთ მშვენიერ დღეს, ვერწევი ზომერვილდს, „დავაჭერებ“, ვნანობ, როცა მოხდა, ვონს მოვეგე, სარ-წმუნების გამოსცელებად მოვმწიფდი-მეთქი და ყველაზე საჭარელი რამ

სწორედ ამ დროს მოხდება: ზომერვილდი მარისთან და ციუპფნერთან ჩემი შემრიგებლის როლს გაითამაშებს. მაგრამ სარწმუნოების გამოცვლის შემდეგ მამაჩემი ალბათ სულ იღებს ხელს ჩემზე, ეს ხომ მისთვის /აუგლაზე საშინელი რამაა. საჭირო იყო დატიქტურება. ორჩევანი „rouge et noir“* შორის კი არ უნდა მომეხდინა, არამედ მუქჟავისფერსა და შავს შორის: შურა ნაბ-შირსა და ეპლესის შორის. ბოლოს და ბოლოს გაეხდეშა: ჩემი მოგორიც მათ უკვე დიდი ხანია სურთ ვიყო, სუბიექტიზმისაგან თქვენს უფლის, უბიექტური, მოწიფული მამაკაცი, ვისაც შეეძლება კეთილშობილთა კავშირში აზარ-ტულად ჩაებას სკატის თამაშში, თუმცა შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. მრჩებოდნენ: ლეო, ჰაინრიხ ბელენი, ბაბუაჩემი და ცონერი, რომელსაც შეეძლო გიტარის აკომპანემენტზე სანტიმენტალური სიმ-ლერების შემსრულებლად გადავექცი. ვიმღერებდი „როცა ქარი შეს თმას ეთამაშება, ვიცი ჩემი ხარ“. ერთხელ ეს სიმღერა მარის ვუმღერე. მან ყუ-რები დაიცო და მითხრა, უფრო საშინელი არაფერი მომისმენიაო. თუ ძალიან გამიჭირდება, უკანისკნელ ხერხს მივმართავ, წავალ და იმ ნომრებს, რომ-ლებიც შეიძლება ანტიკაპიტალისტურად მიიჩნიონ, კომუნისტებს ვუჩვენებ.

ერთხელ ერთურტში გავემგზავრე, კულტურისათვის თავდადებულმა ტი-პებმა მიმიწვიეს. მე და მარის დიდი ზეიმით შეგვხვდნენ სადგურზე, უზარ-მაზარი თაიგულები მოგვართვეს, სასტუმროში მოხარშული კალმახით, ხიზი-ლალით, ნაყინიან-ნალებიანი ტორტით და შამპანურით გაგვიმასპინძლდნენ, გვკითხეს, რის ნახვას ისურვებთო ერთურტში. მე ვუპასუხე, სიამოენებით ვნახავდი იმ ადგილს, სადაც ლუთერმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა-მეთქი, მარიმ კი თქვა, გამიგონია ერთურტში კათოლიკურ-თეოლოგიური ფა-კულტეტი არსებობს და მინდა აქაურ რელიგიურ ცხოვრებას გავეცნო. ჩვენი მასპინძლები მოიღუშნენ, მაგრამ რას იზამდნენ. ყველა უხერხულ მდგომარე-ობაში აღმოვჩნდით: კულტურის ქომავნიც, თეოლოგებიც და ჩვენც. თეოლო-გები ფიქრობდნენ, თითქოს ჩვენ რაღაც საერთო გვერდა იმ იდიოტებთან და გულახდილად არც ერთი არ ელაპარაკებოდა მარის, მაშინაც კი, როცა ერთ პროფესორს რწმენის საკითხებზე ესაუბრებოდა. პროფესორი როგორ-ლაც მიხვდა, მე და მარი რომ ჯვარდაუწერელნი ვიყავით და მარის პარტიული მუშაკების თანდასწრებით ჰქითხა:

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ ნამდეილი კათოლიკე ხართ?

მარი სირცხვილისაგან გაწითლდა და უპასუხა:

— დიახ, მაშინაც კი ვარ კათოლიკე, როცა ცოდვილ ცხოვრებას ვეწევი.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძიფრა იმან, რომ ჩვენი ჯვარდაუწერლო-ბა, ჩანს, არც პარტიულ მუშაკებს მოეწონათ. მოგვიანებით, როცა ყავის და-სალევად სასტუმროში დავბრუნდით, ერთმა მათგანმა ლაპარაკი წამოიწყო წვრილბურუუაზიული ანარქიის გარკვეული ფორმების არსებობაზე, რაც არ მოსწონდა. შემდეგ მეითხეს, რის ჩვენებას ვაპირებდი ლაიფციგსა და როს-ტოქში, ხომ არ ვაპირებდი იქაურებისათვის „კარდინალის“, „ბონში ჩასვლის“ და „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის“ ჩვენებას. (ვერაფრით ვერ მივხვდი, საიდან გაიგეს კარდინალზე რომ პანტომიმა მქონდა შექმნილი. ამ ნომერზე ბევრი ვიმუშავე და მარის გარდა არავისთვის მიჩვენებია. მარიმ მოხვდა, ის

* წითელი და შავი (ფრანგ.).

მაინც არ მეჩვენებინა სცენაზე. კარდინალები ხომ ისედაც წამებულთა დარად სისხლივით წითელ მანტიაში არიან გახვეულნიო). მე ჩვენს მასპინძლებს უარი ვუთხარი, ჯერ ცოტათი მაინც უნდა შევისწავლო აქაური ცხოვრების/პირობები, კომიზმის აზრი ხომ ის არის, ადამიანებს აბსტრაქტული ფორმით წარმოვუდგინო მათი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული სიტუაციები და არა უცხო ცხოვრება. აქ არც ბონია, არც სამეთვალყურეო საბჭოებში კარგი დინალები-მეთქი. ჩვენი მასპინძლები მოუსვენრობამ შეიძყრო. ერთი გაფიტრდა კიდეც და მითხრა, ჩვენ ეს ყველაფერი სხვაგვარად გვქონდა წარმოდგენილიო. მეც-მეთქი, ვუთხარი.. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა . ამიტომაც ვთქვი, ცოტას მუკინედ-მოვიხედავ და შემდევ წარმოგიდგენთ რომელიმე ნომერს: „სარაიონო კომიტეტის სხდომა“, „კულტურის საბჭოს შეკრება“, ან „პარტიის ყრილობა პრეზიდიუმს ირჩევს“, ანდა „ერთფურტი ყვავილების ქალაქია“. ამ დროს კი ერთფურტის სადგურის ირგვლივ ყვავილების მეტს ყველაფერს დაინიხავდა კაცი. მაშინ მათი უფროსი წამოდგა და მითხრა, ჩვენ ვერ ივიტანთ პროპაგანდას მუშათა კლასის წინააღმდეგო. იგი გაფიტრებული კი აღარ იყო, არამედ მიწის ფერი ედო. რამდენიმე მათვანს მაინც ეყო იმდენი ვაჟ-კაცობა, რომ იღრიშებოდნენ. მე მათ ვუპასუხე, ვერავითარ პროპაგანდას ვერ წავდივ მუშათა კლასის წინააღმდეგ იმაში, რომ წარმოვადგინო სახელდანელოდ დასწავლილი ნომერი „პარტიის ყრილობა პრეზიდიუმს ირჩევს“. სისულელე მომიერდა, ბარდიის ყრილობა წამომცდა. ამის გაგონებაზე იმ ფანატკოსმა, მიწისფერი რომ ედო, ისე მაგრად დაპკრა . ხელი მაგიდას, რომ ნამცხვრის ათქვეუფილი ნალები თეფშიდან ჩამომიცურდა და თქვა:

- ჩვენ შევცდით, შევცდით რომ მოგიწვიეთ.
- თუ ასეა, შემიძლია აქედან გავემგზავრო.
- დიან, შეგიძლიათ პირველივე მატარებლით გაემგზავროთ.

მე მათ განვუცხადე, შემიძლია ჩემს ნომერს „სამეთვალყურეო საბჭო“ „რაიონული კომიტეტის სხდომა“ დავარქვა, რადგან იქაც ალბათ ისეთ საკითხებს წყვეტის, აღრევე რომ იყო უკვე გადაწყვეტილი-მეთქი. ახლა კი სწორედ რომ უზრდელად მოიქცნენ, პატარა დარბაზი ისე დატოვეს, ჩვენი ყავის საფასურიც კი არ გადაიხადეს. მარი ტიროდა, მე მზად ვიყავი ვინმე-სათვის სილა გამეწნა, ხოლო როცა სადგურის გზას დავადექით, რათა პირველივე მატარებლით გაემგზავრებულიყავით ერთფურტიდან, ვერც ბარგის წამლები ვიშოვეთ, და ვერც მომხმარე ბიჭი. ჩემოდნების თრევა ჩვენ მოგვიხდა. ასეთი რამ კი ჭირივით მეზარება. სპბედნიეროდ სადგურის მოედანთან ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა თეოლოგთაგანი შეგვხვდა, ვისთანაც მარის დილით საუბარი ჰქონდა. ჩვენ დანახვაზე თეოლოგი გაწითლდა და ატირებულ მარის ხელიდან მძიმე ჩემოდანი გამოართვა. მარი მთელი გზა ეჩურჩულებოდა, ჩვენს გამო მძიმე მდგომარეობაში ნუ ჩიიგდებთ თავსო. ეს იყო საშინელება. ერთურტში სულ ეჭვიდი საათი დავყავით, მაგრამ ურთიერთობა ყველას-თან გაგვიფუჭდა, თეოლოგებთანაც და პარტიულ მუშაქებთანაც.

ბოლოს ბებრაში ჩამოვხტით და სასტუმროს მივაშურეთ, მარი მთელი ღამე ტიროდა. დილით გრძელი წერილი მისწერა თეოლოგს, მაგრამ ჩვენ ვერაფრით ვერ გავიგეთ, მიიღო მან ეს წერილი თუ არა.

ვფიქრობდი მარისთან და ციუპცნერთან შერიგებაზე უარესი რა იქნება-
მეთქი. მაგრამ გაფიტორებული ფანატიკოსის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრე-
ბა და იქაურებისათვის „ეარდინალის“ ჩვენება კიდევ უფრო უაოვნა ექნებოდა.
მთლად წყალწალებული ჯერ კიდევ არ ვიყავი; მყავდა ლეო, პარნიჩა ბელენი,
მონიკა ზილვსი, ცონერერი, ბაბუაჩემი და საბინე ემრუნდეს ცენტრული ქულის უკან
წილი წვნიანი მეგულებოდა, გარდა ამისა ბავშვებს პეტერი ქულის უკან
ულს ამ გზითაც ვიშოვიდი. ხელწერილს დავდებ, რომ ბავშვებს კვერცხს
აუარ შევაჭრებდი. ეტყობა, გერმანელი დედოსათვის ეს აუტანელია. ფეხებზე
მედიია, რასაც სხვები ხელოვნების ობიექტურ მნიშვნელობას უწოდებენ, მაგ-
რაც იქ, სადაც არავითარი სამეთვალყურეო საბჭო არ არსებობს, სამეთვალყუ-
რეო საბჭოს მასხარად აგდება, უხამსობად მიმაჩნია.

ერთხელ საკმაოდ გრძელი პანტომიმა „გენერალი“ შევთხზე. ნომერზე
დიდხანს ვმუშაობდი და როცა წარმოვადგინე, იმას მივაღწიე, რასაც ჩვენს
წრეებში წარმატებას ეძახიან, ესე იგი, ხალხის ის ნაწილი იცინოდა, ვისაც
უნდა ეცინა და ის ნაწილი ბრაზობდა, ვინც უნდა გაგულისებულიყო. წარ-
მოდგენის შემდეგ ამაყად გავსწიე საპირფარეშოსაკენ, სადაც ჩია დედაბერი
დამხედა. ამ დროს ყოველთვის გალიზიანებული გიყავი და მარის მეტს ვერა-
ვის ვიტანდი, მაგრამ დედაბერი სწორედ მარიმ შემოუშვა ჩემს საპირფარე-
შოში. სანამ კარს ბოლომდე მივხურავდი, დედაბერმა ლაპარაკი დაიწყო, ვა-
მომიცხადა, ჩემი ქმარიც გენერალი იყო, ომში დაიღუპა და სიკვდილის წინ
წერილი მომწერა, მთხოვდა, პენსიაზე უარი თქვიო.

— თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, მაგრამ საკმაოდ მოწიფული,
რომ ეს გაიგოთ, — მითხრა დედაბერმა და საპირფარეშოდან ვაკიდა. იმ დღი-
დან „გენერალი“ აღარ წარმომიდგენია. პრესა, რომელიც თავის თავს მემარ-
ცხენეს უძახის, ამის შემდეგ წერდა, თითქოს რეაქციამ შემაშინა, ხოლო პრე-
სა თავის თავს რომ მემარჯვენეს უწოდებს, წერდა, თითქოს მივხვდი, ამით
აღმოსავლეთს რომ ვუწევდი სამსახურს, დამოუკიდებელი პრესა კი ყოველ-
გვარ რადიკალიზმსა და ვალდებულებაზე ხელის აღებას მისაყვედურებდა. ყოველივე ეს წმინდა წყლის სისულელე იყო. ამ ნომრის წარმოდგენა იმი-
ტომ ვერ შევძელი, რომ უნებურად მაგონდებოდა ის ჩია დედაბერი, გაჭირ-
ვებით რომ ირჩენდა თავს და რომელსაც ალბათ ყველა მასხარად იგდებდა და
დასკინოდა. როცა ესა თუ ის საქმე სიამოვნებას აღარ მგვრის, თავს ვანებებ—
ალბათ ძალიან რთულია, ეს ფურნალისტებს უჟსნა. ისინი მხოლოდ თავიანთ
„ალოს“ ენდობიან და ყველგან რაღაცის „სუნი სუმთ“. არსებობს ვაბო-
როტებული ფურნალისტის ფრიად გავრცელებული ნაირსახეობა, რომელიც
ვერაფრით ვერ ხვდება, რომ პირადად ის ხელოვანი არაა და არც არავითარი
მონაცემები გააჩნია საამისოდ: რაკი ასეა, რაღა თქმა უნდა, ალლო ღალა-
ტობით და სისულელებს როშავენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა, ლამაზი გო-
გოების თანდასწრებით, ჯერ კიდევ საკმაოდ მიამიტები რომ არიან და ყველა
მხლაბნელისათვის ჭიუას კარგავენ, იქაოდა, რომელილაც გაზეთში თავისი
„ტრიბუნა“ აქვს და „ზეგავლენას“ ახდენსო. არსებობს პროსტიტუციის უც-
ნოური, ჯერ კიდევ ამოუხსნელი ფორმები. მათთან შედარებით ჩვეულებრივი
პროსტიტუცია კეთილსინდისიერი ხელობაა. ყოველ შემთხვევაში, ფულის საზ-
ღაურად რაღაცას მაინც იძლევიან.

მაგრამ ჩემთვის ხსნის ის გზაც დახშული იყო, სადაც გულმოწყალე სიყ-

ვარულს უიდიან. ფული არ მქონდა. ამ დროს კი ალბათ მარი რომის სასტუმროში ესპანურ მანტილიას ირგებს ტანზე, რამეთუ გერმანული კათოლიკიზმის „first lady“-ს წარმომადგენლობითი იერი უნდა ჰქონდეს, ხოლო, როცა ბონში დაბრუნდება, ყველა იმ საღამოზე დაიწყებს სიარულს, საღაც ჩაიზე დაპატიჟებენ, ყველას ღიმილით შეხვდება, გახდება ჟანსაზე კუნძულის „წევრი, ვახსნის „რელიგიური ხელოვნების“ გამოფენის დასახურის შემთხვევაში უკავშირდება“ მებნას. ყველა ქალი, ვინც ბონში ოფიციალურ პირზე თხოვდება, „რიგიანი მკერავის“ ძებნას იწყებს.

მარის გერმანულები კათოლიკიზმის „first lady“-ს, ხელში ჩაის ფინჯანი ან კოკტეილით სავსე ჭიქა უკირავს და ამბობს: „თუ ნახეთ პატარა, მომსიმალელი კარდინალი, რომელიც ხვალ კრიოგერთის მიერ დაპროექტებულ მარიამის სვეტს აკურთხებს? ამ, იტალიაში კარდინალებიც კი ძავალრები არიან. საოცრად მომხიბვლელი კაცია“.

მე უკვე წესიერად კოჭლობაც კი აღარ შემეძლო. ხოხვას უკეთ ვახერხებდი და ასე ხოხვა-ხოხვით გავედი აივანზე მშობლიური ქალაქის სუფთა საერთის შესასუნთქად, მაგრამ ვერც ამან მიშველა. ბონში უკვე დიდხანს დავუავი, თითქმის ორი საათი და ბონის ვაერი ამდენი ხნის შემდეგ თავის კათოლისმყოფელ გავლენას კარგავს.

მარი რომ კათოლიკე დარჩა, ამას ისინი მე უნდა მიმადლოდნენ, გავიციქრე უეცრად მისმა აწმენამ რამდენიმე მძიმე კრიზისი ვადაიტანა, რადგან კინკელმა და ზომერვილდმა იმედი გაუცრუეს, ხოლო რაც შეეხება ბლოთერტისთანა ტიპს, იგი წმინდა ფრანცისკაც კი ათეისტიდ გადააქცევდა. მარიმ ერთხანს ეკლესიაში სიარულიც კი მიატოვა, თავში აღარ გაუვლია, ექლესიაში ჭერი დაგვეწერა, მაშინ იგი რაღაცნაირმა სიჭიუტემ შეიძყრო და თუმცა განუწყვეტლივ ეპატიჟებოდნენ, მათ წრეს მხოლოდ ჩვენი ბონიდან წამოსვლის საში წლის შემდეგ დაუბრუნდა. მაშინ მე მარის ვუთხარი: იმედგაცრუება ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს, თუ ეს საქმე ჰეშმარიტებად მიგაჩნია, ათასი ფრედებოილიც კი ევრ გახდის მას არაჭეშმარიტს, და ბოლოს, ხომ არსებობს ციუპფნერი. მართალია, იმვეარი ტიპები მე არ მომწონს, ცოტა უცხვირპირო, მაგრამ როგორც კათოლიკე, ნდობას იმსახურებს. მათ შორის უთუოდ მოძებნება ბევრი ისეთი კათოლიკე, ნდობას რომ იმსახურებს-მეთქი და ჩამოვუთვალე ცველა პასტორი, ვისი ქადაგებაც ერთად მოგვისმენია, მოვაგონე პაპი, ვარი კუპერი, ალექ ვინესი. მარი ხვიარასავით ჩაეჭიდა პაპ იოანეს და ციუპფნერს და კვლავ ივრიბრ ფეხჭვეშ ნიაღავი. ვასაოცარია, იმ დროს პაინ-რიპ ბელენი აღარ მოსწონდა. პირიქით, მარწმუნებდა, ბინძურიაო და როცა მააზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, ისე შეცბუნდებოდა, ეჭვი მეპარებოდა, მარის რამე ხომ არ „გაუბედა“-მეთქი ცხადია, მარისათვის ეს არასოდეს არ მიკითხავს, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მქონდა. საქმარისი იყო კაცს პაინრიპს ეკონომი ქალი წარმოედგინა, რომ მიმხვდარიყო, ახალგაზრდა ქალებისათვის შეეძლო მართლაც „გაუბედა“ რამე. ამის გაფიქრებაც კი მზარავდა, მაგრამ გაგებით კი ისევე მესმოდა როგორც მრავალი სისაძაგლე, რაც ჩვენს ინტერნატი ხდებოდა.

მხოლოდ ახლა გამიელვა ფიქრმა, რომ მე ვიყავი ის კაცი, ვინც მარის რელიგიური ეჭვების გასაფანტავად პაპი და ციუპფნერი შესთავაზა. კათოლიკიზმს უაღრესად წესიერად მოვაქეცი, რაც შეცდომად მიმაჩნია, მაგრამ მა-

როს კათოლიკობა იმდენად ბუნებრივი მეჩვენებოდა, რომ მინდოდა ეს ბუნებრიობა შეენარჩუნებინა. ამიტომ, როცა ძილს თავს ვერ ართმევდა და ექლესიაში აგვიანდებოდა, ვალვიძებდი. წირვისათვის რომ მიწერო, ხშირად ტაქსით ვისტუმრებდი. როცა ისეთ მხარეში ვხვდებოდით, სიღაც პროტესტანტიზმია ფეხმოკიდებული, ტელეფონით ვრეკავდი ჟუზერზე, რომ მისი მიხარია ამას რომ აკეთებო, მაგრამ შემდეგ მომთხოვა ხელი მომეწერა იმ წყეულ ქალდზე და წერილობითი პირობა დამედო, რომ შვილებს კათოლიკებად აღვაზრდევინებდი. შვილებზე ხშირად გვილაპარაკია, მიხაროდა ბავშვები რომ გვეყოლებოდა, ბევრჯერ შვილებთანაც მისაუბრია, ხელში ამიუგანია, მათვის რძეში უმი კვერცხი ჩამიხლია და მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ სასტუმროში ვცხოვრობდით, სადაც კარგად მხოლოდ მილიონერების და მეფეების შვილებს ეპყრობიან, ხოლო იმათ შვილებს, ვინც არც მილიონერია და არც მეფე, განსაკუთრებით კი ბიჭებს, იმთავითვე უყვირიან: „აქ შენი სახლი ნუ გვინია“, რაც აღზრდის თვალსაზრისით სამშაგიდ მცდარია: ჭერ ერთი, იგულისხმება, რომ ბავშვი თავის სახლში ღორივით იქცევა, მეორე, ბავშვი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს კარგად, როცა ღორივით იქცევა და მესამეც, ბავშვმა არასოდეს არ უნდა იგრძნოს თავი კარგად. გოგონებს ბედი სწყალობთ, „მომხიბელელ“ არსებებად მიაჩნიათ და კარგადაც ეპყრობიან, მაგრამ ბიჭებს, რომელთაც მშობლები თან არ ახლავთ ყოველთვის უყვირიან. გერმანელებისათვის უველა ბიჭი უზრდელია, ზედსართავს „უზრდელი“ ხმამაღლა არც კი წირმოთქვამენ, ზედსართავი უბრალოდ ამ არსებით სახელთანაა შერწყმული. ვინმეს რომ მოაფიქრდეს და ჩაუკვირდეს, რა სიტყვებს ხმარობს მშობელთა უმეტესობა შვილებთან საუბარში, დარწმუნდება, მათ ლექსიკასთან შედარებით ილუსტრირებული განხეთის ლექსიკა ლამის ძმები გრიმების ლექსიკონს უტოლდება. არ გაივლის დიდი ღრო და გერმანელი მშობლები თავიანთ ბავშვებს ქალბატონი ქალიკის ენით დაელაპარაკებიან: „ო, რა მშვინერია“, „ო, რა სისაძაგლეა“. შეიძლება ზოგჯერ უფრო დახვეწილი აზრიც წამოსცდეთ, მაგალითად: „ქრინტი არ დაძრა“ ანდა „ამისი არაფერი გავეგება“. მე და მარი იმაზეც ვლაპარაკობდით, რას ჩავაცმევდით ბავშვებს. მარის „ღია ფერის ლაბადები“ მოსწონდა, მე ანორაკების* მომხრე ვიყავი. ჩემი აზრით, თუ ბავშვს ელეგანტური ლაბადა აცვია, გუბეში ვერ ითამაშებს, მაშინ, როცა სპორტული ქურტაკი იმ საქმისათვის ზედგამოჭრილია. გარდა ამისა, თბილად ჩაცმულ ბავშვს — მე ყოველთვის გოგონა მყავდა მხედველობაში — მხოლოდ ფეხები ექნებოდა დაუფარავი. როცა გუბეში ქვებს ჩაურიდა, შეეფები მხოლოდ კანჭებს დაუსეელებდა და ანორაკს არ მოხვდებოდა, ხოლო როცა თუნუქის კოლოფით გუბიდან ჭუჭუან წყალს ამოხაპავდა და პირამდე გავსებული კოლოფიდან წყალს გადმოლერიდა, აუცილებელი არ იყო ანორაკზე გადაესხა, ყოველ შემთხვევაში, უფრო სავარაუდოა, რომ ფეხებს დაისველებდა. მარის აზრით კი, როცა გოგონა ღია ფერის ლაბადაში იქნებოდა გამოწყობილი, მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა. გაღაუწივეტელი მხოლოდ ის საკითხი დარჩა, მივცემდით თუ არა შვილებს გუბეში თამაშის უფლებას,

* კარში ჩასაცმელი კაპიტონიანი კურტაკი.

მარის მხოლოდ ელიშებოდა, პასუხს თავს არიდებდა და მეუბნებოდა: ჭობია დავიცადოთ.

თუ მარის ციუპფნერისაგან ეყოლება შვილები, ვერც ანორა ჩაუკიდეს და ვერც ღია ფერის ელეგანტურ ლაბადას, რადგან მე და მარიმ ზაწვრილებით ვილაპარაკეთ უკვე ბავშვის ყოველგვარ ზედა ტანსალმელული მისი შვილები უპალტოოდ და უკურტაკოდ იჩბენენ. ვილაპტაცქეს საქტეოვე გრძელ და მოკლე შარვლებზე, საცვლებზე, წინდებზე, ფეხსაცმელებზე და თუ სურდა თავი არც მეძავად ევრძნო და არც მოლალატედ, ბავშვები ტიტლიკანი უნდა ეტარებინა ბონში. არც ის ვიცოდი, რა უნდა ეჭმია ბავშვებისათვის: ჩვენ დაწვრილებით ჭმსჯელობდით ყოველგვარ სურსათზე, კვების ყველა მეთოდზე და იმ დასკვნამდე მივედით, არ ჩავასხამდით ბავშვებს პირში ფაფას, არ გავჭურავდით რძით. არავითარი სურვილი არ მქონდა ბავშვებისათვის საჭმელი დაგვეძალებინა. გული მერეოდა, როცა ვუყურებდი, როგორ ატენიდა საბინე ემონდის საჭმელს პირველ ორ შვილს, განსაკუთრებით უფროსს, რომელსაც კარლმა საოცარი სახელი ედელთრუდი დაარქვა. იმ დაწყევლილი კვერცხის გამო მარისაც კი შევეკამათე. მარი კვერცხის წინააღმდეგი იყო და როცა ვკამათობდით, უეცრად წამოსცდა, კვერცხი მდიდარი ხალხის საჭმელია. შემდეგ გაწითლდა და მევე მომიხდა მისი დამშვიდება. მიჩევული ვიჟავი იმას, რომ ადამიანები სხვაგვარად მეპყრობოდნენ — სხვაგვარად მიყურებდნენ იმის გამო, რომ მურა ნახშირის მრეწველთა შთამომავალი ვიყავი. მარიმ მხოლოდ ორჯერ ვერ შეიკავა თავი და ამის შესახებ რაღაც სისულელები თქვა: პირველად იმ დღეს, როცა მათ სამზარეულოში შევედი და მეორედ, როცა კვერცხის გამო ვდაობდით. საშინელებაა, როცა მდიდარი მშობლები გყავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საშინელებაა, როცა ამ სიმდიდრეში წილი არ ვიდევს. კვერცხებს სახლში იშვიათად გვაჭმევდნენ, დედაჩემი მათ „უაღრესად·მავნებელ პროდუქტად“ თვლიდა. ედგარ ვინეკენი კი, პირიქით, იმის გამო გრძნობდა უხერხულობას, რომ ყველგან დაჭყავდათ და ყველას იცნობდნენ, როგორც მუშის შვილს, ის კი არადა, ზოგიერთი მღვდელიც კი ასე აცნობდა ედგარს ხალხს: ნამდვილზე ნამდვილი მუშის შვილიათ. მათ სიტყვებში ფარული აზრი იდო: შეხედეთ ამ ბიჭს, არც რქები აქვს და ინტელიგენტურადაც გამოიყურებათ. ეს ამბავიც რასობრივ საკითხს განეკუთვნება და მის გადასაწყვეტად დედაჩემის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა იმტვრის თავი. ამ მხრივ ჩემს მიმართ მხოლოდ ვინეკენები და მარის მამა იჩენდნენ მიუკერძოებლობას. არასოდეს არ მაყველიდნენ, მურა ნახშირის მწარმოებელ შნირების შთამომავალი რომ ვიყავი და არც გვირგვინს მაღვამდნენ ამის გამო თავზე.

ბოლოს მივხვდი, ისევ აივანზე ვიდექი და ბონს გადავყურებდი. მუხლი ისე ძლიერ მტკიოდა, რომ მოაჭირს მაგრად ჩავეჭიდე, მაგრამ იმ ერთი მარკის დარღი, ფანჯრიდან რომ გადავისროლე, მაინც არ მასვენებდა. სიამოვნებით მოვძებნიდი, მაგრამ ახლა ძირს ვერ ჩავიდოდი. ლეოს ყოველ წამს შეეძლო მოსულიყო. როდისმე ხომ უნდა მოელოთ ბოლო ქლიავის, ადლვებილი ნაოებისა და სუფრაზე ღმერთის ხსენებისათვის. ვერ იქნა და ვერ დავინახე

ჩემი მარკა ქუჩაში. ტროტუარიდან საკმაოდ დიდი მანძილით ვიყავი დაშორებული, მონეტები კი მხოლოდ ზღაპრებში ბრწყინავენ ისე საგანგებოდ, რომ მათი პოვნა შეძლო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მენანებორთა, რაღაც ისეთი, რაც ფულთანაა დაკავშირებული, მენანებოდა დაკარგული შარკა — თორმეტი სიგარეტი, ტრამვაის ორი ბილეთი, ან სოსისი ფერა ჭურულებული. ამავე დროს უსინანულოდ, მაგრამ ერთგვარი გულის ტკბებული ჭყვეჭრობდი, რამდენი ფული გადაგვიხდია ქვემოსაქსონელი დედაბრების მავივრად პირველი კლასის ვაგონებსა და ჩქარ მატარებლებში. ალბათ ამგვარი გულისტკივილით ფიქრობს კაცი იმ გოგონაზე, ვისაც უამრავი კოცნა მიუძღვნა, ის კი სხვაზე გათხოვდა. ლეოს იმედით ვერ ვიქნებოდი, მას უცნაური წარმოდგენა ჰქონდა ფულზე, დაახლოებით ისეთი, როგორიც მონაზონს აქვს „ცოლქმრულ სიყვარულზე“.

თუმცა ირგვლივ ჟველაფერი გაკაშკაშებული იყო, ქუჩაში არაფერი არ ბრწყინავდა, არავითარი „ვარსკვლავა ტალერი“. ვხედავდი მხოლოდ ავტომანქანებს, ტრამვაის, ავტობუსებს და ბონელ მოქალაქეებს. ვიმედოვნებდი, რომ ჩემი მარკა ტრამვაის სახურავზე დაეცა და დეპოში ვინმე იპოვის.

ცხადია, შემეძლო ევანგელისტური ეკლესიის კალთას ამოვფარებოდი, მაგრამ როცა ეს კალთა წარმოვიდგინე, გამაურუოლა. ლუთერის კალთას სიამოვნებით ამოვეფარებოდი, „ევანგელისტური ეკლესიის კალთას“ კი ვერა. თუ მლიქვნელი გავხდები, ჯობია ამ მლიქვნელობისაგან რაიმე სარგებლობა ვნახო და რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მივიღო. ნასიამოვნები კი მაშინ ვიქნები, როცა სხვებს კათოლიკედ მოვაჩვენებ თავს. ექვსი თვე „არავის დავენახვები“, შემდეგ კი სალამოობით ზომერვილდის ქადაგებებზე დავიწყებ სიარულს და ჩემში ისევე აფუთფუთდებიან კათოლინები, როგორც იარაში მატლები. მაგრამ ამით მამის გულის მოგების უკანასკნელ შესაძლებლობას და მურა ნახშირის ტრესტის რომელიმე ფილიალში ჩეკზე ხელის მოწერის უფლებას დავდარგავ. იქნებ დედაჩემმა თავის ცენტრალურ კომიტეტში მომაწყოს, სადაც შესაძლებლობა მექნება ჩემი რასობრივი თეორიები დავიცვა. გავემგზავრები ამერიკაში, ქალთა კლუბებს გამოვეცხადები, როგორც გერმანელი ახალგაზრდობის მონანიების ცოცხალი მაგალითი და მოხსენებებს წავიკითხავ. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს, პირადად მე მოსანანიებელი არაფერი მაქვს, სრულიად არაფერი და ამიტომ იძულებული ვიქნები ვითვალთმაქცო. თუმცა შემიძლია მოეყვე, როგორ შევაყარე ჩოგბურთის კორტზე ჰერბერთ ქალიკს სახეში მთელი მუჭა ნაცარი, როგორ ჩამკეტეს ტირში და როგორ წარვსდექი სასამართლოს წინაშე, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქალიკი, ბრიული და ლიოვენიში. მაგრამ ამის მოყოლაც თვალთმაქცობა იქნება. არ შეიძლება ამგვარი მომენტების აღწერა და მათი ორდენივით კისერზე ჩამოკიდება. ჟველა ცდილობს, თავისი ცხოვრების გმირული მომენტები კისერზე ორდენივით ატაროს. წარსულს რომ ჩაებლაუჭები, ესეც ფარისევლობაა, რამეთუ კაციშვილმა არ უწყის ის მომენტები: აბა ვის ეცოდინება, ლურჯჭუდიანი ჰენრიეთე ტრამვაიში რომ ჩაჯდა და ლევერკუზენში გაემგზავრა წმინდა გერმანული მიწის ებრაელი იანკებისაგან დასაცავად.

არა, ჟველაზე საიმედო ფარისევლობა, თანაც ფრიად რომ გამართობდა, მაინც „კათოლიკური კარტით თამაშია“. აქ ნალდი მოგება ვაქვს ხელში.

კიდევ ერთხელ გადავხედე უნივერსიტეტის სახურავებს და სასახლის

პარკის ხეივნებს: მარი იცხოვრებს მათ მიღმა, მთის ფერდობზე, ბონსა და გოლესბერგს შორის. კეთილი და პატიოსანი. ამიტომ ჭობს აქ ვიყო. არაფერი საჭირო არაა, გავუადვილო ცხოვრება. რატომ უნდა ფიქრობოდა თითქოს მუდამ გზაში ვარ, ჭობს ახსოვდეს, ყოველ წეთს რომ შეუძლია შემხვდეს. და, დაიწვას სიჩუპვილისაგან იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი მისი ცხოვრება უზნეობა და ქმრის ღალატია. ხოლო თუ ბავშვებთან ერთად შემნებელი და ბავშვებს ანორაკები და ლოდენის პალტოები ეცმევათ, საკუთარი ბავშვები მაშინვე შიშვლები მოეჩვენება.

მოწყალეო ქალბატონო, ქალაქში ხმები დადის, თითქოს თქვენს ბავშვებს დედიშობილა არბენინებთ. ეს უკვე მეტისმეტია. გარდა ამისა ერთი დიდი შეცდომაც დაუშეით, გადამწყვეტ წუთში სიტყვა „ჩემი“ გამოვრჩიათ, როცა ამბობთ, ერთადერთი კაცი მიყვარსო, უნდა თქვათ „ჩემი კაცი“. ისეთი ხმებიც დადის, რომ თქვენ გელიმებათ იმ ყრუ სიძულვილზე, ყველანი რომ გრძნობენ იმისადმი, ვისაც მოხუცს ეძახიან. თქვენის აზრით ყველანი ამაზრზენად ჰგვანან მას. ბოლოს და ბოლოს იმ მოხუცი კანცლერივით მათაც ჰგონიათ, რომ შეუცლელნი არიან, და თანაც ყველანი ხომ კრიმინალურ რომანებს კითხულობენ. რა თქმა უნდა, კრიმინალური რომანების ყდები არ შეეფერება გემოვნებით მოწყობილ ბინებს. დანიელებს დაავიწყდათ, თავიანთი სტილი კრიმინალური რომანების ყდებზეც გაევრცელებინათ. ფინელებს კი ალბათ ეყოფათ იმდენი ეშმაკობა, რომ ყდები სკამებს, სავარძლებს, მინასა და კერამიკას შეუფარდონ. კრიმინალური რომანები ბლოთერტსაც კი უყრია სახლში. იმ საღამოს, მის ბინას რომ ვათვალიერებდი, ლამის თვალში გვეჩირებოდნენ უტიფრად.

მუდამ სიბნელეს ეფარებით, მოწყალეო ქალბატონო, კინოებსა და ეკლესიებში დადიხართ, ჩაბნელებულ ოთახში საეკლესიო მუსიკას ისმენთ, ხოლო დღის სინათლეს, ისეთს როგორიც ჩოგბურთის კორტებზეა, უფრთხით. დიდი მითქმა-მოთქმაა. ტაძარში აღსარება ოცდაათ, ორმოცდაათ წუთს გრძელდება. შომლოდინეთა თვალებში აღშფოთება იგრძნობა: „ღმერთო ჩემო, რა აქვს ამდენი მოსანანიებელი ამ ქალს: ჰყავს ულამაზესი, უსათნოესი და უწესიერესი მეუღლე, ნამდვილად ზნემაღალი აღამიანი და მშვენიერი გოგონა, აქვს ორი აეტომანჭანა“.

საალიარებოს მიღმა მდგარი, მოუთმენლობით შეპყრობილი ხალხი გალაზიანებულია, ორი ხმა კი დაუსრულებლად ჩურჩულებს სიყვარულზე, ქორწინებაზე, მოვალეობაზე, ისევ სიყვარულზე და ბოლოს ისმის ასეთი კითხვა.

— რწმენაში არასოდეს დაეჭვებულხართ, მაშ რაღა გინდათ, შვილო ჩემო?

— შენ ხმამაღლა არ შეგიძლია ამის თქმა, გაფიქრებაც კი გიჭირს იმისი, რაც მე ვიცი. შენ გინდა კლოუნი, ოფიციალურიდ: პროფესიონალი კომიკოსი მსახიობი, არც ერთ ეკლესიას რომ არ უხდის ხარჯს.

სახეზე რომ გრიმი დამედო, აივნიდან სააბაზანოში კოჭლობით გავედი.

შეცდომა დავუშვი, მამას რომ უგრიმოდ დავხვდი, მაგრამ მის სტუმრობას არაფრით არ ველოდი. ლეო ყოველთვის მოწადინებულია ჩემი ნამდვილი ფიქრი, ჩემი ნამდვილი სახე, ჩემი ნამდვილი „მე“ დაინახოს. და, დაინახოს.

მაგრამ როცა სახეზე გრიმი არ მეღო, ლეოს ყოველთვის ეშინოდა ჩემი „ნიღბების“, თამაშის, ყოველივე იმისა, რასაც იგი „ფუქსავატურს“ ეძინის. იმ წუთებში კი ჩემი ჩემოდანი გრიმით სადღაც ბოხუმსა და ბონს მიხრივნებდა. სააბაზანოში კედლის პატარა, თეთრი კარალა გაშოუაღვე და / შევკრთა, მაგრამ გვიანდა იყო. როგორ დამავიწყდა, რომ ნივთეჭურუმომაყვდინებელი სანტიმენტალობა ახასიათებთ. კარადაში აღარ იყო მართელური ჭილები, შუშები, აღარაფერი და კარადაში რომ აღარაფერი დამხვდა, ამან ისე ამაფორია, თითქოს მისი რომელიმე ტუბი ან ქილა დამენახოს. ყველაფერი თან წაულია. იქნებ მონიკა ზილვსმა გამოიჩინა გულკეთილობა, ყველაფერს თავი მოუყარა და იქაურობას მოაშორა. სარკეში ჩემი თავი შევათვალიერე: თვალები სრულიად ცარიელი მქონდა, ეს იყო პირველი შემთხვევა, თვალების დაცარიელება რომ არ დამჭირებია. აღრე ამისათვის ნახევარი საათი ვაშტერდებოდი საკუთარ თავს და სახის კუნთებს ვავარჯიშებდი. სარკიდან თვითმკვლელის სახე მიყურებდა, ხოლო როცა გრიმის დაღება დავიწყე, სახე მკვდრის სახედ მექტა. კანი ჭერ ვაზელინით დავიზილე, შემდეგ ნახევრად გამხმარ უმარილის ტუბს თავი მოვაგლიჭე და სახე ისე გავითეთრე, რომ არც ერთი შავი ხაზი, არც ერთი წითელი წერტილი არ დამიმატებია. სახე ერთიანად თეთრი მქონდა, წარბებზეც კი ვაღავისვი უმარილი. თმა პარიკივით მეღო თავზე, შეუღებავი ტუჩები ჩამუქებული, თითქმის ლურჯი ფერისა იყო, თვალები გამვავებულ ცასავით ცისფერი და იმ კარდინალის თვალებივით ცარიელი, რომელმაც დიდი ხანია დაყარგა რწმენა და ეს ამბავი საკუთარი თავისთვისაც კი ვერ გაუმხელია. ჩემი ანარეკლისა აღარ მეშინოდა, ასეთი სახის პატრონისათვის ძნელი არა „კარიერის გაფეთება“, ასეთი სახით იმ საქმის დაცვაც შეიძლება ფარისევლურად, რომელიც მიუხედავად მთელი მისი უმწეობისა და უაზრობისა, შედარებით მიმზიდველი მიმაჩნდა, იმ საქმეს ვგულისხმობ, ედგარ ვინეკენს რომ სწამს. ყოველ შემთხვევაში ამ საქმეს არაფრის გემო არ დაჰქრავს, ყველაზე პატიოსნურია საყოველთაო უპატიოსნებაში და ყველაზე მცირე ბოროტებაა უმცირეს ბოროტებათა შორის: ამგვარად გარდა შავისა, მუქი ყავისფერისა და ლურჯისა არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა, წითელს ვერ ვუწოდებდი მას, მეტისმეტად ევფემისტური და ოპტიმისტური იქნებოდა. ესაა ნაცრისფერი, რომელსაც გარიერაუის სხივი დაჰკრავს. მწუხარე ფერია, მწუხარე საქმის შესაფერისი, მაგრამ შეიძლება სწორედ იქ გამოინახოს აღგილი ქლოუნისათვის, რომელმაც ყველაზე საშინელი ცოდვა ჩადინა: სხვებში სიბრილულის გრძნობა გამოიწვია. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ყველაზე ნაკლებად მინდოდა ედგარის მოტყუება, ყველაზე მეტად მასთან მიჰირდა თვალთმაქცობა. მე ერთადერთი მოწმე ვიყავი იმისა, რომ ჩან მართლაც ვიღირბინა ასი მეტრი 10,1 წამში და იგი ერთადერთი იმ მცირეთანი იყო, ვინც ისეთად მიცნობდა, როგორიც ვიყავი, ისეთი ვეგონე, როგორც ვარ. ედგარს არაფერი არ სწამდა, ვარდა ვარკვეული აღამიანებისა, სხვებს მეტი რამ სწამთ: ლმერთი, აბსტრაქტული ფული და ის, რასაც „სახელმწიფო“ და „გერმანია“ ჰქვია. ედგარს კი არაფერი ამდავვარი არ სწამდა. ამიტომაც დაეცა თავზარი, მე რომ მაშინ ტაქსი დავიქირავე. ახლა გული მწყდება, რატომ არ ავუხსენი ყველაფერი, თორებ ისე, სულ არა ვარ ვალდებული, ვინმეს რამე ავუხსნა. სარკეს მოვცილდი. ძალიან მომეწონა ის სახე, სარკიდან რომ შამზერდა, წუთითაც არ მომსვლია აზრად, რომ ის, ვისაც ვუმზერდი,

შე ვიყავი. ეს კლოუნი კი არა, მკვდარი კაცი იყო, რომელიც მკვდარს ვე ანსახიერებდა.

საწოლ ოთახში კოჭლობით შევლასლასდი. აქამდე ამ ოთახში კერძო არ შემიღვამს, მარის კაბების შიშით. კაბებს მისთვის მეტწილად მე ვყიდულობდი და თუ კაბა გადასაკეთებელი იყო, მკერავთანაც მე მივდიშუა შემსჭრება-რაკებლად. გარდა წითელისა და შავისა, თითქმის ყველა ფრთხი ჰქონდებოდა, ნაცრისფერიც კი არ უკარგავდა იერს. განსაკუთრებით უხდებოდა ვარდისფერი და მწვანე. ქალების მოდის საქმეს რომ გავყოლოდი, ალბათ ფულსაც ვავაკეთებდი, მაგრამ ისეთი კაცისათვის, რომელიც მონოგამია და პომოსექსუალისტი არ არის, ეს საშინელი წამება იქნებოდა. მამაკაცთა უმრავლესობა ცოლს ჩეკს აძლევს და ურჩევს „მოდის კარნას“ დაემორჩილოს. როცა მოდაში იისფერი შემოდის, ჩეკით გამოკვებილი ცოლები იისფერს იცვამენ და როცა ქალბატონები, რომელთაც „თავი მოაქვთ“ რომელიმე წვეულებაზე უკლებლივ ყველანი იისფერ კაბებში გამოწყობილი მიმოდიან, ისეთი გრძნობა გუფლება, თითქოს მდედრობითი სქესის ეპისკოპოსების გენერალურ ასამბლეაზე აღმოჩნდი, იმ ეპისკოპოსებისა, რომელთა სხეულში ძლივს ფეთქაკს სიცოცხლე. მარი მათ რიცხვს არ ეკუთვნის. ჯერ კიდევ ჩემს სახლში ვცხოვ-რობდი, როცა მოდაში ტომარა-კაბები შემოვიდა და ყველა პატისტვინა დე-დაკაცი, რომელთაც ქმრებმა უბრძანეს „მდგომარეობის შესაბამისად“ შეიმო-ავთო, ჩვენს ეურფიქსებზე ტომარაში გახვეული დაძუნდულებდა. ზოგი მარ-თლა მეცოდებოდა, განსაკუთრებით ერთ-ერთი პრეზიდენტის (ჩვენს სახლში პრეზიდენტებს რა გამოლევდა) ძონძროსა ცოლი. სიამოვნებით მივუაბლოვდე-ბოდი იმ ქალს და ისე მოვახურავდი რამეს, — სუფრა, ან ფარადა, — რო-გორც გულმოწყალების მოსასხამს. მისი ბრიყვი და ხვადავი ქმარი ვერაფერს ამჩნევდა, ყრუ და ბრძა იყო. შეეძლო ცოლი ვარდისფერი ლამის პერანგით შემოსილი გაეგზავნა ბაზარში; თუკი რომელიმე პომოსექსუალისტი განაცხა-დებდა — ეს მოდაშია. მეორე დღეს კი ორმოცდაათ ევანგელისტ პასტორს ლექციის წაუკითხავდა თემაზე: „შეცნობის როლი ქორწინებაში“. მან ალბათ ისიც კი არ იცოდა, მის ცოლს რომ წვეტიანი მუხლები ჰქონდა და მოკლე კაბა არ უხდებოდა.

სარკისათვის რომ თვალი ამერიდებინა, ტანსაცმლის კარადის კარი სწრა-ფად გამოვალე. მარის არაფერი, არაფერი არ დაეტოვებინა კარადაში, არც ფეხსაცმლის კალაპოტი და არც ქამარი, რაც ქალებს ხშირად რჩებათ ხოლმე. ჯერ არ გამჭრალიყო მისი სუნამოს სუნი. შეეძლო მეტი ლმობიერება გამოე-ჩინა, ჩემი ტანსაცმელიც თან წაელო და ან ვილაცებისათვის ეჩუქებინა, ანდა დაეწვა, მაგრამ ჩემი ჩვრები კარადაში ისევ ისე ეკიდა: მწვანე ვალვეტის შარ-ვალი, რომელიც არასოდეს მცმია, ტვიდის შავი პიჯაკი და რამდენიმე ყელ-სახვევი, ქვევით კი ფეხსაცმელების თაროზე სამი წყვილი ფეხსაცმელი ელაგა. ალბათ პატარა უჯრაშიც ყველაფერი თავის ადგილას იღო — მანუსტების სა-კინძეები, საყელოების თეთრი კუთხედები, წინდები და ცხვირსახოცები. წი-ნასწარ უნდა მცოდნოდა, რომ კერძო საკუთრების მიმართ ქრისტიანები ულ-მობელნი და პატიოსნები არიან. უჯრების გამოლება საჭირო არ იყო: ყველა-ფერი, რაც მე მეჭუთვნოდა, ადგილზე იდებოდა, არ იდებოდა მხოლოდ ის, ჩაც მისი საკუთრება იყო. უდიდეს სულვრძელობას გამოიჩინდა, ჩემი ჩვრე-ბიც რომ თან წაელო, მაგრამ ტანსაცმლის კარადაში სამართლიანობა და მო-

შეკვდინებელი კორექტულობა ბატონობდა. როცა მარის კარაღილან გამოჰკონდა ყველაფერი, რაც მის არსებობას მომავალნებდა, ალბათ თანამიგრძნობდა, შეიძლება ტიროდა კიდევ იმ ქალებივით, ცოლ-ქმრის გაყრის /ამსახველ ფილმებში რომ ამბობენ: „შენთან გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება“.

ყველაზე ცუდი, რაც მარიმ დამიტოვა, ეს იყო სუფთა ^{უდიდესობაში გამოიყენება} კარადა (ვიღაცას მტვერიც კი გადაეწმინდა). მან ყველაფერი საშართლიანად გაყო, კარადაში ჩემი ტანსაცმელი ეყიდა, მისი კი არა. კარადა იმ საოპერაციოს ჰვავდა, სადაც ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს. მარისი აქ არსად არაფერი ჩანდა, კოფთაზე აწყვეტილი ლილიც კი. სარკეში რომ ჩემი თავი არ დამენახა, კარადის კარი ღია დატოვე, სამზარეულოში კოჭილობით გავედი, კონიაკის ბოთლი პიგავის ჭიბეში ჩავიდე, საერთო ოთახში ტახტზე წამოეწევიდა შარვლის ტოტი ავიყაპიწე. მუხლი კიდევ უფრო გამსიებოდა, მაგრამ წამოწოლილს ნაკლებად მტკიოდა. კოლოფში ოთხი სიგარეტილა იყო, ერთს მოვუკიდე.

ვთიქრობდი, რა იქნებოდა უარესი — მარის რომ კაბები დაეტოვებინა, თუ ის, რაც გააკეთა: პირწმინდად გამოაცარიელა კარადა, დაასუფთავა და ბარათიც კი არ დამიტოვა: „შენთან გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება“. ალბათ ასე ჭობდა, მაგრამ შეეძლო აწყვეტილი ლილი ან ქამარი მაინც დაეტოვებინა, ანდა მთელი კარადა წაელო თან და დაეწვა.

როცა ჰენრიეთეს დალუპვის ცნობა მივიღეთ, სწორედ იმ დროს ჩვენს სახლში სუფრას შლიდნენ და ანამ ყვითელ სახელსახოცე რგოლში გაყრილი ჰენრიეთეს ნახმარი ხელსახოცი სერვანტზე დატოვა. ყველა მივაჩერდით ხელსახოცს, მას ცოტაოდენი მურაბა ეცხო და წვნიანისა თუ საწებლის პატარა ყავისფერი ლაქები აჩნდა. პირველად ეიგრძენი, რა საშინელებაა იმ ადამიანის კუთვნილი ნივთები, ვინც სამუდამოდ მიდის სახლიდან ან კვდება. დედაშ არც აცია, არც აცხელა, ჭამას შეუდგა, ამით უნდოდა ეთქვა: ცხოვრება გრძელდებაო, ან რამე ამდაგვარი, მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, რომ ეს ასე არ იყო, ცხოვრება კი არა, სიკვდილი გრძელდებოდა. დედას სუფრის უოზზი ხელიდან გავაგდებინე. ბალში გავვარდი, შემდეგ უკანვე შემოვიჰერი სახლში, სადაც საშინელი წივილ-კივილი და წყევლა-კრულვა იყო ამტყდარი. უედაჩემს ცხელმა წვნიანმა სახე დაუწვა. მე ჰენრიეთეს ოთახში ავვარდი, ფანგარა ფართოდ გავალე და ყველაფერი, რაც ხელში მომყვა, ბალში გადავყარე: პატარა კოლოფები, კაბები, თოჯინები, ქუდები, ფეხსაცმელები და ბერეტები. გამოვალე უჯრები, შიგ თეთრეული ეწყო, თეთრეულს შორის უცნაური პატარა ნივთები ელაგა, რაც მისთვის ალბათ ძვირფასი იყო — ხორბლის გამხმარი ავთავები, ქვები, ყვავილები, ქალალდის ნაგლეჭები და ვარდისფერი ბაფთით ჟერული წერილების მთელი დასტა. ხელის ერთი მოსმით ბალში გადავუძახე ზოგბურთის ფეხსაცმელებს, ჩოგნებს, სპორტულ ჭილდოებს, მოვვიანებით ლეომ მითხრა, „გიუს“ ჰვავდიო და ყველაფერი ეს ისე სწრაფად მომიმოქმედებია, რომ ხელის შეშლა ვერავინ გაბედა. უჯრებს ერთიანად ვაპირქვავებდი ბალში. შემდეგ გარაუში შევვარდი, ბენზინით სავსე მძიმე ბალონი გამოვიტანე, ჰენრიეთეს ნივთებს გადავასხი და ცეცხლი წავუკიდე. ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო მიმობნეული, ავარდნილ ალში ფეხით შევყარე. შემდეგ მოვხვატე

ნაკუწები, ნაფლეთები, გამხმარი ყვავილები, წერილების დასტა და ისიც ცეცხლს მივეცი. ბოლოს სასადილო ოთახში შევვარდი, სერვანტისან ჰენრიეთეს რგოლში გაყრილი ხელსახოცი ავიღე და ისიც ცეცხლში უდიდესად მოგვიანებით ლეომ მითხრა, მთელი ეს ამბავი ხუთ წუთზე მეტ წანას გადასახლა და სანამ ვინმე მიხვდებოდა, რა მოხდა, ცეცხლი უდიდესად უდიდესად და ყველაფერს ნთქავდა. ამ დროს საიდანლაც ამერიკელები უდიდესად მოჩნდა, მას ეგონა საიდუმლო მასალებს ვწვავდი, დიდი გერმანიის „ვერვოლფის“ მასალებს, მაგრამ როცა პალში გავიდა, თითქმის ყველაფერი დამწვარი დახვდა, გაშავებული მუგუზლები საზარლად ყარდა. ამერიკელმა ოფიცერმა მოინდომა ცეცხლისთვის გამოეტაცნა წერილების დასტა, მაგრამ ხელიდან გავაგდებინე და ბალონში დარჩენილი ბენზინი ცეცხლზე დავასხი. ცოტა ხნის შემდეგ სახანძრო რაზმიც მოვრიალდა თავის სასაცილო დიდი შლანგებით, პალში კი ერთმა მეხანძრებ ხმამალლა გასცა ყველაზე სასაცილო ბრძანება, როგორიც კი ოდესმე მსმენია: „წყალო იარ!“ ისინი უსირცხვილოდ ასხამდნენ შლანგებით წყალს ამ უბადრუკ კოცონს, ხოლო როცა ერთმა მეხანძრებ შეამჩნია, ცეცხლი ოდნავ ფანჯრის რაფასაც მოედო, შლანგი ფანჯრისაკენ მიმართა: ოთახში ყველაფერი ატივტივდა, პარკეტის იატაკი დაიბრიცა და ამის გამო დედაჩემმა წივილ-კივილი ატეხა. დაიწყო რეკვა ყველა დამზღვევ საზოგადოებაში, უნდოდა გაეგო, რა ერქვა ამას — ცეცხლისაგან დაზარალება, წყლისავან დაზარალება თუ დაზღვეული ქონების დაზიანება.

ერთი ყლუპი კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოვსვი, შემდეგ ბოთლი ისევ ჭიბეში ჩავიდე და მუხლი მოვისინჯე. წამოწოლილს ფეხი ნაკლებად მტკიოდა. დამშვიდება თუ მოვახერხე და გონება მოვიკრიბე, მუხლი სწრაფად დამიცხრება და ტკივილი მომეშვება. სხვა თუ არაფერი, ერთი რამ მაინც შემიძლია: საღმე ცარიელ ფორთოხლის ყუთს ვიშოვი, საღვურის წინ ჩამოჭდები, გიტარას დავუკრავ და ლაურეტანულ ლიტანიას ვიმღერებ. ქუდს ან კაბს, თითქოსდა შემთხვევით, გვერდით დავდებ საფეხურზე და თუ კინმეს აზრად მოუვა ქუდში ფულის ჩაგდება, მაშინ სხვებიც გათამამდებიან და მას მიბაძავენ. ფული თუნდაც იმიტომ მჭირდებოდა, რომ სიგარეტები გამოშელია. ყველაზე უკეთესი იქნება ქუდში ერთი ათპფენიგიანი და ორი ხუთ-პფენიგიანი ჩავაგდო. მეტს თუ არა, ამდენ ფულს მაინც მიშოვის ლეო. ჩემს თავს უკვე ვხედავდი სადგურის კიბეზე ჩამომჯდარს, ვხედავდი ფერუმარილით დაფარულ ჩემს თეთრ სახეს სადგურის ზავი ფასადის ფონზე, მაცვია ლურჯი ტრიკ, შავი ტვიდის პიჯაკი, მწვანე ველვეტის შარვალი და ქუჩის ხმაური რომ დავფარო, ხმამალლა ვიწყებ: „Rosa mystica – ora pro nobis, turris Davidica – era pro nobis, virgo fidelis – ora pro nobis...“ საღვურთან იმ საათებში ჩამოვჭდები, როცა რომიდან მატარებლები ჩამოდის და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ არ ჩამოვა ჩემი *coniux fidelis**** თავის კათოლიკე ქმართან ერთად. მათ ჭვარისწერის ალბათ უსიამო საზრუნვიც ახლდა. თან: მარი არც ქვრივი იყო, არც ქმართან გაყრილი და (რაც შემთხვევით ზუსტად ვიცი) არც ქალწული. ზომერვილდი ალ-

* ვარდო იღებალო — ილოცე ჩვენთვის, დავითის სიმაგრევ — ილოცე ჩვენთვის, ურთგულო ქალწულო — ილოცე ჩვენთვის (ლათ.) — მიმართვა ქალწულ მარიამისაცმი.

** მოღალატე მეუღლე (ლათ.).

ბათ თმას იგლეჭდა, პატარძალი საქორწილო ლეჩიქის გარეშე ამ საქმის მთელ ესთეტიკურ მხარეს იუფასურებსო, მაგრამ შეიძლება მათ საგანგებო ლიტურგიული მითითებებიც კი გააჩნიათ ზნედაცემული ქალიშვილებისა და ტლოუნების ყოფილი ხასებისათვის? ნეტავ რა იფიქრა იმ ეპისკოპოსმა, მათ რომ ჯვარი დასწერა? ეპისკოპოსზე დაბლა მდგომ საეკლესიო, პრეტესტიტი, რა თქმა უნდა, არ იყადრებდნენ. ერთხელ მარიმ ეპისკოპოსის წოდებულები შემათრია, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელმა იქ იმტყდარმა ფუსფუსმა — მიტრის დახურვამ და მოხდამ, თეთრი ბაფთის შემოხვევამ და შემოხსნამ, კვერთხის აქეთ-იქით გადატანამ და თეთრი ბაფთის წითლით შეცვლამ. მე ხომ ხელოვანის მგრძნობიარე სული მაქვს და განმეორების ესთეტიკური ფასი ვიცი.

ისევ დავიწყე ფიქრი ჩემს პანტომიმაზე „გასაღებები“. შემეძლო პლასტელინი მეშოვნა, გასაღებების ანაბეჭდები იმეღო, ამ ყალიბებში წყალი ჩამესხა და მაცივარში რამდენიმე გასაღები „გამომეცხო“. ალბათ პორტატული მაცივრის შოვნასაც შევძლებ და ყოველ საღამოს, სცენაზე გასვლის წინ იმდენ გასაღებს გამოვაცხობ, რამდენიც წარმოდგენის მსვლელობაში დადნება. შეიძლება ამ ჩანაფიქრიდან მართლაც გამოსულიყო რაღაც, მაგრამ ეს ვარაუდი იმავ წუთში უარვყავი, რადგან უაღრესად რთული მომეჩენა და გარდა ამისა, არ მინდოდა დამოკიდებული ვყოფილიყავი მეტისმეტად ბევრ რეკვიზიტები და ტექნიკურ ფათერაკებზე: ხომ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ისეთი სცენის მუშა, რომელიც ერთხელ ომში რომელიმე რაინისპირელმა მოატყუა, ხომ შეეძლო იმ მუშას მაცივრის კარი გაეღო და ჩემთვის წარმოდგენა ჩაეშალა? ბირველი აზრი უფრო მომწონდა. ჩამოვჭდები ბონის სადგურის კიბეზე ისეთი, როგორიც ვარ, ოღონდ სახეზე უმარილწასმული და ვიტარის აკომპანენტზე ლაურეტანულ ლიტანის ვიმღერებ. გვერდით დავიდებ ქუდს, იმ დროს რომ შეხურა, როცა ჩაპლინს ვგაძავდი. ახლა მხოლოდ მისატესებელი მონეტები მაკლდა: უკიდურეს შემთხვევაში ათპფენიგიანიც იქმარებდა, უმჯობესი იქნებოდა ათ და ხუთპფენიგიანი, ხოლო ყველაფერს აჯობებდა, ქუდში რომ სამი მონეტა ეყაროს — ათპფენიგიანი, ხუთპფენიგიანი და ორპფენიგიანი. მაშინ გამვლელებს ეცოდინებოდათ, რომ მე რელიგიური ფანატიკოსი კი ამ ვარ, ეინც არაფრად ავდებს მცირე მოწყალებას, არამედ ის კაცი, ვისთვისაც ყოველგვარი მოწყალება, შავი ფულიც კი სასურველია. შემდეგ დავუმატებ ვერცხლის ფულს, დაე გამვლელებმა დაინახონ, დიდ მოწყალებას კი არ ვუფრთხი ,ვიღებ კიდეც. ქუდში სიგარეტსაც ჩავდებ. ადამიანების უმრავლესობას საფულეს გახსნას სიგარეტის კოლოფის გახსნა ურჩევნია.

ერთ შვევნიერ დღეს კი ალბათ ან წესრიგის დამცველი გამომეცხადება და ქუჩაში სიმღერის ნებართვას მომთხოვს, ანდა ლეთისმემობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური კომიტეტის რომელიმე წევრი და ჩემს სიმღერას მკრეხელობად მიიჩნევს. იმ შემთხვევაში, თუ მოწმობას მომთხოვენ, გვერდით ყოველთვის მექნება ქვანახშირის ბრიკეტი წარწერით: „შნირი ვაგათბობთ“. ამ წარწერას ყველა ბავშვი იცნობს, მე კი წითელი ცარცით ხახს გავუსვამ შავი ასოებით დაწერილ „შნირს“. შეიძლება წინ ასო „ჰ“. მიცურურო. ეს იქნება არაპრაქტიკული, მაგრამ არაორაზროვანი სავიზიტო გარათი: ნება მომეცით გავეცნოთ — შნირი გახლავართ. მამაჩემს მართლა შეუძლია ერთ რამეში დამეხმაროს და ეს არაფერი არ დაუჭდება, ქუჩის მომ-

ღერლის ნებართვა მიშოვოს. ამისათვის საკმარისია ობერბურგომისტრის დაურეკოს, ანდა პირადად მოელაპარაკოს კლუბში სკატის თამაშის დროს.

მამა მოვალეა ამ საქმეში დამეხმაროს. მაშინ თავისუფლად ჩამოვაჭრები სადგურის კიბეზე და დავუცდი მატარებლის რომილან ჩამოსვლას. თუ მართ ეყოფა იმის ძალა, კიბეზე ჩაიაროს და არ გადამეხვიოს, თავის მოკვლის მეტი არაფერი დამრჩენია. ამაზე მერე, თვითმკვლელობაზე ფიქრს მხრისტეს მიზეზის გამო ვერ ვბედავ, შეიძლება სხვებს ეს ქედმაღლობად შორის მიზეზის, პირადად მე კი მინდა თავი მარისათვის შევინახო. ხომ შეიძლება ციუპფნერს გეეყაროს? მაშინ ჩვენ ბეჭევიცით იდეალურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, მარის შეეძლება სამუდამოდ დარჩეს ჩემი საყვარელი, რადგან კათოლიკური ეკლესიის კანონების თანახმად ველარასოდეს ველარ ვაეყრება ციუპფნერს. ამ შემთხვევაში ისლა დამჭირდება, ტელევიზიის ყურადღება მივიქციო, კვლავ მოვიწვევო სახელი და ჩვენს ერთად ცხოვრებაზე ეკლესია თვალს დახუჭივს. არავითარი სურვილი არა მაქვს მარისთან ეკლესიაში დავრწერო ჯვარი და ალარც მათ დასჭირდებათ მესროლონ თავიანთი გაცვეთილი ქვემეხი — ჰენრი მერვე.

თავს უკეთ ვგრძნობდი, მუხლი დამიცხრა, თითქმის აღარ მტკიოდა. მაწუხებდა მხოლოდ თავის ტკივილი და მელანქოლია, მაგრამ მათ ისე შევეჩვიე, როგორც სიკვდილზე ფიქრს. ნამდვილ ხელოვანს სიკვდილი ყოველთვის გვერდით უდგას და ისევე არ იშორებს მას, როგორც კარგი მღვდელი ლოცვანს. ზუსტად ვიცი, რა მოხდება ჩემი სიკვდილის შემდეგ, შნირების საოჯახო აკლდამას ვერ ავცდები. დედაჩემი ატირდება და იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ ერთადერთი ადამიანია, ვისაც ჩემი ესმოდა. ჩემი სიკვდილის შემდეგ ზველას მოუყვება, „როგორი იყო ჩვენი პანსი სინამდვილეში“. დღემდე ასე ფიქრობს და აღბათ დარწმუნებული იქნება უკუნითი უკუნისამდე, რომ მე „ვნებიანი“ და „ხარბი“ კაცი ვარ.

— დიან, — იტყვის იგი, — ჩვენი პანსი ნიჭიერი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ ვნებიანი და ხარბი, სამწუხაროდ, სრულიად უდისციპლინოც... თუმცა ნიჭიერი, უაღრესად ნიჭიერი.

ზომერვილდი იტყვის:

— დიდებული კაცი იყო ჩვენი კეთილი შნირი... სამწუხაროდ, ქლერიკალებისადმი ზიზღი სისხლში ჰქონდა გამჯდარი და მეტაფიზიკისადმი გულგრილობას იჩენდა.

ბლოთერტს სანახებელი ის ექნება, რომ დროზე ვერ მიაღებინა კანონი სიკვდილით დასჭის შესახებ და საჯაროდ არ დამსაჯეს სიკვდილით.

ფრედებოილისათვის ვიქნები ის „განუმეორებელი ტიპი“, რომელსაც არავითარი სოციოლოგიური თანამიმდევრობა არ გააჩნდა.

კინკელი გულწრფელად, ცხარე ცრემლით ატირდება. მას მართლა დაცემა თავზარი, მაგრამ. ვაი რომ მეტის მეტად გვიან.

მონიკა ზილვსი ისე აქვითინდება, თითქოს დამეჭვრივებინოს და ინანებს, იმ სალამოს მაშინვე ჩემთან რომ არ ვამოიქცა და ომლეტი არ ვამიკეთა.

მარი, უბრალოდ, არ დაიჯერებს, რომ მოვკვდი. იგი ციუპფნერს მიატოვებს, სასტუმროდან სასტუმროში ივლის და ყველგან მე მიკითხავს, მაგრამ ამაოდ.

მამაჩემი ბოლომდე დატკბება თავისი ტრაგიკული განცდით და დიდად ინახებს, იმ სალამოს რამდენიმე ქალალდის ფული რომ არ დადო მალულად საჟილის ზემო თაროზე.

კარლი და საბინე ისე თავშეუკავებლად იტირებენ, რომ სამართლებრივიარო პროცესის ყველა მონაწილეს არაესთეტიკურადაც კი მოეჩვენება. საბინე შალულად კარლის პალტოს ჯიბეში ჩიყოფს ხელს, რადგან თავის უცვერსახოცი ამჯერადაც შინ დარჩა.

ედგარი თავს მოვალედ ჩათვლის, ცრემლი არავის დაანახოს. მაგრამ დამარხვის მერე შეიძლება კიდევ ერთხელ გაიაროს ჩვენს პარკში ის ასმეტრიანი მანძილი, შემდეგ ისევ სასაფლაოზე დაბრუნდეს და პენრიეთეს მემორიალურ დაფასთან ვარდების დიდი თაგვული დადოს. ჩემს გარდა არც ერთმა სულიერმა არ იცის, ედგარს რომ პენრიეთე უყვარდა, არც ის იცის, იმ წერილების დასტაზე, ცეცხლში რომ დავწვი, ორი ასო, წერილების გამომგზავნის ინიციალები ეწერა ე. ვ. მე კიდევ ერთ საიდუმლოებას ჩავიტანდი საფლავში, ერთხელ შევესწარი, როგორ ჩავიდა დედა სარდაფში, საკუჭნაოში შეიპარა, ჩამოკიდებულ ლორს დიდი ნაჭერი ჩამოჭრა და იქვე, ფეხზე გაჩერებულმა, უდანაჩანგლოდ შეჭამა ხარბად. ჩემში ამან ზიზლის ნაცვლად განცვიფრება გამოიწვია და მე გულაჩუყებული უფრო ვიყავი, ვიღრე შეძრწუნებული. ჩვენ სარდაფში ჩასვლას გვიკრძალავდნენ, მაგრამ მე მინდოდა იქ, სადაც ჩემოდნები ელაგა, ჩოგბურთის ძველი ბურთები მომენახა. როცა ფეხის ხმა გავიგონე, სინათლე ჩავიქრე. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ აიღო თაროდან ვაშლის მურაბიანი ქილა, შემდეგ ისევ აღგილზე დადო და სწორედ იმ დროს შევატყვე იდაყვებზე, რაღაცას ჭრიდა, შემდეგ ლორის დახვეული ნაჟერი პირში ჩაიტენა. ეს ამბავი არავისთვის მომიყოლია და არც არავის მოვუყვები. ჩემი საიდუმლო შნირების აკლდამის მარმარილოს ფილის ქვეშ დაიმარხება. უცნაურია, მაგრამ მიყვარს იმ ჯიშის სულდგმულები, მე რომ ვეკუთვნი— მიყვარს ადამიანები.

როცა ჩემი ჯიშის სულდგმული კვდება, მწუხარება მიპყრობს. დედაჩემის საფლავზეც ვიტირებდი. მოხუცი დერკუმის დასაფლავების დროს კი თავი ვერ შევიქვე, ვაყრიდი და ვაყრიდი კუბოს შიშველ ფიცირებს ნიჩბით მიწას და გავიგონე, როგორ ჩურჩულებდა ვიღაც ჩემს უკან: „ასე არ იქცევიან“. მაგრამ მე მაინც მანამდე ვაყრიდი მიწას, სანამ მარიმ ნიჩაბი არ გამომტაცა ხელიდან. არაფრის დანახვა არ მინდოდა, აღარც მისი სახლის, აღარც მისი დუქნის, არაფრის, რაც მას მომავონებდა. მარი უფრო გონივრულად მოიქცა, დუქანი გაყიდა და ფული „ჩვენი შვილებისათვის“ გადაინახა.

როცა წინკარში გიტარის გამოსატანად გავედი, აღარ ვკოჭლობდი. გიტარა შალითიდან ამოვილე, საერთო ოთახში ორი სავარძელი ერთმანეთის პირის პირ დავდგი. სავარძლებში ჩავწევი და გიტარა ივაწყვე. გულს პირველივე ბერები ესალბუნა, ხოლო როცა სიმღერა დავიწყე, თავს თითქმის კარგად ვგრძნობდი: *mater amabilis – mater admirabilis**; სიტუვებს օრა pro nobis გიტარის აკორდები შევუწყვე და მომეწონა, მშვენიერად გამომდიოდა. აი, ასე, ახლა როგორიც ვარ, ისეთი დაველოდები რომიდან ჩამოსულ მატარებელს —

* ლირსო დედო — სოციარო დედო (ლათ.).

გატარით ხელში და გვერდზე დადებული ქულათ. *mater boni consilii.** როცა ედგარ ვინეკენისაგან ფულიანი დავბრუნდი, მარიმ ხომ მითხრა: „აღა-რასოდეს, აღარასოდეს არ დავშორდებით ერთმანეთს, სანამ სიკვდილი არ გაგ-ვყრის“. მე ჯერ კიდევ არ ვიყავი მკვდარი. ფრაუ ვინეკენი ყოველთვის ამზოგ-და: „ვინც მლერის, ის ჯერ კიდევ ცოცხალია“, და „ვისაც საჭმელო ეგიმაზე/ ლება, ჯერ კიდევ არ დაღუპულია“. მე კი კიდეც გმლეროდი და კიფეც/ წერილი ვერ წარმომედგინა, რომ მარი მუდმივად სადმე კაცხლურეჭვა/ ჩვენ მუდამ ერთად დავხეტიალობდით ქალაქიდან ქალაქში, სასტუმროდან სასტუმროში და თუ სადმე რამდენიმე დღე შევყოვნდებოდით, მეუბნებოდა:

— ლია ჩემოდნები ხახადაფჩენილნი მომჩერებიან და ამოყორვას მოხო-ვინ.

და ჩვენც მაშინვე ამოყორავდით ხახადაფჩენილ ჩემოდნებს, ხოლო, როცა მე რამდენიმე კვირით მიხდებოდა საღმე დარჩენა, მარი ისე დაბორია-ლებდა ქუჩებში, როგორც გამონათხარ ქალაქებში. კინოები, ეკლესიები, ბულ-ვარული გაზეთები, რიჩ-რაჩი... ნუთუ მარის მართლა სურს მონაწილეობა მი-იღოს დიდ საზეიმო ცერემონიალში, როცა ციუპფნერს მაღტის რაინდთა ორ-დენის წევრად აქურთხებენ, ნუთუ მართლა მოპვერის სიამოვნებას უნცლერე-ბისა და კონცერნების პრეზიდენტების გვერდით ჯდომა, ხოლო შემდეგ სახ-ლში ორდენის წევრის ანაფორაზე ცხელი უთოთი ცვილის ლაქების ამოყვანა. მართილია, ეს გემოვნების საკითხია, მარი, მავრამ შენ რომ ასეთი გემოვნები არ გაქვს. უკეთესია მიენდო ურწმუნო კლოუნს, რომელიც ადრე გაგალვიძებს, რათა ეკლესიაში არ დაგაგვიანდეს და თუ საჭირო იქნება, ეკლესიაში ვა-სამგზავრებლად ტაქსისაც დაგიქირავებს. არც ჩემი ლურჯი ტრიკოს გარეცხვა არ დაგვირდება არასოდეს.

24

ტელეფონმა დარეკა და რამდენიმე წამს გონს ვერ მოვედი. მთელი უუ-რადლება იქითენ მქონდა მიპყრობილი, ბინის ზარის დარეკვა არ გამომრჩე-ნოდა და ლეოსათვის დროზე გამეღო კარი. გიტარა გვერდზე გადავდე, მოწ-კრიალე ტელეფონს დაუაჩერდი, შემდეგ ყურმილი ავილე და ვთქვი:

— ალო.

— ჰანს, შენა ზარ? — მკითხა ლეომ.

— მე ვარ, რა კარგია რომ მოხვალ.

ლეო გაჩუმდა და ჩახველა. თავიდან მისი ხმა ვერ ვიცანი.

— შენთვის ფული მაქვს გადმოსაცემი, — მითხრა მან.

სიტყვა ფული უცნაურად ელერდა. საერთოდ ლეოს უცნაური წარმოდგენა ჰქონდა ფულზე. პირადად მას თითქმის არავითარი მოთხოვნილება არ ჰქონ-და — თამბაქოს არ ეწეოდა, ლვინოს არ სვამდა, სალამოს გაზეთებს არ კით-ხულობდა და კინოში მხოლოდ მაშინ დადიოდა, როცა სურათი სულ ცოტა ხუთმა ისეთმა კაცმა მაინც ნახა, ვისაც სავსებით ენდობოდა და ამ სურათის ნახვას ურჩევდნენ. ასეთი რამ ორ-სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. ტრამ-ვაით მგზავრობას ფეხით სიარული ერჩია და როცა მან სიტყვა ფული წარ-

* დედა — კეთილ მრჩეველო (ლით.).

მოთქვა, ისევ ცუდ ხასიათზე დავდექი. რომ ეთქვა, ცოტაოდენი ფული მაქვსო, მეცოდინებოდა, ეს იქნებოდა ორი ან სამი მარკა. როგორც იქნა, შიშს ვძლიერ და ხმაჩახლეჩილმა ვკითხე:

— რამდენი?

— ო, — მიპასუხა მან, — ექვსი მარკა და სამოცდაფთი, მფლენიერი.



მისთვის ეს დიდი თანხა იყო. ჩემის აზრით, იმისთვის საჭიროა პირადი მოთხოვნილებები ეწოდება, ლეოს ეს თანხა ორ წელიწადს ეყოფოდა: ზოგჯერ ბაქანზე გასასვლელ ბილეთს და ერთ პარკ პიტნის კანფერს იყიდის, ერთი პფენიგიც მათხოვრისათვის. ასანთი რა არის, ასანთიც კი არ სჭირდება. ხოლო თუ ერთ კოლოფს იმისთვის იყიდდა, რომ „უფროსებისათვის“ ცეცხლი მოეკიდებინა, ის ერთი კოლოფი მთელ წელიწადს ეყოფოდა და რამდენიც არ უნდა ეტარებინა ჭიბით, მაინც ახალივით იქნებოდა. მართალია, დროდადრო სადალაქოში შესვლა სჭირდებოდა, მაგრამ თმის გასაკრეპ ფულს იგი ალბათ შამაჩვენის მიერ სწავლისათვის დაწესებული „მიმდინარე ანგარიშიდან“ იღებდა. ადრე ხანდახან კონცერტის ბილეთის შესაძენად ხარჯავდა ფულს, თუმცა მეტწილად დედაჩემი ხელში კონტრამარკებს აჩეჩებდა. მდიდრები ხომ ლარიპებზე ბევრად მეტ საჩუქრებს ლებულობენ ყოველთვის და ყიდვითაც უფრო იაფად ყიდულობენ ყველაფერს. დედაჩემს ბითუმად მოვაჭრეთა მთელი სია ჰქონდა შედგენილი. ჩემი ვარაუდით, იგი საფოსტო მარკებსაც კი უფრო იაფად ყიდულობდა. ექვსი მარკა და სამოცდაათი პფენიგი ლეოსათვის დიდი თანხა იყო, თუმცა ამჭერად ჩემთვისაც. მაგრამ ლეომ, ეტყობა, ჭერ არ იცოდი, რომ მე, როგორც ამას ჩვენს სახლში ამბობდნენ „ამჟამად არსებობის ჩველა წყარო მომსპარი მქონდა“.

— კარგი, ლეო, — ვუთხარი მე, — დიდი მაღლობელი ვარ, როცა აქეთ წამოხვალ, ერთი კოლოფი სიგარეტი წამომილე.

ლეოს პასუხი არ გაუცია, მე კვლავ გავიგონე მისი ჩახველება და ვკითხე:

— გესმის ჩემი თუ არა?

იქნებ ის ეწყინა, რომ იმ ფულიდან მაშინვე სიგარეტის ყიდვა ვთხოვე.

— მესმის, მესმის, — მითხრა მან ენის ბორძისით, — მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მოსვლა არ შემიძლია.

— რაა? — ვიყვირე მე, — არ შეგიძლია?

— ახლა ცრრას თხუთმეტი წუთი აკლია, მე კი ცხრაზე სასწავლებელში უნდა ვიყო.

— გვიან რომ დაბრუნდე, რას გიზამენ, ეკლესიიდან მოგვეთენ? — ვკითხე მე.

— კარგი ერთი, — მითხრა ნაწყენმა.

— განა არ შეიძლება მცირე ხნით დაეთხოვო, ან რაიმე ასეთი მოხერხო?

— ამ დროს არა, ეს დღისით უნდა გამეკეთებინა.

— ვთქვათ და დააგვიანე?

— მკაცრ გაფრთხილების მივიღებ, — მითხრა ჩუმად.

— თუ ლათინური ჭერ კიდევ მახსოვს, ამას რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ბალთან.

ლეომ ჩაიცინა.

— უფრო სწორად ბალის მაკრატელთან, — მითხრა მან. — საკმაოდ უსია-
მო რამეა.

— კარგი, — ვუთხარი მე, — არ მინდა ჩემს გამო უსიამო დაკითხება მო-
გიშუონ, ლეო, მაგრამ ჩემთვის აუცილებელია თუნდაც ერთი ცოცხალი ადა-
მიანი მყავდეს გვერდით.

— რთული საქმეა, — მითხრა მან, — უნდა გამიგო. მჟაჭული ჟაჭული თქმის
ლებას არ მოვერიდებოდი, მაგრამ ამ კვირაში რომ კიდევ ერთი მკაცრი გაფ-
რთხილება მივიღო, ამას ჩემს პირად საქმეში შეიტანენ და იძულებული ვიქ-
ნები სკრუტინიუმის წინაშე წარვსდგე ახსნა-განმარტებით.

— ვის წინაშე? — ვკითხე მე, — გაიმეორე, ჩემო კარგო, ეს სიტყვა
ნელა.

ლეომ ამოიოხრა, რალაც ჩაიბუზლუნა და ძალიან ნელა მითხრა:

— სკრუტინიუმი.

— დასწუევლოს ეშმაკმა, ლეო — ვუთხარი მე, — ეს ჭრიალა სიტყვა
ისე ულერს, თითქოს მწერებს ნაწილ-ნაწილ კუწავენ. ხოლო, როცა შენი „პი-
რადი საქმე“ ახსენე, ანას „მეცხრე პოლკი“ გამახსენდა. მათთანაც უველაფერი
ისე შეპქონდათ პირად საქმეში, თითქოს ნასამართლობის მქონე პირები ყო-
ვილიყვნენ.

— ღმერთო ჩემო, ჰანს, — მითხრა მან, — ნუთუ ეს რამდენიმე წუთი
ღზრდის სისტემაზე კამათს უნდა მოვახმაროთ?

— თუ არ გსიამოვნებს, კი ბატონო, ნუ ვიკამათებთ. მაგრამ ხომ არსე-
ბობს სხვა გზებიც, მხედველობაში მაქვს არასწორი გზები, მაგალითად, კე-
დელზე გადაძრომა და სხვა ამდაგვარი, როგორც ეს მეცხრე ქვეით პოლკი
ხდებოდა. ჩემის აზრით, უველა მკაცრ სისტემაში შეიძლება გასაძრომი ხვრე-
ლის აღმოჩენა.

— შეიძლება, ჩვენთანაც შეიძლება, — მითხრა მან, — ისევე, როგორც
სამხედრო სამსახურში, მაგრამ მე მეზიზლება ამგვარი გზები, სწორი გზით მინ-
და ვიარო.

— ნუთუ არ შეგიძლია ჩემი გულისათვის ზიზლი დაძლიო და ერთხელ
მაინც გადმოძერე კედელზე.

მან ამოიოხრა და მე წარმოვიდგინე, როგორ გააქნია თავი.

— ნუთუ ხვალამდე დაცდა არ შეგიძლია? ხვალ ლექციას გავაცდენ და
ცხრა საათზე შენთან ვიქნები. ახლავე ხომ არ მიემგზავრები ბონიღან?

— არა, — ვუპასუხე მე, — ბონში კარგა ხანს დავრჩები. ჰაინრიხ ბელე-
ნის მისამართი მაინც მომეცი, დავურეკავ, იქნებ ჩამოვიდეს კიოლნიდან ან
იქიდან, სადაც ახლა იმყოფება. საქმე ისაა, რომ მუხლი ვიტკინე, ჭიბუკარი-
ელი ვარ, არავისთან ალარ მაქვს დადებული კონტრაქტი და ალარც მარი მყავს.
რა თქმა უნდა, ხვალამდე არც მუხლი მომირჩება, არც ფული გამიჩნდება,
არც კონტრაქტს დამიდებს ვინმე და არც მარი დამიბრუნდება. მაგრამ იქნებ
ამ ხნის განმავლობაში ჰაინრიხი მღვდლად უჰურთხა და მოტოროლერი ან რა-
მე ამდაგვარი შეიძინა. მისმენ?

— დიახ, — მითხრა მან უხალისოდ.

— ვთხოვ, მომცე მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

ლეო დუმდა და მის ოხვრას ბოლო არ უჩანდა. შეიძლება კაცს ეფიქრა,

ასი წელი სააღსარებოში იჯდა და ახლა ოხრავდა იმ ცოდვებისა და სისულე-ლეგების გამო, რაც კაცობრიობაში ჩაიღინა.

— კარგი, გეტუვი, — მითხრა მან ბოლოს და შევატყვე, რომ თავს ძალას ატანდა. — ეტყობა, შენ ერთი რამ არ იცი.

— რა არ ვიცი, — ვიუვირე მე, — ღმერთო ჩემო, გარკვევით მეთხარი, ლეო!

— ჰაინრიჭი სასულიერო პირი აღარ არის, — მითხრა მან ჩუმად.

— მე კი მეგონა სასულიერო პირად მანამდე რჩებიან, სანამ პირში სული უდგათ.

— ეს ასეცაა, — მითხრა მან, — მე იმის თქმა მინდა, რომ ჰაინრიჭმა სასულიერო სამსახურს თავი დაანება და აგერ უკვე რამდენიმე თვეა უკვალოდ გაქრა. — ლეომ ეს სიტყვები ძლივს ამოლერლა.

— ეგ არაფერი, — ვუთხარი მე, — ჰაინრიჭი ისევ გამოჩნდება, უკრად ერთმა აზრმა გამიელვა თავში და ვკითხე:

— მარტო გაიქცა?

— არა, ვიღაც ქალიშვილთან ერთად, — მიპასუხა ლეომ მკაცრად და ეს სიტყვები ისე უდერდა, თითქოს მეუბნებოდა: „ჰაინრიჭს შავი ჭირი შეეყარა“.

ქალიშვილი შემეცოდა. იგი, რა თქმა უნდა, კათოლიკეა და ალბათ ძალიან უჭირს გაკრეჭილ, ქოხში თავშეფარებულ მღვდელთან ცხოვრება და „ხორცი-ელ უინთან“ დაკავშირებული დეტალების ატანა — აქა-იქ მიმოყრილი თეთრეული, ქვედა საცვლები, საბეჭურები, სიგარეტის ნამწვავებით სავსე ლამბაქი, კინოს კონტროლმოხვეული ბილეთები და შეგნება იმისა, თუ რა მალე იღევა ფული. ხოლო როცა ქალიშვილი პურის, სიგარეტის ან ლვინის საყიდლად კიბეზე ჩადის და ბუზლუნი დიასახლისი ფართოდ აღებს თავისი ოთახის კირს, მას ისიც კი არ შეუძლია შესძახოს დიასახლისს ღია კარში: „ჩემი ქმარი ხელოვანია, დიახ, ხელოვანი!“ ორივე შემეცოდა, მაგრამ ქალიშვილი უფრო მეტად. როცა ჰაინრიჭისთანა კაპელანი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, არა მარტო უბადრუკი ხდება, არამედ თავ-გზაც ერევა და ასეთების მიმართ საეკლესიო ხელისუფალნიც მეტ სიმკაცრეს იჩენენ. ამგვარი რამ რომ ზომერვილდს დაემართოს, ალბათ თვალს დახუჭავენ, მაგრამ ზომერვილდს არც ეყოლება უკრთხელყანქებიანი ეკონომი ქალი. მისი ეკონომი ქალი, რომელსაც მაღლენს ეძახის ლამაზი ფერხორცით სავსე, კარგად მოვლილი მხიარული დედაკაცია და ამასთანავე შესანიშნავი მზარეულიც.

— რას იზამ, — ვუთხარი ლეოს, — ამგვარად, დროებით იგი ჩემთვის გამოუსადევარია.

— ღმერთო ჩემო, — მითხრა ლეომ, — რა გულცივად მიიღე ეს ამბავი.

— მე არც ჰაინრიჭის ეპარქიის ეპისკოპოსი ვარ და არც ამ საქმით სერიოზულად დაინტერესებული პირი, — ვუპასუხე მე, — მაწუხებს მხოლოდ დეტალები. ედგარის მისამართი ან ტელეფონის ნომერი თუ იცი მაინც?

— ვინეკენზე მეკითხები?

— დიახ, — ვუპასუხე მე, — ხომ გახსოვს ედგარი? კიოლნში ჩვენთან შეხკედრიხართ ერთმანეთს, ხოლო ბავშვობაში ყოველთვის ვინეკენებთან ვთამაშობდით და კარტოფილის სალათს ვჭამდით.

— როგორ არა, მახსოვს, — მიპასუხა მან, — კარგად მახსოვს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ვინეკენი არ უნდა იყოს გერმანიაში. ვიღაცამ მიამბო,

რომელიაც კომისიას სამეცნიერო მიელინებაში გაჰყვა ინდოეთში თუ ტალანდში, ზუსტად არ ვიცი.

— დარწმუნებული ხარ? — ვკითხე მე.

— თითქმის, — მიპასუხა მან, — ჰო, ვამახსენდა, ჰერიბერთმა მითხოდ.

— ვინ, ვინ გითხრა? — ვიყვირე მე.

ლეომ ისე ჩაიწყვიტა ხმა, რომ მისი ოხვრაც კი არ მეტყველებული მოვხვდი, რატომ არ უნდოდა ჩემთან მოსვლა.

— ვინ გითხრა? — ვკითხე კიდევ ერთხელ, მაგრამ ლეოს პასუხი არ გაუცია. საალსარებო ჩახველება უკვე ჩვევად ქცეოდა. ასეთი ჩახველება ხშირად გამიგონია, როცა ეკლესიაში მარის ველოდებოდი.

— უკეთესი იქნება, — ვუთხარი ჩუმად, — ხვალაც რომ არ მოხვიდე, არ ლირს ლექციის გაცდენა. ბარემ ისიც თქვი, რომ მარი ნახე. — ეტყობა, ამ ხნის განმავლობაში ოხვრისა და ჩახველების მეტი არაფერი ასწავლეს. დადუმებულმა კიდევ ერთხელ იმოიოხრა ლრმად, ხანგრძლივად და საწყალობლად.

— პასუხისათვის თავს ნუ შეიწუხებ, — ვუთხარი მე, — მხოლოდ მომიკითხე ის სასიამოვნო კაცი, დღეს რომ ორჯერ ველაპარაკე ტელეფონით.

— შთრიუდერი? — მკითხა მან ჩუმად.

— არ ვიცი, რა გვარია, მაგრამ მისი ხმა სასიამოვნოდ უღერს ტელეფონში.

— სათვალავში არავინ აგდებს, — მითხრა მან, — მას... მას ხომ სამაღლოდ აჭმევენ პურს, — ლეომ რალაც სიცილის მაგვარი დასტყუა საკუთარ თავს. — ზოგჯერ ტელეფონთან მიიპარება და სისულელებს რომავს.

ფეხზე წამოვდექი და ოდნავ გადაწეული ფარდიდან მოედანზე დაკიდებულ საათს შევხედე. ცხრას სამი წუთი აკლდა.

— ახლა ჭობია მოვრჩეთ, — ვუთხარი მე, — თორემ პირად საქმეში რა-ძეს ჩაგიწერენ. ნუ გააცდენ ხვალ ლექციას.

— გამიგე, როგორმე გამიგე, — შემევედრა ივი.

— დაწუევლოს ეშმაკმა, — ვუთხარი მე, — მესმის, მესმის შენი, თანაც ძალიან კარგად.

— ბოლოს და ბოლოს რა კაცი ხარ შენ? — მიყვირა მან.

— კლოუნი ვარ და წამებს ვაგროვებ. კარგად იყავი, — ვუპასუხე მე და ყურძილი დავდე.

დამავიწყდა მეკითხა, როგორ მოეწონა ჭარში სამსახური, მაცრამ იმედი მქონდა, ამის საშუალება როდისმე კიდევ მომეცემოდა. დარწმუნებული ვარ, საჭმელ-სასმელს ქებით მოიხსენიებდა — სახლში ასე კარგად არასოდეს არ კვებავდნენ. ყოველგვარ გაჭირვებას „ილმზრდელობითი თვალსაზრისით უალრესად სასარგებლო გამოცდილებად“ ჩათვლიდა, ხოლო ხალხიდან გამოსულ ადამიანებთან ურთიერთობას „ფრიად ჭკუისსასწავლებლად“. თუმცა, შეიძლება არაფერიც არ ვკითხო. კონვიქტის საწოლში იგი ლამეს თეთრად გაათენებს, სინდისის ქენჭნით შეწუხებული თავს გაიწვალებს შეკითხვით, სწორად მოიქცა თუ არა, ჩემთან რომ არ მოვიდა. მე კი მისთვის იმდენი რამ მქონდა სათქმელი: ლეოსათვის უკეთესი იქნებოდა თეოლოგია სამხრეთ ამერიკაში,

მოსკოვში ან მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში ესწავლა, ვიდრე ბონში. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეიგნოს, რომ ბონში არ არსებობს ის, რასუც იგი ჭეშ-მარიტ რწმენას ეძახის. აქ ზომერვილდა და ბლოთერტს-შორის გაჩირულია რჯულშეცვლილი შნირი, იგი პასტერიც კი გახდა და ლამის საიმისოდაც ვარგოდა, ბირჟის კურსი განემტკიცებინა. საჭირო იყო ამ საჭიროების ჭურვებს მოვლაპარაკებოდი და უთუოდ ჩეენს სახლში, დედაჩემის უურფიქსზე. ოჯახის მოღალატე ორივე შვილი სამზარეულოში დავსხდებოდით ანასთან, ყავას დავლევდით, ძველ ამბებს მოვიგონებდით, იმ დიად დროს, როცა პარქში ტან-კსაწინააღმდეგო ხელუუმბარების ტყორცნაში ვვარჯიშობდით, ერთ დღეს კი ჩეენს ჭიშკართან ვერმახტის მანქანები გაჩერდნენ და სახლში სამხედროები ჩავიყენეს მდგმურებად. მანქანებიდან გაღმოვიდნენ თფიცერი — მვონი მაიორი იყო, ფელდფებელი და ჭარისკაცები, ხოლო ერთი მანქანით მოიტანეს დროშა. არც თფიცერს და არც ჭარისკაცებს არაფერი არ აინტერესებდათ, გარდა ერბოკვერცხისა, კონიაკისა, მასხრობისა და სამზარეულოში მოახლეობთან დღაბუცისა. ხანდახან კი თფიციალურნი ხდებოდნენ, უფრო სწორად იბლინძებოდნენ, ჩვენი სახლის წინ ჩამწერივდებოდნენ, თფიცერი გაიჯგიმებოდა, ხელს კიტელის ქვეშ იმ იაფთასიანი მოხეტიალე მსახიობივით ამოიდებდა, პოლკოვნიკის როლს რომ თამაშობს და რაღაცას გაჰყვიროდა „საბოლოო გამარჯვებაზე“. მთელი ეს სანახაობა ყალბი, სასაცილო და უაზრო იყო. ერთხელ, როცა გამოაშკარავდა, რომ ფრაუ ვინეკენმა, ორ სხვა ქალთან ერთად მალულად გაიარა ტყე-ტყე გერმანელებისა და ამერიკელების ფრონტის ხაზი მხოლოდ იმისათვის, ფრონტის ხაზს იქით მცხოვრები ძმისათვის — პურის საცხობის პატრონი რომ იყო — პური გამოერთმია, მათი ვაბლენძილობა სიცოცხლისათვის სახიფათო გახდა. თფიცერს უნდოდა ფრაუ ვინეკენი და ის ორი ქალი შპიონაჟისა და საბოტაჟისათვის დაენკვრიტა (დაკითხვაზე ფრაუ ვინეკენმა აღიარა, რომ ფრონტის ხაზს იქით ერთ ამერიკელ ჭარისკაცს ელაპარაკა). მაგრამ მამაჩემმა — თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს უკვე მეორედ ცხოვრებაში — ვაჟკაცობა გამოიჩინა, ქალები იმპროვიზირებული ციხიდან, პატარა საუთოვებელი ოთახიდან, გამოიყვანა და ქვემოთ, მდინარის პირას, ნავების ფარდულში დამალა. მაშინ მან გამოიჩინა ნამდვილი სიმამაცე, უყვირა თფიცერს, თფიცერმაც უყვირა და უველაზე სასაცილო ის იყო, რომ, აღშფოთებისაგან თფიცერს მკერდზე ორდენები უთამაშებდა, დედაჩემი კი ამ დროს „ტკბილი ხმით“ მამაჩემსაც ამშვიდებდა და თფიცერსაც:

— ბატონებო, ბატონებო, უველაფერს აქვს ზღვარი.

ამ ამბავში დედაჩემს უველაზე მეტად ის ეჩოთირებოდა, რომ ორი „ბატონი“ უყვიროდა ერთმანეთს.

— სანამ ამ ქალებზე ხელს აღმართავდეთ, მე უნდა დამხვრიტოთ... გთხოვთ... — განაცხადა მამაჩემმა, პიჭაკის ლილები მართლაც შეიხსნა და ოფიცერს მკერდი მიუშვირა. მაგრამ ამ დროს ჭარისკაცები იქაურობას გაეცალნენ. რადგან რაინის ვორაკებზე ამერიკელები გამოჩნდნენ და ქალებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ ნავების ფარდულიდან გამოსულიყვნენ. უველაზე არასასიამოვნო, რაც იმ თფიცერს, მვონი მაიორს ჰქონდა, მისი ორდენები იყო. შეიძლება უორდენებოდ როგორმე შეენარჩუნებინა ცოტაოდენი ლირსება. როცა დედაჩემის უურფიქსზე აქა-იქ დაყუდებულ ორდენებით მკერდდამშეენდულ, უბალრუკ ფილისტერებს ვხედავ, უოველთვის ის თფიცერი მაგონდება

და მაშინ ზომერვილდის ორდენიც კი, Pro Ecclesia* თუ რაღაც ამდაგვარი, ასატანი მეჩვენება. ზომერვილდი თავის ეკლესიისათვის მაინც აკეთებს/საშვილიშვილო საქმეს. ყველა თავისი „მსახიობი“ ხელში უჭირავს და იმდენი ვი-მოენება აქვს, რომ გულზე დაბნეული ორდენი ეჩოთიროს. ორდენს იკი მხოლოდ საეკლესიო პროცესიებისა და ტელევიზიით გამოსვლის ტრანსმისიუს აულზე. ჩემის აზრით, ტელევიზია მასაც ართმევს სინდისის იმპერატორის ტრანსმისიუს კიდევ რომ შერჩენია. თუ ჩვენი საუკუნე განსაკუთრებულ სახელწოდებას იმსახურებს, მას პროსტიტუციის საუკუნე უნდა ეწოდოს. ხალხი უკვე ეჩვევა მეძავთა ლექსიკის. ერთხელ ზომერვილდს ტელედისკუსის (შეიძლება თუ არა თანამედროვე ხელოვნება რელიგიური იყოს?) შემდეგ შევხვდი, მან მკითხა:

— როგორ მოგეწონეთ, ვვარგოდი?

ზუსტად ასე ეკითხებიან მეძავები თავიანთ კლიენტებს გასტუმრებისას, ისლა აკლდა ეთქვა:

— სხვებთანაც გამიწიეთ რეკომენდაცია.

მაშინ მე ვუთხარი:

— თქვენ მე საერთოდ არ მომწონხართ და, ცხადია, არც გუშინ მომეწონებოდით.

მართალია, ჩემი აზრი უალრესად ფრთხილად გამოვთქვი, მაგრამ ზომერვილდს მაინც გულზე მოხვდა. ის საზიზლარი იყო. თავის განათლება და ენამ-ჭევრობა რომ სრებრისთვის დაწინახვებინა, მან „მოკლა“, „ყელი გამოსჭრა“ ან რბილად რომ ვთქვათ „გათელა“ მოწინააღმდეგე ერთი უმწეო სოციალისტი, როცა მზადერულად ჰქითხა:

— მაშასადამე, აღრეული პიკასო თქვენ აბსტრაქციონისტად მიგაჩნიათ?

შემდეგ კი ათი მილიონი მაყურებლის წინაშე თმაგაჭალარავებული კაცი, რომელმაც რაღაც ჩაილულლუდა ვალდებულების შესახებ, ასეთი კითხვით მოსპო:

— აჲ, თქვენ, რა თქმა უნდა, სოციალისტურ ხელოვნებას გულისხმობთ... იქნებ სოციალისტურ რეალიზმსაც?

მეორე დილით ქუჩაში რომ შევხვდი და ვუთხარი, არ მომეწონეთ-მეთქი, კაცი გათავედა. მისი პატივმოყვარეობა დიდად შელახა იმ ამბავმა, ათ მილიონ მაყურებელში ერთს რომ არ მოეწონა. მაგრამ ჩემი არმოწონება ასკეცად აუნაზღაურა კათოლიკურ გაზეთებში ატეხილმა „ქების კორიანტელმა“. გაზეთები წერდნენ, გამარჯვება „სამართლიანი საქმისათვის“ მოიპოვათ.

დარჩენილი სამი სიგარეტიდან ერთს მოეუკიდე, ხელში გიტარა ავილე და სიმრებს თდნავ ჩამოვკარი. გამახსენდა, რამდენი რამ მინდოდა მეამჩნა ლეოსათვის, რამდენი რამ მქონდა საკითხავი. ყოველთვის, როცა მასთან სერიოზულად ვაპირებდი ლაპარაკს, ლეო გამოსაშვებ გამოცდებს აბარებდა, ანდა თავის სკრუტინიუმისა ეშინოდა. ვფიქრობდი აგრეთვე იმაზე, მართლა მემლერა ლაურეტანული ლიტანია თუ არა; რა საჭირო იყო; ვინმეს შეიძლება ჰგონებოდა, რომ კათოლიკე ვარ. შემდეგ ისინი „ერთ-ერთ ჩვენთაგანად“ გამომაცხადებდნენ და ამ ამბავს თავიანთი საქმის პროპაგანდისათვის გამოიყენებდნენ. ისინი ხომ ყოველთვის ყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ „იყენებენ“. ის, რომ მე კათოლიკე არ ვიყოვი და ლაურეტანული ლიტანია მომწონდა, ხალხში

* ეკლესიისათვის (ლათ.).

გაუგებრობასა და დაბნეულობას გამოიწვევდა. ისიც კი არ ეცოდინებოდათ, რომ მე იმ ებრაელ გოგონას თანავუგრძნობ, ვისაც ეს ლიტანია, მიუძღვნეს. კათოლიკები რაღაცას მიკიბ-მოკიბავდნენ, ჩემში რამდენიმე მირიონ კათოლიკნს აღმოაჩენდნენ, შემდეგ ტელეეკრანზე გამომაჟენებდნენ და თავიანთი აქციების კურსს კიდევ უფრო მაღლა ასწევდნენ. საჭირო კურსის გამონახვა, სამწუხაროდ, ყველა სიმღერას მაინც ლაურეტის დამტკიცება მერჩია. მაგრამ ამ სიმღერის წამოწყება ბონის სადგურის კიბეზე გაუგებრობას გამოიწვევს. მწყინდა. სიმღერას თითქმის დავეუფლე, ხოლო სიტუაცის Ora pro nobis გიტარაზე მოხდენილი აკომპანემენტი შევურჩიე.

ხალხის წინაშე გამოსასვლელად რომ მოვმზადებულიყავი, ფეხზე წამოვდექი. რა თქმა უნდა, როგორც კი ჩემი აგენტი ცონერერი გაიგებს, რომ გიტარის აკომპანემენტზე ქუჩაში სიმღერებს ვმღერი, მაშინვე „ზურგს შემაქცევას“. მაგრამ, ლიტანიები, Tantum ergo და სხვა საეკლესიო სიმღერები რომ ვიმღერო, — მათ დიდი სიამოვნებით ვმღეროდი წლების მანძილზე აბაზანაში — შეიძლება „თამაშში ჩაებას“, რადგან ეს კარგი ანკესი იქნება, დაახლოებით ისეთი, როგორიც მადონების ჯლაბნაა. სხვათა შორის, დარწმუნებული ვიყავი, რომ ცონერერს ეუყვარდი, — მიწის შვილები უფრო გულკეთილნი არიან, ვიდრე ზეცის შვილები — მაგრამ საკმარისი იყო ბონის სადგურის ჭიბეზე ჩამოვმჯდარიყავი, რომ „ბიზნესის“ თვალსაზრისით მისთვის უკავე გათავებული კაცი ვიქნებოდი.

სიარულის დროს შესამჩნევად აღარ ვკოჭლობდი. ამიტომ ფორთოხლის ყუთი აუცილებელი აღარ იყო. მარცხენა ილლიაში ტახტის ბალიშს ამოვიჩი, მარჯვენაში ვიტარას და ასე წავილ სამუშაოზე. კოლოფში ჭერ კიდევ ორი სიგარეტი იდო. ერთს მოვწევ, მეორეს კი თან წავილებ, შავ ქუდში ჩავავდებ და მისატყუებლად გამოვიყენებ. კარგი იქნება სიგარეტის გვერდით ერთი მონეტა მაინც დამევდო. შარვლის ჭიბეები მოვისინჯე, გაღმოვაბრუნე კიდეც; ჭიბეებში კინოთეატრის რამდენიმე ძველი ბილეთი, რიჩ-რაჩის პატარა ფიგურა და ქალალდის ჭუჭყიანი ცხვირსახოცი აღმოჩნდა, ფული კი არა. ამის შემდეგ სწრაფად ვამოვწიე საკიდრის ქვედა უჯრა. უჯრაში იღო ტანსაცმლის ჭაგრისი, ბონის საეკლესიო გაზეთის გამოწერის ქვითარი, ერთი ბოთლი ლუდის ტალონი, მაგრამ ფული არც ამ უჯრაში ჩანდა. სამზარეულოში ყველა უჯრა გადავაქოთე, შემდეგ საწოლ ოთახში გავვარდი, საყელოები, მანუეტების საკინძეები, წინდები და ცხვირსახოცები გადავქემე, ხელი მწვანე ველვეტის შარვლის ჭიბეებშიც ვაფათურე. ვერაფერი აღმოვაჩინე .ამის შემდეგ მუქი შარვალი გავიხადე, გამოცვლილ კანივით იატაკზე დავტოვე, იქვე დავაგდე თეთრი პერანგიც, მომოლისფრო-მოცისფრო ტრიკო ჩავიცვი, კარადის სარკიანი კარი გამოვალე და საჭუთარი თავი შევათვალიერე. დიდებულია, ასეთი კარგი არასოდეს ვყოფილვი. ფერუმარილი მეტისმეტად სქლად მქონდა სახეზე დადებული — იმ ხნის განმავლობაში, რაც უქმად იდო, ცხიმი გამოსცლოდა და ახლა სარკეში დავინახე, რომ გრიმი ალაგ-ალაგ დამსკდარიყო. სახე მიწიდან ამოთხრილ ქანდაკებას მიმიგავდა. მუქი თმა პარიკივით მედო თავზე. სიმღერის ტექსტი, ამ დროს რომ მომივიდა თავში, ჩემთვის ჩავილილინე. „საწყალ პაპსა ითანეს ქლპ-ს* არ ეყურება, არც მიუღერის ვირია, არც მისი

* ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (გერმ.).

ძრობა სჭირდება". დაწყება ამითაც შეიძლება, ლვისმგალობლობასთან მებრძოლი ცენტრალური კომიტეტი სიმღერის ტექსტში ვერ გამომედავება, ამგვარ სტროფს კიდევ პევრს შევთხზავ და ბალადასავით ვიმღერებ. სიამოცვეშით ვიტირებდი, მაგრამ ფერუმარილი ისე კარგად მქონდა წასმული სახეზე, ჩამოსარეცხად არ მემეტებოდა, მომწონდა ბზარებიც, აქერცლილი აჯაფრულებული, ცრემლი კი — ჟველაფერს გააფუჭებდა. ცრემლი შემდეგაც შემეტლუაშეს, თავისუფალ დროს, თუკი ტირილი ისევ მომინდებოდა. პროფესიონალური ჰაბიტუსი საუკეთესო საფარველია, მწუხრება სამყვლო-სასიცოცხლოდ მხოლოდ წმინდანებსა და დილეტანტებს გმირავს. საკუთარ თავს რომ უფრო ღრმად ჩავწერომოდი და ამავე დროს დავშორებოდი, სარკეს მოვცილდი. თუ მარი ამ გდვომარეობაში მიხილავს და შემდეგ მაინც შეძლებს ციუპფნერის მაღრის რაინდის ტანსაცმელზე ცვილის ლაქების უთოთი ამოყვანას, მაშინ ის ჩემთვის მკვდარი იქნება და ჩვენ გაყრილები ვიქნებით. მაშინ ისლა დამრჩება, მის საფლავზე ვიგლოვო. იმედია ყველა მათგანს, ვინც წინ ჩამივლის, ჯიბეში ხურდა ფული ექნება: ლეოს ერთ პფენიგზე ცოტა მეტი, ტაილანდიდან დაბრუნებულ ედგარ ვინეკენს შეიძლება ძველი ოქროს ფულიც კი აღმოაჩნდეს, ბაბუაჩემი კი, როცა ისკიადან დაბრუნდება, ჩეკს მაინც გამომიწერს. ამასობაში ჩეკის განალდება ვისწავლე. დედა ორ ან ხუთ პფენიგზე მეტს არ გაიმუშებს, მონიკა ზილვსი ალბათ დაიხრება და მაკოცებს, ხოლო ზომერვილდი, კინკელი და ფრედებოილი, აღშფოთებული ჩემი უგემოვნობით, სიგარეტსაც კი არ ჩამიგდებენ ჭუდში. იმ საათებში, როცა სამხრეთიდან მატარებელი არ ჩამოდის, საბინე ემონდსთან გავემგზავრები ველოსიპედით ჩემი წილი წვნიანის შესახვრეპად. შეიძლება ზომერვილდმა ციუპფნერს რომში დაურეკოს და ურჩიოს, მატარებლიდან გოდესბერგში ჩამოვიდეს. თუ ასე მოხდა, მაშინ მათი ვილისაკენ გავემგზავრები, ფერდობზე გაშენებული ბალის წინ ჩამოვჭდები და ჩემს სიმღერებს ვიმღერებ: მოვა მარი, შევხედავ და მივხვდები, შევდარია თუ ცოცხალი. ერთადერთი ადამიანი, ვინც მეცოდებოდა, მამაჩემი იყო. დიდებულად მოიქცა, როცა ქალები დახვრეტას გადაარჩინა, მაშინაც კარგად მოიქცა, როცა მხარზე ხელი დამადო. თუმცა სახეზე ფერუმარილი მედო, სარკეში აშკარად ჩანდა, მაინც წავაგავდი მამას, კი არ წავაგავდი, სათცრად ვგავდი და მივხვდი იმასაც, რატომ ვერ შეურიგდა ვერაფრით ლეოს გაფათოლიკებას. ლეო არ მეცოდებოდა, მას რწმენა ასულდგმულებდა.

ათის ნახევარიც არ იყო, ლიფტით რომ ქვევით ჩავედი. გამახსენდა ქრისტიანი ვაჟბატონი ქოსთერთი, რომელსაც ჩემი ერთი ბოთლი არაყი და პირველ და მეორე კლასს შორის სამგზავრო ბილეთის ფასის სხვაობა ემართა. ვაღაწყვეტილი მქონდა უმარკო წერილი გამეგზავნა მისთვის და სინდისზე შემეგდო. მას ჩემთვის ბარგის ქვითარიც უნდა გამოეგზავნა. გამეხარდა, ჩემი კარის მეზობელი, ლამაზი ფრაუ გრებსელი რომ არ შემხვდა, თორემ იძულებული ვიქნებოდი, მისთვის ყველაფერი ამეხსნა. იმ შემთხვევაში კი, სადგურის კიბეზე რომ დავენახე, არაფრის ახსნა არ დამვირდებოდა. მაკლდა მხოლოდ ჩემი სავიზიტო ბარათი — ქვანახშირის ბრიკეტი.

გარეთ გრილოდა, ნამდვილი მარტის სალამო იდგა. პიჭაკის საყელო ავიწიე, ქუდი დავიხურე და ხელის ფათურით ჯიბეში ჩემი უკანასკნელი სიგარეტი მოვსინჯე. დამავიწყდა კონიაკის ბოთლი, ფრიად დეკორატიულ შთაბეჭდილებას.

მოახდენდა, მაგრამ მოწყალების გამლებთ დააფრთხობდა, რადგან ძვირფასი მარკისა იყო, რაც საცობზეც კი ემჩნეოდა. მარცხენა იღლიაში ბალიშამოდებული, მარჯვენაში კი გიტარაამოჩრილი კვლავ სადგურისაკენ დავიძარი. მხოლოდ გზად მიმავალმა შევამჩნიე დროის დამახასიათებელი ნიშნები. აქ „ტაკიმასხრულს“ რომ უწოდებენ. ნასვამ ჭაბუქს, ფილელ კასტროს ტომი დამგვანებოდა, უნდოდა ჩხუბი აეტეხა ჩემთვის, მაგრამ გავერიდე ჟადებულს კიბეზე ესპანელ მატადორებად და სინიორიტებად გადაცმული ახალგაზრდები ტაქსის ელოდებოდნენ. სულ გადამავიწყდა, ქალაქში რომ კარნავალი ტარდებოდა. მეც სწორედ ეს მჭირდებოდა. მოყვარულთა ბრბოში ყველაზე საიმედოდ პროფესიონალი მსახიობია შენილბული. ბალიში ქვემოდან მესამე საფეხურზე დავდე. დავჭიქი, ქუდი მოვიხადე, შიგ სიგარეტი ჩავაგდე, არც მთლად შუაში და არც მთლად კუთხეში, არამედ ისე, ქუდში ჩაგდებულს რომ გვანებოდა და სიმღერა დავიწყე: „საწყალ პაპსა იოანეს“, ყურადღების არავინ მაქცევდა, მაგრამ ჯერჯერობით არც იყო საჭირო. გაივლიდა ორი-სამი საათი და ნელნელა ყურადღებასაც მომაქცევდნენ. როცა სადგურის დირექტორის ხმა გაისმა, სიმღერა შევწყვიტე. მან გამოაცხადა, პამბურვიდან მატარებელი ჩამოვიდაო .ისევ განვაგრძე დაკვრა და უეცრად შევკრთი — ქუდში პირველი მონეტა ჩავარდა. ათპფენიგანი მონეტა სიგარეტს მოხვდა და გვერდზე გასწია. სიგარეტი გავასწორე და სიმღერა განვაგრძე.





ა ხ გ ლ ი ს უ რ ი ფ ა ნ

თარგმანი თავადა ჩანავავა

მე როცა ვჟიშობ

მე როცა ვჟიშობ, რომ სიცოცხლე სულ ცოტას გასტანს
 და ვერ დავაშრობ ფიქრის ნაყადს ამ კალმის გაკვრით,
 როცა ჯერ კიდევ მაღალ აზრთა უმწიფეს თავთავს
 ვერ ჩამოვართვი სიბრძნისა და სიმშვიდის ხარჯი;
 როცა ჩავცერი ღამის ნაკვთებს, ბნელით ნამშიერებს
 და შორ ვარსკვლავებს, ამღერებულთ სივრცის დიდებით,
 ვფიქრობ, იქნება ვერც ველირსო მათ შორ აჩრდილებს,
 რომ დავადევნო მაგიური ხელი იმედის.
 და როდესაც ვგრძნობ, რომ არსება სულ ერთის წუთის,
 ველარასოდეს ვერ გიხილავ—წასვლას აპირებ,
 ველარასოდეს ვერ დავტექბები ცეცხლოვან სულით
 სულ უპასუხო სიყვარულის, მაშინ ნაპირზე
 ვრცელი სამყაროს სიმარტოვე მიპყრობს თანდათან
 ვიდრე დიდება და ტრფიალი ქრება თვალთაგან.

ფანი

გთხოვ შემიწყალო, სიყვარულო, შენს ნაპირს გავდევ,
 შეგთხოვ სიყვარულს, სულის სილრმეს, რაც არ იცვლება,
 ფიქრებს პირუთვნელს, ხელშეუხებ სხივების ნათელს
 და სიყვარულით აღტაცებულ თავდავიწყებას.
 იყავი ჩემი სულ მთლიანად, სულ, სულ, მთლიანად,
 ო, ეს სხეული, ეგ სიწმინდე, გრძნობათ მიხვედრა,
 ო, ეგ მკლავები, ეგ თვალები ღვთიურ სიზმართა,
 და თბილი მკერდი, გამჭვირვალე ტბად რომ ირჩევა.

შენი არსება, შეუცნობი ბედნიერება,
არ დაიტოვო თუნდ მცირედიც, ყველა ჩემია,
და თუ კი არა, სიყვარულო, სუნთქვა ნელდება,
გადამივიწყე, ბილიკები მარტოდ რჩებიან,
და ვივლი ქვეყნად, სულ უმიზნო ლანდად ქცეული არის არა მშვენიერებას. და სიცოცხლეს გადაჩვეული.



რად გამაცინა მე ახალამ

ვინ მეტყვის ქვეყნად, მე ამაღამ რად გამეცინა?
იქნება ლმერთი ან დემონი — ცოდვის ხუნდებით,
ნმა არსაიდან, არც ქვესკნელით, არცა ზეციდან,
ისევ ჩემს ურჩ გულს პასუხისმომვალის დავუბრუნდები.
ო, გულო ჩემო, ჩვენ აქა ვართ, სულ მარტოდ-მარტო,
ნუთუ ტკივილი და სამყარო გაუგებარი
თან უნდა მდევდნენ საუკუნოდ? — თქვი მაინც რატომ?
არსით პასუხი, დგას სიჩუმე გაუბედავი.
ჩვენშიც აღამის ძველი მოდგმა იღწვის და გოდებს
და წარმოსახვა ნეტარების საზღვრისკენ ილტვის,
მაგრამ ძალმიძს კი სწორედ ახლა, ამ ღამით მოვკვდე
და წარიშალონ ცრუ ფურცლები სიცოცხლის მითის?
ლექსი, დიდება, სილამაზე ჩვენ გვხიბლავს მართლაც,
მაგრამ სიკვდილი მეტი არის, — სიცოცხლეს ნათლავს!

ჩალგათონს, რომელიც რამდენიმე ჯუთით ვიცილე უორსოლზი.

შენელებული დრო მიცოცავს, ქრება უკვალოდ,
ჩემს ქვიშადაცლილ საათშიც კი წლები დაგროვდნენ,
შენი თითების ელვარება შახსოვს უნაკლო,
ძირს დაგდებული ხელთათმანიც შენს თავს მაგონებს.
მე ვეღარ ვამჩნევ შუალამის საოცარ ზეცას,
შენი თვალების ბრწყინვალება ჩემს ცას ამშვენებს,
მე ვეღარ ვამჩნევ სურნელებას და ვარდის ფერსაც,
რა შეგედრება სილამაზის ტაძრად ნაშენებს.
მე ვეღარ ვუცქერ ვადაფურჩქნულ კოკორს ცდუნების!
თითქოს და ალი შენი კოცნის ჩემში გუგუნებს
და სიყვარულის სიტკბოებას, ნეტარ წუთებით,
ისევ სიმწარის დავიწყებულ გემოს უბრუნებ.
ასე მიქარვებ ნეტარებას ამ გახსენებით —
ჩემს ლამაზ ფიქრებს ნალვლიანი აქვთ სახეები.

ଭୂରଜି ପ୍ରକଟତା ମାଲାଲ ଫେରି

ლურჯი — სუნთქვაა მაღალ ზეცის, განდილი მთვარის,
სასახლე მზისა, მოელვარე სხივების ქოლგით,
მიმწუსრის ბროლზე თეთრ ვარსკვლავებს უთვალავს აყრის
და იქრებს ღრუბელთ — შავთ, ნაცრისფერთ და მოოქროვილთ.
ლურჯი — სუნთქვაა ოკეანის და შენაკადთა,
მრავალთა ტბათა — ცად მაცჭერალთ — სულით ამდილრებს,
ბლვა აბორგდება, აჯანყდება და შესაფარად
აუცილებლივ უბრუნდება ლურჯ სინამდვილეს.
ლურჯი და არის მწვანე ტყეთა, მზიურ ალვების,
მრავალ ყვავილში მწვანე ფერთან შედუღებული,
აგერ კესანე, ან მაჩიტა, იდუმალების
დედა უფალი, ნაში ია, შეულლებული
თბილ გაზაფხულთან! რა ძალა გაქვს, არ მომწყინდები,
რა დიადი ხარ, თვალებში რო გამობრწყინდები!

୧୮ ଏଣ୍ଟର୍ ପାଠୀକାଳୀ

ეს დღეც გათავდა და ჩაქრო სიმწვანე ხეთა,
სიტყბო ჩურჩულის, სიტყბო ბაგის, ალი თვალების,
სითბო ხელების, სითბო სუნთქვის და ტანის რხევა,
სრულყოფა ხაზთა, წვა მკერდების — ნატრფიალების
გაქრა ყვავილი, მომხიბლავი, კოკრების მხრელი,
ჩემთა თვალთაგან გაქრა ხილვა სილამაზისა,
გაქრა შეგრძნება მშვენიერის, სდუმან ხელები,
გაქრა ეს სითბო და სამოთხე გაშლილ ვაზისა.
გაქრა ყოველი ნაადრევად, სიზმარი ქროლვის,
ეხლი მიმწუხრი შენზე ფიქრის და მაღალ ღამის
სურნელოვანი ფარდებისგან მოქსოვს ბნელ ქსოვილს,
ფარულ ცეცხლისთვის — სიყვარულის მოწყდება ლვ
ცნებათა უამნი ვიკითხე და ცოდვით ვიმძიმე,
ხელს ალარ მახლებს, ჩავჭვები და დიდხანს ვიძინებ.

፳፭፻፯ የኩጂጌጥበት ስራ, ባተማ አገልግሎት, ይህ ፕሮግራም የሚያስፈልግ

შენს გაკვეთილებს, შთაგონებავ, მე დღესაც ვიღებ
ნევისის წვერზე; ამ მთის მკერდი ნისლით სავსეა,
ჩავხედავ ქვესკნელს, ჯანლის საბნით დაფარულ სილრმეს,
ვერაფურს; ვხედავ, ჭოჭოხითივ ჩატბოვის ასეთ

მაღლითაც ნისლი შეუღწევი, გამკვრივებული.

იდუმალ ზეცის აბა მეტი რა გაგვეგება?

ჩვენშიც იგივე ბურუსია გამეფებული.

თვალშეუვალი — უცხო ძალას — ფერხთ რომ ეგება.

კლდოვანი ქვები, ირგვლივ ნისლი და ქონდრისკაცი

— აზრს მოკლებული, მარტოდმარტო მიყვება ნაპიტაკის რული

— აი სიცოცხლე, მთელი ცოდნაც, ცხოვრების წამოწერის მიზანის დამტკიცებულებები

ცივ ზედაპირზე მოყენებულ ნაცრისფერ ქაფით...

ნისლი, კლდეები ამ მწვერვალის — ჩვენი სულია,

მისი საწყისიც — ბუნდოვანი აღსასრულია.

მას, ვისაც უყვარს განთიადზე მზესთან შეხვედრა

სონეტი მიძღვნილი „რიმინის ამბავს“.

შას, ვისაც უყვარს განთიადზე მზესთან შეხვედრა,

თვალდახუჭული ვინც მზის სხივებს ეალერსება,

მას სიყვარულზე ეს პოემა, წარმტაც ლექსებად

რძიან მინდერებში მძინარ ტბებთან უნდა ემლერა.

პირველ ვარსკვლავით ვინც იცილებს მყინავ კაეშანს,

მრავალ მიწიერ აღტყინებას ასე უსულოს,

ლამეს, ვარსკვლავებს, აღტაცება მან უჩურჩულოს,

ანდა მთვარეს* — სანალიროდ ძირს თუ დაეშვა.

ვინც შთაგონების წუთებისთვის ამქვეყნაც ცოცხლობს,

რომ ყოველ ცრემლში და ლიმილში ნათელი ჩანდეს,

იგი იპოვის თავშესაფარს, სულისთვის გოდოლს, —

ლამაზ ხეივანს გაუყვება, სხივების ჩამტევს,

საღაც გირჩები ნაძვებიდან მოცვივა ოქროდ

და მეუოლია ხმელ ფოთლებში მიხტუნავს მჩატედ.

მლვრი ოხშივრით დაშიმებულ მინდერებს სიზმრებად

ადგებათ დილა საოცარი ნათელ ციმციმით

და ავადმყოფურ, ლაქებიან ზეცას ცვილივით

შე უცებ ადნობს, ჩამორეცხავს, და დღე იცვლება.

ღება მაისი უნორჩესი, მართლაც ზღაპრული,

მთრთოლავ თითებით გადაკარგულს ეძებს სიმდიდრეს

და წამწამებით ეგებება ლამის სივრილეს,

ვით წვიმის წვეთებს მშვენიერი ვარდი ზაფხულის.

გრძნეულ ხილვების სილამაზით მერე ვივსებით —

— ფოთლის კვირტობა — სიჩუმეში ხილის მწიფობა —

შემოდგომის მზე — გადმომყურე თივის ზეინებით —
საფოს ლიმილი, ბავშვის ძილი, სიზმარი დილით,
— ქვიშის სათში დღეთა ცვენა, წამთა კოლობა,
წყარო ბნელ ტყეში და პოეტის მარტოდ სიკვდილი.



რამდენიმე ბარდა აოქროვა დრო ბიწიერი გრინგორი გრინგორი

რამდენმა ბარდმა აოქროვა დრო ბიწიერი,
შხოლოდ სულ ცოტა ფიქრთა სიღრმის შეეხო მაღანს,
შვენიერება მათი ლექსის მაღელვებს მარად,
იქნება იგი ზეციური თუ მიწიერი.
ჩშირად კი, როცა შთაგონება მპირდება ლექსებს,
თავზე შეხვევა მათ სახეთა ბრწყინვალე კრება
და სიხარულის, ჰარმონიის წუთები დგება,
სიტყვების ლაშქრით მივუყვები ხეების მესერს;
კალობს ბულბული, თრთის საღამო ლოცვით შემკული,
ოქროს ფოთლები ჩურჩულებენ სიცოცხლის მიზანს,
ჩუხჩუხებს წყალი და ვარსკვლავებს ტალღებზე ისხამს;
აუგუნებს თაღი, ულურჯესი ზეცის ერთგული,
მერე სიშორე ხვევს ბურუსში ცხადია და სიზმარს,
რჩება მუსიკა, ვით სიჩუმე ამღერებული.

ძილს

დამათრობელი შუალამის ჩუმი სტუმარი
თვალებს გვიხუჭავს კეთილი და ნაზი თითებით,
ჩრდილთა სამეფო გვეფინება ყოვლის მკურნავი
და დავიწყების საგანძურში უცებ ვმდიდრდებით.
შენი მაღალი ტაძრის თაღქვეშ სიმშვიდეს ვეძებ,
რომ შემივედრო, შემიწებო დამძიმებული
ქუთუთოები ტკბილი სიზმრით, ვიდრე ლურჯ ველზე
ყაყაჩოს თესლით არ მიპოვე მიძინებული.
გადამირჩინე, განვლილი დღის ვნება მხუთავი
შემოსრიალდა, როგორც მინდვრის გველი უვითელი, —
გადამირჩინე აბორგებულ სინდისისაგან,
ოხუნელასავით ძირს რომ უთხრის დღეს ნატრფიალებს,
რომ შენ ზარდახშის ჩუმ საკეტში, სიზმრის ბინადრად,
ნაგვემი სულის გასაღები გადატრიალდეს.

ნილოსს

აფრიკის პირმშოვ, ვერცხლის მთების კალთებში იშვი,
პირამიდებს და ცივ ნიანგებს მფარველობ მუდამ,
ჩვენ უხვს გიწოდებთ, ნაყოფიერს, კერპივით მდუმარს,
შენ კი უდაბნო შემოგრტყმია — მხურვალე ქვიშის,

მზისგან გარუჩულ ერის ძიძას — აროდეს მღიმარს,
ნაყოფიერი ვინ უწოდა? იქნება იმათ —
გამოფიტულნი მტანგველ შრომით, ვინც ხელვენ სიზმართ
სამარადისოს, ღრმად ჩაფლულნი ნაპირთა მიღმა!
და წარმოდგენა კვლავ ცდებოდეს, რამეთუ ეძებს,
სიბრძნე უგნურის სახიფათო არს ფუფუნება; უკრიცემა
შენც ლამაზი ხარ, ცვარს შენც კიდებ ვარდებს და ჭურჭელს,
ვით სხვა მდინარემ, შენც შეიგრძენ ვარსკვლავთ ბუნება,
უმწვანეს კუნძულს შენც ეხვევი — გრძნობათა შემწეს,
შენც ზღვას უერთებ სიყმაწვილეს — რაც არ ბრუნდება.

ქალაქის ტუსალს

ქალაქის ტუსალს აკრძალული ბედნიერება —
ცა — გამჭვირვალე, ვით მუსიკა სივრცის, უწევები,
ახარებს ისევ ალტაცებულ ლოცვის წუთებით,
კვლავ ცოცხალია სილამაზე და სულს ერევა!
ცისფერ ბურუსში გახვეული ფართო ველები,
როგორც ფურცლები გადაშლილი ტრფიალის წიგნის
მას იზიდავენ; სართულები უცნობ სიწმინდის —
უხმობს ბულბული სიყვარულით, თავგამეტებით
და მიაცილებს ბილიკების ჩამქრალ ფერებით,
როცა სალამოს ცად აბრწყინებს ვერცხლის ლრუბელი,
დღე ენანება მარადიულ ცეცხლის კვეთებით
და მოჩქრიალე მდინარეთა ბროლის მუხლები...
ქრება ყოველი, ვით ღვთიური ცრემლი — ეთერით,
ძირს რომ ეშვება გამჭვირვალე, ხელშეუხები.

ლი ჰანტის ციხიდან გათავისუფლების გამო

თქვენ სახელმწიფო აღამალლეთ მწუხრით მოცული,
თავისუფლება კი აკრძალეთ ერთხმად და სწრაფად,
შეგწევთ კი ძალა ურდიულებით დიღება ჩაკლათ.
და მითითებით ატუსალოთ უკვდავი სული?
თქვენ, მსახურებო, ზარ-ზეიმზე ელით წყიოლობას,
კეთილი პანტი განა მართლა დააპატიმრეთ?
ის ცინის მიღმა დაფრინავდა, გასცდა ნაპირებს
როგორც ტოროლა მაღლა-მაღლა მიისწრაფოდა.
იგი სპენსერის შეპხაროდა ნათელ სასახლეს
და უცისფრესი ყვავილები კრთოდნენ ლანდებად,
დაფარულ აზრებს ჩასცეროდა ქვეყნად გასამხელს,
— გაღმოტრიალდა გასალები — ისიც დანებდა;
უამთა დინება თქვენ — ყაჩალებს რომ ჩაგაძალლებთ,
მისი დიღების ძალმოსილი წუთი დადგება!

თბილი ზაფხულის ცად ასული მიუვარს საღამო

თბილი ზაფხულის ცად ასული მიუვარს საღამო,
 როცა სინათლე, შებორკილი ოქროს ხუნდებით,
 შორით იღვრება; ზეფირზე კი ვერცხლის ლრუბლებით
 განისვენებენ; მაშინ მინდა თავი დავხარო,
 გზას გადავხედო, ცოდებისგან დამსკდარ ლოდებით,
 და დავივიწყო მიწა ზრუნვის, ბეღიც მცირედი,
 სურნელოვანი კუთხე ვნახო საღმე ისეთი —
 რომ ვიოცნებო, მოვიტყუო თავი დროებით
 და გამოვიხმო წარსულიდან რაინდი ვინმე,
 ვიგრძნო სიმართლე მილტონის და მამაცი სიღნის,
 დღევანდელ ბინდში კვლავ ვისმენდე მათ ნათელ სიტყვას,
 უკვდავ ლექსების დავიგულო ნაცნობი სილრმე,
 მერე მკურნავი ცრემლი დამცდეს, ვუსმინო სინდისს,
 და ასე ლამაზ, ჩუმი სევდით ვმლეროდე დიდხანს.



რა თქვა შაჟვება

ვისაც უგრძვნია უცბად ლამით ზამთრის შეხება,
 ვისი თვალებიც თოვლის ლრუბლებს ბურუსში არჩევს,
 თელის წვეროებს — ყინულოვან შორ ვარსკვლავებში, —
 ის გაზაფხულზე კვლავ მოიმკის მდიდარ მოსავალს.
 ვისაც უგრძვნია უკუნიდან გარდმოსულ ნათლით
 ალფროვანება, თავზე თრთოლვა ფარულ სხივების
 ჩუმ ღამეებით, როცა თებე დაკარგულია,
 ის გაზაფხულზე გაიღვიძებს სამოთხის დილით.
 ნუ ეძებ ცოდნას, მე ხომ იგი სულაც არა მაქვს,
 ჩემს სიმლერებში კი იღვიძებს ამდენი სითბო!
 ნუ ეძებ ცოდნას, მე ხომ იგი სულაც არა მაქვს,
 ჩემს სიმლერებში იბადება ჩუმი საღამო;
 შენ თუკი დარდობ, რომ დრო მიპქრის, უქნარა არ ხარ,
 ის არის ფხიზლად, ვისაც თავი ძილში ჰგონია.

ობრი ჯორჯ სპენსიონს

მისი შესანიშნავი ლექსების წაკითხვის გამო მისის
 რეინოლდსის ალბომში. მცდელობა მცირედი პატივის
 მიგებისა

ბრწყინვალე ბარდო, რა ნაზად უღერს მთრთოლვარე ქნარი,
 როდის ააწყვე ეგ სიმები ყვავილთ საქებად,
 როცა ბუხარში ჭერ ელავდა ცეცხლი მიმქრალი,
 თუ როცა სხივებს აპოლონი ძმურად გაფრქვევდა?

უკანი ნათელ ბილიქს ჩრდილებისგან რითმა იფარავს,
მღვალვარე სტროფი სხვა მგოსნისთვის თითქოს ნაკლია,
აფალი ვერ ბედავს შეგეჩვითს ლექსის ბინაღარს,
დე ჭრიალებდეს, მიხტუნავდეს ჭრელი კალია.
ვინ იყო იგი, ვინც ტალღების დატეხილ ფერდებს
მოსტაცა ქაფი და ჩაუგდო ქარს ცივ უბეში,
ისე მსუბუქი, როგორც ფიფქი პეპელას ფრთებზე, მაგრამ ამას
სხვა ყოველივე არის შენთვის მძიმე, უხეში;
დღეს ეშნი უფრო ემატება ძველ სასმელს, ნადიმს
და გაზაფხული შენი ლექსის სტროფებით დადის.



ადამიანის ოთხი დრო

ოთხი დრო ავსებს წელიწადის მიმავალ სიზმარს,
ჩვენს გონიერაშიც ოთხი დროა, რომ გვითვლის წუთებს,
გაზაფხულია დასაწყისში, ის სულის ზიარს
ეტრფის სიხარულს, თვით სიცოცხლის აღქმას რომ უსწრებს.
მერე ზაფხული გაზაფხულზე ფიქრობს და გალობს,
გარდასულ ყრმობის ეზმანება ჭვრეტა მარადი —
იგი ოცნებობს და ზეცასთან ისეთ ახლოს,
რომ უნებურად შემოდგომის სამანს გადადის.
ფრთებს მჭიდროდ კეცავს, სევდიანი უკვე მზად არის
საგანთ ბურუსში ჩაიძიროს, ხმა რომ მიწყდება,
და აღარ ამჩნევს სილამაზეს მისთვის ჩამჭრალი,
ლურჯთვალა წყაროს, მინდორში რომ მოიცისკრება.
დგება ზამთარი უსახო და გაფიტრებული —
მოკვდავთ ბუნება — უფლის მიერ ჩაფიქრებული

სულ ათასი დღის განწირული სხეული კაცის

შენი ოთახის სივრცეს ავსებს — სიმღერის ნაკვალს,
აქ ოცნებობდი, დაფნის გვირგვინს უშენოდ აწვიმს,
აქ გიხაროდა, აქ გირწევდნენ უძილო აკვანს.
ჩემს გულისცემას — შენი ქერის ვისკი აჩქარებს,*
ხელავ, ფიქრები შემოიჭრნენ მკვლელთა დანებად,
თვალი დაგეძებს. და თვალს ისევ გრძნობა ალაჩრებს,
მონუსხულივით წარმოსახვა შეცბა, დაგნებდა.
ხომ შემიძლია ფეხი დავკრა იატაკს უცებ
და გამოვალო შენი ფანჯრის ჭრიალა ბადე,
მივწვდე შენს მინდვრებს, შენს წალკოტებს, ლამაზთ და უცვლელთ,
ხომ შემიძლია შენზე ფიქრი დაბრმავებამდე;
ხომ შემიძლია ოქროს თასი შევსვა კიდევაც,
მაშ გაიღიმე აჩრდილებში — აი დიდება!

ჯეიშს რაისს

ჩვენ ასე ხშირად ვხვდებოდით და კვლავ ვცილდებოდით,

და გრძელდებოდა ნათხოვარი დრო ჩვენდა ბედად,
კრთოდა ლოყებზე სიხარული — ნანატრი წლობით,

ყელს მობჭენილი ქვეყნიური ქრებოდა სევდა.

ჩვენ რომ შეგვეძლოს გრძელ სიცოცხლის უმცირეს სივრცით
შემოსაზღვრა და შეჩერება — დრო გაქრებოდა,

და იმ მგზავრობას ქვეყნის ნისლში ძებნით და ფიცით,
მართლაც ნამდვილი სიხარული დაერქმეოდა.

გვიცდის ორშაბათს ჩვენი ინდის* ერთგული კერა,

ყოველ სამშაბათს ერთად გავლა, გალობა სულთა.

გარდონსულ ნათლით აყვავებულ ტოტების შეკვრა,

იღუმალება სილამაზის ნაგრძნობი სრულად.

გუშინ საღამოს და დღეს დილას ისევ ვიწამე,

რომ შეიძლება მეგობრობა ცოდვილ მიწაზე.



ზღვა

ეჩურჩულება იგი ხმელეთს მარადიულად,

სხვა მეგობარი აბა ვინ ყავს ტიალს, მარტოკას,

უცებ იზრდება, გამოქვაბულს ჯერ ერთს დატბორავს,

მერე დაფარავს ათასობით ქვაბთა იღუმალთ.

ჰერატე* მალე კვლავ უბრუნებს საყვარელ დუღუნს.

და რჩება დიდხანს მთრთოლჭარე და მინაზებული,

ქვასაც არ დაძრავს ტალღა სწრაფი ანაზღეული,

ვიდრე კვლავ ლმერთი არ გამოსწევს ქარიშხლის ურდულს.

გადალლილ თვალებს, გამოფიტულს ქალაქის ვნებით,

დაალევინეთ თვალუწვდენი ზლვის სილამაზე,

ქალაქს კი ისევ ყვირილი და ყაყანი ათრობს,

ანდა გადამტკბარ სიმღერათა ვნება ალაგზნებს,

გამოიქეცი და ქვაბურთან დაჯერები მარტო —

აშრიალდება ცის მუსიკა სიჩუმის ფრთებით.

- 6 -

რომ ვყოფილიყავ ტანმალალი და მოსაწონი,

მაშინ ჩემს ოხვრას ეგ ლამაზი ყურის ნიერა

ჩაიბუდებდა მიძინებულ ზლვითა შრიალად,

დაიხრებოდა შენი გულის ჩემქენ სასწორი.

მაგრამ არა ვარ მე რაინდი ხმალწამახული

და არც აბჭარი მიელვარებს მქერდზე მრისხანედ,

არა ვარ მწყემსი — შეგიგროვო ველზე კესანე,

მხოლოდ გრძნობაა მკერდში ისე ღრმად ჩამარხული —
ვიუიწყებ ქვეყნად უოველივეს — რათა მახსოვდე,
ტებილი ხარ უფრო, ვიდრე თაფლა ვარდი ჭიბლასი,
ვანშიანილია, როცა იგი ვერცხლისფერ ცვარით;
გადაფითრებულ მთრთოლავ ბუჩქებს სზივებს ასხურებს რულ
მღელვარე მთვარე. როგორ მინდა მარად შხირად გადასტურება
და მატირებდე მაგ თვალების ჯადოსნურ ძალით.

განვართებანი

1. დაწერილია 1818 წ., დაიბეჭდა 1848 წ. ეს არის ერთგვარად გარდამავალი სონეტი ქითისის შემოქმედებაში. ამ სონეტში ის უკვე უპირატესობას აძლევს სონეტის შექსპირისეულ უანონს „პეტრიარქისეულშე“.
2. დაწერილია 1819 წ. ოქტომბერში. 19 ოქტომბერს ქითისი ფენის სწერდა: ან სიყვარული, ან სიკედილი — სხვა არაფერშე მოთმინება არ მყოფნის.
3. სონეტი დაწერილია 1819 წლის მარტში. ქითისმა შემდეგნაირი ასწა მისცა სონეტს, როდესაც იგი ძმასა და ძმის ცოლს გაუგზავნა: „ერთის მეშინია, არ გაიფიქროთ, რომ ტემპერამენტი, რომელსაც გამუდმებით ვაძმობ, ბოლოს და ბოლოს იფეთქებს. სონეტის გამოგზავნას სწორედ ამიტომ არც ვაძირებდი — მაგრამ ჩემში ისიც არსებობს, რასაც შეუძლია ამქვეყნიური უხედურების ატანა... სონეტს არავრთარი სხვა აგონია არ ქმნილა გარდა უმეტერობისა. არავითარი სხვა სურვილი გარდა დაუკეცხელი ცოდნის წყურვილისა, თუმცა პირველი ნაბიჯები ამ მომართულებით ადამიანურია ვნებებმა გადამაღვევინეს. ბოლოს ისინი გაქრნენ და მხოლოდ გონებით ვწერდი, თუმცა უნდა ვაღიარო — სულ ცოტათი გულითაც.“
4. დაწერილია 1818 წ. დაიბეჭდა 1844 წ. ეძღვნება ქალს, რომელიც ქითის 1814 წლის ზაფხულში უოქსოლის ბალებში იხილა. მასვე ეხება სონეტი „მე როცა ვშიშობ“. სონეტში დიდია შექსპირის გულენა, იმდენად, რომ შკვლევაზ ბრიჭის აშროთ უაგი შექსპირისაც შევძლო დაეწერა“.
5. სონეტი დაწერილია 1818 წ. პასუხიდ რეინოლდისის სონეტშე — „ანტიკურობის თაყვანისმცემელ სიყვარელ პოეტებს“.
6. დაწერილია 1819 წლის 10 ოქტომბერს სალამოს, თავის საცოლესთან, ფენი ბროთან სტუმრობას შემდეგ ჰქმპსტრედში.
7. დაწერილია 1818 წ. ბენ ნევისის მწერვალშე. გამოქვეყნდა 1838 წ.
8. დაწერა 1817 წ. დაიბეჭდა 1848 წ. 1817 წელს პანტი რედაქტორობდა „რიმინის ამბავის“ ახალ გამოცემას, ქითისი კი მისგან რამდენიმე წელის სავალში ცხოვრობდა.
9. ტაიწერა 1817 წ. გამოქვეყნდა გმაეე წელს.
10. დაწერა 1816 წ. გამოქვეყნდა 1817 წ.
11. სონეტი დაწერილია 1819 წ. პარიზში, დაიბეჭდა 1838 წ. იგი გარკვეული გაგებით ექსპერიმენტულია. მისი რითმული სქემა შემდეგია: აბაბ ცლ ცლ ცლ ცლ ცლ. აქ დარღვეულია შექსპირისეული სექსტეტი, არ არის ფინალური კუპლეტი. უკავშირებს რა სექსტეტის რიტმს ოქტეტს, ალწევს სონეტის უფრო პარმონიულ დენას.
12. დაწერილია 1818 წ გამოქვეყნდა 1838 წ. სონეტი დაწერა როცა ლი პანტან სტუმრად მივიღნენ ქითისი და შელლი. პანტის წინადაღებით მოეწყო პოეტური კონკურსი. 15 წელში კოველ მთვანის უნდა დაეწერა სონეტი ნილოსზე. ქითისი და შელლი გამოყოფილ დროში ჩაეტივნენ. მართალია პანტმა დროს გადაცილა, მაგრამ მის მიერ დაწერილი სონეტი ითვლება საუკეთესოდ მის შემოქმედებაში.
13. სონეტი დაწერილია მინდვრად 1816 წელს, დაიბეჭდა 1817 წ. სონეტი გამოხატავს პროტესტს მედიცინის შესწავლის გამო, რაც მას აიძულებდა გამუდმებით ყოფილიყო ლონდონში.
14. დაწერილია 1815 წ. 2 თებერვალს, როდესაც პანტმა მოიხადა ორწლიანი პატიმრობა რეგენტის „იგზამინერში“ შეურაცხყოფის გამო.

15. დაწერი 1816 წელს, ვაშოქვეყნდა 1848 წ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სიღნი არის ალფერნონ სიღნი (1622-83), რომელიც ჩარლზ II წინააღმდეგ შეტქმულებაში მონაწილეობდა და სიკვდილით იყო დასჯილი. ვიგებმა ის გმირად აღიარეს. შესაძლებელია, რომ ქიმიი გულისხმობს გამოჩენილ ინგლისელ პოეტს ფილიპ სიღნის (1554-86).

16. დაწერილია 1818 წლის 19 თებერვალს და წარმოადგენს გაურიოთმავ სონეტს. ყაინ-ტერესო სონეტის შინაგანი სტრუქტურა როგორც ცნობილია, ჰაშვი თავის ტრიოლებს იმეორებს, რისი ასახვაც ქითსმა დაისახა გიშნად: შეხუთე პრეკარი იმეორებს პირველის კუნისტრუქციას; მერვე — მეოთხის; მეთორმეტე-მეათის; ხოლო მეცხრე და შეორობები შეტკარები არიან.

17. ლექსის დაწერის თარიღი სავარაუდოა, ალბათ 1818 წ. დაიბეჭდა 1837 წ. ზოგ შეცდევარს (გეროდი, სტილიზერი) ეპევება ქითსის ავტორობა. ობრი გორგ სპეციერი (1795-1872) — მოლვაწეობდა ოქსფორდში.

18. დაწერილია 1818 წ. დაიბეჭდა 1819 წ.

19. დაწერილია 1818 წ. თავის ამხანავ მღვდლისადმი წერილში, ქითსი სტერს, რომ სონეტი არ მოეწონა და დახდა. საბეღნიეროდ სონეტი შემონახულა.

* ქითსი გადაკვრით იხსენებს ბერნისის პოემას და მიაჩნია, რომ სწორიდ ამ სასმელით არის სავსე შოტლანდიელი ბარლის პოეტური სისმისი.

20. დაწერილია 1818 წ 18-20 აპრილს, როცა რაისი იმყოფებოდა ქითსისთან სტუმრად ტანიშაუთში. დაიბეჭდა 1848 წ. 1819 წ. ქითსმა რაისის შესახებ თქვე — „ას არის არა მარტო ყველაზე გონიერი, არამედ ბრძნი აღამიანი, ვისაც კი მე ვიცნობ“.

* „გულისხმება ალბათ რიისის საცხოვრებელი დაჭილი.

21. დაწერილია 1817 წ. აპრილში კუნძულ უაიტზე. დაიბეჭდა 1817 წ. წერილში რეინოლდისადმი, სადაც მოყვანილია ეს სონეტი, ქითსი წერს, რომ მას დღით და ღამით მოსვენებას არ აძლევდა სტრიქონი „მეფე ლირიდან“ — შენ ზღვა არ გესმის?

* საშინელი ბერძნული ქალღმერთი; აჩრდილთა და ჯილდებულთა მმრბინებელი; სანდისხან მიაჩნიათ მთვარის ქალღმერთად, რითაც იასენება მისი სსენება სონეტში. როგორც ცნობილია ზღვის მოქცევა და უკუქუვა მთვარეზეა დამოკიდებული.

22. დაწერილია 1816 წ. 14 თებერვალს, გამოქვეყნდა 1817 წ. ქითსი გადაკვრით მიუთითებს თავის ფიზიკურ ირასრულყოფილებაზე, რომლის მიმართ გადაჭარბებით მგრძნობიარე იყო — იგი არც თუ ისე მაღალი იყო ტანადობით.

23. სონეტი დაწერილია 1817 წ. გრაფმა ელგინმა (1766-1841) თურქეთში ყოფნის დროს 1799-1803 წწ., სადაც იგი ელჩის ვალდებულებებს ასრულებდა, შეაგროვა ძველბერძნული ქანდაკებების დიდი კოლექცია — უმთავრესი პართენონიდან. ელგინმა 1816 წ. იგი მისკიდა ინგლისის მთავრობას და ქანდაკებები აღმოჩნდნენ ბრიტანულ მუზეუმში, სადაც ისინი ინახულია ქითსმა. ხელოვნების უდიდესმა შედევრებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ქითსზე, ამით იასენება შემდგომში მის მრავალ ნაწილოებში, შეუნელებელი ინტერესი ანტიკურობისადმი.



კრისტენი ქავის

უკვე 30 წილი



რედ. მ. ჩ. ა.

ურანიკოლაშვილი და ასული ქორიძე ასაკიშვილია და მასთონ გუაჩიძეები

I—II ნაწილი

I

ერთი სახის ტექსტის მეოხებით მეორენაირი ტექსტის წარმოსახვა ისევე გონიერულია, როგორც რაიმე რეალურად ასებულის წარმოდგენა არარსებულის მეშვეობით.

დანიელ დაფო

ცრიად საყურადღებო ამბები, რომლებიც ამ ქრონიკაშია მოთხოვნილი, 194.. წელს ორანში მოხდა. ყველა იმ აზრს ადგა, რომ ეს ამბები, ცოტა არ იყოს, უჩვეულო გახლდათ და დიახაც სცილდებოდა ყოველდღიურობის ფარგლებს. აკი ერთი შეხედვით ორანი ჩვეულებრივი ქალაქია და მხოლოდ და მხოლოდ ფრანგული პრეფექტურაა აღსაკირის სანაპიროზე.

გამოტეხილად რომ ითქვას, ქალაქი უშნოა. დროა საჭირო, რომ შეატყო, რით განსხვავდება ეს გარეგნული წყნარი ქალაქი მრავალი სხვა სავაჭრო დაბისაგან, რომელთა მსგავსნიც ყველა განედზე მოინახება. აბა როგორ წარმოგადვენინოთ უმტრედებო, უხეო და უბალო ქალაქი, რომელშიაც არც ცრტების ფარფატი ისმის, არც ფოთლების შრიალი, ერთი სიტყვით, არაფრითაა გამორჩეული. აქ წელიწადის დროთა ცვლა მხოლოდ ცაზე შეიძლება ამოვიკითხოთ. გაზაფხულის მოსვლის მარტო საამო ჰაერი თუ გაუწყებთ, ანდა ყვავილების ქალათები, წვრილ მოვაჭრეებს რომ მოაქვთ ქალაქის გარეუბნებიდან; აქ გაზაფხული ბაზარში იყიდება. ზაფხულობით მზე ცეცხლს უკიდებს გაუარვარებულ სახლებს და კედლებს ნაცრისფერი ფერფლით ფარავს; მაშინ ცხოვრება ჩარაზულ დარაბებს მიღმა, დაჩრდილულ სახლებშილაა

შესაძლებელი. შემოდგომით კი, ლაფშია ჩაფლული იქაურობა. კარგი დღეები მხოლოდ ზამთარში იცის.

ქალაქის გასაცნობად ყველას აჭობებდა გვეცადა და გაგვეგო, როგორ შრომობენ აქ, როგორ უყვართ და როგორ კვდებიან. ჰავის ბრალი თუ, მაგრამ ყოველივე ამას აღამიანები ციებ-ცხელებიანი განურჩევლიტრულდებიან. მოკლედ რომ ვთქვათ, მოწყვენილად არიან და ჩვეულებულია წერტილის ლამობენ. ჩვენი თანამოქალაქენი ბევრს შრომობენ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გამდიდრების გულისთვის. განსაკუთრებით ვაჭრობა იზიდავთ და, უპირველეს ყოვლისა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქმეების გარიგებით“ არიან დაკავებული. ცხადია, უბრალო სიამეთაც არ თავილობენ: უყვართ ქალები, კინო და ზღვაში ბანაობა, მაგრამ ამეებისათვის სავსებით გონივრულად შაბათ-საღამო და კვირა დღე იქვთ განკუთვნილი, ხოლო კვირის დანარჩენ დღეებში ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ფული მოიხვევონ. საღამოობით დაწესებულებებიდან გამოსულნი ერთსა და იმავე საათებში კაფეში იკრიბებიან, ერთსა და იმავე ბულვარზე დასეირნობენ, ან თავიანთ აივნებზე გადმოდგებიან ხოლმე. ახალგაზრდობაში მათი გატაცებანი ძლიერი და დღემოკლეა, ხოლო მოწიფულ ასაკში მათი მანკიერებანი არ სცილდება ბურთის მოთაშეთა ასოციაციებს, ფსონით გამართულ ბანკეტებსა და კლუბებს, სადაც აზარტულად თამაშობენ დიდ თანხაზე.

ცხადია, ვინმემ შეიძლება თქვას, ეს ამბავი მარტო ჩვენი ქალაქისათვის როდია დამახასიათებელი, ჩვენი თანამედროვენი ყველანი ასეთები არიანო. რა თქმა უნდა, დღეს იმაზე ბუნებრივი არა არის რა, რომ შეხვდე აღამიანებს, რომლებიც დილიდან საღამომდე შრომობენ, მერე კი ბანქოს თამაშში, კაფეებსა და მასლაათში კარგავენ დროს, ცხოვრებისათვის რომ რჩებათ. მაგრამ არის ისეთი ქალაქები და ქვეყნებიც, რომელთა მკვიდრთაც დროდადრო მოულოდნელად ალექვრებათ ხოლმე ეჭვი, ეგებ სხვა რამეც არსებობსო. კაცმა რომ თქვას, ეს დაეჭვება მათ ცხოვრებას არ ცვლის, მაგრამ ეჭვი ხომ ალექრათ და ესეც საქმეა. ორანი კი, პირიქით, გარეგნულად დაუეჭვებელი, ესე იგი, სავსებით თანამედროვე ქალაქია. ამიტომ აღარ ლირს დაზუსტება იმისა, თუ რანაირად უყვართ ჩვენში. კაცები და ქალები ან საჩქაროდ შთანთქავენ ერთმანეთს იმის შემწეობით, რასაც სიყვარულის იქტი ეწოდება, ან არადა, ჩვეულების მონები ხდებინ. ამ უკიდურესობათა შორის საშუალო ხშირად არ არსებობს. არც ესაა მაინცდამაინც უჩვეულო რამ. ორანში თუმც აღამიანებს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ დროისა და ფიქრის უნარის უქონლობის გამო, არც კი უწყიან, რომ უყვართ.

ჩვენი ქალაქის თავისებურება თუ გნებავთ, ისაა, რომ სიკვდილი აქ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. თუმცა, სიტყვა სიძნელე მთლად შესაფერისი ვერაა, უფრო მართებული იქნებოდა, უხერხულობაზე რომ გველაპარაკა. ავადმყოფობა არასოდეს არის სასიამოვნო, მაგრამ მრავალი ქალაქი და ქვეყანა არსებობს, სნეულების დროს მხარში რომ ამოგიდგება ხოლმე აღამიანს და სადაც, ცოტად თუ ბევრად, შეიძლება თავს ავადმყოფობის ნება მისცე. ავადმყოფს მოფერება უნდა, მას უხარია, თუ შეუძლია რაიმეს დაეყრდნოს, ეს ხომ სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ორანში ჭირვეული ჰავა, საქმეთა სერიოზულობა, ლუხჭირი გარემო, ხანმოკლე მწუხრი, გართობათა ხასიათი. — ყველაფერი რომ, კარგი მომავალი მომავალი მომავალი მომავალი მომავალი.

ახლა წარმოიდგინეთ სიცხისაგან დამსკდარი, ასეული კედლის ხაფანგში გა-
მომწყვდეული მომაკვდავი ადამიანი და იქვე — ქალაქის მთელი მოსახლე-
ობა, ტელეფონებით ან კაფეში რომ ლაპარაკობს თამასუქებრის კონკამენ-
ტებისა და დისკონტის შესახებ. გასაგებია, რარიგ მოუხერხებელია სიკვდილი,
თუნდაც სავსებით თანამედორვე, როგორ ადამიანს ასეთ გულქვა გარემოცვაში
ეწვევა.

ამ რამდენიმე შენიშვნით იქნებ საკმაო წარმოდგენა შეგეჭმნათ ჩვენს ქალაქზე. თუმცა, ისიცაა, რომ არაფრის გაზვიადება არ ღირს. კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესკის ჩვენი ქალაქისა და ყოფის ჩვეულებრიობას. დამკვიდრებული ჩვეულებები უფრო აადვილებენ დღეების უშფოთველ მდინარებას და ვინაიდან ჩვენს ქალაქში სწორედ ჩვეულებებს იქნიან, შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე სასიკეთოდ წარიმართება. ცხადია, ასე რომ ვუცქიროთ, ცხოვრება მაინცდამაინც წარმტაცად არ მოგვეჩვენება. სამაგიეროდ ჩვენთვის უცხოა უწესრიგობა. და ჩვენი გულწრფელი, თავაზიანი და შრომისმოყვარე მოსახლეობა მუდამ მოგზაურთა მართებულ პატივისცემას იწვევს. ეს სილაშიეს, სულსა და სიმწვანეს მოკლებული ქალაქი, ბოლოს და ბოლოს, დამამშვიდებლად მოქმედებს და ძილსა ჰგვრის ადამიანს. სამართლიანობა მოითხოვს დავსძინოთ, რომ ქალაქი აღმოცენდა უჩვეულო ბუნებრივ პირობებში, მოშიშვლებულ ზეგანზე, რომელსაც მზით გაჩახჩანებული გორივები აკრავს და უზადო მოყვანილობის უბის ნაპირასა გაშენებული. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ქალაქი უბისაკენ ზურგშექცეულად ააგეს და ამიტომ ზღვა არსაიდან ჩანს, საგანგებოდ თუ არ ეძებე.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, შეიძლება იოლად დაგვეთანხმოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს არაფერი უქაღდა იმ ამბებს, წლეულს გაზაფხულზე რომ დაატყდათ თავს და, როგორც შემდეგ მივხვდით, პირველი ნიშნები გახლდათ იმ მნიშვნელოვან მოვლენათა წყებისა, რომელთა მატიანის შედგენა აქ ვანვიზრახეთ. შემდგომი ფაქტები ზოგს საკსებით ბუნებრივად მოეჩვენება, ზოგს კი, პირიქით, დაუჭერებლად. მაგრამ მემატიანე ხომ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ანგარიშს ვერ გაუწევს. მისი ვალია, თქვას მხოლოდ ეს ასე მოხდაო, როდესაც იცის, რომ მართლაც მოხდა ყოველივე, რამაც მთელი ხალხის სიცოცხლე სათუო გახადა და, მაშასადამე, არსებობს ათასობით მოწმე, ვინც გულის სიღრმეში მემატიანის მიერ თქმულის ჭეშმარიტებას დაადასტურებს.

ისიცაა, რომ მთხრობელს, რომლის სახელსაც თავის დროზე ვაიგებთ, აჩაცითარი პატივმოყვარე ზრახვები არ ჰქონია და ამ საქმეს არც ითავებდა, შემთხვევას მის ხელთ რომ არ ჩაეგდო იმდროინდელი ამბების მომსწრეთა ჩვენებები და რომ თვით მოვლენათა მსვლელობას არ ჩაერჩა იგი ყველა იმ ამბავში, რომლის შესახებაც ბედავს მოთხრობას. სწორედ ეს გარემობანი აძლევს საშუალებას, უამთააღმწერის როლში მოგვევლინოს. რასაკვირველია, ყველა ისტორიკოსს, თუნდაც იგი უბრალო მოყვარული იყოს, საბუთები ყოველთვის გააჩნია. არც ამ ამბის მომყოლი გახლავთ გამონაკლისი. პირველ ყოვლისა, საკუთარი თვალით ნანახი მოჰყავს და სხვათა ნანახსა თუ ნაამბობსაც იმოწმებს, მას ხომ განგებამ ისეთი როლი დააკისრა, რომ ამ მატიანის ყველა მოქმედი პირი თავის გულის ნადებს ანდობდა; დაბოლოს, ზოგი რამ ხელნაწერებმაც ამჟნეს, ხელში რომ ჩაუვარდა. მემატიანეს განზრახული აქვთ. ვაშინ ასაჩინო ნამდვირეობისა აქ ტიქსტი მოიტანეთ, რომელსაც ჩატოვოთ.

ისე, როგორც მიზანშეწონილად მიიჩნევს და მოეხერხება. მას ისიც აქვს გან-
ზრახული, რომ.. მაგრამ, მგონი უკვე დროა, შევეშვათ მსჯელობას, სათქმე-
ლის ნახევრად თქმას და უშუალოდ თხრობას შევუდგეთ. პირველი დოფების
ამბავთა თხრობა განსაკუთრებულ გულმოდგინებას მოითხოვს.

უკროცხული

16 პტრილის დილას ექიმი ბერნარ რიე თავისი ბინიდან ჩორე გამარტინი, კიბის ბაქანზე ფეხი წამოჰქრა მკვდარ ვირთხას. ყურადღებაც არ მიუქცევია, ფეხით განზე გასწია და კიბეს ჩაუყვა. მაგრამ ქუჩაში რომ გავიდა, გაიფიქრა, იქ საიდან გაჩნდაო, და გამობრუნდა, რათა კონსიერჟი გაეფრთხილებინა. მო-
ხუცი მიშელის რეაქციამ უკეთ აგრძნობინა ამ ამბის უჩვეულობა. მკვდარი
ვირთხა რომ დაინახა, ექიმს მხოლოდ უჩვეულოდ მოეჩვენა, კონსიერჟისთვის
კი ეს ნამდვილი სკანდალი იყო. ამიტომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ამ
სახლში ვირთხები არ არისო. ექიმი ამაოდ არწმუნებდი, ვირთხა მეორე სარ-
თულის კიბის ბაქანზე გდია, ვგონებ, მკვდარიაო, მაგრამ ბ-ნ მიშელს რწმენა
ჟრაფრით შეურყია: სახლში ვირთხები არ არის, ეს ერთი ალბათ ქუჩიდან
შემოათრიეს, ვიღაცას უხუმრიაო.

იმავე დღეს, სალამოს, ბერნარ რიე სანამ თავის ბინაში შევიდოდა, კიბის
ბაქანზე შეჩერდა და ჯიბეებში გასაღებს დაუწყო ძებნა. უცებ ბნელი დერეფ-
ნის სილრმიდან გამოძერა დიდი, სველბალნიანი ვირთხა. ბარბაცით მოდიოდა,
ერთი კი შეჩერდა, თითქოს წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობსო, და
მერე ექიმისაკენ გამოიქცა, კვლავ შედგა, წამოიწრიპინა, ერთი შემოტრიალდა
და დაეცა; ოდნავ დაღებული პირიდან სისხლს ანთხევდა. ექიმი ერთხანს აკ-
ვირდებოდა მას, მერე კი შინ შევიდა.

ვირთხაზე როდი ფიქრობდა. ამონთხეულმა სისხლმა თავისი საზრუნავი
გაახსენა. მისი ცოლი, რომელიც უკვე წელიწადი იყო ავადმყოფობდა, მეორე
დღეს მთის კურორტზე უნდა გამგზავრებულიყო. ცოლი ოთახში დახვდა
მწოლიარე, ჩანს, შეასრულა ქმრის თხოვნა. ქალი ძალ-ლონეს იქრებდა სამოგ-
ზაუროდ. ლიმილით შეეგება ქმარს და უთხრა:

— თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ექიმი შესცემოდა ლამპის შუქით განათებულ მის სახეს. ქალს თუმც
ოცდაათი წელი შესრულებოდა უკვე და სენისგან დაღდასმულიც ჩანდა, რი-
ესთვის ქერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ამის მიზეზი ალბათ ეს
ლიმილი იყო, რომელიც ყველაფერს ანაზღაურებდა.

— თუ შეძლებ, დაიძინე, — უთხრა ცოლს, — მომვლელი ქალი დილის
თერთმეტ საათზე მოვა და თორმეტი საათის მატარებელზე გაგაცილებთ.

რიემ ცოლს ოდნავ დანამულ შუბლზე აკოცა. ქალმა ლიმილიანი მზერა
კარებამდე გააყოლა.

მეორე დღეს, აპრილის ჩვიდმეტს, რვა საათზე, კონსიერჟმა გააჩერა მი-
მავალი ექიმი და შესჩივლა, ვიღაც აბეზრებმა შუა დერეფანში სამი მკვდარი
ვირთხა შემომიგდეს; როგორც ჩანს, სათავურებით დაუჭერიათ, რადგან სულ
მთლად დასისხლიანებულები იყვნენ. კონსიერჟი ერთხანს კარებში იდგა და
ვირთხები თათებით ეჭირა ხელში, ელოდა, იქნებ დამნაშავეებმა თავი გათქვან
რაიმე გესლიანი ხუმრობითო, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.

— დახუ ამ ლაზლიანდარებს, — ამბობდა ბ-ნი მიშელი, — ზაინც ჩამივარ-
დებიან ხელში

საგონებელში ჩავარდნილმა რიემ გადაწყვიტა ქალაქის შემოვლა დაეწყო განაპირა უბნებილან, სადაც მისი ყველაზე ღარიბი პაციენტები ცხოვრობდნენ. ამ უბნებიდან ნაგავი გაცილებით გვიან გაჰქინდათ და მანქანა, რომელიც სურასა და მტვრიან ქუჩებს მიჰყვებოდა, თითქმის ედებოდა ნაგვის/ყუთებს, რომლებიც ტროტუარების კიდეებზე დაეტოვებინათ. ერთ-ერთ ქუჩაში ექიმები ბირთვის ნარჩენებსა და ჭუჭუიან ჩვრებზე დაგდებული თანმეტოდ ვირთხა დაითვალა.

პირველი ავადმყოფი ლოგინში დახვდა, ოთახში, რომლის ფანჯრებიც ქუჩაში გადიოდა და რომელიც ერთდროულად საძილესა და სასაღილოს მაგივრობას სწევდა. ავადმყოფს, მოხუც ესპანელს, მკაცრი, მოქანცული სახე ჰქონდა. საბანზე ბარდით გავსებული ორი ჯამი ედგა. ექიმი რომ შევიდა, საწოლზე ნახევრად წამომჯდარი ავადმყოფი კვლავ ბალიშებზე გადაესვენა ქოშინით, ცდილობდა სული მოეთქვა: ეტყობოდა, დიდი ხანი იყო ასთმა სტანგავდა. ცოლმა თასი მოუტანა.

— ექიმო, — უთხრა ავადმყოფმა, სანამ რიე ნემსს უკეთებდა, — ნახეთ, როგორ გამოდიან?

— დიახ, მხარი აუბა ცოლმა, — ჩვენმა მეზობელმა საში აკრიფა.

მოხუცი ხელებს იფშვნეტდა:

— გამოდიან და გამოდიან. ყველა ნაგვის ყუთში შეგიძლიათ ნახოთ. შიმშილი მოერეცებათ უთუოდ.

რიე მალე დარწმუნდა, რომ მთელ უბანს ვირთხების ამბავი ეკერა პირზე. შემოვლას რომ მორჩია, ექიმი შინ დაბრუნდა.

— დეპეშა მოგივიდათ, — უთხრა ბ-ნმა მიშელმა. ექიმმა ჰკითხა, კიდევ ხოშ არ გინახავთ ვირთხებიო.

— აჲ, არა! — უპასუხა კონსიერემა. — ისე ვარ დადარაჯებული, ერთსაც ვერ მომიგდებენ ის ლაზლანდარები!

დეპეშა დედის ჩამოსელას აუწყებდა რიეს. დედამისი ხვალ ჩამოდიოდა, რომ ავადმყოფი რძლის არყოფნაში შვილის ოჯახისათვის ეგდო ყური. როდესაც ექიმი შინ მივიდა, მომვლელი ქალი უკვე იქ დახვდა. ცოლიც ზეზე იყო, კოსტიუმში გამოწყობილი, სახეზე ფერ-უმარილი გადაესვა.

რიემ გაულიმა.

— კარგია, ძალიან კარგი, — უთხრა ცოლს.

ცოტა ხნის შემდეგ, სადგურში რომ მივიღნენ, რიემ ცოლი საძილე ვაგონში მოათავსა. ქალმა კუპე შეათვალიერა.

— ეს ხომ მეტად ძვირია ჩვენთვის?

— ასეა საჭირო, — უპასუხა რიემ.

— ეს ვირთხების ამბავი რაღას ნიშნავს?

— არ ვიცი. უცნაური ამბავია, მაგრამ გაივლის.

შემდეგ ნაჩეარევად მოუბოდიშა: არ გიფრთხილდები, უფრო მეტი მხრუნველობა უნდა გამომეჩინო. ქალმა თავი გაიქნია, თითქოს გაჩუმებას სთხოვს. ექიმმა დასძინა:

— რომ დაბრუნდები, ყველაფერი უკეთ იქნება. თავიდან დავიწყებთ ცხოვრებას.

— ჰო, — თქვა ქალმა და თვალები გაუბრწყინდა, — თავიდან დავიწყებთ.

მერე ქმარს ზურგი შეაქცია და ფანჯარაში დაიწყო ცეერა. ბაქანზე აღა-
მიანები ჩქარობდნენ, ერთმანეთს ეჭახებოდნენ. ორთქოლმავლის ქშენა აქაც
ისმოდა. ექიმმა ცოლს დაუძახა და როდესაც ქალი შემოტრიალდა, დარნახა,
რომ ცრემლები ულტობდა სახეს.

— ნუ ტირი, — უთხრა ალერსით.

ცრემლებში სიმწარენარევმა ლიმილმა გამოანათა, ქალმა  კრისტენა ამირენა-
ნეშა:

— წადი, ყველაფერი კარგად იქნება.

ექიმმა ვულში ჩაიკრა ქალი, მერე ბაქანზე მდგომი, ფანჯრის მინაში მხო-
ლოდ მის ლიმილს ხედავდა.

— გთხოვ, თავს მიხედე, — შეევედრა ცოლს, მაგრამ ქალმა ველარ გა-
იგონა.

საღვურის ბაქანზე რიე გამომძიებელ ოტონს შეეჩეხა, რომელსაც თავი-
სი ბიჭისათვის ჩაეკიდა ხელი. ექიმმა ჰეითხა, სადმე ხომ არ მიემგზავრებითო. ბ-ნმა ოტონმა, აწოწილმა და შავ-შავმა კაცმა, რომელიც მაღალი წრის კაცსაც
ჰგავდა, როგორც ოდესლაც იტყოდნენ, და ამასთანავე, ბიუროს მოხელესაც,
თვაზიანად, მაგრამ მოკლედ უპასუხა:

— ქალბატონ ოტონს ველი; ჩემი ნათესავების სანახავად იყო წასული.
ორთქლმავალმა დაიკივლა.

— ვირთხები... — წამოიწყო გამომძიებელმა.

რიემ ერთი კი დააპირა დაძრულ მატარებელს ასდევნებოდა, მაგრამ მა-
ლევე შემობრუნდა გასასვლელისაკენ.

— ჰო, მაგრამ ეგ არაფერია, — უთხრა გამომძიებელს.

ერთადერთი, რაც იმწუთს ჩაიბეჭდა მის მეხსიერებაში, რკინიგზის მუშა
იყო, რომელსაც მკვდარი ვირთხებით სავსე ყუთი მიჰქონდა.

ნაშუადლევს, სანამ ავაღმყოფების მიღებას დაიწყებდა, რიესთან მო-
ვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელზედაც უთხრეს, კურნალისტია და დილითაც
მოგაკითხათო. მას რემონ რამბერი ერქვა. დაბალი და მხარბეჭიანი იყო, სა-
ხეზე ნებისყოფა ალბეჭდვოდა, ნათელი და ჰეკვიანი თვალები ჰქონდა, სპორ-
ტულად ეცვა, ცხოვრებით კმაყოფილი ჩანდა. პირდაპირ საქმეს შეუდგა:
ერთი დიდი პარიზული გაზეთისათვის ვაგროვებ ცნობებს არაბთა ცხოვრების
პირობების შესახებ და მინდა ვავიგო, როგორია აქაური სანიტარული მდგო-
მარეობაო. რიემ უთხრა, სახარბიელო ვერააო, მაგრამ სანამ ლაპარაკს განაგ-
რძობდა, მოინდომა იმის გარკვევა, შეძლებდა თუ არა უურნალისტი სიმართ-
ლის თხრობას.

— ცხადია, — უპასუხა რამბერმა.

— მე იმის თქმა მინდა, შეგიძლიათ თუ არა ბოლომდე დაგმოთ არსებუ-
ლი მდგომარეობა?

— ბოლომდე ვერ დავგმობ, რაღვან მგონია, ამგვარი დაგმობა უსაფუძვ-
ლო იქნებოდა.

რიემ ფრთხილად შენიშნა, ამგვარი რამ მართლაც უსაფუძვლო იქნება,
მაგრამ, როდესაც ეს კითხვა დავისჭით, იმის გაგება მეწადა, პირუთვნელი
სიმართლის თქმა თუ შეგიძლიათო.

— მე მხოლოდ ბოლომდე თქმული სიმართლისა მწამს. ამიტომ თქვენს ჩვენებას არ გავამაგრებ იმ მონაცემებით, რომლებიც მე გამაჩნია.

— სენ-ერუსტის ენით ლაპარაკობთ, — ლიმილით შენიშნა უფრონალისტმა. რიგმ ხმის აუმაღლებლად უპასუხა, სენ-ერუსტის ენისა რა მოგამსენოთ, მაგრამ გარე სამყაროსაგან დაღლილი კაცის ენით კი გელაშვილაკუბილი, რო-შელსაც, მიუხედავიდ ამისა, უყვარს თავისი მსგავსნი და გრაფებულებული, იქვს, არ შეურიგდეს არავითარ უსამართლობას და უარი თქვას ყოველგვარ დათ-მობაზეო. რამბერმა მხრებში ჩამალა კისერი და ისე შესცემეროდა ექიმს.

— მგონი, მესმის თქვენი, — უთხრა ბოლოს და ფეხზე წამოდგა. ექიმმა კარამდე მიაცილა:

— გმადლობთ, რომ ასე მიიღეთ ჩემი ნათქვამი.

რამბერს თითქოს მოუთმენლობა დაუტყო.

— დიახ, მესმის, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

ექიმმა ხელი ჩამოართვა და უთხრა, საყურადღებო რეპორტი გამოგი-ვათ, თუ აღწერთ, რომ მთელი ქალაქი მკვდარი ვირთხებითაა მოფენილი.

— ჰო, — შესძახა რამბერმა, — ეგ საინტერესოა.

ჩვიდმეტ საათზე, როდესაც ექიმი ისევ თავის ავადმყოფებთან მიეჭურე-ბოდა, კიბეზე შეეჩეხა ჭერ კიდევ ახალგაზრდა, კუნთმავარ კაცს, ხშირ-ხშირი წარბებით დაჩრდილული მსხვილნაკვთებიანი სახე და ჩაცვივნული ლოკები რომ ჰქონდა. ეს კაცი ხანდახან ხვდებოდა ესპანელ მოცეკვავეებთან, სახლის სულ ზემო სართულში რომ იდგნენ. უან ტარუ გულმოდგინედ ქაჩავდა სი-გარეტა და დასცემეროდა მის ფერხთით, კიბის საფეხურზე, მომაკვდავი ვირ-თხის კრუნჩხვებს. ტარუ მშვიდი ნაცრისფერი თვალებით მიაჩერდა ექიმს, მიესალმა და უთხრა, ვირთხების გამოჩენა საჯვირველი ამბავია.

— დიახ, — მიუგო რიგმ, — მაგრამ უკვე გამაღიზიანებელი გახდა.

— ერთი მხრივ, ექიმო, მხოლოდ ერთი მხრივ. ასეთი რამ არასოდეს გვი-ნახავს და ესაა. მაგრამ მე ეს ამბავი საინტერესოდ მიმაჩნია, ერთობ სიინ-ტერესოდ.

ტარუმ ხელი გადაისვა თმაზე, ქოჩორი უკან გადაიყარა, ერთხელ კიდევ დატედა ახლა უკვე გაშეშებულ ვირთხას და გაუღიმა რიეს.

— საერთოდ კი, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უმთავრესად კონსიერჟის საქმეა.

სწორედ კონსიერჟი დანვდა რიეს სახლის წინ. შესასვლელ კართან კე-დელს მიყრდნობოდა. მის მუდამ აჭარხლებულ პირისახეს ახლა დაღლილობის დალი დამჩნეოდა.

— კი, ვიცი, — უპასუხა მოხუცმა მიშელმა, როცა რიემ უთხრა, ვირ-თხა კიდევ ვიპოვეთო, — ახლა უკვე ორ-ორ, სამ-სამ ვირთხას ვნახულობ. მაგრამ სხვა სახლებშიაც ასეთივე ამბავია.

დათრგუნული და დაჭავრიანებული ჩანდა. უაზროდ ისრესდა კისერს. რიემ მოიკითხა, როგორ ბრძანდებითო, კონსიერჟი, რასაკვირველია, ჭანს არ უჩიოდა, მაგრამ რაღაცნაირად უგუნებოდ გრძნობდა თავს. მისთვის რომ გე-კითხათ, ხასიათი ვირთხებმა წაუხდინეს, ისინი რომ გაქრებიან, ყველაფერი უკეთ იქნებათ.

მაგრამ მეორე დილით, აპრილის თვრამეტს, როდესაც ექიმი დედასთან ერთად სადგურიდან ბრუნდებოდა, ბ-ნი მიშელი უფრო გაღეული და მისუს-

ტებული დაუხვდა. სარდაფიდან მოკიდებული სხვენამდე ათიოდე ვირთხა ეგ-დო კიბეებზე. მეზობელი სახლების სანაგვე ყუთებიც ვირთხებით იყო /ჭარე-ნილი. ექიმის დედას ეს ამბავი მანცდამაინც არ გაჰქვირვებია.

— ასეთი ამბები ხდება ხოლმე.

დედა პატარა, თმაშეჭალარავებული ქალი იყო, შავი და შრესიყვარული თვალები ჰქონდა.

— ბედნიერი ვარ, ბერნარ, რომ გხედავ, — ეუბნებოდა შვილს, — ვირ-თაგვები ამ ბედნიერებას ვერ ჩამიშხამებენ.

შვილიც კვერს უკრავდა. მართლაც, როცა დედა ჰყავდა გვერდით, ყვე-ლაფერი ეადვილებოდა.

მაგრამ რიემ მაინც დაურეკა დერატიზაციის კომუნალური უწყების დი-რექტორს, რომელსაც იცნობდა. ჰქითხა, გსმენიათ თუ არა ვირთხების ამბავი, ასე მრავლად რომ გამოდიან სოროებიდან და გარეთ იხოცებიანო. დირექ-ტორს, მერსიეს, გაგონილი ჰქონდა ყველაფერი, უფრო მეტიც, მის დაწესე-ბულებაში, სანაპიროს სიახლოვეს რომ მჩებარეობდა, ორმოცდაათამდე ვირ-თხა ეპოვათ. ოლონდ მას უნდოდა სცოდნოდა, რამდენად სერიოზული იყო მდგომარეობა. რიეს არაფრის თქმა არ შეეძლო გადაჭრით, მაგრამ ფიქრობდა, რომ უწყება ვალდებული იყო მიეღო ზომები.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა მერსიე, — თუქი ბრძანებას მოგვცე-მენ. თუ მართლა გგონიათ, რომ ლირს ზომების მიღება, მე შევეცდები სათა-ნადო ბრძანება გამოვითხოვო.

— ნამდვილად ლირს, — უპასუხა რიემ.

შინამოსამსახურე ქალმა ეს-ესაა შეატყობინა, რომ დიდ ქარხანაში, სადაც მისი ქმარი მუშაობს, რამდენიმე ასეული მკვდარი ვირთხა აკრიფეს.

დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც ზემოთ მოყვანილი საუბარი შედ-გა, ჩვენს თანამოქალაქეებს შეშფოთება დაეტყოთ, რადგან თვრამეტი რიცხ-ვიდან მოკიდებული ქარხნები და საწყობები ასობით მკვდარი ვირთხით გაივ-სო. მაშინ, როცა ვირთხების აგონია დიდხანს გრძელდებოდა, მათ ხოცავდნენ. გარეუბნებიდან თვით ქალაქის ცენტრამდე, ჩველგან, სადაც ექიმ რიეს უხ-დებოდა გავლა, ყველგან, სადაც ჩვენი თანამოქალაქენი იკრიბებოდნენ, ვირ-თხები დახვავებულიყვნენ სანაგვე ყუთებში და ჯაჭვად მიჰყვებოდნენ რუებს. ალნიშნული დღიდან სალამოს პრესა ალაპარაკდა ამ შემთხვევის გამო და შე-ექითხა, მუნიციპალიტეტს, ბოლოს და ბოლოს აპირებთ თუ არა ხელის გა-მოლებას და რა სასწრაფო ზომები გაქვთ გათვალისწინებული თქვენს გამგებ-ლობაში მყოფი მოსახლეობის დასაცავად ამ საზიზლარი შემოსევისაგანო. მანამ-დე მუნიციპალიტეტს არაფერი ჰქონია გადაწყვეტილი და არაფრის გაკეთებას არ აპირებდა, მაგრამ ახლა, საქმის თაღარიგი რომ დაეჭირა, თათბირი მოიწ-ვია. დერატიზაციის უწყებას ებრძანა, მკვდარი ვირთხები დილაობით, გამთე-ნისას ეკრიფათ. შემდეგ ორ საუწყებო ავტომანქანას დაევალა მათი გადა-ტანა მოსასპობად ნაგვის დასაწვივ პუნქტში.

მაგრამ მომდევნო დღეებში მდგომარეობა გართულდა. აკრეფილი მლოლ-ნელების რაოდენობა მატულობდა, ყოველდღიურად იზრდებოდა ვირთხების მოსავალი. უკვე მეოთხე დღიდან ვირთხებმა ჯგუფებად იწყეს გარეთ გამოსვლა და სიკედილი. ქოხმახებიდან, სარდაფებიდან, საწრეტი მილებიდან გრძელ-წყებად მოედინებოდნენ მობანცალე ვირთაგვები, ქანაობით მოდიოდნენ სი-

ნათლისაკენ, რომ აქ გადაბრუნებულიყვნენ და დახოცილიყვნენ ადამიანთა სიახლოეს. ღამლამობით დერეფნებსა და ქუჩაბანდებში მკაფიოდ ისმოდა სულთმობრძავი ვირთხების წრიპინი, დილაობით ქალაქის—გარეუბნებში უამ-რავი ვირთხა ეგდო რაუებში სისხლის ყვავილით წაწვეტებულ დრუნებშე, ზოგი გაბერილი და დამპალი, ზოგიც გახევებული და ჯერ კიდურების გარების ულ-ვაშებით. შუაგულ ქალაქშიაც ჯგროებად ეყარნენ პარმალებშე¹ შეჭრიოებში. მარტოც მიღიოდნენ დაწესებულებების დარბაზებსა და გადაბრუნულ სკოლის ეზოებში, ხანაც კაფეების ტერასებზე, რომ იქ დახოცილიყვნენ. ჩვენი თანა-მოქალაქენი მათდა გასაოცრად ვირთხებს ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ აღ-გალებშიაც პოულობდნენ. საჭურვლის მოედანზე, ბულვარებზე, სასეირნო სანაპიროზე, ფრონ დე მერს რომ ეძახდნენ, წაბილწული იყო ყველაფერი, დი-ლაობით მყვდარი მღრღნელებისაგან გაწმენდილი ქალაქი დღის განმავლო-ბაში კვლავ ივესებოდა ვირთხებით. ღამის სიბნელეში დაგვიანებულ მგზავრს რამდენჯერ წამოუკრავს ფეხი ჯერ გაუცივებელი ლეშისათვის ტროტუარზე. თითქოს თვით დედამიწა, რომელზედაც ჩვენი სახლები იყვნენ ჩარიგებულ-ნი, თავისუფლდებოდა მის წიაღში დაგროვლი სიბილწისაგან და ზედაპირ-ზე ჩნდებოდა წყლულები, საიდანაც მოედინებოდა ჩირქი, რომელიც მანამდე შეუმჩნევლად ალპობდა მას. წარმოიდგინეთ ჩვენი მანამდე შევიდი პატარა ქალაქი, რამდენიმე დღეში რომ შეიძრა, როგორც სალ-სალამათი კაცი, რო-მელსაც უეცრად სისხლი აუჯანყდა, მანამდე მდორედ რომ მიეღინებოდა მის ძარღვებში.

საქმე ისე შორს წავიდა, რომ ამბების, დოკუმენტაციისა და სხვადასხვა-გვარი ცნობების სააგენტომ უფასო ინფორმაციისათვის განკუთვნილ საათებ-ში რადიომსმენელებს აცნობა, რომ მხოლოდ ოცდახუთ პრილს აკრიფეს და დაწვეს ექვსი ათას ორას ოცდათერთმეტი ვირთხა. ამ ციფრმა ნათლად გამო-ხატა მნიშვნელობა იმ ამბისა, რაც დღეცისმარე ხდებოდა მთელი ქალაქის თვალწინ და გააძლიერა შეშფოთება. მანამდე მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ჩი-ვილი ამ, ცოტა არ იყოს, საზიზლარი შემთხვევის გამო. ახლალა შენიშნეს, რომ ეს ამბავი საფრთხეს უქადათ, თუმც ჯერ ვერც ის დაედგინათ, თუ რა-ოდენ დიდი იყო უბედურება და ვერც მისი მიზეზი გამოეცნოთ. მხოლოდ ასთმით სნეული მოხუცი ესპანელი იუშვნეტდა ხელებს და ნეტარებით იმეო-რებდა: „გამოდიან, სულ გამოდიან და გამოდიან!“

ოცდარვა აპრილს სააგენტომ გადმოსცა ცნობა, რომ აკრეფილი იყო რვა ათასამდე ვირთხა და ქალაქის შეშფოთება საზღვარს გადასცდა. გადამჭრელ ზომებს მოითხოვდნენ, მთავრობას რაში აღარ სდებდნენ ბრალს, ხოლო ისინი, ვისაც ზღვის სანაპიროზე სახლი ედგა, უკვე ქალაქიგარეთ გახიზვნაზე ლაპარა-კობდნენ. მაგრამ მეორე დღეს სააგენტომ შეატყობინა ორანელებს, ვირთხე-ბის შემოსევა უცებ შეწყდა და დერატიზაციის უწყების თანამშრომლებმა დღეს სულ უმნიშვნელო რაოდენობის ვირთხები აკრიფესო. ქალაქმა შვებით ამოისუნთქა.

მაგრამ სწორედ იმავ დღეს, შუადღისას, ექიმმა ის იყო მანქანა გააჩერა თავის სახლთან, რომ ქუჩის ბოლოს ტიკინასავით ხელ-ფეხებგაფარჩული, თავ-დალუნული ქონსიერე შენიშნა. იგი მღვდელს მოჰყავდა ხელკავით. ზედვე ეტყობოდა, ძლივს მოაბიჯებდა. ექიმმა იცნო მამა პანელუ; ეს განათლებული იეზუიტი და მქადაგებელი ბევრჯერ შეხვედრია. მას ურწმუნოებიც კი დიდ

პატივს სცემდნენ ჩვენს ქალაქში. ექიმი დაელოდა მათ. მოხუც მიუწერს თვალები უელვარებდა და ქოშინებდა. თავი შეუძლოდ ეგრძნო და ასე კასეირნები მოენდომებინა, მაგრამ კისრის, ილიებისა და საზარეულოს ტკივილმა უკან გამოაბრუნა და მამა პანელუსათვის დახმარება ათხოვნინა.

— რაღაც მუწეკუბი გამომივიდა, — წილიაპარაკა მოხუცში, მიუწერ მალა დავატანე, გარეთ რომ გამოვსულიყავი.

ექიმმა მანქანიდან გადმოპყო ხელი და მიშელს კისერი მოუსინგა, რა. მელზედაც ქვასავით მაგარი სიმსივნე გასჩენოდა.

— დაწეჭით, სიცხვ გაისინჯეთ. ნაშუადლევს შემოგივლით.

როდესაც კონსიერჟი წავიდა, რიე შეეკითხა მამა პანელუს, კირთხუბის შემოსევაზე რა აზრის ბრძანდებითო.

— ოო, — უპასუხა მღვდელმა, — როგორც ჩანს, ეპილემია დაიწყება, — და სათვალის მრგვალი შუშებიდან მისმა მომლიმარე თვალებშია გამოაწაა.

საუზმის შემდეგ რიე ხელახლა კითხულობდა დეპეშას, რომელიც სინატორიუმში ცოლის მშეიღობით ჩასვლას იტუობინებდა, რომ უცბად ტელეფონმა დარეკა. ექიმს ერთი ძველი პაციენტი — მერიის მოსამსახურე ურუკვდა. მას რა ხანია აორტის დავიწროება აწუხებდა და, რაკი ღარიბი იყო, ექიმი უსასყიდლოდ მკურნალობდა.

— დიან, — ამბობდა იგი, — ხომ გამიხსენეთ, მაგრამ ახლა სულ სასა... ამბავია... ჩქარა მოდით, ჩემი მეზობლის თავს რაღაც უბედურებაა, — მღვდელვარებისგან სული ეხუთებოდა.

რიეს გაახსენდა კონსიერჟი, მაგრამ გადაწყვიტა, მასთან მოგვიანებით შევალო. რამდენიმე წუთის შემდეგ ექიმი უკვე შედიოდა ერთ-ერთ განაპირობებანში, ფედერბის ქუჩაზე მდებარე დაბალ სახლში. ნესტიანსა და მყრავი კიბეზე რიემ დაინახა მის შესაგებებლად მომავალი უოზეფ გრანი, ორსიცდათი წლის მოხელე, ქერაულვაშა, მაღალ-მაღალი, წელში მოხრილი კაცი. მას ვიწრო მხრები და წვრილი ხელ-ფეხი ჰქონდა.

— ახლა უკეთ არის, — უთხრა რიეს, — მაგრამ მეგონა, რომ უკვე თავ-დებოდა.

გრანმა ცხვირი მოიწმინდა. მესამე, უკანასკნელი სართულის მარცხენა კარზე რიემ წაიკითხა წითელი ცარცით დაწერილი სიტყვები: „შემოდით, თავი ჩამოვიხრე“.

შევიდნენ. ჭალზე გამობმული თოკი წაქცეული სკამის თავზე ეკიდა. მავიდა კი კუთხეში მიედგათ, მაგრამ თოკის ბოლო თავისუფლად კონტიალებდა.

— დროზე ჩამოვხსენი, — უთხრა გრანმა, რომელიც თითქოს სულ სიტყვებს არჩევდა, თუმცა სრულიად უბრალოდ ლაპარაკობდა, — ის იყო, გარეთ გასვლა დავაპირე, რომ ხმაური შემომესმა. წარწერა რომ დავინახე, როგორ აგიხსნათ, ხუმრობა მეგონა. მაგრამ ყურს უცნაური და, შეიძლება ითქვას, საზარელი კვნესა ჩამესმა. — გრანმა თავი მოიქექა. — ეტყობა, ერთობ მტკიცნეულია. ცხადია, შევედი.

ხელი ჰქრეს კარს და ნათელი, მაგრამ ღარიბულად მოწყობილი ოთახის ზღურბლზე აღმოჩნდნენ. პატარა, ჩაგოდრილი კაცუნა იწვა სპილენძის საწოლზე. მძიმედ სუნთქვავდა და ჩასისხლიანებული თვალებით შესცემეროდა შემოსულებს. ექიმი შედგა. ჩასუნთქვასა და ჩასუნთქვას შუა თითქოს ვირთაგვის წრიპინი მოესმა, მაგრამ ოთახის არც ერთ კუთხე-კუნძულში არაფერი გაფა-

ჩუნებულია. რიც საწოლისაკენ გაემართა. კაცი, ეტყობა, არც ძალიან მაღლიდან ჩამოვარდნილია, არც მაგრად დაცემულია, რადგან მალები მთელი ჰქონდა. ცხადია, დახუთულია. წესით რენტგენოგრამა იქნებოდა საჭირო. ექიმმა ქაფური შეუშხაპუნა და თქვა, რამდენიმე დღეში ფეხზე დადგებითო.

— გმადლობთ, ექიმო, — უთხრა ავადმყოფმა ჩახლეჩილი ხშით.

რიც შეეკითხა გრანს, პოლიციას თუ შეატყობინეთო. მოსხეულეს შემფორება დაეტყო:

— არა, — შესძახა მან, — ო, არა! მე ვიფიქრე, რომ უფრო საჭირო იყო...

— რასაკვირველია, — მოუჭრა რიემ, — მაშ, მე თვითონ შევატყობინებ.

მაგრამ უეცრად ავადმყოფი აწრიალდა და ლოგინში წამოჭდა. ექიმს არ წმუნებდა, თავს კარგად ვგრძნობ, შეტყობინება არ ღირსო.

— დაწყნარდით, — უთხრა რიემ, — ეს წვრილმანია, დამიჯერეთ, მაგრამ მე ვალდებული ვარ განვაცხადო.

— ო! — ამოიკვნესა ავადმყოფმა და სლუკუნით გადაესვენა ბალიშზე.

გრანი ერთხანს ულვაშს აწვალებდა, მერე ავადმყოფს მიუახლოვდა:

— რა მოგივიდათ, ბატონო კოტარ! თვითონ განსაჭერი. ვთქვათ, თქვენ თქვენი არ მოიშალოთ და ხელახლა დააპიროთ... ხომ შეიძლება ექიმს დაბრალდეს.

მაგრამ აცრემლებულმა კოტარმა უთხრა, ხელახლა არაფერს ჩავიდენ, წუთიერმა სიგიურ დამრია ხელი, ახლა მხოლოდ ისა მსურს, თავი დამანებონ. რიემ რეცეპტი გამოუწერა.

— შევთანხმდით, — დაუყვავა ავადმყოფს, — შევეშვათ ამას. ორ-სამ დღეში ისევ შემოგივლით. ოლონდ სისულელეებს თავი დაანებეთ.

კიბეზე ექიმმა უთხრა გრანს, იძულებული ვარ, განვაცხადო, მაგრამ კომისარს ვთხოვ, მხოლოდ ორი დღის შემდეგ შეუდგეს გამოძიებასო.

— ამაღამ თვალყურის დევნებაა საჭირო. ცოლ-შვილი თუ ჰყავს?

— არ ვიცი, მაგრამ მე თვითონ შემიძლია ლამე ვუთიო. — გრანმა თავი დააქნია.

— სიმართლე თუ გნებავთ, ხეირიანად თვითონ მაგასაც არ ვიცნობ, მაგრამ ხომ უნდა დავეცმაროთ ერთმანეთს.

რიემ ანგარიშმიუცველად მოათვალიერა დერეფნის კუთხეები და შეექითხა გრანს, სულ მოსპეს თუ არა ვირთხები ამ უბანშიო. მოხელემ არაფერი იციდა; მას, მართალია, გაეგონა ვირთხების ამბავი, მაგრამ მაინცდამაინც არაფრად აგდებდა უბნის ჭორებს.

— მე სხვა ჯავრი მაწუხებს, — უთხრა ექიმს.

რიც ნაჩეარევად გამოეშვიდობა. ცოლისათვის უნდა მიეწერა წერილი, მანამდე კი კონსიერჟი ჰყავდა მოსანახულებელი.

ქუჩებში საღამოს გაზეთების დამტარებლები გაპყვიროდნენ, ვირთხების შემოსევა შეჩერებულია. მაგრამ რიეს ავადმყოფი საწოლიდან ნახევრად გადმოკიდებული დაუხვდა, ცალი ხელი მუცელზე წაევლო, მეორე კი ყელზე და კარდისფერ ბალლამს ანთხევდა ნარჩენების ვეღროში. ხანგრძლივი წვალების შემდეგ დაუძლურებული მიესვენა ლოგინზე. სიცხემ თცდაცხრამეტსა და ხუთ გრადუსამდე აუწია. კიდურები და კისრის ძარღვები კიდევ უფრო დაუ-

სივდა, ფერდებზე ორი შავი ლაქა გაუჩნდა. ახლა შიგანის ტკივილს უჩიოდა.

— მეწვის, — ამბობდა იგი, — მწვავს ეს სატიალე.

ჩაშვებული ტუჩებით ძლივს ღერლავდა სიტყვებს და ექიმს შესცმებულა გადმოკარელული თვალებით, რომლებიც თავის ტკივილისაგან ცრემლით ჰქონდა სავსე. ცოლი შეშფოთებით შეპყურებდა მდუმარე რიეს.

— რა არის, ექიმო?

— შეიძლება ბევრი რამ ვივარაუდოთ, მაგრამ დანამდვილებით ჭერ არაფრის თქმა არ შემიძლია. სალამომდე დიეტაზე ამყოფეთ და სასაქმებელი მიეცით. ბევრი სითხე ასვით.

კონსიერეს სწორედ წყურვილი ახრჩობდა.

შინ რომ დაბრუნდა, რიემ თავის კოლეგას, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ექიმს — რიშარს დაურეკა.

— არა, — უპასუხა რიშარმა, — უჩვეულო შემთხვევები არ შემინიშნავს.

— არც მაღალი სიცხე ლოკალური ანთებით?

— თუმცა კი, ორი შემთხვევა იყო, როცა ავადმყოფს ლიმფური ჯირფლების ანთება ჰქონდა.

— ზომაზე მეტად?

— ჰმ, — თქვა რიშარმა, — მოგეხსენებათ, რომ ზომა...

ასე იყო თუ ისე, სალამოს კონსიერეს ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, ბოდავდა და ვირთხებს უჩიოდა. რიემ გადაწყვიტა ავადმყოფისათვის მუწუკები დაესერა. სკიპიდრით დათუთქული ავადმყოფი აბლავლდა: „ოჰ, თქვე არამზადებო!“ ჯირკვლები კიდევ უფრო დაებერა, გაუმაგრდა, თითქოს გახევდათ. კონსიერეის ცოლი გიუდებოდა.

— თვალყური ადევნეთ, — დაუბარა ექიმმა, — და თუ საჭირო ვიქნება, დამიძახეთ.

მეორე დღეს, აპრილის ოცდაათს, ნოტიო ლურჯი ციდან თბილმა ნიავმა დაუბერა. მას თან მოჰქონდა ყვავილების სურნელი ქალაქის გარეუბნებილან. ახლად გალვიძებული ქუჩების ხმაური ჩვეულებრივზე უფრო მძაფრად და მხიარულად მოისმოდა. კვირის განმავლობაში დაბუდებული შეუცნობელი ეჭვისაგან თავდახსნილ ჩვენს პატარა ქალაქში განახლების დღე დგებოდა. რიეც, ცოლის იმედიანი წერილით დამშვიდებული, გულმოტონებული ჩავიდა მოხუცთან. დილისათვის სიცხეს მართლაც ოცდათვრამეტ გრადუსამდე დაეწია. დასუსტებული ავადმყოფი ულიმოდა ლოგინიდან.

— აქლე ხომ არა უჭირს, ექიმო? — შეეკითხა კონსიერეის ცოლი.

— ჭერ დავაცალოთ.

შუადლისთვის სიცხემ მკვეთრად აუწია, ორმოც გრადუსამდე ავარდა, სწორული განუწყვეტლივ ბოდავდა და ისევ აუტყდა პირის ლებინება. კისრის გირკვლები საშინელ ტკივილს ჰგვრიდა და საწყალი თითქოს ცდილობდა, თავი რაც შეიძლება ტანიდან შორს დაეჭირა. ცოლი ფერხთით უჯდა, საბნის ზემოდან ხელებს ფრთხილად უჭერდა ფეხებზე, თან თვალებში შეპყურებდა რიეს.

— ყური დამივდეთ, — უთხრა ექიმმა, — ავადმყოფის იზოლირებაა საჭირო, უნდა საგანგებო მკურნალობა ვცადოთ. ახლავე დავრეკავ საავადმყოფოში და სასწრაფო დახმარების მანქანით წავიყვანოთ.

ორი საათის შემდეგ, სასწრაფო დახმარების მანქანაში ექიმი და კონსიერჟის ცოლი ავადმყოფისაკენ დახრილიყვნენ. სნეული დაჩირქებული პირიდან ნაწილი სიტყვებს ისროდა, ძლივს აღმოხდა: „ვისათხობი!“ სახეგამ-ტენარებული, ტუჩებდაშაშრული და ქუთუთოებდამძიმებული ჭრისაც ქოშინებდა, ტკივილით გაგიუებული დასაკეც საწოლზე მოკუნტალებული, თითქოს უნდოდა საწოლი მოკეცილიყო და ზედ გადაფარებოდა. თავისუკავშირიდანლაც, მიწიდან ამოსული გაურკვეველი ხმა განუწყვეტლივ უხმობდა უხინარი სიმძიმის ქვეშ დატანებულს.

- განა იმედი აღარ არის, ექიმო?
- გათავდა, — უპასუხა რიემ.

შეიძლება: ითქვას, რომ კონსიერჟის სიკვდილი მომასწავებელი იყო შემაშფოთებელი ნიშნებით სავსე პერიოდის დასასრულისა და შედარებით უფრო მძიმე პერიოდის დასაწყისისა, როდესაც პირველი დღეების განცვიფრება თანდათან პანიკად გადაიქცა. ჩვენი თანამოქალაქენი ახლალა მიხვდნენ, — მანამდე კი ფიქრადაც არ გაუვლიათ, — რომ ჩვენი პატარა ქალაქი იქნებოდა საგანგებოდ განკუთვნილი საიმისოდ, რომ ვირთხები მზის გულზე დახოცილიყვნენ და კონსიერჟები უცნაური სენის წერა გამხდარიყვნენ. არადა, თურმე ცდებოდნენ და მათ დაუყოვნებლივ უნდა გადაესინჯათ თავიანთი წარმოლგენა სამყაროზე. ყოველივე რომ ამით დამთავრებულიყო, კვლავ ჩვეულების მონებად დარჩებოდნენ. მაგრამ ჩვენს სხვა მოქალაქეებსაც მოუწია იმავე გზაზე დადგომა, რომელზედაც პირველმა ბ-ნმა მიშელმა შედგა ფეხი, თანაც მსხვერპლნი მუდამ კონსიერჟები ან ლატაკნი როდი იყვნენ. ამ წუთიდან დაიწყო შიში და მასთან ერთად განსჭაც.

მაგრამ სანამ ყოველივეს დაწვრილებით განიხილავდეს, მთხრობელს სასარგებლოდ მიაჩნია მაშინდელი ამბების კიდევ ერთი მომსწრეს აზრიც მოიშველიოს. უან ტარუ, რომელსაც ჩვენ უკვე შევხვდით თხრობის დასაწყისში, ორანში რამდენიმე კვირით აღრე დამკვიდრდა და მას აქეთ ქალაქის ცენტრში, ერთ დიდ სასტუმროში დაიდო ბინა. საკმაოდ შეძლებული იყო, რაკი თავისი შემოსავლით ცხოვრობდა და თუმცა ქალაქი თანდათან შეეთვისა, არავის შეეძლო იმის თქმა, საიდან მოვიდა ან იქ რისთვის დარჩა. მას ყოველგვარი თავშეყრის ადგილას შეხვდებოდით. გაზაფხულის პირველი დღეებიდან-დე თითქმის სულ პლაზზე იყო. ემჩნეოდა, რომ ცურვა დიდად სიამოვნებდა. ხალისიანი და მუდამ მომლიმარი, ეტყობოდა, ყველა ბუნებრივ სიამეთა ტრფიალი იყო. მაგრამ გართობას არ ემონებოდა. თუმც ერთი ჩვევა კი ძვალრბილში გაუჭდა — ვერ მოსვენებდა, რომ არ სტუმრებოდა ესპანელ მოცეკვავეებსა და მუსიკოსებს, რომლებიც ჩვენს ქალაქში საკმაოდ მრავლად არიან. ასეა თუ ისე, ტარუს უბის წიგნაკები, წარმოადგენს ამ ძნელი პერიოდის ერთგვარ ქრონიკას. მაგრამ ლაპარაკია სრულიად განსაკუთრებულ ქრონიკაზე, თითქოს ავტორს წინასწარ აკვიატებია აზრი — რაც რამ ხდება, დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. ერთი შეხედვით შეიძლება გეცქირათ, რომ ტარუ როგორლაც ახერხებდა გადაბრუნებული ჭოგრით ეცქირა აღამიანებისა და საგნებისათვის. საერთო შეშფოთების უამს ცდილობდა გამხდარიყო მეისტორიებისა, რასაც ისტორია არ გააჩნია. იქნებ სინანული გამოგვეთქვა ამ წინასწარ შემუშავებული აზრის გამო და მისი პატრონისათვის უგულობა დაგვეწა-

მებინა, მაგრამ მისმა უბის წიგნაკებმა ამ პერიოდის ქრონიკისათვის შეიძლება უამრავი მეორეხარისხოვანი წვრილმანი მოგვაწოდონ, რომელთაც მარც აქვთ მნიშვნელობა. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, თვით ამ ჩანაწერების უცნაურობა არ მოგვცემს უფლებას ნაჩეარევი მსჯავრი გამოვუტანოთ ამ საინტერესო პერსონაეს.

უან ტარუს პირველი ჩანაწერები მისი ორანში ჩამოსვლის დროითი რაოდილებული. ამ ჩანაწერებში თავიდანვე გამოსჭვივის მისი პატრონის საოცარი კმაყოფილება იმის გამო, რომ ასეთ ულამაზო ქალაქში მოხვდა. აქვეა მერის შენობის დამამშვენებელი ბრინჯაოს ორი ლომის დაწვრილებითი აღწერილობა, აგრეთვე უდარდელი მსჯელობა იმის გამო, რომ ქალაქში ხეები არ არის, სახლები უშნოა და ქალაქი სულელურადაა დაგეგმილი. შიგადაშიგ ტარუ ურთავს ქუჩებსა თუ ტრამვაიში ყურმოკრულ დიალოგებს, თანაც ერიდება ყოველგვარ კომენტარს და მხოლოდ ერთი ასეთი საუბრის გამო, ვიღაც კამპს რომ ეხება, გამოთქვამს თავის აზრს.

- კამპს ხომ იცნობდი, — ამბობდა ერთი მათვანი.
- აბა კამპი? მაღალ-მაღალი, შავულვაშა?
- სწორედ ეგა, მეისრედ რომ მუშაობდა.
- მახსოვს.
- ჰოდა, მოკვდა.
- ოჭო! როდის?
- ვირთხების შემოსევის შემდეგ.
- რაო, რა სჭირდა?
- რა ვიცი, ციებ-ცხელება ჰქონდაო. თანაც ვერ იყო ჯანიანი. იღლიებში სიმსივნეები გაუჩნდა და ვერ გადაიტანა.
- სხვებზე უძლური რომ არა ჩანდა...
- მაგას სუსტი ფილტვები ჰქონდა, თანაც ორფეონის ორკესტრში უკრავდა. სულ რომ საყვირს უბერო, ძალა გამოგელევა.
- ჰოო, — დაასკვნა მეორემ, — როცა ავად ხარ, რა დროს საყვირის ბერვაა.

შემდგომ ამისა ტარუ ეკითხებოდა თავის თავს, რატომ შევიდა კამპი ორფეონში, როდესაც ეს აშკარად მავნებელი იყო მისთვის, ან რამ აიძულა სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო საკვირაო აღლუმების გულისფვისო.

ტარუზე კიდევ, როგორც ჩანს, საამო შთაბეჭდილება დატოვა ერთმა პატარა სცენამ, მისი ფანჯრის პირდაპირ მდებარე აივანზე ხშირად რომ თამაშდებოდა. მართლაც, ტარუს ოთახი გადასცემეროდა ერთ შესახვევს, საღაცედლების ჩრდილში კატებს ეძინათ. მაგრამ ყოველდღე, ნასაუზმევს, როცა შთელი ქალაქი დასიცხული თვალებდა, ქუჩის ვადალმა, აივანზე გამოჩნდებოდა ხოლმე ჩია ბერიკაცი, ჭაღარა, კოპწიად დავარცხნილი თმით, მკაცრი და გაჭვიმული, სამხედრო ყაიდის ტანსაცმელში გამოწყობილი. კატებს უხმობდა ქედმალურად და თან დაყვავებით: „ფისო, ფისო!“ კატები მიაპყრობდნენ ძილისგან გაუფერულებულ თვალებს, მაგრამ ადგილიდან არ იძროდნენ. მაშინ მოხუცი ნაკუწ-ნაკუწ ხევდა ქალალდის ფურცელს და ქუჩაში ყრიდა. თეთრი პეპლების გუნდი იზიდავდა კატებს, ისინი გამოდიოდნენ შეუა ქუჩაში და გაუბედავდა იწვდიდნენ თათს ქალალდის ნაკუწებისაკენ. მაშინ მოხუცი,

რაც ძალი და ლონე ჰქონდა, აფურთხებდა კატებს და ერთი ნაფურთხიც რომ მოხვედროდა მიზანს, გულიანად იცინოდა.

დაბოლოს, როგორც ჩანს, ტარუ მთლად მოხიბლა ქალაქის კომერციულმა იერმა, გამოცოცხლებამ და გასართობებმაც კი, რომლებიც, არ უნდა, ისევ და ისევ სავაჭრო ინტერესებით გახლდათ ნაკარნახევი. ეს უცნაურობა (წიგნაკში სწორედ ეს სიტყვაა ნახმარი) ტარუს მოწინებას აჩვენას ურებდა და ერთ-ერთი საქებარი. ჩანაწერი ასეთი სიტყვებითაც კი შემატებულია: „აი თურმე რა!“ მხოლოდ ეს ადგილებია, სადაც მოგზაურის ამ პერიოდის შენიშვნებს თითქოს პირადული იერი დაჭრავთ. მათი სილრმისა და მნიშვნელობის ხელალებით შეფასება ძნელია. როცა გვიამბობს, რომ მკვდარი ვირთხის დანახვამ ანგარიშში შეცდომა დაშვებინა სასტუმროს მოლარეს, ტარუ ჩვეულებრივზე ნაკლებ გარკვეული ხელით მიაწერს: „კითხვა: რა მოვიმოქმედოთ, რომ ტუუილად არ დავკარგოთ დრო? პასუხი: სრულად შევიცნოთ მისი ხანგრძლივობა. საშუალებანი: მთელ დღეს მაგარ სკამზე ვისხდეთ კბილის ექიმის მისალებში; კვირა ნაშუადლევი გავატაროთ აივანზე; მოვისმინოთ მოხსენებანი ვაუგებარ ენაზე; ავირჩიოთ ყველაზე მოუხერხებელი სარკინიგზო მარშრუტები და, ცხადია, ფეხდგომელი ვიმოგზაუროთ; ჩავდგეთ თეატრის სალაროს რთვში, ბილეთი კი არ ავიღოთ და სხვ“. მაგრამ ამ სიტყვიერ და აზრობრივ გადახვევათა შემდეგ წიგნაკში იწყება ჩვენი ქალაქის ტრამვაების დაწვრილებითი აღწერილობა. საუბარია მათ მაქოსებურ ფორმაზე, გაურკვეველ ფერსა და ჩვეულ ჭუჭუზე. ეს მსჯელობანი მთავრდება შენიშვნით: „საუცხოოა“, რაც არაფერს განმარტავს.

უოველ შემთხვევაში, ტარუს უბის წიგნაკებში ნახსენებია ვირთხების ამბავი. აქ მოგვყავს მისი სიტყვები:

„დღეს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები მოხუცი უგუნებოდა. კატები ალარ ჩანან. სულ მთლად გაქრნენ, გალიზიანებულნი მკვდარი ვირთხებით, რომელთაც მრავლად პოულობენ ქუჩებში. არა მგონია, კატებმა ჭამა დაუწყონ მკვდარ ვირთხებს. მახსოვს, ჩემს კატებს ეზიზლებოდათ ისინი. მაინც ეტყობა, სარდაფებში დაშლიგინობენ, მოხუცი კი უგუნებოდა. ისე კოპწიად ალარ არის დავარცხნილი და არც უწინდებურად გაჭგიმულია. ემჩნევა, რომ გულს ნალველი შემოსწოლია. წუთით გამოვიდა და ისევ შევიდა, მაგრამ სანამ შევიდოდა, ერთხელ მაინც გადააფურთხა ქუჩაში.

დღეს ქალაქში გააჩერეს ტრამვაი, რადგან შიგ, კაცმა არ იცის, საიდან, მკვდარი ვირთხა აღმოჩნდა. ორი-სამი ქალი მაშინვე ჩამოვიდა. ვირთხა გადააგდეს. ტრამვაი ისევ დაიძრა.

ჩვენი სასტუმროს ლამის დარაჯმა, რომელიც სანდო კაცი ჩანს, მითხრა: ისეთი წინათგრძნობა მაქვს, ვირთხები კარგს არაფერს უნდა გვიქადდნენ. „როცა ვირთხები ტოვებენ ხომალდს...“ მე მოვუჭერი, ეგ ხომალდებზეა თქმული, ქალაქებსაც თუ მიესადაგება, ჯერ არ შეუმოწმებიათ-მეთქი. მაინც თავისაზე იდგა, ვკითხე, ნეტა რა უბედურებაა-მეთქი მოსალოდნელი. არ ვიცი, მაგის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მითხრა პასუხად და დასინა, არ გამიკვირდება, ყოველივე მიწისძვრით რომ დამთავრდესო. მეც მხარი ავუბი, შესაძლებელია-მეთქი და მკითხა, ეს ამბავი ხომ არ გაწუხებთო.

— ერთადერთი, რაც მაინტერესებს, — მივუგე მე, — სულიერი სიმშვიდის მოპოვებაა.

მშენივრად გამივო.

ჩვენი სასტუმროს რესტორანში მეტად საინტერესო ოფახის ნახვა შეიძლება. მამა მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია, შავებში გამოწყობილი, გახამებული საყელო უკეთია, კინკრიხო გამელოტებია, ხოლო საფეხქლებთან კიდევ შემორჩენია ჭალარა თმა. პატარა, მრგვალი, მკაცრი თვალები, თხელი ცნობილი და სიფრიფანა ტუჩები ზრდილ ბუს იმსგავსებს. მუდამ პირველი ტენის დანართის კარს, მერე განზე დგება, წინ უშვებს შავი თაჭკვავები ტენის მეუღლეს და თავადაც შემოდის. ფეხდაფეხ პატარა გოგო-ბიჭი მოჰყვება, რომლებიც გაწვრთნილი ძალებივით არიან ჩატარები. მაგიდასთან რომ მივა, ელის, სანამ ცოლი დაჭდება, მერე ჭდება თვითონ და ახლა ორ გოშიასაც შეუძლია სკამზე დაცუცქება. მეუღლესა და ბავშვებს თქვენობით მიმართავს, ცოლს თავაზიანი საყვედურებით ავსებს, შვილებს კი შეუვალი ტონით ტუქსავს:

— ნიკოლ, დღეს უაღრესად აუტანელი ხართ!

გოგონა მზადაა ატირდეს. მამასაც ეს უნდა.

დღეს დილით ვირთხების ამბავმა ააფიქრიავა ბიჭი, მოუსცენრად იყო, უნდოდა ერთი-ორი სიტყვა ეთქვა სუფრაზე.

— სუფრასთან ვირთხებზე ლაპარაკი არაა მიღებული, ფილიპ. დღეიდან გიკრძალავთ მაგ სიტყვის წარმოთქმას.

— მამათქვენი მართალია, — კვერი დაუკრა შავმა თაგვმა.

ორმა გოშიამ ცხვირი ჩარგო სალაფივში, ხოლო ბუმ ცოლს მაღლობა გადაუხადა თავის უაზრო კანტურით.

ამ სანიმუშო მაგალითისდამიუხედავად, მთელ ქალაქს ვირთხები იქერია პირზე. გაზეთიც კი ჩაერია. ადგილობრივი ქრონიკა, რომელიც ჩვეულებრივ ჭრელზე ჭრელია, ახლა მთლიანად მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას აქვს დათმობილი: „ფიქრობენ კია ჩვენი ქალაქის მესვეურები, რა საშიშროებას გვიქადის მღრღნელთა გახრწნილი ლეში?“ სასტუმროს დირექტორს აღარ შეუძლია სხვა რამეზე ლაპარაკი. ხუმრობა საქმეა რესპექტაბელური სასტუმროს ლიფტში ვირთხების პოვნა? ეს ხომ ყელის გამოჭრაა მისთვის. მე დასამშვიდებლად ვუთხარი: ყველა ხომ ასეთ დღეშია-მეთქი.

— სწორედ ეგაა, რომ ახლა ჩვენთანაც ისეა, როგორც ყველგან.

მანვე მიამბო უცნაური ციებ-ცხელების პირველ შემთხვევებზე, ყველას რომ აშფოთებს. სასტუმროს ერთ-ერთი დამლაგებელი ქალი უკვე დაავადდაო ამ სენით.

— მაგრამ, როგორც ჩანს, სენი გადამდები არ არის, — სასწრაფოდ დასძინა მან.

მე ვუთხარი, ჩემთვის ამბა მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი.

— ა! მესმის, თქვენ, ბატონო ჩემო, ჩემსავით ყოფილხარი, ჩემსავით ფატალისტი.

მე არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამს და არცა ვირ ფატალისტი. ასედაც ვუთხარი...“

ამ დღიდან მოყიდებული ტარუს უბის წიგნაკები უფრო დაწვრილებით გვიამბობენ იმ უცნაური ხურვების ამბავს, რომელმაც უკვე შეაშფოთა ხალხი. იქ, სადაც მოგვითხრობს, რომ ვირთხების გაქრობასთან ერთად კატები კვლავ დაუბრუნდნენ ჩია მოხუცს და ისიც მოთმინებით უდარაჯებს დასაფურთხებ-

ლად, ტარუ დასძენს, უკვე ცნობილი გახდა ხურვების ათიოდე შემთხვევა, რომელთაც სიკვდილი მოჰყვაო.

დაბოლოს, დოკუმენტად შეიძლება ჩავთვალოთ ტარუს მიერ დახატული ექიმ რიეს პორტრეტიც. რამდენადაც მთხრობელს შეუძლია განსაჯოს, იგი საკმაოდ სანდოა.

„ოცდაოთხუთმეტი წლისა ჩანს. საშუალო ტანისაფრთხოებიანი, აქვს თითქმის ოთხუთხა სახე, მუქი, ჯიქურ მომზირალი თვეჭლებზე, მისღალი ცვრი-მალები, დიდი, სწორი ცხვირი და ძალიან მოკლედ შეკრეპილი შავი თმა. მორკალული, სქელი ტუჩები თითქმის მუდამ მოკუმული აქვს. ოდნავ წააგავს სიცილიელ გლეხს გარუჭული სახით, შავი თმა-წვერითა და მუქი ფერის ტან-საცმლით, ისე რომ შვენის.

ჩქარი სიარული იცის. ისე ჩამოდის ტროტუარიდან, რომ ფეხი არ შეეშლება, მაგრამ სამიდან ორ შემთხვევაში ოდნავ შეხტება ხოლმე, როცა მოპირდაპირე ტროტუარზე ადის. საჭესთან დაბნეულია და ხშირად მიმართულების ისრებს ჩართულს ტოვებს, თუმცა უკვე მოუხვია. მუდამ თავშიშველი დადის. ეტყობა, საჭმის მცოდნე კაცია“.

ტარუს მოტანილი ციფრები ზუსტი იყო. ექიმმა რიემ ეს კარგად იცოდა. კონსიერეის გვამის იზოლაციის შემდეგ თავად დაურეკა რიშარს, ამ საზარდულის ავადმყოფობაზე რომ შექვითხოდა.

— არაფერი მესმის ამ ამბისა, — გამოუტყდა რიშარი. — უკვე ორი ავადმყოფი მომიკვდა, ერთი — ორმოცდარვა საათში, ხოლო მეორე — სამ დღეში, მას კი იმ დილას, სანახავად რომ მივედი, უკეთესობა ეტყობოდა.

— შემატყობინეთ, თუ სხვა შემთხვევებიც იყოს, — სთხოვა რიემ.

მერე კიდევ რამდენიმე ექიმს დაურეკა. გამოყითხვამ ცხადყო, რომ რამდენიმე დღეში ოცამდე მსგავსი შემთხვევა მომხდარიყო. თითქმის ყველას სიკვდილი მოჰყოლოდა. მაშინ რიემ სთხოვა რიშარს, როგორც ორანის ექიმთა ცაზოგადოების მდივანს, ახლად დაავადებულთა იზოლაცია მოეხდინათ.

— მე არაფერი შემიძლია, — უთხრა რიშარმა, — ზომები პრეფექტურამ უნდა მიიღოს. მაინც რამ გაფიქრებინათ, რომ გადადების საშიშროება არ-სებობს?

— რამ და ძლიერ საშიში სიმპტომებია.

მაგრამ რიშარმა განუცხადა, სამაგისო რწმუნება არა მაქვს, ერთადერთი, რაც შემიძლია, ისაა, რომ პრეფექტს მოველაპარაკოო.

სანამ მოლაპარაკება წარმოებდა, ამინდი იირია. კონსიერეის სიკვდილის მეორე დღეს ცა სქელი ლრუბლით დაიფარა. ქალაქს თავს დაატყდა ხანმოკლ, დელგმა. ამ მოულოდნელ თავსხმას ხვატი მოჰყვა თვით ლაუვარდისფერმა ზღვამაც კი დაკარგა მუქი ცისფერი; მოლრუბლული ცის ქვეშ ვერცხლისა თუ რკინისფრად ბზინავდა და სასტიკად ჭრიდა თვალს. ამ გაზაფხულის ნოტიო სითბო ზაფხულის პაპანაქებას მოგაგონებდათ. ზეგანზე ლოკოკინასავით მოკალათებული, ზღვისაკენ ოდნავ გახსნილი, დაღვრემილი ქალაქი გარინდულიყო. გრძელ, შეღესილ კედლებშუა, მტვრიან ვიტრინებს შორის, უამისფერ ყვითლად შეღებილ ტრამვაებში ადამიანები თავს ცის პატიმრებად გრძნობდნენ. მხოლოდ ექიმ რიეს მოხუცი პაციენტი მისცემოდა ლხენას: ასთმა ასეთ ამინდში აღარ აწუხებდა.

— აცხუნებს, — ამბობდა იგი. — ბრონქებისათვის მისწრებაა.

მართლაც აცხუნებდა, მაგრამ არც ციებ-ცხელება იყო ნაკლებად მწველი. მთელ ქალაქს მოსდებოდა ცხელება: ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება თან სდევდა ექიმ რიეს იმ დილით, როცა ფედერბის ჭრისაც მიღებისადა, რათა დასწრებოდა ოქმის შედგენას კოტარის თვითმკვლელობის განზრახვის გამო. მაგრამ გაიფიქრა, რა სისულელეა, ყველაფერი ნურჯული გადალილობისა და მოზღვავებული საზრუნავის ბრალია, თავი უნდა მეტყველოს ხელში და აზრი მოვიკრიბოო.

ადგილზე რომ მივიდა, კომისარი ჭერ არ მისულიყო. გრანი კიბის ბაქანზე ელოდებოდა. გადაწყვიტეს, ჭერ მასთან შესულიყვნენ და კარი ლია დაეტოვებინათ. მერიის მოსამსახურე გრანს მეტად ლარიბულად მოწყობილი ორი ოთახი ეჭირა. თვალში გეცემოდათ მხოლოდ ხის შეუღებავი თარო, ზედ გამწკრივებული რამდენიმე ლექსიკონი და შავი დაფა, რომელზედაც ნახევრად წაშლილ სიტყვებს — „აყვავებულ ხეივნებს“ ამოიკითხავდით. გრანის თქმით კოტარს ლამე კარგად ეძინა, მაგრამ თავის ტკივილით გამოეღვიძა და არაფრის არაქათი აღარ ჰქონდა. გრანი დალლილი და ძარღვებაშლილი ჩანდა, ოთახში ბოლოთას სცემდა, ხსნიდა და ხურავდა დაწერილი ფურცლებით სავსე, სქელ საქალალდეს, მაგიდაზე რომ იდო.

მან უამბო ექიმს, თუმცა კარგად არ ვიცნობ კოტარს, მაგრამ ვფიქრობ, მცირე რამ ქონება უნდა ჰქონდესო ისიც დააყოლა, უცნაური კაცია, დიდი ხანია ჩემს მეზობლად დგას, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება კიბეზე შეხვედრისას მისალმებით თუ ამოიწურებაო.

— მხოლოდ ორჯერ ვესაუბრე. ამ რამდენიმე დღის წინ კიბის ბაქანზე ცარციანი კოლოფი დამივარდა და წითელი და ლურჯი ცარცის ნაჭრები გადმომიცვივდა. ამ დროს კოტარი გამოვიდა ბაქანზე და ცარცის აკრეფა მიშველა. შემეკითხა, რისთვის ხმარობენ სხვადასხვა ფერის ცარცსო...

გრანს აუხსნია მისთვის, ლათინურის განსენებას ვცდილობ, ლიცეუმის შემდეგ ბევრი რამ გადამავიწყდაო.

— მარწმუნებენ, ლათინური ძალიან გვშველის ფრანგული სიტყვების აზრის უკეთ გაგებაშიო, — მიუბრუნდა იგი ექიმს.

ამიტომაც დაუწყია დაფაზე ლათინური სიტყვების წერა. ლურჯი ცარცით სიტყვების ის ნაწილები გამოჰყავდა, რომლებიც ბრუნვის ან ულლების დროს იცვლება, ხოლო წითლით — უცვლელი ნაწილები.

— არ ვიცი, გამიგო თუ ირი კოტარმა, მაგრამ, ისე მეჩვენა, რომ დაინტერესდა და წითელი ცარცის ერთი ნაჭერი მთხოვა. მე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს... აბა რას წარმოვიდგენდი, რომ ცარცი თავისი განზრახვის შესასრულებლად დასჭირდებოდა.

რიე შეეკითხა, მეორედ რაზე ლაპარაკობდითო. მაგრამ ამ დროს კომისარი მოვიდა მდივნის თანხლებით და ჭერ გრანის ჩვენების მოსმენა მოინდომა. ექიმმა ყურადღება მიაქცია, რომ კოტარზე ლაპარაკისას გრანი მას მუდამ „სასოწარევეთილს“ უწოდებდა. ერთხელ ასეც კი თქვა: „საბედისწერო გადაწყვეტილებაო“. დაიწყეს გამორკვევა იმისა, თუ რამ აიძულა კოტარი დღე მოესწრაფებინაო. გრანი უჩვეულო სიფრთხილით არჩევდა გამოთქმებს. ბოლოს შეჩერდნენ სიტყვებზე „პირადი უსიამოვნებანი“. კომისარმა იკითხა,

ხომ არაფერი ემჩნეოდა ქცევაში ისეთი, რაც კოტარის „გადაწყვეტილებას“ ფარდას ახდიდაო.

— წინა სალამოს კარზე დამიკაკუნა, — უპასუხა გრანმა, — და ასანთი მთხოვა. ერთი კოლოფი მივეცი. ბოლიში მომიხადა და დასძინდა, რომ მეზობლობაში... მერე დამპირდა, დაგიბრუნებთო. მე ვუთხარი, რა საჭიროა-მეთქი.

კომისარმა ჰქითხა გრანს, კოტარის ქცევა უცნაურად, ხომ არ მოგეჩვენათო.

— მეუცნაურა, თითქოს ბაასის გაბმას ცდილობდა, მაგრამ მე სწორედ სამუშაო მქონდა.

გრანი მიუბრუნდა ექიმს და შემკრთალი გამომეტყველებით დასძინა:

— პირადი სამუშაო.

კომისარმა ავადმყოფის ნახვა მოინდომა, მაგრამ რიემ უთხრა, საამისოდ ჯერ კოტარის მომზადებაო საჭირო. ექიმი ოთახში შევიდა, ავადმყოფმა, რომელსაც რუხი ფანელის პერანგი ეცვა, ლოგინში წამოიწია და შეშფოთებულმა კარისაკენ გაიხედა.

— პოლიციაა? — იკითხა.

— დიახ, — უპასუხა რიემ, — ნუ ღელავთ, ორიოდე ფორმალობა და თავს დაგანებებენ.

მაგრამ კოტარმა მიუგო, ეგ არაფერს მიშველის, თანაც არ მიყვარს პოლიციაო. რიეს მოუთმენლობა დაეტყო.

— არც მე მეხატება გულზე, მაგრამ სწრაფად და ამომწურავად უნდა ვასცეთ პასუხი შეკითხვებზე და ამით გავათაოთ.

კოტარი გაჩუმდა და რიემ კარს მიაშურა, მაგრამ პატარა კაცმა მაშინვე დაუძახა და როდესაც ექიმი საწოლთან მივიდა, ხელებზე წაეტანა:

— მითხარით, ექიმო, ხომ არ შეიძლება ავადმყოფი დაუკავონ, ანდა ის აღამიანი, ვინც თავის ჩამოხრიობა სცადა?

რიემ ერთხანს უყურა და მერე აღუთქვა, ასეთ რასმე არც არავინ გიპირებთ, თანაც, ექიმი აქ იმისთვისაა, რომ თავისი ავადმყოფი დაიცვასო. კოტარს გულზე ეფონა და რიემ კომისარი შემოიყვანა.

კოტარს გრანის ჩვენება წაუკითხეს და ჰქითხეს, შეგიძლიათ თუ არა თქვენი საქციელის მიზეზები აგვიხსნათო. ავადმყოფმა უთხრა, „პირადი უსიამოვნებანი“ ზედგამოჭრილი ნათქვამიაო. კომისარი ჩატვივდა, კვლავ ხომ არ ჩაიდენთ ასეთ რასმესო. კოტარი გამოცოცხლდა და მიუგო, არა და არა, ახლა კი მხოლოდ ისა მსურს თავი დამანებონ და მომასვენონ.

— უნდა მოგახსენოთ, — იწყინა კომისარმა, — ჯერჯერობით თქვენ უკარგავთ მოსვენებას სხვებს.

მაგრამ რიემ თვალი უქნა და კომისარმაც შეწყვიტა ყველრება.

— ეჭ, — ამოიოხრა კომისარმა გამოსვლისას, — უამისოდაც ბევრი თავში საცემი საქმე. გვაქვს, მას აქეთ, რაც ამ ხურვებაზე ლაპარაკობენ.

მერე შეეკითხა, ექიმო, მართლა სერიოზულად არის საქმეო. მაგრამ რიემ უპასუხა, ვერაფერს გეტყვითო.

— სულ ამ ამინდის ბრალია ყველაფერი, — დაასკვნა კომისარმა.

ეტყობა, მართლაც ამინდის ბრალი იყო. დღის ბოლოსათვის რიე თავს ვერაფერს აბამდა, რასაც კი არ შეახებდა ხელს, თითქოს ზედ ეწებებოდა და გრძნობდა, რომ ყოველ ვიზიტთან ერთად ბოლმა ემატებოდა. იმავ სალამოს,

გარეუბანში, სნეული მოხუცის მეზობელი პირქვე დამხობილიყო, აბოდებდა და აღებინებდა. მას გაცილებით უფრო დიდი სიმსივნეები ჰქონდა, ვიღრე რის კონსიერეს. ერთი მათგანი დაჩირქებოდა და მალე გადაიშალა დამპალი ნა- უოფივით. შინ რომ დაბრუნდა, რიემ დაურეკა დეპარტამენტის მფლიქაშენტე- ბის საწყობს. ექიმის იმდღევანდელ ჩანაწერებში მხოლოდ ისაა აღნიშნული, უარყოფითი პასუხი მივიღეო: წამით არ ჰქონდა მოსვენება. მაგრა სასტუკი ეძახდნენ ამ: სენით დავადებულებთან. მალე ცხადი გახდა, რომ სამსახურების გაკვეთი იყო საჭირო. ქირურგიული დანის ორი ჯვარედინი დასმა და სიმსივნი- დან ინთხეოდა სისხლარეული თხრამლი. გატანჯული ავადმყოფები სისხლად იღვრებოდნენ. მუცელზე და ფეხებზე ლაქები უჩნდებოდათ, სიმსივნეებიდან ღლარ სდიოდათ ჩირქი, მაგრამ შემდეგ ისევ უსივდებოდათ. უმეტეს შემთხვე- ვაში ავადმყოფი კედებოდა საშინელ სიმყრალეში.

პრესა, რომელმაც ვირთხების გამო ერთი ამბავი ატეხა, ახლა კრინტს აღარ ძრავდა. ვირთხები ხომ ქუჩაში კვდებიან, ყველას დასანახად, ადამიანები კი თავიანთ სახლებში იხოცებოდნენ. გაზეთებს კი მხოლოდ ქუჩა აინტერესებთ. თუმცა პრეფექტურა და მუნიციპალიტეტი შეფიქრიანდნენ. სანამ თითოეული ექიმის პრაქტიკაში სულ რაღაც ორი-სამი შემთხვევა იყო ამ გაურკვეველი და- ავადებისა, ყურიც არავის შეუბერტყავს. მაგრამ ვილაცას აზრად მოუვიდა შე- ეჭამებინა ყველა ეს შემთხვევა, რაც საკმარისი გახდა, რომ მთელი ქალაქი შეშფოთებას მოეცვა. სულ რამდენიმე დღეში სიკვდილიანობამ იმატა და მათ- თვის; ვისაც ამ უცნაურ სენიან ჰქონდა საქმე, ცხადი შეიქნა, რომ ეს ნამ- დვალი ეპიდემია იყო. სწორედ ეს მომენტი შეარჩია კატელმა, რიეზე გაცი- ლებით ხნიერმა ექიმმა, თავის კოლეგასთან რომ მისულიყო.

— თქვენ, რასაკვირველია, უკვე იცით, რაც არის ეს? — ჰქითხა მან რიც.

— ანალიზების შედეგებს ვუცდი:

— მე კი ვიცი. ამიტომ არავითარი ანალიზები არ მჭირდება. ერთხანს ვმუ- შაობდი ჩინეთში, გარდა ამისა, რამდენიმე შემთხვევა პარიზშიაც მინახავს, ოციოდე წლის წინათ, მაგრამ მაშინ ვერ გამოდეს ამ სენისათვის ნამდვილი სახელის დარქმევა. საზოგადოებრივი აზრი ხომ წმიდათაწმიდაა: პანიკა ნუ იქნება, ოღონდ პანიკა ნუ იქნება. და თანაც, ერთი ჩვენი ქოლეგისა არ იყოს: „ეს შეუძლებელია. ყველამ იცის, რომ დასავლეთში ეს სენი მოისპო“. დიახ, ჩველამ იცოდა, გარდაცვლილთა გარდა. თავს ნუ იტყუებთ, რიე, თქვენ ჩემსა- ვით კარგად უწყით, რაც არის ეს!

რიე საგონებელში იყო ჩავარდნილი. თავისი კაბინეტის ფანჯრიდან გა- დაცემეროდა კლდოვან ქედს, რომელიც ნაპირს მიუჟვებოდა და უბეს კეტავდა. ცა, თუმცა ლურჯი იყო, მწუხრის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მკრთალად ბზინავდა.

— დიახ, კასტელ, ძნელი დასაჭერებელია, მაგრამ როგორც ეტყობა, ეს შავი ჭირია.


კასტელი ადგა და კარისაკენ გაემართა.

— მოგეხსენებათ, რას გვიპასუხებენ, — თქვა მოხუცმა ექიმმა, — „ეგ სენი მრავალი წლის წინათ გაქრა ზომიერი ჰავის ქვეყნებში“.

— რას ნიშნავს, გაქრაო? — მხრების აჩეჩით წარმოთქვა რიემ.

— დიახ, და არ დაგავიწყდეთ, პარიზშიც ვნახე ამ თითქმის ოცი წლის წინათ.

— რა გაეწყობა. იმედი გვქონდეს, რომ ამჯერაც იმაზე სასტიკი არ იქნება, რაც მაშინ იყო. მაგრამ ეს ხომ მართლაც დაუჭერებელია.

სიტყვები „შავი ჭირი“ ეს-ეს არის, პირველად წარმოითქვა  მოთხოვნის ამ ადგილას, სანამ ბერნარ რიე თავის ფანჯარასთან გარინდებული, მთხოვნის ნება უბოძეთ, მკითხველის თვალში გაასამართლოს ექიმის მეტრ და განცვიფრება, რადგან მისი პირველი რეაქციაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ჩვენი თანამოქალაქეთა უმრავლესობისა. სტიქიური უბედურება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თავსაც რომ დაგატყდება, ძნელად თუ ირწმუნებ კაცი. მსოფლიომ უამიანობის იმდენი შემთხვევა იცის, რამდენი ომიც გადადენია. მაგრამ შავი ჭირიცა და ომებიც მოულოდნელად აცხრება თავს ადამიანებს. ექიმ რიესთვისაც ანაზღეული იყო ეს ამბავი, ისევე, როგორც სხვა ორანელებისათვის და მისი ეჭვებიც ამით აიხსნება. ამითვე აიხსნება ის ამბავი, რომ ექიმი წუხდა და ამავე დროს იმედსაც ვერ შეღებდა, როდესაც ომი იფეთქებს ხოლმე, ადამიანები ამბობენ: „ომი დიდხანს ვერ გასტანს, ეს ხომ აშკარა სისულეელეა“. ეჭვი არაა, რომ ომი მართლაც დიდი სისულეელეა, მაგრამ ეს არ აფერხებს მის მსვლელობას. სისულელე მუდამ გამძლეა, ეს ადგილი შესამჩნევი იქნებოდა, ადამიანი ყოველთვის თავის თავზე რომ არ ფიქრობდეს. ამ მხრივ არც ჩვენი თანამოქალაქენი იყვნენ გამონაკლისნი, მათაც თავის თავის გარდა არაფერი აგონდებოდათ, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუმანისტები იყვნენ: უბედურებისა არ სჯეროდათ. ადამიანი დიდ უბედურებას ვერ ეთვისება, ამიტომ თავს ირწმუნებს, უბედურება არარეალურია, ეს ცუდი სიზმარია და ქარს გაჰყენებათ. მაგრამ იგი ყოველთვის როდი ქრება, სამაგიეროდ ცუდ სიზმრებს შორის ქრებიან ადამიანები, თანაც, უპირველეს ყოვლისა, პუმანისტები, რადგანაც ისინი სიფრთხილეს არად მიიჩნევენ. ამ მხრივ ჩვენი თანამოქალაქენიც სხვაზე მეტად როდი სცოდავდნენ. მათ, უბრალოდ, მოკრძალება დაავიწყდათ და ფიქრობდნენ, ჩვენთვის ჯერ ყველაფერი შესაძლებელიათ, ეს კი, აფიქრებინებდათ, თავს უბედურება რომ დაგვატყდეს, შეუძლებელიათ. ისინი განაგრძობდნენ საქმეების გარიგებას, ემზადებოდნენ სამოგზაუროდ და არ გადადიოდნენ საკუთარ მრწამსს. ან კი როგორ ეფიქრათ შავ ჭირზე, რომელიც სპობს მომავალს, მიმოსვლასა და კამათს? თავი თავისუფლად მიაჩნდათ, მაგრამ ვერავინ ეზიარება თავისუფლებას, სანამ არსებობს ამგვარი უბედურებანი.

მას შემდეგაც კი, რაც რიემ მეგობრის წინაშე აღიარა, ქალაქში გაბნეული ათეულობით ავადმყოფი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჭირმა იმსხვერპლაო, მისთვის საფრთხე მაინც არარეალური რჩებოდა. უბრალოდ, ექიმებს სხვაზე უკეთ წარმოუდგენიათ, რა არის ტანჯვა და სხვაზე ცოტა მეტი წარმოსახვის უნარიცა აქვთ. რიე გასცემოდა ფანჯრიდან თავის ნირშეუცვლელ ქალაქსა და ალბათ ვერც გრძნობდა, თუ როგორ ებადებოდა გულის სილრმეში მომავლისადმი ჩდნავი ზიზლი, რომელსაც ჩვეულებრივ, შეშფოთებას უწოდებენ. ცდილობდა, მეხსიერებაში კი მხოლოდ ამოუტივტივდა და გაახსენდა, რომ ისტორიაში ცნობილმა უამიანობის ოცდაათმა დიდმა ეპიდემიამ ას მილიონამდე კაცი გამოასალმა წუთისოფელს. მაგრამ რა არის ასი მილიონი კაცის სიკედილი? ომგამოვლილსაც კი გიჭირს თუნდაც ერთი ადამიანის სიკვდილის

წარმოდგენა. და ვინაიდან ადამიანის სიკედილი მხოლოდ მაშინ გზაფრავს, როდესაც მას უშუალოდ ხედავ, ისტორიის მანძილზე გაფანტული ასე მიღიონი გვამი კვამლივით იფანტება წარმოდგენაში. ექიმს გაახსენდა უამიანობა კონსტანტინოპოლიში, რომელიც, პროკოპის ცნობით, დღეში ათი ათას კაცს ივლებდა მუსრს. ათი ათასი მკედარი დიდი კინოთეატრის ხუთეჭყატულის შექადგენს. თვალსაჩინოებისათვის ხუთი კინოთეატრიდან გამოსულია უამიანობა შეგვეკრიბა, წიგვესხა ქალაქის მთავარ მოედანზე და ერთად დაგვეხოცა. მაშინ ამ უსახო ხროვის ნაცვლად ნაცნობი სახეების წარმოდგენა მაინც შეგვეძლებოდა. მაგრამ, ცხადია, ამის განხორციელება შეუძლებელია, თანაც ვინ იცნობს ათი ათას კაცს სახეზე? ესეც არ იყოს, ცნობილია, რომ პროკოპისთანა ადამიანებმა თვლა არ იცოდნენ. კანტონში სამოცდაათი წლის წინათ შავმა ჰირმა ორმოცი ათასი ვირთხა გაელიტა, სანამ ადამიანებს მისწვდებოდა, მაგრამ 1871 წელს შეუძლებელი იყო ვირთხების ზუსტად დათვლა. მიახლოებით ანგარიშობდნენ, ამრგვალებდნენ, თანაც, ეჭვი არ უნდა, ცდებოდნენ. ისე კი, ერთი ვირთხა ოცდაათი სანტიმეტრი სიგრძისაა, ორმოცი ათასი მკვდარი ვირთხა ერთ ხაზზე რომ გავამწერივოთ, გამოვა...

მაგრამ აქ უღალატა ექიმს მოთმინებამ. ძალიან გაუტია, ეს კი არამც და არამც არ შეიძლებოდა. რამდენიმე შემთხვევა ჯერ კიდევ ეპიდემია არ არის და საკმარისი იქნება გამაფრთხილებელი ზომების მიღება. რაც ვიცით, იმას უნდა ჩავებლაუჭოთ: სხეული შეშდება და პროსტრაცია ეუფლება, თვალები უწითლდება, ალებინებს, თავის ტკივილი სტანჯავს, ბუბონები უჩნდება, წყურვილი ახრანბს, ბოდავს, ლაქებს აყრის ტანზე... სხეული თითქოს შიგნიდან ეგლიგება და ბოლოს... აქ ექიმს გაახსენდა ერთი წინადაღება, რომლითაც მთავრდებოდა სახელმძღვანელოში სიმპტომების ჩამოთვლა: „მაჯა ძლივსლა ფეთქავს და სულ მცირე მოძრაობაც კი სიკვდილს იწვევს“. დიახ, ადამიანის სიცოცხლე ბეჭვზე ჰქიდია, თან ზუსტი გამოანგარიშებით ავადმყოფთა სამი მეოთხედი იმდენად მოუთმენელი აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამ საბედისწერო მოძრაობისაგან თავს ვერ იყავებს.

ექიმი ისევ ფანჯარაში იყურებოდა. მინის იქითა მხარეს გაზაფხულის კრიალა ცა იყო, აქეთ კი, ოთახში, ჯერ კიდევ უღერდა სიტყვები: „შავი ჭირი“. ეს სიტყვები მარტო მეცნიერულ განსაზღვრას კი არ შეიცავდა, არამედ უჩვეულო სურათების გრძელ წყებასაც, რომელიც არ შეესაბამებოდა ამ ყვითელსა და ნაცრისფერ ქალაქს, საკმაოდ გამოცოცხლებული რომ იყო საღამო ხანს, მაგრამ კი არ ხმაურობდა, ზუოდა მხოლოდ და ბეღნიერი იერი ჰქონდა, თუ შეიძლება, რომ ქალაქი ერთსა და იმავ დროს ბეღნიერიც იყოს და მოქუფრულიც. ასეთი მშვიდობიანი და უდრტვინველი სიწყნარე თითქმის გაუჭირებლად უარპყოფდა გარდასულ უბედურებათა სურათებს: ჭირმოდებულ ათენს, ფრინველებმაც რომ მიატოვეს, მდუმარე; სულთმობრძავი ადამიანებით სავსე ჩინეთის ქალაქებს, მარსელელ კატორლელთ, ორმოებში რომ ჰყრიდნენ გახრწნილ გვამებს, პროვინციების დიდი კედლის მშენებლობას, კედლისა, რომელსაც გზა უნდა შეეკრა შავი ჭირის მძვინვარე შემოტევისათვის, იაფელ საზიზლარ გლახაკებს, კონსტანტინოპოლის ქსენონთა ნესტიან, დამპალ ქვეშაგებს, ზედ მიწურ იატაკზე რომ ეყარა, ავადმყოფთ, ფიწლებით რომ მიათრევდნენ, ჭირიანობის დროს ნიღბოსანი ექიმების მასკარადს, მილანის სასაფლაოზე ცოცლად დარჩენილების რიალს, შიშით შეპყრობილი ლონდონის ქუჩებში გვა-

მებით დატვირთულ ურმებს, როცა ყველგან, უოველოვის, დღისითაც და ლა-
მითაც ადამიანების გაბმული კვნესა მოისმოდა. არა, უოველივე ამას ჯერ არ
შეეძლო ბოლო მოელო იმდღევანდელი სიმშვიდისათვის, მინის იქმთა მხარეს
უცებ გაიწერიალა უჩინარმა ტრამვაიმ და ერთ წამში გააქრო მყაცრი სინამ-
დვილე და ტკივილი. მხოლოდ სახლების ულიმდამო საჭიროა მდგრადი კიდეს-
თან გაწოლილი ზღვა მოწმობდა, რომ ამქვეყნად კიდესჭირებული მშფოთ-
ვარე და დაუდგრომელი. და ექიმი რიეც, რომელიც ზღვის უბეს გასცეროდა,
ფიქრობდა ლუკრეციუსის მიერ ნახსენებ კოცონზე, ჭირიანობის დროს ათე-
ნელები რომ ანთებდნენ ზღვის პირას. დამლამობით აქ მოჰყავდათ მკვდრები,
მაგრამ სანაპირო აღარ ჰყოფნილათ მიცვალებულებს და ცოცხლები მაშხლე-
ბით ებრძოდნენ ერთმანეთს, რათა მათთვის საყვარელ ადამიანებისათვის მოე-
პოვებინათ აღგილი კოცონზე, სამქვდრო-სასიცოცხლო შერკინება ერჩიათ
ნეშტის უპატრონოდ მიტოვებას. ძნელი არ იყო წარმოგედგინა ალისფერი კო-
ცონები, შვეიდი, ჩაბნელებული ზღვის პირას, ნაპერწკლებით ატკრციალებულ
ლამეში მაშხალებით ბრძოლა და სქელი, მოწამლული ბოლი, დინჯად მოყუ-
რადე ცისკენ რომ მიიწევდა... თავზარი დაგეცემოდა...

მაგრამ ამ თავზარდაცემას სალი მოსაზრება აქარწყლებდა. მართალია,
სიტყვა „შავი ჭირი“ უკვე ითქვა, მართალია, სენმა სწორედ იმ წამსაც შეი-
წირა ერთი-ორი მსხვერპლი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გვიან შეეჩერე-
ბინათ იგი. უპირველეს ყოვლისა, საშური გახლდათ შეცნობა იმისა, რაც შე-
საცნობი იყო, მერე — ამ უსარგებლო აჩრდილების განდევნა და სათანადო ზო-
მების მიღება. აი მაშინ კი მოისპობოდა შავი ჭირი. ადამიანს ხომ არ ძალუს
მისი წარმოდგენა, ანდა მცდარად წარმოუდგენია იგი. თუკი მოისპობოდა, ეს
კი ალბათ ასეც იქნებოდა, ყოველივე კარგად წარიმართებოდა, თუ არადა,
შევიტყობდით მაინც, რას წარმოადგენდა იგი და იმასაც გავიგებდით, ხომ არ
შეიძლება, ჯერ შეეგუო მას, რათა შემდგომში გაუმკლავდე.

ექიმმა ფანჯარა გამოალო და ქუჩის ხმაური ერთბაშად შემოიჭრა. მეზო-
ბელ სახელოსნოდან მოდიოდა მექანიკური ხერხის ხანმოკლე და ხშირი წი-
ვილი. რიე გარინდებიდან გამოერკვა. აი, ეს ყოველდღიური შრომა იყო ყვე-
ლაზე სარწმუნო. სხვა დანარჩენი კი ბეჭვზე ჰეტიდია და უმნიშვნელო მოძ-
რაობაზეა დამოკიდებული. ბეჭვს კი ვერ მოეკიდები. მთავარია, კარგად აკე-
თო შენი საქმე.

ექიმი რიე ამ ფიქრებში იყო გართული, როცა უოზეფ გრანის მოსვლა
აუწყეს. გრანი თუმცა მერიაში მსახურობდა და ათასნაირი დავალება ჰქონ-
და, დროდადრო სტატისტიკური ცხრილის შედგენას ავალებდნენ. ახლა იგი
სიკვდლიანობის შემთხვევათა შეჯამებას ახდენდა. მოხელე ბუნებით ხათრიანი
კაცი იყო და სიამოვნებით დათანხმდა, ბ-ნ რიეს ჩემს გამოანგარიშებათა ას-
ლებს მე თვითონ მივუტანო.

გრანთან ერთად მისი მეზობელი კოტარიც უახლა ექიმს. გადააბიჯა თუ
არა ზღურბლს, მოხელემ ჭალალდის ფურცელი ააფრიალა.

— ციფრები მატულობს, — მოახსენა ექიმს, — ორ ლევში თერთმეტი
კაცი გარდაიცვალა.

რიე მიესალმა კოტარს და მოიკითხა. გრანმა აუხსნა, რომ კოტარს სურ-

და ექიმისათვის მაღლობა გადაეხადა და შეწუხებისათვის მოებოდიშებინა. მაგრამ რიე უკვე სტატისტიკურ ფურცელს ათვალიერებდა.

— რას იზამ, — თქვა რიემ, — იქნებ დადგა იმის დროც, რომ სუნთ/თავისი სახელი დავარქვათ. ისედაც დიდხანს ვიტყუებდით თავს. წამომყევით, ლაბორატორიაში ვარ მისასვლელი.

— დიახ, დიახ, — იმეორებდა გრანი და კიბეზე ჩამავალ უქიმში შისლევდა, — საგნებს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ. მაინც რა პქვია მაგ ავადმყოფობას?

— არ შემიძლია გითხრათ, ან კი რაში გამოგადგებათ?

— ხომ ხედავთ, — გაელიმა მოხელეს, — ეს არც ისე იოლი ყოფილა.

საჭურვლის მოედნისაკენ გაემართნენ. კოტარი სულ დუმდა. ქუჩები ხალხით ივსებოდა. ხანმოკლე ბინდი — ჩვენში მხოლოდ ხანმოკლე ბინდი იცის — უკვე გზას უთმობდა ლამის სიბნელეს, ჯერ კიდევ განათებულ ჰორიზონტზე კი პირველი ვარსკვლავები აკიაფდნენ. რამდენიმე წამის შემდეგ ქუჩებში ანთებულმა ლამპიონებმა დააბნელეს მთელი ცა და ჭალაქში დასადგურებული გუგუნიც გაძლიერდა.

— მაპატიეთ, — თქვა გრანმა, საჭურვლის მოედნის კუთხეს რომ მიაღწიეს, — მე ტრამვაით წავალ. ჩემი საღამოები ხელშეუხებელია. ჩვენში ამბობენ, დღევანდელ საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებო...

გრანი მონტელიმარელი იყო და რიემ კარგა ხანია მიაქცია ყურადღება, რომ თავისი მხარის ანდაზების ხმარება სჩვეოდა, თან ისეთ გაცვეთილსა და უცნობი წარმოშობის გამოთქმებს დააყოლებდა ხოლმე, როგორიცაა „ზღაპრული ამინდი“, ან „ფეერიული განათება“.

— ეგ მართალია, — ჩაილაპარაკა კოტარმა, — ნასაღილევს მაგას შინიდან ვერ გამოიყვან.

რიე შეეკითხა გრანს, მერიისათვის ხომ არ მუშაობთო. არა, ჩემთვისო, მიუგო გრანმა.

— აა! — წაილაპარაკა რიემ, უფრო იმიტომ, რომ რამე ეთქვა, — მერედა, საქმე თუ მიღის?

— ამდენი წელია ვმუშაობ და მაშ როგორ იქნება! თუმცა, მეორე მხრივ, პროგრესი არც ისე დიდია.

— მაინც რას აკეთებთ? — პკითხა ექიმმა და შეჩერდა.

გრანმა რაღაც წაიბურტყუნა და ყურებამდე ჩამოფხატულ მრგვალ ქუდს დაუწყო წვალება. რიე გუმანით მიხვდა, რომ საქმე პიროვნების სრულქმნას ეხებოდა. მაგრამ მოხელე უკვე გასცლოდა მათ და მოკლე, აჩქარებული ნაბიჯით მარნის ბულვარის ფიკუსების ხეივანს მიჰყვებოდა. ლაბორატორიის გართან კოტარმა უთხრა ექიმს, რომ ძალიან უნდოდა მისი ნახვა რჩევის სათხოვნელად, რიემ, რომელიც ჭიბეში აწვილებდა სტატისტიკურ ფურცელს, შესთავაზა, მობრძანდით საკონსულტაციოდ, მაგრამ მერე გადათქვა და უთხრა, ხვალ თქვენს უბანში მომიწევს ყოფნა და საღამო ხანს შემოგივლითო.

კოტარს რომ დაემშვიდობა, ექიმმა შენიშნა, რომ გრანზე ფიქრობდა. წარმოიდგინა იგი უამიანობის დროს, მაგრამ არა ახლანდელი უამიანობისა, რომელიც, როგორც ჩანს, ძლიერი არ იქნება, არამედ ისტორიაში ცნობილი შავი კირის ერთ-ერთი დიდი ეპიდემიის დროს. „ეს კაცი იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვისაც შავი ჭირი შეიბრალებს ხოლმე“. ექიმს გაახსენდა, რომ სადღაც წაეკით-

ხა, შავი ჭირი უმთავრესად მაგარი აგებულების ადამიანებს სპობს, სუსტები კი გადაურჩებიან. მან გაიფიქრა, ეტყობა, გრანს პატარა საიდუმლო უნდა ჰქონდეს.

ერთი შეხედვით უოზეფ გრანი მხოლოდ მერიის წვრილი მოხელე იყო და ქცევაც მოხელისა ჰქონდა. გამხდარსა და აწოწილს ტანსაცემლი მუდამ ხალვათად ადგა ტანზე, თითქოს ზედ ეკიდა, რადგან ყოველთვის დიდი ზომისას ყიდულობდა, ვინძლო უფრო დიდხანს გამიძლოსო. ქვედა ყბაზე კიდევ შერჩენოდა რამდენიმე კბილი, ზედაზე კი ერთიც აღარ ჰქონდა. გალიმებისას ზედა ტუჩი ძალზე მაღლა ეწეოდა და პირი მოჩვენებას მიუვავდა. ყოველივე ამას თუ სემინარისტის მიხრა-მოხრას, კედელ-კედელ სიარულს, კარებში შეუმჩნევლად გასხლტომის ჩვევას, სარდაფისა და კვამლის სუნს, და უმნიშვნელო, პატარა კაცის ჩვევებს დავუმატებთ, დაგვეთანხმებით, რომ შეუძლებელი იყო, ეს კაცი სხვაგვარად წარმოგვედგინა, თუ არა საწერ მაგიდასთან მჯდომარე, რომელიც ქალაქის აბანოებისა და საშხაპეების ტარიფს ამოწმებდა, ანდა ახალგაზრდა საქმის მწარმოებელს უმზადებდა მასალას მოხსენებისათვის, ნაგვის გატანის ახალ ფასებს რომ ეხებოდა. თვით უველაზე მიუდგომელი დამკვირვებელიც კი იმას გეტყოდათ, გრანი იმისთვის გაჩნდა ამჭვეუნად, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის დროებითი თანაშემწის უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საჭირო დავალებანი აღასრულოს, რაშიაც სამოცდაორ ფრანქსა და ოცდაათ სანტიმს უხდიან უოველდლიურადო.

მართლაც, გრანისავე თქმით, სწორედ ასეთი განსაზღვრა ეწერა მისი პირადი საქმის გრაფაში „კვალიფიკაცია“. როდესაც ოცდაორი წლის წინათ, ლიცენციატის ხარისხის მიღების შემდეგ, უფულობის გამო გრანმა თავი ანება სწავლას და ამ თანამდებობას დათანხმდა, მას, როგორც თავად ამბობდა, სწრაფ „დაწინაურებას“ შეპპირდნენ. გრანს ევალებოდა მხოლოდ საკმაო უნარი გამოეჩინა ისეთ ფაქიზ საკითხებში, რომლებიც წამიოჭრებოდა ხოლმე ჩვენი ქალაქის მართვის დროს. შემდეგში კი, როგორც არწმუნებდნენ, საქმეთა მწარმოებლის თანამდებობა არ ასცდებოდა, რაც ხელვაშლილი ცხოვრების საშუალებას მისცემდა. რასაკვირველია, პატივმოყვარეობა კი არ ამოქმედებდა უოზეფ გრანს, ამის თავდები მისი ნაღვლიანი ლიმილი გახლდათ, არამედ პატიოსანი შრომით მოპოვებული უზრუნველყოფილი ცხოვრება ხიბლავდა, რაც საშუალებას მისცემდა სინდისის ქენჭნის გარეშე მიეყო ხელი საყვარელი საქმისათვის. თუკი დათანხმდა შემოთავაზებულ ადგილს, მხოლოდ კეთილშობილ განზრახვათა გამო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული იდეალის ერთგულების გულისათვის.

უკვე მრავალი წელი იყო, რაც ეს დროებითი ვითარება გრძელდებოდა. ცხოვრება უსაშველოდ გაძვირდა, გრანის ხელფასი კი, თუმცა რამდენიმეჭერ საერთო მომატება წავიდა, მაინც უმნიშვნელო იყო. მოხელემ შესჩივლა რიეს, ეტყობა, ამას არავინ აქცევსო ყურადღებას. აქ შეიმჩნევა გრანის ორიგინალობა, ან, უკიდურეს შემოხევევაში, მისი ხასიათის ერთი ნიშან-თვისება. მას მართლაც შეეძლო თავისი უფლებების შეხსენებით თუ არა, რომლებშიაც მთლად დარწმუნებული არ გახლდათ, დაპირებაზე დაყრდნობით მაინც მოეთხოვა კუთვნილი, მაგრამ ჯერ ერთი, განყოფილების უფროსი, ვინც იგი მიიღო სამსახურში, დიდი ხანია მომკვდარიყო, თანაც მოხელეს ზუსტად ვერ გაეხსე-

ნებინა, შეპირება რა სიტყვებით იყო გამოთქმული. დაბოლოს, რაც მთავარია, უოზეფ გრანს ვერ შეერჩია სათანადო სიტყვები.

რიეს დაკვირვებით სწორედ ეს თავისებურება ახასიათებდა უვალაზე მეტად ჩვენს მოხელეს. ეს უშლიდა ხელს, რომ განცხადება დაწერა, რაზედაც დიდი ხანი იყო ფიქრობდა ან სხვა რამ ნაბიჯი გადაედგა გარემოებისტების შესაბამისად. გრანს თუ ვერწმუნებით, მას განსაკუთრებით უჭირდა ზიტყვა „უფლების“ დაწერა, რაკი თავადაც არ იცოდა, ზუსტად რას ნიშნავდა ეს ცნება. ვერ ბედავდა ვერც „დაპირების“ ხმარებას, რომელიც გულისხმობდა, რომ იგი კუთვნილს მოითხოვდა და მის საქციელს გაბედულს დაამსგავსებდა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის დაბალ თანამდებობას. მეორე მხრივ, არაფრთ არ უნდოდა ეხმარა სიტყვები: „კეთილგანწყობა“, „შუამდგომლობა“, „მაღლობა“, რადგან საკუთარი ადამიანური ლირსებისათვის სათაკილოდ მიაჩნდა. ჰოდა, რახან ზუსტ გამოთქმებს ვერ პოულობდა, ჩვენი უკავ საქმაოდ ხანში შესული თანამოქალაქე თავის უმნიშვნელო სამსახურს სჯერდებოდა. თუმცა, როგორც თვითონ ეუბნებოდა ექიმ რიეს, დიდ ხელმოკლეობას არ განიცდიდა, რაკი შეძლო თავის მოთხოვნილებათა შეფარდება საარსებო წყაროსთან. ამგვარად გრანი სამართლიანიდ მიიჩნევდა, ჩვენი ქალაქის მსხვილი ჰრეწველისა და მერის საყვარელ გამოთქმას, რომ ბოლოს და ბოლოს (იგი განსაკუთრებით ამ სიტყვას აწვებოდა, როგორც მსჯელობის საფუძველს), არავის უნახავს, ვინმე შიმშილით მომკვდარიყოს. ასეა თუ ისე, ასკეტურმა ცხოვრებამ მართლაც გაუქარწყლა ამგვარი წუხილი. იგი კვლავ შესაფერისი სიტყვების ძებნას განაგრძობდა.

შეიძლება ითქვას, რომ მისი ცხოვრება გარკვეული აზრით მართლაც სამაგალითო იყო. გრანი იმ მეტად იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც არასოდეს არ აშინებთ თავიანთი კეთილი გრძნობების გამელავნება. მართლაც, ის მცირედიც კი, რასაც საკუთარ თავზე ყვებოდა, მოწმობდა მის სიკეთესა და გულშიარობას, რომელთა აღიარებასაც ვერ ბედავენ ჩვენს დროში. არ წითლდებოდა იმის გამო, რომ უყვარდა დისწულები და, ერთადერთი ახლობელი ადამიანი, რომელიც შერჩა და რომელსაც საფრანგეთში მოინახულებდა ხოლმე ორ წელიწადში ერთხელ. იგი გამოუტყდა რიეს, რომ ჭერკიდევ მისი სიყმაწვილის უამს გარდაცვლილი მშობლების მოგონება ახლაც გულს სტკენდა. არც იმას უარობდა, რომ მათ უბანში ყველაზე მეტად ერთი ზარი უყვარდა, რომელიც წყნარად ჩამორეკდა ხოლმე საღამოს ხუთ საათზე. მაგრამ როდესაც ასეთ უბრალო საფნებზე ლაპარაკობდა, დიდი გაჭირვება და ადგებოდა ხოლმე, რადგან საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. ბოლოს ეს სიძნელე მთავარ საღარდებლად ექცა. „ოჰ, ექიმო, ნეტა საკუთარი აზრების გამოხატვა შემაძლებინა!“ რიესთან ყოველი შეხვედრის დროს ჩამოაგდებდა ხოლმე ამაზე ლაპარაკს.

ამ საღამოს, მიმავალ მოხელეს რომ გაადევნა თვალი, ექიმი ერთბაშად მიხვდა: ალბათ წიგნს წერს, ან სხვა რამ ამის მსგავსს აკეთებსო. ცოტა გულს ეფონი და ასე მიაღწია ლაბორატორიამდე. ექიმმა იცოდა, უახრობა იყო, მაგრამ რატომლაც არ სჯეროდა, რომ შავი ჭირი შეიძლება დასტყდომოდა ქილაქს, რომელშიაც ცხოვრობენ კეთილშობილი მანიით შეპყრობილი უბრალო მოხელეები. უფრო ზუსტად, არ იცოდა რა ადგილი მიეჩინა ამგვარი მა-

ნიისათვის უამიანობის დროს და ამიტომ ასე დაასკვნა, პრაქტიკულად ჩვენს ქალაქში შავი ჭირი ფეხს ვერ მოიკიდებსო.

მეორე დღეს, დიდი დაუინების შემდეგ, რომელიც ბეჭრს /უადგილოდ მოეჩვენა, რიემ თავისი გაიტანა და პრეფექტურას სანქტ-პეტერბურგი კომისიის სხდომა მოაწევევინა.

— მართალია, მოსახლეობა შფოთავს, — ალიარა რიშარმა, — თან არც მითქმა-მოთქმას აქვს ბოლო. პრეფექტმა მითხრა: თუ გნებავთ, სწრაფად ვამოქმედოთ, მაგრამ ჩუმადო; დარწმუნებულია, რომ განგაში ტყუილადა გვაქვს ატეხილი.

ბერნარ რიემ მანქანაში ჩაისვა კასტელი და პრეფექტურას მიაშურეს.

— იცით თუ არა, რომ დეპარტამენტში შრატი არ მოგვეპოვება? — შეეკითხა კასტელი.

— ვიცი. საწყობში დავრეკე. დირექტორმა პირი დააღმ. პარიზიდან უნდა გამოვიწეროთ.

— იმედია, არ დაგვიგვიანებენ.

— მე უკვე ვუდეპეშე, — უთხრა რიემ.

პრეფექტს თავაზიანად ეჭირა თავი, მაგრამ ნერვიულობდა.

— დავაწყოთ, ბატონებო, — თქვა მან, — მოგახსენოთ თუ არა მოკლედ საქმის ვითარება?

რიშარისათვის რომ გეკითხათ, ეს ზედმეტი იყო. ექიმებმა ისედაც იცოდნენ, რა ამბავი ტრიალებდა ქალაქში. საკითხავი ის გახლდათ, რა ზომები უნდა ეხმარათ.

მოხუცმა კასტელმა უხეშად გააწყვეტინა:

— საკითხავი ისაა, მართლა შავი ჭირია თუ არა.

ორი თუ სამი ექიმი სახტად დარჩა. სხეები, ეტყობა, ყოყმანობდნენ. ოც შეეხება პრეფექტს, იგი შეკრთა და ანგარიშმიუცემლად მიბრუნდა კარისაკენ, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, ხომ არ გაიჭრა ეს საშინელი სიტყვები გარეთო. რიშარმა განაცხადა, შიშმა თავგზა არ უნდა აგვირიოს, ეტყობა, ხურვებისთან გვაქვს საქმე და მის გართულებებთან საზარდულის არეში; მხოლოდ ამის თქმა შეიძლება, ჰიპოთეზები კი მეცნიერებაშიც მუდამ ისევე სახიფათოა, როგორც ცხოვრებაშით. მოხუცმა კასტელმა, ჩაყვითლებულ ულვაშს, რომ იკვნეტდა, ნათელი თვალები მიაპყრო რიეს .შემდეგ გულმოწყალად მოავლო თვალი იქ შეკრებილთ და განაცხადა:

— მე შესანიშნავად ვიცი, რომ შავი ჭირი მოგვადგა კარზე, მაგრამ ეს რომ ოფიციალურად ვაღიაროთ, რასაკვირველია, ულმობელი ზომების მიღება მოგვიხდება... ისიც კარგად მომეხსენება, რომ ჩემს კოლეგებს სწორედ ეს ათაულებთ უკან დაიხიონ და მეც, მათ დასამშვიდებლად შემიძლია დავუშვი, რომ ეს სენი შავი ჭირი არ არის.

პრეფექტი აცმუტდა და შესძახა, ასეა თუ ისე, თვით მსჯელობის მიმღინეობა არაა მართებული.

— მთავარი ის კი არ არის, — შეესიტყვა კასტელი, — მართებული თუ არა მსჯელობის მსვლელობა, არამედ ის, რომ გულისხმაში ჩაგვაგდოს.

ვინაიდან რიე დუმდა, თქვენი აზრიც გვითხარითო, სთხოვეს.

— ტიფოზური ხასიათის ხურვებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ბუბო-

ნები და პირის ლებინება ახლავს. რამდენიმე ბუბონი გავკვეთე და ამგვარად საშუალება მომეცა გადმონთხეული სითხე საანალიზოდ გადამეცა. ჭრის ჩენილი ბაცილა ლაბორატორიაში შავი ჭირის ბაცილად შეიცნეს, თუმცა ხეზუსტე მოითხოვს, ისიც ითქვას, რომ ამ ბაცილას ზოგიერთი სპეციფიური ცვლილებანი განუცდია და კლასიკურ ალტერილობას არ ემთხვევა.

რიშარმა ხაზგასმით აღნიშნა, ეს გარემოება ეჭვს ბადუბს და აშენებოლო დღეებში დაწყებული ანალიზების სერიის სტატისტიკურ შედეგებს მაინც უნდა დაველოდოთ.

— როცა მიკრობს შეუძლია სამი დღის განმავლობაში ოთხჯერ გაზარდოს ელენთის მოცულობა, — თქვა რიემ მცირე დუმილის შემდეგ, — ლიმფური ჭირკვლები ფორთონხლისოდენა გახადოს და ფაფისნაირი მასით აავსოს, საყოფანო ალარაფერია. ინფექციის კერათა რიცხვი იზრდება. თუ სენი ასეთი ტემპებით გავრცელდა და ვარ შევაჩერეთ, ორი თვეც არ მოუნდება, რომ ნახევარი ქალაქი იმსხვერპლოს. ამგვარად, არსებითად არც ისეთი მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ — შავ ჭირსა თუ ხურვების, მთავარია, შევაფერხოთ და არ მოვასპობინოთ ნახევარი ქალაქი.

რიშარი თვლიდა, საჭირო არ გახლავთ ფერების გამუქება, იქნებ სენი გადამდებიც არ არის, რაკი გარდაცვლილთა ოჯახის წევრები სალ-სალამათნი არიან.

— მაგრამ სხვები ხომ დაიხოცნენ, — შენიშნა რიემ. — ცხადია, სენი უვილას არ ედება, თორემ ვეღარაფერი შეაკავებდა და ქალაქიც თვალის დასამებაში გაუკაცურდებოდა. ფერების გამუქებას აქ არავინ ცდილობს. გვინდა გამაფრთხილებელი ზომები ვიხმაროთ.

რიშარმა შეაჭამა სხდომის შედეგები და შეახსენა დამსწრეთ, რომ ავადმყოფობის შესაჩერებლად, თუკი თავისით არ შეჩერდა, მკაცრი პროფილაქტიკური ზომების მიღება იქნება საჭირო, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული; ხოლო საამისოდ მოგვიწევს ოფიციალურად ვცნოთ, რომ შავი ჭირი მოგვადგა კარს, მაგრამ რაკი ამაში მთლად დარწმუნებული არა ვართ, აერ კიდევ დაფიქრება გვმართებსო.

— საყითხავი ის კი არ არის, — მიუგო რიემ, — მკაცრია თუ არა კანონით გათვალისწინებული ლონისძიებანი, არამედ ის, თუ რამდენად აუცილებელია მათი გამოყენება იმისათვის, რომ ნახევარი ქალაქი სიკვდილს გამოვტაცოთ კლანებიდან. დანარჩენი ადმინისტრაციის საქმეა. და შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამგვარი საკითხების მოსაგვარებლად ნიშნავს ჩვენი კანონი პრეცედტს.

— ეჭვს გარეშეა, — კვერი დაუკრა პრეფექტმა, — მაგრამ მაშინ ოფიციალურად უნდა აღიაროთ, ქალაქში შავი ჭირი მძვინვარებსო.

— ჩვენ რომც არ ვაღიაროთ, — უთხრა რიემ, — ის მაინც განადგურებით ემუქრება ნახევარ ქალაქს.

რიშარი, ცოტა არ იყოს, გაგულისებული ჩაერია:

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს კოლეგას სჯერა შავი ჭირის ეპიდემიისა. სინდრომის მისეული ალტერილობა ამას მოწმობს.

რიემ უპასუხა, მე სინდრომი არ ალმიწერია, ალვწერე ის, რაც თავად ვნახეო. ვნახე ბუბონები, ლაქები, ხურვება, რომელიც ორ დღეში სპობს ავადმყოფს. განა თქვენ, ბატონო რიშარ, ძალგიძთ საკუთარ თავზე აიღოთ პასუ-

ნისმებლობა და ამტკიცოთ, ეპიდემია სასტიკი პროფილაქტიკური ზომების გარეშეც შეწყდებაო?

რიშარს ყოყმანი დაეტყო, მერე რიეს შეხედა და უთხრა:

— გულწრფელად. მითხარით, რას ფიქრობთ, დარწმუნებული / ხართ, ნამდვილად შავი ჭირია?

— თქვენ სწორად არა სვამთ საკითხს . აქ საჭმეს სიტუაცია ჩრდილი წყვეტს, არამედ — დრო.

— თქვენის აზრით, — უთხრა პრეფერტიმა, — შავი ჭირიც რომ არ იყოს, მაინც უნდა მივმართოთ იმ პროფილაქტიკურ ლონისძიებათ, რომლებიც უამი-ანობისთვისაა გათვალისწინებული?

— თუ მაინც გსურთ აზრი მათქმევინოთ, ჩემი აზრი სწორედ ეგ იქნება.

— ექიმებმა მოითათბირეს და ბოლოს რიშარმა დაასკვნა:

— ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვიკისროთ პასუხისმებლობა და ისე ვი-მოქმედოთ, თითქოს უამიანობა მოგვდგომოდეს კარს.

ასეთ ფორმულირებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი.

— თქვენც იმ აზრისა ხართ, ძვირფასო კოლეგი? — ჰკითხა რიშარმა რიეს.

— ფორმულირებას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, — მიუგო რიემ, — ოღონდ ისე არ უნდა მოვიქცეთ, თითქოს ნახევარ ქალაქს სიკვდილი არ ემუქ-რებოდეს, თორემ მუქარა აგვიხდება.

რიე გავიდა და უველანი გალიზიანებული დატოვა. სულ რამდენიმე წუ-თის შემდეგ კი შემწვარისა და შარდის სუნით აქოთებულ გარეუბანში სენი-საგან განაწამები ქალი, რომელსაც ბუბონებიდან სისხლი სდიოდა, შემოა-ჩერდა თვალებში.

თათბირის მეორე დღეს ხურვებამ კიდევ იმატა. ამ ამბავს გაზეთებშიაც კი წერდნენ, მაგრამ გაყვრით, თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყოს. კიდევ ერთი დღის შემდეგ რიემ პატარ-პატარა თეთრი განცხადებები ნახა, რომლე-ბიც პრეფერტურას ნაჩერევად გაეკრა ქალაქის ყველაზე მივარდნილ კუნძუ-ლებში. ამ განცხადებებიდან კაცი ვერ გაიგებდა, ესმოდათ თუ არა ხელისუ-ფალთ, რა მძიმე იჯო შექმნილი მდგომარეობა. ლონისძიებანი არ იყო მაინც-დამაინც სასტიკი. კაცი იფიქრებდა, ხელისუფლება მზად არის ბევრი რამ ანაც-ვალოს საზოგადოებრივი აზრის სიმშვიდესო. განკარგულების შესავალ ნა-წილში ნათქვამი იყო, რომ ორანის კომუნაში რეგისტრირებულ იქნა მომაკვ-დინებელი ხურვების რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ იმის თქმა, გადამდები გახ-ლდათ თუ არა სენი, ჯერ ნაადრევი იყო. ეს თითო-ოროლა შემთხვევა საკმა-რისად ნიშანდობლივი არ არის, რომ განგაში ივტეხოთ და იმედია, მოსახლე-ობა შეძლებს სიმშვიდის შენარჩუნებასო. მაგრამ პრეფერტმა სიფრთხილის მიზნით მაინც მიიღო რაღაც ზომები. თუკი ორანელები მათ ჯეროვნად გაი-გებენ და დაუყოვნებლივ შეასრულებენ, ეპიდემიის საშიშროება თავიდან აცდე-ნილი იქნებაო. ამიტომ პრეფერტს წამითაც კი არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მო-ქალაქენი ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ, რათა ერთგულად დახმარებოდნენ ქალაქის მესვეურთ.

შემდეგ განცხადებაში ლაპარაკი იყო ზოგად ლონისძიებებზე, მათ რიც-

ხვში ვირთხებთან ბრძოლის ლონისძიებებზე, რაც მეცნიერულ საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო. ვირთხების დასახლცად შხამიანი აირები უნდა შეეყვანათ წყალსადინარებში და გულმოდგინე მეთვალყურეობა გაეწიათ წყალმომარაგებისათვის. განცხადება ურჩევდა ორანელებს, დაეცვათ სანიმუშო სისუფთავე და წინადადებას აძლევდა მოქალაქეებს, რომელთაც კრწყიალური წყავდათ, გამოცხადებულიყვნენ ქალაქის დისპანსერში. ამასთანავე, საჯარო მარკა ზემოაღნიშნული სენი თავს იჩენდა, ვალდებულნი იყვნენ განცხადებინათ ეს ამტავი და დათანხმებულიყვნენ ავადმყოფთა იზოლაციაზე საავადმყოფოს ცაგანგებოდ გამოყოფილ პალატებში. ნათქვამი იყო ისიც, რომ ეს პალატები უზრუნველოფილი იყვნენ ყოველივეთი, რათა მინიმალური დროის განმავლობაში ემკურნალათ ავადმყოფისათვის და ყოველნაირად ცდილიყვნენ მის გადარჩენას. რამდენიმე პუნქტი აღნიშნავდა სნეულის ოთახისა და გამოყენებული ტრანსპორტის დეზინფექციის აუცილებლობას. საერთოდ კი ახლობლებს ურჩევდნენ, სანიტარულ ზედამხედველობაზე უარი არ ეთქვათ.

ექიმმა რიემ მსწრაფლ ფერი ზურგი განცხადებას და შინისაეენ გაემართა. უოზეფ გრანმა, კაბინეტში რომ ელოდა, ხელები აიქნია და რაღაცის თქმა დააპირა.

— ვიცი, ვიცი, — უთხრა რიემ, — ციფრები მატულობს.

წინადლეს ქალაქში ათამდე ავადმყოფი გარდაიცვალა. ექიმმა უთხრა ვრანს, ამ საღამოს კოტართან უნდა მივიდე და შეიძლება თქვენც გნახოთო.

— კარგი რამ განვიზრახავთ, — უთხრა გრანმა, — თქვენი ნახვა ნამდვილად არგებს, ძალიან შეცვლილი მეჩვენება.

— რა მხრივ?

— თავაზიანი გახდა.

— წინათ არ ყოფილა?

გრანი შეცვალა. იმის თქმა არ შეეძლო, თითქოს კოტარი უზრდელი ყოფილიყოს, ეს გამოთქმა მართებული არ იქნებოდა. კოტარი ერთობ უკარება და ჩუმი ადამიანი იყო, გარეულ ტახს მოჰვავდა. ოთახი, უბრალო რესტორანი და საკმაოდ საიდუმლოებით მოცული გასეირნება — აი, ამით გახლდათ შემოფარგლული მთელი მისი არსებობა. ოფიციალურად იგი ღვინისა და ლიქიორის ფირმის წარმომადგენელი იყო. ხანდახან ორი-სამი კაცი მოსდიოდა, რომლებიც, ეტყობა, მისი კლიენტები იყვნენ. ხანგამოშვებით, საღამოობით კინოში უყვარდა შესვლა, რომელიც მისი სახლის წინ იყო. გრანმა იმასაც კი მიაქცია ყურადღება, რომ კოტარს, როგორც ჩანს, განგსტერული ფილმები იტაცებდა. მუდამ ეულად დადიოდა და ჭველას მიმართ უნდობლობას იჩენდა. გრანის თქმით ამეებს სულ ბოლო მოელო.

— არ ვიცი, როგორი ვთქვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ადამიანებთან შერიგებას ცდილობს, თითქოს ყველა უნდა გადაიბიროსო. ხშირად გამომელაპარაკება ხოლმე, მთავაზობს ერთად გასეირნებას და მეც ყოველთვის უარს ვერ ვეუბნები. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მეც დამაინტერესა, იქი ბოლოს და ბოლოს, სიკვდილს გამოვტაცე ხელიდან.

რაც თვითმკვლელობა სცადა, კოტართან აღარავინ მისულა. ქუჩაში, ნოქრებთან, ყველგან სიმპათიას დაეძებდა. არავის არასდროს ამდენი გული-

თადობა არ გამოუჩენია მედუქნებთან ლაპარაკის დროს, არავის ასეთი ინტერესით არ მოუსმენია თამბაქოს გამყიდველი ქალისათვის.

— ეს ქალი, — დასძინა გრანმა, — ნამდვილი ასპიტია. კოტარს ეს რომ ვუთხარი, მიპასუხა, ცდებით, მასაც აქვს კარგი თვისებები, ოღონდ ჭათი ამოცნობაა საჭიროო.

დაბოლოს, კოტარმა რამდენჯერმე დაპატიჟა გრანშტატსტერ ქვირფას რესტორნებსა და კაფეებში. ეტყობა, იქაც დაუწყია სიარული.

— აქ ჩინებულად გრძნობ თავს, — უთქვამს გრანისათვის, — თან სასიამოვნო გარემოცვაშიც ხარ.

გრანმა შენიშნა, რომ მომსახურე პერსონალი მეტად თავაზიანად ექცეოდა ლვინის ფირმის წარმომადგენელს და ამის მიზეზიც ამოიცნო, როდესაც ნახა, რა ბევრს უტოვებდა მათ კოტარი „გადასაქრავად“. ჩანდა, რომ ნასიამოვნები იყო ამ ფასად ნაყიდი თავაზიანობით. ერთხელ, როდესაც მეტრდორელმა კარამდე მიაცილა და პალტოს ჩაცმაც უშველა, კოტარმა ასე უთხრა გრანს:

— კარგი კაცია, შეიძლება დამიმოწმოს.

— რა უნდა დაგიმოწმოთ?

კოტარი შეყოყმანდა:

— რომ ცუდი ადამიანი არა ვარ.

ისიც უნდა ითქვას, რომ გუნება სწრაფად ეცვლებოდა ერთხელ, როდესაც მედუქნე სათანადო პატივით არ მოექცა, საშინლად გაბრაზებული დაბრუნდა სახლში:

— არამზადა ეგვი სხვებს არ აჰყოლია! — გაიძახოდა გამწარებული.

— ვინ სხვებს?

— ყველა დანარჩენს.

გრანი საყურადღებო სცენასაც კი შეესწრო თამბაქოს ფარდულში. გაცხოველებულ საუბარში თამბაქოთი მოვაჭრე ქალმა უცბად რატომლაც სავაჭრო კანტორის ერთი ახალგაზრდა მოხელე ახსენა, რომელსაც პლაზე არაბი მოეკლა და დაეპატიმრებინათ. ალფირში იმხანად ყველას ამ მკვლელობის ამბავი ეკერა პირზე.

— ეს ოხრები რომ სულ ერთიანად ციხეში ჩაპყარო, — თქვა ქალმა, — პატიოსანი ხალხი სულს მოითქვამდა...

მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა, კოტარის უეცარი აღშფოთება რომ ნახა. კოტარი დუქნიდან გავარდა ისე, რომ ბოდიშიც არ მოუხდია. გრანი და გამყიდველი ქალი შეცბუნებულები დარჩნენ.

შემდეგში გრანმა კოტარის ხასიათის სხვა ცვლილებებსაც მიაპყრო ყურადღება. კოტარი თავის დღე და მოსწრება ლიბერალური შეხედულებების კაცი იყო. ამის დამადასტურებელი გახლდათ მისი ამორჩეული ფრაზა, „სუსტა ძლიერთან რა გასვლია“. მაგრამ ეს ერთი ხანია, მხოლოდ ორანის მემარჯვენეთა გაზეთს ყიდულობდა და უნებურად აზრი დაგებადებოდათ, ასე ყველას დასანახად განზრახ კითხულობს საზოგადოებრივ ადგილებშით. ლოგინიდან სულ რამდენიმე დღის წამომდგარი იყო, რომ ფოსტაში მიმავალ გრანს სთხოვა: აი ეს ასი ფრანკი ჩემს დას გაუგზავნეთო (ფულს ყოველთვიურად უგზავნიდა თურმე). მაგრამ როდესაც გრანმა წასვლა დააპირა, შეაჩერა:

— ორასი ფრანკი გაუგზავნეთ. გაოცდება და ძალიან გაუხარდება კიდეც.

ალბათ ფიქრობს, სულ დამივიწყაო, ნამდვილად კი ძალიან მიყვარს.

ერთხელაც ყურადსალები ბაასი გააჩალეს. აი მაშინ გრანი იძულებული გახდა თავის საიდუმლო გაემხილა, რაკი კოტარი ჩააცივდა, საომოონით რას საქმიანობთო.

— მაშ, წიგნსა სწერთ? — ჰეითხა კოტარმა.

— აյ ვთქვათ, მაგრამ საქმე უფრო რთულადაა, ვიღულებული ფაქტობთ!

— აქ! — შესძახა კოტარმა, — მეც მინდა მაგ საქმეს მოვკიდო ხელი!

გრანი გაკვირვება დაეტყო და კოტარმა წაიბურტყუნა, ხელოვანისათვის, როგორც ჩანს, ბევრი რამ გაიოლებულია.

— რატომ? — ჰეითხა გრანმა.

— თუნდაც იმიტომ, რომ ხელოვანს მეტი უფლებები აქვს, ვიღორე სხვას. ეს ყველამ იცის. მას მეტი ეპატიება.

— მე მგონი, — უთხრა რიემ გრანი იმ დილით, როცა უნცხალებები გამოაკრეს, — ვირთხების ამბავმა თავგზა აუბნია კოტარს, ისევე, როგორც მრავალ სხვას.

— არა მგონია, ეჭიმო, და თუ ჩემი აზრი გინდათ გაივოთ...

ფანჯრების ქვეშ დერატიზაციის სააგენტოს მანქანამ ჩაიხრიგინა. რიემ მოიცადა, სანამ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდებოდა და შემდეგ გამოტკითხა აზრი. გრანი სერიოზული გამომეტყველებით შესცემეროდა:

— ამ კაცს, — თქვა მან, — რაღაცა ჰქონდნის.

ეჭიმმა მხრები აიჩეჩა. პოლიციის კომისრის თქმისა არ იყოს, სხვა თავში საცემი საქმეც ბევრი ჰქონდა.

ნაშუადლევს რიე ეთათბირა კასტელს. გამოგზავნილი შრატი ჭერ არსად ჩანდა.

— თუმცა გამოგვადგებოდა კი? — იკითხა რიემ, — ეს ბაცილა უცნაურია.

— ო! — შეესიტყვა კამტელი, — მე მაგ აზრისა არა ვარ. ამ ბაცილებს მუდამ თავისებური სახე აქვთ, მაგრამ არსებითად იგივენი არიან.

— თქვენ მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამთ. სინამდვილეში კი არაფერი ვიცით.

— ცხადია, ვვარაუდობ. მაგრამ სხვებიც ჩემს დღეში არიან.

ეჭიმი რიე თანდათან უფრო მეტად გრძნობდა იმ თაებრუსხვევას, რომელიც ყოველთვის დარევდა ხოლმე ხელს, როდესაც შავ ჭირზე იწყებდა ფიქრს. ბოლოს გამოუტყდა თავის თავს, რომ ეშინოდა. ორჯერ შევიდა ხალხით გაშედილ კაფეში. კოტარისა არ იყოს, ისიც ადამიანურ სითბოს დაეძებდა. თავად ეს სისულელედ მიაჩნდა, მაგრამ ამ ფიქრებმა გაახსენეს, რომ ლვინის ფირმის წარმომადგენელთან უნდა შეევლო.

სალამოს რომ მიაკითხა კოტარს, იგი სასადილო ოთახის მაგიდასთან იდგა. მაგიდაზე გადაშლილი დეტექტიური რომანი ედო. კითხვით აღიათ, აღიარ კითხულობდა, რადგან უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო, ეტყობა, წუთით აღრიე ეჭიმის მოსვლამდე ჩაბნელებულ ოთახში იჯდა და ფიქრებში გახლდათ ვართული. რიემ მოიკითხა. კოტარი დაჯდა და წაიბურტყუნა, კარგადა ვარ, მაგრამ უკეთესად ვიქნებოდი, თუ თავს დამანებებდნენო. რიემ შენიშნა, კაცი. მუდამ მარტო ვერ იჭირდა.

— თქვენ ვერ გამოგეთ. მე იმ ადამიანებზე მოგახსენებთ, რომლებსაც მხოლოდ ერთი საფიქროალი აქვთ — რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება მოგაყენონ.

რიე ღუმდა.

— ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს ჩემს თავზე გეუბნებრუდებერ, ამ რომანს ვკითხულობდი. აქ ნაამბობია ვიღაც უილბლო კატელ-შესხებზე ჰამელ-საც ერთ მშვენიერ დილას აპატიმრებენ. ლმერთმა უწყის, რისთვის უთვალთვალებენ, მან კი არაფერი იცოდა. მასზე საუბრობდნენ კაბინეტებში, მისი სახელი ჩაწერილი ჰქონდათ ბარათებში. თქვენ ეს სამართლიანად მიგაჩნიათ? თქვენა გვონით, რომ ვინმეს უფლება აქვს ასე მოექცეს ადამიანს?

— გაუჩნია, — უთხრა რიემ, — ერთი მხრივ, ამის უფლება მართლაც არავისა აქვს. მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი ამბავია. არ შეიძლება სულ კარჩა-კეტილში. იჭრეთ. ხანდახან უნდა გაიაროთ ხოლმე.

კოტარმა გამოიჩინა უთხრა, მაგის მეტს არაფერს ვაკეთებ და თუ საშირო იქნა, მოელი უბანი დამემოწმება, ის კი არადა, უბნის გარეთაც მრავალი ნაცნობა მყავსო.

— ბ-ნ რიგოს თუ იცნობთ, არქიტექტორს? ჩემი მეგობარია.

ოთახში სიბნელე შენივთდა. გარეუბნის ქუჩას გამოცოცხლება დაეტყო. შეების ყრუ შეძახილი გაისმა იმ წუთს, როდესაც ლამპიონები აინთო. რიე აიგანზე გაციდა და კოტარიც უკან მიჰყვა. ისევე, როგორც ყოველ საღამოს, ჩვენი ქალაქის მეზობელი უბნებიდან ნელა მონაქროლ ნიავს თან მოჰქონდა ხმები, შემწევარი ბორცის სუნი და თავისუფლების სასიხარულო და სურნელოვანი ბუბუნი, თანდათან რომ ავსებდა ქუჩას, საღაც ახალგაზრდობა გამოფენილიყო ერიამულით. საღამოს ბინდი, უჩინარი გემების საყვირების გამყივანი ხმა, გუგუნი ზღვისა და გუგუნი ქუჩებს მოდებული ბრძოსი — აი ეს უამი, ოდესლაც ესოდენ საყვარელი, რიეს დღეს დამთრგუნველად მოეჩვენა ყოველივე იმის გამო, რაც უკვე იცოდა.

— შეიძლება სინათლე ჩავრთოთ? — შეეკითხა იგი კოტარს.

ჩართეს. კოტარმა თვალები მოჭუტა კაშკაშა შუქზე და ექიმს შეხედა.

— ერთი ნითხარით, ექიმო, ავად რომ გავხდე, თქვენს განყოფილებაში თუ შიმილებთ?

— რა თქმა უნდა.

მაშინ კოტარმა იკითხა, თუ მომხდარა, რომ კლინიკაში ან საავადმყოფოში მწოლი აკადმიური დაეპატიმრებინოთ. რიემ მიუგო, ზოგჯერ ასეთი რამეც ხდება, მაგრამ მაშინ ავადმყოფის მდგომარეობას ითვალისწინებენ.

— მე, ჩემდა თავად, გენდობით, — უთხრა კოტარმა.

შემდეგ ჰკითხა, ცენტრამდე თქვენი მანქანით ხომ ვერ მიმიუვანთო. ქალაქის ცენტრაში ხალხი უკვე შეთხელებულიყო და ლამპიონებიც აქა-იქლა ბუურავდა. მაგრამ ბავშვები ჯერ კიდევ თამაშობდნენ ჰისტკრების წინ. კოტარის თხოვნით ექიმმა მანქანა ბავშვების გუნდთან გააჩერა. ისინი კლასობანას თამაშობდნენ უივილ-ხივილით. უცებ ერთი მათვანი, სახემოთხუპნული ბიჭუნა, შავი, გადაგლესილი თმა უზადოდ რომ ჰქონდა გადაყოფილი, რიეს მიაჩერდა ნათელი ცვალებით. მისი მზერა კაცს შეაცბუნებდა ექიმმაც თვალები დახარა. კოტარი მანქანიდან გადმოვიდა და ხელი ჩამოართვა ექიმს. ყრუ, ხრინწიანი ხმით ალაპარაკდა, თრიოდეჭერ უკანაც მიიხედა.

- ხალხი რაღაც ეპიდემიაზე ლაპარაკობს, მართალი თუა, ექიმო?
- ხალხი, ბუნებრივია, სულ ლაპარაკობს, — მიუგო რიემ.
- სწორი ბრძანებაა. ათიოდე კაცი თუ მოკვდა, ქვეყნის აღსაკრძალო გვგონია. მაგრამ ჩვენ ეს კი არ გვინდა!

ძრავა აღმუვლდა. რიეს სიჩქარის გადამრთველზე ედო შეტევის ჩაუვ შეხედა ბავშვს, რომელიც მშვიდი და სერიოზული თვალებით შესხერებიდა; უცრად ბავშვმა გაულიმა, ისე, რომ ყველა კბილი გამოუჩნდა. ექიმმა ლიმილითვე უპასუხა, შემდეგ კი კოტარს ჰკითხა:

— მაინც რა გვინდა?

კოტარი უცებ ჩაებლაუჭა მანქანის კარს და სანამ გაიქცეოდა, ცრემლნარევი, ლვარძლიანი ხმით შესძახა:

— მიწისძერა! თანაც მაგარი!

მიწისძერა არ მომხდარა და მეორე დღე რიემ ქალაქის ოთხსავე კუთხეში სირბილს, ავადმყოფების ოჯახებთან მოლაპარაკებასა და თვით ავადმყოფების დარწმუნებას მოანდომა. რიეს არასოდეს ასე ძნელად არ მოსჩვენებია თავისი ხელობა. დღემდე თვითონ ავადმყოფები უმსუბუქებდნენ შრომას, რავი მთლიანად მიენდობოდნენ ხოლმე. ახლა პირველად იგრძნო ექიმმა, რა უნდობლობით ეკიდებოდნენ, თითქოს თავიანთ სნეულებას აფარებდნენ თავს და იქიდან უცქერდნენ გაოცებული, მტრული თვალით. ექიმი ჯერ შეუჩვეველი იყო ამგვარ ბრძოლას. და როცა საღამოს ათრ საათისათვის მანქანა ასთმით სნეული მოხუცის სახლთან გააჩერა, ძლივს აითრია წელი. უნდოდა, რაც შეიძლება, დიღხანს ეცქირა ბნელი ქუჩისათვის და ვარსკვლავებისათვის, რომლებიც ხან ქრებოდნენ, ხან ისევ ენთებოდნენ ბნელ ცაში. ავადმყოფი გაჯგიმული იჯდა ლოგინში. ეტყობა, უკეთ სუნთქვავდა, ბარდას არჩევდა და ერთი თასიდან მეორეში ყრიდა. სახეგაბადრული შეხვდა ექიმს:

— მაშ, მართლა, ქოლერაა, ექიმო?

— ვინ გითხრათ?

— გაზეთში წერია, რაღიოშიაც გამოაცხადეს.

— არა, ქოლერა არ არის.

— მაგრა კი გაბუქეს მავ ჰერცის კოლოფებმა, — თქვა აღგზნებულმა მოხუცმა.

— თქვენც ნუ დაიჯერებთ, — უთხრა ექიმმა.

მოხუცი გასინჯა და იხლა ღარიბული სასადილო ოთახის შუაგულში იჯდა. დიახ, ეშინოდა. იცოდა, რომ სწორედ ამ გარეუბანში ხვალ დილით ათამ-დე ბუბონებიანი ავადმყოფი დაელოდებოდა მის მისვლას. ბუბონების გაკვეთამ მხოლოდ ორ თუ სამ შემთხვევაში მოჰვარა შვება ავადმყოფს. უმეტესობას კი ლაზარეთი ელოდა, ხოლო ექიმმა კარგად იცოდა, რას ნიშნავს ლაზარეთი უპოვართათვის. „არ მინდა ცდები ჩაატარონ მასზე!“ — უთხრა ერთი ავადმყოფის ცოლმა. მაგრამ ცდებს არ ჩაატარებდნენ, საწყალი უბრალოდ სულს განუტევებდა. ცხადზე ცხადი გახლდათ, რომ მიღებული ზომები არ იყო საკმარისი. რაც შეეხება „საგანგებოდ მოწყობილ პალატებს“, ექიმმა მშვენივრად უწყოდა, რაც იყო — სხვა ავადმყოფთაგან სასწრაფოდ დაცლილი, ფანჯრებდაგმანული ორი ფლიგელი, რომელსაც სანიტარული კორდონი ჰქონდა შემოვლებული. თუ ეპიდემია თავისით არ შეწყდებოდა, ამგვარი აღმინისტრაციული ღონისძიებებით მას ვერ შეაჩერებდნენ.

თუმცა საღამოს ოფიციალური ცნობები ისევ ოპტიმისტური იყო. მეორე დღეს ცნობათა სააგენტომ გადმოსცა, რომ პრეფერტურის ლონისძიებებს ხალხი მშეიდალ შეხვდა და რომ უკვე შეატყობინეს ავადმყოფობის /ოცდა-
ათამდე შემთხვევა. კასტელმა რიეს დაურეკა:

— რამდენი საწოლია ფლიგელებში?

უკორენელი
გიგანტის მიერა

— ოთხმოცი.

— ქალაქში, ალბათ, ოცდაათზე მეტი ავადმყოფია?

— ბევრია ისეთი, საავადმყოფოში დაწოლისა რომ ეშინია, და კიდევ უფრო მეტი — ისეთი, ვის შესახებაც უბრალოდ ჯერ ვერ მოუსწრიათ ჩვენთვის შეტყობინება.

— დასაფლავებისას მეთვალყურეობა თუ დაწესეს?

— არა. მე რიშარის დაურეკე და ვუთხარი, ლაპარაკი კი არაა საჭირო, არამედ — გადამჭრელი ღონისძიებანი. ამ ეპიდემიის წინააღმდეგ ნამდვილი ჯებირი უნდა აღვმართოთ, ან სულაც არა ღირს ხელის გამოლება-მეთქი.

— რაო, მერე?

— მიპასუხა, სათანადო რწმუნებულება არა მაქვსო. ჩემი აზრით კი სენი სულ უფრო იმძლავრებს.

და მართლაც, სამი დღის განმავლობაში ორთავ მინაშენი გაივსო. რიშარი გარაულობდა, ერთი სკოლა დაიკეტება და დამატებით საავადმყოფოდ ვაჭცევთო. რიე შრატს ელოდა და ბუბონებს კვეთდა. კასტელმა კი თავისი ძველი წიგნები გამოქექა და საათობით იჯდა ბიბლიოთეკაში.

— ვირთხები შევმა ჭირმა ან სხვა მსგავსმა სენმა გაულიტა, — დაასკვნა მან, — მათ ათასობით რწყილი გაჰქინდეს ქალაქში. ეს რწყილები გეომეტრიული პროგრესით გაავრცელებენ ინფექციას, თუ გზა დროზე არ გადავულობეთ.

რიე დუმდა.

ამ დროისათვის თითქოს ამინდიც გამოკეთდა. უკანასკნელი თავსხმის შემდეგ დარჩენილ გუბეებს მზე აშრობდა. მშვენიერი ლაჟვარდისფერი ცა, ზვითელ სინათლეს რომ აფრქვევდა, და თვითმფრინავების გუგუნი, ცხელ ჰაერში რომ ატანდა, ხალხს უდარდელობისაკენ უბიძგებდა. ამასობაში, ოთხ დღეში, ხურვებამ ოთხი საქვირველი ნახტომი გააკეთა: პირველ დღეს თექვსმეტი კაცი დაიხოცა, მეორე დღეს — ოცდაოთხი, მესამე დღეს — ოცდარვა, მეოთხე დღეს — ოცდათორმეტი. მეოთხე დღეს გამოაცხადეს, რომ დამატებითი საავადმყოფო იხსნებოდა საბავშვო ბალის შენობაში. ჩვენი თანამოქალაქენი, იქამდე შეშფოთებას მოსწრებული ხუმრობით რომ ფარავდნენ, ანლა მდუმარედ მიაბიჯებდნენ ქუჩებში და ერთობ დათრგუნვილნი ჩანდნენ.

რიემ გადაწყვიტა პრეფერტისათვის დაერეკა:

— მიღებული ზომები არა კმარია!

— ჩემს ხელთ არის ციფრები, ისინი მართლაც შეშფოთებას იწვევენ, — უთხრა პრეფერტმა.

— უფრო მეტიც: იმედის ნატამალსაც არ გვიტოვებენ.

— გენერალური გუბერნატორისგან ბრძანებას გამოვითხოვ.

რიემ კასტელს ასე ამცნო ეს ამბავი:

— ბრძანებას ითხოვენ, ნაცვლად იმისა, რომ ტვინი გაანძრიონ.

— შრატი?

— ამ ქვირაში მივიღებთ უთუოდ.

პრეფექტურამ რიშარის პირით დაავალა რიეს კოლონიის დეტაქილაქში გასაგზავნად ანგარიში შეედგინა, რათა იქიდან ბრძანებები გამოეწყოვათ. რიემ ანგარიშს სენის კლინიკური აღწერილობა და ციფრები დაუროთ. იმავე დღეს ორმოცამდე მკვდარი ალრიცხეს. პრეფექტმა გადაწყვეტილ საჭიროარი ბასუხისმგებლობით მეორე დღიდანვე უფრო მკაცრი ლონისმისურებელი გაქტრებინა. მოქალაქეებს უწინდებურად ევალებოდათ ეცნობებინათ ავადმყოფობის უცელა შემთხვევა, ავადმყოფები, როგორც დაწესებული იყო, ლაშარეთში უნდა გადაეყვანათ, მათ სახლში დეზინფექცია გაეკეთებინათ და დაეკეტათ, იხლობლები კი უშიშროების მიზნით კარანტინში მოეთავსებინათ. დასაფლაუბა ეწყობოდა ქალაქის ხარჯზე, იმგვარ პირობებში, რომელთა აღწერილობაც შემდეგში ნახავთ. ერთი დღის შემდეგ თვითმფრინავით შრატიც ჩამოიტანეს. ავადმყოფებს კი ეყოფოდათ, მაგრამ არასაკმარისი იქნებოდა, თუკი ცპილებია გავრცელდებოდა. რიემ უდეპეშა და პასუხად შეატყობინეს, მარაგი საწყობში მეტი არ აღმოჩნდა და ახლა ახალ პარტიას ამზადებენო.

ამასობაში ქალაქის შემოგარენიდან გაზაფხული ეწვია ბაზრებს. ათასობით ვარდი ჭიქნებოდა ტროტუარების გაყოლებით ჩარიგებულ კალათებში და ვარდის ამო სურნელი ტრიალებდა მთელ ქალაქში. გარეგნულად არაფერი შეცვლილა. პიკის საათებში ტრამვაები უწინდებურად გაჭედილი იყო, ხოლო დანარჩენი დღის განმავლობაში დაცარისელებული და ჭუჭყიანი დაჭიოდა. ტარუ აკვირდებოდა ჩია, მოხუცს, მოხუცი კი ისევ აფურთხებდა კატებს. გრანი ყოველ სალამოს უბრუნდებოდა თავის საიდუმლო საქმიანობას. კოტარი ძველებურად ირჯებოდა, ხოლო გამომძიებელი, ბ-ნი ოტონი, თავის შინაურ სამხეცეს წვრთნიდა. ასთმიანი ბერიკაცი ბარდას არჩევდა, ფურნალისტ რამბერისათვის კი ბევრჯერ მოუკრავთ თვალი, როცა იგი დამშვიდებული, ცნობისმოყვარე სახით მიჰყვებოდა ქუჩებს. სალამონბით იგივე ბრბო ავსებდა ქუჩებს და კინოთეატრების წინ რიგი დგებოდა. ისიცა, რომ სენმა თითქოს უკან დაიხია და რამდენიმე დღის განმავლოაში სულ ათიოდე მიცვალებული აღნესხეს. შემდეგ ისევ ჟლვის სისწრაფით გავრცელდა. იმ დღეს, როდესაც მკედრების რიცხვი კვლავ ტცდაათამდე გაიზარდა, ბერნარ რიემ რამდენჯერმე გადაიკითხა თვითმფრინავი დეპეშა, რომელიც პრეფექტმა გადასცა და თან უთხრა: „შეშინდნენ“. დეპეშაში ნათქვამი იყო: „დაკეტეთ ქალაქი. გამოაცხადეთ უამიანობა“.

II

შეიძლება ითქვას, რომ ამ წუთიდან მოკიდებული შავი ჭირი ჩვენს საურთო საქმედ იქცა. აქამდე, უცნაური მოვლენებით აღძრული შიშისა და გაოგნების მიუხედავად, არც ერთი ჩვენი მოქალაქე თავის ადგილს არ მოშორებია და შეძლებისდაგვარად უწინდებურად საქმიანობდა. ცხადია, ამგვარადვე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ რაჭამსაც ჩაკეტეს ქალაქის კარი, ყველამ, და მათ შორის მთხოვნებელმაც, შენიშნეს, რომ ერთსა და იმავე ხაფუანგში გაბმულიყვნენ და როგორლაც უნდა შერიგებოდნენ ამ გარემოებას. წარმოიდგინეთ, რომ პირადული გრძნობაც კი, როგორიც საყვარელ არსებასთან განშორება გახლავთ, პირველი დღეებიდანვე უცებ მთელი მოსახლეობის სა-

ერთო განცდად გადაიქცა და შიშთან ერთად ამ ხანგრძლივი გადასახლების მთავარი სატანჯველი გახდა.

და მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ყურადსალები შედეგი, რაც ჩვენი ქალაქის დახურულ ქალაქიდ გამოცხადებას მოჰყვა, განღძდათ აღამიანების მოულოდნელი განშორება, რომლებიც საამისოდ ჟურკენენ—მზად. დედებსა და შვილებს, მეულლებს, საყვარლებს ეგონათ, ჟანზარის ქართული იყრებოდნენ, როცა სადგურის ბაქანზე გადაკოცნეს და თითო-ორთოლა სიტყვით დარიგეს ერთმანეთი იმ რწმენით, რამდენიმე დღის ან კვირის თავზე ისევ შევხადებითო. სულელური გულუბრუჟვილობის ქსელში გაბმულნი თვლიდნენ, ეს ჩვეულებრივი განშორებაა, და ისევ ყოველდღიურ საზრუნოვს მიუბრუნდნენ, მაგრამ უეცრად მიხვდნენ, რომ ერთმანეთს ველარასოდეს ნახავდნენ, ველარასოდეს დაელაპარაკებოდნენ და ამას აღარაფერი ეშველებოდა. ვინაიდან ქალაქი ორსებითად პრეცეჭტის დადგენილების გამოქვეყნებამდე რამდენიმე საათათ ადრე ჩაიკეტა და, ცხადია, შეუძლებელი გახლდათ ყველა კერძო შემთხვევის გათვალისწინება. შეიძლება ითქვას, ამ ვერაგული სენის. შემოტევის პირველი შედეგი ის იყო, რომ მან აიძულა ჩვენი თანამოქალაქენი ისე ემოქმედათ, თითქოსდა პირადი გრძნობები არ გააჩნდათ. იმ დღეს, როდესაც დადგენილება ძალაში შევიდა, პრეცეჭტურას მყის აუარება მთხოვნელი მიაწყდა. ხალხი ტელეფონით რეკავდა ან უშუალოდ მოხელეებს მიმართავდა ათასგვარი ყურადსალები და შესაწყნარებელი მიზეზით, რომელთა განხილვა ახლა არ ეგებოდა. სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავერკვიეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა არავითარ კომპრომისს არ ითმენდა და ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „მოვილაპარაკოთ“, „შემეწიეთ“, „გამონაჭლისის სახით“, აზრი აღარ ჰქონდა.

წერილის მიწერის ესოდენ პატარა სიამოვნებაზეც კი უარი გვეთქვა. ერთი მხრივ, ქალაქს გარე სამყაროსთან ჩვეულებრივი ურთიერთობის გზები მოესპონ, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი დადგენილებით მიწერ-მოწერა აიკრძალა, რათა წერილებს სენი არ გაევრცელებინა. დასაწყისში რამდენიმე წარჩინებულმა პირმა მოახერხა ჩუმად მოლაპარაკებოდა ქალაქის დარაჯებს და ისინი წერილების ქალაქიდან გაგზავნაზე დაიყოლია. ოლონდ ეს მოხდა ეპილემიის პირველ დღეებში, როდესაც დარაჯები ჭერ კიდევ ბუნებრივად თვლიდნენ თანაგრძნობასა და შეცოდებას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც იგივე დარაჯები დარწმუნდნენ, მდგომარეობა სახუმარო არაა, აღარ იკისრეს ეს სახითათ საქმე. დასაწყისში ნებადართული იყო საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობა, მაგრამ ამას ტელეფონების კაბინებთან ისეთი რია-რია და ხაზების ისეთი გადატვირთვა მოჰყვა, რომ რამდენიმე დღით ყოველგვარი საუბარი აიკრძალა, ხოლო შემდგომში სასტიკად შეიზღუდა, ასე რომ, დარეკვა მაშინდა თუ ხერხდებოდა, როცა ვინმე კვდებოდა, იბადებოდა, ანდა ქორწილს იხდიდა. ახლა დეპეშებილა იყო ერთადერთი შეება. ერთმანეთთან გონებით, გულითა და ხორცით დაკავშირებული აღამიანები იძულებულნი იყვნენ უწინდელი ურთიერთსიყვარული გამოესახათ ათსიტყვიანი დეპეშის მთავრულ ასოებში. მაგრამ გამოთქმები, რომლებიც დეპეშაში შეიძლება იხმარო კაცმა, მალე გამოილევა ხოლმე და მაშინვე ყველაფერი — ერთად გატარებული ცხოვრებისა და მტანჯველი ვნების ამბავიც — ამოიწურება მზა გამოთქმების პერიოდული განმეორებით: „კარგად ვარ. ვფიქრობ შენზე. გვიცნი“.

თუმცა ზოგი ჩვენგანი წერილების წერას მაინც არ იშლიდა და ახალ-ახალ ხრიკებს იგონებდა, რომ ოთვორიშე დაკავშირებოდა გარე სამყაროს, ქავრის მათი მცდელობაც, ბოლოს და ბოლოს; ამაო იყო. თუ ჩვენ მიერ გამოგონილი რომელიმე ხერხი მიზანს აღწევდა, ჩვენ ამასაც ვერ შევიტუობდით ხოლმე, რადგან პასუხს არ ვიღებდით. მაშინ იძულებული ვიყავით თავიდან, შევდგომობით უვალაფერს და მთელი კვირების მანძილზე უსასრულოდ გვთავსაც ცურავდა და იგივე წერილი, გაგვემეორებინა ერთი და იგივე ამბები, ასე რომ, გარავაული ხნის შემდეგ ჩვენი გულის სისხლით დანამულ სიტყვებს აზრი ეკარგებოდა. ანგარიშმიუცემლად გადავწერდით ხოლმე წერილს და მკვდარი წინადაღებების მეოხებით ვცდილობდით აგვესახა ჩვენი უნუგეშო ცხოვრება. ბოლო რომ მოგვეღო ამ უნაყოფო და ჭიუტი მონოლოგისათვის, კედელთან უაზრო ლაპარაკისათვის, დეპეშების პირობით ენას ვამჯობინებდით.

თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც აშკარა გახდა, რომ ქალაქი-დან ვერავინ გააღწევდა, ზოგიერთს აზრად მოუვიდა კითხვით მიემართა ქალაქის ხელისუფალთათვის, მისცემდნენ თუ არა დაბრუნების ნებას იმათ, ვინც ეპიდემიამდე წავიდა ქალაქიდან. პრეცესტურაში რამდენიმე დღე იმსჯელეს ამ საյითხზე და თანხმობა თქვეს, ოღონდ ისიც დასძინეს, დაბრუნებულები ველარავითარ შემთხვევაში ვეღარ გავლენ ქალაქიდან; თუმც თავისუფლად შემოსვლის უფლება კი ენიჭებათ, მაგრამ გასვლაზე ნებართვა არ ვრცელდებაო. მაინც გამოჩენდა თითო-ოროლა ოჯახი, რომელიც ზერელად მოეკიდა შექმნილ მდგომარეობას, დაივიწყა ყოველგვარი სიფრთხილე და მხოლოდ და მხოლოდ ახლობელთა ნახევის სურვილით ატანილმა შეუთვალა თავისიანებს ესარგებლათ ამ შესაძლებლობით. მაგრამ მაღა შავი ჭირის ტყვეები მიხვდნენ, რომ ხიფათში აგდებდნენ ახლობელთა სიცოცხლეს და განშორებას შეურიგდნენ. ჭირიანობისას ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ადამიანური გრძნობები ტანჯვა-წამებით სიკვდილის შიშხე ძლიერი გამოდგა. ბევრი იფიქრებს, ესენი შეუვარებულები იქნებოდნენ, რომელთაც სიყვარული ერთმანეთისკენ უბიძგებდა და მოსალოდნელ ტანჯვას აღარ შეუშინდნენ, მაგრამ ესენი მრავალი წლის ჩვარდაწერილი მოხუცი ექიმი კასტელი და მისი მჟღლლე იყვნენ. ქალბატონი კასტელი ეპიდემიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრა მეზობელ ქალაქში. ეს იმგვარი ოჯახიც არ იყო, საზოგადოებისათვის სამაგალითო ცოლ-ქმრული ბედნიერების ნიმუშად რომ ქცეულა. მთხრობელს იმის თქმაც კი შეუძლია, რომ ცოლ-ქმარმა ამ დრომდე დაბეჭითებით არც კი იცოდა, კრა-ყოფილი იყო თუ არა თავისი ხვედრისა. მაგრამ ამ უეცარმა და ხანგრძლივმა განშორებამ ორთავ დაარწმუნა, რომ არ შეეძლოთ უერთმანეთოდ ცხოვრება და ამ ერთბაშად აღძრული ჭეშმარიტების წინაშე შავი ჭირი რაღა სათვალავში ჩასავდები გახლდათ.

ეს გამონაკლისი იყო. უმეტეს შემთხვევაში კი ყველა თვლიდა, რომ განშორებას მხოლოდ ეპიდემიასთან ერთად უნდა მოღებოდა ბოლო. გრძნობა, რომელიც საფუძვლად ედო ჩვენს ცხოვრებას და ჩვენი ვარაუდით კარგადაც ეიცნობდით (ორანელებს ხომ, როგორც უკვე ითქვა, მარტივი გრძნობები ამოძრავებთ), ახალ იერს იღებდა. ქმრები და საყვარლები, რომლებიც უწინ საჯსებით ენდობოდნენ თავიანთ ცხოვრების თანამგზავრებს, ეჭვიანობას იწყებდნენ. კაცებს, სიყვარულში ზედაპირულობა რომ სჩვეოდათ, გული მხოლოდ ერთისათვის უთქვამდათ. ვაჟები, ერთ ჭერქვეშ რომ ცხოვრობდნენ

დედისთან და ლამის ზედაც აღარ უყურებდნენ, ახლა შიშითა და სინანულით იხსენებდნენ ყოველ ნაოვს, მის სახეს რომ ლარავდა. ამ უსაშველო, სასტიქ-გა გაყრამ, რომელსაც, კაცმა არ იცოდა ბოლო როდის მოელებოდა, დაგვაძნია, დაგვიკარგა ცხოველი მოგონებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის /ძალა, მოგონებებისა, ჯერ კიდევ ასეთი ახლობელი, მაგრამ თანაც ერთობ შორეული რომ იყო და მარტო გარდასულ დღეთი ხსოვნითლა ვსულდებოდა/ არ-სებითად ორმაგ ტანჯვას განვიცდიდით: ცალკე საკუთარი სატანჯველი გვტან-ჯავდა და ცალკე იმათი, ვინც აქ არ იყო და უჩვენობით სტკიოდა გული, შვილი იქნებოდა, მეუღლე თუ საყვარელი.

სხვა ვითარებაში ჩვენი თანამოქალაქენი საქმიან ცხოვრებას მიეძალებოდნენ და გამოსავალს მით ჰპოვებდნენ. მაგრამ შევი ჭირი მათ უქმად ტოვებდა, აიძულებდა, უაზროვად ეხეტიალათ პირქუშა და განწირულ ქალაქში. ამას თან ერთვოდა მოგონებათა მაცდური თამაში, უინაიდან უმიზნო ხეტიალისას ერთსა და იმავე ქუჩებში უხდებოდათ გავლა დ ასეთ პატარა ქალაქში, უმეტეს შემთხვევაში, ეს სწორედ ის ქუჩები გახლდათ, სადაც ადრე დასეირნობდნენ ადამიანთან, ახლა გვერდში რომ აღარ ჰყავდათ.

ამგვარად, უამიანობამ, უპირველეს ყოვლისა, განდევნა მოუტანა ჩვენს თანამოქალაქეებს. და მთხრობელი დარწმუნებულია, რომ უფლება აქვს ყველას სახელით წეროს იმის შესახებ, რაც თვითონ განიცადა მაშინ, რაკი ორანელთა უმრავლესობაც იმავე განიცდიდა. დიახ, ნამდვილად განდევნის გრძნობა იყო ის ჭრილობა, რომელიც არ შუშდებოდა, ის უცნაური შფოთვა, უგუნური სურვილი უკან დაგვებრუნებინა ანდა პირიქით, დაგვეჩერებინა მეხსიერების მწველ ისრებად ქცეული დროის სრბოლა. თუ ხანდახან ნებაზე მივუშვებდით წარმოსახვას და თავს ვიქცევდით ვიღაცის დაბრუნების შაუშყებელი ზარის ან დერეფანში ნაცნობი ფეხის ხმის მოლოდინით, თუ ასეთ წუთებში თანახმა ვიყავით დაგვევიწყებინა, რომ მატარებლები აღარ დაღიოდნენ და ვცდილობდით სწრაფად მოგვევვარებინა საქმეები, რომ შინ ვყოფილიყავით იმ საათებში, როდესაც სალამოს ექსპრესით ჩამოსული მგზავრი შეძლებდა ჩვენს უბნამდე მოღწევას — ცხადია, ასეთი თამაში დიდხანს ვერ ჯასტანდა. აუცილებლად დგებოდა წუთი, როცა ჩვენს შეგნებამდე აღწევდა, რომ მატარებელი არ ჩამოვიდოდა. მაშინ ჩვენთვის ცხადი ხდებოდა, რომ ხანგრძლივი განშორება გვეწერა და მდგომარეობას უნდა შევრიგებოდით. ჰოდა, ვრწმუნდებოდით, რომ ნამდვილი პატიმრები ვიყავით და მარტო წარსულზე მოგონებებით უნდა გვეცხვრა. და თუ ვინმე ჩვენთაგანი ცდილობდა მომავალზე ეფიქრა, მალე, რამდენადაც შესაძლებელია, უარი უნდა ეთქვა თცნებებზე, რადგანაც ისინი მწარედ უკოდავდნენ გულს, როგორც საერთოდ ყველა ადამიანს, ვინც წარმოსახვას მიენდობა.

კერძოდ, ყველა ჩვენმა თანამოქალაქემ მალე მოიშალა ჩვეულება, რომელიც იმაში მდგომარეობდა — წამდაუწუმ, ხალხშიაც კი გამოეთვალათ, განშორება რამდენ ხანს გასტანდა. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ყველაზე გამოუსწორებელი პესტიმისტები ვართულობდნენ, უამიანობა ნახევარი წელი გაგრძელდებათ და წინასწარვე იგემეს კიდეც მომავალი თვეების მთელი სიმწარე. ისინი დიდი ძალდატანების ფასად ცდილობდნენ ვაჟკაცურად გადატანათ თავს დამტკიცდარი განსაცდელი, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ, რომ სულით არ დაცემულიყვნენ, რომ ღირსეულად გაეძლოთ ტანჯვა-წამები-

სათვის, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. მაგრამ ზოგჯერ მეგობართან შეხვედრა, გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა, წამიერი ეჭვი ან უცარი თვალის ახელა აფიქრებინებდათ, რომ ბოლოს და ბოლოს, არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ იმედისა, სენი ეჭვს თვეს გასტანსო, და რომ შეიძლებოდა წელიწადის გაგრძელებულიყო და უფრო დიდხანსაც.

ამგვარ წუთებში მათ ვაუკაცობა, ნებისყოფა და მოთმინეტურულობათ და ეჩვენებოდათ, რომ ველარასოდეს ამოალწევდნენ უფსკრულითამ, ესახლაც ჩაცენილიყვნენ .ამიტომაც ცდილობდნენ არასოდეს ეფიქრათ, როდის დაღვებოდა გათავისუფლების დღე, აღარ მიეპყროთ შზერა მომავლისათვის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდამ თავდახრით ევლოთ. მაგრამ ცხადია, ამგვარ სიფრთხილეს ,ასეთ ხრიკებს ტკივილის გასაყუჩებლად, ფარ-ხმალის დაყრასა და ბრძოლისათვის თავის არიდებას მეტად მცირე შვება მოჰქონდა. რაკი არას-დიდებით არ სურდათ მწუხარებას მინებებოდნენ, კარგავდნენ იმ წუთებსაც, როდესაც უამიანობის დავიწყება და მომავალი შეხვედრის სიხარულით დატებობა შეეძლოთ. მოკლედ, ამ მწვერვალებსა და უფსკრულებს შორის გარჩენილნი კი არ ცხოვრობდნენ, აჩრდილებივით მიცურავდნენ ნებაზე მიშვებული დღეებისა და უნაყოფო მოგონებების ტალღას აყოლილნი, აჩრდილებივით, რომლებიც მაშინდა იქცევიან ხორცშესხმულ აღამიანებად, თუკი თავიანთი ნებით გადგამენ ფესვებს საკუთარი მწუხარების ნიადაგში.

ერთი სიტყვით, მათ განიცადეს ის სასტიკი ტანჯვა-წამება, რომელიც თან სდევს ყველა პატიმარსა და ყველა დევნილს და რაიც სხვა არა არის რა, თუ არ უმაქნისად ქცეული მეხსიერებით სიცოცხლე. წარსულსაც კი, რომელზედაც გაუთავებლად ფიქრობდნენ, სინანულის გემო სდევდა თან, რაღაც მათ სურდათ ამ წარსულისათვის მიემატებინათ ყოველივე ის, რაც სანანებლად ჰქონდათ დარჩენილი, რისი გაკეთებაც ვერ მოასწრეს ან რაც ვერ განიცადეს იმ აღამიანთან ერთად, რომელსაც ელოდნენ. სწორედ ასევე თავიანთი პატიმრული ცხოვრების შედარებით ბედნიერ წუთებშიაც ჩარევდნენ ხოლმე მათგან შორს მყოფს და თავიანთი იმუამინდელი მდგომარეობა აღარ აქმა-ყოფილებდათ. აწმყოთი შეშფოთებულნი, წარსულის მოძულენი და უმომავლოდ შთენილნი — ჩვენ ვგავდით იმათ, ვისაც კაცთ მართლმსახულება და სიძულვილი საკანში გამოამწყვდევს ხოლმე. დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ამ აუტანელი არდადეგებიდან თავის დალწევის ერთადერთი გზა იყო საკუთარი წარმოსახვის შემწეობით მატარებლების კვლავ ამოძრავება და ფუჭი საათების შევსება იმის მოლოდინით, საცაა ზარს დარეკავენო — ზარს, რომელიც ჭიუტად დუმდა.

მაგრამ ეს თუ გადასახლება იყო, მეტი წილი გადასახლებულებისა საკუთარ სახლში რჩებოდა. და თუმცა მთხრობელი მხოლოდ ერთ, ყველა ჩვენთა-განისათვის საერთო გადასახლებაში იყო, არ უნდა დაევიწყებინა ისინი, ვის-თვისაც, უურნალისტ რამბერის არ სხვათა მსგავსად, განშორების ტკივილი კი-ლევ უფრო გამძაფრებულიყო იმის გამო, რომ შავმა ჭირმა უცხო ქალაქში მოგზაურობისას მოუსწროთ, მოწყვეტილი იყვნენ ახლობლებს, რომელთაც ვერ დაუბრუნდებოდნენ და მშობლიურ ქვეყანასაც. ამ საერთო გადასახლებას ისინი კიდევ უფრო მეტიდ შეიგრძნობდნენ, რაღაც გარდა იმისა, რომ დროის სრბოლა მათაც სხვებსავით წუხილსა და შიშს ჰგვრიდა, სივრცესაც იყვნენ მიჭაჭვულნი და განუწიგვატლივ ეხეთქებოდნენ კადლებს, რომლებიც ამ ჭირიან

ქალაქსა და დაკარგულ სამშობლოს შეა აღმართულიყო. ცხადია, სწორედ ესენი დაბორიალობდნენ დილიდან შებინდებამდე მტვრიან ქალაქში, მდუმარედ იგონებდნენ თავიანთი ქვეყნის საღამოებსა და განთიადებს, რომლებიც მარტო მათ ახსოვდათ. ამით კიდევ უფრო ამძაფრებდნენ თავიანთ უბედურებას. მერცხლის გაფრენა, ცვარი მზის ჩასვლისას, რაღაც უცნაური ლაპა, რომელსაც მზის სხივი სტოვებდა უკაცურ ქუჩაში — ყოველივე ეს მარტველურების იღუმალ და ავის მომასწავებელ ნიშნად მოჩანდა. თვალს ხუჭავდნენ, რომელიც დაენახათ გარე სამყარო, რომელიც ოდითვანვე მკურნალია ყველა უბედურებისა, და ჯიუტად ელოლიავებოდნენ თავიანთ ზედმეტად რეალურ ქიმერებს, მთელი ძალ-ღონით ეჭიდებოდნენ ნაცნობ ხატებს — ამ მიწას, საღაც უცხო შუქი იღვრებოდა, თითო-ოროლა გორაკს, საყვარელ ხესა თუ ქალის სახეს, რაც ქმნიდა იმ განსაკუთრებულ გარემოს, რომელსაც ვერაფერი შეცვლის.

დაბოლოს, თუ შეყვარებულებზე შევჩერდებით, რომლებიც მეტად საინტერესონი არიან და რომელთა ამბავიც მთხოვობელს სხვაზე უკეთ მოეხსენება, მათ სხვა ნალველიც შემოსწოლოდათ გულზე, რომელშიც ჰარბად იყო გარეული სინდისის ქენჭნა. შექმნილი ვითარება ნებას იძლევდათ განეხილათ თავიანთი გრძნობა რაღაცნაირი ფიცხი ობიექტურობით. ასეთ შემთხვევაში იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ საკუთარი სისუსტეები არ წარმოსახვოდათ მთელი სიცხადით. ყველაზე უფრო თავს იმას საყვედურობდნენ, რომ არ ძალუძო ზუსტად წარმოედგინათ საყვარლის მიხრა-მოხრა და საქციელი. წუხდნენ, რომ არ იცოდნენ მათი დღის განრიგი, უგულისყურობას საყვედურობდნენ თავს, რატომ დროზე არ გამოვიყითხეთო, ან რად ვიქცეოდით ისე, თითქოს არ გვესმოდა, რომ იმის ცოდნას, თუ რას აკეთებს შენი მიჯნური, სხვა სიხარული არ შეედრება. ამ წუთიდან მოკიდებული აღარ უჭირდათ თვალი გაედევნებინათ თავიანთი სიყვარულისათვის და მისი ნაკლოვანებანი შეენიშნათ. ჩვეულებრივ დროს ყველამ ცნობიერად თუ შეუცნობლად ვიცოდით, რომ არსებობდა უსაზღვრო სიყვარული, და მაინც მეტ-ნაკლები სიმშვიდით ვეგუებოდით იმ აზრს, რომ ჩვენი სიყვარული კნინი რამ გრძნობა გახლდათ. მაგრამ მეხსიერება აღამიანისა უფრო მომთხოვნია. და უბედურებას, უცებ გარედან რომ დაატყდა თავს ჩვენს ქალაქს, არა მარტო დაუმსახურებელი წამება მოპირნდა ჩვენთვის, რაზეც კიდევ შეიძლებოდა ალვშფოთებულიყავით, არამედ გვაიძულებდა გვეტანჯა საკუთარი თავი და მით უდრტვინელად შევგებებოდით ტკავილს. აი ამ გზით აღწევდა ეპიდემია იმას, რომ არ მიეპყრო ყუდლება და დავთრები აერია ჩვენთვის.

მოკლედ, ყოველი ჩვენგანი იძულებული იყო დღიდან დღემდე ეცხოვა ზეცის წინაშე მარტო დარჩენილს. ეს საყოველთაო მოკვეთილობა, რომელსაც დროთა განმავლობაში ხასიათების გამოწროვობა შეეძლო, იმხანად გვაძარუნებდა. რაც შეეხება ზოგიერთ ჩვენს თანამოქალაქეს, ისინი სხვა მონობის უღელქვეშ მოექცნენ და ყურმოჭრილ ყმებად გაუხდნენ დარსა და ივლარს. მათ შემყურეს გეჩვენებოდათ, რომ ახლა პირველად აქცევდნენ ყურადღებას ამინდს. როგორც კი ქვაფენილზე მზის ათინათი ათამაშდებოდა, სახეები უნათდებოდათ. წვიმიან დღეებში კი სახეცა და აზრებიც ერთნაირად ეჭუფრებოდათ. რამდენიმე კვირის წინ ასეთი სისუსტე არ მოერეოდათ, არც ამ უაზრო მონობის უღელს დაუდებდნენ ქედს, რაღვან ქვეყნიერების პირისპირ მარტო არ იდგნენ და არსება, რომელიც მათთან ერთად ცხოვრობდა, გარკვე-

ული აზრით სამყაროს ეფარებოდა. ამ წუთიდან მოყიდვებული კი პირიქით, ჰეცის ჭირვეულობის ტყვეობაში მოექცნენ, ესე იგი, უსაფუძვლოდ იტანჯებოდნენ და უსაფუძვლოდ იმედოვნებდნენ.

თანაც ამ უკიდურეს სიმარტოვეში არავის შეეძლო მეზობლის იმუშავებული უცელა თავის თავის ამარა დარჩა. ვინმე ჩვენგანს რომ ეცხადა წხვეს ვანდობოდა, ან ეთქვა რაიმე თავის ვრძნობათა შესახებ, რუსოფრუნული უნდა მიეღო, უფრო ხშირად საწყენად ურჩებოდა. მაშანტაჭაჭაჭშიშვილი რომ ისიცა და მისი თანამოსაუბრეც სულ სხვადასხვა რამეზე ლაპარაკობდნენ. მათი სიტყვები მრავალი დღის ფიქრისა და წამების ნაყოფი იყო და ხატი. რომლის განდობაც მოსაუბრისათვის სურდათ, დიდი წნის მანძილზე იშუშებოდა მოლოდინისა და გრძნობის ცეცხლზე. თანამოსაუბრეს კი ეგონა, რომ ეს ჩვეულებრივი ღელვა იყო, ბაზარზე ვასაყიდად გამოტანილი ტკივილი, სტანდარტული მელანქოლია. როგორიც უნდა ყოფილიყო პასუხი — კერილგანწყობილი თუ მტრული — იგი მაინც ყალბად უდერდა და მეტი რა გზა იყო, გულლია საუბარზე უარი უნდა ეთქვათ. ისინიც კი, ვისთვისაც დუმილი გაუსაძლისი გამხდარიყო, იძულებული ხდებოდნენ შეეთვისებინათ ბაზარული ენა, ეხმარათ პირობითი გამოთქმები, რომელთაც სხვადასხვა შემთხვევების რუბრიკაში ანდა ყოველდღიურ ქრონიკაში ნახავთ. ყველაზე ჭიშმარიტი ტანკვაც კი გაცვეთილი სიტყვებით გამოითქმოდა. შავი ჭირის ტყვეებს მხოლოდ ამ ფასად შეეძლოთ თავიანთი კონსიერეის თანაგრძნობა დაემსახურებინათ ან თანამოსაუბრის ყურადღება მიეპყროთ.

თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ რა მტანჯველიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი შიში, რა მძიმეც არ უნდა გვჩვენებოდა ამ დაცარიელებული გულის ტარება, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ფამიანობის პირველ ხანებში ასეთ დევნილთ ერთი უპირატესობა გააჩნდათ. და მართლაც, როცა მოსახლეობა შიშით ძრწოდა, მათი ფიქრები მთლიანად იმ არსებისაკენ მიისწრიოფოდა, რომელსაც ელოდნენ. საყოველთაო დაბნეულობაში სიყვარულის ეგოზმი იფარავდა მათ და თუკი ფქრობდნენ შავ ჭირზე, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს სენი სამუდამო განშორებით ემუქრებოდათ. შუავულ ეპიდემიაში ხსნა იყო სხვა საგანზე ფიქრი, რაც შეიძლებოდა გულგრილობად მოგჩვენებოდათ. სასოწარკვეთა პანიკისაგან იფარავდა მათ, თვით უბედურებაც კი სასიკეთო იყო მათთვის. მაგალითად, თუ ერთი მათგანი სენს გადაჭყვებოდა, სიკვდილი ისე წაადგებოდა თავს, რომ გონის მოსვლასაც ვერ ასწრებდა. აჩრდილთან გრძელ საუბარს ბოლო ელებოდა და მიწის დიდი დუმილი ისე შთანთქავდა მას, რომ თავად ვერითერს ამჩნევდა.

სანამ ჩვენი თანამოქალაქენი ცდილობდნენ შეგუებოდნენ ამ უეცარ განდევნას, უამიანობამ ქალაქის კარებში მცველები ჩააყენა და ორანისაკენ მომავალ გემებს გეზი აცვლევინა. იმ დღიდან, რაც ორანი დახურულ ქალაქიდ გამოცხადდა, არც ერთი მანქანა არ შესულა ქალაქში. გვეჩვენებოდა, თითქოს ავტომობილები უგზო-უკვლოდ დადიოდნენ ქალაქში. პორტიც უცნაური სანახავი იყო, განსაკუთრებით, თუ მაღლიდან, ბულვარიდან დახედავდით. ჩვეული გამოცოცხლება, რომლის გამოც იგი ერთ-ერთ პირველ ნავსადგურად როვლებოდა მთელ სანაპიროზე, უეცრად გაქრა. მხოლოდ რამდენიმე გემს თუ ნახავდით, ისიც კარანტინში მოხვედრილს. ნავმისადგომთან უქმად მდგარი

ამწევები, გვერდზე გადატრიალებული ვაკონეტები, აქა-იქ დახვაცებული კას-რები და ტომჩები მოწმობდნენ იმას, რომ შავმა ჭირმა ვაჭრობაც ჩაკლა.

ამ უჩვეულო სანახაობის მიუხედავად, ჩვენს თანამოქალაქეებს თითქოს უჭირდათ გავება იმისა, რაც თავს დაატყდათ. რა თქმა უნდა, უკაველასათვის საერთო გრძნობები, იყო განშორება და შიში, მაგრამ ბევრი პირველ პლანზე მაინც პირად სიზრუნავს აყენებდა. სენს ჯერ რეალუსტაციაზე პლავინ აღიარებდა. უმრავლესობას ყველაზე მეტად ის აღიზიანებდა, რაც წელს უშლიდა მათ ჩვეულებებს და მათ საქმიან ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მათ გულში ბრაზი, აღშფუოთება ისაღგურებდა, ეს კი ისეთი გრძნობები როდია, რომლებიც შეიძლება შავ ჭირს დაუპირაისპირო. ყველაზე უწინ, მაგალითად, აღმინისტრაციის გაკიცხვა იწყეს. პრეფექტის ქრიტიკა, რომელსაც გაზეთებიც ბანს აძლევდნენ („ხომ არ შეიძლება დასახული ზომების შერბილება?“), საქმაოდ მოულოდნელი პასუხი მოჰყვა .აქამდე არც გაზეთები და არც ცნობათა სა-აგენტო არ ილებდნენ ავადმყოფობის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. ახლა პრეფექტი ყოველდღე გადასცემდა ამ ცნობებს სააგენტოს და სთხოვდა, ქვირაში ერთხელ გამოექვეყნებინათ.

შავრამ მოსახლეობამ ერთბაშად მაინც ვერ იაზრა, რა ამბავი იყო მის თავს. მართლაც, ცნობა იმის შესახებ, რომ შავი ჭირის გაჩენიდან მესამე კვირის სამას ორი კაცი გარდაიცვალა, არაფერს ეუბნებოდა მათ გულსა და გონებას. თანაც ხომ შეიძლებოდა ყველა მათვანი შავ ჭირს არ გადაპყოლოდა. გარდა ამისა, ქალაქში არავინ უწყოდა, ჩვეულებრივ დროს კვირაში რამდენი ძალი იხოცებოდა. ქალაქში ორასი ათასი მცხოვრები იყო, იქნებ სიკვდილიანობის ეს რიცხვი ნორმალურიც გახლდათ. ეს ისეთი ხასიათის ცნობებია, რომელთაც არავინ აქცევს უურადლებას, თუმცა უაპველად ყურადსალები კია. ბალბს, სიმართლე თუ გნებავთ, აკლდა საიმისო ცნობები, რომ შედარება მოეხდინა. მხოლოდ მოგვიანებით, რა დაინახა, რომ სიკვდილიანობამ იმატა, შეივნო ჭეშმარიტება. მართლაც, მესამე კვირამ თან მოიტანა სამას ოცდაერთი ცხედარი, ხოლო შეექვესებ — სამას ორმოცდახუთი. ზრდა, როგორც ხედავთ, რაც ლისმეტყველი იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ ჩვენი ქალაქელები უზოთ დ შეშფოთებულიყვნენ. ისინი მაინც ფიქრობდნენ, არც თავს დაგვატყდა, მხოლოდ უბედური შემთხვევაა, მართალია, ფრიად საწყენი, მაგრამ დროებითი, ჩაივლის და გაქრებაო.

ჭოდა, განაგრძობდნენ ქუჩებში ხეტიალს ან არადა, მაგიდებს უსხდნენ კაფეების ტერასებზე. საერთო ჯამში მხდალები არ ეთქმოდათ, უფრო მეტს ოხუნჯობდნენ, ვიდრე ჩიოდნენ და თავს ისე იჭერდნენ, თითქოს გუნებას ვერ უფუტებდათ ეს უთუოდ წარმავალი გასაჭირი. გარეგნულად ყველაფერი რიგ-ზე იყო. თუმცა თვის დამლევს, დაახლოებით ლოცვის კვირაში, რომელზედაც ლაპარაკი ჭვემოთ იქნება, უფრო სერიოზულმა ცვლილებებმა გარდაქმნეს ჩვენი ქალაქის სახე. თავდაპირველად, პრეფექტმა მიიღო ზომები, რომლებიც ერებოდა ტრანსპორტის მოძრაობასა და მომარაგებას. მომარაგება ლიმიტირებულ იქნა, ხოლო ბენზინის გაყიდვა — მკაცრად შეზღუდული, ელექტროენერგიის ეკონომიასაც კი მოითხოვდნენ. მხოლოდ აუცილებელი პროდუქტები აღწევდა ორანში სახმელეთო და საპარაზო გზით. ასე რომ, მოძრაობამ თანდათან იკლო და ბოლოს თითქმის მთლად შეწყდა. ლუქსის მაღაზიები ყოველსაღებ ინურება, სხვათა ვიტრინებში კი განცხადებებს აკრავდნენ, ასეთი

და ასეთი საქონელი არა გვაქვსო, მაგრამ მათ კარწინ მაინც მყიდველების რიგი იდგა.

ასე უცნაურად იცვალა სახე ორანშა. ფეხით მოსიარულეთა რიცხვი /გაიზარდა. იმ საათებშიაც კი, როცა ქუჩა ჩვეულებრივ ცარიელია, დიდმალი ხალხი, იძულებით უქმად რომ იყო, რაკი მაღაზიები და ზოგი დაწესებულება დაიგეტა, ქუჩებსა და კაფეებს მოეფინებოდა ხოლმე. ჯერჯერასრული შესრულების უმუშევრები კი არ იყვნენ, არამედ — შვებულებით დათხოვნილნი. შესრულების მეტადრე ნაშუადლევის სამ საათზე, მოკაშკაშე ცის ქვეშ ორანი ტოვებდა მაკლურ შთაბეჭდილებას მოზეიმე ქალაქისა, სადაც მოძრაობაც შეაჩერეს და მაღაზიებიც დაკეტეს, რათა ხელი არ შეეშალათ საჭარო დემონსტრაციისათვის; ქალაქისა, რომლის მცხოვრებლებიც ქუჩებში გამოსულან სახალხო შხიარულებაში მონაწილეობის მისალებად.

ბუნებრივია, კინოთეატრები სარგებლობდნენ ამ საყოველთაო შვებულებით და დიდ შემოსავალსაც ლებულობდნენ. მაგრამ ახალი სურათები დეპარტამენტში აღარ მოდიოდა. მეორე კვირის დამლევს კინოთეატრები იძულებული გახდნენ ერთმანეთში გაეცვალათ პროგრამები, მერე კი, ცოტა ხანი კიდევ რომ გამოხდა, იწყეს ერთი და იმავე სურათების ჩვენება, მაგრამ მათი შემოსავალი არ იკლებდა.

დაბოლოს, კაფეებში, როგორც ეს ხდება იმ ქალაქებში, რომელთა ვაჭრობაშიაც ლვინოსა და ალკოჰოლს პირველი ადგილი უჭირავს, სასმელების დიდძალი მარავი აღმოჩნდა კლიენტების დასაქმაყოფილებლად. ერთ-ერთი კაფეს წინ გამოაკრეს რეკლამა: „ლვინო მიკრობს სპობს“ — და აზრი იმის შესახებ, ალკოჰოლი ადამიანს ინფექციური დაავადებებისაგან იცავსო, ისე-დაც ბუნებრივად რომ მიაჩნია ყველას, ამიერიდან კიდევ უფრო განმტკიცდა. ყოველღამ, დაახლოებით ორი საათისათვის, კაფეებიდან გამოგდებული ლოთები ავსებდნენ ქუჩებს და მიღამოს აყრუებდნენ იმედიანი შეძახილებით.

მაგრამ ყველა ეს ცვლილება, გარკვეული თვალსაზრისით, იმდენად უჩვეულო იყო და ისე სწრაფად განხორციელდა, რომ ჭირდა იმის წარმოდგენა, კოველივე ნორმალურია და დიდხანსაც გასტანსო. შედეგი კი ის გახლდათ, რომ პირველ პლანზე ისევ და ისევ ჩვენს პირად გრძნობებს ვაყენებდით.

ქალაქის კარის დაკეტვიდან ორი დღის შემდეგ, ექიმი რიე საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, ვზად კოტარს შეხვდა. კოტარს სახეზე უზომო კმაყოფილება ეწერა. რიემ მიულოცა, კარგად გამოიყურებითო.

— დიახ, ჩინებულად, — უთხრა კოტარმა, — ამ წყეულმა ჭირმა ექიმო, ჩინს, სერიოზულად მოგვიდა ხელი.

რიემ აღიარა, ეგ ეგრეაო. კოტარმა კი ხალისით დასძინა:

— ახლა, ეტყობა, მიზეზიც აღარა აქვს საიმისო, რომ შეგვეშვას. ყველა-ფერი ყირამალა დადგება.

ერთხანს მხარდამხარ მიდიოდნენ. კოტარი უამბობდა, რომ მათ უბანში ერთ მსხვილ ბაყალს დიდძალი სურსათი დაეგროვებინა, უნდოდა მერე მაღალ ფასებში გაეყიდა, და რომ საწოლქვეშ უამრავი კონსერვის ქილა უნახეს, როდესაც მის საავადმყოფოში წასაყვანად მივიღნენ. „ის საავადმყოფოში მოკვდა. შავი ჭირი, მოგეხსენებათ, ვერ გაამდიდრებს ადამიანს!“ კოტარს ასე დაუსრულებლივ შეეძლო მოეყოლა ეპიდემიის ამბები, ნამდვილი თუ ტყუილი, ამბობდნენ, რომ ქალაქის ცანტრში, ერთ დილას ვიღაც კაცი გამოვარდნილი

ქუჩაში, რომელსაც შავი ჭირის ნიშნები შეუნიშნავს საკუთარი თავისათვის, პირველსავე შემხვედრ ქალს მივარდნია, გადახვევია და ყურში ჩაუძახია, შავი ჭირი მაქვსო.

— როგორც ჩანს, — იმბობდა კოტარი ისეთი გულითადი კართი, რომელიც არ ეხამებოდა მის მტკიცებას, — ჩვენ ყველანი ჭირიდან შევიშლებით, ეს უდავოა.

სწორედ იმ საღამოს იყო, რომ უოზეფ გრანმა ბოლოს და ბოლოს ექიმს გული გადაუშალა. ეს ასე მოხდა: მოხელემ ქალბატონ რიეს ფოტოსურათი შენიშნა საწერ მაგიდაზე და ექიმს კითხვით შეაცემერდა. რიემ უპასუხა, ჩემი ცოლი ქალაქში არ არის, სხვაგანაა წასული სამკურნალოდო. „ერთი მხრივ ბედი ჰქონია“, — თქვა გრანმა. ექიმმა მიუგო, უეჭველად ბედია, ოღონდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევაც განიკურნებაო.

— ამა, მესმის, — თქვა გრანმა.

და პირველად მას აქეთ, რაც რიე იცნობდა, ენაწყლიანად იწყო ლაპარაკი. მართალია საჭირო სიტყვებს კვლავ ეძებდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის პოულობდა, თითქოს უკვე დიდი ხანია მოფიქრებული აქვსო სათქმელი.

ძალიან ახალგაზრდას შეურთავს მასავით ახალგაზრდა მეზობლის ლარიბი გოგონა. სწორედ ამის გულისათვის მიუტოვებია სწავლა და სამსახური დაუწყია. არც უანა და არც თვითონ გრანი თავიანთ უბანს არ გასცილებიან. გრანი უინ აკითხავდა ხოლმე საცოლეს, უანას მშობლები კი გუნებაში დასცინოდნენ ამ სიტყვაძუნწისა და უგერგილო სასიძოს. უანას მამა რკინიგზელი იყო. როდესაც ისვენებდა, მუდამ ფანჯარასთან იჯდა ხოლმე ჩაფიქრებული; უშვალებელი ტორები კალთაში ეწყო დედა დილიდან საღამომდე ფუსფუსებდა, უანა მას ეხმარებოდა. ქალიშვილი ისეთი პაწაწინა იყო, რომ, როცა იგი ქუჩაზე გადადიოდა, გრანს შიშისაგან სუნთქვა ეკვროდა. მანქანები ამ დროს ვეებერთელა ეჩვენებოდა ვაუს. ერთხელ, უანა ალტაცებით შეჩერდა საშობაოდ მორთულ მაღაზიის ვიტრინასთან, მერე გრანს შეხედა და უთხრა: „რა ლამაზია!“ გრანმა მაჯაზე მოუჭირა ხელი. ასე გადაწყდა მათი დაქორწინება.

მერე რაც მოხდა, გრანის სიტყვით, ძალზე ჩვეულებრივი ამბავი იყო. ცველას ასე ემართება: დაქორწინდებიან, ცოტა კიდევ უყვართ ერთმანეთი, შრომობენ, იმდენს შრომობენ, რომ სიყვარული ავიწყდებათ. უანაც იძულებული შეიქნა დაეწყო მუშაობა, რადგან კანტორის უფროსმა დანაპირები არ შეასრულა. იქ საჭირო იყო მცირეოდენი წარმოსახვის უნარი, რომ გაგეგოთ, რისი თქმა უნდოდა გრანს. დაღლილობამ თავისი გაიტანა, იგი მოეშვა, სულ უფრო და უფრო სიტყვაძუნწი გახდა, ალარ ეუბნებოდა თავის ახალგაზრდა ცოლს, მიყვარხარო. წარმოიდგინეთ აღამიანი, რომელიც დილიდან საღამომდე თავაუღებლად მუშაობს, სიღატაჟე, გაცუდებული მომსვალი, საღამოობით დუმილი მაგიდის გარშემო; ასეთ სამყაროში ვნებისათვის ადგილი არ მოიძევება. ალბათ უანა განიცდიდა ამას. მაგრამ მაინც არ ტოვებდა ქმარს: ხდება ხოლმე, დიდხანს იტანჯები და არ კი იცი. გავიდა წლები. ბოლოს ქალი წაიდა. ცხადია, მარტო არ წასულა. „ძალიან მიყვარდი, მაგრამ დავიღალე... არა ვარ ბედნიერი, რომ მივდივარ, მაგრამ ცხოვრების თავიდან დაწყებისათვის სულაც არ არის საჭირო, ბედნიერი იყო“. დაახლოებით ამას სწერდა.

უოზეფ გრანმაც ბევრი ტანჯვა გამოიარა. მასაც შეეძლო თავიდან დაეწყო

ყოველივე, როგორც შენიშნა რიემ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რწმენა აღარ ჰქონდა.

უბრალოდ, რომ ვთქვათ, სულ უანაზე ფიქრობდა. სურდა მიეწერა მისთვის წერილი, თავი ემართლებინა. „მაგრამ ეს ძნელია, — ამბობდა იგი. — უკავი დიდი ხანია, ამაზე ვფიქრობ. სანამ ერთმანეთი გვიყვარდა, ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით. მაგრამ ადამიანებს მუდამ როდი უყვართ ერთმანეთი. საჭირო წუთს უნდა მომენახა ის სიტყვები, რომლებიც დაკავებდა, მაგრამ ვერ შეკული იყენებით, თქვა და ხელი გადაისვა ულვაშებზე. რიე მდუმარედ შესცეროდა მას.

— მაპატიეთ, ექიმო, — უთხრა მოხუცმა, — მაგრამ უკეთ როგორა ვთქვა... თქვენი ნდობა მაქვს. თქვენთან შემიძლია ლაპარაკი. ჰოდა, ვღელავ კიდეც...

აშეარა გახლდათ, რომ ფიქრით გრანი ათასი ლიეთი იყო დაშორებული შავი ჭირისაგან.

იმ სალამოს რიემ დეპეშა გაუგზავნა თავის ცოლს: აცნობებდა, ქალაქი დახურულია, მე კარგად ვარ, თავს მიხედე, შენზე ვფიქრობო.

ქალაქის დახურვიდან სამი კვირის შემდეგ რიეს საავადმყოფოსთან ახალგაზრდა კაცი დახვდა, რომელიც მას ელოდა.

— იმედი მაქვს, მიცანით, — უთხრა ახალგაზრდამ.

რიეს მოეჩვენა, რომ იცნობდა ამ კაცს, მაგრამ საიდან, ვერ გაეხსენებინა.

— მე ამ ამბებამდე მოვმართეთ და გთხოვეთ ცნობები არაბთა ცხოვრების პირობებზე. რემონ რამბერი მქვია.

— ა! დიახ, — თქვა რიემ, — თქვენ ახლა რეპორტაჟისათვის საუცხოო მასალა გაქვთ.

რამბერი, ეტყობა, ნერვიულობდა. უთხრა, საქმე ეგ როდია, მე თქვენთან დახმარების სათხოვნელადა ვარ მოსულიო.

— ბოლიშს ვიხდი, — განაგრძო მან, — მაგრამ ამ ქალაქში არავის ვიცხობ, ჩემი გაზეთის კორესპონდენტი კი, საუბედუროდ, იდიოტია.

რიემ შესთავაზა, ცენტრში მდებარე დისპანსერამდე გამომყევით, იქ რაღაც განკარგულებები უნდა გავცეო. მერე დაუყვნენ ზანგების უბნის ვიწრო ქუჩებს. სალამო ახლოვდებოდა, მაგრამ ქალაქი, ასეთ დროს ოდესლაც ხმაურიანი რომ იყო, უცნაურად დაცარიელებული ჩანდა. საყვირის კანტიკუნტი ხმები, დაისის შუქით მოვქრულ ცაში რომ ადიოდა, მოწმობდა — სამხედროები ცდილობდნენ თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოსდა თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. სანამ აღმართ-აღმართ მიღიოდნენ, მავრიტანული სტილით ნაგებ, ცისფრად, ყვითლად და იისფრად შეფერხილ სახლებს შორის, რამბერი მეტად ალელვებული ლაპარაკობდა. ცოლი პარიზში დაეტოვებინა. მართალი რომ ითქვას, ჯვარდაწერილები არც იყვნენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქის დახურვისთანავე უდეპეშა. თავდაპირველად იფიქრა, ეს დროებითი ამბავიაო და შეეცადა როგორმე მიწერ-მოწერის საქმე მოეგვარებინა. მაგრამ ორანელმა კოლეგებმა პირდაპირ უთხრეს, ვერაფრით დაგეხმარებითო, ფოსტიდანაც უარით გამოისტუმრეს, პრეფერენციაში კი ერთერთმა მოხელემ პირში დასცინა. ბოლოს, ამდენი დავიდარაბის შემდეგ მარტო იმას მიაღწია, რომ ორი საათის რიგში დგომის მერე დეპეშა გაუგზავნა ცოლს: „ყველაფერი რიგზეა. ნახვამდის“.

მაგრამ მეორე დილით, როდესაც დგებოდა, უცაბედად ფიქტურმა გაუელვა, რომ კაციშვილმა არ იცოდა რამდენ ხანს გასტანდა ეს ამბავი. ამიტომაც გამგზავრება გადაწყვიტა. რაკი სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა (ცურანალისტები მაინც სარგებლობენ რაღაც უპირატესობებით), პრეფერულის უანცცლარიის უფროსთან შესვლა მოახერხა. უთხრა: არავითარი კავშირი არ ამაქვს ორანთან, აქ არაფერი მესაქმება, თქვენთან შემთხვევითა უარ შროვებულილი და სამართლიანობა მოითხოვს, წასვლის ნება დამრთოთ, თუნდაც გარეთ გასვლის შემდეგ კარანტინი მომახდევინონ. კანცელარიის უფროსმა მიუგო, ძალიან კარგად მესმის თქვენი, მაგრამ გამონაკლისს ვერ გავიკეთებ, თუმც კი შევეცდები, მაგრამ მდგომარეობა მეტად სერიოზულია და გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვითო.

— კი მაგრამ, — უთხრა რამბერმა, — მე ხომ უცხო ვარ ამ ქალაქში.

— რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ეპიდემია დიდხანს არ გასტანს.

რამბერი რომ ენუგეშებინა, ექიმმა თქვა: ახლა ორანში უამრავ საინტერესო შასალას იპოვით რეპორტაჟისთვის, თანაც არ არსებობს მოვლენა, კარგად თუ დააკვირდი, თავისი დადებითი მხარე არა ჰქონდესო. რამბერმა მხრები აიჩეჩა. ქალაქის ცენტრს უახლოვდებოდნენ.

— ეს სისულელეა, ხომ გესმით, ექიმო. მე მისთვის არ გავჩენილვარ იმ-შევეუნად, რომ რეპორტაჟები ვწერო. მაგრამ, შესაძლოა, იმისთვის კი ვიყო გაჩენილი, რომ ქალი მიყვარდეს. განა ეს ბუნებრივი არ არის?

რიემ თქვა, ეგ აზრი, როგორც ჩანს, გონივრულიათ.

ბულგარებზე ჩვეულებრივი ხალხმრავლობა აღარ იყო. რამდენიმე გამელელი სახლში მიიჩქაროდა ქალაქგარეთ. არავინ შეხვედრიათ მომლიმარი. რიემ გაიფიქრა, ეს დღეს გამოქვეყნებულ ცნობათა ბრალიათ. ოცდაოთხი საათის შემდეგ ჩვენს თანამოქალაქეებს ისევ მიეცემათ მედი, ჭერ კი გონებაში დღევანდელი ციფრები უტრიალებთო.

— საქმე ისაა, — უცებ თქვა რამბერმა, — რომ დადი ხანი არ არის, რაც ერთმანეთს შევხვდით და ძალიან შევეთვისეთ.

რიე დუმდა.

— ვხედავ, თავი მოგაბეზრეთ, — განაგრძო რამბერმა, — მე მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა თქვენთვის, ხომ ვერ დამიწერდით ცნობას, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ მე არა მჴირს წყეული სენი. ვფიქრობ, ეს ცნობა გამომადგება.

რიემ თავი დაუქნია, მერე ფრთხილიდ წამოაყენა პატარა ბიჭი, რომელიც მოულოდნელად დაეჭახა და ფეხებში ჩაუვარდა. ასე განაგრძეს გზა და საჭურვლის მოედანს მიაღწიეს. მტვრისგან განაცრისფერებული ფიქუსისა და პალმის რტოები უძრავად ეკიდნენ ასევე მტვრიანი და ჭუჭყიანი რესპუბლიკის ძეგლის ირგვლივ. ისინი ძეგლთან შეჩერდნენ. რიემ ჭერ ერთი ფეხი დაჭკრა მიწას, მერე მეორე, რომ მოთეთრო მტვერი ჩამოეფერთხა, მერე რამბერს შეხედა. გაუპარსავი იყო, ფეტრის ქუდი ოდნავ უკან გადაწია, ჰალსტუხს ქვეშ პერანგის ლილი გახსნოდა, სახეზე წყენა ეწერა, ხოლო თვალებში სიჭიურე ჩაბუდებოდა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მესმის თქვენი, — უთხრა ბოლოს რიემ, — მაგრამ თქვენი მსჯელობა არ არის სწორი. მე ვერ დაგიწერთ

ცნობას, რაკი, ფაქტიურად, არ ვიცი, გჭირთ თუ არა ეს სენი. და, რომც არ ვჰირდეთ, იმ შემთხვევაშიაც კი იმის თავდები ვერ ვიქნები, რომ, იმ წამი-
ლინ, როდესაც ჩემი კაბინეტიდან გახვალთ იმ წამამდე, სანამ პრეფერენციაში
შეხვალთ, ინფექცია არ შეგეყრებათ, და თუნდაც..



— თუნდაც? — ჩაეკითხა რამბერი.

— თუნდაც მე მოგცეთ ცნობა, მაინც არაფერში გამოგადგენათ, მაგრამ არა მარტივი გამოგადგენათ.

— იმიტომ, რომ ამ ქალაქში ათასობით კაცია თქვენს დღეში და ქალა-
ქიდან მათი გაშვება შეუძლებელია.

— კი მაგრამ, თუ მათ შავი ჭირი არა სჭირთ?

— ეს არა კმარა. სულელური მდგომარეობაა, კარგად მესმის, მაგრამ ჩვენ მაინც ყველას გვეხება. თავი არ უნდა მოვიტყუოთ.

— მე რომ აქაური არა ვარ?!

— ამიერიდან, სამწუხაროდ, თქვენც აქაური იქნებით, როგორც ყვე-
ლანი.

რამბერი გაცხარდა:

— კაცომოყვარეობის ამბავია, გეფიცებით. თქვენ უთუოდ ვერც წარმო-
ვიდგენიათ, რას ნიშნავს ასეთი განშორება ორი ადამიანისათვის, რომლებიც
ასე არიან ერთმანეთთან შეთვისებულნი.

რიემ მაშინვე არ უპასუხა. მერე თქვა: ვფიქრობ, წარმომიდგენიაო, და
დასძინა, მთელის არსებით მინდა, რომ შეეყაროთ თქვენს ცოლს, რომ ყვე-
ლა, ვისაც ერთმანეთი უყვარს, შეერთდეს, მაგრამ არსებობს დეკრეტები და
კანონები, არსებობს შავი ჭირი, მე კი ვილად მაძევს, ჩემს საქმეს არ ვულა-
ლატოო.

— არა, — მწარედ უთხრა რამბერმა, — თქვენ არ შეგიძლიათ გამიგოთ.
თქვენ ლაპარაკობთ გონების ენით, თქვენ აბსტრაქციის ტყვეობაში ხართ.

რიემ ახედა რესპუბლიკის ძეგლს და თქვა, არ ვიცი გონების ენით
ვლაპარაკობ თუ არა, მაგრამ აუცილებლობის ენით ვლაპარაკობ, ეს კი მუდამ
ერთი და იგივე როდიოთ. უურნალისტმა ჰალსტუხი გაისწორა:

— მაშ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა გზა ვეძიო? სულ ერთია, — განაგ-
რძო მან ცოტა გამომწვევად, — მე მაინც წავალ ქალაქიდან.

ექიმმა უთხრა, მესმის თქვენი, მაგრამ ეგ ამბავი მე ალარ მეხებაო.

— როგორ არა, გეხებათ, — მოულოდნელად იფეთქა რამბერმა, — მე
თქვენ იმიტომ მოგმართეთ, რომ მიამბეს, თქვენ ძალიან ცდილხართ გაგეტარე-
ბინათ მკაცრი ზომები. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ, გამონაკლისის სახით, ერთხელ
მაინც დაარღვიოს დადგენილება, რომელიც მისი დიდი მონდომების წყალო-
ბით მიიღო-მეთქი ქალაქის მმართველობამ. მაგრამ, ეტყობა, თქვენთვის სულ
ერთია ყველაფერი. თქვენ არავისზე არ გიფიქრიათ, არ გაგხსენებიათ ისინი,
ვინც ერთმანეთსაა მოშორებული.

რიემ აღიარა, ერთის მხრივ, ეს მართალიათ. მას არ სურდა გაეწია ამი-
სათვის ანგარიში.

— ა! მესმის, — განაგრძობდა რამბერი, — ახლა მოიმიზეზებთ, საზოგა-
დოების კეთილდღეობას ვემსახურებით. მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობა
ხომ თითოეული ადამიანის ბედნიერებას გულისხმობს.

— ესეცაა, მაგრამ ბედნიერების გარდა ხომ სხვა რამეც არსებობს, —

მიუგო ექიმმა, რომელმაც თითქოს ჩამოიბერტყა უწინდელი დაბნეულობა,— ასე ხელალებით არ უნდა განსაჭოთ. ცდებით იმაშიაც, რომ ჯავრობთ. თუ თქვენ შეძლებთ აქაურობას თავი დაალწიოთ, უზომოდ ბედნიერი კიქნები. უბრალოდ, არსებობს ისეთი რამეები, რასაც ჩემი სამსახური მიკრმალავს.

რამბერმა მოუთმენლად გააქნია თავი:

— დიახ, ტყუილად ვჯავრობ, თანაც საკმაო დრო წაგვარდეთ, რიემ სთხოვა, მაცნობეთ ხოლმე, რას მოიმოქმედებთ და ნუ დამემდურებითო. უთუოდ არსებობს საქმის რაღაც მხარე, რომელშიდაც მე და თქვენ შეგვიძლია ერთმანეთს გავუგოთო. რამბერი შეცბუნებული ჩანდა.

— მე მჯერა ეს, — თქვა მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — დიახ, მე მჯერა ეს ჩემდაუნებურად, მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც მითხარით. იგი შეყოყმანდა:

— მაგრამ საქციელს მაინც ვერ მოგიწონებთ.

მერე შუბლზე ჩამოიფხატა თავისი ფეტრის ქუდი და სწრაფი ნაბიჭით გასულდა იქაურობას. რიემ დაინახა, რომ იგი სასტუმროში შევიდა, სადაც უან ტარუ ცხოვრობდა.

ახლა ექიმმაც გააქნია თავი. უურნალისტი მართალი იყო, ასე მოუთმენლად რომ მიისწრაფოდა ბედნიერებისაკენ. მავრამ განა მაშინაც მართალი იყო, როცა მას სდებდა ბრალს? „თქვენ აბსტრაქციის ტყვეობაში იმყოფებითო“. ნუთუ მართლა აბსტრაქცია იყო ეს დღეები, თავის საავადმყოფოში რომ ატარებდა, საავადმყოფოში, სადაც შავი ჭირი მუსრავდა ადამიანებს და კვირაში საშუალოდ ხუთასამდე კაცს იწირავდა? დიახ, უბედურებას რაღაც ეცხო აბსტრაქციისა და ირეალურისა. მაგრამ როდესაც აბსტრაქცია გალავთ, უნდა ეურჩიოთ მას. რიემ მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს არც ისე იოლია. არც დამხმარე საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ჩყო იოლი (ასეთი დამხმარე საავადმყოფო ამჟამად სამი იყო), მას რომ დაევალა. ერთ-ერთ ოთახში, ექიმის კაბინეტის გვერდით, მან მიმღები პუნქტი მოაწყო. იმ ოთახში იატაკი აყარეს და ორმო ამოთხარეს. შიგ სადეზინფექციო წყლის ტბა იდგა, ხოლო შუაგულში აგურით ნაგები პატარა კუნძული იყო. სნეულს ამ კუნძულზე აწვენდნენ, სწრაფიდ ხდიდნენ ტანთ და მის ტანსაცემელს წყალში ყრიდენ. დაბანილი, ვამშრალებული, ლაზარეთის ხორქლიანი პერანგით შემოსილი ავადმყოფი რიეს ხელში გადადიოდა, შემდეგ კი რომელიმე პალატაში აწვენდნენ. იძულებული იყვნენ სკოლის შიგა ეზოები გამოეყენებინათ, რაღვან საავადმყოფოში უკვე ხუთასი საწოლი იდგა და თითქმის ჟველა დაკავებული იყო. დილის შემოვლის შემდეგ, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა, მას შემდეგ, რაც ავადმყოფებს აცრიდნენ და ბუბონებს გაუჭრიდნენ, რიე კვლავ ამოწმებდა სტატისტიკურ მონაცემებს, ხოლო ნაშუადღევს ისევ ჩამოივლილა ხოლმე პალატებს. ბოლოს, საღამოთი, თავის ავადმყოფებს მიაკითხავდა სახლში და გვიან ლამითლა ბრუნდებოდა შინ. წინა ლამეს დედამ ცოლისგან გამოგზავნილი დეპეშა რომ გაუწოდა, შენიშნა, შვილს ხელები უკანკალებდა.

— მართალია, — აღიარა რიემ, — მიკანკალებს ხელები. მაგრამ ეს ნერვების ბრალია, უნდა მოვერიო თავს.

იგი ლონიერი და ამტანი იყო. არსებითად, ჯერ არც დალლილი ეთქმოდა. მაგრამ ავადმყოფებთან მისვლა, სიმართლე თუ გნებავთ, მისთვის აუტანელი სდებოდა. ეპიდემიური დაავადების დიაგნოზის დასმა ნიშნავდა იმას, რომ

ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა წაეყვანათ. მაშინ მართლაც იწყებოდა აბსტრაქტია და სიძნელე, ვინაიდან სწორი თვალის ოჯახმა იცოდა, რომ თავის სისხლსა და ხორცს ან განკურნებულს იხილავდა ან მკვდარს. „შეგვიძრალეთ, ექიმო!“ — ეუბნებოდა ქ-ნი ლორე, ტარუს სასტუმროში მომუშავე დამლაგებლის რეა. მაგრამ რას ნიშნავდა შებრალება? ცხადია, რიეს პქონდა მათი სიბრალული, მაგრამ ეს არავის არაფერს მატებდა. იძულებული იყო დაერეცა ტელუფუნშეთ. რამდენიმე წუთში სასწრაფო დახმარების წაყვირის ხმა გაისმოდა — ჟაჟულმაჩქა ველად მეზობლები ფანჯრებს აღებდნენ და ქუჩაში იხედებოდნენ. მერე და მერე კი პირიქით, საჩქაროდ ხურავდნენ დარაბებს. აი მაშინ იწყებოდა ბრძოლა, ცრემლები, დარწმუნება, ერთი სიტყვით, აბსტრაქტია. სიცხითა და შიშით გახურებულ ოთახებში სიგიურის სცენები თამაშდებოდა. მაგრამ ავადმყოფი მაინც მიჰყავდათ და რიესაც შეეძლო წასვლა.

პირველ ხანებში რიეს სასწრაფო დახმარების მოსვლას როდი ელოდებოდა — შეატყობინებდა თუ არა ტელეფონით, მაშინვე სხვა ავადმყოფთან მიიჩქაროდა. მაგრამ როგორც კი წავიდოდა, ავადმყოფის ახლობლები მაშინვე კარებს რაზავდნენ და შავ ჭირთან პირისპირ დარჩენას ამჯობინებლნენ განშორებას, რომელსაც, უკვე იცოდნენ, რა მოჰყვებოდა. საჭირო ხდებოდა ყვირილი, ბრძანება, პოლიციისა და, მოგვიანებით, სამხედროების გამოძახებაც კი. ერთი სიტყვით, ავადმყოფს იერიშით იღებდნენ. პირველი კვირების განმავლობაში რიეს იძულებული იყო სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დარჩენილიყო ავადმყოფთან. შემდეგში კი, როდესაც სასწრაფო ექიმს უკვე მოხალისე სანიტარ-ინსპექტორს აყოლებდნენ, რიეს შეეძლო ერთი ავადმყოფიდან დაუყოვნებლივ მეორესთან გადასვლა. დასაწყისში ყველა საღამო იმ საღამოს ჰგავდა, როდესაც ქ-ნ ლორეს სანახავად მივიღდა მარაოებითა და ხელოვნური ყვავილებით მორთულ პატარი ბინაში. ქ-ნ ლორეს დედა ნაძალადევი ლიმილით შეეგება:

— იმედი მაქვს, ეს ის ხურვება არ არის, ექიმო, რომელზედაც ყველა ლაპარაკობს.

მან კი საბანი გადაპხადა ავადმყოფს, პერანგი აუწია და დუმილით დაცუქერდა წითელი ლაქებით დაფარულ მუცელსა და ბარძაყებს, გასიებულ ჯირკვლებს. დედამაც დახედა თავისი ქალიშვილის სხეულს და ყვირილი აღმოხდა. სწორედ ასე გოდებდნენ დედები ყოველ საღამოს, უაზროდ რომ დაშრერებოდნენ თავიანთი შვილების გაშიშვლებულ, სიკვდილით დაღდასმულ მუცლებს. ყოველ საღამოს რიეს ხელებს ვიღაცის ხელები ებლაუჭებოდა, ცრემლებს ფუჭი ხეეწნა-მუდარა სცვლიდა, ყოველ საღამოს სასწრაფო დახმარების საყვარის ხმას ეგებებოდნენ ისტერიული ტირილით, რომელიც ისეთივე ამაოა, როგორიც ყოველგვარი, მწუხარება. მსგავსი საღამოები ისე წაეწყო ერთიმეტორეს, რომ რიეს სხვას არაფერს ელოდა, ვირდა ასეთი სცენების უსასრულოდ გრძელი რიგისა. დიახ, შავი ჭირი ისევე, როგორც აბსტრაქტია, მონოტონურია. იქნებ მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა და ის ერთი თვით რიეს გახლდათ. გან ეს იმ საღამოს იგრძნო, რესპუბლიკის ძეგლთან რომ იდგა. მაშინ იგრძნო, თუ რა მძიმე გულგრილობამ დარია ხელი, როცა სასტუმროს კარს მისჩერებოდა, რომლის უკანაც რამბერი გაუჩინარდა.

ამ დამქანცავი კვირების მიწურულს, როცა დაბინდებისას ხალხი ქუჩაში გამოეფინებოდა და უაზროდ ხეტიალს იწყებდა, რიეს ანაზდად მიხვდა, რომ

ალარ სკორდებოდა სიბრალულისაგან თავის დაცვა. სიბრალული გლლით, როდესაც იგი არაფრის მაქნისია... და ამ ქანცგამცლელი დღეების შემდეგ ექიმმა პირველად იგრძნო შვება, როცა მიხვდა, რომ მისი გული ნელ-ნელა საკუთარ არსებობაში იკეტებოდა. იცოდა, რომ ამიერიდან საქმე გაუადვილდებოდა. ამიტომაც ხარობდა, როცა დედამისი, ლამის ორ საათზე ფეხზე რომ უხვდვებოდა შინ დაბრუნებულს, წუხდა, ჩემს შვილს უაზრო გამოსხეფვა აქვსო, იგი სწორედ იმაზე ნაღვლობდა, რისაც რიესთვის ერთადერთი შვება მოჰქონდა. აბსტრაქციას რომ ეომო, რალაც სიერთო უნდა გქონდეს მასთან. მაგრამ როგორ შთააგონოს ეს რამბერს? რამბერისათვის აბსტრაქცია წარმოადგენდა ყოველივე იმას, რაც გზას უღობავდა მის ბედნიერებას. და, რიე გულწრფელად ალიარებდა, რომ უურნალისტი ერთგვარიად სწორი იყო. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ზოგჯერ აბსტრაქცია ბედნიერებაზე ძლიერია. და მაშინ უსათუოდ უნდა გაუსწორო მას ანგარიში. მხოლოდ მაშინ ალბათ ეს დაემართა რამბერსაც, მაგრამ ექიმი კარგა მოგვიანებით მიხვდა ამას, მაშინ, როცა უურნალისტმა გული გადაუშალა. ამგვარად რიეს შეეძლო ახალი პოზიციიდან მიედევნებინა თვალი თითოეული ადამიანის ბედნიერებასა და შავი ჭირის აბსტრაქციას შორის გამართული სასტიკი ბრძოლისათვის, რაც ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი ქალაქის ცხოვრების აზრს შეადგენდა.

მაგრამ იქ, საღაც ერთნი ხედავდნენ აბსტრაქციას, სხვები ჰეშმარიტებას ხედავდნენ. უამიანობის პირველი თვის მიწურული ხალხს ჩამწარა ეპიდემიის აშკარა ზრდამ და მამა პანელუს აღგზნებულმა ქადაგებამ, პანელუ სს იეზუ-ტი გახლდათ, დასნეულებულ მოხუც მიშელს რომ შეხვდა ქუჩაში და სახლამდე მიაცილა. იგი უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ორანის „გეოგრაფიულ ბიულეტენში“ მუდმივი თანამშრომლობის წყალობით. მისი ეპიგრაფიკული შრომები დიდი ალიარებით სარგებლობდა. მაგრამ მან ფართო აუდიტორია შეიძინა არა როგორც მეცნიერ-სპეციალისტმა, არამედ რიგი ქადაგებებით თანამედროვე ადამიანის ინდივიდუალიზმზე. მამა პანელუ გამოდიოდა მომთხოვნი ქრისტიანობის მოქადაგედ, თანაბრად შორს რომ იდგა დღევანდელთა თავაშვებულობისა და გასული საუკუნეების ობსკურანტიზმისაგან. რაյი შემთხვევა ჩაუვარდა ხელთ, პირში მიახალა მწარე სიმართლე თავის მსმენელებს.

ამ თვის მიწურულს ქალაქის საექლესიო ხელისუფალთ გადაწყვიტეს შავი ჭირის წინააღმდეგ საკუთარი ძალებით ებრძოლათ და ერთობლივი ლოცვის კვირეული მოეწყოთ. ღვთისმოსაობის ეს საჯარო გამოვლინება უნდა დამთავრებულიყო კვირა დღეს საზეიმო მესით, ჭირიანთა მფარველის, წმიდა როკის საღიძებლად. ამასთან დაკავშირებით მამა პანელუს სთხოვეს სიტყვით გამოსვლა. ეს უკანასკნელი მთელი ორი კვირა მოსწყდა თავის გამოკვლევებს ნეტარ ავგუსტინესა და აფრიკის ექლესიაზე, რომელთაც მას საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს იეზუიტთა ორდენში. მგზნებარე ბუნების პატრიონმა გაბედულად იტვირთა მასზედ დაკისრებული ამოცანა. დიდი ხნით ადრე, ვიდრე მამა პანელუ იქადაგებდა, ქალაქში უკვე ლაპარაკობდნენ ამ ქადაგებაზე და იგი თავისებურად მნიშვნელოვან თარიღად აღიბეჭდა ამ პერიოდის ისტორიაში.

ლოცვის კვირეულმა დიდძალი ხალხი მიიჩიდა. არ კი იფიქროთ, თითქოს ორანის მკვიდრნი ჩვეულებრივ დროს განსაკუთრებულად ღვთისმოსავნი

ყოფილიყვნენ. კვირა დილას, მაგალითად, ზღვაში ბანაობა სერიოზულ მეტო ქეობას უწევს მესას. ვერც იმას ვიტყვით, ერთბაშად მოიქცნენ და სხივი ნათლისა მოეფინათო. მაგრამ ერთი შხრივ, ქალაქი დაიხურა, ნავსადგურში სიარული მოეშალათ, ბანაობა აიკრძალა, ხოლო მეორე შხრივ, ახლა გონიერ ისე ჰქონდათ მიმართული, მართალია, სულის სილრმეში არ სცნობდნენ თავს /დატეხილ მოულოდნელ ამბებს, მაინც გრძნობდნენ, რაღაც შეიცვალა უზურია ბევრი ჭერ კიდევ იმედოვნებდა, ეპილემია შეჩერდება და ჩვენ ჩვენი თავს გადავრჩებითო. მაშასადამე, ჭერ არავის წინაშე არ გრძნობდნენ თავს ვალდებულია. მათთვის შავი ჭირი იყო აბეზარი სტუმარი, რომელიც ერთ შშვენიერ დღეს ისევე უნდა წასულიყო, როგორც მოვიდა. დაშინებულები იყვნენ, მაგრამ არა სასომიხდილნი, რადგან ჭერ კიდევ არ დამდგარიყო უამი, როდესაც შავი ჭირი თავიანთი არსებობის განუყრელ ფორმად წარმოუდგებოდათ და დაავიწყებდათ იმ ცხოვრებას, მის მობრძანებამდე რომ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, მოლოდინში იყვნენ. რელიგიის, ისევე, როგორც მრავალი სხვა პრობლემის შესაფასებლად შავმა ჭირმა მათ უჩვეულოდ წარუმართა გონება, რომელიც თანაბარი მანძილით იყო დაშორებული როგორც გულგრილობისაგან, ასევე ვნებისაგან, და რომლის განსაზღვრაც საკმაოდ კარგად შეიძლება სიტყვით „ობიექტურობა“. უმრავლესობას იმათვან, ვინც თვალი ადევნალოცვის კვირეულს, შეეძლო გაეზიარებინა სიტყვები, ერთ-ერთმა მორწმუნებ უქიმ რიესთან რომ თქვა: ეს, სხვა თუ არაფერი, ზიანს მაინც არ მოგვიტანსო. თვით ტარუმაც კი ჩაწერა თავის დღიურში, ასეთ ვითარებაში ჩინელები დოლს უკრავენ შავი ჭირის გენიის დასაშოშმინებლადო, თან შენიშნავდა, თუმცა შეუძლებელი გახლავთ იმის დადგენა, დოლია უფრო ქმედითი, თუ პროფილაქტიკის ზომებიო, და იქვე დასძენდა, საკითხის გადასაჭრელად. საჭირო იქნებოდა გვერდობა ცნობები შავი ჭირის გენიის არსებობის შესახებ და რაყი მსგავსი არაფერი მოგვეპოვება, ჩვენი უცოდინარობა წინასწარ აცლის საფუძველს ყოველგვარ თვალსაზრისსო.

ასეა თუ ისე, ჩვენი კათედრალური ტაძარი მთელი კვირის განმავლობაში თითქმის სავსე იყო მლოცველებით. პირველ დღეებში ორანელთა უმეტესობა ტაძრის კარიბჭის წინ პალმებისა და ბროჭეულის ხეთა ჩრდილში ამჭობინებდა ჭდომას და იქ ისმენდა გალობასა და ლოცვას — ტაძრიდან ტალღებად მონალენი ხმები ქუჩამდეც კი აღწევდა. მერე, თანდათანობით, ერთიმეორის მაგალითს მიჰმარეს, ტაძარში შესვლა გაბედეს და თავიანთი მორიდებული ხმა მლოცველთა ხმებს შეუერთეს. კვირა დღეს უკვე დიდძალმა ხალხმა შეავსონეფი, უწია სტოვამდე და კიბეებზეც ტევა არ იყო. წინა დღეს კა მოიქუცრა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. გარეთ მდგომთ ქოლგები გაშალეს. ტაძარში რიალებდა საკმევლისა და სველი ქსოვილის სუნი, როდესაც მამა პანელუ ივიდა კათედრაზე.

საშუალო ტანისა იყო, მაგრამ ჩასკვნილი. როდესაც კათედრის კიდეს დაეყრდნო და თავისი მსხვილი ხელებით ჩააფრინდა, მლოცველებმა მხოლოდ რაღაც მოუქნელი, შავი მასა დაინახეს, ცოტა უფრო ზემოთ ორი წითელი ლოყა, ლოყებს ზემოთ კი ფოლადჩარჩოანი სათვალე. ბერს ძლიერი, მგზნებარე ხმა ჰქონდა, რომელიც შორს გაისმოდა და როდესაც დამსწრეთ შეუტია პირველივე მხურვალე და მკაფიო ფრაზით: „ძმებო, უბვდურება გაწვიათ,

თქვენ ეს დაიმსახურეთ, ძმებო! — ხალხს მღელვარების ტალღამ გადაურბინა სტოვამდე.

მომდევნო სიტყვები ლოგიკურად თითქოს არ უთანხმდებოდა ამ პათეტიკურ შესავალს. მხოლოდ შუა ქადაგებაში მიხვდნენ ჩვენი თანამოქალაქეები, რომ მამა პანელუმ მოქნილი ორატორული ხერხით პირველსავე ფრაზაში ჩასდო თავისი ქადაგების მთავარი იდეა, თითქოს სილა ჭავჭავათთ უშუალოდ ამ ფრაზის შემდეგ მან მოიყვანა „გამოსვლათას“ ტექსტი, სადაც ლაპარაკია ეგვიპტეში უამიანობაზე და დასძინა: „აქ ისტორიაში ეს უბედურება პირველად გვევლინება მისთვის, რათა ლვთის მგმობელნი დაესაჭა. ფარაონი ეურჩებოდა უფლის ნება-სურვილს და შავმა ჭირმა იგი მუხლებზე დააჩოქა. იმ უხსოვარი დროიდან ლვთის რისხვა აშოშმინებდა ურჩთა და ბრძათა. კარგად დაუფიქრდით ამას და მუხლი მოიდრიკეთ!“

წვიმამ კიდევ უფრო დაუშვა გარეთ და ეს უკანასკნელი ფრაზა, წარმოსაქმული სრულ სიჩუმეში, რომელსაც უფრო საცნაურს ხდიდა ვიტრაუზე კოკისპირული წვიმის შხაპაშხუპი, ისე ზარიანად ახმიანდა, რომ რამდენიმე მსმენელი წამიერი ყოყმანის შემდეგ ულონოდ დაუშვა მუხლებზე. სხვებმა გაიფიქრეს, მათ მაგალითს უნდა მივბაძოთ და ერთიმეორის მიყოლებით სიჩუმეში, რომელსაც დროდადრო სკამის ჭრიალი თუ არღვევდა, მთელმა მრევლმა მუხლი მოიყარა. მაშინ პანელუ გასწორდა, ლრმად ჩაისუნთქა და სულ უფრო და უფრო მკაფიო კილოთი განაგრძო: „თუკი დღეს შავი ჭირი გეწვიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ დადგა უამი დაფიქრებისა. მართალთ, მისი არ უნდა ეშინოდეთ, მაგრამ ბოროტს დიახაც რომ შიში და ძრწოლა მართებს. სამყაროს ვეებერთელა კალოზე ულმობელი კევრი მანამდე ლეწივს თავთავს, სანამ ბზე მარცვლისაგან განიყოფოდეს. ბზე მეტი იქნება, ვიდრე მარცვალი, მეტი წოდებული, ვიდრე რჩეული, მაგრამ ეს უბედურება ღმერთს არ უნებებია. მეტად დიდხანს იყო ბოროტებასთან წილნაყარი სამყარო, მეტად დიდხანს ჰქონდა ლვთის მოწყალების იმედი. საკმარისი იყო მოგენანიებინა ცოდვები და უველავერი ნებადართული ხდებოდა. მონანიებაში კი უველა მარჯვეა. მაგრამ მოვა დრო და თითოეულ ჩეუნგანს მოეკითხება. მანამდე კი უფრო იოლია ლვთის მოწყალების იმედით ცხოვრება, აქაოდა უველავერი მოგვარდებაო. ჰოდა, ეს არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო! უფალმა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ამ ქალაქის მკვიდრთ მოწყალების თვალით უმშერდა, ლოდინისაგან დაქანცულმა, მარადიულ იმედში გაცრუებულმა, აგვალო ხელი. ლვთის ნათელს მოკლებული აწი დიდხანს ვიქნებით უამიანობის წყვდიადში!“

დარბაზში ვილაცამ დაიფრთხვინა, თითქოს ცნენი ლაგმის აწყვეტას ლამბსო. ხანმოკლე პაუზის შემდეგ პანელუმ უფრო დაბალი ხმით განაგრძო: „ოქროს ლეგენდაში“ ვკითხულობთ, რომ უმბერტო ლომბარდიელის შეფობაში, იტალიას თავს დაატყდა ისეთი შავი ჭირი, ცოცხლები ძლივ-ძლივს აუდიოღნენ მკვდრების დამარხვასო. შავი ჭირი განსაკუთრებით მძვინვარებდა რომსა და პავიაში. გამოეცხადათ კეთილი ანგელოზი და უბრძანა მან ბოროტ ანგელოზს, რომელსაც მარჯვენაში ოროლი ეჭირა, დაებრახუნებინა განწირულთა კარებზე. და რამდენჯერაც დაეშვებოდა ოროლი სახლზე, იმდენი ცხედარი გამოჰქონდათ იქიდან“.

აქ პანელუმ თავისი მოკლე მელავები კარიბჭისკენ გაიშვირა, თითქოს

რაღაცას უჩვენებდა წვიმის მოძრავი ფარდის მიღმა: „ძმებო,— თქვა მან შეუქარედ, — იგივე სასიკვდილო ნაღირობა გამართულა დღეს ჩვენს ჭუჩებში. შეხედეთ ამ შავი ჭირის ანგელოზს, ლუციფერის მშვენიერსა და ელგარეს, ვით თავად ბოროტებას, თქვენი სახურავების ზემოთ რომ დაქრის. მარჯვენა ხელში ზეალმართული სისხლიანი ოროლი უპყრია, მარცხენა ხელფურულშევინი სახლებისკენ გაუწვდია. იქნებ სწორედ ამ წამში მისი თითი ჰქონის ჭარბებენ არის გაშვერილი და ისმის ოროლის ხეზე შეხების ხმა. შავი პირი მყის შედის თქვენთან, ჯდება თქვენს ოთახში და თქვენს დაბრუნებას ელოდება. იგი იქ გელით, მომთმენი და გაფაციცებული, თავდაჭერებული, როგორც თვით სამყაროს კანონზომიერება. ვერავითარი მიწიერი ძალა და, — კარგად უწყოდეთ ეს, — თვით კაცთა ფუჭი განსწავლულობაც ვერ აგარიდებთ ამ ხელს, რომელსაც ის გამოიწვდის თქვენკენ. ასე გაგლეწავთ ტკივილის სისხლიან კალოზე და მოვისვრით ბზესთან ერთად“.

აქ წმინდა მამამ დამსწრეთ დაუხატა უბედურების ქიდევ უფრო საზარელი სურათი. ახსენა ხის უშველებელი ოროლი, ქალაქს თავს რომ დასტრიალებდა, ალალბედზე ეშვებოდა ხან აქ, ხან იქ და კვლავ მაღლდებოდა გასისხლიანებული, ადამიანთა სისხლის მნიხეველი და მთესველი ტკივილისა. „აი ასეთი ნათესიდან აღმოცენდება ჭეშმარიტების მოსავალი“.

ეს გრძელი პერიოდი რომ დაასრულო, მამა პანელუ გაჩუმდა. თმა შუბლზე ჩამოშლოდა, მთელი სხეული უკანკალებდა და ეს კანკალი ხელებიდან კათედრას გადაეცემოდა. მერე კვლავ განაგრძო ცოტა მოგუდული ხმით, მაგრამ ბრალმდებლის კილოთი: „დიახ, დადგა დრო დაფიქრებისა. თქვენ გეგონათ, საკმარისი იყო ლმერთი კვირაობით მოგენახულებინათ, რომ დანარჩენი დღე-ები თქვენს გუნებისად გეტარებინათ. თქვენ ფიქრობდით, ერთი-ორჯერ მუხლის მოდრეკა საკმარისი იყო, რომ თქვენი დანაშაულებრივი უდარდელობა გამოვესყიდათ. მაგრამ ლმერთს თავისი უნდა მიაგოთ. თქვენი იშვიათი სტუმრობა არ ჰყოფნის მის მგზნებარე სიყვარულს. მას უნდა მუდამ გხედავდეთ. ასეთია მისი სიყვარულის გამოვლენა და, მართალი რომ ითქვას, მხოლოდ ასეთნაირია ჭეშმარიტი სიყვარული. ამიტომაა, რომ თქვენი ლოდინით დაქანცულმა უბედურება მოგივლინათ ისევე, როგორც ყველა ცოდვილ ქალაქს მას აქეთ, რაც აღამიანები უამთა აღწერას მისდევენ. თქვენ ახლა იცით, რა არის ცოდვა ისევე, როგორც ეს იცოდნენ კაენმა და მისმა მოდგმამ, როგორც იცოდნენ წარლვნამდე, როგორც იცოდნენ სოდომისა და გომორის მცხოვრებლებმა, ფარაონმა და იობმა და ყველა ლვთისაგან შერისხულმა. მათი არ იყოს, თქვენც სხვა თვალით უყურებთ ყველა სულიერსა და არსებულს იმ დღიდან მოყოლებული, რაც ამ ქალაქმა ჩარაზა კარი და თავის კედლებში მოგამწყვდიათ უბედურებასთან ერთად: როგორც იქნა, თქვენ შეიგნეთ, რომ საჭიროა მთავარზე იფიქროთ!“

ამ დროს ნოტიო ქარი შეიჭრა ტაძრის თაღებში და სანთლების მოგიზგიზე ალი შეარხია ტკაცუნით. დროდადრო ვიღაც ახველებდა ან აცემინებდა. ამონასუნთქმი შერეულმა სანთლის მძიმე სუნმა მამა პანელუმდე მიაღწია. მოხუცი ისე მარჯვედ დაუბრუნდა სათქმელს, რომ დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. „მე ვიცი, რომ მრავალი თქვენთაგანი სწორედ ახლა თავის თავს ეკითხება, რის თქმას აპირებსო, — განაგრძობდა იგი მშვიდი ხმით, — მე მსურს ჭეშმარიტებამდე მიგიუვანოთ და გასწავლოთ სიხარული მიუხედავად ყოველი-

ვე იმისა, რაც წელან გითხარით. გარდახდა უამი, როცა რჩევა-დარიგებას, ძმუ-
რად გამოწვდილ ხელს შეექლო თქვენი სიკეთისაკენ მიმართვა. დღეს სიმარ-
თლე ზემოდანაა ნაბრძანები. ხსნის გზას სისხლით შეღებილი ოროლე გიჩვე-
ნებთ და ლმერთისკენაც იგი გიბიძგებთ. სწორედ ამაში ვლინდება, ბოლოს და
პოლოს, ძმებო, ღვთის მოწყალება, რომელმაც ყოველ საჭირო ნიჭის და
კეთეცა და ბოროტებაც, მრისხანებაცა და სიბრალულიც, წაჭილ ჭიშტატა და
ხსნაც. თვით ეს უბედურება, მუსირს რომ გავლებთ, აღგამალლებთ და გზას გიჩ-
ვენებთ.

დიდი ხნის წინათ აბისინის ქრისტიანები შავ ჭირში ხედავდნენ ღვთაებ-
რივი ბუნების ქმედით ძალას სამარადისო სასუფევლის დასამკვიდრებლად,
ისინი, ვისაც სენი არ შეეყარა, ეხვეოდნენ ჭირიანების ზეწრებში, რათა უეჭ-
ველად მომკვდარიყვნენ. ცხადია, სულის გადასარჩენად ასეთ მძვინვარებას
ვერ გირჩევთ. ეს სავალალო აჩქარებაზე მიუთითებს, რომელიც ძალზე ახლოა
მზვაობრობასთან. ლმერთზე მეტად არ უნდა ავჩქარდეთ და არ უნდა ვეცა-
დოთ ავაჩქაროთ ურყევი წესრიგი, რომელიც მან უკუნიში უკუნისამდე და-
ამყარა. ამას ცოორისებისაკენ მივყავართ. მაგრამ უამიანობა გაკვეთილი იქნე-
ბა თქვენთვის. ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელთ მარადისობის იმ საუცხოო
სხივს აზიარებს, რომელიც ყოველგვარი ტანჯვის წიაღშია. ეს სხივია, მწუხრის
გზებს რომ ანათებს, რომელსაც ხსნისაკენ მივყავართ. ეს სხივია გამოვლენა
ღვთის ნება-სურვილისა, დაულალავად რომ გარდაქმნის ბოროტებას სიკეთედ.
დღესაც სიკვდილის, შიშისა და ურვის გზით ჩვენ მას საბოლოო მდუმარე-
ბისა და ჩვენი ცხოვრების უმაღლესი პრინციპისაკენ მივყავირთ. აი, ძმებო, ის
უდიდესი ნუგეში, რომელიც მინდოდა თქვენთვის მომეტანა, რათა მხოლოდ
ვანკიცხვის სიტყვები არ წაგელოთ იქედან, თან წაგეტანათ სულში მშვიდობის
ჩამდებრელი სიტყვაც".

იგრძნობოდა, რომ პანელუ ქადაგებას ამთავრებდა. გარეთ წვიმას გადა-
ელო. ციდან ცინცხალი შუქი ატანდა მსუბუქ ნისლში და მოედანს ეფინებოდა. ქუჩიდან მოისმოდა გამვლელთა ხმები, მანქანების ხმაური, რითაც ენას იდ-
ამს ხოლმე გალვიძებული ქალაქი. მსმენელები ნელ-ნელა წასასვლელად გა-
ემზადნენ და ტაძარში ცოტა ჩოჩქოლი შეიქნა. მაგრამ მამა პანელუმ სიტყვა
განაგრძო: რადგანაც უკვე გიჩვენეთ შავი ჭირის ღვთაებრივი წარმოშობა და-
დაგანახეთ, რომ ეს უბედურება სასჯელად მოგვივლინა ლმერთმა, სიტყვას
აღარ გავაგრძელებ ამის შესახებ და ქადაგების დასასრულს არ მივმართავ
უადგილო მჭევრმეტყველებას, რაკი ასეთ ტრაგიკულ ამბებზეა საუბარი.
მისი აზრით ყველასათვის ყოველივე ისედაც ნათელი უნდა ყოფილიყო.
დამსწრეთ მხოლოდ ის შეახსენა, რომ მარსელის დიდი უამიანობის დროს
შემატიანე მატიე მარე ჩიოდა, თვით ჭოჭოხეთში მგონია თავი, რაკი არც ხსნა
ჩანს სადმე და არც იმედიო. მატიე მარე ბრმა გახლდათ პირიქით, მამა პანე-
ლუს დღევანდელივით არასოდეს უგრძნია ღვთის შემწეობა და ქრისტიანული
იმედი, რომელთაც უფალი ყველას უბოძებს. იგი იმედოვნებს მიუხედავად
ყოველი იმედისა, იმედოვნებს მიუხედავად ამ დღეთა საშინელებისა და მო-
მაკვდავთა გოდებისა, რომ ჩვენი თანამოქალაქენი ცას შეპლალადებდნენ ერ-
თადერთ ქრისტიანულ სიტყვას, სიტყვას სიყვარულისა. დანარჩენს უფალი
იქმს.

ძნელი სათქმელია, მოახდინა თუ. არა ამ ქადაგებამ შთაბეჭდილება ჩვენს თანამოქალაქეებზე. ბ-ნმა ოტონმა, გამომძიებელმა, ექიმ რიეს უთხრა, მამა პანელუს აზრები „აბსოლუტურად უდავოაო“. მაგრამ ყველა ასეთი კატეგორიულობით როდი სჯიდა. უბრალოდ, ქადაგებამ უფრო საგრძნობი გახადა ის /რა-საც მანამდე გუმანით გრძნობდნენ; ეს გაუგონარი პატიმრობა, თავად რომ არ ვუწყით, იმ დანაშაულისათვის გვაქვსო მოსჯილი. და მაშინ, როდესაც ურთ-ნი თავიანთი კნინი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ეგუებოდნენ პატიმრობას, სხვებს ამიერიდან ერთადერთ საფიქრალად ამ ციხიდან გაპარვა ჰქონდათ.

აღამიანები ჯერ შეეგუენ გარესამყაროსგან მოწყვეტას, ისევე, როგორც შეეგუებოდნენ რომელიმე დროებით უსიამოვნების, მხოლოდ ზოგიერთ მათ ჩვეულებას რომ დაარღვევდა. მაგრამ რაკი იაზრეს, რომ გამომწყვდეული იყვნენ გავარვარებული ცის ქვეშ, და ბუნდოვნად ისიც იგრძნეს, რომ ეს პა-ტიმრობა უშუალოდ მათ სიცოცხლეს ემუქრებოდა, ენერგია, საღამოობით, აგრილებასთან ერთად რომ უბრუნდებოდათ, მთლიან თავზეხელალებული, სა-სოწარკვეთილი საქციელისაკენ უბიძგებდათ.

თავდაპირველად, — ძნელია იმის თქმა, უბრალო დამთხვევის ბრალი იყო თუ არა, — იმ ლირსსახსოვარი კვირის შემდეგ ჩვენი მოქალაქენი საყო-ველთაო, ღრმა შიშმა მოიცვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბოლოს და ბოლოს თავიანთი მდგომარეობის ჯეროვანი შეფასება იწყეს. ამ თვალსაზრისით ჩვენს ჩალაქში ატმოსფერო ცოტათი შეიცვალა. მაგრამ სინამდვილეში საკითხავია, ცვლილება გალაქში მოხდა თუ ჩვენს გულებში.

ქადაგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რიე, რომელიც გარეუბნისაკენ მი-ეშურებოდა, და გრანს ბოლო დღეების ამბებზე ესაუბრებოდა, სიბნელეში ვიღაც კაცს შეეჩენა, კაცი იდგილზე ტორტმანებდა და არც ცდილობდა ნაბი-ჭის წინ გადადგმას. იმავ წუთს ჩვენი გალაქის ლამპიონები, სულ უფრო და უფრო გვიან რომ ენთებოდნენ, ერთბაშად იკიაფდნენ. მაღალ ბოძზე დაკი-დებულმა ფარანმა, რომელიც მათ ზურგს უკან იყო, უცებ გაანათა კაცი, თვალ-დახუჭული უხმოდ რომ იცინოდა. ფერმქრთალ სახეზე, უსიტყვო მხიარულებას რომ დაემანჭა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. რიემ და გრანმა გზა უტიეს.

— ვიღაც გიჟია, — თქვა გრანმა.

რიემ, რომელმაც მელავი გამოსდო თანამგზავრს, რომ სწრაფად გასც-ლოდნენ იქაურობას, იგრძნო, მოხელე ნერვიულობისაგან კანკალებდა.

— მალე ჩვენს კედლებში მხოლოდ გუებილა დარჩებიან, — თქვა რიემ.

რიემ იგრძნო, რომ ყალი გაშრობოდა, ეტყობა, დაღლილობამ იჩინა თვეი.

— დავლიოთ რამე.

პატარა დახუთულ კაფეს, რომელშიაც შევიდნენ, მხოლოდ დახლს ზემოთ დაკიდებული ნათურა ანათებდა წითლად. ხალხი რატომლაც ხმაღაბლა ლაპარა-კობდა. დახლთან გრანმა ექიმის გასაოცრად ერთი არაყი შეუკვეთა, სულმო-უთქმელად გადაჰქრა და დააყოლა, მაგარიაო. შემდეგ გავლა მოისურვა. გა-რეთ რიეს მოეჩვენა, რომ ლამეში ვიღაც გაბმით კვნესოდა. სადღაც, შავ ცა-ზე, ლამპიონებს ზემოთ გადავლილმა ყრუ სტვენამ შეახსენა უხილავი უბე-დურება, მალიმალ რომ აპობდა ცხელ ჰაერს.

— კიდევ კარგი, კიდევ კარგი, — გაიძახოდა გრანი.

რიე თავის თავს ეკითხებოდა, რისი თქმა უნდაო.

— ქიდევ კარგი, — თქვა გრანმა, — მე ჩემი სამუშაო მაქვს.
— ეგ მართლაც უპირატესობაა, — უთხრა რიემ.
და რომ აღარ გაეგო სტვენა, გრანს ჰეითხა, ქმაყოფილი ბრძოლით თუ არა
თქვენი სამუშაოთიო.

— როგორ გითხრათ, ვფიქრობ, რომ სწორ გზას ვალგეცვალა. რუსული
— ქიდევ ბევრი დაგრჩათ? ბრიტანეთის გრანი

გრანი თითქოს გამოცოცხლდა, არაყის სიმხურვალე ჩაეღვარა ხმაში:
— არ ვიცი. მაგრამ ეს როდია მთავარი, ეჭიმო. მთავარი ეს არაა, არა.
სიბნელეში რიე ხვდებოდა, რომ გრანი ხელებს იქნევდა. თითქოს საფე-
ხლს უყრისო თავსა და ბოლოს ამოთქვა კიდეც სულმოუთქმელად:

— იცით, რა მინდა, ეჭიმო? იმ დღეს, როდესაც ჩემი ხელნაწერი გამომ-
ცემლის ხელში მოხვდება, მისი წაკითხვის შემდეგ გამომცემელი აღგეს და
უთხრას თავის თანამშრომლებს: „ქუდი მოიხადეთ მოწიწებით, ბატონებო!“

ამ უეცარმა განცხადებამ გააოცა რიე. მოეჩენა, თითქოს მისი თანამ-
გზავრი ქუდის მოშველებას აპირებდა. მათ თავს ზემოთ უცნაური სტვენა თით-
ქოს უფრო ძლიერად გაისმა.

— დიახ, — განაგრძობდა გრანი, — ნაწერი სრულყოფილი უნდა იყოს.

თუმცა ნაკლებად იცნობდა ლიტერატურულ სამყაროს, რიემ მაინც გაი-
ფიქრა, რომ ყოველივე ასე უბრალოდ არ უნდა მომხდარიყო და რომ გამომ-
ცემლობის თანამშრომლების კაბინეტებში ქუდმოხდილნი უნდა მსხდარიყვნენ. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ასეც არის, და რიემ გაჩუმება ამჯობინა. თავისდა-
უნებურად შავი ჭირის იდუმალ ძახილს მიაყურადა. გრანის უბანს უახლოვდე-
ბოდნენ და ვინაიდან ეს უბანი ცოტა შემაღლებულზე იყო, მსუბუქი ნიავი
მიეღამუნათ, რომელმაც ქალაქის ყოველგვარი ხმაური თან გაიყოლა. გრანი
ავლავ ლაპარაკს განაგრძობდა, მაგრამ რიეს ყველაფერი როდი ესმოდა მისი
ნათქვამიდან. მხოლოდ ის გაიგო, რომ ნაწარმოები უკვე მრავალ გვერდს შე-
იცავდა, მაგრამ შრომა, რომელიც ავტორს უხდებოდა მისი სრულყოფისათვის,
შეტისმეტად მძიმე იყო. „საღამოებს, მთელ კვირებს ვანდომებ ერთ სიტყვას...
და ზოგჯერ უბრალო კავშირსაც კი“. აქ გრანი შეჩერდა და ეჭიმის პალტოს
ლილს დაუწყო წვალება. მისი უკბილო პირიდან სიტყვები ბორძისით გამო-
დიოდა.

— კარგად გამიგეთ, ეჭიმო, კაცმა რომ თქვას, არც ისე ძნელია არჩევანი
გააკეთო მაგრამ-სა და დას შორის. შედარებით უფრო ძნელია გადაწყვი-
ტო, დას უნდა მიანიჭო უპირატესობა თუ შემდეგ-ს. სიბნელე კიდევ უფ-
რო მატულობს, როცა მერე-სა და შემდეგ-ს შორის გიხდება არჩევანის
გაკეთება. მაგრამ უეჭველია, ყველაზე ძნელია იმის გადაწყვეტა, საჭიროა
თუ არა დას დასმა საერთოდ.

— დიახ, მესმის, — თქვა რიემ და გზა განაგრძო. დარცხვენილი გრანი
ეჭიმს წამოეწია.

— მაპატიეთ, — ჩიიბურტულია მან, — არ ვიცი, რა მემსრთება ამ საღამოს!

რიემ ალერსიანად დაპკრა მხარზე ხელი და უთხრა, ძალიან მინდა დაგეხ-
მართ, თქვენი ამბავიც მეტად ჭაინტერესებსო. გრანი თითქოს ცოტა დამშვიდ-
და და მის სახლს რომ მიაღწიეს, მცირე ყოყმანის შემდეგ სთხოვა ეჭიმს,
ერთი წუთით ჩემთან ამობრძანდითო. რიე დათანხმდა.

სასადილო ოთახში გრანმა სტუმარს შესთავაზა მიჯდომოდა მაგიდას, რომელიც სავსე იყო ქალალდის ფურცლებით. ყოველი მათგანი მიკროსკოპული ასოებით ნაწერი სიტყვებით იყო აჭრელებული.

— დიახ, ეს არის, — უთხრა ექიმს, რომელიც გაკვირვებული შეჟყრებდა. — რამის დალევას ხომ არ ინებებდით? ცოტა ლვინო-ტექსტული რიემი იუარა. ისევ ფურცლებს დააცემდა.

— ასე ნუ უყურებთ, — უთხრა გრანმა, — ეს მხოლოდ პირველი წინა-დაღებაა. ძალიან გამაწვალა, უჰ, ძალიან.

თვითონაც ათვალიერებდა ამ ფურცლებს და მისი ხელი, თითქოს დაუძლე-ებელი ძალა იზიდავსო, ერთ მათგანს დასწევდა კიდეც, უაბაურო ნათურასთან მიიტანა. ფურცელი კანკალებდა მის ხელში. რიემი ისიც შენიშნა, რომ მოხე-ლეს შებლი დაცვარული ჰქონდა.

— დაგეჭით და წამიკითხეთ, — სთხოვა მასპინძელს.

გრანმა შეხედა და მადლიერებით ვაუღიმა.

— დიახ, — თქვა მან, — მვონი, თავადაც ეს მინდა.

ცოტა შეიცადა, თან ფურცელს დასცემდა, შემდეგ დაჭდა. რიე იმავ დროს უსმენდა ქალაქის ყრუ გუგუნს, თითქოს უბედურების სტვენის რომ ებ-მიანებოდა. ახლა უჩვეულოდ მძაფრად ალიქვამდა ქალაქს მის ფერხთით რომ განრთხმულიყო და კარჩაკეტილ სამყაროდ ქცეულიყო, და კიდევ — საშინელ მოთქმა-გოდებას, რომლის ჩანაბასაც ქალაქი ლამეში ლამობდა. გრანის ხმა ყრუდ გაისმა: „მაისის შშვენიერ დილით საუცხოო ქურან ცხენზე ამხედრებული კოხტა ამორძალი მიჰქროდა ბულონის ტყის ყვვავებულ ხეივანში“. ისევ სიჩუმე ჩამოდგა და ტანჯული ქალაქის გაურკვეველი ჩივილიც გაისმა. გრან-მა ფურცელი დადო, მაგრამ თვალი არ მოუშორებია. ცოტა ხნის შემდეგ რიეს შეხედა:

— აბა, რას ფიქრობთ ამაზე?

რიემ მიუგო, დასაწყისი ისეთია, სურვილს აღმიძრავს, დანარჩენიც ვა-ვიგოო, მაგრამ ავტორმა მკვირცხლად მოუჭრა, ეგ თვალსაზრისი უმცდარი-ო და ხელი დაჰკრა ფურცელს.

— ეს მხოლოდ მიახლოებითი რამაა. როდესაც შევძლებ სრულყოფილად დავხატო სურათი, ჩემს წარმოსახვაში რომ ცოცხლობს, როდესაც ჩემი წინა-დაღებაც ისევე ნარნარი იქნება, როგორც ამ ქურანა ცხენის სელა, — ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი, — მაშინ დანარჩენი უფრო გაადვილდება. რაც ძთავარია, ისეთი ილუზია შეიქმნება თავიდანვე, რომ ნაღდად იტყვიან: „ქუ-დი მოიხადეთ, მოწიწებით, ბატონებო!“

მაგრამ სანამ ამას მიაღწევდა, კიდევ ბევრი უნდა ემუშავა. თავის დღეში არ დათანხმდებოდა აი ამგვარი ფრაზის მიცემაზე დასასტამბავად, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მოსწონდა კიდეც თავის ნახელავი, იმასაც უარგად გრძნობდა, წინადადება ჯერ მთლად ვერ გადმოსცემდა ნამდვილ სუ-რათს და რაც მთავარია, თავისი მეტისმეტად მსუბუქი კილოთი, დე, შორეულად, მაგრამ მაინც შტამპს მოჰვავდა. დაახლოებით ასეთი იყო მისი ნათქვა-მის აზრი, როდესაც ფანჯრების ქვეშ ერთი სირბილი ატყდა. რიე წამოდგა.

— ნახავთ, რას გამოვაღნობ ამისაგან, — თქვა გრანმა და ფანჯრისკენ რომ მიბრუნდა, დააყოლა: — როდესაც ყოველივე დამთავრდება.

მერე ხელახლა მოისმა აჩქარებული ნაბიჯების ხმა. რიე სწრაფად ვავიდა

ქუჩაში. გვერდზე ორმა კაცმა ჩაუირა. ეტუობა, ქალაქის კარიბჭისაკენ მიეშურებოდნენ. როგორც ჩანს, სიცხისა და შავი ჭირისაგან გონდაკარგულმა ჩვენმა თანამოქალაქეებმა ძალმომრეობას მიმართეს, მცველთა სიფხიზების მოდუნება და ქალაქიდან გაპარვა სცადეს.

ზოგ-ზოგები, და მათ რიცხვში რამბერიც, ცდილობდნენ გარცეოდნენ ამ სულ უფრო მზარდი პანიკის ატმოსფეროს, მაგრამ მეტ წარამატებების შეთქმულების ვერ აღწევდნენ, უფრო მეტ სიჯიუტესა და მოხერხებულობაზე - მაგისტრული მიერთების შენდნენ. რამბერმა ჯერ ოფიციალურ პირებთან სცადა სიარული. მისთვის რომ გეკითხათ, მონდომება და დაუინება ადრე თუ გვიან ყველა დაბრკოლების სძლევდა, თანაც გარკვეული თვალსაზრისით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დალშევა ხომ მისი ხელობა იყო. ერთი სიტყვით, მრავალ მოხელეს ეწვია, ისეთ პირებს, რომელთა კომპეტენტურობაზედაც ჩვეულებრივ არ დაობენ. მაგრამ ახლა ამ კომპეტენტურობამ რამბერს ვერავითარი სამსახური ვერ გაუწია. უმეტეს შემთხვევებში ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც საფუძვლიანად დაუფლებოდნენ საბანკო და საექსპორტო საქმეს, ზედმიწევნით კარგად ერკვეოდნენ ციტრუსებისა და ღვინით ვაჭრობაში, რომელთაც უდაოდ ლრმა ცოდნა გააჩნდათ სამართლისა და დაზღვევის სფეროში, რომ აღარაფერი ვთქვათ სოლიდურ დიპლომებსა და იმაზე, რომ კეთილად იყვნენ განწყობილნი მთხოვნელის მიმართ. ყველაზე გასაკვირი სწორედ ეს კეთილი ნება იყო მათში. სამაგიეროდ არაფერი გაეგებოდათ იმისა, რაც შავ ჭირთან იყო დაკავშირებული.

და მაინც, ყოველ მათგანს, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, რამბერი თავის საქმეს აცნობდა. უმთავრეს საბუთად მუდამ ის მოჰყავდა, რომ ამ ქალაქში უცხო იყო და, მაშასადამე, მისი საკითხი საგანგებოდ უნდა განეხილათ. თანამოსაუბრენი საერთოდ ადვილად ეთანხმებოდნენ უურნალისტს ამ პუნქტში. მაგრამ, ჩვეულებრივ, შენიშნავდნენ, თქვენს დღეში სხვაც ბევრია და თქვენი საქმე არც ისეთი განსაკუთრებულია, როგორც წარმოგიდგნიათო. ამაზე რამბერი პასუხობდა, ეს ჩემი არგუმენტაციის არს არ ცვლისო, მაგრამ მიუგებდნენ, რომ გარკვეულად მაინც ცვლიდა, რადგან მმართველი წრეები უფრთხოდნენ ვისმესთვის შეღავათის გაწევას, რასაც შეეძლო შეექმნა ის, უდიდესი ზიზლით პრეცედენტს რომ უწოდებდნენ. იმ კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც რამბერმა ექიმ რიეს გააცნო, იმგვარი რეზონიორები ფორმალისტების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. მათ გვერდით არსებობდნენ ენადათაფლული მოსაუბრენი, რომლებიც არწმუნებდნენ მთხოვნელს, ყოველივე ამან არ შეიძლება დიდხანს გასტანოსო, და გულუხვად იძლეოდნენ კეთილ ჩჩევას მაშინ, როცა მათგან წყალობას მოელოდნენ. რამბერსაც ანუგეშებდნენ, მალე გაივლის ეს უსიამოვნებანიო. იყვნენ აბეზრებიც, რომლებიც სთხოვდნენ უურნალისტს, დაგვიტოვეთ ბაზათი, სადაც მოკლედ აღწერთ თქვენს მდგომარეობასო, და პპირდებოდნენ, განვიხილავთ მაგ საქმეს და გადაწყვეტილებას შეგატყობინებთო; იყვნენ მაამებელნიც, რომლებიც მას ბინის ორდერს ან იაფფასიანი პანსიონატების მისამართებს სთავაზობდნენ: მეთოდურები, რომლებიც ავსებინებდნენ ანკეტას და მაშინვე საქმეში იკერებდნენ; იყვნენ უძლურებიც, რომლებიც მაღლა აღაპყრობდნენ ხელებს და გალიზიანებულებიც, რომლებიც თვალს არიდებდნენ; დაბოლოს სხვაზე მრავლად იყვნენ ჩვეულების მიმდევარნიც, რომლებიც რამბერს სხვა დაწესებულებაზე მიუთითებდნენ და არიგებდნენ, ამა ახლა ამ ღონეს მიმართეთო.

ეურნალისტი დაიქანცა აქეთ-იქით სიძრულით, სამაგიეროდ ნათელი წარმოდგენა შეექმნა მერიასა და პრეფექტურაზე, სადაც საათობით იჯდა ხოლმე მოლესკინგადაკრულ სკამზე, უზარმაზარი პლაკატების წინ. ზოგი უპროცენტო სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერას მოუწოდებდათ, ზოგიც — კოლონიურ არმიაში შესვლას. თვით კანცელარიაშიც საათობით უხდებოდა ყუთუნაზე რომლის თანამშრომელთა სახეებზეც იმაზე მეტს ვერაფერს წაიყიფულდებოდა მოყენების საბუთებით გატენილ საქალალდებსა და ამ საქალალდებით სავსე თაროებზე. თუმცა ერთი უპირატესობა ჰქონდა რამპერს, რაშიც გულისტკივილით გამოუტყდა რიეს: მთელი ეს ფაციფუცი ჩემ თვალწინ საქმის ჭეშმარიტ ვითარებას ფარავს. ეპიდემია რომ გაძლიერდა, ეს არსებოთაც არც კი შეუნიშნავს. თანაც დღეები უფრო ჩქარა გადიოდა. იმ მდგომარეობაში კი, რომელშიაც მთელი ქალაქი ოღონჩნდა, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი გასული დღე თითოეულ კაცს მისი განსაცდელის დასასრულს უახლოებდა, თუკი იგი დასასრულამდე მიაღწიედა. რიე იძულებული იყო, ეღიანებინა, თქვენი თვალსაზრისი ლოგიკას არაა მოკლებული, მაგრამ ჭეშმარიტება, რომელსაც ის შეიცავს, მგონი, მეტისმეტად ზოგადი არისო.

ბოლოს ისეთი წუთიც დადგა, როცა რამპერს იმედი ჩაესახა გულში. მან პრეფექტურიდან მიიღო ანკეტა, რომლის გულდასმით შევსებასაც სთხოვდნენ. აინტერესებდათ მისი ვინაობა, ოჯახური მდგომარეობა, უწინდელი და ახლანდელი შემოსავალი, ერთი სიტყვით, ის, რასაც *curriculum vitae¹* ეწოდება. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ეს ანკეტები იმ პირებს დაუგზავნეს, რომლებიც, შესაძლოა, თავიანთ საცხოვრებელ აღვილებში დაებრუნებინათ. რამდენიმე ბუნდოვანმა ცნობამ, ერთ დაწესებულებაში რომ მიიღო, ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაუცხოველა. მაგრამ ცოტა რომ მიდგა-მოდგა და მოძებნა ის განყოფილება, რომელმაც ანკეტა გამოუგზავნა, შეიტყო, თურმე ცნობებს „ყოველ შემთხვევისათვის“ აგროვებდნენ.

— რომელი შემთხვევისათვის? — იკითხა რამპერმა.

მაშინ კი გულაბდილად უთხრეს, იმ შემთხვევისათვის, თუ შევი ჭირი შეგეყარათ და სიცოცხლეს გამოგასალმათ, რომ, ერთი მხრივ, თქვენს ახლობებს შევატყობინოთ ეს სამწუხარო ამბავი, ხოლო მეორე მხრივ, ვიცოდეთ, მკურნალობის ხარჯებს ქალაქის ბიუჯეტიდან გაიღებენ, თუ ნათესავები გადაიხდიან. ცხადია, ეს იმას მოწმობდა, რომ იგი სულ მთლად არ იყო მოწყვეტილი იმ ქალს, რომელიც ელოდა, რაყი საზოგადოება დაინტერესებული იყო მათი ბედით. მაგრამ ეს ვერაფერიშვილი ნუგეში იყო. უფრო საგულისხმო ის გახლდათ, და რამპერმაც მყისვე შენიშნა ეს, რომ ამ გამდვინვარებული უამიანობის დროს რომელილაც დაწესებულებას შეეძლო ნირშეუცვლელად განეგრძო თავისი საქმე, გამოეჩინა იმგვარი ინიციატივა, უამიანობამდე რომ იჩენდა და თანაც ისე, რომ ზემდგომი ორგანოებისათვის არაფერი შეეტყობინებინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი საქმიანობისათვის იყო შექმნილი.

შემდგომი პერიოდი რამპერისათვის ერთსა და იმავე დროს ყველაზე უფრო იოლიც იყო და ყველაზე უფრო რთულიც. მთლად გაოგნდა. მოიარა ყველა დაწესებულება, ყველა ლონე იღონა, მაგრამ გამოსავალი ჯერჯერობით ვერ იპოვა. მაშინ კაფედან კაფეში დაიწყო ხეტიალი. დილით რომელიმე კაფეს

¹ ცხოვრების გზა (ლათ.).

ტერასაზე ჭდებოდა, თბილი ლუდის კათხას მოიდგამდა და კითხულობდა გაზეთს იმ იმედით, რომ შიგ სენის დასრულების რაიმე ნიშანს იმოიკითხავდა, გამვლელებს ათვალერებდა, ზიზლით იბრუნებდა პირს მათი დაფიქციანებული სახეების შემხედვარე, უკვე მეასედ კითხულობდა მის მოპირდაპირე მხარეს ჩარიგებულ მაღაზიების ფირნიშებს, რეკლამას განთქმული აპერიტივებისა, რომლებსაც აღარ ამზადებდნენ, მერე დგებოდა და უაწყობეს დაფიქციანებოდა ქალაქის ყვითელ ქუჩებში. კენტად დადიოდა კაფედან კაფეში, მერე რესტორანში და ასე აღწევდა მიმწუხრამდე. რიემ შეამჩნია იგი ერთ საღამოს, სწორედ ერთ-ერთი კაფეს კარებთან მდგარი. ეტყობოდა, ყერ გაგდაეწყვიტა შესვლა. მერე, როგორც ჩანს, მაინც გაბედა და დარბაზის სილრმისაკენ გაემართა დასაჯდომად. ის საათი იყო, როდესაც კაფეებში, ზემოდან გაცემული ბრძანების თანახმად, რამდენადაც კი შეეძლოთ აყოვნებდნენ სინათლის ჩართვას. მწუხრი ნაცრისფერი წყალივით ავსებდა დარბაზს, ჩამავალი მზის ვარდისფერი სხივები ირეკლებოდა ფანჯრის მინებში, მარმარილოს მაგიდები მკრთალად ბზინავდნენ ჩამოწოლილ ბინდში. ცარიელი დარბაზის შუაგულში მჯდარი რამბერი გზააბნეულ აჩრდილს ჰგავდა და რიემ იფიქრა, დაუდგა ის წუთი, როცა თავს ეულად გრძნობსო; თუმცა ამ ხურვებიანი ქალაქის ყველა პატიმარს ჰქონდა წუთები, როცა საკუთარ სიმარტოვეს გრძნობდა, და ცდილობდა, რამე ელონა განთავისუფლების უამის მოსახლოებლად.

რამბერი სადგურშიაც დიდ დროს ატარებდა. ბაქანზე გასვლა აკრძალული იყო, მაგრამ მოსაცდელი დარბაზები, რომლებსაც მოედნიდან ჰქონდათ შესასვლელი, ლია გახლდათ და ზოგჯერ მათხოვრები აფარებდნენ თავს ცხელ დლეებში, რადგან იქ ჩრდილსა და სიგრილეს ჰპოვებდნენ. რამბერი აქ მოდიოდა ძველი განრიგების, რკინიგზის მილიციის განაწესისა და იმ წარწერების წასაკითხად, რომლებიც იატაკზე დაფურთხებას კრძალავდნენ. შემდეგ სადმე კუთხეში მიჭდებოდა. დარბაზში ბნელოდა. ძველი თუჭის ღუმელი უკვე მერამდენე თვეა, უქმად იდგა სადეზინფექციო სითხისაგან სულ მთლად აჭრელებული. კედელზე გაკრული რამდენიმე პლაკატი ბანდოლში ან კანში ეპატიუებოდა დამსვენებლებს და იქ ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას პირდებოდა. რამბერს აქ მოეძალებოდა ხოლმე თავზარდამცემი თავისუფლების შეგრძნება, რომელიც სასოწარკვეთილ ადამიანს უჩნდება. მისთვის ყველაზე მძიმე ასატანი მაშინ პარიზის ხედების გახსენება იყო, თუ იმისდა მიხედვით ვიმსჯელებთ, რასაც რიეს ეუბნებოდა. ნაცნობი პეიზაჟები — ძველი ქვები და მდინარე, პალერუაიალის მტრედები, ჩრდილოეთის ვაგზალი, უკაცურა კვარტალები პანთეონის ახლომახლო და პარიზის კიდევ რამდენიმე კუთხე-კუნძული, — რომელთა შესახებ მანამ არც კი უწყოდა, ასე თუ უყვარდა, მუდამ თან სდევდნენ და მოქმედების ყოველგვარ სურვილს უხშობდნენ. რიემ მხოლოდ ის გაიფიქრა, უურნალისტი ამ სურათებს უბრალოდ თავის სიყვარულთან აიგივებსო. და იმ დღეს, როცა რამბერმა უთხრა, მიყვარს დილის ოთხ საათზე გალვიძება და ჩემს მშობლიურ ქალაქზე ფიქრიო, ექიმს არ გასძნელებისა ამ სიტყვების ახსნა საკუთარი გამოცდილებით, რომელსაც არავის უმხელდა — თვითონაც სიამოვნებას ანიჭებდა შორს მყოფი ცოლის გახსენება სწორედ ამ წუთებში. მართლაც ეს ის უამი გახლდათ, როდესაც ნათლად ხედავდა მის სატს. ჩვეულებრივ, დილის ოთხ საათამდე არაფერს არ აკეთებენ და სძინავთ,

თუნდაც ის ლამე ლალატის ლამე იყოს. დიახ, ამ საათებში სძინავთ და კიდევ კარგი რომ სძინავთ, რადგან განაწიმებ გულს ყველაზე მეტად ისა სწადია, გამუღმებით ფლობდეს საყვარელ არსებას, ან არადა შეძლოს განშორების უამს უსიჩმრო ძილში დანთქას იგი და არ გააღვიძოს, სანამ მათი შეყრის წამი არ ჩამორეკა.

უკარისტია

გერმანული ტექსტები

ქადაგებიდან ცოტა ხნის შემდეგ დიდი სიცხეები დაიჭირა. ივნისის ბოლო ახლოვდებოდა. ნაგვიანევი წვიმების მერე, ქადაგების კვირას რომ დაემთხვა, ზაფხულმა იმძლავრა და ერთბაშად დაიუფლა ცა და გარემო. ამოიჭრა ხორშაკი ქარი, ერთ დღეს იქროლა და კედლები მთლად გამოაშრო. მზე მაგრად აჭერდა. მთელი დღის განმავლობაში სიცხისა და სინათლის ნაკადი ქალაქს განუწყვეტლივ თავს დასდიოდა. თალიანი ქუჩებისა და ბინების გარდა ქალაქში თითქოს ადგილი აღარ მოიძევებოდა, სადაც დამაბრმავებელი შუქით შეწუხებულ ადამიანს შეეძლო თავი შეეფარებინა. მზე ყველაზე მივარდნილ ქუჩაბანდებშიაც არ ანებებდა თავს ჩვენს თანამოქალაქეებს და წამითაც რომ შეჩერებულიყვნენ, მზის დაკვრას იღებდნენ. რაკი ეს პირველი სიცხეები მსხვერპლთა რაოდენობის მკეთრ ზრდას დაემთხვა — კვირაში უკვე შვიდასი კაცი იღუპებოდა, — ქალაქი სასოწარკვეთილებაში მოიცვა. გარეუბნებში, სადაც სწორ ქუჩებში ტერასიანი სახლები იდგა, სიცოცხლე ჩაკვდა, იმ უბანში, სადაც ხალხი მუდამ კარის ზღურბლზე ცხოვრობდა, ყველა კარი და დარაპა ჩაერაზათ, ვერ გაიგებდით, შავი ჭირისაგან ფიქრობდნენ ასე თავის დაცვას თუ მზისაგან. თუმცა ზოგიერთი სახლიდან კვნესა ისმოდა. ადრე, როდესაც ასეთი რამ ხდებოდა, ხშირად ნახავდით ცნობისმოყვარეებს, რომლებიც ქუჩაში იდგნენ და აყურადებდნენ. მაგრამ ამ დაუსრულებელი განგაშის შემდეგ ყველას თითქოს გული გაუქვავდა და კვნესა-ჩივილს გვერდით ისე ჩაუვლიდნენ, თითქოს იგი ადამიანთა ბუნებრივი ენა ყოფილიყოს.

ქალაქის კარებთან შეტაკებებმა, რომელთა დროსაც უანდარმები იძულებული იყვნენ იარაღისათვის მიემართათ, ხალხში ყრუ დრტვინვა გამოიწვია. დაჭრილები უთუოდ იყვნენ, მაგრამ ქალაქში, სადაც სიცხისა და შიშის შედეგად ყველაფერს აზვიადებდნენ, გაიძიხოდნენ, ზოგი კიდევაც შემოაკვდათ. ასეა თუ ისე, უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო მატულობდა და ჩვენი მთავრობაც უარესის მოლოდინში სერიოზულად ფიქრობდა ზომებზე, რომლებიც უნდა მიელოთ იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა, ახლა უბედურებისათვის ქედი რომ მოედრიყა, უცბად აჭანყდებოდა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბრძანებები, რომლებიც კვლავ კრძალავდნენ ქალაქიდან გასვლას და დაპატიმრებით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც ურჩობას გაბედავდა. ქალაქში პატრულებმა იწყეს სიარული. ხშირად უკაცურსა და მზით გავარვარებულ ქუჩებში ფილაქანზე ფლოქვების ცემის ხმა ჩაგესმოდათ და მყის ცხენოსან მცველებსაც მოჰკრავდით თვალს, მაგრად ჩარაზული ფანჯრების ორ მწერივს შორის რომ ჩივლიდნენ. პატრული რომ ჩივლიდა, კვლავ მძიმე, დაძაბული სიჩუმე ჩამოწვებოდა ხოლმე ტანჯულ ქალაქში. შორიდან დროდადრო სროლის ხმაც ისმოდა. ისროდნენ საგანგებო რაზმები, რომელთაც ახალი ბრძანებით ევალებოდათ დაეხოცათ უპატრონო ძაღლები და კატები და მით რწყილების გავრცელება აღეკვეთათ. გასროლის ეს მჟახე ხმები ქალაქს სამოლოოდ სძირავდნენ განგაშის ატმოსფეროში.

სიცხესა და სიჩუმეში ჩვენი თანამოქალაქეების შეძრწუნებულ გულებში ყველაფერი, კაცმა რომ თქვას, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა, ორანელებმა თავიანთ სიცოცხლეში პირველად დაინახეს ცის ფერი და იგრძნეს მიწის განსაკუთრებული სურნელი, რომელიც წელიწადის დროთა ცვლის /მაუწყებელია. ყველა შიშით ფიქრობდა, სიცხე ეპიდემიას ხელს შეუწყისულია და იმავე დროს ხედავდა, რომ ზაფხული მოდიოდა. ნამგალების ჰყაულის სულტანულ უფრო საამოდ გაისმოდა ქალაქის თავზე, მაგრამ მაინც ვერ ავსებდა სივრცეს, რაღან ივნისის ბინდი ჩვენს მხარეში შორს სწევს პორიზონტს. ბაზრებში უკვე კოქრები კი არ გამოჰქონდათ, არამედ გაფურჩქნილი ყვავილები და დილის ვაჭრობის შემდეგ ყვავილთა ფურცლები უხვად ეყარა მტვრიან ტროტუარზე, აშკარად ჩანდა, რომ გაზაფხული მიიწურა, განიმქრა ათასობით ბრძლვიალა ყვავილში და დაჭკნა შავი ჭირისა და სიცხის ორმაგი ტვართის ქვეშ მოქცეული, რომელიც სულს უხუთავდა. ყველა ჩვენი თანამოქალაქისათვის ზაფხულის ეს ნათელი ცა, ეს მტვერწაყრილი, გაფერმკრთალებული და მოწყენილობით დალღასმული ქუჩები ისეთივე ავისმომასწავებელი ნიშანი იყო, როგორც ასობით აღამიანის სიკვდილი, ქალაქს დღეცისმარე მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა. და თუმც მზის სხივები თავს ლვარად დასდიოდათ, ეს საათები, ძილისა და მოსვენებისაკენ რომ უბიძგებდნენ, უწინდებურად აღარ უხმობდნენ წყლისა და სხეულის დღესასწაულზე. პირიქით, ისინი ყრუდ გუგუნებდნენ ჩაკეტილსა და დაღუმებულ ქალაქში, დაპყარვოდათ წლის ამ ბედნიერი დროისათვის დამახასიათებელი სპილენძისებური ელვარება. უამიანობის მზე აქრობდა ყოველგვარ ფერსა და ახშობდა ყოველგვარ სიხარულს.

სწორედ ეს გახლდათ უდიდესი გადატრიალება, რომელიც უამიანობამ გამოიწვია. ჩვენი თანამოქალაქენი ჩვეულებრივ სიხარულით ეგებებოდნენ ზაფხულს. მაშინ ქალაქი ზღვისაკენ იხსნებოდა და ახალგაზრდობა პლატფაზე გამოეფინებოდა ხოლმე. ამ ზაფხულს კი, პირიქით, იქვე, ორ ნაბიჯზე გაწოლილი ზღვა აკრძალული იყო და სხეულსაც წაერთვა სიხარულის უფლება. რა უნდა აკეთო ამისთანა პირობებში? იმდროინდელი ჩვენი ყოფის მართალ სურათს კვლავ ტარუ გვიხატავს. იგი, რა თქმა უნდა, თვალს ადევნებდა შავი ჭირის წინსვლას და სამართლიანად მიიჩნია ეპიდემიის შემდგომ ეტაპად ის გარემოება, რომ რადიო უკვე იმას კი აღარ აცხადებდა, თუ რამდენი ასეული აღამიანი გარდაიცვალა კვირის განმავლობაში, არამედ მოპყავდა ერთი დღის მონაცემები — გარდაიცვალა ოთხმოცდათორმეტი აღამიანი, ას შვიდი, ას ოცი... „გაზეთები და მთავრობა ცდილობენ შავ ჭირს ჰქონით აჯობონ. ასე ჰგონიათ, ქულებს ართმევენ, რაფი ას ოცდაათი ბევრად ნაკლებია, ვიდრე ცხრაას ათი“. იგი აღნიშნავდა ეპიდემიის პათეტიურ, სანახაობით მხარეებსაც, ჸუებოდა, მაგალითად, რომ ერთხელ, როდესაც უკაცურ ქუჩაში მიაბიჯებდა, სადაც ყველა დარაბა ჩარაზული იყო, უეცრად მის თავს ზემოთ ვიღაც ქალმა ფანჯარა გამოაღო, ორჯერ საზარლად შეპკივლა და კვლავ შეიკეტა ოთახის მრუმე სიბნელეში. სხვაგან კი შენიშნავდა, პიტნის აბები სულ გაქრა აფთია-შებიდან, რაღაც ბევრი წუწნის მას, ჰგონია, სენის გადადებისაგან ვვიხსნისო.

ტარუ მისგან გამორჩეულ პირებზედაც განაგრძობდა დაკვირვებას. მისი ნაწერებიდან ვგებულობთ, რომ იმ მოხუცსაც, რომელიც კატებს აფურთხებდა, თავისი ტრაგედია გაუჩნდა. ერთ დილას გაისმა სროლის ხმა და ტყვიის რამდენიმე ნაფურთხმა კატების უმრავლესობა სიცოცხლეს გამოასალმა, და-

ნარჩენები კი დააფრთხო და ლაატოვებინა ქუჩა. იმავ დღეს ჩია მოხუცი ჩვეულებრივ დროს აივანზე გამოვიდა, გაოცებით მიმოიხედა, მოაჭირზე გადაინარა, ქუჩა კარგად მოათვალიერა და გადიწყვიტი მოეცადა. თითებს აივნის რიგულებზე ათამაშებდა. ერთხანს იცადა, დაქუცმაც ცოტა სალადი და ქუჩაში გადაყარა. მერე შინ შევიდა, კვლავ გამოვიდა, იდგა ცოტა ხანს და უეცრად გაქრა, თან ბრაზიანად მიიხურა შემინული კარი. მომდევ შემდევ იგივე სცენა გამეორდა, მაგრამ ჩია მოხუცის სახეზე ნალველს და სულ უფრო აშკარა დაბნეულობას ამოიკითხავდით. ერთი კვირის შემდეგ ტარუმ ამაოდ უცადა მოხუცის გამოჩენას, ფანჯრები საგულდაგულოდ იყო დაგმანული, მათ მიღმა კი ფრიად გასაგებ ვარამს დაესადგურებინა. „უამიანობისას კატებისათვის მიფურთხება აურძალულია“, — ასეთი გახლდათ უბის წივნაკის დასკვნა.

სამაგიეროდ, როცა ტარუ საღამოობით შინ ბრუნდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ ვესტიბიულში შეხვდებოდა მოღუშულ ღამის დარიაშს. ლარაჯი ზოლთასა სცემდა და ყველას განურჩევლად ეუბნებოდა, მე წინასწარ ვხვდებოდი, რაც მოხდებოდა. ტარუს, რომელიც ეუბნებოდა, მახსოვს, უბედურების რომ წინასწარმეტყველებდით, მაგრამ, ვგონებ, მიწისძვრას ელოდითო, მოხუცი დარაჯი პასუხობდა „ა! მიწისძვრა რომ ყოფილიყო! ერთს შეგვატორტმანებდა და მორჩა... დაითვლიდნენ მკვდრებს, ცოცხლებს და სეირიც ამით გათავდებოდა. ამ საზიზლარ სენთან კი რას გინდა გახდე! ისინიც კი, ვინც ავად არიან, სენს გულით დატარებენ“.

დირექტორიც არანაკლებ დამწუხრებული იყო. თავდაპირველად მოგზაურები, რომელთაც აეკრძალათ ქალაქიდან გასვლა, ქალაქის დახურვის გამო სასტუმროში დარჩენ. მაგრამ თანდათან, რაკი ეპიდემია გრძელდებოდა, ბევრმა ამჯობინა მეგობრებთან დაბინავებულიყო. ასე რომ, იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც სასტუმრო უწინ სულ სავსე იყო, ახლა დაცარიელდა — ახალი მოგზაურები ჩვენს ქალაქში აღარ ჩამოდიოდნენ. ტარუ ერთ-ერთი იმ იშვიათ მდგმურთაგანი იყო, რომელიც სასტუმროში რჩებოდა და დირექტორი არას-დროს გაუშვებდა შემთხვევას, რომ არ ეთქვა მისთვის, უკანასკნელი კლიენტების ხათრი მაქვს, თორებ დიდი ხანია დავხურავდი ამ ჩემს სასტუმროსო. იგი ხშირად ჰკითხავდა ტარუს, როგორა ფიქრობთ, ეპიდემია რამდენ ხანს გასტანს. „ამბობენ, — მიუგებდა ხოლმე ტარუ, — რომ სიცივე აფრთხობს ამდაგვარ ავადმყოფობას“. დირექტორი გიუდებოდა: „ეჭ, იქ ნამდვილი სიცივე არასოდეს არ იცის, ბატონო. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი კიდევ რამდენიმე თვეს გასტანს“. ესეც არ იყოს, იგი დარწმუნებული იყო, რომ მოგზაურები უამიანობის შემდეგაც კიდევ დიდხანს აუხვევდნენ გვერდს ამ ქალაქს. შავი ჭირი ტურიზმს წირვას გამოუყვანდა.

რესტორანში ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ბ-ნი ოტონი, აღამიანი-ბუ, მაგრამ მას მხოლოდ ორი გაწვრთნილი გოშია მოჰყვებოდა. როგორც გამოირკვა, მისმა ცოლმა დაასაფლავა დედა, რომელსაც ავადმყოფობისას თავს ადგა და ამჟამად კარანტინში იმყოფებოდა.

— მე ეს არ მომწონს, — უთხრა დირექტორმა ტარუს, — კარანტინს გამოივლის თუ არა, ეს ქალი მაინც საეჭვოა და, მაშასალამე, მისიანებიც.

ტარუმ შენიშნა, მაგ თვალსახრისით ცველა საეჭვოა. მაგრამ დირექტო-

რა მაინც ჭიუტად ადგა თავის აზრს, ეტყობოდა, ამ საკითხზე კარგად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ჰქონდა:

— არა, ბატონო, არც თქვენ და არც მე საეჭვონი არა ვართ, ისინი კი არიან.

შაგრამ ბ-ნი ოტონი ისეთი მცირე რაშის გამო, როგორიც შავი ჭირია, ნირს არ იცვლიდა და შავი ჭირიც ამჯერად ხახამშრალი რჩებოდა. მოსახურებულე წინანდებურად შედიოდა რესტორნის დარბაზში, ჭდებოდა შვილებზე ადრე და მათ მუდამ ნატიფი და მტრული სიტყვებით მიმართავდა. მხოლოდ პატარა ბიჭი შეიცვალა. თავის დასავით შავებში ჩაცმული, როგორლაც მოიკუნტა და მამამისის პატარა ჩრდილს დაემგვანა. ლამის დარაჯმა, რომელსაც არ უყვარდა ბ-ნი ოტონი, უთხრა ტარუს:

— აქ, ეს კაცი მორთულ-მოკაზმული მოკვდება! ისე რომ, გაპატიოსნება არ დასჭირდება. პირდაპირ გაემგზავრება საიქიოს.

უბის წიგნაკეში პანელუს ქადაგებაზეც იყო ორიოდ სიტყვა თქმული, მხოლოდ შემდეგი კომენტარით: „მესმის ეს გზნება. უბედურების დასაწყისში და დასასრულს მუდამ ცოტად თუ ბევრად რიტორიკას მიმართავენ ხოლმე. პირველ შემთხვევაში ჩვეულება ჯერ არ დაკარგულა, ხოლო მუორეში — უკვე მოასწრო დაბრუნება. სწორედ ტანჯვაში ეჩვევა აღამიანი სიმართლეს ე. ი. დუმილს. დავიცადოთ“.

დაბოლოს, ტარუ წერდა, რომ მას გრძელი საუბარი ჰქიმ რიეს-თან, და შენიშნავდა, საუბარს სასურველი შედეგი მოჰყვაო. იქვე დასძენდა, მჭიმის დედას, ქ-ნ რიეს, თაფლისფერი თვალები აქვს, თან ახირებულად ამტკიცებდა, ამ თვალებიზან ისეთი სიკეთე გამოკრთის, რომელიც შავ ჭირს უთუოდ სძლევსო. ბოლოს ვრცელ პასაუებს უძლვნიდა ასთმიან ბერიკაცს, რიე რომ მკურნალობდა.

როგორლაც ამ მოხუცის სანახავად გაპყოლოდა ექიმს მათი საუბრის უემდეგ. მოხუცი ხითხითითა და ხელების ფშვნეტით შეხვდა. ტარუს. ლოგინ-ში იწვა, ბალიშზე მისუენებული, წინ ბარდას ორი თასი ედგა. „აქ! კიდევ ერთი ჰოვიდა, — თქვა მან ტარუს დანახვისას, — ქვეყანა აირ-დაირია, ველარაფერს გაიგებ კაცი, ექიმები მეტია, ვიდრე ივადმყოფები. ახლა სწრაფად მიღის საქმე, არა? პანელუ ძართალია, დამსახურებულად მოგვივლინა ლმერთმა სასჯელი“. შეორე დღეს ტარუ ხელახლა მიადგა გაუფრთხილებლად.

მის უბის წიგნაკებს თუ დავუჭერებთ, ეს მოხუცი გალანტერიით მოვაჭრე იყო. ორმოცდაათი წლისა რომ შეიქნა, იფიქრა, საკმარისია, რაც ვიშრომეო. მას აქეთ დაწვა და აღარც ამდგარა, თუმცა ფეხზე მყოფს ასთმა თითქმის არ აწუხებდა. პატარა რენტის წყალობით აგერ სამოცდათხუთმეტ წლამდე მოალწია და ყოჩალადაც გამოიყურებოდა. საათის დანახვას ვერ იტანდა და არც ერთს არ აჭირნებდა თავის სახლში. „საათი, — ამბობდა იგი, — ძვირი და თან სულელური ნივთია“. დროს და, განსაკუთრებით, ჭამის დროს, რომელიც ცველაზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ორი თასის მიხედვით ანგარიშობდა. მათვან ერთი მუდაშ სავსე იყო ბარდით მისი გალვიძებისას, მეორეს კი თვითონ ავსებდა მარცვალ-მარცვალ, ბეჭითი და გამოზომილი მოძრაობით. ეს ორი თასი იყო მისთვის დროის ორიენტირი. „ყოველი მეხუთე ჭამის შემდეგ წავიხემსებ ხოლმე“, — ამბობდა იგი.

მის ცოლს თუ დავუჭერებთ, ახალგაზრდობაშივე ემჩნეოდა უცნაურობანი.

არასოდეს არაფერი აჩნტერესებდა, არც სამსახური, არც მეგობრები, არც კაფე, არც მუსიკა; არც ქალები, არც სეირნობა. არასოდეს გასულა თავის ქალაქიდან, გარდა იმ ერთი დღისა, როდესაც იძულებული გახდა ალეიოში/გამგზავრებულიყო საოჯახო საქმეებისათვის და მაშინაც თრანიდან, ყველაზე ახლო მდებარე სადგურზე დარჩა, გზის გაგრძელება ველარ შესძლო და შინაგანი დაბრუნდა პირველივე მატარებლით.

ტარუს, რომელიც გაკვირვებული ჩანდა, ასეთ კარჩაკეტილ ცხოვრებას. ოოვორ ეწევითო, მან აუქსნა, რელიგიის მიხედვით ადამიანის ცხოვრების პირველი ნახევარი აღმავლობაა, ხოლო მეორე ნახევარი — დაღმა სვლა, დაღმა სვლაში კაცის მისი დღეები აღარ ეკუთვნის, ისინი შეიძლება ყოველ წუთს წართვან, ამას არაფერი ეშველება, ამიტომ უმჯობესია არაფერი არ აკეთოსო. თუმც ასეთი მდგომარეობის ულოგიკობა სულაც არ აშფოთებდა, რადგანაც უორა ხნის შემდეგ ისიც უთხრა ტარუს, უთუოდ ღმერთი არ არსებობს, თორებ მღვდლები რის მაქნისი იქნებოდნენ. მისი შემდგომი მსჯელობილას ტარუ მიხვდა, რომ ეს ფილოსოფია მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ უკმა- ყოფილებასთან, რომელსაც მოხუცში შემოწირულებათა ხშირი აკრეფა იწვევდა. მაგრამ მოხუცის პორტრეტი დასრულებული არ იქნება, თუ არ გავიმხელო მის სურვილს, ნიშანდობლივი რომაა და მრავალჯერაც გამოუთქვამს თავის თანამოსაუბრესთან: ვიმედოვნებ, ღრმა სიბერემდე მივაღწიოთ.

„წმიდანია?“ — ეკითხებოდა თავის თავს ტარუ და პასუხობდა: „დაა, თუ წმიდანობა ჩვეულებათა ერთობლიობაა“.

მაგრამ იმავ დროს ტარუ საკმაოდ დეტალურად აგვიწერს უამიანი ქალაქის ერთ დღეს და სწორ წარმოდგენას იძლევა ჩვენი თანამოქალაქეების საქმიანობასა და ცხოვრებაზე: „არავინ იცინის, მთვრალების გარდა, — წერდა ტარუ, — ესენი კი ზომაზე მეტს იცინიან“. შემდეგ უშუალოდ აღწერაზე გადადიოდა:

„სისხამ დილით მსუბუქი ქროლვა გადაუვლის თავს ჭერ კიდევ უკაცურ ქალაქს. ლამით ვინც დაიხოცა, დაიხოცა, დღეს ვის მოუწევს სიკვდილი, არავინ უწყის და გეჩვენება, რომ შავმა ჭირმა წამით შეწყვიტა თავის გულმოგინება, დამაშვრალი სულს ითქვამს. ჭერ ყველა დუქანი დახურულია. მაგრამ ჰოგიერთზე გაკრულია წარწერა: „დაკეტილია უამიანობის გამო“, რაც იმას მოწმობს, რომ ესენი არც თავის დროზე არ გაიღებიან. ჭერ კიდევ ძილგამოყოლილი გაზეთის გამყიდველები გაძყვირიან ახალ ამბებს, ზურგით მიყრდნობიან კედელს ქუჩის კუთხეში და თავიანთ საქონელს მთვარეულებივით სთავაზობენ ფარნებს. მაგრამ სულ მალე, პირველი ტრამვაის ზარის წკრიალით გაღვიძებულნი, მთელ ქალაქს მოედებიან, გაწვდილ ხელებში გაზეთის ფურცელებით, რომლებზედაც სიტუვა „შავი ჭირი“ ელვარებს. „უამიანობა შემოდგომამდე გასტანს?“ პროფესორი ბ... პასუხობს: „არა“. „ას ოცდაოთხი მკვდარი, ასეთია ჭამი უამიანობის ოთხმოცდამეთხუთმეტე დღისა“.

მიუხედავად ქალალდის კრიზისისა, სულ უფრო და უფრო მწვავე რომ ხდება და აიძულა ზოგიერთი პერიოდული ორგანო თავისი გვერდების რაოდენობა შეემცირებინა, გამოვიდა ახალი გაზეთი: „ეპიდემიის მაცნე“, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს თანამოქალაქეებს ზედმიწევნითი ობიექტურობით ცუნობოს სენის წინსვლისა და უკანდახევის ამბავი, მისცეს მათ ყველაზე სარწმუნო ინფორმაცია ეპიდემიის მსვლელობაზე; თავისი სვეტები დაუთმოს

უკველას, ცნობილ თუ უცნობ ადამიანს, ვისაც უბედურებასთან ბრძოლა განუზრახავს; საკუთარ მოვალეობად თვლის მოსახლეობის გამხნევების, მთავრობის განკარგულებების გამოქვეყნებას, ერთი სიტყვით, უკველა კეთილი ნების ადამიანის შეკავშირებას, „რათა წარმატებით ვებრძოლოთ თავს დამტყდარ უბედურებას“. სინამდვილეში გაჩეთი სულ მალე შემოიზღუდა — და აწყლი პროფილაქტიკური საშუალებების სიის გამოქვეყნებით, რომელიმე ფფფქოს უბარი წამალი იყო შევი ჭირის თავიდან ასაცილებლად.

დილის ექვსი საათისათვის იწყება გაზეთების გაყიდვა მაღაზიებში, რომლის წინაც ერთი საათით ადრე დგებიან ადამიანები რიგში, შემდეგ ტრამვა-ცბშიც იყიდება, გატენილები რომ მოდიან გარეუბნებიდან. ტრამვაი ერთად-ერთი ტრანსპორტი დარჩა, მისი ბაქნები და საფეხურები ხალხითაა დახუნდული, ამიტომ ძლივს მიიწევს წინ. მაგრამ აქ სასეირო ის არის, რომ უკველა მგზავრი, შეძლებისამებრ, ზურგს უბრუნებს სხვას, რათა სენი არ გადაედოს. გაჩერებაზე ტრამვაი კაცებისა და ქალების ტვირთს ჩამოცლის. მათ ერთი სული აქვთ, რომ ერთმანეთს მოსცილდნენ და მარტო დარჩნენ. ხშირად იმართება აყალმაყალი, რომლის გამომწვევი მხოლოდ და მხოლოდ ცუდი გუნებაა, ქრონიკული რომ ხდება.

პირველი ტრამვაების ჩავლის შემდეგ ქალაქი თანდათან იღვიძებს, ლუდ-ხანები აღებენ კარებს და მოჩანს დახლები, რომელთა თავზედაც მრავლად გაუკრავთ წარწერები: „ყავა აღარ არის“, „თან იქონიეთ შაქარი“ და სხვა. მერე იღება დუქნები, ცოცხლდება ქუჩები, მზის შუქი უხვად იღვრება ქა-ლაქში და სიცხე ტყვიასავით ამძიმებს ივლისის ზეცას. ეს ის საათია, როცა ისინი, ვინც არაფერს აკეთებს, ბულვარებზე გავლას ბედავენ. უმრავლესობას თითქოს მიზნად დაუსახავს თავისი. სიმდიდრის გამოფენით მოულბოს გული შივ ჭირს. ყოველდღე, თერთმეტი საათისათვის, მთავარ ქუჩებში იმართება ქალგაზრდა ქალ-ვაჟთა პარადი, რომელშიაც იგრძნობა სიცოცხლის ის წყურ-ვალი, დიდ-დიდი უბედურებების უამს რომ იზრდება ხოლმე. თუ ეპიდემია გავრცელდა, მორალის ჩარჩოებიც გაფართოვდება. მაშინ კვლავ ვნახავთ მი-ლანურ სატურნალიებს, გამართულს გათხრილი სამარის პირად.

შუადლისას რესტორნები თვალის ერთ დახამხამებაში ივსება. უკვე რამ-დენიმე წუთის შემდეგ შესასვლელთან ჯგუფ-ჯგუფად დგანან ადამიანები, რომელთაც ადგილი ვერ იშოვეს. ცას შუქი აკლდება. მეტისმეტი სიცხისა-გან. ვეება საჩირდილობლებს შეფარებული სადილობის მსურველები თავიანთ რიგს ელოდებიან სიცხისაგან ლამის არის გალლობილი ქუჩის ჩაყოლებით. რესტორნებს ხალხი იმიტომ აწყდება, რომ ეს საგრძნობლად აიოლებს კვების პრობლემას. მაგრამ სენის გადადების შიშს კი ვერ ამცირებს. კლიენტები დიდზანს, მოთმინებით წმენდენ დანა-ჩანგალსა და თეფშებს. ცოტა ხნის წინათ ზოგიერთი რესტორანი ასეთ განცხადებებს აკრავდა: „ჭურჭელს აქ მდუ-ლარები ვავლებთ“. მაგრამ მალე უარი თქვეს ყოველგვარ რეკლამაზე, რად-გან ხალხი ისედაც მოდიოდა, ხარჯვითაც ხელგაშლით ხარჯავდა. საუცხოო ან საუცხოოდ მიჩნეული ლვინოები, ძვირფასი საუზმეული — ეს მხოლოდ დასაწყისია თავაწყვეტილი ლრეობისა. იმასაც ამბობენ, ერთ რესტორანში პანიკა ატყდა, რაკი ვიღაც კლიენტი ცუდად შეიქნა, გაფითრებული წამოდგა და ბარბატ-პარბატით მიაშურა კარებსო.

დაახლოებით ორი საათისათვის ქალაქი თანდათან ცარიელდება და დგე-

ბა დუმილის უამი; მტვერი, მხე და შავი ჭირი ერთმანეთს ხვდება ქუჩაში. დიდი, ნაცრისფერი სახლების გასწვრივ მდორედ მიიჩნება სახლის ეს გრძელზე გრძელი საათებია, პატიმრობის საათები, რომელთაც მრავალი ჭლ-მურიანი სალამოები, ხალხმრავალ, აყაყანებულ ქალაქს თავს რომ დატერება. როცა სიცხვები დაიჭირა, პირველ დღეებში, კაცმა არ იცის რეალური მაგრამ ამჟამად ლაძის სიგრილეს იმედი თუ არა, მცირე შვება მაინც მოაქვს, ყველანი ქუჩაში გამოდიან, სა-უბრით იბრუებენ თავს, კამათობენ ანდა ნდომით უცხერიან ერთმანეთს ვნე-ბით ატანილნი, და ივლისის წითელი ცის ქვეშ შეყუშული ქალაქი თავისი შეყვარებული წყვილებითა და ბრძოს ბუნებით ტაატით მიიწევს შეხუთული ცამისაკენ. ბულვარებზე იმაოდ გამოდის ფერისქულიანი ზეშთაგონებული მოხუცი, ჰალსტუხი დიდ ბაფთად რომ გამოუნასკვავს და ამაოდ უმეორებს გამვლელ-გამომვლელს: „უფალი დიდია, მას მიეახლენით!“ მაგრამ პირიქითაა, უველა იმას მიესწრაფის, რაც, კაცმა რომ თქვას, ცუდად უწყის ან რაც უფ-რო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვინემ უფალი. თავდაპირველად, როდესაც ეგო-ნათ, ეს ისეთივე სენია, როგორიც სხვებიო, რელიგიას ჯერ კიდევ ჰქონდა თავისი ადგილი. მაგრამ რა დაინახეს, სერიოზულად იყო საქმე, სიტკბოება მო-აგონდათ. წუხილი და შიში, დღის განმავლობაში ადამიანთა სახეებზე რომ ალბერტილა, მცხუნვარე და მტრიან ბინდბუნდში ველურ ალტყინებად, მოუხე-შავ თავისუფლებად გადაიქცევა, რომელიც მთელ ქალაქს ალაგზნებს.

მეც მათსავით ვარ. მაგრამ რა! სიკვდილი არაფერია ჩემისთანა აღამიანე-ბისათვის. ეს უბრალოდ მოვლენაა, რომელიც ჩვენს სიმართლეს ცხადყოფს“.

ტარუმ შეხვედრა სთხოვა ექიმს (ამ შეხვედრას ახსენებს თავის უბის წიგნაკშიაც). იმ სალამოს, ტარუს მოლოდინში ექიმი შესცემეროდა სასადილო ოთახის კუთხეში სკამზე ჩამომჯდარ დედას, რომელიც აქ ატარებდა დროს, საოჯახო საქმეებისგან რომ მოიცავდა. ხელებს მუხლებზე დაიწყობდა ხოლ-მე და ელოდა. რიე მთლად არც იყო დარწმუნებული, რომ დედა სწორედ მას ულოდა, მაგრამ როდესაც ოთხაში შემოდიოდა, დედას სახე ეცვლებოდა. ცხოვ-რების ჭაპანწყვეტისაგან დადუმებული გრძნობები თითქოს ერთბაშად იღვი-ჰებდა მის არსებაში. შემდეგ ქალი კვლავ დუმილში ინთემებოდა. იმ სალამოს უდა ფანჯრიდან გასცემეროდა უკვე დაცარიელებულ ქუჩას. დამის განათება-ირი მესამედით შეემცირებინათ, შორიშორს მდგარი სუსტი ნათურები უძა-ლოდ ბეუტავდნენ და ოდნავ კიაფობდნენ ქალაქის ბინდბუნდში.

— ამ უამიანობის დროს სულ ცუდი განათება გვექნება? — იკითხა ქალბატონმა რიემ.

— უთუოდ.

— ოლონდ ზამთრამდე არ გასტანოს, თორემ მეტად გულის შემალონებე-ლი იქნება.

— ჰო, — გამოეხმაურა რიე.

მან თვალი შეასწრო, დედა მის შუბლს იკვირდებოდა. თვითონაც იცო-და, რომ ბოლო დღეების ჯავრმა და დაღლილობაშ სახე დაულია.

— დღეს საქმე კარგად არ იყო? — ჰეითხა ქ-ნდა რიემ.

— ჩვეულებრივ.

ჩვეულებრივ! ეს იმას ნიშნავდა, რომ პარიზიდან გამოგზავნილი ახალი

შრატი პირველად მოსულზე ნაკლებ ქმედითი ჩანდა, სიკვდილიანობა მატულობდა. კვლავინდებურად არ იყო საშუალება პროფილაქტიკური აცრა ჩაეტარებინათ იმ ოჯახებში, სადაც სენს ჯერ არ შეეღწია. საყოველთათ აცრისთვის ბევრი შრატი იყო საჭირო. სიმსივნეები აღარ სკდებოდა, რატომრაც გამაგრებულიყო და აწამებდა ავადმყოფებს. წუხანდელს იქეთ ქალაჭეშე ფრიდუმის ახალი ფორმის ორმა შემთხვევამ იჩინა თავი. შავი ჭირი ჰასტატისტუმზე გადასულიყო. მაშინვე შეიკრიბნენ ქანცგაწყვეტილი ექიმები და თავვზააბნეულ პრეფექტს მოსთხოვეს — და დაითანხმეს კიდეც — რომ ახალი ზომები მიეღოთ ფილტვების ჭირის თავიდან ასაცილებლად, რომელიც სუნთქვით ვრცელდებოდა. კვლავინდებურად არავის არაფერი გაეგებოდა.

რიემ დედას შეხედა. თაფლისფერ თვილთა მშვენიერმა გამოხედვამ წარსული წლების სითბო და სიყვარული გაულვიძა.

— ხომ არ გეშინია, დედი?

— ჩემი ხნის ადამიანს, აბა, რისა უნდა ეშინოდეს?

— დღე გრძელია, მე კი თითქმის არასოდეს არა ვარ შინ.

— მოლოდინი არაფერია, თუკი ვიცი, რომ მოხვალ. აქ რომ არა ხარ, რას ვფიქრობ, ახლა რას აეთებს-მეთქი. ახალი ამბავი თუა რამე?

— უკანასკნელ დეპეშას თუ დავუჭერებთ, კარგი ამბავია. მაგრამ ვიცი, ჩემს დასამშვიდებლად მწერს.

კართან ზარის ხმა გაისმა. ექიმმა გაუღიმა დედას და კარის გასაღებად გაემართა. კიბის ბაქანზე ნახევრად ბნელობა და ტარუ ნაცრისფერ დიდ დათვს ჰგავდა. რიემ სტუმარი საწერი მაგიდის წინ დასვა, თვითონ კი სავარძლის უკან დადგა. მხოლოდ მაგიდის ნათურა აშორებდათ ერთმანეთს. ოთახში სხვა შუქი არ იყო ჩართული.

— ვიცი, რომ შემიძლია გულწრფელად გელაპარაკოთ, — შესავლის გარეშე დაიწყო ტარუმ.

რიემ ხმისამოუღებლად დაუქნია თავი.

— ორ კვირასა ან ერთ თვეში თქვენ აქ სრულიად არაფრის მაქნისი იქნებით. მოვლენები წინ გისწრებთ.

— მართალი ბრძანდებით, — დაეთანხმა რიე.

— სანიტარული უწყება ცუდადაა ორგანიზებული, არც დრო გყოფნით და არც ხალხი.

რიემ კვლავ დაუღასტურა თქმულის სისწორე.

— გავიგე, რომ პრეფექტურას განზრახული იქვს რაღაც სამოქალაქო სამსახური შექმნას, რათა ჭანსალი მამაკაცები შეაგულიანოს მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო ხსნის საქმეში.

— სწორი ბრძანებაა, მაგრამ პრეფექტი მერყეობს, ისედაც დიდი უკმაყოფილებაა ქალაქში.

— რატომ მოხალისებს არ მიმართავენ?

— სცადეს, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდნენ.

— იმიტომ, რომ ოფიციალურ გზას მიმართეს და წარმატების იმედი დიდად არცა ჰქონიათ. მავათ წარმოსახვა ღალატობთ, ვერ გაუთვალისწინებიათ უძედურების სიგრძე-სიგანე. ჩვენ ამდაგვარი ხერხებით მხოლოდ სურდოს აუ შევებრძოლებით. თუ ნებას მივუშვით, თვითონაც დაიღუპებიან და ჩვენც დაგვრცუმავენ.

— შესაძლებელია, — მოუდო რიგმ, — ოოონო თწია მოასახინოთ რომ
ისიც კი იფიქრეს, პატიმრები გამოეყვანათ მძიმე სამუშაოებზე.

— მე თავისუფალ ადამიანს ვამჯობინებდი.

— მეც. მაგრამ კაცმა რომ თქვას, რატომ?

— სიკვდილის განაჩენი ზიზლსა მგვრის.

ექიმმა შეხედა ტარუს:

— მერე?

— მერე ის, რომ მე მოხალისეთა სანიტარული რაზმების ჩამოყალიბების
გეგმა მაქვს. ნება მიბოძეთ, მოვკიდო იმ საქმეს ხელი, ოღონდ ადმინისტრა-
ციას ნუ ჩავრევთ. მათ ისედაც თავზე საყრელადა აქვთ საქმე. მე ყველგან
მეგობრები მყავს — მათვან პირველი ბირთვი შეიკვრება. ცხადია, მეც მონა-
წილეობას მივიღებ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა რიემ, — ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ სიხა-
რულით დაგთანხმდებით. კაცს მუდამ სჭირდება დახმარება, განსაკუთრებით
ჩვენს ხელობაში. მე შევეცდები პრეფექტურა დავიყოლიო. მათ სხვა არჩევანი
არცა აქვთ, მაგრამ... — რიე დაფიქრდა. — მაგრამ მაგ სამუშაომ შეიძლება
ხალხი შეიწიროს. თუმცა თქვენ კარგად იცით ეს, მე მაინც ვალდებული ვარ,
გაგაფრთხილოთ, ხომ კარგად მოიფიქრეთ?

ტარუმ მშვიდად მიაპყრო ნაცრისფერი თვალები.

— ექიმო, რას ფიქრობთ მამა პანელუს ქადაგების გამო?

კითხვა ბუნებრივი კილოთი იყო დასმული და რიემაც ასევე უპასუხა:

— ცხოვრების დიდი ნაწილი სახვადმყოფოში გამიტარებია და ამიტომ
ვერ მოვიწონებდი კოლექტიური დასჭის იდეას. მაგრამ, მოგეხსენებათ, ქრის-
ტიანები ზოგჯერ ასე ლაპარაკობენ, თუმცა სინამდვილეში არასოდეს ფიქრო-
ბენ ასე. ისინი უკეთესები არიან, ვინემ ჩანან.

— მაგრამ, პანელუს მსგავსად, თქვენც ფიქრობთ, რომ ჟამიანობასაც
თავის სიკეთე ახლავს, იგი თვალს უხელს ადამიანებს, აიძულებს, რომ იფიქ-
რონ?

ექიმმა მოუთმენლად გაიქნია თავი:

— ისევე, როგორც ყველა სენს ამქვეყნად. ის, რაც მართებულია ყველა
ამქვეყნიური სნეულების მიმართ, მართებულია შავი ჭირის მიმართაც. მან
შეიძლება ზოგი აამაღლოს კიდეც. მაგრამ როდესაც ხედავ მწუხარებასა და
ტანჯვას, რომელიც მას მოაქვს, გიუი, ბრძა ან ლაჩარი უნდა იყო, რომ შავ
ჭირს შეურიგდე.

რიებ ოდნავ თუ აუწია ხმას, მაგრამ ტარუმ ხელი აიქნია, თითქოს ამშვი-
დებდა, თანაც გაულიმა.

რიემ მხრები აიჩეჩა:

— ასეა, მაგრამ პასუხი არ მოგიციათ. ყველაფერი კარგად მოიფიქ-
რეთ?

ტარუ მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და შუქისაკენ გადმოიხარა.

— ღმერთი თუ გწიმთ, ექიმო?

ეს შეკითხვაც ბუნებრივი იყო, მაგრამ ამჯერად რიე შეყოყმანდა.

— არა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მე წყვდიადში ვარ და რის-
ტეს დანახვას ვცდილობ. უკვე დიდი ხანია, ამაში ვერაფერს ვხედავ ორიგინა-
ლურს.



— ეს ხომ არ გაშორებთ პანელუს?

— არა მგონია. პანელუ წიგნის კაცია. მას ერთი-ორჯერ თუ უნახავს სიკვდილი და ამიტომაც არის, რომ ჭეშმარიტების სახელით გალადებს. მაგრამ ყოველი სოფლის მღვდელი, ვისაც თავისი მრევლი უზიარებოდა და მომაკვდავის უკანასკნელი ამოსუნთქვა მოუსმენია, ჩემსავით ფიქრობს. იგი ამჯობინებდა ემკურნალა სნეულთათვის, ხოლო შემდეგ გრძელი პერიოდის სენის სასიძეოთ თვისებების დამტკიცება.

რიე წამოდგა. მისი სახე ახლა ჩრდილში იყო.

— დავანებოთ ამას თავი, რადგან არ გსურთ მიპასუხოთ.

ტარუს გაელიმა. არ ამდგარა, ისე ჰერთხა:

— შემიძლია შეკითხვითვე გიპასუხოთ?

ახლა ექიმსაც გაელიმა.

— იღუმალება გყვარებიათ. მიღით, მკითხეთ!

— მაშ, თავად რისთვის იჩენთ ასეთ თავდადებას, თუკი ლმერთი არა გწამთ? თქვენშა პასუხმა იქნებ მეც მიშველოს პასუხის გაცემაში.

ექიმი კვლავ ჩრდილში იდგა, ისე მიუგო, მე უკვე გავეცი პასუხი, ამ კითხვას და ყოვლისშემძლისა რომ მწამდეს, აღარ ვუმკურნალებდი ადამიანებს, უფალს დავუტოვებდი ამ საზრუნავსო. მერე დააყოლა: მთელს ქვეყანაზე არავის, თვით პანელუსაც კი (თუმცა კი ჰერი, ასე მწამსო), არ სწამს ლმერთი იმდენად, რომ მთლიანად მიანდოს თავი მის ნება-სურვილს, ამიტომ ძიმაჩინია, რომ ჭეშმარიტ გზას ვადგავარ, როდესაც ვებრძვი სინამდვილეს, რომელიც არსებობსო.

— მაშ, ასე წარმოგიდგენიათ თქვენი ხელობა? — შეეკითხა ტარუ.

— დაახლოებით, — მიუგო ექიმმა და სინათლეზე გამოვიდა.

ტარუს ხმაღაბალ სტვენაზე ექიმი მიტრიალდა:

— დიახ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემს ხელობას სიამაყე შეენის, მაგრამ დამერწმუნეთ, მე მხოლოდ იმდენი სიამაყე გამაჩინია, რამდენიც საჭირო. არ ვიცი, რა მომელის, ან რა მოხდება ყოველივე ამის შემდეგ, ახლა კი — არიან ავადმყოფები და მათ შველა უნდათ. დღეს ფიქრის დრო არ არის. შემდეგში, როდესაც განიკურნებიან, ისინიც დაფიქრდებიან და მეც... მე ვიცავ მათ შეძლებისდაგვარად. ესაა და ეს.

— ვისგან იცავთ?

რიე ფანჯრისკენ მიბრუნდა. შორს, საითაც ჩამუქებული ჰორიზონტი იყო, შლვა ეგულებოდა. უფრო და უფრო მოეძალა დალლილობა და ამავე დროს ებრძოდა უეცრად მოწოლილ უაზრო სურვილს, გადაეშალა გული ამ უცნაური კაცის წინაშე, რომელთანაც რაღაც ნათესაურ კავშირს გრძნობდა.

— გეფიცებით, ტარუ, ამის მეტი არაფერი ვიცი. ამ ხელობას როგორ-ლაც განყენებულად ვეზიარე; მჭირდებოდა, ვინაიდან ისეთსავე მდგომარეობას ჰანიჭებდა, როგორსაც ყველა სხვა ხელობა, რომლისკენაც ახალგაზრდობა მიისწრაფის. იქნებ იმიტომაც ვარჩიე, რომ მუშის შვილისათვის ეს განსაკუთრებით ძნელი იყო. შემდეგში ენახე, როგორ კვდებიან ადამიანები. იცით თუ არა, რომ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც უარს ამბობენ სიკვდილზე? გსმენიათ მომაკვდავი ქალის უკანასკნელი ამოძახილი: „არასოდეს!“ მე მსმენია. თავიდანვე ვიგრძენი, რომ ამას ვერ შევეგუებოდი. ყმაწვილი ვიყავი და მთელი ჩემი სიძულვილი სამყაროს კანონზომიერებაზე ვადავიტანე. დრო

რომ გავიდა, უფრო თავმდაბალი გავხდი. ოლონდ ჭერაც ვერ შევეჩვიე მომაკ-ედავი ადამიანის ყურებას. მეტი არაფერი ვიცი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს... რიე გაჩუმდა და დაჯდა. გრძნობდა, რომ პირი გაუშრა.

— რა, ბოლოს და ბოლოს? — ხმადაბლა შეეკითხა ტარუ.

— ბოლოს და ბოლოს... — განაგრძო ექიმშა, მაგრამ იქნა შეყუსმანდა და ყურადღებით დააცემერდა ტარუს, — ეს ისეთი რამაა, რასწორებელი კაცი უთუოდ გამიგებს. რადგან სამყაროს წესს სიკვდილი განსაზღვრავს, იქნებ ღმერთისთვისაც ჯობდეს, რომ იგი არ იწამონ, მთელი ძალ-ღონე სიკვდილთან ბრძოლას მოახმარონ და აღარ აღაპყრონ თვალები ზეცისაკენ, სადაც იგი დუმს.

— დიახ, — კვერი დაუკრა ტარუმ, — შემიძლია, გაგიგოთ, მაგრამ თქვენი ვამარჯვება მუდამ დროებითი იქნება, ესაა და ეს.

რიე მოიქუთრა:

— ვიცი, რომ მუდამ ასე იქნება, მაგრამ ეგ ბრძოლის შეწყვეტის საბაბად არ ვამოდგება.

— არა, არ ვამოდგება და თუ ასეა, წარმომიდგენია, რა უნდა იყოს თქვენთვის ეს უამიანობა.

— დიახ, — გამოეპასუხა რიე, — დაუსრულებელი მარცხი.

ტარუ ერთხანს თვალებში შეაცემერდა ექიმს, შემდეგ აღგა და მძიმელ გაემართა კარისაკენ. რიე უკან გაჟყვა. ტარუ შეჩერდა, თვეი ჩალუნა და ექიმს ჰქითხა:

— ვინ გასწავლათ უოველივე ეს, ექიმო?

პასუხს არ დაუყოვნებია:

— გაჭირვებამ.

რიემ გააღო კაბინეტის კარი და დერეფანში რომ გავიღნენ, ტარუს უთხრა, გარეუბანში ერთი ავადმყოფი მყავს სანახავიო. ტარუმ შესთავაზა, გამოგყვებითო. ექიმი დათანხმდა.

დერეფნის ბოლოს ქ-ნი რიე დაუხვდათ. ექიმმა გააცნო მას ტარუ. მეგობარიაო, ასე უთხრა დედას.

— ო! ბეღნიერი ვარ, რომ გაგიცანით, — თქვა ქალმა.

ტარუმ მას თვალი გააღევნა. კიბის ბაქანზე ექიმი ამაოდ ეცადა შუქის ანთებას. კიბე სიბნელით იყო მოცული. რიემ იფიქრა, ალბათ ეკონომის ეწევიანო. ეს ერთი ხანი იყო, ქალაქში ყველაფერი მოიშალა, იქნებ იმიტომ, რომ კარისკაცები და სახლის ბინადრები აღარაფერს უფრთხილდებოდნენ. ექიმი ამ ფიქრში იყო, როცა უკან მომავალი ტარუს ხმა გაიგონა:

— კიდევ ერთი სიტყვა, ექიმო, თუნდაც სასაცილოდაც ჩათვალოთ: თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით.

სიბნელეში რიემ თავისთვის თუ აიჩეჩა მხრები.

— მერწმუნეთ, მე თვითონაც არ ვიცი ეგ. თქვენ, თქვენ კი იცით?

— ო, — აუღელვებლად უპასუხა ტარუმ, — მე რაღა არ ვიცი!

ექიმი შედგა. უკან მომავალ ტარუს საფეხურზე ფეხი დაუცდა და რიეს მხარს მოეჭიდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი გაგეგებათ ამ ცხოვრებისა? — ჰქითხა ექიმმა.

სიბნელეში პასუხი ისევ მშეიღმა ხმაშ გასცა:

— დიახ.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, დაინახეს, საკმაოდ გვიანი იყო, თერთმეტი საათი იქნებოდა. ქალაქი დადუმებულიყო, მხოლოდ რაღაც შარიშური ისმოდა სიბნელეში. ძალიან შორიდან სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა მოისმა. ექიმის მანქანაში ჩასხდნენ და რიემ ძრავა ჩართო.

— ხვალ საავადმყოფოში უნდა მოხვიდეთ, — უთხრა ტარუს, — პროფილაქტიკური აცრა უნდა ჩაგიტაროთ. სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, ესლა დამრჩენია სათქმელი: გახსოვდეთ, რომ სამიდან ერთი შანსი გაქვთ უვნებლად დარჩენისა.

— მაგ ვარა უდებს აზრი არა აქვს, ექიმო, ეს თქვენ ჩემზე კარგად უწყით. ასი წლის წინათ შავი ჭირის ეპიდემიამ შეიწირა სპარსეთის ერთი ქალაქის მთელი მოსახლეობა, მხოლოდ გვამების განმბანელი დარჩა ცოცხალი, თუმცა კი თავისი საქმიანობა არ შეუწყვეტია.

— მაშ, მხოლოდ მესამე შანსი შეინარჩუნა, — უპასუხა რიემ რატომლაც მოგუდული ხმით, — თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით.

გარეუბანში შედიოდნენ. დაცარიელებულ ქუჩებს მათი მანქანის ფარები ანათებდა. მანქანიდან გადმოსული ექიმი შეეკითხა ტარუს, ავადმყოფთან ხომ არ შემომყვებითო. პასუხად დასტური მიიღო. ცის ათინათი უნათებდათ სახეებს. უცებ რიემ კეთილად გაიცინა.

— ერთი ეს მითხარით, ტარუ, რა გაიძულებთ, ამ საქმეში რომ ერევით?

— არ ვიცი. უთუოდ ჩემი შეგნება.

— სახელდობრ?

— გაგების უნარი.

ტარუ მიტრიალდა სახლისაკენ და რიეს მისი სახე აღარ დაუნახავს, სანამ ასთმიან მოხუცეთან არ შევიდნენ.

მეორე დღიდანვე ტარუ მუშაობას შეუდგა და შეკრიბა მოხალისეთა პირველი ჯგუფი, რომელსაც მალე სხვა მრავალი მოჰყვებოდა.

მთხრობელს არა აქვს განზრახული, ამ სანიტარულ რაზმებს იმაზე მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდათ. თუმცა მის ადგილზე რომ ყოფილიყო, მრავალ ჩვენს თანამოქალაქეს გული არ მოუთმენდა და ამ რაზმების როლს გააზვიადებდა. მავრამ მთხრობელი სხვაგვარად ფიქრობს: თუ კეთილ საქმეს მეტისმეტად გავაზვიადებთ, ამით ჩვენდაუნებურად ხოტბას შევასხამთ ბოროტებას. საქმე ისაა, რომ ფიქრობენ, კეთილი საქმე ესოდენ ფასობს მხოლოდ იმიტომ, რადგან იგი იშვიათია და ადამიანთა მამოძრავებელი ძალა უფრო ხშირად სიბოროტე და გულგრილობაა. მთხრობელი კი არ იზიარებს ამ აზრს, ქვეყნად ორსებული ბოროტება ყოველთვის უვიცობითაა გამოწვეული და კეთილ ნებას თითქმის ისეთივე ზიანის მოტანა შეუძლია, რაც ბოროტებას, თუკი მას ცოდნის შუქი არ ეფინება. ადამიანები უფრო კეთილნი არიან, ვიდრე ბოროტნი, მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, თავი და თავი ეს როდია. ადამიანები მეტ-ნაკლებად უვიცები არიან და სწორედ ამას უწოდებენ სათნოებას ან მანქს, ხოლო ყველაზე საშინელი მანქი უცოდინარობაა, რომელსაც თავი ყოვლისმცოდნე ჰგონია და თავს მკვლელობის უფლებას აძ-

ლეს. მკვლელის სული ბრძანა და ხილვის სრული სიცხადის გარეშე არც ჰქონდარი სიკეთე არსებობს და არც მშვენიერი სიუვარული.

ამიტომ არის, რომ როცა ტარუს წყალობით შექმნილ ჩვენს სანიტარულ რაზმებს ვაქებთ, ობიექტურობა უნდა შევინარჩუნოთ. ამის ბრალია, რომ მთხოვნელი მეტისმეტი მჭევრმეტაველებით არ შეასხამს ხოტბას ავტომატიკურობასა თუ გმირობას, თუმცა საკადრისს კი მიაგებს. მაგრამ ჩვენ მშესყიდვის ჩება დაფულეთილი და შეურიგებელი გულების მემატიანედ, რამეთუ შავმა ჭირმა გვაქცია ასეთებად.

ერთი სიტყვით, იმ ადამიანებს, ვინც სანიტარულ რაზმებში ერთგულად ურომობდა, არც ისეთი დიდი დამსახურება ჰქონდათ, რადგან იცოდნენ, სხვა არაფერი დარჩენილდათ და ასე რომ იმ მოქცეულიყვნენ, დაუგერებელი სწორედ ის იქნებოდა. ეს რაზმები დაეხმარნენ ჩვენს თანამოქალაქეებს უფრო კარგად გარკვეულიყვნენ შავ ჭირში და ნაწილობრივ კიდევაც დაარწმუნეს იმაში, რომ რადგან სენი წინ გადაელობათ, მასთან ბრძოლისას უნდა გაეცემონათ ყოველივე ის, რისი გაკეთებაც იყო საჭირო. ასე და ამრიგად, იმას გამო, რომ შავი ჭირი ზოგიერთის მოვალეობად იქცა, იგი ჭეშმარიტი სახით გამოჩენდა — ყველას საჭმელ, იმად, რაც სინამდვილეში იყო.

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ აზრადაც არავის მოუვა, მასწავლებელი იმის გამო შეაქოს, რომ ასწავლის, ორგერ ორი ოთხიათ .იგი, შეიძლება, იმის გამო შეაქონ, რომ მშვენიერი ხელობა აირჩია. შეიძლება ითქვას, რომ კების ღირსნი არიან ტარუ და ყველა ისინი, ვინც ამტკიცებდნენ, ორგერ ორი ოთხიათ და არა პირიქით, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს კეთილი ნება მათ ანათესავებს იმ მასწავლებელთან და საერთოდ ყველასთან, ვისაც ამ მასწავლებელივით გული აქვს .ასეთები კი, ადამიანის სასახელოდ, უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე ჰელიოათ ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, მთხოვნელს ლრმად სწამს ეს. იგი იმასაც ხვდება, რომ შეიძლება შეედავონ, ეს ხალხი ხომ საფრთხეში იგდებდა საკუთარ სიცოცხლეს. მაგრამ ისტორიაში მუდამ დგება ხოლმე უამი, როდესაც მას, ვინც იმის მტკიცებას გაბედავს, რომ ორგერ ორი ოთხია, სიკვდილით სჭიან. მასწავლებელმა ეს კარგად იცის. და ის კი არ განლავთ საკითხავი, რა ჯილდო ან სასჯელი მოელის ასეთ მსჯელობას, საკითხავი ისაა, მართლა ოთხია ორგერ ორი თუ არა. ჩვენს თანამოქალაქეებს, ვინც მაშინ სიცოცხლეს სწირივდა, უნდა გადაეწყვიტათ, დაატყდათ თუ არა თავს შავი ჭირი და უნდა ებრძოლათ თუ არა მის წინააღმდეგ.

ჩვენს ქალაქში მაშინ. მრავალი ინალგამომცხვარი მორალისტი დადიოდა და ქადაგებდა: რაც უნდა ვილონოთ, ვერას გავხდებით და სხვა გზა არა გვაქვს, მუხლებზე უნდა დავიჩოქოთო. ხოლო ტარუ, რიე და მათი მეგობრები ისე პასუხობდნენ ამაზე, როგორც შეეძლოთ, მაგრამ დასკვნა კი მუდამ ერთი გახლდათ: რაც ძალი და ლონე გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ, მუხლებზე კი არ უნდა დავემხოთო. საქმე ის იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ეხსნათ სიკვდილისა და სამუდამო განშორებისაგან. ამისთვის კი მხოლოდ ერთი გზა იყო — შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა. თავისთავად ეს ჭეშმარიტება აღტაცებას არ იწვევდა, უბრალოდ, ლოგიკური იყო.

ამიტომაც ბუნებრივი გახლდათ, რომ მოხუცი კასტელი მთელის აწმენითა და ენერგიით ადგილზევე შეუდგა შრატის დამზადებას იმ მასალისაგან, რაც ხელთ ჰქონდა. ის და რიე იმედოვნებდნენ, რომ ქალაქში მოდებული მიკრო-

ბის საფუძველზე დამზადებული შრატი უფრო ქმედითი იქნებოდა, ვიდრე გარედან შემოტანილი, რადგან ეს მიკრობი ოდნავ განსხვავდებოდა შავი ჭირის ბაცილისაგან, უფრო სწორად მისი კლასიკური აღწერილობისაგან. კასტელს იმედი ჰქონდა, რომ ძალიან მაღლე მიიღებდა შრატს.

ბუნებრივი იყო ისიც, რომ გრანმა, რომელსაც გმირებული ურთაფერი ეცხო, სანიტარული რაზმების მდივნის მოვალეობა იყისრა. ტატუქსი მის მოყალიბებული ზოგიერთი რაზმი მციდროდ დასახლებულ უბნებში წინასწარ ზომებს იღებდა, რომ მოსახლეობა დაეცვა შავი ჭირისაგან. ცდილობლნენ, სიბინძურე აღმოეფხვრათ, აღრიცხავდნენ ყველა სხვენსა და სარდაფს, სადაც დეზინფექცია არ ჩატარებინათ. სხვა რაზმები უშუალოდ ექიმებს ეხმარებოდნენ — მათთან ერთად მიღიოდნენ ავადმყოფებთან, ჭირშეყრილები გადაპყავდათ, ხოლო შემდეგში, რადგანაც კვალიფიცირებული პერსონალი აკლდათ, თვითონ სხდებოდნენ სასწრაფო მანქანის საჭესთან, რომ ავადმყოფები და მიცვალებულები გადაეყვანათ. ყოველივე ეს სტატისტიკურ აღნუსხვას საჭიროებდა და გრანმაც იყისრა ეს საქმე.

მთხრობელს მიაჩნია, რომ გარკვეული თვალსაზრისით, რიესა და ტარუზე მეტად გრანი იყო განსახიერება იმ იშვიათი სათნოებისა, სანიტარულ რაზმებს რომ შთააგონებდა. მან მისთვის ჩვეული კეთილი ნებით, უყოყმანოდ თქვა ჰოოპა. სურდა მცირე სამუშაოთი მაინც მოეტანა სარგებლობა. სხვა რაიმესათვის მეტისმეტად ხანდაზმული იყო. მას შეეძლო ემუშავა თვრამეტი საათიდან თუ საათამდე და როდესაც რიემ მხურვალე მაღლობა გადაუხადა, გრანს გაუკვირდა: „ეს როდია ყველაზე ძნელი. შავ ჭირს ვერსად გავეძევეთ, ცხადია, უნდა ვებრძოლოთ. ეჭ! ყველაფერი ასე მარტივი რომ იყოს!..“ და იგი კელავ თავის დაუმთავრებელ წინადადებას უბრუნდებოდა. ზოგჯერ, სალამონბით, როცა სტატისტიკური მონაცემების შეჯამებას შორდებოდნენ, რიეტრანს ესაუბრებოდა. ბოლოს ტარუც ჩაითრიეს თავიანთ საუბარში და გრანი სულ უფრო და უფრო აშეარა სიამოვნებით უშლიდა ხოლმე გულს თავის ორ მეგობარს. ისინიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს მის მუშაობას, რასაც იგი უაშიანობის დროსაც არ წყვეტდა. საბოლოო ჯამში, ამაში ჰპოვებდნენ ერთგვარ შვებას.

„როგორ არის ამორმალი?“ — ხშირად ჰკითხავდა ხოლმე ტარუ, გრანი კი მუდამ ამას მიუგებდა ტანჯული ლიმილით: „მიაჭენებს თავის ცხენს, მიაჭენებს!“ ერთ სალამოს გრანმა თქვა, საბოლოოდ ივიღე ხელი ზედსართავზე „კოხტა“, ამორმალს რომ განსაზღვრავდა და ამიერიდან „ტანკენარს“ ვუწოდებო. „ეს უფრო ზუსტია“, — დაურთო მან. მეორე დღეს მან წაუკითხა თავის მსმენელებს შემდეგნაირად გადაკეთებული პირველი წინადადება: „მაისის ზვენიერ დილას საუცხოო ქურან ცხენზე ამხედრებული ტანკენარი ამორმალი ბულონის ტყის აუვავებულ ხეივნებს მიჰყებოდა“.

— ასე ხომ უკეთ ხედავთ! — ამბობდა გრანი, — თანაც მე ვამჯობინე „მაისის დილას“, რადგან „მაისის თვე“ ცხენის ჭენებას ოდნავ გაჭიანურებულს ხდიდა.

შემდეგში ძალიან ბევრი საფიქრალი გაუჩინა ზედსართავმა „საუცხოომ“. გრანის აზრით ეს სიტყვა არაფრის მთქმელი იყო, ის კი ისეთ სიტყვას ეძებდა, რომელსაც შეეძლო მის წარმოსახვაში არსებული დიდებული ცხენი ფორმიგრაფიული სიზუსტით დაეხატა. „ნასუჭი“ არ ვარგოდა, ზუსტი კი იყო,

მაგრამ ოლნავ დამამცირებელი. ერთხანს „ნაპატივებმა“ მიიჩიდა იგი, მაგრამ ეს სიტყვა წინადადების რიტმში ვერ ჭდებოდა. ერთ სალამოს მოხუცმა გამარჯვებული იერით აცნობა თანამოსაუბრეთ, ვიპოვე: „ამლაყი ქურანი“, ასე დავწერო. მისი აზრით, ეს სიტყვები ყოველგვარი ხაზგასმის ვარეშე, ცხენის სიკოტავეზე მიუთითებდა.

— ეგ შეუძლებელია, — უთხრა რიებ.

უკრეთული

— რატომ?

გრიგორიელი

— ამლაყი ჭიშს კი არა, ფერს მიუთითებს.

— რომელ ფერს?

— ყოველ შემთხვევაში, ამლაყი და ქურანი ერთი და იგივე არაა. გრანი ძალიან დანალვლიანებული ჩანდა.

— გმიდლობთ, — თქვა მან, — საბედნიეროდ თქვენ მყავხართ ვვერდით. ხომ ხედავთ, რა ძნელია წერა.

— „დიდებულზე“ რას იტყოდით? — ჰეითხა ტარუმ.

გრანმა შეხედა. დაფიქრდა:

— დიახ, — თქვა მან ბოლოს, — ზედგამოჭრილი სიტყვაა.

რამდენიმე დღის შემდეგ აღიარა, სიტყვა „აყვავებული“ მეჩოთირებაო. კინაიდან ორანსა და მონტელიმარს არასოდეს გასცილებოდა, თავის მეგობრებს გამოკითხა, რანაირად ყვავისო ბულონის ტყის ხეივნები. კაცმა რომ თქვას, რიესა და ტარუს არასოდეს დარჩენიათ შთაბეჭდილება, თითქოს ეს ხეივნები ჰყვაოდა, მაგრამ მოხელის რწმენამ ისინიც დაიღესვა. მოხუცს კი მათი ორჭოფობა ანცვიფრებდა. „მხოლოდ მხატვრის თვალს ძალუს დანახვა!“ მაგრამ ერთხელ ძალზედ აღგზნებული დაუხვდა ექიმს. სიტყვა „აყვავებული“ „ყვავილებით დაბურულით“ შეეცვალა. ხელებს იფშვნეტდა. „როგორც იქნა, მათი დანახვა, შეგრძნება შეიძლება. ქუდი მოიხადეთ, ბატონებო და მდაბლად მოიღრიკეთ თავი!“ მერე გამარჯვებული იერით წაიკითხა წინადადება: „მაისის მშვენიერ დილით დიდებულ ქურანზე ამხედრებული ტანკენარი ამორძალი ბულონის ტყის ყვავილებით დაბურულ ხეივნებს მიპყვებოდა“. მაგრამ ხმამაღლა კითხვის დროს წინადადების ბოლოს თავშეყრილი, მიჭრით მიწყობილი არსებითი სახელები ყურს ეხამუშებოდა და გრანსაც ენა წაუბორდიკდა. დამწუხრებული ჩამოჯდა. შემდეგ ექიმს წასვლის ნებართვა სთხოვა, უნდა დავუიქრდეო.

როგორც შემდგომში გამოირკვა, სწორედ იმხანად დაეტყო სამსახურში დაბნეულობის ნიშნები, ეს კი სავალალო იყო ისეთ მომენტში, როცა მერია შემცირებული პერსონალით მძიმე ვალდებულებებს უნდა გამკლავებოდა. ამან უარყოფითად იმოქმედა მის სამსახურეობრივ საქმიანობაზე და კანტორის უფროსმა მკაცრადიც უსაყველურა, ფულს იმისთვის ღებულობთ, რომ შეასრულოთ სამუშაო, რომელსაც არსებითად არ ასრულებთ. „თურმე მოხალისედ მუშაობთ სანიტარულ ჩაზმებში, — უთხრა კანტორის უფროსმა, — ეს მე არ მეხება. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, თქვენი სამსახურია. ამ სასაშინელ ვითარებაში სარგებლობის მოტანა თუ გსურთ, პირველ რიგში თქვენი სამუშაო უნდა შეასრულოთ კეთილსინდისიერად. თუ არადა, სხვა დანარჩენი არაფრის მაქნისია....“

— იგი მართალია, — უთხრა გრანმა რიეს.

— დიახ, მართალია, — დაუდასტურა ექიმმაც.

— მაგრამ მე დაბნეული ვარ, რაკი არ ვიცი, თავი როგორ გავართვა ჩემი წინადადების დასასრულს.

მას აზრად მოსვლია ამოელო სიტყვა „ბულონის“, რადგან მარანდა, რომ ისედაც გასაგები იქნებოდა ყველაფერი. მაგრამ მაშინ წინადადებაში თითქოს „უვავილებს“ უკავშირდებოდა ის, რაც სინამდვილეში „უხევეგნებს“ ეხებოდა. ისიც უფიქრია, დაეწერა: „ხეივნებს ტყისას, სავსეს უფაფლეოფრთვა მაგრამ „ტყისგან“ ხელოვნურად გათიშული არსებითი სახელი და განსაზღვრება ეჩოთირა. მართალი თუ გნებავთ, ზოგიერთ სალამოს იგი რიეზე გაცილებით უფრო დალლილი ჩანდა.

დიახ, მას ქანცს აცლიდა საჭირო სიტყვის ძიება, სულ მთლად რომ შთანთქმვდა მის არსებას, მაგრამ მაინც განაგრძობდა მონაცემების შეჯამებას და სტატისტიკურ აღრიცხვას, რაც სანიტარული რაზმებისთვის იყო საჭირო. უოველ სალაშოს მოთმინებით უკირკიტებდა სააღრიცხვო ბარათებს, მონაცემებს აჭერებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტი სურათი შეექმნა. საკვაოდ ხშირად აკითხავდა რიეს საავადმყოფოში და თავისუფალ მაგიდას სთხოვდა. თავისი ქაღალდებით მიუჯდებოდა ხოლმე ამ მაგიდას, ზუსტად ისევე, როგორც შერიაში და სადეზინფექციო წამლისა და ავადმყოფთა ამონა-სუნთქმით დამძიმებულ ჰაერში ქაღალდის ფურცლებს აფრიალებდა, რათა მელანი გაეშრო. მაშინ იგი პატიოსნად ცდილობდა თავის ამორჩალზე აღარ ეფიქრა და მხოლოდ ის ეკეთებინა, რაც ევალებოდა.

დიახ, თუკი მართალია, რომ ადამიანებს სჭირდებათ მისაბაძი მაგალითები და სანიმუშო პიროვნებები, რომლებსაც ისინი გმირებს უწოდებენ, და თუკი აუცილებელია, რომ ერთი გმირი ამ მოთხრობაშიც იყოს, მთხრობელი სწორედ ამ უმნიშვნელო და ჩრდილში მყოფ გმირს გთავაზობთ, ვისაც სიკეთისა და იდეალის გარდა არაფერი გააჩნია — იდეალისა, ერთი შეხედვით სასაცილო რომ ჩანს. ეს დაუბრუნებს ჭეშმარიტებას მის კუთვნილს — ორჯერ ორი რომ ოთხია, ხოლო გმირობას — ოდითგანვე მიკუთვნებულ შეორებარისხოვან ადგილს, რომელიც წინ კი არ უსწრებს, არამედ სწორედ თან სდევს საყოველთაო ბედნიერების მოთხოვნილებას. ჩვენს ქრონიკასაც ეს ანიჭებს სრულიად გარკვეულ ხასიათს, როგორიც უნდა ჰქონდეს ნამდვილ ფაქტებზე აგებულ მოთხრობას, რაშიაც სიკეთეა ჩაქსოვილი, ისეთი სიკეთე, რომელიც არ უვირის, არ არის ეგზალტირებული ამ სიტყვის უარყოფითი თეატრალური გავებით.

უოველ შემთხვევაში, ასეთი გახლდათ ექიმ რიეს აზრი, როდესაც გაზეთებში კითხულობდა ანდა რადიოში უსმენდა მიმართვებსა და გამხნევებას, გარე სამყარო რომ უგზავნიდა შავი ჭირით მოცულ ქალაქს. ამიერიდან განმარტოებულ ქალაქს უოველ სალაშოს ჰაერითა თუ ხმელეთის გზით გამოგზავნილ დახმარებასთან ერთად აწვიმდა რადიოტალღებიდან თუ პრესის ფურცლებიდან სიბრალულისა და აღფრთოვანების სიტყვები. და ამ სიტყვების ეპიკურსა თუ რიტორიკულ ტონს მუდამ მოთმინებიდან გამოჰყავდა ექიმი. ცხადია, სვდებოდა, რომ ეს თანაგრძნობა არ იყო მოჩვენებითი, მაგრამ იგი მხოლოდ იმ პირობითი ენით შეიძლებოდა გამოხატულიყო, რომლითაც ადამიანები ცდილობენ გამოთქვან ის, რაც მათ კაცობრიობასთან აკავშირებს. მაგრამ ეს ენა არ შეეფარდება თუნდაც იგივე გრანის უოველდლიურ მალისხმევას, რადგან

ვერ გადმოსცემს იმას, თუ რას წარმოადგენდა გრანი გამძვინვარებული ეპიდე-
მიისას.

ზოგჯერ, შუალამისას, უკაცრიელ ქალაქში ჩამოვარდნილ დიდ სტჩუმეში,
ვიდრე ხანმოკლე ძილისათვის საწოლს მიაშურებდა, ექიმი რადიომიმღებს
რთავდა. და ქვეყნის ყოველი კიდიდან, ათასობით კილომეტრის გამოელით,
უცნობი და ძმური ხმები მოუქნელად ცდილობდნენ გამოეთქვათ თავისი თა-
ნალშობა და გამოთქვამდნენ კიდეც, მაგრამ ამავ დროს იმ საშინელ უშლუ-
რებამაც ადასტურებდნენ, ადამიანს რომ მოიცავს ხოლმე, როდესაც უნდა
გულით გაიზიაროს ის ტკივილი, რომლის დანახვაც არ შეუძლია. „ორანი! ორა-
ნი!“ ამაოდ გადმოივლიდა ხოლმე ზღვებს ეს მომართვა, ამაოდ უსმენდა რიე
გაფაციცებით, მყისვე იმძლავრებდა მჭევრმეტყველება და კიდევ უფრო ხაზს
უსვამდა იმ არსებით განსხვავებას, რომლის გამოც გრანი და ის რადიოთი
მოლაპარაკე ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ. „ორანი! ორანი!“ „არა,—
ფიქრობდა ექიმი, — სხვა გზა არ არსებობს, უნდა გიყვარდეს, ან მოქვდე
სხვებთან ერთად. ისინი კი მეტისმეტად შორს არიან“.

ვიდრე შავი ჭირის კულმინაციაზე მოგითხრობდეთ, როდესაც მან მთელი
თავისი ძალ-ლონე მოიკრიბა, რათა ქალაქისათვის დაეტეხა თავს და საბოლო-
ოდ ხელო ეგდო იგი, ისლა დაგვრჩენია გიამბოთ, თუ რა ხანგრძლივ, უსამოო
და ერთფეროვან ლონისძიებებეს მიმართავდნენ ზოგ-ზოგიერთები, რომელთაც,
რამბერისა არ იყოს, სურდათ საკუთარი ბედნიერება დაებრუნებინათ და შავი
ჭირისათვის წაეგლიგათ თავიანთი არსების ის ნაწილი, ყოველგვარი ხელყოფი-
საგან რომ იცავდნენ. ასე ამბობდნენ ისინი უარს მონობაზე, რომელიც ემუქ-
რებოდათ და თუმცა ეს უარი ერთი შეხედვით იმ სხვა უარივით ქმედითი არ
ჩანს, მთხრობელის აზრით, მას გამართლება ჰქონდა და მიუხედავად იმისა
რომ უნაყოფო და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო, მაინც მოწმობდა, რომ
ჩვენში ენთო სიამაყის ნაპერწკალი.

რამბერი იბრძოდა იმისათვის, რომ შავ ჭირს არ წაელეკა იგი. რაკი დარ-
წმუნდა, კანონიერი გზით ქალაქიდან ვერ გავალო, გადაწყვიტა სხვა ხერხი
ეხმარა. ასედაც უთხრა რიეს. უურნალისტმა ჭერ კაფეების ოფიციანტებს და-
უწყო გამოკითხვა. კაფეს ოფიციანტმა ყოველთვის ყველაფერი იცის. მაგრამ
პირველმავე ოფიციანტმა, რომელსაც მიაკითხა, უპირველეს ყოვლისა, ის იცო-
და, თუ რა მკაცრი სასჯელი იყო გათვალისწინებული ამგვარი ცდებისათვის.
ერთხელ პროვოკატორიც კი ეგონათ. საქმემ ოდნავ წინ წაიწია მას შემდეგ,
რაც კოტარს შეხვდა რიესთან. იმ დღეს რიემ და კოტარმა კვლავ ილაპარაკეს
უურნალისტზე, თქვეს, ტყუილუბრალოდ დაატარებენ ადმინისტრაციულ და-
წესებულებებში. რამდენიმე დღის შემდეგ კოტარი ქუჩაში შეხვდა რამბერს
და ისეთი თავაზიანობით შეეგება, როგორიც ეს ერთი ხანობა იყო დასჩემე-
ბოდა:

— კვლავ არაფერია? — ჰქითხა უურნალისტს.

— არა, არაფერი.

— მოხელეების იმედი ნუ გექნებათ. იმისთვის კი არ სხედან კანცელარი-
ებში, რომ ადამიანებს გაუგონ.

— მართალია. მაგრამ მე სხვა გზას ვეძებ, ეს კი ძალიან ძნელია.

— აჟა! — უთხრა კოტარმა, — მესმის.

მერე დააყოლა, არაპირდაპირი გზები ვიციო და როცა რამბერმა ეს გა-

იკვირვა, აუხსნა, უჩვე დიდი ხანია, ორანის ქაფეებში დავდივარ, იქ მეგობრები მყავს და ვიცი ერთი ორგანიზაციის არსებობა, რომელიც ამგვარ საქმეებს აგვარებს. სიმართლე კი ის გახლდათ, რომ კოტარმა, ამ პრალო დროს მეტს რომ ხარჯავდა, ვიდრე ლებულობდა, ხელი მოჰკიდა ~~დეფიციტურული~~ პროდუქტების კონტრაბანდით შემოზიდვის საქმეს. ერთი სიტყვით, უიდრა სიგარეტებსა და ცუდ არაყს, რომელთა ფასიც განუწყვეტლივ იზრდებოდა და საიმდროოდ პატარა სიმდიდრეც მოიხვეჭა:

— სავსებით დარწმუნებული ხართ ამაში? — პკითხა რამბერმა.

— დიახ. მე თვითონაც შემომთავაზეს.

— და თქვენ ამ შემთხვევით არ ისარგებლეთ?

— ეპვის თვალით ნუ კი მიყურებთ, — უთხრა კოტარმა გულკეთილად, — მე მხოლოდ იმიტომ არ ვისარგებლე, რომ წასვლის სურვილი არ მქონდა. მე საამისო მიზეზი მაქვს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან განაგრძო:

— მიზეზს არ მეკითხებით?

— ვფიქრობ, ეს მე არ მეხება, — მიუგო რამბერმა.

— ერთი მხრივ, ეს თქვენ მართლაც არ გეხებათ, მაგრამ მეორე მხრივ... ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ მე აქ გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს მას აქეთ, რაც შავი ჭირი გაჩნდა.

რამბერმა სიტყვა გააწყვეტინა:

— როგორ დავუკავშირდე იმ ორგანიზაციას?

— ა! ეგ ადვილი როდია, — უთხრა კოტარმა, — მე გამომყევით.

დღის ოთხი საათი სრულდებოდა. მძიმე ცის ქვეშ დატანებული ქალაქი ნელა იხარშებოდა. ყველა მაღაზიის ვიტრინას ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ქუჩები უკაცრიელი იყო. კოტარი და რამბერი თალებიან ქუჩას გაჰყვნენ, დიდხანს მიდიოდნენ უსიტყვოდ. ეს ის უამი გახლდათ, როცა შავი ჭირი უხილავი ხდებოდა. ეს დუმილი, ფერთა და მოძრაობათა კვდომა შეიძლებოდა ზაფხულის ნიშანიც ყოფილიყო და შავი ჭირისაც. ვერ გაიგებდი, მუქარა ამძიმებდა ჰაერს თუ მტვერი და ბული. ადამიანს რომ გაეგო, რა იყო შავი ჭირი, უნდა დაკვირვებოდა, უნდა დაფიქრებულიყო. იგი მხოლოდ უარყოფითი ნიშნებით თუ ამუღავნებდა თავს. კოტარმა, რომელსაც ერთგვარი კავშირი ჰქონდა შავ ჭირთან, რამბერის ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ ძალები არსად ჩანდნენ. ჩვეულებრივ ვითარებაში სიგრილის ამაოდ მძებნელთ, აქოშინებულებსა და გვერდზე გაწოლილებს ვნახავდით დერეფნის ზღურბლთან.

პალმების ხეივანს გაჰყვნენ, გადაკვეთეს საჭურვლის მოედანი და საზღვაო ფლოტის უბნისაკენ დაუშვნენ. მარცხნივ, მწვანედ შეღებილ ქაფეს შეეფარებინა თავი ყვითელი ტილოს ირიბიდ დაქვანებული საჩრდილობლის ქვეშ. შესვლისთანავე რამბერმა და კოტარმა შუბლი მოიწმინდეს. მერე ბაღის დასაკიც სკამებზე ჩამოსხდნენ მწვანე თუნუქეგადაკრულ მაგიდასთან. დარბაზში არავინ იყო. ჰაერში ბუზების ბზუილი ისმოდი. დახლზე გამოდგმულ ყვითელ გალიაში ბუმბულგაცვენილი თუთიყუში თავის ქანდარაზე ასკუპულიყო. კედელზე ჩამოკიდებული მველი სურათები, სამხედრო სცენებს რომ ასახავდნენ, ჭუჭყითა და ობობას ხშირი ქსელით იყო დაფარული. ყველა თუნუქეგადაკრულ მაგიდაზე და თვით რამბერის წინაც ქათმის გამხმარი სკინტლი ეყა-

რა. აქ საიდან უნდა გაჩენილიყო, ვერ გაეგო რამპერს, სანამ ჩაბნელებული კუთხიდან ქოთქოთითა და ხტუნვით არ გამოვიდა ერთი მშვენიერი მამალი.

ამასობაში კიდევ უფრო ჩამოცხა. კოტარმა პიჯაკი გაიხადა და მავდას ხელი დასცხო. გრძელ, ლურჯ წინსაფარში ჩაკარგული კაცუნა დარბაზის სილ-რმიდან გამოვიდა, შორიდანვე მიესილმა კოტარს და მისკენ გამოეშურა, წინლის ქლიერი დარტყმით მოიშორა მამალი და მის კრიახ-კრიახში ჰკითხა მოცულებს, რას ინებებთო. კოტარმა თეთრი ღვინო მოითხოვა და ვინმე გარსიას ამბავიც იყითხა. ქონდრისკაცის თქმით, უკვე რამდენი დღე იყო, რაც გარსიას ფეხი არ დაედგა კაფეში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ სალამოს მოვა?

— რას გაიგებ? — უთხრა ჭუჭამ. — თქვენ ხომ იცით, რა დროს სჩვევია ხოლმე მოსვლა?

— დიახ. მაგრამ არა უშავს, საჩქარო არაფერია. მინდოდა ეს ჩემი მეგობარი გამეცნო მისთვის.

ოფიციანტი გაოფლილ ხელებს იმშრალებდა წინსაფარზე.

— როგორ, ეს ბატონიც საქმეშია გარეული?

— დიახ, — უთხრა კოტარმა.

ჭუჭამ წაიქსუტუნა.

— მაშ ამ სალამოს მობრძანდით, ბიჭის გავუგზავნი და მოვა.

ჭურაში რომ გამოვიდნენ, რამბერმა იყითხა, რომელ საქმეზეა საუბარი.

— ცხადია, კონტრაბანდაზე. ეგენი საქონელს აპარებენ ქალაქის კარიბ-ჰეში და მალალ ფასებში ჰყიდიან.

— კეთილი, — ჩაილაპარაკა რამბერმა, — თანამოზიარენი თუ ჰყავთ?

— დიახაც რომ ჰყავთ.

სალამოს საჩრდილობელი აწეული დაწვდათ. თუთიყუში თავის გალიაში ტკარცალებდა, თუნუქეგადაკრულ მაგიდებს კი გარს შემოსხდომოდნენ სახელოებაკაპიტებული კაცები. ერთი მათგანი, გულმკერდგადალელილი, თეთრპერანგა კაცი, პირზე გამომწვარი თიხის ფერი რომ ედო და თავზე უკან გადაწეული ჩალის ქუდი ეხურა, კოტარის შემოსვლისთანავე წამოდგა. სწორნაკვთებიანი სახე ჰქონდა, მზეზე გარუჭული, კბილები — თეთრი, თითებზე ორი თუ სამი ბეჭედი ეკეთა. ასე, ოცდაათი წლისა ჩანდა.

— გამარჯობა, — მიესალმა კოტარს, — დახლოთან დავლიოთ.

სამ-სამი ჭიქა გადაპერეს ხმაამოულებლად.

— გარეთ ხომ არ გავსულიყავით? — თქვა მერე გარსიამ.

ნავსადგურისაკენ დაეშვნენ და გარსიამ იყითხა, რა გინდოდათო. კოტარმა უთხრა, მაინცდამაინც ჩვენს საქმეზე კი არ მიხმიხარ, მინდოდა ეს კაცი გამეცნო შენთვის, რამბერი ჰქვია და „გასვლა“ სწადიაო. თანამგზავრებისაკენ ირც იხედებოდა, ისე მიდიოდა გარსია და თან აბოლებდა. რალაცები გამოჰკითხა კოტარს, რამბერის თანდასწრებით მასზე „ისო“, ამბობდა, თითქოსდა ვერც ამჩნევდა, რომ უურნალისტი იქ იყო.

— რისთვის? — შეეკითხა კოტარს.

— ცოლი ჰყავს საფრანგეთში.

— არა!

და კოტა დუმილის შემდეგ:

— რა ხელობისაა?

— უურნალისტი გახლავთ.

— მაგ ხელობის ხალხი ენას კბილს ვერ აჭერს...

რამბერი დუმრა.

— მეგობარი კაცია, — თქვა კოტარმა.

ერთხანს მღუმარედ მიღიოდნენ. სანაპირომდე მიწოდების საფაული აქრძალული იყო გასვლა და ამიტომ ალაყაფის კარი ჩაეყურადა. მარტინ ფარდულს მიაშურეს, სადაც შემწვარი სარდინები იყიდებოდა. შემწვრის სუნი პირდაპირ სახეში სცემდათ.

— ასე თუ ისე, — დაასკვნა გარსიამ, — ეგ საქმე მე კი არა, რაულს ეხება. მისი მონახვაა საჭირო. ეს კი აღვილი არ გახლავთ.

— ამ! — შესძახა კოტარმა და გამოცოცხლება დაეტყო, — იმალება? გარსიამ არაფერი უპასუხა. ფარდულთან შეჩერდა და პირველად შეხედა რამბერს სახეში.

— ზეგ თერთმეტ საათზე საბაჟოს ყაზარმის კუთხესთან დამელოდეთ, ზემოუბანში.

მან თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ მოუბრუნდა რამბერსა და კოტარს.

— ხარჯი იქნება გასაწევი, — თქვა მან, მაგრამ ეს თავისთავიდ იგულისხმებოდა.

— რა თქმა უნდა, — შეაგება რამბერმა.

ცოტა მოგვიანებით უურნალისტმა მაღლობა გადაუხადა კოტარს.

— რისი მაღლობა, — უთხრა ამ უკანასკნელმა მხიარულად, — მე მსიამოვნებს სამსახური გაგიშვიოთ. ამას გარდა, თქვენ უურნალისტი ხართ და ადრე თუ გვიან სამაგიეროს გადამიხდით.

ორი დღის შემდეგ რამბერი და კოტარი დიდ, უჩრდილო ქუჩებს შეუუპნენ, რომლებიც ჩვენი ქალაქის ზემო უბნისაკენ მიღიოდა. საბაჟოს ყაზარმის ერთი ფრთა საავადმყოფოდ გადაექციათ და დიდი კარების წინ ხალხი იდგა. ზოგი იმედოვნებდა, შემიშვებენო, თუმცა ეს არ იყო ნებადართული. ზოგს კი ავადმყოფის ამბის გაგება უნდოდა, მაგრამ ივიწყდებოდა, რომ ცნობები ყოველთვის იგვიანებდა. ასეა თუ ისე, ამ ხალხმრავლობაში შეიძლებოდა ისე გაძრომ-გამოძრომა, რომ ყურადღება არავის მიექცია და ეტყობა, გარსიამაც ამ მოსაზრებით დაუნიშნა რამბერს აქ პაემანი.

— საკვირველია, რომ წასვლა ასე დაგიუინებიათ, — უთხრა კოტარმა, — ახლა ხომ ქალაქში საინტერესო ამბები ხდება!

— ჩემთვის არ არის საინტერესო, — მიუგო რამბერმა.

— ო, რა თქმა უნდა, ვინც ქალაქში ვრჩებით, ერთგვარად საფრთხეში ვიგდებთ თავს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უამიანობამდეც იყო საფრთხე. განა საფრთხე არ გველის, როცა გზაჯვარედინებზე გადავდივართ?

ამ დროს მათ გვერდით რიეს მანქანა გაჩერდა. საჭესთან ტარუ იჭდა, რიე კი თველემდა. თვალი გაახილა, რათა ერთმანეთისათვის გაეცნო ტარუ და უურნალისტი.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, — თქვა ტარუმ, — ერთსა და იმავე სასტუმროში ვცხოვრობთ.

მან შესთავაზა რამბერს, ქალაქში გაგიყვანთო.

— არა, ჩვენ აქ პაემანი გვაქვს დანიშნული.

რემ რამბერს შეხედა.

— დიან, — თავი დაუქნია ამ უკანასკნელმა.

— ოჟო! — გაოცდა კოტარი, — მაშ, ექიმი საქმის კურსშია?

— აა, გამომძიებელიც მოდის, — თქვა ტარუმ და კოტარს შეხედა.

კოტარს სახე შეეცვალა. ბატონი ოტონი მართლაც მათკენ მოდიოდა. ძლიერი, მავრამ გამოზომილი ნაბიჯით. შეკრებილთ რომ გაუსწორდეს ეს შეკრებილი მოიხადა.

— გამარჯობათ, ბატონო მოსამართლევ! — უთხრა ტარუმ.

გამომძიებელმა სალმითვე უპასუხა მანქანაში მსხდომთ, მერე შორიახლო მდგარ კოტარსა და რამბერს მიხედა და მათაც დიდის ამბით დაუქნია თავი. ტარუმ მას რანტიე და უურნალისტი გააცნო. გამომძიებელმა ცას ახედა, ერთი ამოიოხარა და თქვი, ძალზე მცმუნვარე დღეები დაგვიდგაო.

— მე მითხრეს, ბატონო ტარუ, რომ თქვენ პროფილაქტიკური ზომების გატარებას მოქადაცეთ ხელი. სულითა და გულით გიჭერთ მჩარს. როგორ ფიქ-რობთ, ექიმო, სენი კიდევ უფრო გავრცელდება?

რემ მიუგო, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ არაო, და გამომძიებელმაც ვაიმეორა, კაცმა იმედი არ უნდა მოიშალოს, რამეთუ განგების ზრახვანი მიუწ-ვდომელიათ. ტარუმ პკითხა მას, ამ ბოლოდროინდელმა ამბებმა საქმე ხომ არ გაგიორმავათო.

— პირიქით, იმ საქმეთა რაოდენობამ, რომელსაც ჩვენ სისხლის სამარ-თლისას ვეძახით, კიდევაც იყლო. იმჯერად მე მხოლოდ მათი საქმეების გან-ზილვა მევალება, ვინც ახალ განკარგულებებს გადავა. ძველი კანონები არას-დროს დაუცავთ ასე გულმოდგინედ.

— საქმე ისაა, — თქვა ტარუმ, — რომ ჭველი კანონები უნებლიერ უცემესი ჩანს.

გამომძიებელმა ერთბაშად მოიცილა მეოცნებე იერი, ცას მოწყვიტა მზე-რა და ცივად აათვალიერა ტარუ:

— მერედა რა? კანონი კი არ არის მთავარი, არამედ — სასჯელი. გა-მოძიება აქ არაფერ შეუაშია.

— აი ეს კაცი, — თქვა კოტარმა, როდესაც გამომძიებელი წავიდა, — ჩვენი პირველი მტერია.

მანქანა დაიძრა.

ცოტა მოგვიანებით რამბერმა და კოტარმა მათკენ მომავალი გარსია და-ინახეს. გარსია არც მისალმებია დამხდურთ, ისე თქვა, უნდა დავიცადოთო.

მათ გარშემო ბრძო იდგა, სადაც ქალები ჭარბობდნენ და სრულ დუმილში რაღაცას ელოდებოდნენ. თითქმის ჟველა ქალს კალათა ეჭირა ხელში, იმის იმედით, რომ შეძლებდნენ მათ მიწოდებას ავადმყოფი ნათესავებისათვის და კიდევ უფრო გიუური იმედით, რომ სწეულები შეძლებდნენ მათი მოსაკითხით პირის ჩაგემრიელებას. კარებს დარაჯობდნენ შეიარაღებული გუშაგები. დრო-დადრო უცნაური ყვირილი ძალა ეზოდან, რომელიც ყაზარმის შენობას ქუ-ჩისავან ჰყოფდა. იქ მყოფნი მყისვე საავადმყოფოსკენ მიატრიალებდნენ ხოლ-მე შეცმუნებულ სახეებს.

სამი კაცი მდუმარედ უცქერდა სანახაობას, როდესაც მათ ზურგს უკან ვილაცამ მკაფიოდ და დინჯად თქვა „გამარჯობა“. სამთავე შებრუნდა. სიცხის-დამიუხედავად რაული ისე იყო ჩატრული, თითქოს წვეულებაზე მიდისო. მა-

ღალსა და მხარბეჭიანს ტანთ მუქი ფერის ორბორტიანი კოსტიუმი ეცვა და თავზე ფარფლებაგრეხილი ფერის ქუდი ეხურა. სახე საქმაოდ ფერმერთალი ჰქონდა, ტუჩები — მოკუმული, თვალები — თაფლისფერი. სწრაფად და საქმიანად ლაპარაკობდა:

— ქალაქისაკენ წავიდეთ, — თქვა მან, — გარსია, შენ შეგიძლია დაგვიღდე.

გარსია ადგილიდან არ დაძრული, სიგარეტს მოუკიდა. კოტარი და რამბერი სწრაფად მიაბიჯებდნენ, ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ რაულისათვის, რომელიც მათ შორის ჩამდგარიყო.

— გარსიამ ყველაფერი მითხრა, — თქვა მან, — მოგვარდება ეგ საქმე. მოკლედ, თქვენ ეს ათი ათასი ფრანკი დაგიჯდებათ.

რამბერმა თანხმობა უთხრა.

— ჩემთან ისაუზმეთ ხვალ საზღვაო ფლოტის ესპანურ რესტორანში.

რამბერმა თავი დაუქნია, შევთანხმდითო. რაულმა ხელი ჩამოატვა და პირველად გაულიმა. მისი წასვლის შემდეგ კოტარმა მოიბოდიშა, ხვალ დაკავებული ვარ და თანაც ალარ გჭირდებითო.

როცა მეორე დღეს უურნალისტი ესპანურ რესტორანში შევიდა, ყველამ გაიყოლა მზერა. ამ ჩაბნელებულ სარდაფს, რომელიც ყვითელი, მზისგან გადაბუგული პატარა ქუჩის პირას გაეჭრათ, ძირითადად მხოლოდ ესპანური ტიპის მამაკაცები ეტანებოდნენ. მაგრამ, როგორც კი სილრმეში, მაგიდასთან მჯდარმა რაულმა ხელი დაუქნია უურნალისტს და რამბერიც მისკენ გაემართა, იქ მყოფთ ცნობისმოყვარეობა გაუნელდათ და თავთავიანთ კერძს მიუბრუნდნენ. რაულს გვერდით ეჯდა მაღალ-მაღალი, გამხდარი და წვერგაუპარსავი კაცი, რომელსაც უზომოდ განიერი ბეჭები, ცხენის სახე და შეთხელებული თმა ჰქონდა. პერანგის აკაპიწებული სახელოებიდან გრძელი, გამხდარი და შავი ბალნით დაფარული მკლავები მოუჩანდა. რამბერი რომ წარუდგინეს, სამჯერ დაიქნია თავი. მისი სახელი რამბერისათვის არ უთქვამთ, რაული საუბარში ასე ეძახდა — ჩვენი მეგობარიო.

— ჩვენი მეგობარი ფიქრობს, რომ შეუძლია თქვენი დახმარება. ის თქვენ...

რაული შეჩერდა, რადგან რამბერს ოფიციანტი ქალი წამოადგა თავს და ჰქითხა, რას ინებებთო.

— იგი თქვენ გაგაცნობთ ორ ჩვენს მეგობარს, ისინი კი დაგაკავშირებენ დარაჯებთან, რომლებსაც ჩვენ ვენდობით. მაგრამ ამით ყოველივე როდი დამთვრდება. თვით ყარაულებმა უნდა შეარჩიონ ხელსაყრელი მომენტი. უმჯობესი იქნებოდა, რამდენიმე ლამე ერთ-ერთ მათგანთან გაგეთიათ, იმასთან, რომელიც კარიბჭესთან ახლოს ცხოვრობს. ჩვენი მეგობარი წინასწარ დაგავშირებთ ამ ხალხთან. როდესაც ყოველივე მოგვარდება, სწორედ მას მისცემთ ფულს.

„ჩვენმა მეგობარმა“ კიდევ ერთხელ დაიქნია ცხენის თავი, ისე რომ, პამიღვრისა და ტკბილი წიწაკის სალათის ლეჭვა არ შეუწყვეტია. შემდეგ ოდნავ შესამჩნევი ესპანური კილოთი დაიწყო ლაპარაკი. მან შესთავაზა რამბერს, პაემანი ორი დღის შემდეგ დავნიშნოთო, დილის რვა სათხე, ტაძრის კარიბჭესთან.

— კიდევ ორი დღე, — ჩაიბუზლუნა რამბერმა.

— საქმე ისაა, რომ ამის გაკეთება არც ისე იოლია, — შენიშნა რაულ-
მა, — ხალხი ხომ უნდა გამოვძებნოთ.

ცხენმა ერთხელ კიდევ დაიქნია თავი და რამბერიც უხალისოდ დატანებ-
მდა. საუბარი ვერაფრით ვერ გააბეს, რადგან ის იცოდნენ რაზე ელაპარაკებ-
მაგრამ, როცა რამბერმა შეიტყო, ცხენი ფეხბურთელი ყოფილაო, საქმე გა-
იოლდა. თვითონაც ბევრი უთამაშია ფეხბურთი. მაშინვე საფრანგეთის პერ-
ველობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ინგლისური პროფესიული გუნდების ავ-კარ-
გშე და W-სებური ტაქტიკის შესახებ. საუბრის ბოლოს ცხენი მთლად გაუშინა-
ურდა და უკვე შენობით მიმართავდა რამბერს, თან არწმუნებდა, გუნდში ნა-
ხევარმცველის ადგილი ყველას სჭობსო. „ხომ გესმის, — გაიძახოდა იგი, —
ნახევარმცველი თამაშის მსვლელობას განსაზღვრავს, ფეხბურთში კი ეს არის
მთავარი!“ რამბერიც ამავე აზრისა იყო, თუმცა მუდამ ცენტრალურ თავდამ-
სხმელად თამაშობდა. კამათი რადიომიმღებმა შეაწყვეტინათ, რომელმაც სან-
ტიმენტალური მელოდიების გადმოცემის შემდეგ დამსწრეთ აუწყა, გუშინ
შავმა ჭირმა ას ოცდაჩვიდშეტი აღამიანი იმსხვერპლაო. დამსწრეთა შორის
არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამ ამბავს. ცხენისთავა კაცმა მხრები
იჩეჩია და ადგა. რაულმა და რამბერმა მის მაგალითს მიჰმადეს. წასვლისას ნა-
ხევარმცველმა ენერგიულად ჩამოართვა ხელი რამბერს და უთხრა:

— მე გონისალესი მქვია.

ეს ორი დღე უსასრულო ეჩევენა რამბერს. რიესთან მივიდა და დაწვრი-
ლებით უამბო თავისი ამბავი. შემდეგ თან გაჟყვა ექიმს და ერთი სახლის კარ-
თან დაემშვიდობა, საღაც, ეტყობა, საეჭვო ავადმყოფი ელოდათ. დერეფანში
ერთი შერბენა-გამორბენა პქონდათ, გაისმოდა ხმამალალი ძახილი: მეზობ-
ლები ატყობინებდნენ ავადმყოფის ოჯახს, ექიმი მოვიდაო.

— იმედი მაქვს, ტარუ არ დაიგვიანებს, — წაიჩურჩულა რიემ.

დაღლილი ჩანდა.

— ეპიდემია მეტისმეტად სწრაფად ვითარდება? — პკითხა რამბერმა.

რიემ უთხრა, თავი და თავი ეგ როდია, ავადმყოფთა რიცხვი არც ისე
სწრაფად მატულობს, მაგრამ შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები
მაინც დამაინც ბევრი არ მოგვეპოვებაო.

— ჩვენ მასალა გვაკლია, — განაგრძობდა იგი, — მსოფლიოს ყველა
არმიაში მასალის უქონლობას ადამიანებით ანაზღაურებენ ხოლმე. მაგრამ ჩვენ
ადამიანებიც გვაკლია.

— გარედან ხომ მოგვივიდნენ ექიმები და სანიტარული პერსონალი.

— დიახ, ათი ექიმი და ასიოდე სანიტარი. ერთი შეხედვით არც ისე ცო-
ტაა. მაგრამ დღესდღეობით კიდევაც რომ გვეყოს, სენი თუ გავრცელდა, საქ-
მეს ვერ გასწვდებიან.

რიემ სახლიდან გამოსულ ხმაურს მიაყურა, მერე გაულიმა რამბერს.

— დიახ, თქვენ უნდა აჩქარდეთ, თუკი გსურთ საწადელს მიალწიოთ.

რამბერს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა:

— თქვენ ხომ იცით, — თქვა მან მოგუდული ხმით, — რომ სანიტარულ
რაზმში მუშაობას არ გავურბივარ. ეგ არ არის ჩემი აჩქარების მიზეზი.

რიემ უპასუხა, ვიციო, მაგრამ რამბერი თავისას განაგრძობდა:

— მე მგონი, ლაჩარი არ უნდა ვიყო, ყოველ შემთხვევაში, საქმაოდ

გქონდა ამის გამოცდის შემთხვევა. ოლონდ არის ისეთი აზრები, რომელთა ატანაც ჩემს ძალ-ლონეს აღემატება.

ექიმმა სახეში შეხედა და უთხრა:

— თქვენ კვლავ შეხვდებით ერთმანეთს.

— შესაძლოა, მაგრამ მე ვერ ამიტანია აზრი, რომ განმეორება გაგვიგრძელდება და ქალი ამასობაში დაბერდება. ოცდაათ უწყესობრივი ადამიანი დაბერებას იწყებს და ამიტომ წუთი არ უნდა დაკარგოს. არ ვიცი, შეგიძლიათ თუ არა ამის გაგება.

რიგმ ჩაიბურტყუნა, ვგონებ მესმისო, და სწორედ ამ დროს სახელგაბრწყინებული ტარუც წამოადგათ თავს.

— ეს-ეს არის პანელუს უთხოვე, შემოგვიერთდეს.

— მერე რაო? — ჰეითხა ექიმმა.

— იფიქრა, იფიქრა და დამთანხმდა.

— მოხარული ვარ, — თქვა ექიმმა, — მოხარული ვარ, რომ იგი უკეთეს აღმოჩნდა თავის ქადაგებაზე.

— ცველა ასეა, — უთხრა ტარუმ, — ოლონდ შემთხვევა უნდა მიეცეს აღამიანს.

მან გაიღიმა და რიგს თვალი ჩაუკრა:

— ეტყობა, ჩემი ხელობაა — აღამიანებს შესაფერისი შემთხვევა მივცა.

— მაპატიეთ, — თქვა რამბერმა, — მაგრამ უნდა წავიდე.

ხუთშაბათს, როგორც დათქმული ჰქონდათ, რვას რომ ხუთი წუთი აქლდა, რამბერი ტაძრის კარიბჭესთან მივიდა. ჰაერი ჭერ საკმაოდ გრილი, იყო. ცაზე მიცურავდნენ პატარა, თეთრი და მრგვალი ლრუბლები, რომელთაც მაღა ხვატი შთანთქავდა. სიოს დროდადრო ნოტიო სურნელი მოჰქონდა სიცხისა-გან გადამწვარი გაზონებიდან. აღმოსავლეთით სახლებს მოფარებული შე მხოლოდ მოედანზე აღმართულ, ერთიანად მოოქრულ უანა დ' არკის მუზა-რადს ათბობდა. კედლის საათმა რვა ჩამოჰქრა. რამბერი მოლოდის ცემას მოჰყვა კარიბჭესთან. შიგნიდან ბუნდოვნად მოისმოდა გალობის ხმები და ძველი სარდაფისა და საკმევლის სუნთან ერთად აღწევდა უურნალისტიმდე. უცებ გალობა შეწყდა. ათიოდე პატარა, შავით მოსილი ფიგურა გამოვიდა ეკლესი-იდან და ქალაქისაკენ გაემართა. რამბერს მოუთმენლობა დაეუფლა. სხვა შავი ფიგურები დიდ კიბეზე აღიოდნენ და კარიბჭისაკენ მიეშურებოდნენ. რამ-ბერმა სიგარეტს მოუკიდა, შემდეგ იაზრა, ასეთ ადგილას ეს შეიძლება არც იყოს მიზანშეწონილო.

ცხრის თხუთმეტ წუთზე ორლანის მიყრუებული ხმა გაისმა. რამბერი ჩაბ-ნელებული თაღის ქვეშ შევიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნეფში, წელან რომ ჩაუარეს, ის შავი აჩრდილები შეამჩნია. მათ ერთ კუთხეში მოეყირათ თავი სახელდახელოდ მოწყობილი საკურთხევლის წინ, საღაც წმიდა როკის გამო-სახულება მოეთავსებინათ, სასწრაფოდ რომ დაამზადეს ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საამქროში. მუხლმოყრილი ფიგურები თითქოს მთლად მოკუნტულიყ-ვნენ ტაძრის ნაცრისფერ შუქში. ჩაკარგულნი, თითქოს შენივთებული ბინდის პატარა გუნდები არიანო, ოლონდ ოდნავ უფრო მკვრივი და მოძრავი მათ შთანმთქმელ ბურუსზე.

როდესაც რამბერი გარეთ გავიდა, გონისალესი უჭვე კიბეზე ჩადიოდა და ქალაქისაკენ მიემართებოდა.

— მე მეგონა, უკვე წახვედი, — უთხრა მან უურნალისტი, — ეს ბუნებრივიც იქნებოდა.

მერე აუხსნა, რვას თხუთმეტი წუთი რომ დააკლდებოდა, ჩემს მეგონტებს უნდა შევჭვედროდი აქვე ახლოს, მაგრამ ოც წუთს ამაռდ ვეღოფაზო/

— უთუოდ რალაცამ შეუშალათ ხელი. ჩეენს სამუშაოს ათასი ხითათი ურთიერთები სდევს ხოლმე.

მერე ხელმეორე პაემანი შესთავაზა, ხვალ ისევ ამ დროს ოშში დალუ- პულთა ძეგლთან მოდიო. რამბერმა ამოიოხრა და თავის ფეტრის ჭუდი კუფაზე გადაიგდო.

— არაფერია, — სიცილით უთხრა გონისალესმა, — გაიხსენე თუნდაც რამდენი კომბინაცია, ფინტი და გადაცემაა საჭირო, ვიდრე კარში ბურთს შეაგდებდე.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა რამბერმა, — მაგრამ მატჩი მხოლოდ საათ-ნახევარს გრძელდება.

ომში დალუპულთა ძეგლი ორანში იმ ერთადერთ აღგილასაა აღმართული, საიდანაც ზლვის დანახვა შეიძლება. ეს გახლავთ ერთგვარი ბულვარი, რომელიც საკმაოდ მოკლე მანძილზე ჩასდევს პორტის გასწვრივ აღმართულ ციცაბო ნაპირს. მეორე დღეს რამბერი პირველი მივიდა პაემანზე და გულ- მოდგინედ შეუდგა ბრძოლის ველზე დაღუპულთა სიის კითხვას. რამდენიმე წუთის შემდეგ ორი კაცი მიუახლოვდა, რამბერი გულგრილად შეათვალიერა და ბულვარის მოაჭირს იდაყვებით დაეყრდნო. გეგონებოდათ, მთელის გულისყრით ათვალიერებდნენ უკაცურ სანაპიროს. ორთავე ერთი სიმაღლისა იყო, ორივეს ლურჯი შარვალი და მეზლვაურის მოკლესახელოიანი მაისური ეცვა. უურნალისტი ძეგლს მოშორდა, სკამზე ჩამოჭდა და უსაქმურობისგან მათ დაუწყო ცქერა. მაშინდა შენიშნა, რომ არც ერთი არ იქნებოდა ოც წელზე მეტი ხნის. წამიც და დაინახა გონისალესი, რომელიც მოდიოდა და თან ბორიშე იხდიდა დაგვიანებისათვის.

— აი ჩვენი მეგობრები, — თქვა მან და უურნალისტი ორ ახალგაზრდასთან მიიყვანა. როცა აცნობდა, უთხრა, მარსელი და ლუი ჰქვიათო. სახით ურთმანეთსა ჰგვანდნენ და რამბერმა იფიქრა, ლვიძლი ძმები იქნებიანო.

— ესეც ასე, — თქვა გონისალესმა, — ახლა თქვენ უკვე იცნობთ ერთმანეთს. ისლა დაგვრჩენია, საქმეზე მოვილაპარაკოთ.

მაშინ მარსელმა თუ ლუიმ თქვა, საგუშაგოზე ჩვენი გასვლის ჭერი ორ დღეში დადგება, ერთ კვირას გასტანს და ყველაზე მარჭვე დღე უნდა შევარჩიოთო. დასავლეთის კარს ოთხნი დარაჭობდნენ, ორი კადრის ჭარისკაცი იყო, ისე რომ, საქმეში მათ გაყვანაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. მათი ნდობა არ შეიძლებოდა და ესეც არ იყოს, ეს ხარჯებსაც გაზრდიდა. მაგრამ ზოგჯერ ეს ჭარისკაცები ლამის ნაწილს ნაცნობი ბარის უკანა დარბაზში ატარებდნენ. ისე რომ, მარსელმა თუ ლუიმ შესთავაზეს რამბერს, ჩვენთან დაბინავდით, ქალაქის კარიბჭესთან ახლოს და დაგველოდეთ, სანამ თქვენს წასაყვანად მოვალთო. მაშინ გაპარვა სულ ადვილი იქნებოდა. მაგრამ აჩქარება მართებდათ, რადგან ამ ბოლო დროს ხმა დაირჩა, ქალაქის გაღმა მხარეს დამატებითი სა- გუშაგოების მოწყობას აპირებენო.

რამბერმა თანხმობა თქვა და თავისი უკანასკნელი სიგარეტები შესთავაზა

ქმებს. ორიდან იმან, რომელსაც ჭერ ხმა არ ამოელო, ჰკითხა გონისალესას, სახ-ლაურის საქმე თუ მოაგვარეთ და შეიძლება თუ არა ავანსის მიღებაო.

— არა, — მიუგო გონისალესმა, — არაა საჭირო. ეს-მეგობრობა. ანგარიშს წასვლისას გაგისწორებს.

ახალი პაემანი დათქვეს. გონისალესმა შესთავაზა, ჭერ ეს-მეგობრობა რესტო-რანში ვისადილოთო. იქიდან გუშაგების სახლში შეიძლება მას მართვა.

— პირველ ლამეს, თუ გინდა, მეც შენთან ერთად ვავათევ, — უთხრა მან რამბერს.

მეორე დღეს, თავის ოთახში რომ ადიოდა, რამბერი სასტუმროს კიბეზე ტარუს შეხვდა.

— რიესთან მივდივარ, — უთხრა ტარუმ, — ხომ არ წამომყვებოდით?

— არასოდეს არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ არ შევაწუხებ, — თქვა რამბერმა ცოტა ყოყმანის შემდეგ.

— არა მგონია, იგი ბევრს მელაპარაკება ხოლმე თქვენზე.

უურნალისტი დაფიქრდა:

— იცით რა, — უთხრა ბოლოს, — თუკი ნასადილევს თავისუფალი ღრმ გექნებათ, გვიანაც რომ იყოს, სასტუმროს ბარში მობრძანდით ორივე.

— ეს მასზე და შავ ჭირზეა დამოკიდებული, — მიუგო ტარუმ.

მაგრამ სალამოს თერთმეტ საათზე რიე და ტარუ პატარა და ვიწრო ბარ-ში შევიდნენ. იქ ტევა არ იყო, რადგან იცდაათამდე კაცს მოეყარა თავი და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. შავი ჭირით მოცული ქალაქიდან მოსული ორი ადამიანი შეჩერდა ოდნავ გაოგნებული. მაგრამ მალე მიხვდნენ, გამო-ცოცხლების მიზეზს; როცა დაინახეს, რომ ალკოჰოლიანი სასმელები მოჰქონ-დათ ოფიციანტებს, რამბერმა, დახლის ბოლოს რომ იჯდა მაღალ ტაბურეტზე, ხელი დაუქნია მათ. რიე და ტარუ წამში აქეთ-იქით იმოუდგნენ ტარუმ მშვი-დად გასწია განზე მეზობლად მდგარი ერთი ხმაურიანი კაცი.

— ალკოჰოლი ხომ არ გაშინებთ?

— არა, პირიქით, — მიუგო ტარუმ.

რიემ თავის ჭიქიდან მწარე ბალახების სუნი შეიყნოსა. ძნელი იყო ლა-ბარაკი ამ ლრიანცელში, თანაც რამბერს თითქოს სმის მეტი არც არაფერი აინტერესებდა. ექიმს ვერ გაეგო, მთვრიალი იყო იგი თუ არა. ამ ვიწრო ოთახ-ში, სადაც ისინი იყვნენ, ორად ორი მაგიდა იდგა და ერთ-ერთ მათვანთან საზ-ლვაო ფლოტის ოფიციერი, რომელსაც ორივე მხრიდან ქალები ესხდნენ, სახე-იჭარხლებულ. მსუქან თანამოინახეს კაიროში ტიფის ეპიდემიის ამბავს უყვე-ბოდა: „ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბანაკები გამართეს, სადაც სწეულ-თათვის კარვები დადგეს, ირგვლივ გუშაგებმა შემოარტყეს ალყა და ავად-მყოფთა ოჯახის წევრებს ცეცხლს უშენდნენ, როცა ისინი ცდილობდნენ ფა-რულად თავისიანებისათვის ექიმბაშის წამლები მიეწოდებინათ. მკაცრი, მაგ-რამ სამართლიანი დონისძიება იყო“. მეორე მაგიდასთან, რომელსაც ელეგან-ტურად ჩატარებული იყო ახალგაზრდობა ესხდა, რაზე საუბრობდნენ, იმის გარჩევა შეუძლებელი იყო. თანამეინახეთა ხმები იყარებოდა „Saint James Infirmary“-ის¹ ჰანგში, რომელსაც მაღლა მიმაგრებული ადაპტერი აფრევევდა.

— კმაყოფილი ხართ? — ხმამაღლა ჰკითხა რიემ უურნალისტს.

1. „წმიდა ჭეიმის საავადმყოფო“ — ინგლისური სიმღერა.

— დიდხანს აღარ მომიწევს ლოდინი, — უთხრა რამბერმა, — შესაძლოა, ამ კვირაშიაც ვეწიო საწადელს.

— აფსუს! — შეპყვირა ტარუმ.

— რატომ?

ტარუმ რიეს გადახედა:

— ო, — თქვა ამ უკანასკნელმა, — ტარუ ამას იმიტომ პშშონს, რომ ჰერონია, თქვენ შეგეძლოთ აქ ჩვენთვის სარგებლობის მოტანა. შეგრამ შე შვენივრად მესმის თქვენი წასვლის სურვილი.

ტარუმ კიდევ მოითხოვა სასმელი. რამბერი თავის ტაბურეტიდან ჩამოხტა და პირველად შეხედა მას პირდაპირ თვალებში.

— რაში შეიძლებოდა გამოგდგომოდით?

— თუნდაც ჩვენს სანიტარულ რაზმებში, — უთხრა ტარუმ და აუჩქარებლად დასწრები ჭიქას.

რამბერი კვლავ მისთვის ჩვეულ, დაუინებულ ფიქრს მიეცა და ისევ თავის ტაბურეტზე შემოჯდა.

— განა ეს რაზმები თქვენ სასარგებლოდ არ მიგაჩნიათ? — ჰერონია ტარუმ, რომელმაც გამოცლილი ჭიქა და დადგა და ყურადღებით შეაცემდა რამბერს თვალებში.

— ძალიან სასარგებლო არიან, — თქვა უურნალისტმა და დალია.

რიემ შენიშნა, რომ მას ხელი უკანკალებდა და იფიქრა, თქმა არ უნდა, ნამდვილად მთვრალიაო.

მეორე დღეს, როდესაც რამბერმა კვლავ მიაშურა ესპანურ რესტორანს, პირდაპირ ჭუჩაში, შესასვლელის წინ მდგარ სკამებს შორის მოუხდა გზის გაკვლევა. სკამები რესტორნის მუშტრებს გამოეტანათ, რათა მოოქროსფრო-მომწვანო სალამოთი დამტკბარიყვნენ, რომელსაც ის-ის იყო სიგრილე შეპპარ-ვოდა. ირგვლივ თუთუნის მძაფრი სუნი იდგა. თვით რესტორანი თითქმის ცარიელი იყო. რამბერი ჩამოჯდა იმ მაგიდასთან, საღაც პირველ მოსვლაზე გონისალესს შეხვდა ოფიციანტ ჭალს უთხრა, მეგობარს ველოდები, შეკვეთას მოგვიანებით მოგცემთო. სალამოს რვის ნახევარი იყო. თანდათან გარეთ მყოფნი დარბაზში დაბრუნდნენ და მაგიდებს მიუსხდნენ. ოფიციანტ ჭალებს კერძები დაპირნდათ და დარბაზის დაბალი თაღები ჭურჭრლის ხმაურითა და ჩახშული საუბრის ხმებით აივსო. რვა საათი გახდა და რამბერი ისევ იცდიდა. შუქი აანთეს. მის მაგიდას ახალი კლიენტები მიუსხდნენ. რამბერმაც შეუკვეთა სადილი. ცხრის ნახევარზე სადილსაც მორჩა, მაგრამ არც გონისალესი და არც ის ორი ახალგაზრდა არ დაულანდავს. სიგარეტი მოწია. დარბაზი ნელ-ნელა დაიცალა. გარეთ კი სწრაფად ეშვებოდა ლამე. ზლვილან მონაბერი თბილი ნიავი კარ-ფანჯრებზე ოდნავ არხევდა ფარდებს. ცხრა საათი რომ გახდა, რამბერმა შენიშნა, დარბაზი მთლად დაცარიელებულიყო და ოფიციანტი ჭალი გაკვირვებით მისჩერებოდა. ანგარიში გაასწორა და გავიდა. რესტორნის პირდაპირ ერთი კაფე იყო ღია. რამბერი დახლოთან ჩამოჯდა და რესტორნის კარს დაუწყო თვალთვალი. ათის ნახევარზე თავის სასტუმროსაკენ გაეშურა, თან თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, როგორ უნდა ენახა გონისალესი, რომლის მისამართიც არ იცოდა. გულს ნაღველი ედებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ უველაფერი თავიდან ჰქონდა დასაწყები.

სწორედ ამ წუთას, ღამის სიბნელეში, რომელსაც ხშირ-ხშირად სერავდა

სანიტარიული მანქანის ფარების შუქი, რამპერმა შეაცნო და რიესაც გაანდო შემდეგში, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც გაშმაგებული ეძებდა გა-საძრომს ქალაქის ყრუ კედლებში, ერთხელაც არ გახსენებია ~~ვარო~~, რომელ-საც ეს ქედლები აშორებდა. მაგრამ სწორედ ამავე წუთს, როდესაც ყველა გზა გადაღობილი დაუხვდა, მან კვლავ ჰპოვა ცოლი თავისეუსაფრთხოების წიაღში და ისეთმა ტკივილმა დაუარა, რომ თავქუდმოგლეჭილმა მცურავი სასტუმროს, რათა ხელიდან დასხლტომოდა ამ ულმობელ მწვევლ გრძნობას, რომელიც თავს აღარ ანებებდა და რომლისგანაც საფეოქლები უხურდა.

მეორე დღეს დილადრიანად მაინც მივიდა რიესთან, რათა ეკითხა მის-თვის, კოტარის ნახვა სად შეიძლებაო.

— ისლა დამრჩენია, კვლავ შევუდგე ამ გოლგოთას, — უთხრა ექიმს.

— ხვალ სალამოს გამომიარეთ. ტარუმ, არ ვიცი, რატომ, მთხოვა, კო-ტარი დამეპატიუებინა. ათ საათზე უნდა მოვიდეს, თქვენ კი თერთმეტის ნახე-ვარზე მოდით.

მეორე დღეს როდესაც კოტარი ექიმთან მივიდა, ტარუ და რიე მოულოდ-ნელ განკურნებაზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც ექიმის პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი.

— ათიდან ერთი შემთხვევაა. ბედმა გაულიმა, — ამბობდა ტარუ.

— მაშ, შავი ჭირი არა ყოფილია, — თქვა კოტარმა.

მას უთხრეს, სწორედაც შავ ჭირზეაო საუბარი.

— ეგ შეუძლებელია, თუკი კაცი გადარჩა. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ შავი ჭირი ულმობელია.

— საერთოდ ეგრეა, — უთხრა რიემ, — მაგრამ თუკი ძალიან შევუ-ტევთ, შეიძლება მოულოდნელობებიც მოხდეს.

კოტარს გაეცინა:

— ეგ კიდევ საკითხავია. სალამოს უკანასკნელი ცნობები თუ მოისმი-ნეთ?

ტარუმ, რომელიც კეთილმოსურნედ უყურებდა რანტიეს, თქვა, ცნობები კი მოვისმინე, მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ განა ეს რისი მთქმელია? ეს შხოლოდ იმას ადასტურებს, რომ საჭიროა მეტი განსაკუთრებული ზომის მი-დებაო.

— ეჭ! თქვენ ხომ უკვე მიიღეთ ეგ ზომები.

— დიახ, მაგრამ საჭიროა თითოეულმა მიიღოს პირადად.

კოტარი ტარუს უყურებდა, მისი კი არ ესმოდა. ტარუმ უთხრა, ბევრი იდამიანი უმოქმედოდაა, ეპიდემია კი ყველას საქმეა და ყველამ უნდა მოიხა-დოს თავისი ვალი, მოხალისეთა რაზმები ყველასთვის ლიააო.

— კარგი აზრია, მაგრამ საქმეს ვერ უშველის, — შეესიტყვა კოტარი, — შავი ჭირი ძალზე ძლიერია.

— ამის თქმას მაშინ შევძლებთ, — მოთმინებით უთხრა ტარუმ, — როცა ყველა ლონეს მოვსინჯავთ.

ამასობაში რიე საწერ მაგიდასთან ბარათებს ავსებდა. ტარუ კვლავ რან-ტიეს უყურებდა, თავის სკამზე რომ ცმუტავდა.

— რატომ ჩვენ არ შემოგვიერთდებით, ბატონო კოტარ?

კოტარი შეურაცხოფილი წამოდგა, ხელში აიღო თავისი მრგვალი ქუდი:

— ეგ ჩემი ხელობა არ არის, — და ვამომწვევი კილოთი განაგრძო, —

ამას გარდა, მე არხეინად ვგრძნობ თავს უამიანობისას, და რად უნდა ვეცადო
მის შეწყვეტას?

ტარუმ შუბლზე იტკიცა ხელი, თითქოს ჰეჭმარიტებამ გრძება / გაფუნა-
თაო:

— პო! მართლა, სულ დამავიწყდა: უამიანობა რომ არა, თქვენ... ხომ
დაგიჭერდნენ.

კოტარს გააურეოლა და ხელი სკამს ჩასჭიდა, თითქოს სადაცაა უნდა და-
ცესთ. რიემ წერა შეწყვიტა და ყურადღებით დააცეკერდა მას.

— ვინ მოგახსენათ? — წამოიყვირა რანტიემ.

ტარუს გაოცება დაეტყო.

— ვინ და, თქვენ თვითონ. ყოველ შემთხვევაში ექიმმა და მე ასე გა-
გიგეთ.

კოტარს ერთბაშად საშინელი ბრაზი მოერია, რალაც გაუგებარი სიტყვა-
ბის ლუდლულს მოჰყვა.

— ნუ ნერვიულობთ, — სცადა მისი დამშვიდება ტარუმ, — არც ექიმი
და არც მე არ გაგცემთ. თქვენი ამბავი ჩვენ არ გვეხება. ესეც არ იყოს, პო-
ლიცია არასდროს მყვარებია. მაშ, ჩამოჯექით.

რანტიემ თავის სკამს დანედა და ცოტა ყოყმანის შემდეგ დაჭდა. ერთხანს
დუმდა, შემდეგ კი ამოიხსრა.

— ეს ძველი ამბავია, — აღიარა მან, — და ისევ გამომიჩრიკეს. მე
მეგონა, უკვე დავიწყებას მიეცა ყველაფერი, მაგრამ ერთმა გამთქვა. გამომი-
ძეს და მითხრეს, ქალაქიდან არ გახვიდეთ, ვიდრე გამოძიებას არ დავამთავ-
ვრებთო. მე მივხვდი, რომ ბოლოს და ბოლოს დამატუსალებდნენ.

— რამე სერიოზულია? — ჰკითხა ტარუმ.

— გააჩნია რასა გულასხმობთ „სერიოზულში“. ყოველ შემთხვევაში,
მკვლელობა არაა.

— ციხეს მოგისჯიან თუ კატორლას?

კოტარი ძალზე დალვრემილი ჩანდა:

— თუ ბედი მწყალობს, ციხეს... — თქვა და მცირე ხნის დუმილის შემ-
დეგ მლელვარედ განაგრძო: — შეცდომა იყო. შეცდომა კი ყველას მოსდის და
ზე ვერ შევრიგებივარ ფიქრს, რომ ამის გამო წამიყვანონ, სახლს მომაშორონ,
მომწყვიტონ ჩემს ჩვეულებებს, ჩემს ნაცნობებს.

— ა, — თქვა ტარუმ, — მაშ, ამისთვის განიზრახეთ თავის ჩამოხს-
რება?

— დიახ, ამისთვის. სისულელეა, რა თქმა უნდა.

რიემ პირველად ამოილო ხმა და უთხრა კოტარს, მესმის თქვენი გულის-
წეხილი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე მოგვარდებაო.

— ო! ჭერჭერობით ვიცი, რომ ჩემთვის საშიში არაფერია.

— როვორც ვხედავ, — უთხრა ტარუმ, — ჩვენს რაზმეულებში არ შე-
მოხვალთ.

კოტარი ხელში ქუდს ატრიალებდა, მერე თავი ასწია და ტარუს მიაპყრო
შემკრთალი მზერა:

— ნუ კი მიწყენთ.

— ცხადია, არა .მაგრამ ეცადეთ მაინც, რომ განზრახ არ გაავრცელოთ
შიქრობი, — ლიმილით მოუგო ტარუმ.

კოტარმა თქვა, შავი ჭირი მე არ მიხმია, ეპიდემია თავისით მოგვადვა კარს და რა ჩემი ბრალია, თუკი ეს გარემოება დროებით ხელს მაძლევსო, ხოლო როდესაც რამბერი გამოჩნდა ზღურბლზე, რანტიერ რიხით დასძინა:

— თანაც, დარწმუნებული ვარ, ვერაფერს გააწყობთ.

რამბერმა შეიტყო, რომ კოტარმა არ იცოდა გონისალესრც მოხუმიართი, მაგრამ ისევ იმ პატარა კაფეში შეიძლებოდა ესპანელის დაჭვისა ცაჟმანი მეორე დღისათვის დანიშნეს. და ვინაიდან რიემ სურვილი გამოთქვა, შემატყობინეთ, რათი დასრულდება მოლაპარაკებაო, რამბერმა ის და ტარუ კვირის ბოლოს სატუმროში მიიწვია, ლამის ნებისმიერ საათზე შევიძლიათ მომაყითხოთო.

დილით კოტარი და რამბერი პატარა კაფეში მივიდნენ და გარსიას დაუტოვეს ამბავი, რომ სალამოს იქ დაელოდებოდნენ, ხოლო თუ რამე დააბრკოლებდი, მეორე დღეს მიაკითხავდნენ. მთელი სალამო ამაოდ ელოდნენ. სამაგიეროდ მეორე დღეს გარსია მოვიდა, მან უსიტყვოდ მოუსმინა რამბერს. თვითონ მან არ იცოდა რა მოხდა, მაგრამ გაგონილი ჰქონდა, რომ ოცდაოთხი საათით რამდენიმე უბნისთვის ალყა შემოერტყათ, რათა სახლები გაეჩხიოდათ. შესაძლო იყო, გონისალესსა და ორ ახალგაზრდას ვერ გაერლვიათ ალყა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას შეეძლო, ის იყო, რომ კვლავ დაეკავშირებინა რამბერი რაულთან. ცხადია, ორ დღეზე აღრე ეს ვერ მოხერხდებოდა.

— როგორც ვხედავ, — თქვა რამბერმა, — უველაფრის თავიდან დაწყება მომიხდება.

ორი დღის შემდეგ, რამბერი ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში შეხვდა რაულს, რომელმაც გარსიას ვარაუდი დაადასტურა: ქვედა უბნებისათვის მართლაც ალყა შემოერტყათ. საჭირო იყო კვლავ გონისალესთან შეხვედრა. კიდევ ორი დღე და რამბერი ფეხბურთელთან ერთად საუზმობდა.

— სულელურად მოგვივიდა, — უთხრა გონისალესმა, — ყოველი შემთხვევისათვის, უნდა შევთანხმებულიყავით, როგორ გვეპოვა ერთმანეთი.

რამბერიც იმ აზრისა იყო.

— ხვალ დილით ბიჭებს მივაკითხოთ, ვეცადოთ, გავახერხოთ რამე.

მეორე დღეს ბიჭები შინ არ დაუხვდნენ. რამბერმა და გონისალესმა ბარათი დაუტოვეს, მეორე დღისათვის უნიშნავდნენ პაემანს ლიცეუმის მოქანზე. რამბერი შინ დაბრუნდა. სახეზე ისეთი გამომეტყველება აღმეჭდოდა, რომ ტარუ გაოცდა, როცა ისინი ნაშუადლევს შეხვდნენ ერთმანეთს.

— კარგად ვერაა საქმე? — ჰკითხა ტარუმ.

— ეჭ, თავიდან დასაწყები შემექნა უველაფერი, — მიუგო რამბერმა და კვლავ მიიპატიუა ტარუ და ექიმი: — ამ სალამოს მობრძანდით.

სალამოს, როდესაც რიე და ტარუ რამბერის ოთახში შევიდნენ, უურნალისტი წამოწოლილი დაუხვდათ. მაგრამ იგი მაშინვე წამოდგა და წინასწარ მომზადებული ჭიქები შეავსო. რიემ თავისი ჭიქა იიღო და ჰკითხა მასპინძელს, საქმე თუ გვარდებაო. რამბერმა მიუგო, ხელახლა გავიარე მთელი წრე, ისევ საწყის წერტილს მივადექი და მალე ჩემი უკანასკნელი პაემანიც შედგებაო. მერე მოსვა და დასძინა:

— ცხადია, კვლავაც არ მოვლენ.

— იმ ერთ შემთხვევას ნუ კი განაზოგადებთ, — უთხრა ტარუმ.

— თქვენ ჯერ ვერ გაგიგიათ, — უპასუხა რამბერმა და მხრები აიჩინა.

— მანც რა?

— რა არის შავი ჭირი.

— ა! — თქვა რიემ.

— არა, თქვენ ვერ გაგიგიათ, რომ მისი არსი განმეორებაში // მრგომა-
რეობს.

რამბერი ოთახის ერთ კუთხეში მივიდა და პატარა პატეჭურნებულება.

— ეს რა ფირფიტაა? — იკითხა ტარუმ, — რაღაც! მცურნება ეს
რამბერმა მიუგო, „Saint James Infirmary“-ამ.

ფირფიტა ისევ უკრავდა, როცა შორიდან ორი გასროლის ხმა მოისმა.

— ან ძალას ესვრიან, ანდა გაქცეულებს, — თქვა ტარუმ.

მალე პატეჭონი გაჩუმდა და ახლა მკაფიოდ გაისმა სასწრაფო დახმარე-
ბის საყვირის ხმა, თანდათან იმძლავრა, სასტუმროს ოთახის ფანჯრებქვეშ
ჩაიქროლა, მერე იკლო და ბოლოს მთლად მიყუჩდა.

— მაინცდამაინც სამხიარულო ფირფიტა არაა, — თქვა რამბერმა, —
თანაც დღეს უკვე მეათედ მაინც ვუსმენ.

— ასე მოგწონთ?

— არა, მაგრამ სხვა არა მაქვს, — და დუმილის შემდეგ დასძინა, —
აკი გეუბნებოდით, მისი არსი განმეორებაა-მეთქი.

მერე ჰკითხა რიეს, სანიტარული რაზმეულების საქმე როგორ მიღისო.
სამუშაოს უკვე ხუთი ბრიგადა შესდგომოდა. იმედი ჰკინდათ, კიდევ რამდე-
ნიმე ბრიგადას ჩამოაყალიბდნენ. უურნალისტი საწოლის კიდეზე ჩამოჭდა და
დიდი გულისყურით დაუწყო თვალიერება თავის ფრჩხილებს. რიე მის ჩასკვ-
ნილ, ლონიერ სხეულს აკვირდებოდა. უცებ რამბერის მზერა დაიჭირა.

— იცით, ექიმო, — უთხრა მან, — მე ბევრი ვიფიქრე თქვენს წამოწყე-
ბაზე და თუკი თქვენთან არა ვარ, საამისოდ ჩემი მოსაზრებები მაქვს. საერთოდ
კი, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ძალმის თავის გაწირვა. ესპანეთის ომი ხომ გამოვ-
ლილი მაქვს.

— ვის მხარეზე იბრძოდით? — ჰკითხა ტარუმ.

— დამარცხებულთა მხარეზე. მაგრამ მას აქეთ ბევრი ვიფიქრე.

— რაზე? — კვლავ ჩაეკითხა ტარუ.

— ვაჟკაცობაზე. ახლა ვიცი, რომ აღამიანს შეუძლია დიადი საქმენი
მოიმოქმედოს. მაგრამ თან დიდი გრძნობის უნარიც თუ არ შესწევს, იგი მა არ
მაინტერესებს.

— როგორც ეტყობა, აღამიანს ყველაფრის უნარი შესწევს, — თქვა
ტარუმ.

— არა, მას არ ძალუს დიდხანს იტანჯოს ან დიდხანს იყოს ბედნიერი,
ამიტომ არც რაიმე ლირსეულის გაკეთება შეუძლია.

რამბერმა გადახედა თავის სტუმრებს და განაგრძო:

— ერთი ეს მიბრძანეთ, ტარუ, თქვენ შეგიძლიათ სიყვარულისთვის
მოქვედეთ?

— არ ვიცი, მაგრამ ამჟამად, მგონია, რომ არა.

— აი, ხომ ხედავთ. იდეისათვის კი მზადა ხართ თავი გაწიროთ, ეს შე-
უიარაღებელი თვალითაც მოჩანს. ხოლო მე თუ მკითხავთ, იდეისათვის თავ-
გადადებული ხალხი მომბეზრდა. გმირობისა არა მჯერა, ვიცი, რომ აღვილია და
ისიც შევიგნე, რომ ახლა თავს წაგაგებინებს. ერთადერთი, რაც ფასობს ჩემ-
თვის, არის სიცოცხლე ან სიკვდილი იმისათვის, რაც მიყვარს.

რიემ ყურადღებით მოუსმინა უურნალისტს, ისე, რომ თვალიც არ მოუშორებია, მერე ალერსიანად უთხრა:

— ადამიანი იდეა არ არის, რამბერ.

რამბერი ლოგინიდან წამოხტა მღელვარებისაგან სახეანთებული:

— დიახ, იდეაა, თანაც ფეხმოკლე იდეა, იმ წუთიდან, როდესაც სიყვარულს ზურგს აბრუნებს. ჩვენ კი სწორედ სიყვარულის უშემსიერებულების დაუკარგეთ. ბედს დავმორჩილდეთ, ექიმო. დაველოდოთ, სანამ უნარი დაგვიძრუნდება და თუკი ეს არ გვიწერია გმირობანას თამაშს მოვეშვით და საერთო ხსნას ვუცადოთ. მე პირადად ამაზე შორს არ მივდივარ.

რიე წამოდგა, სახეზე უცებ დაქანცულობა დაეტყო:

— მართალი ბრძანდებით, რამბერ, სავსებით მართალი, და არაფრის დიდებით არ მინდა გადაგათქმევინოთ ის, რისი გაკეთებაც განვიზრახავთ, და მეც სამართლიანად მეჩვენება, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ: მთელ ამ ამბავში გმირობა არაფერ შუაშია. საქმე პატიოსნებას ეხება. ჩემმა ნათქვამშა შეიძლება სიცილი გამოიწვიოს, მაგრამ შავდ ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალება პატიოსნებაა.

— რა არის პატიოსნება? — იკითხა რამბერმა ახლა უკვე დადინჯებულად.

— საერთოდ რა არის, მე არ ვიცი, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში, ვიცი, რომ იგი ჩემი ხელობის აღსრულებაა.

— ა! — თქვა რამბერმა გაშმაგებით, — მე კი არ ვიცი, რომელია ჩემი ხელობა. იქნებ მართლაც ვცდები, სიყვარულს რომ ვარჩევ.

რიე ახლო მივიდა მასთან:

— არა, — უთხრა დაჭერებულად, — თქვენ არა ცდებით.

რამბერმა დაფიქრებით შეხედა:

— თქვენ ორს, ჩემი ვარაუდით, ამ ამბავში დასაკარგი არაფერი გაქვთ. ასე ადვილია სწორი არჩევანის მიღება.

რიემ ჭიქა დაცალა.

— წავიდეთ, საქმე გველოდება, — უთხრა ტარუს და გავიდა.

ტარუც მიჰყვა, მაგრამ ზღურბლზე შეჩერდა, ეტყობა, რაღაც გაახსენდა, უურნალისტს მიუბრუნდა და უთხრა:

— თუ იცით, რომ რიეს ცოლი აქედან რამდენიმე ასეული კილომეტრით თაშორებულ ქლინიკაშია სამკურნალოდ?

რამბერმა გაოცებით გაშალა ხელები, მაგრამ ტარუ უკვე წასულიყო.

მეორე დღეს, რამბერმა დილაადრიან დაურეკა ექიმს:

— თანახმა იქნებოდით, რომ თქვენთან მემუშავა, ვიდრე ქალაქიდან გასვლა მომიხერხდებოდეს?

უურმილში ერთხანს დუმილი სულევდა, შემდეგ გაისმა:

— დიახ, რამბერ. გმადლობთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ივან კოჭლარევსკი

ენეადა (ვოევა)



ე პ რ ა თ ნ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა ამირან ასანიძე

ნ ა წ ი ლ ი მ ი თ რ ე

როდესაც ცაში ღმერთებს სიფხიზლის
ნიშატი აღარ აჩნდათ სრულებით,
სიცილიაში ხდებოდა შაშინ
გაუგონარი სასწაულები:
რომ გამოერკვა შიშისგან ცოტა,
დარეტი გონისაც მოეგო, ჰოდა,
ენტელუსს მყისვე უხელთა წამი —
ისეთი გლიჯა შლეგივით მზირალს,
ააჭიმინა ხუთმაგი ყირა —
სიმწრის ცრემლები აღინა ლაშის.

ჲა, თნებეო შე ბრიყვო, ხურდა
და ენტელუსმაც ცოფები ჰყარა, --
გაცეცხლებული მიეჭრა მურდალს
და საფეოქელში რომ მიაფარა,
აქვესებინა ბურჯგლი თვალთავან,
გააოგნა და დააჯანდაგა,
ძირს დაანარცხა გონდაკარგული,
სმენა დაუხშო ზრიალმა საწყალს,
მიწის ბოხნით და ამბორით გაძლა,
მტვერში ერთიან ამოგანგლული.

გვერდები. დასაწყისი ის. „საუნდე“ № 5, 1983; № 4, 1986.

ხორხოცი მორთეს მყის თავშაცებმა,
ენტელუს დასცეს ქების ყიუინა,
საცინლად აღარ ეყოთ ნაცემი,
სულ ძმარს გადენთო რომ დაიუინა.

— წამოაყენეთ! — ქუხს ენეასი ჭარენული
და მოცოცხლდესო ეგება კაცი, გირდაშემინა
ბრძანა, ჰაერზე გამოეყვანათ,
— ბურნუთისთვისო ეს უზალთუნი! —
და გამარჯვებულს აჩუქა ფული,
მოუხდებაო ეგრე მკვენარას.

ენეას ისევ ლხინი სწყურია,
კვლავ მიეძალა კაზაკი არაყა
და გილეწილმა მერმე სრულიად,
დათვების როკვა-თამაში ბრძანა.
ლიტეველთა მყისვე ჩამბერეს ბუკებს
და ბანჯგვლიანი მხეცებიც უკვე
სმენაზე დგანან ტორაწეულნი...
ხტუნვა-ბზრიალით საწყალ ნადირებს
იმ დღეს სულ სიმწრის ოფლი აღინეს —
ჩამწარდათ თაფლიც და გოლეულიც.

ჩვენი ლომი რომ სასმისებს ცლიდა
და კვლავ ღრეობა სურდა დარღიმანლი,
ვინ იფიქრებდა ოლიმპოს მხრიდან
ისევ მზაკვრობას, კვანტის დადებას.
უ! იუნონა! ამ დროს წყეული,
ტვინნალრძობი და გულამლვრეული,
კვლავ სახიმანდროდ გაძვრა შინიდან,
შიშველი ფეხი ფლოსტებში ტუცა, —
სულ ტყაპა-ტყუპით გადაჭრა ქუჩი
და მიაშურა ეშმაკ ირიდას.³³

თვალი ჩაუკრა დამხვდურს ურგულომ —
საკუჭნაოსკენ მიიქცენ მყისვე,
რომ საიღუმლო მათი ჩურჩული
არა სმენოდა ღმერთთაგანს ვისმე;
ქალდემერთმა მტრულად მოკაცულ თითით
ირიდას ანდო მისია დიდი —
შემისრულოო უნდა ბეჭითად;
გამოესალმა მბრძანებელს ქალი
და შესუდრული შავ-შავი შალით,
ძუ მწევარივით გაქრა ზეციდან.

იუნონა ხომ თავსაც ერჩივნა
 და იქ ჩაფრინდა დაუყოვნებლივ,
 საყირაულოდ რომ მიეჩინათ
 ნავებისათვის ბიჭებს ცოლები,
 დაძმარულები ისხდნენ ქალები,
 ამას ამბობდნენ სველი თვალებით:
 — წყალმაც ზიდოსო ქმრები თქვენებრი! —
 და იქ სუფევდნენ მწარე იტვებით,
 სად ხუთი კვირა, შეუსვენებლივ,
 სირჩით შებმოდნენ ერთურთს ბიჭები.



ურვით და ბოლმით სავსე გულებზე,
 შემონთებოდათ ალხი მხურვალე,
 აღარა ჰქონდათ ხემსი სრულებით,
 ნერწყვი სდიოდათ მშიერ-მწყურვალებს.
 მოსდგნენ და მოსდგნენ თავის მტანჯველებს,
 ჯერ წყევლა-კრულვით ხომ შეაჩვენეს,
 მერე მწარის ხმით მორთეს ღრიალი:
 — „ეგრემც გამჩენმა თქვენ დაგაცოფათ,
 როგორც გაგვტანჯა ჩვენ უკაცობამ,
 ულაც დამწყდარხართ ოხერ-ტიალნი!“

ტროელებს ერთი გონჯი როკაპი,
 ზღვასა და ხმელზე დასთრევდათ ქალი —
 ბეროეს,³⁴ წელში ოთხად მოყაფულს,
 ვერ დასჯაბნიდა თვით ჯადოქარიც.
 სწორედ ეს სურდა სტუმარს მუხანათს,—
 ირიდა იქცა ამ ბებრუხანად
 და ხალხში გაძვრა ლვარძლის მთესველი.
 ირგვლივ რომ ნდობა ჰქონდა სრული
 და პატრონისაც მოეგო გული,
 ქალებს მიართვა ცხელი ღვეზელი:

„თქვენ კი გიშველით, შვილებო, ღმერთი,
 ბოლმა-ურვისგან რომ იღმიჯებით,
 ვანა რად ტირით, უსმინეთ ერთი,
 კით გრიალებენ ჩვენი ბიჭები;
 შვიდი წელია კერძს აგვიარეს,
 თაან დაგვათრევენ როგორც მასხარებს,
 ჰქუათხელები ვვონივართ, ალბათ,
 აღარ ჰყვარობენ თავის დიაცებს,
 სხვებს კი იცოცხლე ღმუილ-გნიასით
 ელვლემენ და ულვლემენ, ლოშნიან ხარბად.

ჰოდა, ამიბით ბეროეს მხარი,
ერთს გეტუვით გულის დასამებლად,
ხომ დროა უკვე დაედოს ზღვარი
ჩვენს ამდენი ხნის ტანჯვა-წამებას, —
პირიმზისებო, მომყევით მხოლოდ,
ტანჯვას ტანჯვითვე მოვულოთ ბოლო: 
ქალები არ ხართ? — დავწევათ ნავები,
მოთქმას და წუწუნს ისა სჭობია
და მშრალზე მყოფი ვირისთავები
სულ ტკიპებივით მოგვეკრობიან!“

ცოლებმა მყისვე მორთეს ზრიალი —
„მაღლობელი ვართ ჩვენო დედილო,
რასაც კერასდროს ვერ ვიაზრებდით,
ისევ შენ უნდა გაგვაძედინო!“
და ქალთა დასი, როგორც წესია
აზავთდა, მყისვე ფლოტს შეესია, —
ვინ ჩვრებს და ჩირალს მოარბენინებს,
ვინ ჩალა ნახა, ვინ — კვეს-აბედი, —
მხარი მხარს მისცეს, რომ აწყევლინონ
გათავხედებულ დრანჯებს თავ-ბედი.

წუთიც და ზღვაზე სულ კეცა-კეცად
ავარდა კვამლი უზარმაზარი,
ცეცხლის ენებმა უწია ზეცას,
ბორგავს, ბობოქრობს ირგვლივ ხანძარი.
ნავებთან ერთად ბრიალით იწვის
ბაიდარები, ბორნები ფიჭვის,
ფისის და კუპროს ბოლი დგას შავი.
ეიდრე ტროელთა ჩაწვდა გონება,
თუ რა დამართეს ლოთებს ცოლებმა,
სტიქიამ დანთქა ურიცხვი ნავი.

ენეასს ფერი დაედო მიწის,
სიმწრით მომუშტა თრივე მუჭი,
გამომყევითო! — დაპბლავლა ბიჭებს
და ადგილს მოსწყდა უველაზე უწინ.
ატყდა განგაში, ქუხან ზარები,
წინ-წინ თვით გარბის და გამწარებით
ყვირის და ყვირის. „—ვიწევით!.. გვიშველეთ!..
ქრისტიანებო, ეინა ხართ, ეჰეე!..
წყალი მიასხით, ჩააქრეთ, ჩეხეთ!
ხედავთ? მტარვალი კვლავ არ ისვენებს!..

ლამის ჭრუიდან შეიტყა შიშით,
შუბლზე მოეჭცა უმაღ თვალები;
ხან ხტის, გზრიალებს საბრალო ბიჭი,
ხანაც ძავძაგებს ბნედიანივით.
გადაქცეულმა დამდუღრულ ძალლად,
თვალი ოლიმპოს მიაპყრო, მაღლა —
ეგულებოდა სადაც მოძღვარი;
ჯერ ყველა ღმერთი ლანძღა საერთოდ,
მერე დედიკოც აღარ დაინდო,
ზევსს უტრიალა სულ მკვდარ-ცოცხალი:




„აქეთ მომხედე შე ბებრუხანავ,
თფუ, შენი, შენც რომ დაგედო ფასი!..
მაგ შენს ცხვირ-პირსაც!.. ძირს ვერ უყურებ?
რას დამიკიდე ფეხებზე კაცი.
რაები ხდება, ვეღარა ხედავ?
ან რამ დაგივსო თვალები ნეტავ,
ასე ულვთოდ რომ გამწირე ბალლი,
ამას რას სჩადი, არა გრცვენია?
დღისით, მზისით რომ ყელს მჭრი შენიანს,
შვილიშვილი ვარ, რას იტყვის ხალხი!

უ, მაიმახო ნეპტუნო, შენი..
დემონო, მთელ ზღვებს შენ რომ ჩემულობ,
ბნელში რომ ზიხარ, ეგ თეთრი წვერი
ნათლსა გფენს, დიდად პატივცემულო?..
რომ დაგიხუჭავს წირპლიანს თვალი,
ამ ხანძრისთვის რომ მოგესხა წყალი,
შე ბრუტიანო, გიწყენდა ღმერთი?..
შენი სამკბილა, რომ იქცეს სამგლედ,
ქრთამზე ვერავინ გაგასწრებს წამგლეჭს,
კაცთა ჭირი კი არ ჭირობს შენთვის.

თუნდაც პლუტონი³⁵ ჭოჭოხეთში რომ
პროზერპინასთან ზის ჩახვეული, —
იმ ქალმა თქვენს ძმას, ასპიტთა რჩეულს,
ვეღარ გაუთბო ნეტავ სხეული? —
შავეთში პარპაშს აღარ დასჭერდა
და პირი შეკრა ეშმა-ქაჭებთან,
გადაივიწყა ჭვარიც, პირჭვარიც!..
თუნდაც წუთით რომ დასთმოს ქვესკნელი
და მოგვაშველოს ჭირში დღეს ხელი,
რატომ არ ფიქრობს ეგ ნაბიჭვარი?!
თავის პირმშოზე რად აღარ დარდობს,

ჩემი დედიქო, ჩემი ვენერა,
ნაყლაპს სძინავს თუ ბიჭბუჭებს ართობს,
მუდამ რომ მეღგა მწედ და მშველელად,
თუმცა მე ვინ ვარ — დოსტები რო ჰყავს,
ბაყვწამოხდილი იმათთან როკავს —
სულ ჯარასავით ბზრიალ-ტრიალებს, გამოსამართება
თვით თუ არ ბოზობს, ეს ენა გახმეს,
ვისმე სხვას თუ არ უჩარხავს საქმეს,
ამნაირებში არ აგვიანებს!!..



პოი, უველანი გზიდოთ სატანამ,
თუნდაც შავი ქვა გიხლიათ თავში.
მე კი მჭირდება ახლა გატანა,
ე, ბიჭო ჩქარა, გატეხეთ ნავსი,
ნულარ დაგვტოვებთ აჩნაირ დლეში —
ციდან დაუშვით დელგმა და თქეში,
რომ მოგვივლინოთ წარლვნა ახალი!
ზლვით ნუ მოგვაკლებთ მჭევლსა და ჩქერებს,
ჰქმენთ სასწაული და ნახეთ მერე,
თუ არ ვიკისრებ თქვენთან მაღარიჩს”.

მორჩა თუ არა ხვეწნა-მუდარას,
ცამ შეისმინა მისი კიუინა
და მობრიალე ფლოტი ტროელთა
ნანატრი თქეშით ააშიშინა.
დასცხო და დასცხო გაბოროტებით —
გშრალი არ შერჩათ ნიფხვის ტოტებიც —
ძირს ჩამოვიდა ფეხად ცარგვალი;
მანამდე იქცნენ გასაწურებად,
ჰერქეუშ შეასწრეს სანამ ბუნებას —
ჩვენს მტერს მისცაო წვიმა ამგვარი.

და როცა ზლვარი დაედო ღვარსაც,
ფიქრს ვერ გაართვა ტროელმა თავი:
დარჩეს? გაცუროს? — საშინელ ხანძარს
ხომ გადაურჩა ათობით ნავი?!..
ვერ გადაწყვიტა... უხმო კაზაკებს,
უთხრა: შემდგომი გეზი დავსახოთ;
მესვეურს დაჰყვენ, ფიქრში დაყვინთეს,
ხალხი ათასგვარ განსჯით გაერთო,
იმსჯელეს, მავრამ საშველი მაინც
ვერ დააყენეს საქმეს საერთოს.

ამ ხნის მანძილზე ერთი ტროელი,
ჩაფიქრებული იჯდა ნიადაგ,
რაც ითქვა ყურად იღო ყოველი,
ჭოხით ჩიჩქნიდა დამბალ ნიადაგს.
ეს კაცი შვეუნიდ ყველა გრძნეულის
თვისტომი გახლდათ სისხლხორცული:
ხან აქიმობდა, ხანაც მისნობდა,
მოგინუსხავდათ თვითონ მაცილსაც,
ქიციც იცოდა და ქიცმაცურიც,
ჩხიბვით კურნავდა სნებას კაცისას.



სილეზიაშიც უვლია ბევრგზის,
ყირიმს, მარილზეც ხშირად ყოფილა,
ურმით მოჰქონდა სავაჭროდ თევზი,
ბევრი ჩუმაკი³⁸ დაიძმობილა.
თუმცა ბეჩავი ჰქონდა იერი,
ჰქონდა გახლდათ ვით წიგნიერი, —
რაზმში ასეთი ერთიც არ ჰყავდათ
შორსმჭვრეტელი და სიტყვაულევი,
ყოველგვარ საქმეს გაგიჩარჩავდათ,
შიშვეული გახლდათ სრულებით.

ობრიმი ერქვა ჩვენში ამ მისანს,
ტროაში ცნობდნენ ნავტეს³⁹ სახელით,
ეს იმათ მითხრეს, უნახავს ვისაც,
თორემ მე არ ვარ მისი მნახველი,
ჰოდა, ენეასს მიუჯდა ახლა,
ქათქათა ხელზე მარჯვენა დაჰკრა
ვაჟკაცს, ბოლმისგან სიფათლაზეთილს;
მერე წინკარში გაიხმო გვერდით,
თავი დაუკრა მესვეურს ერთიც
და სიტყვა ჰყადრა ბოლოს ასეთი:

„ინდაურივით რას ჩამოუშვი
ლაჭაჭი, თანაც ემაგნაირად,
ჩაგვროვებია ბალლამი გულში,
ვით უჭიაობოდ საწყალ ლაინას.
რაც მეტს იჯავრებ, მით უარესი,
ისევ აინთე ცეცხლი თვალებში,
დარღი გულში არ გაიბატონო.
წაბრძანდი, კარგად გამოიძინე,
სევდა განაგდე და მოიცილე,
რომ საქმე ჰქუით აწონ-დაწონო!“

ოხრიმის სიტყვებს დაჲყვა ტროელი,
ჰიპნოსისაკენ³⁸ იბრუნა პირი,
მაგრამ ქაზდარზე ბზრიალ-ტრიალებს —
არ ეკარება არაფრით ძილი,
სამჯერ გადასწვდა ლომი ყალიონს,
ალარაფერი უკლდა ილიონს,
როდესაც თვალი მილულა წამით;
ამ დროს ტალკვესად ჭირში შთენილის,
ჯოჭოხეთიდან მწედ მოვლენილი,
გამოეცხადა აჩრდილი მამის:



„მამა ვარ, ბიჭო, ხომ მცნობ ამაგდარს,
გონს მოეგე და დაჯაბნე ელდა,
უნდა გაუძლო ჭირს და გამაგრდე,
ლმერთების ნებით მოვსულვარ შენთან;
ის, რაც გიბრძანეს ოლიმპოს მთიდან,
დაუყოვნებლივ გაუწყო მინდა:
გულს ნუ იტეხო კაცო კაცურო,
არ მოგაკლებსო ქუდბედს ბუნება,
და კვლავ რომისკენ უნდა გაცურო
მათი სურვილის ალსასრულებლად.

ოლიმპიელთა კანონი მტკიცე
არ მიიჩნიოს არვინ სიახლედ —
ვერ მიცურდები მიზნამდე ისე,
ქვესკნელში პლუტონს თუ არ ეახლე,
ჯერ ხომ დაგმოძლვრავს იგი, შვილოსა,
მერე რომისკენ გზას დაგილოცავს, —
მეც მნახე — გული გამიმზიანე;
ფიქრი არ გქონდეს სავალის გამო, —
გზას დაადექ და პირდაპირ წამო,
ცხენიც არ გინდა — ფეხით იარე.

ხომ გესმის, ბიჭო, ახლა მშვიდობით,
ნახვამდის, ცისკრის დამდგარა უამი,
აბა შენ იცი, მამა-შვილობამ!..“
და მიწამ დანთქა აჩრდილი მამის.
ტროელს სიმწრისგან იმგვარად დასცხა,
წამოხტა, ოფლი ასხამს და ასხამს,
ცახცახებს, მოსდის ელეომელეთი,
შეყარა ნალხი და ასე ბრძანა,
მოემზადეთო ყველანი ჩქარა —
უნდა დავტოვოთ ისევ ხმელეთი.

თვით კი აკესტუს ქარს მიაშერა. —
რაც მის სუფრაზე იადა სიაძე —
მაღლობა უძლვნა მეფეს კაცურად
და შეერია თავისიანებს;
თითქმის მთელი დღე მოუნდნენ აყრას,
გამთენისას აუშვეს აფრა
და გზას დაადგნენ რიურავის უმალ;
გულს ბოლმა აწევს ენეასს მქისე,
რამეთუ ეს ზღვა მობეჭრდა ისე,
ვით შემოდგომის წვიმები ჩუმაკს.



ვენერამ თვალი მოჰკრა თუ არა
ტროელთა ნავებს, გაუკრთა ძილი:
— არიქა, ვინ ხართ, ნეპტუნთან ჩქარა!
არ დამიხრჩოსო წყეულმა შვილი.
სასწრაფოდ უხმო თავის ფაეტონს —
ვით ასისთავის ცოლი გაენთო
თავქაჯშეყრილი, ფიცხი ცხენებით;
სამი კაზაკი ამხედრებული,
რომ გააცილონ ქალი მეფურად, —
უკან მისდევენ ჭენებ-ჭენებით.

მეეტლეს თეთრი აცვია სვიტა,
ლანდრის სვიტაა თუ სასწაული?!.
სვიტას სირმები უხდება დიდად,
ლირს იგი შვიდჯერ ათი შაური;
გვერდზე მოგლებულ ქუდით ვაუკაცობს,
გოგრაზე წითლად რომ ულაყლაუებს,
ჩაუბლუჯია მათრახი გრძელი;
ტკაცუნი გააქვს მალიმალ მათრახს,
ჩამუხლოს, არვის არ მოსდის აზრად —
ქარზე ფეხმარდი ცხენს უსწრებს ცხენი.

ქალი ნეპტუნთან ისე შეფრინდა,
ლამის დააფრთხო სახლის პატრონი,
თითქოს დაბრუნდა თბილი ქვეყნიდან
ზარნაშო, თავის ბუდის ნატრული.
თუმც არ ენახა მოხუცი დიდხანს,
სხვათაშორისაც არ მოუკითხავს —
ან „გამარჯობა“, ან — „ვით ბრძანდები“...
ებდლვნა და ლამის დაალრჩო ლოშნით —
შერეკილივით კოცნის და კოცნის,
თან ჩამოუფქვა გულის დარდები:

„ჩემი ორმაგი ხარ ნათესავი —
ბიძაც ხომ ხარ და ხომ ხარ ნათლიაც?“³⁹
მოყვრისთვის ხშირად დაგიდევს თავი,
ერთი სიკეთეც ჰქენი, მაღლია;
ისევ იმარჯვეს ბნელმა ძალებმა —
ლამის მომიშვეს ბიჭი ქალებმა,
კვლავ მოუშხამეს შიშით გუნება,
არ მოაშორო ენეასს თვალი,
დააძლევინე ეს ზღვა და წყალი —
ბეჭვზე გადურჩა ის შეთქმულება!“



გაუცისკროვნდა ზღვათა ღმერთს სახე,
უთხრა: „დაბრძანდი, ვენერა ჩემო“,
თავადაც ლოშნა, დაუსხა რახი,
გაუსინჯეო ჩემს არაყს გემო;
მოსულს პატივი მიაგო ყოვლად —
აგსირულებო ნათესავს თხოვნას
და გამოიხმო ქირნი ზღვისანი.
დაემშვიდობა მერელა სტუმარს
და ენეასის არმადაც, უმალ
ზღვაზე გაიჭრა, როგორც ისარი.

ნავზე მებორნე ჰყავდათ მთავარი,
კაცი ერთგული, მხნე და ხალასი,
სულ ენეასთან იყო ნავალი,
ზაპოროეულად ერქვა ტარასი;⁴⁰
დაბანდალებდა კიჩოზე ნავის,
აკესტეს ხალხთან დაედო თავი —
უზომოდ ესვა წამსვლელ-დამრჩომის...
სცექი ტროელმა: „არიქა, ბიჭო,
მოაცილეთო ეგ კაცი კიჩოს,
თორემ დაგვლუპავს მაგის ნახტომი!“

მაგრამ გამოჩნდა, ჩვენს ბატონ ტარასს
რას უმზადებდა ბედისმწერალი:
მისმა ტანჯულმა ცხოვრების ჯარამ
სახტად დატოვა ნავზე ყველანი:
არ უძებნია გალეწილს ფონი —
თხლაშ!. — და გზა პოვა გრძელი და შორი,
რომლითაც უკან არ ბრუნდებიან:
ენეას ღმერთს სთხოვს: „გვაკმარე მწარე,
და, ჰა, ტარიგად ჩემს ბიჭებს ბარემ
ტარასის თავიც შემოვლებია!“.

(მეორე ნაწილის დასასრული)

33. ირიდა — ცისარტყელას ქალღმერთი. ძველი ბერძნების წარმოდგენით ცისარტყელა
ცა და დედამიწას ერთებდა, რის გამოც, ოლიმპიური ჩელიგის ჩამოყალიბების შემსუბ.
ირიდას ლმერთთა და კაცთა შუაბავლად მიიჩნევდნენ. იყო ოლიმპიელთა შორის დი-
ტესად კი იუნონას ბრძანებებს ასრულებდა.

35. პლუტონი — ჰერცენის მეუფა, კოდონეთის მირჩანებული; პროზერპინა — მისი ეფული.

36. ჩუგაძი — ძველ უკრაინაში გლეხი იყო, რომელსაც ურმით ყირიმში და დონშე პური გაპქონდა, იქიდან კი მარილი და თევზი შემოპქონდა.

37. ნავთი — ენეასის ერთ-ერთი თანამგზავრი, ჩომელსაც, ვერგილიუსის მიხედვით,

22. 1935-ი ბოლ კუნძულის პრეზიდენტი გამოიწვია და გადასახლდა.

38. კაცის — მალის ლეთერა. პიპხლის თვით ლეტოთებიც კი ეძღვნის ლეტოდნებ.

39. ჩვიმი რეზაგი ხარ ნათესავი, — ბიძაც ხომ ხარ და ხომ ხარ ნათლიავ?! — პო-

შესრულდებოდა ეპისტოლის მიხედვით ნეპტუნი ვენერას ბიძაა, ჟევსის ძმაა. თანაც, სხვა თქმულებების

40. ჩვენს ბატონ ტარტას — მებორნე ტარტის დაზუსტვას რომ ხატავს, დეტორი პარო-

ჰიულად ეგვიპტერს პალინურუსის (ვერგილიუსი) დაღუბვის ეპიზოდს.



ვიოლორ ღოსტერვასეპ

სხვისი ცოლი და ქმარი საწოლევები

(გაუგონიანი ზაფთებები)



მოთხრობა

თარგმანი მისი ეკაპაჟები

3 ჰენით მადლი, მოწყალეო ხელმწიფევ, ერთი მითხარით, თუ შეიძლება...

ამის გაგონებაზე გამვლელი შეკრთა, მერე კი, ცოტა არ იყოს, შიშით გა-
დახედა ენოტისქურქიან ბატონს, მოურიდებლად რომ იესვეტა წინ, ისიც სა-
ათის რვაზე, ქუჩაში. არადა, ვინ არ იცის, ერთი პეტერბურგელი ბატონი რომ
ქუჩაში უეცრად რამეს ჰყითხავს მეორე პეტერბურგელ, სრულიად უცნობ ბა-
ტონს, ამ მეორეს ელეომელეთი მოსდის.

მაშ, ასე, გამვლელი შეკრთა და ცოტათი შეშინდა კიდევ...

— ბოლიში, რომ შეგაწუხეთ, — განავრძობდა ენოტისქურქიანი, — მე...
მე... არ ეიცი, როგორ გითხრათ, ალბათ მაპატიებთ, ბატონო ჩემო. მე... მე.
ცოტა არ იყოს, ამღვრეულ გუნებაზე ვარ...

ბეკეშისპალტონი ბატონი ახლა კი მიხვდა, რომ ენოტისქურქიანი მარ-
თლა ვერ იყო თავის ნირზე. იგი დალვრემილი, ფერწასული და შეწუხებული
ჩანდა, საშინელი კანკალი ეტყობოდა ხმაში და ისე იყო დაბნეული, ენა ვერ
გაეგნო. ალბათ ვერასგზით ვერ შეგუებოდა იმ ამბავს, რომ უმორჩილესი
თხოვნით უნდა მიემართა ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც ხარისხით და წო-
დებით მასზე უმცროსი გახლდათ. ამასთან ეს თხოვნა მეტად უხერხული,
უცნაური და სათაკილოც კი უნდა ყოფილიყო იმ კაცისთვის, რომელსაც ასე
დარბაისლური ქურქი, ასე მოხდენილი. მრავალმნიშვნელოვანი სამკაულე-
ბით აჭრელებული მუქი მწვანე ფრაკი ეცვა. ეტყობოდა, ყოველივე ამან
შეაცბუნა. ენოტისქურქიანი. ისე რომ, ბოლოს ნირწამხდარმა თავი ვერ შე-
კავა და შეეცადა ლირსეულად მიეფუჩიერებინა ეს უსიამო სცენა, რომელიც
თვითონვე გამოიწვია.

— უკაცრავად! აკი მოვახსენეთ, ჩემს ჭიუაზე ვერა ვარ-მეთქი. უცნობი
ბრძანდებით და ბოლიში, რომ შეგაწუხეთ. ახლა გადავითიქრე.

აქ ენოტისქურქიანმა ჭუდი წამოიწია თავაზიანობის ნიშნად და ადგილს
მოსწყდა.

— მომითმინეთ, ბატონო ჩემო, ჰენით მადლი, — დაადევნა ბეკეში-

პალტოიანში, მაგრამ ტანდაბალი კაცი სიბნელეში მიიმაღლა და ბეკეზის კურიოსი გაშეშებული დარჩა ქუჩაში.

— ვაჲ, ეს რა შერეკალი ვინმეა! — გაიფიქრა ახალგაზრდამ. მეტე კურიოსი რომ მოეგო, თავისი საქმეც გაიხსენა და ბოლთის ცემა იწყო, თანაც დაუკინებით მიაჩერდა ერთი უთვალავსართულიანი შენობის საღარბაზოს, მაღალ ნებულშერეულობაზე ჩამოწევა. ამან კი ახალგაზრდა კაცი ცოტათი გაახარა, რადგან წესლების მოყვარულობაზე შეუმჩნევლად ივლიდა წინ და უკან, თუმცა აზლა მგზავრების მოლოდინში ზოელ დღეს უიმედოდ მდგარი რომელიმე მეეტლე თუ შეამჩნევდა მოსეირნე კაცს.

— უკაცრავად!

გამვლელი ისევ შეკრთა .მის წინ ისევ ის ენოტისქურქიანი ატუზულიყო.

— ბოლიში, რომ ისევ შეგაწუხეთ.. — განაგრძობდა იგი, — მაგრამ თქვენ... თქვენ ალბათ კეთილშობილი კაცი ბრძანდებით! ამიტომ მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ, როგორც პიროვნებას საზოგადოებრივი გაგებით. ახლა, მართალია, ცოტა არ იყოს, უთავბოლოდ ვლაპარაკობ, მაგრამ აღამიანი ხარი და შედით ჩემს... თქვენ წინაშე, მოწყალეო ხელმწიფევ, ადამიანია, რომელმაც აუცილებლად უნდა მოგმართოთ უმორჩილესი თხოვნით...

— თუკი შევიძლებ... მაინც რა გნებავთ?

— იქნებ გეგონოთ, რომ ფულის თხოვნა მინდოდეს — ისტერიული სიცილი აუტყდა იდუმალ უცნობს, სახე მოებრიცა და მკვდრისფერი დაედო.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო...

— არა, ვატყობ, ძალიან შეგაწუხეთ! პირდაპირ ჩემი თავი მძულს. გიჩნიეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ამღვრეულ გუნებაზე ვარ და მეტი არაუერი, თითქმის გიფი. დასკვნებს კი ნუ გამოიტანთ...

— ბრძანეთ, ბატონო ჩემო, ბრძანეთ! — მოთმინების ძაფი გაუწყდა ახალგაზრდას და წაქეზების ნიშნად თავი დაუქნია.

— ამ! აი კიდევ რა! ასე ახალგაზრდა მე უნდა მასწავლიდეს, როდის რა ვთქვა? ისე მელაპარაკებით, მოწყალეო ხელმწიფევ, თითქმის ერთი ლაწირაკი ბიჭი ვიყო! თუმცა სულ გამოვყეყნდი კაცი!.. პოდა, გულახდილად მითხარით, რა აზრისა ხართ ჩემზე, ასე დამცირებულს რომ მხედავთ?

ახალგაზრდა კაცმა დაირცხვინა და ყური წაუყრუა.

— დიახ, ნება მომეცით, გულახდილად გკითხოთ: აქ ერთი მანდილოსანი ხომ არ დაგინახავთ? აი ეს გახლავთ მთელი ჩემი თხოვნა! — გადაჭრა ბოლოს ენოტისქურქიანში.

— მანდილოსანი?

— პო, ბატონო ჩემო, ერთი მანდილოსანი.

— დავინახე... მაგრამ, გამოვიტყდებით და, აქ იმდენმა გაიარა...

— სწორედ ასეა, ბატონო ჩემო, — მწარედ გაელიმა იდუმალ უცნობს, — ამის თქმა სულაც არ მინდოდა, დავიბენი და მაპატიეთ. ისეთი ქალბატონი ხომ არ შეგხვედრიათ, მელიის ბეწვის სალოპსა და შავპირბადიან მუქი ხავერდის კაპორში რომ იქნებოდა-მეთქი გამოწყობილი, აი, რა უნდა მეკითხა.

— არა, ასეთი ქალბატონი... რამდენადაც მახსოვს, არ შემხვედრია.

— ა-ა-ა! თუ ასეა, მაპატიეთ, ბატონო ჩემო!

ახალგაზრდა კაცს კიდევ რაღაცის კითხვა უნდღდა, მაგრამ ენოტისქურქი-

ანი ხელმეორედ მიიმალა და მისი შომთმენი თანამოსაუბრე ისევ გაშეშებული დარჩა.

„ეშმაკმა იცის მაგის თავი და ტანი!“ — გაიფიქრა ბოლოს ჰეკეშისპალ-ტოიანმა, რომელსაც სულ გაუფუჭდა გუნება. მერე ჯაფრზე მოსულმა თახვის ბეჭვის საყელოში ჩარგო თავი და ბოლთის ცემა იწყო, თანაც იმ უთვალავსარ-თულიან შენობასთან გავლისას აქეთ-იქით ფრთხილად ძყურებობოდა.

„ნეტავი რატომ არ გამოდის? — გაიფიქრა მან, — შალე რვა საათი შეს-რულდება“.

კოშკზე რვა საათი დარეკა.

— ამ! ეშმაკმა წაგილოთ, ბოლოს და ბოლოს!

— მაპატიეთ, ბატონო ჩემო!..

— პირიქით, მე თვითონ მაპატიეთ... ისე გამებლანდეთ ფეხებში, ში-შისაგან გული გადამიტრიალდა, — მოუბოლიშა შეცბუნებულმა გამვლელმა.

— ისევ მოგაკითხეთ, ბატონო ჩემო. რასაკვირველია, დამთხვეული და უხიაგი გეგონებით.

— დამდეთ მაღლი და მიუკიბავ-მოუკიბავად მითხარით, მაინც რა გნე-ბავთ?

— გეჩქარებათ, ბატონო ჩემო? კეთილი და პატიოსანი. უველაფერს მოქ-ლედ და გულახდილად მოგანსენებთ. რას იზამ, ზოგჯერ ვითარება სულ სხვა-დასხვა ხასიათის აღამიანებს შეანველრებს ერთმანეთს... ჰოდა, ასე, ბატონო ჩემო... არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა.. მე ერთ მანდილოსანს დავეძებ (რაკი გავტედე, ბარემ უველაფერს გეტყვით). სწორედ ის მინდა ვიცოდე, თუ სად წავიდა ეს ქალბატონი, ხოლო ქალის ვინაობა თქვენთვის საჭირო არ არის, ახალგაზრდავ.

— მერე, ბატონო ჩემო, მერე?

— მერე? გეტყვით, მაგრამ ისეთ კილოზე მელაპარაკებით! მაპატიეთ, იქნებ შეურაცხყოფილადაც კი იგრძენით თავი, როცა ახალგაზრდა დაგიძა-ხეთ. ასეთი რამ გულშიც არ გამივლია... დიახ, ერთი სიტყვით, თუ დიდზე დიდი სამსახურის გაწევა გინდათ ჩემთვის, მაშინ ის ქალი... ესე იგი, ის პატი-ოსანი ქალბატონი... კარგი ოჭახიშვილი და ჩემი ნაცნობების ნაცნობი... იცით, დავალებული მაქვს... მე თვითონ კი უცოლო გახლავარ, ბატონო ჩემო...

— მერე, მერე?

— შედით ჩემს მდგომარეობაში, ახალგაზრდავ (ოჰ, ისევ წამომცდა მაპატიეთ, ბატონო ჩემო, ისევ ახალგაზრდა დაგიძახეთ). ახლა ყოველი წუ-თი ძვირფასია... წარმოგიდგენიათ, ის ქალბატონი... ხომ არ მეტყოდით, ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

— ჰო... აქ ბევრი ცხოვრობს.

— დიახ, სავსებით მართალი ხართ, ახალგაზრდავ, — ზრდილობის წესი რომ არ დაერლვია, ჩიიცინა ენოტისქურქიანმა. — ვატყობ, სულ დავიბენი... მაგრამ ასეთ კილოზე ლაპარაკი რა საჭიროა? აკი თვითონ გაიგონეთ, რა ალალმართლად ვალიარე, ცოტა არ იყოს, თავგზა ამერია-მეთქი. და თუ ქედ-მალალი კაცი ბრძანდებით, ხომ საკმაოდ ნახეთ ჩემი შერცხვენა და თავის მოჭრა? გეკითხებით, ერთი კეთილშობილური ყოფაქცევის, ესე იგი, მსუ-ბუქი შინაარსის მანდილოსანი ხომ არ დაგინახავთ-მეთქი. მაპატიეთ, ისე ამე-რია დავთრები, თითქოს რაღაც ლიტერატურაზე ვლაპარაკობდე. აი ხომ

გაგიგონიათ, ვიღაც პოლ დე კოკი¹ მსუბუქი შინაარსის მწერალიაო, არადა, მთელი უბედურებაც იმ თქვენმა პოლ დე კოკმა დაგვატება თავს!... მაშ!

ახალგაზრდამ სინანულით შეხედა ენოტისქურქიანს, რომელიც სულ ტაბ-ნეულიყო. მერე უცნაური კაცი გაჩუმდა, უაზრო ღიმილით უყურებდა გამ-კლას და აკანკალებული ხელით ეპოტინებოდა ქურთუკის ლაცკანზე.

— მეკითხებით, ამ სახლში ვინ ცხოვრობსო, არა? — ჰეკი ახალგაზრდამ და ცოტათი უკან დაიხია.

— დიახ, ბევრი ცხოვრობსო, ასე ბრძანეთ.

— ჰო, აქ... აქ სოფია ასტაფიევნაც ცხოვრობს, — თანაგრძნობით ჩა-ჩურჩულა ახალგაზრდამ.

— აი ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ! რამე ამბისთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური, ახალგაზრდავ?

— მერწმუნეთ, არაფერი გამიგია... მე მხოლოდ თქვენი შეწუხებული სა-ხის მიხედვით ვმსჯელობ.

— წელან მზარეულმა ქალმა მითხრა, ის ქალი აქ ხშირად მოდის, მაგ-რამ სოფია ასტაფიევნასთან ერთხელაც არ შესულაო... ისე რომ, სოფია ას-ტაფიევნა სულ ტყუილად ახსენეთ. ისინი არც კი იცნობენ ერთმანეთს...

— არა? მაშ, ბოდიშს გიხდით, ბატონო ჩემო...

— გეტუობათ, ეს ამბავი სულაც არ გაინტერესებთ, ახალგაზრდავ, — მწარე ირონიით ჩაილაპარაკა უცნაურმა ბატონმა.

— მომისმინეთ, — დაიბნა ახალგაზრდა კაცი — შე არსებითად არც კი ვიცი, რას შეუწუხებიხართ. მიუკიბავ-მოუკიბავად მითხარით, ცოლმა გილა-ლატათ?

და ახალგაზრდამ წაქეზების ნიშნად თავი დაუჭინია.

— ყოველ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ, -- დასძინა მან და ისე მოიხარა, თითქოს თავის დაკვრა უნდოდაო.

— სულ მომკალით და გამათავეთ კაცი! მაგრამ გულახდილად ვალიარებ, სწორედ ასეა საქმე.. თუმცა ვის არ მოსვლია!.. სულის სილრმემდე შემძრა თქვენმა თანაგრძნობამ. დამეთანხმებით, რომ ახალგაზრდებს შორის... მე კი თუმცა ახალგაზრდა არა ვარ, მაგრამ, იცით, ჩვეულება... უცოლო კაცის ცხოვრება.. უცოლოებს შორის კი, გასავებია...

— კი, ბატონო, გასაგებია, გასაგები! მაგრამ რა დახმარებას მთხოვთ მინც?

— აი რას, ბატონო ჩემო; სოფია ასტაფიევნასთან რომ დადიხართ... თუმცა ჭერ არც კი ვიცი, სად უნდა მისულიყო ის ქალი. შეკლოდ ის ვიცი, რომ ამ სახლში შესულა .ამიტომ აქ მოსეირნე რომ დაგინახეთ, — მე კი ქუჩის მეორე მხარეზე ვსეირნობდი, — გავიფიქრე... იცით, ახლა იმ ქალს ველო-დები... მითხრეს, ამ სახლში შევიდაო, — ჰოდა, მინდონა შევხვედროდი და ამებსნა, რა უხამსობა და სისაძაგლეა... დიახ, ერთი სიტყვით, გამიგებთ..

— ჰა! ჰოო!

— არ გვგონოთ, რომ ჩემთვის გავისარგო. ის ქალი სხვისი ცოლი გახ-ლავთ! მისი ქმარი ახლა იქ დგას, ვოზნესენსკის ხიდზე. დაუჩემებია, როგორ-მე თავს უნდა წავიდგეო, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნის. მოგეხსენებათ ქმრე-ბის ამბავი: ჭერ კიდევ არა სჭერა, რომ ცოლი, (აქ ენოტის ქურქიანმა გა-

ლიმება სცადა)... მე კი იმ კაცის შეგობარი ვარ, გარევეული პატივისცემით ვსარგებლობ საზოგადოებაში, აბა, ის კი არა ვარ, ვინც თქვენ გეგონეთ.

— რა თქმა უნდა, ბატონო ჩემო, რა თქმა უნდა..

— დიახ, სულ იმ ქალს დავდევ. ქმარმა დამავალა, ბატონო ჩემო, (საწყალი, საწყალი ქმარი!); მაგრამ ისეთი ეშმაკია, ისეთი ეშმაკი ჩმუდამ პოლ დე კოკი უდევს სასთუმალქვეშ), ვიცი, ხელიდან შეუმჩნეველად დამჩხსხლტება... გამოგიტყდებით და, მზარეულმა მითხრა, ამ სახლში უშეუძლია. ჰქონდა, გავიგეთ არა ეს ამბავი, გიუივით გამოვიქეცი. ახლა თავს უნდა წავადგე. კარგა ხანია ეპვი მაქვს და ამიტომაც მოგმართეთ თხოვნით. თქვენ ხომ აქ დასეირნობთ... თქვენ.. არ ვიცი, არ ვიცი...

— ჰო, ჰო, კარგი, მაგრამ მაინც რა გნებავთ ბოლოს და ბოლოს?

— დიახ, ბატონო ჩემო, უცნობი ბრძანდებით და, რომ გკითხოთ ვინა ხართ და საიდანა ხართ-მეთქი, ასეთ ცნობისმოყვარეობას ვერ გაგიბედავთ, მაგრამ ასეა თუ ისე, ნება მომეცით, მაინც გავიცნოთ ერთმანეთი. სასიამოვნო შემთხვევაა!..

და ათრთოლებულმა ენოტისქურქიანმა მხურვალედ ჩიმოართვა ხელი ახალგაზრდა კაცს.

— თავიდანვე ასე უნდა მოვჭცეულიყავი, მაგრამ ზრდილობა ვის ახსოვდა!.. — დასძინა მან.

იგი წინ და უკან დაცანცარებდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და წამლუწუმ წყალწალებულივით ეპოტინებოდა ახალგაზრდა კაცს.

— იცით, ბატონო ჩემო, — განაგრძო უცნაურმა ბატონმა, — თუ არ შეწუხდებით, ერთი რამ მეგობრულად უნდა გთხოვოთ... მაპატიეთ, რომ ასე მოურიდებლად მოგმართავთ... გემუდარებით, ქუჩის იმ მხარეზე ისეირნოთ, აგრე, სადაც უკანა კარია. იაროთ წყნარად, ისე რომ ასო Π შემოხაზოთ. მე კი მთავარ სადარბაზოს შემოვუვლი და ის ქალი ხელიდან ვერ დაგვისხლტება. აბა უთქვენოდ მისი დამჭერი ვიყავი? ქალის ხელიდან გაშვება კი ნამდვილად არ მინდა. ჰოდა, დაინახავთ თუ არა, გააჩერეთ და დამიძახეთ... ოჰ, ღმერთო ჩემო, მართლა ვერა ვარ ჩემს ჭკუაზე! ახლალა მივხვდი, რა სულელური და უხამსი თხოვნით მოგმართავთ!

— არა, რას ბრძანებთ!..

— ნუ გამამართლებთ, ახალგაზრდავ, ნუ გამამართლებთ. აკი მოგასენეთ, ამღვრეულ გუნებაზე გახლავარ-მეთქი. იცით, გაჩენის დღიდან არ ვყოფილვარ ასე დაბნეული. ისე მგონია, თითქოს სასამართლოში ვიყო და ჩვენებას ვაძლევდე. მაგრამ როგორც კეთილშობილი და გულახდილი კაცი, გამოტეხილად გატყვით, ახალგაზრდავ, რომ იმ ქალის საყვარელი სწორედ თქვენ მეგონეთ!

— ესე იგი, გინდათ გაიგოთ უბრალოდ, აქ რას ვაკეთებ?

— კეთილშობილი კაცი უოფილხართ, მოწყალეო ხელმწიფევ. სულაც არ მგონია, რომ იმ ქალის საყვარელი იყოთ. არა, ასე არ მოვცხებთ ჩირქს... მაგრამ.. მაგრამ.. მაძლევთ თუ არა პატიოსან სიტყვას, რომ იმ ქალის საყვარელი არა ხართ?

— კეთილი, ბატონო ჩემო, კეთილი. ინებეთ პატიოსანი სიტყვა: მართალია, სხვისი ცოლის საყვარელი გახლავარ, მაგრამ თქვენი მეუღლის მიგნური რომ ვიყო, ახლა ქუჩიში კი არა, მასთან ვიქნებოდი.

— ცოლისო! ვინ მოგახსენათ, ახალგაზრდავ, თითქოს ცოლიანი ვიყო? პირიქით, მე თვითონ ვარ სხვისი ცოლის საყვარელი.

— წელან ბრძანებდით, იმ ქალის ქმარი... ვოზნესენსკის ხიდზე /გვამო...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ლაპარაკს შევყევი, თორემ სხვა ურ-თიერთობაც არსებობს!.. ამიტომ, მერწმუნეთ, მოწყალეო ხელმწიფებულობ კაცს მჩატე ხასიათი თუ აქვს, მაშინ... გვიპური მიუღია

— აბა ჰო! კარგი, კარგი!..

— არა, ქმარი არა ვარ-მეთქი.

— მჯერა, ბატონო ჩემო, მჯერა. მაგრამ, იცით, თქვენს გაღარწმუნებას რომ ვცდილობ, ამით მე თვითონ მინდა თავი დავიმშვიდო. ჰოდა, კაცმა რომ თქვის, ამიტომაც ვარ თქვენთან ასე გულახდილი. თქვენ აქ სულ მომშალეთ და ხელს მიშლით. გპირდებით, დავინახავ თუ არა, მაშინვე დაგიძახებთ. ახლა კი უმორჩილესად გთხოვთ, წაბრძანდეთ. მე თვითონ ველოდები.

— კი, ბატონო, წავალ. მოუთმენელი, ვნებიანი კაცი ბრძანდებით და ხათრს ვერ გაგიტეხთ. მესმის თქვენი. ოჰ, როგორ გაგიგეთ ყველაფერი, ახალგაზრდავ!

— ჰო, კარგი, კარგი!

— ნახვამდის!.. თუმცა მაპატიეთ, ისევ უნდა შეგაწუხოთ, ახალგაზრდავ... არ ვიცი, როგორ გითხრათ... ერთხელ კიდევ მომცემთ პატიოსან სიტყვას, რომ იმ ქალის საყვარელი არა ხართ?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო!

— კიდევ ერთი და უკანასკნელი კითხვა: იცით თუ არა იმ კაცის გვარი, რომლის ცოლიც თქვენი საყვარელია?

— რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ეს თქვენი გვარი არ არის და მორჩა!

— ჩემი გვარი საიდან იცით?

— მომისმინეთ, დროს ნუ კარგავთ, ახლავე წაბრძანდით, თორემ ის ქალი აქამდე ათასჯერ გაგეპარებოდათ. აბა რას მომჩერებიხართ? თქვენი ქალბატონი მელიის ბეჭვის სალოპსა და კაპორშია გამოწყობილი, ჩემსას კი კუბოკრული მოსასხამი აცვია და ცისფერი ხავერდის ქუდი ახურავს!.. მეტი რა გითხრათ? ან კიდევ რას მოითხოვთ ჩემგან?

— ცისფერი ხავერდის ქუდიო! ჩემს ქალბატონსაც აქვს კუბოკრული მოსასხამი და ცისფერი ხავერდის ქუდი! — შეჰყვირა აბეზარა კაცმა და წამსვე დაბრუნდა გზიდან.

— ოჰ! დალახვროს ეშმაკმა! ალბათ დამთხვევაა. თუმცა არა, ჩემი ქალბატონი იმ ოჯახში არ დადის.

— ახლა სად ბრძანდება თქვენი ქალბატონი?

— ეს რატომ გაინტერესებთ?

— გამოგიტყდებით და მე სულ ის მიტრიალებს თავში...

— ფუ! ღმერთო ჩემო! სულ გამოგლევიათ პირისწყალი და წამხდარხართ! ჩემს ქალბატონს იქ ნაცნობები ჰყავს, მესამე სართულზე, ფანჯრები რომ ქუჩას გადმოჰყურებს. მეტი რა გითხრათ? ხალხი გვარების მიხედვით დაგისახელოთ?

— ღმერთო ჩემო! მეც მყავს ნაცნობები მესამე სართულზე, ფანჯრები რომ ქუჩას გადმოჰყურებს... იქ გენერალი ცხოვრობს ერთი...

— გენერალი?

— ჰო, გენერალი. ახლავე მოგახსენებთ, რომელი გენერალია. დიახ, გენერალი პოლოვიცინი.

— ესეც კაი ამბავი! თუმცა არა, სხვებზე ლაპარაკობთ! (ოჲ, ეშმაქმა წალოს, ეშმაქმა წაილოს!)

— სხვებზე?

— დიახ.

და ორივე, სიგონებელში ჩავარდნილი, მიაჩიტდეთ შესაბამწეობა.

— ასე რატომ მიყურებთ? — ეწყინა ახალგაზრდა კაცს, გონის რომ მოვიდა.

ენოტისქურქიანი აფორიაქდა.

— მე... მე... ვალიარებ...

— მომითმინეთ, მომითმინეთ. მოდით, ახლა უფრო ფხიზელი თვალით შევხედოთ ამ ამბავს. ეს ხომ ორივეს გვეხება. ერთი მითხარით... იმ ოჯახში ვინა გყავთ?

— ნაცნობებს გულისხმობთ?

— ჰო, ნაცნობებს..

— აი, ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ, თვალებზე გატყობთ, რომ გამოვიცანი

— დასწყევლოს ეშმაქმა! აკი მოგახსენეთ, აქ ნაცნობები არა მყავს-მეთქი დაყრულით თუ? ვერა ხედავთ, აქ ვყურყუტებ, ქუჩაში! თქვენს ცოლთან ხომ არა ვარ? აბა, მითხარით ერთი? თუმცა ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, გინდ გითქვამთ და გინდ არა!

და გამგელებული ახალგაზრდა ორჯერ თითისტარივით შემოტრიალდა ფეხსაცმლის ქუსლზე, მერე კი ხელი ჩაიქნია.

— მე არაფერი, ახალგაზრდავ. მაპატიეთ, როგორც კეთილშობილი კაცი, ყველაფერს გეტყვით. თავდაპირველად ცოლი ამ ბინაში მარტო დადიოდა ნათესავებთან. ამიტომ ეჭვიც ირ მეპარებოდა. გუშინ კი მისი აღმატებულება შემხვდა. და მითხრა, აქედან სამი კვირის წინათ სხვა ბინაში გადავედიო. ხოლო ცოლს... ესე იგი, ჩემს ცოლს კი არა, სხვის ცოლს (ცოზნესენსკის ხიდზე რომ დგას, იმ კაცის მეუღლეს), უთქვამს, ამ ბინაში გუშინწინ შევიარეო... ესე იგი, მესამე სართულზე, ფანჯრები რომ ქუჩას გადმოჰყურებს... მზარეული ქალი კი მეუბნება, მისი აღმატებულების ბინა ვიღაც ახალგაზრდა კაცმა დაიკავა, გვარად ბობინიცინმაო...

— ააახ! ეშმაქსაც წაულია მათი თავი, ეშმაქსაც წაულია!

— მოწყალეო ხელმწიფევ! რა ვქნა, მითხარით. პირდაპირ თავზარი და მეცა!

— ჰოი, დალახვროს ეშმაქმა! ისიც მე ვიდარდო, თქვენ თუ თავზარი და შეცათ? ააახ! აგერ, აგერ, გამოჩნდნენ...

— სად, სად ხედავთ? ერთი კი დამიძახეთ, ივან ანდრეევიჩო, და მაშინ-ვე მოვირბენ.

— კარგი, კარგი ოჭ, დასწყევლოს ეშმაქმა! ივან ანდრეევიჩი!

— აქ ვარ! — დაიყვირა გზიდან დაბრუნებულმა ივან ანდრეევიჩმა და მღელვარებისაგან კინალამ გაიგუდა, — აბა სად ხედავთ, სალ?

— ნუ შეწუხდებით, ისე დაგიძახეთ... იმ ქალბატონს რა ჰქვია-მეთქი, უნდა მეტითხა.

— გლაფ...

— გლაფირა?

— არც მთლად გლაფირა.. ნუ დამემდურებით, თუ იმ ქალის სახელს ვერ გეტყვით, — უპასუხა პატივცემულმა ბატონმა და მიწისფერი დაედო.

— ჰო, რა თქმა უნდა, გლაფირა არ იქნება. ეს მეც ვიცი, მაგრამ არც რმ ქალს ჰქვია გლაფირა. მაშ, სად უნდა იყოს ეს ქალი?

— სად?

— იქ! აჲ, ეშმაკმა წაილოს, ეშმაკმა წაილოს! (ახალგაზრდა ჰქვია ურიდა სიბრაზისაგან).

— აი, ხელავთ? საიდან იცოდით, რომ იმ ქალს გლაფირა ერქვა?

— აჲ! დასწყევლოს ეშმაკმა! აკი თვითონვე ბრძანებდით, ჩემს ქალბარონს გლაფირა არ ჰქვიაო!..

— მოწყილეო ხელმწიფევ! ასეთი კილო უაღგილოა!

— ოპო! ახლა კილოს თავი მაქვს! ერთი მითხარით, ის ქალი თქვენი ცოლია?

— აკი მოგახსენეთ, უცოლო კაცი გახლავარ-მეთქი. მაგრამ არ ვიკადრებდი, რომ უბედურებაში ჩივარდნილი კაცი, დიდი პატივისცემის ლირსი თუ არა, ასე თუ ისე, ზრდილობიანი და წესიერი მაინც, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეშმაკთან გამეგზავნა. დაგიკერებიათ პირზე: ეშმაკმა წაილოს და ეშმაკმა წაილოსო!

— დიახ, დიახ, ჯანდაბის იქითაც გქონიათ გზა! ახლა გაიგეთ?

— რაკი ასე გაავკაცებულხართ და თვალში სინათლე გამოგლევიათ, ავდები და გავჩუმდები. თუმცა მოიცათ, ლმერთო ჩემო, ეს ვინ უნდა იყოს?

— სად?

ქუჩის მეორე მხრიდან უივილ-ხივილი და სიცილ-კისკისი მოისმა. ორი სანდომიანი გარეგნობის, შნოიანი ქალიშვილი საღარბაზოში კიბე-კიბე ჩამოდიოდა. ჩვენი გმირებიც მათკენ გაიქცნენ.

— ამათ უყურეთ! რა გნებავთ?

— სად მოძვრებით?

— არა, ისინი არ არიან!

— რაო, სხვები ყოფილან? მეეტლევ!

— საით წაგიყვანოთ, მამზელ?

— პოკროვთან. ჩიჭექი, ანუშკა, მიგიყვან.

— არა, მე იმ მხრიდან შემოვივლი. აბა გარეკე! იცოდე, მალე მიიყვანე... ეტლი დაიძრა.

— საიდან გამოვიდნენ?

— ლმერთო ჩემო, ლმერთო! ხომ არ წავიდე?

— ვისთან?

— ვისთან და ბობინიცინთან.

— არა, ბატონო ჩემო, არ შეიძლება...

— ვითომ რატომ?

— ბობინიცინთან, რა თქმა უნდა, მეც მივიდოდი, მაგრამ ვიცი, მეტყვის განზრახ შემოვიარე, რომ რომელიმე ქალთან გამომეჭირეო. ისე რომ ჭოხი ჩემს თავზე გადატყდება.

— რა იცით, იქნებ ახლა ქალი იქ იყოს! ამიტომ ვერ გამიგია, რატომ არ უნდა მიხვიდეთ, ბატონო ჩემო, გენერალთან?..

— გენერალი ხომ სხვა ბინაში გადასულა!

— ამას მნიშვნელობა არა იქვს. ქალი ხომ ახლა იქ არის. ჰოდა, თქვენც შეუარეთ, თანაც ისე დაიჭირეთ თავი, თითქოს არც კი იცოდეთ, რომ გენერალი სხვა ბინაშია გადასული, ვითომ ცოლის წასაყვანად შეაჭროთ და ასე შემდეგ.

— მერე?

— მერე აღეჭით და თავს წაადეჭით, ვისაც უნდა წაადეჭით! ეშმაქმა წაგილოთ რა გამოთაყვან...

— თქვენ კი ვინ გეკითხებათ, ვის წავადგები?.. აი, ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ?..

— რაო, ბიძია, ისევ წელანდელს იმეორებთ? ოჭ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ამის შემდეგ თავი როგორ უნდა გამოპყოთ, თქვე მართლა გამოყეყებულო?!

— მაშ, ასე რატომ გაინტერესებთ? გინდათ შეიტყოთ...

— აბა რა უნდა შევიტყო თქვენგან? დალახვროს ეშმაქმა ახლა თქვენოვის მცალია? უთქვენოდაც წავალ, ოლონდ კი აქედან გამეცლებოდეთ! გესმით? აიკარით გულა-ნაბადი და წადით! რამდენიც გენებოთ უდარაჯეთ, ირბინეთ წინ და უკან! აბა!

— მოწყალეო ხელმწიფევ! თავს ნუ აიგდებთ! — სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ენოტისქურქიანი.

— მერე რა მოხდა, რა მოხდა მერე, რომ თავი ავიგდე? — ბრაზისაგან კბილები დააკრაჭუნა ახალგაზრდამ და მუშტებით გაიწია ენოტისქურქიანზე,— ვინ, ვინ ბრძანდებით ისეთი?!

— მოწყალეო ხელმწიფევ, ნება მომეცით...

— ვინ ხართ-მეთქი ისეთი, რომ ამას მეუბნებით? აბა გვარი მითხარით თქვენი!

— არ ვიცი, ჩემი გვარი რისთვის დაგჭირდათ, ახალგაზრდავ... გვარს ვერ გამოგიცხადებთ.. ისე კი კარგი იქნებოდა, თქვენთან ერთად მეც წამოესულიყავი. სულ ერთია, ვერ ჩამოგშორდებით. მე ყველაფრისთვის მზად ვარ, ყველაფრისთვის... ოლონდ იცოდეთ, უფრო ზრდილობიან მოპყრობას კი ვიმსახურებ თქვენგან. მხნეობა და სიმშვიდე არ უნდა დაკარგოს კაცმა... და თუ ნაწყენი ბრძანდებით, — ვიცი, ვიცი, ვინც გაწყენინებდათ, — თავის აგდება მაინც არ გეკადრებათ... თქვენ ჯერ კიდევ შალიან, ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით!..

— მერე მე რა ვქნა, თქვენ თუ ბებერი ხართ? დიდი ამბავი! აქედან წაეთრიეთ-მეთქი! რომ დაძუნძულებთ, რას დაძუნძულებთ?..

— ახლა ბარემ ისიც მიბრძანეთ, ახალგაზრდავ, ბებერს რატომ მეძახით? რა თქმა უნდა, წოდებით თქვენზე უფროსი ვარ, მაგრამ კი არ დავძუნძულებ.

— ვხედავ, ვხედავ. აქედან გასწით-მეთქი!

— არა, ბატონო ჩემო, მბრძანებლობას თავი დაანებეთ. მეც უნდა წამოგვყეთ. ამ ამბავში მეც ვარ ჩათრეული...

— მაშ, ჩუმად, ჩმა არ ამოიღოთ!...

ორივე მესამე სართულზე ივიდა. ირგვლივ ბნელოდა.

— შეჩერდით! ასანთი გაქვთ?

— ასანთი! რა ასანთი გნებავთ?

— თამბაქოს ეწევით?

— ა-ა-ა, ჰო! მაქვს, მაქვს აი. დამაცადეთ... — დაფაცურდა ენოტის. ქურქიანი.

— ფუ! რა გამოთაყვან... ჯანდაბას თქვენი თვი! აპა, ეს კარი/უნდა ცოს...

— ეს-ეს-ეს-ეს...

— ეს-ეს-ეს... რა გალრიალებთ? ჩუმაღ იყავით!

— მოწყალეო ხელმწიფევ, უნდა ვითხრათ, რომ.. დიდი თავხედი ვინშე ბრძანდებით! აი რა!

ალი აბრიალდა.

— ასეც ვიცოდი. იგერ სპილენძის ფირფიტაც. ბობინიცინი. ხედავთ, ბობინიცინი აწერია...

— ვხედავ, ვხედავ...

— ჩუ.. მაღ! რაო, ჩაქრა?

— ჩაქრა.

— უნდა დავაკაკუნოთ?

— ჰო, საჭიროა! — გამოეხმაურა ენოტისჭურქიანი.

— დააკაკუნეთ!

— არა, თქვენ დააკაკუნეთ...

— ლაჩარი!

— ლაჩარი თვითონ ხართ!

— აქედან მიბრძანდით!

— ახლა კი ენანობ, ჩემი საიდუმლო რომ გაგანდეთ. თქვენ... თქვენ...

— მე? ჩემთან რა გინდათ?

— მიხედით, ამლვრეულ გუნებაზე რომ ვიყავი და სარგებლობთ...

— ფეხებზე არ მკიდიჩართ! სასაცილოა და მეტი არაფერი!

— აქ რისთვის მოხვედით?

— ნეტავი თქვენ თვითონ რა გინდოდათ?..

— მაღალი ზნეობის კაცი ბრძანებულხართ! — გულისწყრომით შენიშნა ენოტისჭურქიანმა.

— რას დაიხვიდთ ენაზე ეს ზნეობა? თქვენ თვითონ ვინ ხართ?

— აი ეს კი უპატიონსნებაა!

— რა თქვით?!!

— თქვენ, ბატონო ჩემო, ყველა მოტყუებული ქმარი არარაობა გვინიათ!

— ნუთუ ქმარი თქვენ ხართ? აკი ქმარი ვოზნესენსკის ხილზე დგასო... ეტავი კიდევ რას მოითხოვთ? თვი დამანებეთ, ბატონო ჩემო, სული ნუ ამომხადეთ!

— მე კი მაინც მგონია, რომ იმ ქალის საყვარელი სწორედ თქვენ ბრძანდებით..

— მომისმინეთ, თუ ასე განაგრძეთ, იძულებული ვიქნები, პირში მოგახალოთ, რომ არარაობა სწორედ თქვენ ბრძანდებით! ესე იგი, იცით, ვინ?

— მაშასალამე, იმ ქალის ქმარი მე ვარ. ამის თქმა გინდოდათ, არა? — უთხრა ენოტისჭურქიანმა და გველნაკბენივით უკან დაიხია.

— სსსუუუ! ჩუმაღ-მეთქი! გაიგონეთ?..

— ეს ის ქალია.

— არა!



უკარისი
ბრძანებული

— ფუ, როგორ ბნელა!

სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ბობინიცინის ბინიდან რაღაც ჩემი
მოისმა.

— ერთმანეთს რატომ უნდა წავეკიდოთ, მოწყალეო ხელმწიფევ? —
ჩაუჩურჩულა ენოტისქურქიანმა.

— დასწუევლოს ეშმაკმა, პირველი თქვენ არ გარებოდით?

— აბა რა მექნა, მოთმინების ძალი გამიწყვიტეთ და...

— ჩუმად, ჩუმად!

— იცით, ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით...

— ჩუ... მაღ!

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი
კაცი არარაობაა.

— ბოლოს და ბოლოს ენას აღარ ჩაიგდებთ? აჲ!

— ოღონდ რა საჭიროა ხათაბალაში ჩავარდნილი კაცის დაჭაბნა?..

— ეს ის ქალია!

მაგრამ ამ დროს ხმაური მიწყდა.

— ის ქალია?

— ის ქალია, ის ქალია, ის ქალიაო, რომ იძახით, ნეტავი თავს რისთვის
იწუხებთ? ეს ხომ თქვენი უბედურება არ არის.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო ხელმწიფევ! — სლუკუნ-სლუკუ-
ნით ჩაიბუზდუნა ენოტისქურქიანმა და მკვდრისფერი დაედო, — დღეს მე
ისე ამღვრეულ გუნებაზე ვარ... თქვენთან თავიც კი დავიმცირე. მაგრამ ახლა,
რა თქმა უნდა, ლამეა... ხვალ კი... არა, ხვალ ალბათ ვერც კი შევხვდებით ერთ-
მანეთს, თუმცა თქვენთან შეხვედრა სულაც არ მაშინებს. გამიგონეთ, ბატონო
ჩემო, იმ ქალის ქმარი მე არა ვარ-მეთქი. ქმარი ახლა ვოზნესენსეის ხიდზე დგას
საწყალი, საწყალი ქმარი! მე კარგად ვიცნობ მას. ჰოდა, ნება მომეცით, ყვე-
ლაფერი გითხრათ. ის კაცი ჩემი მეგობარი რომ არ ყოფილიყო, მისთვის განა
თავს შევიწუხებდი? იცით, რამდენჯერ მაქვს ნათქვამი, ცოლი არ შეირთო-
მეთქი. აბა რა გაკლია? არაფერი. წოდება და ხარისხი გაქვს? გაქვს. შეძლე-
ბული კაცი ხარ? ხარ. საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობ? სარგებლობ.
მაშ, რად გინდა, ყველაფერი ეს ხუშტურიან კაკლუცზე რომ გაცვალო-მეთქი.
არაო, დამიჩემა, უნდა შევირთო და უნდა შევირთო, ოჯახურ ბეღნიერებას
განა რამე შეედრებაო? ჰოდა, აქამდე თუ სხვა ქმრებს აცურებდა ყინულზე,
უხლა თვითონ სვას შხამი და სამსალა. დიახ, მაპატიეთ, მაგრამ ასეთი ახსნა-
განმარტება აუცილებელი იყო!.. საწყალი, საწყალი, ქმარი! მაშ! — ისე ას-
ლუკუნდა ენოტისქურქიანი, გეგონებოდა, საღაც არის, მოთქმასაც დაიწყებსო.

— აჲ! ყველას ჯანდაბის იქით ჰქონია გზა! — სიბრაზისაგან კბილები და-
აკრაჭუნა ახალგაზრდამ, — განა ქვეყნად ცოტა სულელია? თქვენ თვითონ
ეინ ხართ?

— აბა, ამის შემდეგ, დამეთანხმებით და... მე კი კეთილშობილი და
ილალი ვარ თქვენთან... ასეთი კილო!

— მაპატიეთ, ბატონო ჩემო, ბოლიშს გიხდით, მაგრამ გვარი არ უნდა
მითხრათ თქვენი?

— ჩემი გვარი რად გინდათ?

— აჲა!!

- გვარს ვერ გეტყვით...
- შაბრინს იცნობთ? — უცრად ჰყითხა ახალგაზრდამ?
- შაბრინს!!!
- დიახ, შაბრინს! ააჲა!!! (აქ ბეკეშისპალტოიანმა, ცოტა ას იყოს, გა-
ძოაჭარა ენოტისქურქიანი). მიხვდით?
- ვერა, ვერ მივხვდი; ბატონო ჩემო, აბა რა შაბრინი, რომელს შეატყი-
ნი! — სახტად დარჩა ენოტისქურქიანი, — შაბრინი სულ ტყუზღალ-ცხისეწუთ,
ეს დარბაისელი, პატივული კაცი! მაგრამ ეჭვიანი ბრძანდებით და თქვენს
უზრდელობას ამით ვამართლებ.
- ჰმ! დარბაისელი კი არა, თაღლითიაო, თქვეს, სინდისგარეცხილი, ძვე-
ლი გაიძვერა და მექრთამე! ხაზინის ფული ჩაუჭიბავს! მალე სამართალში მის-
ცემენ.
- მაპატიეთ, მაგრამ თქვენ შაბრინს არ იცნობთ, — უთხრა გაფითრე-
ბულმა ენოტისქურქიანმა, — ჩანს, თვალითაც არ გინახავთ ის კაცი.
- არა, ნახვით არ მინახავს, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან გავიგი.
- აბა რომელი სარწმუნო წყაროებიდან გაიგეთ, მოწყალეო ხელმწიფევ?
ატი გითხარით, ჩემს ჭიუაზე ვერა ვარ-მეთქი...
- სულელი და ეჭვიანიაო, მითხრეს! ცოლისთვის ვერ მოუკლიაო! აი
ვინ ყოფილა „ის თქვენი შაბრინი, თუკი ძალიან გესიამოვნებათ!
- მაპატიეთ, მაგრამ სცდებით, საშინლად სცდებით, ახალგაზრდავ...
- აჲ!
- აჲ!
- ბობინიცის ბინიდან ხმაური მოისმა. მერე კარი გამოილო, კარს უკან
ვიღაცები ლაპარაკობდნენ.
- აჲ, ეს სხვა ქალია, სხვა ქალი! იმ ქალს ხმაზე ვიცნობ. ახლა კი ყველა-
ფერი გავიგე! — თქვა ენოტისქურქიანმა და გაფითრდა.
- ჩუმად!
- ახალგაზრდა კაცი კედელს მიეყრდნო.
- მოწყალეო ხელმწიფევ, უნდა გავიქცე. ეს სხვა ქალია. მოხარული
ვარ, მოხარული.
- ჰმ, წაბრძანდით, წაბრძანდით!
- თქვენ კი რას უყურებთ?
- თვითონ რას ელოდებით ნეტავი?
- კარი ვაილო, ენოტისქურქიანმა ვეღარ მოითმინა და კიბეზე კისრისტე-
ნით ჩასრიალდა.
- ახალგაზრდა კაცის წინ ვიღაც მამაკაცმა და ქალბატონმა ჩაიარეს. ბეკე-
შისპალტოიანი გაირინდა იმიტომ, რომ მან ჯერ ქალის ნაცნობ ხმას მოჰკრა-
ჯური, მერე კი კაცის ჩახლეჩილი, სრულიად უცნობი ხმაც გაიგონა.
- არა უშავს რა, ახლავე ვუბრძანებ, მარხილი მოგვარონ, — გაისმა
ჩახლეჩილი ხმა..
- აჲ! კარგი, კარგი, თანახმა ვარ, უბრძანეთ..
- ახლა ისინი იქ იქნებიან.
- ქალი მარტო დარჩა.
- გლაფირა, სად არის შენი ერთგულების ფიცი? — შეჰყვირა ახალგაზ-
რდამ და ქალს ხელი ჩაავლო.

— ვაიმე! ეს ვინ არის? აქ! შენი ხარ, ტვოროვოვ? ლმერთო ჩემო! აქ
რას აკეთებთ?

— იქ ვისთან იყავით?

— ეს ჩემი ქმარი იყო. წალით, დაუყოვნებლივ წალით, თორემ ახლავა
გამოვა... პოლოვიცინებიდან. წალით, ღვთის გულისათვის, ახლავე. წალით!

— პოლოვიცინები სამი კვირის წინათ გადასულები ჰქონდა. მაცველებული ვიცი

— ვაიმე! — ქალი კიბისაკენ გაიქცა, ახალგაზრდა ქაცი დაეწია.

— ვინ გითხრათ? — ჰქითხა ქალმა.

— თქვენმა მეულლემ მითხრა, ქალბატონო, ივან ანდრეევიჩმა. ის აქ დგას,
თქვენ წინ...

ივან ანდრეევიჩი მართლა კიბესთან იდგა.

— ვაძ! ეს თქვენა ხართ? — შეჰყვირა ენოტისქურქიანმა.

— აქ! c'est vous?¹ — შეჰყვირა გლაფირა პეტროვნამაც და აღსალი
სიხარულით გაექანა მისკენ, — ლმერთო ჩემო! იცი, რა ამბავი გადამხდა?
პოლოვიცინებთან ვიყავი სტუმრად. წარმოგიდგენია? ისინი ახლა იზმაილოვის
ხილთან ცხოვრობენ. აკი შენთვის ნათქვამი მაქვს, გახსოვს? წამოსვლისას იქ
მარხილი ავიყვანე. აღგილს რომ მოვწყდით, ისე გაგიუდნენ, ისე გრიგალივით
გაქანდნენ ცხენები, მარხილი გადაბრუნდა და ნაფორებად იქცა. მე ას ნაბიჯზე
დავეცი იქიდან. მერე მეეტლეებმა წამომიყვანეს გულწასული, მაგრამ საბერ-
ნიეროდ monsieur² ტვოროვომა...

— ვინ?

(M-r) ტვოროვოვი გაქვავებულ ადამიანს უფრო დამგვანებოდა, ვიდრე
(m-r) ტვოროვოს.

— Monsieur ტვოროვომა აქ დამინახა და ჩემი გაცილება იყისრა, მაგრამ
ახლა თქვენ აქა ხართ. ამიტომ დიდზე დიდი, მხურვალე მაღლობა უნდა გამო-
ვიცხიდოთ, ივან ილიჩ...

ქალმა ხელი გაუწოდა სახტად დარჩენილ ივან ილიჩს და ჩამოართვა კი
რა უჩქმიტა კიდეც.

— Monsieur ტვოროვო! ჩემი ნაცნობი. სკორლუპოვების მეჯლისზე
შევხვდით ერთმანეთს. მგონი, ნათქვამი მაქვს შენთვის, ნუთუ არ გახსოვს,
კოქო?

— აქ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! აქ! მახსოვს! — თქვა ენოტის-
ქურქიანმა, რომელსაც თურმე კოქოს ეძახდნენ, — ძალიან სასიამოვნოა.
ძალიან.

და ენოტისქურქიანმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი ბატონ ტვოროვოს.

— მანდ ვისთანა ხართ? ეს რას უნდა ნიშნავდეს? — ვაისმა უცებ ჩახ-
ლეჩილი ხმა, — გელოდებით...

ჩვენი ნაცნობების წინ მაღალ-მაღალი კაცი აიტუზა, აწოწილმა ჭიბიდან
ლორნეტი ამოილო და უურადლებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ენოტისქურ-
ქიანი.

— აქ monsieur ბობანიცი! — აჭიქიჭდა ქალი. — საიდან სა-
საო? ლმერთო ჩემო, რა შეხვედრაა! წარმოგიდგენიათ, წელან მარხილის ქვეშ

1. ეს თქვენა ხართ? (ურან.).

2. ბატონი (ურან.).

მოვყევი... მაგრამ აგერ ჩემი ქმარი. Jean¹ ბობინიცინი, კარპოვების მეჯლისზე...

— აჲ! ძალიან, ძალიან, ძალიან სასიამოვნოა! ახლავე კარეტას მიუვყვან. ჩემო მეგობარო.

— მომიყვანე, Jean, მომიყვანე, თორემ ისე ვარ შეშინებული მოლად ვკანკალებ. სადაც არის, გული წამივა... დღეს მეჯლისზე, ზედ ჩაუჩიტებულა ტვოროვოვს... — ნახვამდის, ნახვამდის, ბატონო ბობინიცინ! ალბათ ხვალ კარპოვების მეჯლისზე შევჩვდებით ერთმანეთს... — ჩაულაპარაკა ბობინიცინს.

— მაპატიეთ, მაგრამ ხვალ არ ვიქნები. რაკი დღეს არ გამოვიდა, ხვალ ისა.. — კიდევ რაღაცა გამოსცრა კბილებქვეშ ბატონმა ბობინიცინმა, ჩექმა ჩექმას შემოჰკრა, ჩაჭდა მარხილში და გზას დაადგა.

ამასობაში კარეტაც ჩამოდგა და ქალი შიგ ჩაჭდა. ენოტისქურქიანი კი ერთ ადგილას დარჭობილიყო ,ეტყობოდა, ისე იყო გაშეშებული, ბიჭიც ვერ გადაედგა. იგი უაზროდ მისჩერებოდა ახალგაზრდა კაცს ,რომელსაც სახეზე უგერგილო ლიმილი ეხატა.

— ვერაფერი გამიგია... — თქვა ბოლოს ენოტისქურქიანმა.

— მაპატიეთ, ძალიან მოხარული ვარ, რომ გავიცანით, — ცნობისმოყვარეობით უპასუხა შეცბუნებულმა ბეკეშისპალტოიანმა და თავი დაუკრა.

— ძალიან, ძალიან მოხარული ვარ...

— მეონი, კალოში გაგძვრათ...

— მე? ოჲ, მართლა გამძრობია! რამდენჯერ განვიზრახე, რეზინისას ვიყიდი-მეთქი, მაგრამ...

— რეზინისამ, მეონი, ოფლი იცის, ბატონო ჩემო, — უსაზღვრო თანაგრძნობით უპასუხა ახალგაზრდამ.

— Jean, მალე წამოხვალ?

— სწორედ რომ ოფლი იცის. ახლავე, ახლავე, ჩემო კარგო. აქ ისეთი საინტერესო საუბარი ჩამოვარდა ჩვენ შორის!.. დიახ, როგორც მართებულად შენიშვნეთ, ოფლი იცის... თუმცა მაპატიეთ, მე...

— რას ამბობთ, ბატონო ჩემო.

— ძალიან, ძალიან, ძალიან მოხარული ვარ, რომ გავიცანით...

ენოტისქურქიანი კარეტაში ჩაჭდა. კარეტა დაიძრა. ბეკეშისპალტოიანი კი ერთ ადგილას დარჭობილიყო და გაოგნებული მისჩერებოდა მიმავალ კარეტას.

II

მეორე დღეს იტალიურ ოპერაში რომელილაც წარმოდგენა გადიოდა. ივან ანდრეევიჩი ყუმბარასავით შეიჭრა დარბაზში. მანამდე კი არასოდეს შეუნიშნავთ მისთვის ასეთი *furore*², ასეთი გატაცება მუსიკით. ყოველ შემთხვევაში დანამდვილებით იყო ცნობილი, რომ ივან ანდრეევიჩს ძალიან ყვარებია ერთი-ორი საათით ძილის გამოჭიმვა იტალიურ ოპერაში. ეს კი არადა რამდენჯერმე უთქვამს კიდეც მეგობრებისთვის: ოპერაში რომ მძინავს, სიამტკბილობას და ნეტარებას განვიცდიო, ისე დამკრუტუნებს და დამკრუტუნებს

1. უან (ფრანგ.).

2. შმაგობა (იტალიური).

პრიმარონა, თითქოს თეთრი კატა იავნანას მიმღეროდესო. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, შარშანდელ სეზონში. ახლა კი ვაი რომ ივან ანდრეევიჩი შინაც ვერ იძინებს ლამლამობით. მიუხედავად ამისა, ჩვენი გმირი მაინც თავ-ქუდმოგლეჭილი შეიჭრა ხალხით გაჭედილ დარბაზში. ისე რომ კაპელდინერმა უნდოდ გადახედა, მერე კი თვალი მისი უბის ჯიბისკენ გააპარა, დგება იქ უ-ველი შემთხვევისათვის დამალული ხანჭლის ვადა ფრთხოების უქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იმხანად მაყურებლები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი და. ორივე თავის პრიმარონას¹ ქოშაგობდა. პირველი ჯგუფის წარმომადგენ-ლებს ზისტებს ეძახდნენ, მეორისას კი — ნისტებს. ორივე ჯგუფი ისე იყო ჩამწვარი მუსიკაში, კაპელდინერებს ეშინოდათ კიდევ, ვაითუ ორივე პრიმა-დონას მშვენიერმა და ამაღლებულმა ხელოვნებამ მეტისმეტი ალტკინება ვა-მოიწვიოსო. იმ რატომ იყო, რომ შეიჭრა თუ არა დარბაზში ეს თმაჭალარა, ასე თრმოცდაათ წელს მიტანებული, ქაჩალი, მაგრამ გარეგნულად დარბაისელი კაცი, კაპელდინერს უნებლიერ გაახსენდა დანის პრინცის პამლეტის ამაღ-ლებული სიტყვები:

ბებრებს თუ ასე აულიათ ხელი ნამუშევ.

მაშ, რა მოვთხოვოთ, რა მოვყითხოთ ახალგაზრდობას?²
და ასე შემდეგ.

ჭოდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, თვალი მისი უბის ჯიბისკენ გააპარა, ალბათ იქ დამალულ ხანჭალს დავუნახავო. მაგრამ ივან ანდრეევიჩს ჯიბეში საფულე ედო და მეტი არაფერი.

ასე შეიჭრა ჩვენი გმირი დარბაზში, გაიხედ-გამოიხედა, ბოლოს მეორე იარუსის ლოუებიც შეათვალიერა და ჰოი, საშინელებავ! ის ქალი ლოუაში არ გამოჭიმულიყო აქვე ბრძანდებოდა გენერალი პოლოვიცინი მეულლესა და ცოლისდასთან ერთად. ამავე ლოუაში ისხდნენ გენერლის ცქვიტი, სიცოცხ-ლით სავსე ადიუტანტი და ვიღაც სამოქალაქო პირი... ივან ანდრეევიჩი გაფა-ციცებით დააკვირდა ამ უკანასკნელს და, ჰოი, საშინელებავ! სამოქალაქო პირი მუხანათურად ამოეფარა ადიუტანტს და მისი ვინაობა საიდუმლოებით მოცული დარჩა.

ჰოი, ქალი აქ იყო, თუმცა კი ნათქვაში ჰქონდა, ოპერაში წასვლას სულაც არ ვაპირებო! ჭოდა, ივან ანდრეევიჩისაც სწორედ ის უკლავდა გულს, რომ ქალი ყოველ ფეხის გადადგმაზე თრპირობდა. ახლა კი ამ სამოქალაქო პირმა სულ მოსპო ჩვენი გმირი. იგი სრულიად განადგურებული ჩაეშვა სავარძელში. ვითომ რა მიზეზით? ეს ხომ სულ უბრალო ამბავი იყო...

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ივან ანდრეევიჩის სავარძელი ბენუარის გვერდით იდგა .ამასთან ის თარსი ლოეა ისე გადმოჰყურებდა ზემოდან მის სავარძელს, რაც გინდა იქ მომხდარიყო, სამწუხაროდ, მაინც ვერ შენიშნავდა. სამაგიეროდ ბოლმა ახრჩობდა. მთელი პირველი მოქმედება ისე დამთავრდა, ერთი ნოტიც არ გაუგონია. ამბობენ, მუსიკა იმითაც არის კარგი, რომ ამ ხე-ლოვნებით გამოწვეული შთაბეჭდილება შეიძლება ყოველგვარ გუნება-განწყო-ბილებას შეუხმატებილდესო. დალხინებული ადამიანი სიხარულს ჰპოვებს მუ-სიჭაში, დამწუხარებული კი — მწუხარებასო. ივან ანდრეევიჩის ყურს ახლა

1. პრიმარონებში იგულისხმება იტალიური ოპერის ორი სახელგანთქმული სოლისტი — ტერეზა დე უაული ბორსი (1817—1877) და ერმინიი ფრეცოლინი (1818—1884), რომლებიც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ (მთარგმნ. შენიშვნა).

2. დოსტოევსკის შესტად არ მოჰყვეს რუსული თარგმანის ტექსტი (მთარგმნ. შენიშვნა).

ზათქი და გრგვინვა ესმოდა. დასასრულ, ისეთი საზარელი ყვირილიც ისმოდა წინიდან, უკნიდან და გვერდიდან, რომ ჩვენს გმირს ლამის გული გასკეომოდა. ბოლოს მოქმედებაც დამთავრდა. მაგრამ სწორედ იმ წამს, როცა ჭავშვა ფარდა, ივან ანდრეევიჩს ენით უწერელი ფათერაკი შეემთხვა.

ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ლოუების ზედა იარუსებიდან აფეშას წერტილები გადასახლდება ხოლმე. თუ პიესა უინტერესოა და მაყურებლები ამთქნარებული შესახვეს ეს მთელი სეირია. უნდა უყურო, რა სიამოვნებას განიცდიან ისინი, როცა ეს ფარატინა, ფარფარით წამოსული ქალალდი სავარძლების ზემოთ კამარას შეკრავს და ასეთი შემთხვევისათვის სრულიად მოუმზადებელ მაყურებელს ზედ თავზე დაუფინება. მართლაცდა, ძალიან სასეიროა, როცა ეს თავზე ქალალდდაფენილი მაყურებელი დაირცხვენს (იმიტომ რომ იგი აუცილებლად გაიწურება სირცხვილის ოფლში), თუმცა მე უფრო დურბინდები მაშინებსა, მანდილოსნები ლოების კიდეზე რომ დებენ ხოლმე. ხშირად ისე მგონია, საღაც არის ჩამოვარდება და ამნაირი შემთხვევისათვის მოუმზადებელ მაყურებელს ზედ თავზე დაეცემა. მაგრამ, როგორც ვატყობ, ასეთ ტრაგიკულ შემჩნევას უადგილოდ ვიძლევი. ამიტომ ეს შემჩნევა ფელეტონებისათვის გამოიყენონ იმ გაზეთებმა, რომლებიც გვიცავენ სიცრუისაგან, უსინდისობისა და ტარაკანებისაგან, თუკი ასეთი ტარაკანები გყავთ შინ. ამასთანავე ვურჩევ, აუცილებლად მოიშველიონ ცნობილი ბატონი პრინჩიპე, მთელ დუნიაზე უველა ტარაკანის დაუძინებელი მტერი და მოძულე, მარტო რუსული ტარაკანების კი არა, საზღვარგარეთულისაც, მათ შორის პრუსიულ ტარაკანებსაც ვგულისხმობ და ასე შემდეგ.

ივან ანდრეევიჩს კი ისეთი ფათერაკი შეემთხვა, რომლის მსგავსი არსად და არავის აუწერია. მრცხვენია კიდეც იმის გამხელა, რომ ჩვენს ეჭვიან, გალიზიანებულ ივან ანდრეევიჩს, ნაწილობრივ ქაჩალ, მაგრამ ლირსეულ თავზე ისეთი უკადრისი საგანი დაეფინა, როგორიც არის, მაგალითად, სასიყვარულო სურნელმოპკურებული ბარათი. ამ სრულიად გაუთვალისწინებელი, მიწასთან გამასწორებელი შემთხვევისათვის კი საწყალი ივან ანდრეევიჩი სულაც არ იყო მზად: ამიტომ იგი ისე შეკრთა, თითქოს თავზე ვირთხა ან სხვა რომელი გამარტინი მხეცი დაეჭიროს.

ბარათი რომ სასიყვარულო შინაარსისა იქნებოდა, ამაში ეჭვსაც ვერ შეტანდი. დაწერილი იყო სურნელმოპკურებულ ქალალდზე, სწორედ ისე, როგორც იწერება ბარათები რომანებში. ამასთან ისე იყო დაცეცილი, მანდილოსანი ხელთათმანში ითლად შეიმალავდა. ჩამოვარდნით კი შემთხვევით უნდა ჩამოვარდნილიყო, ხელიდან ხელში გადაცემის დროს. როგორმე აფიშას მოიკითხავდნენ, მაგალითად, შიგ მოხერხებულად ბარათს შეხვევდნენ, მერე კი გარკვეულ პირს გადასცემდნენ ხელში, მაგრამ საკმარისი იქნებოდა, ოდნავ ხელი ეკრა აღიურანტს, მარიტათიანად რომ მოიხდიდა ბოლიშს თავისი მოუქნელობისათვის, და შემცბარ მანდილოსანს პაწია, აკანკალებული ხელიდან გადარდებოდა ბარათი. იმ სულსწრაფ სამოქალაქო პირს კი, მანდილოსნისკენ რომ გადაიხრებოდა ბარათის გამოსართმევად, ცარიელი აფიშალა შერჩებოდა ხელში. უცნაური, უსიამოვნო შემთხვევაა, განა მართალს არ ვამბობ? მაგრამ დამეთანხმებით, რომ იქან ანდრეევიჩისათვის ეს შემთხვევა კიდევ უფრო უსიამოვნო იყო.

— Prédestiné,¹ — ჩაიჩურჩულა ივან ანდრეევიჩმა, სიმწირის ოფლი დაასხა
და ბარათი მოჭმუჭნა, — prédestiné, — დამნაშავეს ტყვია მოელის, — თქვა
გულში, — თუმცა არა! მე რაში ვარ დამნაშავე? არა, ჩემზე ხუდისხვა ანდაზაა
ზედგამოჭრილი: უბედურ კაცს ქვა აღმართშით და ასე შემდეგ.

მაგრამ რას არ ვაიფიქრებს ამნაირი მოულოდნელი შემთხვევებისაგან ზარ-
დაცემული კაცი! ივან ანდრეევიჩი, როგორც იტყვიან, უცულტადებული იჯდა
სკამზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს შემთხვევა ყველამ შენიშნა, თუმცა
ამ დროს მომლერალი ქალი გამოიძახეს სცენაზე და ირგვლივ ერთი ჭვირილი
და შეძახილ-შემოძახილი ატყდა. სირცხვილისაგან შეჭარხალებულს ისე ჩაექი-
და თავი, თითქოს ამ მშვენიერ, ხალხმრავალ საზოგადოებაში უღირსი საქ-
ციელი ჩაედინოს, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა ივან ანდრეევიჩმა და თავი
ასწია.

— რა დიდებულად მღეროდა, ბატონო ჩემო! — უთხრა მან ვიღაც კოხ-
ტაპრუწას, რომელიც ხელმარცხნივ ეჭდა.

გრძნობამორეულმა, აღტაცებულმა მოსულმა კოხტაპრუწამ, თავგამოდებუ-
ლი რომ უკრავდა ტაშს და ფეხებსაც იშველიებდა, უგულისყუროდ გადახედა
ივან ანდრეევიჩს. მერე ხმის გასაძლიერებლად პირზე ხელები დუმბულივით
ითვარი და მომლერალი ქალის სახელი დაიყვირა. თვალიც არ მოუკრავსო, გა-
იფიქრა ივან ანდრეევიჩმა და უკან მიიხედა. იქ, უკანა რიგში, ვიღაც მსუქან-
მსუქანი კაცი იჯდა, რომელმაც ივან ანდრეევიჩს ზურგი შეაქცია და ლოუები
ლორნეტით შეათვალიერა. ვერც ეს შეასწრებდა თვალსო, თქვა გულში. წი-
ნიდან კი, რა თქმა უნდა, ვერაფერს დაინახავდნენ. ჰოდა, ახლა გახარებულმა
ალმაცერად გაიხედა ბენუარისკენ, რომლის გვერდით იდგა მისი სავარძელი,
და შიშის ოფლი დაასხა: იქ ერთ ლამაზმანს პირზე ცხვირსახოცი იეფარა, სა-
ვარძლის ზურგს მიწოდილიყო და გაუივით კისკისებდა.

— ოჰ, დამანელეს ამ ქალებმა! — ვაიფიქრა ივან ანდრეევიჩმა და მაყუ-
რებლების ფეხებზე გადავლით გასასვლელისკენ გაალაჭა.

ახლა კი მკითხველებს ვთხოვ, ერთად განგვსაჭონ მე და ივან ანდრეევიჩი.
რუთუ ჩვენი გმირი მართალი იყო ამ დროს? როგორც ცნობილია, დიდი თე-
ატრი შედგება ხუთი იარუსისაგან .აქედან პირველ ოთხზე ლოჟებია მოთავ-
სებული, მეხუთეზე კი — გალერეა. იმიტომ რატომ მაინცდამაინც იმ ლოუებიან
უნდა ჩამოვარდნილიყო ბარათი და არა სხვა რომელიმე, ვთქვათ, მეხუთე ია-
რუსიდან? იქაც ხომ სხედან ხოლმე ქალები. რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ
ვნებათა ლელვა განსაკუთრებული გრძნობაა, ხოლო ეჭვიანობა ჭველაზე უფ-
რო განსაკუთრებულია დედამიწის ზურგზე.

ივან ანდრეევიჩმა ფორეში შეირბინა, ლამპის ქვეშ გაჩერდა, ბარათი გაბ-
სნა და წაიკითხა:

„დღეს, წარმოდგენის დაშთავრებისთანავე, გ—იაზე, XXX ჩიხის კუთ-
ხეში რომ K სახლია. სართული მესამე, კიბის ხელმარჯვნივ, შესასვლელი
სადარბაზოდან. მოღი იქ. sans faute,² ღვთის გულისთვის“.

ივან ანდრეევიჩმა ხელი ვერ იცნო, მაგრამ პაემანს რომ უნიშნავდნენ,

1. განგების ძალა (ფრანგ.).

2. უთუოდ (ფრანგ.).

ამაში ეჭვიც არ შეპარეთ. ამიტომ მიზნად დაისახა დაეჭირა ქალი და ბოროტება სათავეშივე აღმოეფხვრა. გადაწყვიტი კიდეც, ანლავე, აქვე წავადგები თავსო, მაგრამ რა ზომებისთვის უნდა მიემართა, ეს კი არ იცოდა. მან შეორე იარუსზე აირბინა და მაშინვე წინდახედულად გამობრუნდა უკან. ურთ კულას ვერ მოისვენა. საქმე რომ არა ჰქონდა რა, მეორე მხრიდან შემორბინა და სხვისი ლოების ლია კარიდან გაიხედა საპირისპირო მხრისკენ, კუმაშე ფსე! ხუთივე იარუსზე ვერტიკალური მიმართულებით ახალგაზრდა ჭრის ტაქტიკა ცეცხლის უკან ცეცხლი ისხდნენ. ამიტომ შეიძლებოდა ბარათი ხუთივე იარუსიდან ჩამოვარდნილიყო, ვინაიდან ივან ანდრეევიჩის აზრით ყველა იარუსი მის წინააღმდეგ იყო შეთქმული. მთელი მეორე მოქმედების განმავლობაში ყველა დერეფანი შემოირბინა, მაგრამ მშფოთვარე სული მაინც ვერ დაიყუჩა. ბოლოს სალაროში შესვლაც კი დააპირა, ეგება მოლარისაგან მაინც გავიგო იმ ქალბატონების ვინაობა, ოთხივე იარუსის ლოებში რომ სხედანო, მაგრამ სალარო დაკეტილი იყო. ამასობაში წარმოდგენაც დამთავრდა, დასცხეს ტაში, გამოიძახეს მსახიობები. ჯვალაზე უფრო ხმამალლა კი ზისტები და ნისტები ყვიროდნენ, მაგრამ ივან ანდრეევიჩის ახლა მათთვის არ ეცალა: ჩვენს გმირს სულ იმ ქალთან შეხვედრის გეგმა უტრიალებდა თავში. ბოლოს ბეკეში ჩაიცვა და გ-ისაკენ გაქანდა, რომ იქ თავს წადგომოდა, ემხილა და საერთოდ გუშინდელზე უფრო ვაუკაცურად მოქცეულიყო. მალე იმ სახლსაც მიაგნო, მაგრამ შედგი თუ არა ფეხი სადარბაზოში, გვერდით ისე ჩაუქროლა ვიღაც პალტოიანმა კოხტაპრუწამ, თითქოს ხელებში გასხლტომოდეს. ივან ანდრეევიჩის მოეჩვენა, რომ ეს იგივე კოხტაპრუწა იყო, თუმცა ხეირიანად ვერც მაშინ გაარჩია მისი სახე. ჩვენს გმირს გულმა რეჩხი უყო. კოხტაპრუწამ უკვე ორი კიბით გაუსწრო მას. მერე ივან ანდრეევიჩმა გაიგონა, როგორ გაუღეს კოხტაპრუწას კარი მესამე სართულზე, ისე გაუღეს, ზარიც არ დაურეკავს. ალბათ ელოდებოდნენ კიდეც. ახალგაზრდა ბინაში შესრიალდა. ივან ანდრეევიჩი კი სწორედ მაშინ აეიდა მესამე სართულზე, როცა კარი ჯერ კიდევ არ იყო მიხურული. შესვლა კი, რასაკვირველია, არ უნდოდა. მოდი, სანამ გადამწყვეტ ნაბიჯს გადავდგამდე, ცოტა ხანს კარის წინ გავჩერდები, ყველაფერს ავწონ-დავწონი და გულს მოვიბრუნებო, ფიქრობდა. მაგრამ ამ დროს სადარბაზოდან კარეტის გრიალი მოისმა, მერე ხმაურით გაიღო კარი და ვიღაცა ნელა, ხვეშა-ხვეშით და ხველებ-ხველებით ამოვიდა კიბეზე. ივან ანდრეევიჩმა თავი ვერ შეიკავა, კარი გამოაღო და მოტყუებული ქმრის საზეიმო იერით შეალაჭა ოთახში. უცებ გასთან შეშფოთებული მოახლე მოფრიალდა, მერე კი ვიღაც კაციც გადაეღობა, მაგრამ ივან ანდრეევიჩის შეჩერება ახლა შეუძლებელი იყო. ჩვენი გმირი უშმბარიასავით შეიჭრა ბინაში, ორი ჩაბნელებული ოთახი გაიარა და საძილე თოთახში ახალგაზრდა ლამაზმანის წინაშე აღმოჩნდა. ქალი შეკრთა, ისე თავ-ზარდაცემული მიაჩერდა ივან ანდრეევიჩს, თითქოს ვერც კი გაეგო, რა ხდებოდა ორგვლივ. იმავ წამს მეზობელი ოთახიდან მძიმე-მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა, ვიღაცა პირდაპირ მოდიოდა საძილე თავისისაკენ. ეს სწორედ ის კაცი უნდა ყოფილიყო, წელან რომ კიბეზე ამოდიოდა.

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ ჩემი ქმარია! — შეპკივლა ლამაზმანმა, ხელი ხელს შემოჟრა და თავის პენუარზე უფრო გაფითრდა.

ივან ანდრეევიჩი მიხვდა, რომ იქ არ მოხვედრილა, სადაც უნდა შესულიყო, რომ სულელური, ბავშვური ნაქციელი ჩაიდინა, კარგად ვერ აწონ-

დაწმნა თავისი ნაბიჭი და საკმაო ხანს არ იყოყმანა კიბეზე. მაგრამ მეტი რა ჩარა იყო. უკვე იღებოდა კარი, უკვე შემოდიოდა დამძიმებული მეულლე, თუკი ფეხის ხმის მიხედვით ვიმსჯელებდით... ჰოდა, ღმერთმა უწყის, იმ წამს თავი რა კაცად წარმოედგინა ივან ანდრეევიჩს! ვერც იმას ვიტყოდი, რამ შეუშალი ხელი, რომ მისულიყო და გამოტეხილად ეთქვა: მაპატიურ, შეუგნებელი, უხამსი საქციელი ჩავიდინეო, მერე კი ბოლიში მოუხადა: და-მიშალული უს. ეს მისთვის დიდი პატივი იქნებოდა-მეთქი, ცხადია, ვერ ვიტყოდი, მაგრამ ასეა თუ ისე, კეთილშობილი და გულახდილი კაცის შთაბეჭდილებას კი დატოვებდა. მაგრამ გავიგონია! თითქოს რომელიმე დონ-უუანი ან ლოველასი ყოფილიყოს, ჩვენი გმირი კვლავ პატარა ბიჭივით მოიქცა. ივან ანდრეევიჩმა ჯერ საწოლთან ფარდა შემოიფარა, მერე კი, სულ რომ წაერთვა სასოება, იატაქზე განერთხო და უაზროდ შეძვრა საწოლქვეშ! ეტყობა, შიშმა მოფიქრების უნარი წაართვა. ივან ანდრეევიჩი, რომელიც თვითონ იყო მოტყუებული ქმარი ან, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ეგონა, სხვა ქმართან შეხვედრას ვერ აიტანდა. ალბათ ეშინოდა კიდეც, ვაითუ ჩემი აქ ყოფნით შეურაცხოფა მივაყენო. მაგრამ ასეა თუ ისე, თავისდაშეუგნებლად შეძვრა საწოლქვეშ. ყველაზე უფრო საოცარი მაინც ის იყო, რომ ქალს წინააღმდეგობა სულაც არ გაუწევია, პირიქით, კრინტიც არ დაუძრავს, როცა ვიღაც შექანებული ხნიერი ვაჟბატონი თავშესაფარს ეძებდა მის საძილე ოთახში. ეტყობა, ლამაზ-მანს შიშისაგან ენა წართმეოდა.

ქმარი ოხერით, ხვეწით და ვიშვიშით შემოვიდა, ცოლს ბებრული წამლერებით მიესალმა, და ისე ჩაეშვა სავარძელში, თითქოს ეს-ეს არის მთელი ტვირთი შეშა მოეთრიოს. მერე დიდხანს და ყრულ აზველებდა. ივან ანდრეევიჩი, აქამდე რომ ვეფხვად გრძნობდა თავს, ახლა კრივივით გამოიყურებოდა. ჩვენი გმირი ისე იყო დაფეხებული, თაგვი რომ დაფრთხება კატის დანახვისას. შიშისაგან სული კოჭებში გაპარვოდა, თუმცა საკუთარი გამოცდილებით უნდა სცოდნოდა, ყველა მოტყუებული ქმარი რომ არ იქბინება. მაგრამ ეს წარმოსახვის უქონლობის ან ძრწოლის გამო აზრადაც არ მოსვლია. როგორმე უფრო მოხერხებულად რომ წოლილიყო, ფრთხილად, ხელის ცეცებით გასწორდა წელში, მაგრამ, რომ იტყვიან, პირს კატა ეცა, როცა ხელით რაღაც საგანს შეეხო. საგანი ჯერ შეინძრა, მერე კი მისდათავად ხელზე ხელი სტაცა, ივან ანდრეევიჩს. აქ კი ჩვენი გმირი მიხვდა, რომ საწოლქვეშ სხვა კაციც შეძვრალიყო...

— ვინ ბრძანდებით? — ჩაუჩურჩულა ივან ანდრეევიჩმა.

— მაშ, ახლავე მოგახსენებთ, ვინც ვარ! — ჩურჩულითვე უპისუხა ანირებულმა უცნობმა, — იწექით და კრინტი არ დასძრათ, რახან ხათაბალაში გაებით!

— და მაინც...

— ჩუმად-მეთქი!

გარეშე პირმა (იმიტომ რომ საწოლქვეშ ერთი კაცის ადგილიც ძლიერ იქნებოდა) ისე მაგრად მოუჭირა ხელი ივან ანდრეევიჩს, რომ კინალამ ააბლავლა.

— მოწყალეო ხელმწიფევ..

— სსსუუუ!

— ასე ნუ მომიჭირთ, თორემ ვიყვირებ.

— აბა ერთი ხმა ამოგილიათ!

ივან ანდრეევიჩს სირცხვილისაგან სახე წამოენთო. უცნობი გულქვა და ბრაზიანი ჩანდა. ეტყობა, ეს ის კაცი უნდა ყოფილიყო არაერთხელ რომ განუცდია დევნა და შევიწროება. ივან ანდრეევიჩს კი ამ საქმეში დახელოვნებულს ვერ ეტყოდი. ჩვენს გმირს ისე გაუჭირდა სივიწროვეში, წრულული იყიდ გულდალმა, რომ სული სასულეში მოებჯინა, მაგრამ მეტი რა ჩიტაც ჯყოფილი ჰქონდა.

— იცი, სულიკო, — დაიწყო ქმარმა, — დღეს პაველ ივანოვიჩთან ვიყავი სტუმრად და პრეფერანსის თამაში წამოვიწყეთ, მაგრამ ისე... ქხი-ქხი-ქხი! (ბებერს ხველება აუვარდა) ისე... ქხი-ქხი! ისე ამტკიცდა ზურგი. ქხი! ჯანდაბას ზურგი... ქხი-ქხი-ქხი!

და ბერიკაცი ხველებისაგან კინალამ გაიგუდა.

— ზურგი... — თქვა ბოლოს და თვალები ცრემლებით აევსო, — ზურგი ამტკიცდა-მეთქი... ეს წყეული ბუასილიც რომ არ მასვენებს! ჩემთვის არც ჟამაა, არც ძილი, არც ჭდომა და არც გავლა... ქხი-ქხი-ქხი!

ოთახში ისეთი ხანგრძლივი, გულის გამაწვრილებელი ხველება ატყდა, ითიქრებდი, ეს ხველება უფრო დიდხანს გაძლებს, ვიდრე ბერიკაცი, ამ ხველების პატრონიო. ხველების შუალედებში კი რალაცას ბულზუნებდა მოხუცი, მაგრამ ვერაფერს გაარჩევდი.

— მოწყალეო ხელმწიფევ! თუ ღმერთი გწამთ, იქით ჩაიწიეთ! — ჩურჩულებდა საწყალი ივან ანდრეევიჩი.

— ბრძანეთ, ბატონო, საით ჩავიწიო და ჩავიწევი. ადგილი არ არის.

— მაინც, მაინც, ახალგაზრდავ, დამეთანხმებით, რომ ასე წოლა შეუძლებელია. პირველად ვარ ასეთ უხამს მდგომარეობაში.

— მე კი ასეთ არასასურველ მეზობელთან.

— მოწყალეო ხელმწიფევ...

— ხმა ჩაიწყვიტეთ!

— ჩავიწყვიტო? მეტისმეტ უზრდელობას ხომ არ იჩენთ, ახალგაზრდავ? თუ არ ვცდები, ჭერ კიდევ ახალგაზრდა უნდა იყოთ. მე უფროსი ვარ თქვენზე.

— გაჩუმდით-მეთქი!

— მოწყალეო ხელმწიფევ! თავს ნუ აიგდებთ. არ იცით, ვისთანა გაქვთ საქმე:

— ერთ ვაებატონთან, რომელიც საწოლქვეშ წევს...

— მე აქ სიურპრიზმა მომიყვანა... ასე ვთქვათ, შეცდომით მოეხვდი. თქვენ კი, თუ არ ვცდები, უზნეობის წყალობით წევხართ საწოლქვეშ.

— აი ამაში კი შეცდით.

— მოწყალეო ხელმწიფევ! აკი მოგახსენეთ, თქვენზე უფროსი გახლავარ-მეთქი...

— მოწყალეო ხელმწიფევ! აქ ერთ ტაფაში ვიხრაკებით. ვთხოვთ, ხელს ნუ მიცაცუნებთ სახეზე!


— მოწყალეო ხელმწიფევ! აქ სახე კი არა, ვერაფერი გამირჩევია. უკაცრავად, მაგრამ ადგილი არ მყოფნის.

— მერედა, ასე გარუმბული რატომა ხართ?

— ღმერთო მალალო! ჩემ დღეში არ ვყოფილვარ ასე დამდაბლებული

— დიახ, უფრო დაბლა წოლა შეუძლებელია.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო ხელმწიფევ! არ ვიცი, ვინ ხართ
და რა კაცი ხართ. მე აქ შეცდომით მოვხვდი-მეთქი. აბა, ის კაცი/კი არა ვარ,
თქვენ რომ გეგონეთ...

— არაფერიც მეგონებოდა, მუჯლუგუნებით რომ  არ მიშასპინძლდებო-
დეთ. ჩუმაღ იყავით-მეთქი!

— მოწყალეო ხელმწიფევ! თუ არ ჩაიწევით, სადაც არის ,გული გამისკ-
დება, პასუხისმგებელი კი თქვენ იქნებით. გარწმუნებთ, პატიოსანი კაცი ვარ,
ოჯახის მამა. ასე ვერ გავძლებ.

— ოჰ! თვითონვე არ შემორგეთ თავი! აჰა, ადგილი. მეტს ვერ დაგით-
მობთ!

— კეთილშობილი კაცი ბრძანებულხართ, ახალგაზრდავ! წელან სულ
ტყუილად გისაყვედურეთ, — თქვა აღტაცებულმა და მაღლიერმა ივან ანდ-
რევიჩმა და დაბუჟებული ტან-ფეხი გაისწორა, — ვატყობ, თავს შევიწროე-
ბულად გრძნობთ, მაგრამ რას იზამ. ჩემზე კი გულში ცუდს ნუ გაივლებთ.
ნება მომეცით, თქვენს თვალში რეპუტაცია ავიმაღლო. საკუთარი ნება-სურ-
ვილის წინააღმდეგ ვწევარ საწოლქვეშ. აბა იმისათვის კი არა ვარ მოსული,
თქვენ რომ გეგონათ. პირდაპირ სული ქბილით მიჭირავს, ახალგაზრდავ.

— ბოლოს და ბოლოს ენას ჩაიგდებთ? რომ გაგვიგონოს, იცით, რა ამ-
ბავი დატრიალდება? სსსუუუ!... ლაპარაკობს. — ბებერ ქმარს, ეტყობოდა, ხვე-
ლება ცოტათი დაუწყნარდა.

— ავრე, სულიკო, — საცოდავად ხიხინებდა მოხუცი, — ავრე, ქხი-ქხი
ოჰ, რა უბედურება! იცი, ამას წინათ ფედოსეიმ მითხრა, ივანოვიჩმა, მელიკუ-
დას დალევა გეცადათო. მისმენ, სულიკო?

— გისმენთ, ჩემო მეგობარო.

— სწორედ ასე მითხრა, მელიკუდას დალევა გეცადათო. წურბლებიც
კი დავიყარე-მეთქი. არა, ალექსანდრ დემიანოვიჩ, მელიკუდას ვერაფერი შე-
ედრებათ. იცით, მელიკუდა გაგიხსნითო... ქხი-ქხი! ოჰ, ლმერთო ჩემო! შენ კი
რას მირჩევდი, ძვირფასო? ქხი-ქხი! ოჰ, მაღალო ლმერთო! ქხი, მაშ, მელი-
კუდა უნდა დავლიო?... ქხი-ქხი-ქხი! ოჰ! ქხი-ქხი და ასე შემდეგ.

— მე მგონია, ამ წამილს თუ დალევდით, ურიგო არ იქნებოდა, — უპასუ-
ხა მეულლემ.

— ჰო, ურიგო არ იქნებოდა! მერე მითხრა, თქვენ, ალექსანდრ დემია-
ნოვიჩ, ჰლექი უნდა გვირდეთო. ქხი-ქხი! არა, ნიკრისის ქარი და კუჭი მაწუ-
ხებს-მეთქი! ქხი-ქხი! კი, ჰლექიაო, შენ რას... ქხი-ქხი!.. რას მეტყოდი, ძვირ-
ფასო, ჰლექი მჭირს?

— ოჰ, ლმერთო ჩემო, ეს რა მითხარით?

— ჰო, ჰლექია! ახლა კი გაიხადე და დაწექი, სულიკო ქხი-ქხი! მე დღეს...
ქხი-ქხი!.. სურდო მჭირს.

— უჰ! — ამოიოხრა ივან ანდრეევიჩმა, — ლვთის გულისათვის, ცოტათი
ჩაიწიეთ!

— არ ვიცი, რა მოგდით, ბატონო ჩემო, პირდაპირ გაოცებული ვარ. ნუ-
თუ მშვიდად წოლი არ შეგიძლიათ?..

— ისე ხართ ჩემზე გაბრაზებული, ახალგაზრდავ, სულ იკბინებით. ამას
ვხედავ. ალბათ ამ ქალის საყვარელი ბრძანდებით?

— ჩუმად!

— არც გავჩუმდები და არც მბრძანებლად დაგისვამთ! ვატყობ, ამ ქალის საყვარელი ბრძანდებით. ჰოდა, თუ შეგვნიშნეს, დამნაშავე თქვენ იქნებით და არა მე. მე არაფერი ვიცი.

— თუ ენას არ ჩაიგდებთ, — კბილები დააკრაჭუნა ახალგაზრდამ, — ვიტყვი, რომ ამ ბინაში თქვენ შემომიტყუეთ. მერე ავდგები და შეიძინებულ გაგასალებთ, მთელი ქონება რომ გაანიავა. მაშინ ყოველ შემთხვევაში ჩემზე არ იფიქრებენ, საყვარელთან მოსულაო.

— მოწყალეო ხელმწიფევ! ასე ნუ დამცინით, თორემ სადაც არის, მოთმინების ძაფი გამიწყდება.

— ჩუ! კრინტი არ დასძრათ, თორემ ძალით გაგაჩუმებთ, თქვე მართლა ჩემ სატანჯველად მოვლენილო! ერთი მითხარით, აქ რისთვის შემოღით? თქვენ რომ არ ყოფილიყავით, როგორმე დილამდე გავძლებდი საწოლქვეშ. დილას კი დავკრავდი ფეხს და გავიპარებოდი.

— თქვენი ამბავი თქვენ იცით, მოწყალეო ხელმწიფევ, მე კი დილამდე ურ გავძლებ. კეთილგონიერი კაცი ვარ, გავლენიანი... როგორ ფიქრობთ, ნუ-თუ ლამის გათევას აპირებს?

— ვინ?

— ვინ და ეს ბებერი...

— რა თქმა უნდა, აპირებს. აბა ყველა ქმარი თქვენისთანა ხომ არ იქნება, შინაც ათევენ ხოლმე ლამეს.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო ხელმწიფევ! — შეჰყვირა თავზარდაცემულმა ივან ანდრეევიჩმა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეც შინა ვარ ხოლმე. ახლა პირველად მხედავთ ასეთ მდგომარეობაში. თუმცა, ლმერთო ჩემო, ვხედავ, გეცნობით. ვინ ხართ, ახალგაზრდავ? გეხვეწებით, ჩვენი უანგარო მეგობრობის გულისთვის მაინც მითხრათ, ვინ ხართ და საიდანა ხართ?

— ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ ძალას ვიხმარ...

— მომითმინეთ, ნება მომეცით, ყველაფერი გითხრათ, აგიხსნათ ეს უხამსი ამბავი...

— არც ახსნა-განმარტება მჭირდება და არც არაფერი ვიცი. ჩუმად იყალ-მეთქი, თორემ...

— მეტის მოთმენა რომ არ შემიძლია..

საწოლქვეშიდან მსუბუქი გაბრძოლების ხმა მოისმა და ივან ანდრეევიჩიც მიყუჩდა.

— ძვირფასო! იქ კატები ხომ არ ჩურჩულებენ?

— კატები? ლმერთო ჩემო, რას არ მოიგონებთ!

აშკარად ჩანდა, რომ ქალმა არ იცოდა, რაზე ელაპარაკა ქმართან. იგი ისე იყო თავზარდაცემული, გონს ვერ მოსულიყო. ახლა კი შეკრთა და ყურები ცევიტა.

— რა კატები?

— კატები-მეთქი, ძვირფასო. იცი, ამას წინათ, შინ რომ შემოვედი, ჩემს კაბინეტში ჩვენი მამალი კატა დამჭდარიყო, ვასკა, და შუ-შუ-შუო, ჩურჩულებდა. ვეუბნები, რა იყო, ვასენკა-მეთქი? ის კი ისევ ჩურჩულებს და ჩურჩულებს. ოპ, ლმერთო ჩემო, სიკვდილს ხომ არ მიქადის-მეთქი, გავიფიქრე.

- აბა, რაებს ამბობთ, გეთაყვა. გრცხვენოდეთ!
- კარგი, კარგი, ნუ გამიჯავრდები, ძვირფასო. ვატყობ, ჩემი სიკედილი არ გაგახარებს. ისე გითხარი. ახლა კი დაწექი, სანამ გაიხდილ, მე აქ ვიზდები.
- კარგი ერთი, ლვთის გულისათვის. მერე... 
- ნუ გამიჯავრდები, ნუ გამიჯავრდები! მგონია რე-თაგვეუჩე ფხაჭუნებლენ.
- კიდევ რა? ხან კატუბი ელანდება, ხან თაგვები. ლმერთმანი, ვერ გამიგია, რა გემართებათ.
- ჰო, კარგი, კარგი. ისე გითხარი... ქხი! ისე... ქხი-ქხი-ქხი! ოჰ, ლმერთო ჩემო! ქხი!
- გესმით? ისე წრიალებთ, ბებერმაც კი გაიგონა.— ჩაუჩურჩულა ახალგაზრდამ.
- რომ იცოდეთ, ახალგაზრდავ, რა დღეში ვარ! ცხვირიდან სისხლი მომდის.
- არა უშავს, იდინოს. ოლონდ ნუ იხმაურებთ. ცოტა ხანსაც დაიცადეთ და წავა.
- ახალგაზრდავ, შედით ჩემს მდგომარეობაში. ოც კი ვიცი, ვისთან ვწევარ.
- კიდევაც რომ იცოდეთ, ამით განა მდგომარეობა შეგიმსუბუქდებათ? მე ხომ არ გეკითხებით ვინაობას. ჰო, მართლა, რა გვარის ბრძანდებით?
- ჩემი გვარი რად ვინდათ, მე მხოლოდ ის უნდა ამესნა თქვენთვის, რა უაზროდ...
- სსსუუ! ისევ ლაპარაკობს.
- მართლა, ძვირფასო, რაღაც ჩურჩული მესმის.
- არა-მეთქი. ყურებში ბამბა ცუდად გაქვთ შედებული და ამიტომ გუჩვენებათ.
- ჰო, მართლა, ბამბაზე გამაბსენდა. იცი, სულიკო, აქ, ზედა სართულ-ზე... ქხი-ქხი! ზედა სართულ-ზე.. ქხი-ქხი-ქხი! და ასე შემდეგ.
- ზედა სართულ-ზეო! — ჩაიჩურჩულა ახალგაზრდამ, — აახ! დასწყევ-ლოს ეშმაკმა! მე მეგონა, ეს ბოლო სართული იყო. ნუთუ მეორე სართულ-ზე ვიმყოფებით?
- ახალგაზრდავ, — გული გადაუტრიალდა ივან ანდრეევიჩს, — თუ ლმერთი გწამთ, მითხარით, ეს რატომ გაინტერესებთ? მეც კი მეგონა, რომ მეორე სართულ-ზე ვიყავით. ნუთუ აქ მესამე სართულიც არის?..
- იქ მართლა ვიღაცები ჩახირობენ, — თქვა ბებერმა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ხველებამ გაუარი..
- სსსუუ! გესმით? — წაიჩურჩულა ახალგაზრდამ და ივან ანდრეევიჩს ხელები ჩაუჭირა.
- მოწყალეო ხელმწიფევ, ასე ნუ გამხეცდებით. ხელი გამიშვით-მეთქი!
- სსუუ!
- ისევ გაისმა გაბრძოლების ხმა და სიჩუმე ჩამოვარდა.
- ჰო, მართლა, დღეს ერთი ლამაზი ქალი შემხვდა... — დაიწყო მო-ხუცმა.
- რომ, ლამაზი ქალიო? — შეაწყვეტინა ცოლმა.

— ჰო, მაშ... ადრე არ გითხარი, კიბეზე ერთი ლამაზი ქალი შემხვდა-მეთქი. თუმცა არ ვიცი, მეხსიერება მლალატობს და ეგება არც კი მითქვამს. ამ კრაზანის... ქხი!

— რა თქვით?

— კრაზანის ნაყენი უნდა დამელია-მეთქი. მითხრეს, მოგიხდებაო... ქხი-ქხი-ქხი! ძალიან გარგებსო!

— ეს თქვენ შეაწყვეტინეთ, — კბილები დააკრაჭუნა ახალგაზრდაშ.

— მაშ, შენ ამბობ, დღეს ვიღაც ლამაზი ქალი შემხვდაო, არა?

— ჰა?

— ლამაზი ქალი შეგხვდა-მეთქი?

— ვის?

— შენ არ შეგხვდა?

— მე? როდის, ჰო, მართლა არა..

— როგორც იქნა, მიხვდა! ეს მთლიად მუმია არ ყოთის ა აბი თქვით, იქვით! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და გუნებაში წააქინა. კურ კუნი მოხუცი.

— მოწყალეო ხელმწიფევ! შიშისაგან ოფლში ვიწურები რიგოთო ჩემო! ეს რა მესმის! სწორედ ასე იყო გუშინაც!

— სსსუუუ!

— კი, კი, კი, გამახსენდა! დიდი ცულლუტი ქალი იყო. ისეთი თვალები პქონდა... ცისფერი ქუდი...

— ცისფერი ქუდიო? ააახ! ააახ!

— ღმერთო ჩემო, იმ ქალსაც აქვს ცისფერი ქუდი! ნაღდად ის ქალია! — შეჰყვირა ივან ანდრეევიჩმა.

— ის ქალი? რომელი ქალი? — ჩაიჩურჩულა ახალგაზრდამ და ივან ანდრეევიჩს კინალამ ხელები დამტვრია.

— სსსუუუუ! — ახლა ივან ანდრეევიჩმა გააფრთხილა ახალგაზრდა კაცი. — ლაპარაკობენ.

— ოჳ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— ჰოო, თუმცა ცისფერი ქუდი ვიღის ახურავს...

— ისეთი ცულლუტია, ისეთი! — განაგრძო მოხუცმა, — აქ ვიღაც ნაცნობებთან მოდის ხოლმე. სულ თვალებს აუზუუნებს. ჰო, იმ ნაცნობებთან კი სხვა ნაცნობებიც მოდიან ხოლმე...

— ფუ! რა აუტანელი ლაპარაკი იცი! — შეაწყვეტინა ცოლმა. — მა-ჰატიე, მაგრამ ასეთი სისულელე გაინტერესებს?

— კარგი! კარგი! არ გამიჯავრდე! — წაიმლერა მოხუცმა, — რახან თავი მოგაბეზრე, გავჩუმდები. ისე კი დღეს რატომლაც გუნებაზე ვერა ხარ, ძვირფასო...

— მართლა, აქ როგორ მოხვდით? — წამოიწყო ახალგაზრდამ.

— აი ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ, ახალგაზრდავ? ახლა ძალიან გაინტერესებთ, წელან კი გაგონებაც არ გინდოდათ!

— კარგი, კარგი, ნუ მეტყვით, ჩემთვის სულ ერთია! აახ! დასწუევლის ეშმაქმა, ეს რა ხათაბალაში გავები!

— ნუ მიბრაზდებით, ახალგაზრდავ, ისე ვთქვი. არც კი ვიცი, რა წამოვ-როშე. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ აქ ტყუილუბრალოდ არ მოხვი-

დოდით... ვინ ხართ, ახალგაზრდავ? ვხედავ, უცნობი ბრძანდებით, მაგრამ მარც ვინ ხართ, უცნობო? ღმერთო ჩემო, რაებს ვლაპარაკობ!

— ეე! თავი დამანებეთ, თუ ლმერთი გწამთ! — ისე შეიტყვეტინა ახალ-
დაზრდამ, თითქოს რაღაცას საზრობსო.

— ყველაფერს გეტჟვით, ყველაფერს. იქნებ გვონიათ, რომ თქვენზე გაბრაზებული ვიყო და რამე დაგიმალოთ? არამც და არამც? ასე შემოსხელი! მე მხოლოდ ამღვრეულ გუნებაზე ვარ და მეტი არაფერი. ლორწოვა, მუს ღმერთი გწამო, ყველაფერი თავიდან მითხარით, ახალგაზრდავ. აქ როგორ მოხვდით? მე რაც შემუხება, ღმერთმანი, თქვენზე გაბრაზებული არა ვარ. აი ჩემი ხელი. ლორწოვა აქ შტკერია და ცოტათი დამესვია, თუმცა ეს ამაღლებული გრძნობებისთვის არადაცხიო.

— რამ? იქნებან დამეკარგეთ თქვენი ხელიანად! აქ თაგვი კუდს ვის მო-
მებს, ეს კი ხელს მიწვდის!

— მოწყვილეობა ხელმწიფევ! უკაცრავად პასუხია და ისე მექცევით, თით-ქოს გალაც შეუძლია გლახა ვიყო, — ჩაილაპარაკა ივან ანდრეევიჩმა, რომლის ხმაში სისრულეოვანობის კაცის მუდარა იგრძნობოდა, — უფრო თავაზიანად მომექეცით, ანალგაზრდავ, თუნდაც ოდნავ მაინც ზრდილობიანად და უველა-დერს მოგახსენებთ! იცით, ჩვენ ერთმანეთის შეყვაირებაც კი შეგვეძლო. პი-რადად მე მშედვარ სადილზე დაგვატიქოთ. ისე კი, გულახდილად რომ ვთქვა, კუნი ასე წილა შეუძლებელია. სცდებით, ახალგაზრდავ! არც კი იცით, ვის- თან...

— ნეტივი როდის უნდა შეხვედროდა ამ ქალს? — ჩაიჩურჩული საშინაო აღმულებულმა ახალგაზრდამ, — ალბათ ქალი ახლა მე მელოდება... არა, აქვთ უნდა... წიკილე!

— ქალი მელოდებათ? რომელი ქალი? მაინც ვისხე ლაპარაკობთ, ახალგაზრდავ? ვკონიათ, რომ იქ, ზედა სართულზე... ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩემო! ისე რატომ დამსაჯე?

და იცან ანდრეევიჩმა სასოწარქვეთილების ნიშნად გულალმა გადაბრუნება სცადა.

— ერთი მისახრით, იმ ქალის ჭინაობა რად გინდათ? ააა! დასწყევლის
უშესებია რაც იქნება, იქნება, აშედან უნდა გავძღვი..

— Յո՞վսուս Եղիշիոցը օմաս հաս և հաճոներո? Ցը մարմո դաշտի՞— հօօիցը հիւլո և օստրակազութուլք օման անգույցուիմա լա Ցը-նոնցը գրացու քալուամո հայծուային.

— მარტინ შე ვიდარდო? მერე რა, დარჩით მარტო. თუ არადა, ბიძაჩემად გაგისაღებთ, მთელი ქონება რომ გაანიავა. მაშინ ეს მოხუცი ვერ იტყვის, ჩემი ცოლის საყვარელი ყოფილა.

— ეს შეუძლებელია, ახალგაზრდავ. პიძათქვენად რომ გამისალოთ, ყურით მოთხურული ამბავი გამოგივათ და არ დაგიჭერებენ. გამიგონეთ, ამას ძუძუმწოვარი ბავშვიც არ დაგიჭერებთ, — ჩურჩულებდა მთლად სასოწარკვეთილი ივან ანდრიევიჩი.

— მაში, ლაყბობს თავი დაანებეთ და წყნარად იწექით, განრთხმული. ლამე აქ გაათიცათ, ხვალ კი როგორმე გაძვერით. ვფიქრობ, ვერავინ შეგნიშნავთ. ჩახან ერთი კაცი გაძვრა, ალბათ არ იფიქრებენ, მეორეც იქნებოდათ. სხვა, საქმეა, აქ რომ თორმეტი კაცი იწვეს. თუმცა თქვენისთანა ვაჟკაცი

თორმეტსაც უკან ჩამოიტოვებს .ახლა კი ცოტათი ჩინწიეთ, თორემ ავდგები და გავალ!

— ნუ იგესლებით, ახალგაზრდავ... იცით, რა მოხდება, ხველებზე რომ ამიტყდეს? ჯველაფერი უნდა გავითვალისწინოთ.

— სსსუუუ!

— ეს რა ხდება? მგონი, ზემოთ რაღაც გაწამიაში არიან, ჩამოიტყვანი ჩათვლემილმა მოხუცმა.

— ზემოთ?

— გესმით, ახალგაზრდავ? ზემოთო!

— ჰო, მესმის!

— ღმერთო ჩემო! ახლავე უნდა გავძვრე.

— მე კი ვერ გავძვრები? ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია! რაფი ჩამეფუშა საქმე, ფეხებზე არ მკიდიხართ! თუმცა, იცით, რას გეტყვით? მე მგონია, სწორედ თქვენ უნდა იყოთ მოტყუებული ქმარი. აი რა!

— ღმერთო ჩემო, რა ცინიზმია! ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ? რატომ გაინცდამაინც მე უნდა ვიყო ქმარი?. მე უცოლო ვარ.

— უცოლო ხართ? დაგიჯერეთ რაღა!

— იქნებ მე თვითონ ვიყო სხვისი ცოლის საყვარელი.

— რა კარგი საყვარელი ბრძანდებით!

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო ხელმწიფევ! მაშ, კარგი, ყველაფერს გეტყვათ, ყველაფერს, ოლონდ გაიგეთ ჩემი სასოწარკვეთილების მიზეზი. აյი ვითხარით, ქმარი არა ვარ, უცოლო კაცი გახლავარ-მეთქი.. .იმ ქალის ქმარი ჩემი მეგობარია, ჩემი ბავშვობის ამხანაგი... დიახ, პირადად მე ერთი ქალბატონის საყვარელი გახლავარ... ჰოდა, იცით, იმ ჩემმა მეგობარმა მითხავ, შხამს ვსვამ, სამსალას, ცოლზე ვეჭვიანობო. მე კეთილგონივრული დავარიგე, ნუ ეჭვიანობ-მეთქი. მაგრამ რომ არ მისმენთ. მომისმინეთ, ახალგაზრდავ, მომისმინეთ! ეჭვიანობა სასაცილოა, მანქია-მეთქი! არა, უბედური კაცი ვარ, შხამს ვსვამ, სამსალას, გულს ეჭვი მიღრღნისო. ჩემი მეგობარი ხარ, ჩემი დაუბრუნებელი ბავშვობის ამხანაგი, ერთად გვიკრეფია სიამტკბილობის ყვავილები, ერთად გვინებივრია ნეტარების ბუმბულებშით. ოჰ, ღმერთო ჩემო, თავად არ ვიცი, რაებს ვროშავ. თქვენ კი იცინით, ახალგაზრდავ. ლამის ჰქუაზე შემშიალოთ.

— თქვენ ახლაც ვერა ხართ სრულ ჰქუაზე!..

— აბა, აბა, გული მიგრძნობდა, რომ ასე მეტყოდით... რახან სიგიურეზე ჩამოვაგდე სიტყვა. იცინეთ, ახალგაზრდავ, იცინეთ! არადა, იყო დრო, როცა მეც თქვენსავით ვხარობდი, როცა მეც თქვენსავით ვიყავი ქალებზე გადამკვდარი. აახ! ღმერთო ჩემო, სადაც არის, ტვინის ანთება მომივა!

— ეს რა ხდება, ძვირფასო? მგონი, ვიღაცას ცნვირს დააცემინა! — ჩაიგალობა მოხუცმა, — შენ იყავი?

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — აღმოხდა ცოლს.

— სსსუუუ! — გაისმა საწოლქვეშ.

— ეს ზემოთ უნდა იყოს, მგონი, კაკუნი ისმის, — გული გადაუტრიალდა ცოლს, იმიტომ რომ საწოლქვეშ მართლაც ატყდა ხმაური.

— ჰო, ზემოთ უნდა იყოს! — უპასუხა ქმარმა, — ზემოთ ხმაურობენ! აკი გითხარი, ძვირფასო, წელან ერთი კონტაპრუტა... ქხი-ქხი! ულვაშებიანი კონტა-

პრუწა ქხი-ქხი! ოჰ, ლმერთო ჩემო, ზურგი! ულვაშებიანი კოხტაპრუწა შემშვდა-მეთქი!

— ულვაშებიანი! ლმერთო მაღალო! ნალდად თქვენ იქნებოდეთ, — ჩაი-ჩურჩულა ივან ანდრეევიჩმა.

— ო, ლმერთო, ჩემო, ეს რა კაცია! მე ხომ აქა ვარუ, თქვენთვის, ერთად ვწევაჩ საწოლქვეშ. მაშ, სად უნდა შემშვედროდა? ხელებზე წყვიტობინებთ სახეზე!

— ო, ლმერთო, სადაც არის, გული წამივა!

ამ დროს ზედა სართულიდან მართლაც მოისმა ხმაური.

— ნეტავი იქ რა უნდა იყოს? — ჩაი-ჩურჩულა ახალგაზრდამ.

— მოწყალეო ხელმწიფევ! სული კბილით მიჰირავს, პირდაპირ თავზარი მაქვს დაცემული. მიშველეთ რამე!

— სსსუუუ!

— მართლა, სულიკო, იქ ერთი აურზაურია, ისიც შენი საძილე ოთახის თავზე. ამბის გასაგებად ხომ არ გავგზავნოთ ვინმე?

— ო, არა, რას არ მოიგონებთ!

— კარგი, კარგი, ძვირფასო, მეტს ალარ გერყვი. დღეს რატომლაც გაბრა-ზებული ჩანხარ!..

— ოჰ, ლმერთო ჩემო! წასულიყავით დასაძინებლად.

— ლიზა! შენ არ გიყვარვარ მე.

— აჸ! მიყვარხართ! ლვთის გულისათვის, თავი დამანებეთ. საშინლად და-ვიღალე.

— კარგი, კარგი, წავალ.

— აჸ, არა, არა, ნუ წახვალთ, — შეპკივლა ცოლმა, — თუმცა წაღით, წაღით.

— ეს რა მოგდის ბოლოს და ბოლოს? ხან იძახი, წაღით, ხანაც ნუ წახ-ვალო! ქხი-ქხი! თუმცა მეძინება... ქხი-ქხი! იცი, პანაფიდინების გოვონას... ქხი-ქხი! გოვონას... ქხი! ნიურენბერგული თოჯინა ჰქონია, ქხი-ქხი..

— ახლა თოჯინები არ მოიგონა!

— ქხი-ქხი! კარგი თოჯინაა. ქხი-ქხი!

— სადაც არის, გამოემშვიდობება; — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ, — გი-ხაროდეთ, მოხუცი მიღის და ჩვენც გუდა-ნაბადი ავიკრათ. გესმით?

— ო, ლმერთმა ქნას, ლმერთმა ქნას!

— ეს თქვენთვის გაკვეთილი იქნება...

— რა გაკვეთილზე მელაპარაკებით? ასე ახალგაზრდა კაცი ჭკუას მე უნდა მასწავლიდეს? თუმცა ვგრძნობდი ამას, ვგრძნობდი...

— და მაინც გასწავლით. აბა, მომისმინეთ!

— ო, ლმერთო, დაცხიკება მომინდა.

— სსსუუუ! ერთი გაგიბედავთ და.

— აბა რა ვქნა? აქ თაგვების სუნი დგას. ლვთის გულისათვის, ერთი ჩემი ჭიბიდან ცხვირსახოცი ამომიღეთ, თორემ ხელი ვერ გამინძრევია. ოჰ, ლმერთო ჩემო, ლმერთო! ასე რატომ დამსაჯე?

— აჸა თქვენ ცხვირსახოცი ხოლო რატომ ხართ დასჯილი, ამას ახლავე მოგახსენებთ. მეტისმეტად ეჭვიანი ბრძანდებით, აი რა. რაღაც მოლანდებების



გამო თავჭუდგადაგლეჭილი დარბიხართ წინ და უკან, შედიხართ სხვის ბინაში და არეულობას იწვევთ...

— არეულობა მე არ გამომიშვევია, ახალგაზრდავ.

— ხმა-კრინტი!

— პატიოსნებას თქვენ ვერ მასწავლით, ახალგაზრდავ, მეტოქენიშვილი-ოსანი ვარ.

— ხმა, კრინტი-მეთქი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

— არეულობას იწვევთ, აშინებთ ახალგაზრდა, გაუბედავ ქალს, რომელ-შეც არ იცის, შიშით რა ქნას, იქნებ ავადაც გახდეს. აწუხებთ უძლურ, ბუა-სილისაგან დაჩიგრულ, პატივცემულ ბერიკაცის, რომელსაც, უპირველეს ყოვ-ლისა, სიმშვიდე ესაჭიროება. არადა, რატომ ჩაიდინეთ ყოველივე ეს? იმიტომ რომ რაღაც სისულელე მოგელანდათ და კუნჭულ-კუნჭულ დაძვრებით! იცით, თუ არა, იცით თუ არა, რა საძაგულ მდგომარეობაში ხართ? გრძნობთ აუ არა ამას?

— კეთილი, მოწყალეო ხელმწიფევ, ამას ვგრძნობ, მაგრამ რა უფლება გაქვთ...

— ენა ჩაიგდეთ! აბა რა უფლებაზე მელაპარაკებით? იცით თუ არა, რომ კოველივე ეს შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს? იცით თუ არა, რომ ცოლის მოსიყვარულე მოხუცი შეიძლება ჰქუაზეც კი შეიშალოს, როცა საწოლქვე-შიდან გამომდვრალს დაგინახავთ? მაგრამ არა, თქვენ ტრაგედიებისთვის გა-ჩენილი არა ხართ! საწოლქვეშიდან რომ გამოძვრებით, ალბათ თქვენს შემხედ-ვარეს სიცილი აუტყდება. ნეტავი ერთი სინათლეზე დამანახა თქვენი თვი. ძა-ლიან სასაცილო იქნებით.

— თქვენზე რას იტყოდით? დარწმუნებული ვარ, თქვენც სასაცილო იქ-ნებით ასეთ შემთხვევაში. მეც მინდა ერთი გნახოთ

— ამის შნო ვინ მოგცათ?

— უზნეო კაცი ბრძანდებით, ახალგაზრდავ!

— აპა! ისევ ზნეობაზე გააბით? აბა საიდან იცით, თუ რისთვის შემოვედი ამ რთახში? სართული შემეშალა, ბატონო ჩემო. არადა, ეშმაქმა იცის, რის-თვის შემომიშვები! ალბათ ეს ქალი სხვას ელოდებოდა (ცხადია, თქვენს მოლო-დინში არ დააწყდებოდა თვალები). მაშინ შევძვერი, როცა თქვენი სულელური ფეხის ხმა გავიგონე, როცა ამ შეშინებულ ქალს მოვკარი თვალი. ამასთან რთახში ბნელოდა. თუმცა თქვენთან მოსანანიებელი რა უნდა მქონდეს? თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, სასაცილო მოხუცებული ხართ, ეჭვიანი. რაო, იქედან რატომ არ გავდივარ? იქნებ გვონიათ, რომ გასვლა მეშინოდეს? არა, ბატონო ჩემო, აქამდეც გავიდოდი, მაგრამ თქვენ გაგიწიეთ ანგარიში. ვიცოდი, კუნძივით რომ დაერცობოდით ცოლ-ქმრის წინაშე და ვერაფერს მოისაზრებ-დით...

— არა, რაღა მაინცდამაინც კუნძივით უნდა დავრჭობილიყავი? რატომ მაინცდამაინც ამ საგანს შემაღარეთ, ახალგაზრდავ? ნუთუ არ შეგეძლოთ, სხვა რამისთვის შეგედარებინეთ? ან რატომ გვონიათ, რომ აუცილებლად უნდა დავბნეულიყავი? არხეინად ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ყველაფერს მოვისაზრებდი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საშინლად ჟეფს ეს ფინია!

— სსსუუუ! ოჯ, მართლაც... იმდენი ილაყბეთ, ძალლი აყეფდა. ხედავთ ძალლმა გაიღვიძა და უბედურება არ აგვიდება.

მართლაცდა, დიასახლისის ძალლმა, თურმე აქამდე რომ კუთხეში დაგებულ ბალიშე ეძინა, უცებ გაიღვიძა, უცხო ხალხი იყნოსა და ჩეც-უეფით შეძვრა საწოლქვეშ.

— ოჯ, ლმერთო ჩემო, რა სულელი ძალლია! — ჩაიტურისტუსაჩქან ანდრეევიჩმა, — ყველას გაგვცემს, ყველას გამოგვამულავნებს... აი კიდევ სასტილი!

— დიახ, ისე შეშინებული ხართ, შეიძლება ასეც კი მოხდეს.

— ამი, ამი, მოდი აქ! — დაუძახა ძალლს დიასახლისმა, — ici, ici!

მაგრამ ძალლმა ყურად არ იღო დიასახლისის ძახილი და პირდაპირ ივან ანდრეევიჩე გაიწია.

— ეს რა ხდება, ძვირფასო? — ჩაიგალობა მოხუცმა, — ჩვენი ამიშკა ასე რატომ უეფს? ალბათ იქ თაგვებია ან ჩვენი ვასკა ზის. კი, კი, გავიგონე, ვიღაცამ დააცხვიკა. ვასკა ხომ დღეს გაციებული იყო.

— წყნარად იწეჭით! — ჩაიჩურჩულა ახალგაზრდამ, — ნუ შფოთავთ! ეგება ისედაც თავი დაგანებოთ.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო ხელმწიფევ! გამიშვით, ხელები რატომ გამიკავეთ?

— სსსუუუ! ჩუმალ-მეთქი!

— როგორ გეკადრებათ, ახალგაზრდავ, ცხვირზე მკბენს! გინდათ ცხვირი დავკარგო?

საწოლქვეშ ისევ გაისმა გაბრძოლების ხმა და ივან ანდრეევიჩმა ხელები გაითავისუფლა, ხოლო ძალლმა ერთბაშად შეწყვიტა უეფს და წემუტუნი დაიწყო.

— ვაიმე! — შეჰქივლა ქალმა.

— მტარვალო, ამას რას სჩადიხართ? — ჩაიჩურჩულა ახალგაზრდამ, — ორივე დავილუპებით! ძალლს რისთვის ჩაავლეთ ხელი? ლმერთო ჩემო, ახრ-ჩიბს! ახლავე გაუშვით, არ დაახრჩოთ ძალლი! ოჯ, მტარვალო! ამის შემდეგ კიდევ იტყვით, ქალის რამე გამეგებაო? იცოდეთ, ძალლი რომ დაახრჩოთ, ორივეს გაგვცემს ქალი.

მაგრამ ივან ანდრეევიჩს ახლა არაფერი ესმოდა. ჩვენმა გმირმა ძალლის დაჭერა შეძლო და ხელები ყელში მოუჭირა. ძალლმა ერთი კი დაიწკმუტუნა და ფეხები ფშიკა.

— დავილუპეთ! — ჩაიჩურჩულა ახალგაზრდამ.

— ამიშკა ამიშკა! — ყვიროდა ქალი, — ლმერთო ჩემო, რა უქნეს ჩემს ამიშკა? ამიშკა, ამიშკა! ici! ოჯ, მხეცებო, ბარბაროსებო! • ლმერთო, გული წამიგა!

— რა დაგემართა, სულიკო, რა მოგივიდა? — შეჰქივირა მოხუცმა და საკარძლილან წამოხტია, — რა მოგივიდა, ჩემო სიცოცხლევ? ამიშკა აქ არის. ამიშკა, ამიშკა, ამიშკა! — თითების ტკაცუნით და ტუჩების წკლაპუნით დაუჩიხა ძალლს, — ამიშკა! ici, ici! შეუძლებელია, რომ ვასკას შეეჭამოს... არა... უკარგროვია, ის საძაგელი, ის. მთელი თვეა არ გაგვილანივს.

შენ რას იტყოდი, ძვირფასო? ხვალ პრასკოვია ზახარიევნას უნდა კუითხო რჩევა. მაგრამ, ლმერთო ჩემო, ეს რა გემართება? ადამიანის ფერი არ გადევს. ოჯ, ოჯ, გვიშველეთ, ხალხო, გვიშველეთ!

და მოხუცი ოთახში აწრიალდა.

— არამზადებო, მტარვალებო! — ყვიროდა ტახტზე გადაშეღართული ქალი.

— ვის უყვირი? — შეჰყვირა მოხუცმა.

— იქ უცხო ხალხია, საწოლქვეშ! ო, ლმერთო! ამიშკა! ამიშკა! ეს რა გიქნეს?

— ოჯ, ლმერთო ჩემო, ლმერთო! რომელი ხალხი? ამიშკა... ამიშკა... გვიშველეთ, ხალხო, გვიშველეთ! მანდ ვინ ხართ? — შეჰყვირა მოხუცმა, ხელი სანთელს დაავლო და საწოლთან დაიხარა, — მანდ ვინ ხართ-მეთქი, გეკითხებით! აქეთ, ხალხო, აქეთ!

ივან ანდრეევიჩი ცოცხალმკვდარი იწვა ამიშკას უსულო ლეშის გვერდით. ახალგაზრდა კაცი კი მოხუცის ყოველ მოძარობას ადევნებდა თვალს. უცებ ბერიკაცმა კედლის მხრიდან შემოიარა და, სანამ საქორწინო სარეცლის ქვეშ შეიხედავდა, ახალგაზრდა თვალის დახამხამებაში გაძვრა მეორე მხრიდან.

— ლმერთო! — ჩაიჩურჩულა ქალმა, ახალგაზრდა კაცს რომ ჩააცემერდა, — ვინა ხართ? მე მეგონა...

— ის არამზადა აქ დარჩა, საწოლქვეშ, — ჩურჩულითვე უპასუხა ახალგაზრდამ, — ამიშკა მაგან დაახრჩო!

— ვაიმე! — შეჰყვირა ქალმა, მაგრამ ახალგაზრდამ ოთახიდან მოძუძგა.

— ოჯო! აქ ვიღია არ წამოწოლილი! აი ჩექმას ვხედავ! — შეჰყვირა ქმარმა და ივან ანდრეევიჩს ხელი ფეხში ჩაავლო.

— მკვლელო, მტარვალო! — ყვიროდა ქალი, — ო, ამი ,ამი!

— გამოდით, გამოდით! — დაუყვირა მოხუცმა ივან ანდრეევიჩს და ხალიჩაზე ფეხები დააბაკუნა, — გამოდით-მეთქი! ვინ ხართ? ახლავე მითხარით, საიდან მოხვედით? ვაჯ, ეს რა უცნაური ვინმეა!

— ყაჩალი უნდა იყოს!..

— ლვთის გულისათვის, ლვთის გულისათვის! — შეჰყვირა ივან ანდრეევიჩმა, საწოლქვეშიდან რომ გამოპყო თავი, — ლვთის გულისათვის, თქვენო ალმატებულებავ, ხალხს ნუ შემიყრით! ეს სრულიად ზედმეტია, ზედმეტი. მე ისეთი კაცი არა ვარ, მოწყალეო ხელმწიფევ, პანლური რომ მკრათ. მე თვითონ... ყველაფერი ეს შემთხვევით მოხდა, თქვენო ალმატებულებავ, — ქვითინითა და სლუკუნით განაგრძობდა ივან ანდრეევიჩი, — ყველაფერში ცოლია დამნაშავე. ესე იგი, ჩემი ცოლი კი არა, სხვისი ცოლი. მე თვითონ უცოლო ვარ, თქვენო ალმატებულებავ. ჩემი მეგობრის, ჩემი ბავშვობის ამხანაგის...

— რომელი ბავშვობის ამხანაგის? — ფეხები დააბაკუნა მოხუცმა, — ბავშვობის ამხანაგი კი არა, ქურდი ხართ, ავაზაკი. გასაძარცვავად შემოხვიდოდათ...

— არა, არა, თქვენო ალმატებულებავ, ქურდად ნუ მიმიღებთ. მართლა ბავშვობის ამხანაგი ვარ... შემთხვევით შემოვედი ამ საღარბაზოში...

— ვხედავ, მოწყალეო ხელმწიფევ, ვხედავ, რომელი საღარბაზოდანაც გრძანდებით გამოსული.

— სცდებით, თქვენო ალმატებულებავ! მე ისეთი კაცი არა ვარ-მეთქი. სცდებით, საშინლად სცდებით! ერთი შემომხედვეთ, ამათვალიერ-ჩამათვალიერეთ და ზოგიერთ ნიშანსა და ნიშან-თვისებაზე შემატყობთ, რომ ქურდი არ შეიძლება ვიყო. თქვენო ალმატებულებავ, თქვენო ალმატებულებავ! გულ-ზე ხელები დაიკრიფა ივან ანდრეევიჩმა და ახლა ქალს მიუბრუნდა, მან-დილოსანი ბრძანდებით, თქვენო ალმატებულებავ, და გამიგებოდა წჭალია, ამიშკა მე მოვკალი, მაგრამ ჩემი ბრალი არ იყო.. უველაფოს ცემლის ტამნა-შავე. მე თვითონ უბედური კაცი ვარ, თქვენო ალმატებულებავ, შხამს, ვსვამ, სამსალას!

— მერედა, მე რა მესაქმება, თქვენ თუ შხამს სვამთ, სამსალას? ალბათ არა ერთი და ორი ფიალა გამოგიცლიათ, როგორც ვატყობ, მაგრამ ერთი ის მიბრძანეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, აქ როგორ შემოხვედით? — ახლა კი მიხ-ვდა გაგულისებული მოხუცი, რომ ზოგიერთი ნიშნისა და ნიშან-თვისების მიხედვით ივან ანდრეევიჩი ქურდი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, — გეპითხე-ბით, მოწყალეო ხელმწიფევ, აქ როგორ შემოხვედით-მეთქი! ასე ყაჩალივით რომ...

— როგორ გეკადრებათ, თქვენო ალმატებულებავ, ყაჩალი ჩემს დღეში არ ვყოფილვარ. მე მხოლოდ სართული შემეშალა. გეფიცებით, ჩემი უზომო ეპივიანობის წყალობით მოხდა ეს ამბავი. ყველაფერს გეტყვით, თქვენო ალმა-ტებულებავ, ყველაფერს ისე გულახდილად გიამბობთ, თითქოს ჩემი მშობელი მამა ბრძანდებოდეთ, იმიტომ რომ თქვენისთანა ხანში შესული მამადაც კი მერგება.

— მაინც რა ხანში შესული?

— შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენეთ, თქვენო ალმატებულებავ? ნამდვი-ლად ასეა... მშვენიერი ახალგაზრდა ქალი... და ხანში შესული კაცი.. პირდა-პირ სიამოვნებას განვიცდი, ასეთ ცოლ-ქმარს რომ ვხედავ. დიახ, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი... მაგრამ ხალხს მაინც ნუ შემიყრით, ლვთის გულისათვის... გინდათ, სიცილი დაგვაყირონ? ხალხის ამბავი ვიცი, თქვენო ალმატებულე-ბავ... თუმცა იმის თქმა კი არ მინდოდა, რომ მარტო ლაქიებს ვიცნობდე. ლა-ქიება მეც მყავს და გარწმუნებთ, რომ დაცინვის მეტი სხვა არა იციან რა, თქვენო ბრწყინვალებავ... დიახ, თუ არ ვცდები, თავადს უნდა ველაპარა-დებოდე...

— არა, თავადი არა ვარ, მოწყალეო ხელმწიფევ. ბრწყინვალებას რომ მე-ძახით, ამით ჩემ გულს ვერ მოინადირებთ, გეთაყვა. სჯობს ის მითხრათ, მოწ-ყალეო ხელმწიფევ, აქ როგორ გაჩნდით? გეკითხებთ, აქ როგორ შემოხვე-დით-შეთქი?

— თქვენო ბრწყინვალებავ, ესე იგი, თქვენო ალმატებულებავ... მაპატი-ეთ, მაგრამ ბრწყინვალება მეგონეთ. ასეც ხდება ხოლმე. ვერ მოვისაზრე და შემეშალა. თქვენ ისე ძალიან ჰგავხართ თავად კოროტკოუხოვს, რომელსაც ჩემი ნაცნობის, ბატონ პუზირევის ოჯახში შევხვედრივარ, რომ... იცით, მეც ვიცნობ თავადებს, მეც მინახავს თავადი ჩემს ნაცნობებთან. აბა ის კი არა ვარ, თქვენ რომ გეგონეთ. ქურდი არა ვარ-მეთქი. ამიტომ ხალხს ნუ შემიყ-რით, თქვენო ალმატებულებავ. კიდევაც რომ შემიყაროთ, ამით რა უნდა გამოვიდეს?

— და მაინც როგორ შემოხვედით? — შეპყვირა ქალბატონმა, — ვინ ხართ და საიდანა ხართ?

— დიახ, აქ საიდან გაჩნდით? — ჰკითხა მოხუცმა, — იცი, მე /შეგონა სულიერ, საწოლქვეშ ჩვენი ვასკა ზის და აცხვიკებს-მეთქი. ნამდა ეს კა ყა ყოფილა, აჲ, ეს უსირცხვილო, ეს!.. პოდა, ახლავე ბრძანეთ, მოწყალეონ ხელშიფევ, აქ საიდან აღმოჩნდით?

მოხუცმა ისევ დააბაკუნა ფეხები.

— ვერ ვილაპარაკებ თქვენო აღმატებულებავ, გელოდებით, სანამ და-ამთავრებდეთ... ვტკბები თქვენი მარილიანი სიტყვების მოსმენით, ხოლო რაც მე შემეხება, ეს სასაცილო ამბავია, თქვენო აღმატებულებავ. ყველაფერს გეტუვით, ოღონდ ხალხს ნუ შემიყრით. კეთილშობილი კაცი ბრძანდებით და კეთილშობილურიდ მომექეცით... მერე რა ვუყოთ, რომ საწოლქვეშ მომიხდა წოლა. ვფიქრობ, ამით ჩემი ღირსება არ შელახულა. ისე კი ნამდვილად კომიკური ამბავია, თქვენი აღმატებულებავ! — ახლა ცოლს შეევადრა ივან ან-დრეევიჩი, — მეტადრე კი თქვენ დამცინებთ, თქვენო აღმატებულებავ! ეჭეიან კაცს ხედავთ სცენაზე. ხედივთ, როგორ დავიმცირე თავი, ნებაყოფლობით დავიმცირე. რა თქმა უნდა, ამიშეკა მე მოვკალი, მაგრამ... ღმერთო ჩემო, რა-ებს ვლაპარაკობ!

— და მაინც, მაინც აქ როგორ შემოხვედით?

— ლამის სიბნელით ვისარგებლე, თქვენო აღმატებულებავ. ვისარგებლე ამ სიბნელით და... დამნაშავე ვარ! მაგრამ მაინც მაპატიეთ, თქვენო აღმატებუ-ლებავ. მხოლოდ და მხოლოდ მოტყუებული ქმარი გახლავარ და მეტი არა-ფერი!.. არ გევონოთ, თითქოს საყვარელი ვიყო, თქვენო აღმატებულებავ. არა, საყვარელი არა ვარ! გავტედავ და გეტყვით, რომ თქვენი მეუღლე ფრიად უმწიფვლო, უბიწო და უმანქო ქალია!

— რაო, რა ბრძანეთ, მოწყალეო ხელმწიფევ! — ისევ ფეხები დააბაკუნა მოხუცმა, — ჰელაზე შეიშალეთ თუ? როგორ გამიბედეთ და ჩემს ცოლზე ეს მითხარით?

— ეს არამზადა, მტარვალი, ჩემი ამიშეს მკვლელი, კიდევ ამას მიბე-დავს? — ცრემლებს აღვარლეარებდა მეუღლე.

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენო აღმატებულებავ! — შეცბა ივან ანდრეევიჩი, — ვატყობ, ტყუილებში შევტოპე. ტყუილებში შევტოპე, თქვე-ნო აღმატებულებავ, და მეტი არაფერი. მიიჩნიეთ, რომ ჩემს ჰქუაზე ვერა ვარ... ლვთის გულისათვის, სწორედ ასე მიიჩნიეთ. ვფიცავ ღირსებას, რომ ამით დიდ პატივს დამდებთ. მინდონდა ხელი გამომეწვდინა თქვენთვის ჩამოსართმე-ვად, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს. იცით, საწოლქვეშ მარტო არ ვიყავი. მე ბიძა ვარ... ესე იგი, ის უნდა მეთქვა, რომ საყვარელი არ შეიძლება ვიყო. თუმცა, ღმერთო ჩემო, ისევ შევტოპე!.. საწყენად ნუ დაგრჩებათ, თქვენო აღმატებულებავ! — მიმართავდა ქალს ივან ანდრეევიჩი, — მანდილოსანი ბრძანდებით და კარგად მოვეხსენებათ, რა ფაქიზი გრძნობაა სიყვარული. აჲ, ისევ შევტოპე! დიახ, უნდა მეთქვა, მოხუცებულ კაცი გახლავარ-მეთქი. არა, მთლად მოხუცებული თუ არა, ხანში შესული მაინც. ამიტომ თქვენი საყვარელი ვერ ვიქნებოდი. საყვარელი რიჩარდსონია, ესე იგი, ლოველასი... დიახ, ტყუილებში შევტოპე, მაგრამ მაინც მიხვდებოდით, თქვენო აღმატებუ-ლებავ, რომ განათლებული კაცი ვარ და ლიტერატურა მესმის. გეცინებათ,

თქვენი აღმატებულებავ? მოხარული ვარ, რომ თქვენი გაცინება შევძელი. თქ., როგორ შიხარია!

— ლმერთო ჩემო, რა სასაცილო კაცია! — კისკისებდე ჭალა.

— მაშ, მაშ, სასიცილო კაცია, თანაც მტვერში ამოგანგლური! — გაე-
ხარდა ქმარს, გაცინებული ცოლი რომ დაინახა, — არა, ჭურით არ უნდა
იყოს, სულიყო, მაგრამ მაინც როგორ შემოვიდა საძილე, რომანშივარი

— მართლა განსაცვიფრებელი ამბავია, თქვენო აღმატებულებავ, სასწაული. ასე რომანებში ხდება. როგორ? შუალამისას, ისიც დედაქალაქში, კაცი საწოლქვეშ! ცოტა არ იყოს, რინალდო რინალდინის თავგადასავალს მოგვავონებს. მაგრამ დარდი ნუ გაქვთ, თქვენო აღმატებულებავ, ყველაფერი მოგვარდება. თქვენ კი, თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონო, ახალ ფინიას გიშოვით... გასაოცარ ფინიას! იცით, ისეთი გრძელი ბანჯგვლი აქვს, ისეთი მოკლე ფეხები... ორ ნაბიჯს რომ ვადალგამს, საკუთარ ბანჯგვლში იხლართება და გცემა. შაქრის შეტს არაფერს ჭიამს. აუცილებლად მოგიყვანთ ფინიას, თქვენო აღმატებულებავ, აუცილებლად.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — სიცილისაგან სავარდელში აქეთ-იქით აწყდებოდა ქალი, — ღმერთო ჩემო, სადაც არის, ისტერიკა მომივა! ოჰ, რა სასაცილო ვინმედა!

— მაშ, მაშ, ჰა-ჰა-ჰა! სასაცილო კაცია, სულიკო, თანაც მტვერში ამოვანგლული! ქხი-ქხი-ქხი!

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენო აღმატებულებავ! ახლა ბედნიერი დაცი ვარ, სრულიად ბედნიერი. ხელს გამოგიწვდიდით, მავრამ ვერ გამიბეჭავს. მივხვდი, შემცდარი ვყოფილვარ. ახლა კი თვალები ამეხილა. მჯერა, ჩემი ცოლი უბიწო და უდანაშაულო ქალია. ამაოდ მქონია ეჭვი.

— ცოლი, მისი ცოლი! — შეჰყვირა სიცილისაგან დაოსებულმა ქალმა.

— ამ! ცოლიანი ყოფილა? ნუთუ მართლა? — ვერც კი წარმოვიდგენდი, — გაუკვირდა მოხუცს.

— თქვენო აღმატებულებავ, დიახ, დიახ, ცოლი... ყველაფერში ჩემი
ცოლია დამნაშავე. უფრო სწორად, დამნაშავე მე ვარ. ეჭვიანობამ შემიპყრო,
თქვენო აღმატებულებავ. ვიცოდი, რომ აქ პაემანი ჰქონდა დანიშნული, აქ, მე-
სამე სართულზე. იცით, ბარათი ჩამივარდა ხელში. მერე სართული შემეშალა
და საწოლქვეშ აღმოვჩნდი...

— ხე-ხე-ხე-ხე!

— ३०-३०-३०-३०।

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარი ივან ანდრეევიჩმაც, — ო, რა ბელნიერად ვვრძნობ თავს! მოხარული ვარ, რომ ყველა ასე შეწყობილ-შეხმატებილებულად და ბელნიერად გამოვიყურებით! ჩემი ცოლიც სრულიად უდანაშაულოა, სრულიად! იმაში თითქმის დარწმუნებული ვარ. ხომ მართლაც ასეა, თქვენო აღმატებულებავ?

— ჰა-ჰა-ჰა! ქხი-ქხი! იცი, სულიკო, რომელ ქალზე ლაპარაკობს? —
თქვა მოხუცმა, სიცილს რომ გადაურჩა.

— რომელ, რომელ ქალზე? ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— რომელზე და თვალებს რომ უუფრენებს. იცი, ერთ კონტაბრუწია კაც-თან რომ დადის. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ ამის ცოლი არ იყოს!

— არა, თქვენი აღმატებულებავ, დარწმუნებული ვარ, სხვა ქალზე ლა-

პარაკობთ. ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ, სრულიად.

— შაგრამ, ლმერთო ჩემი! — სიცილი შეწყვიტა ქალმა, — დრო/ ვევე
გებათ, დრო. გასწით, გაფრინდით, ეგება წალენჯირი კიდეც...

— მართალს ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ, ახლავე უნდა გავიკვიდოთ. შაგრამ დარწმუნებული ვარ, თავს უერავის წავიდგები. ჩემი ცალკეული ზის, თქვენო აღმატებულებავ! ყველაფერი ჩემი ბრალია. ეჭიშობულებული და მეტი არაფერი.. თუმცა რას მეტყოდით, თქვენო აღმატებულებავ, მივუსწრებ?

— ჰა-ჰა-ჰა!

— ჰი-ჰი-ჰი! ქხი-ქხი!

— გასწით, გასწით! უკან რომ დაბრუნდებით, ჩვენიან შემოიარეთ და ყველაფერი გვიამბეთ, — უვიროდა ქალი, — თუმცა არა, სჯობს ხვალ დილია, შემოიაროთ. ცოლიც თან წამოიყვანეთ, მისი გაცნობა მინდა.

— ნახვამდის, თქვენო აღმატებულებავ, ნახვამდის. ცოლს უცილებლაც წამოიყვან. მოხარული ვიქნებოდი, თუ ერთმანეთს გაიცნობდით. ბეღნიერე ვარ, ყველაფერი ისე სასიკეთოდ რომ დამთავრდა.

— ფინია არ დაგავიწყდეთ, უპირველეს ყოვლისა, ფინია მომიყვანეთ!

— მოგიყვანთ, თქვენო აღმატებულებავ, უცილებლად მოგიყვანთ. — უპასუხა ივან ანდრეევიჩმა და მეორეჯერ შებრუნდა ოთახში, — იცით, ისეთი კარგი ფინიაა, ისეთი გეგონება, კონდიტერს კანფეტებისაგან ვაუკეთებდათ. ორ ნაბიჯს რომ გადადგამს, საკუთარ ბანჯგვლში იხლართება და ეცემს. ამა, წინათ ცოლს ვკითხე, ეს რა მოსდის ჩვენს ფინიას, რატომ ეცემს-მეთქი. სუვარელი, გადასარევი ფინიააო, მიპასუხა. ლმერთმანი, შაქრისაგან უნდა იყოს გაკეთებული, თქვენო აღმატებულებავ! ახლა კი ნახვამდის, ძალიან, ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით.

ივან ანდრეევიჩმა თავი დაუკრა და გავიდა.

— ჰეი, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, შეჩერდით! — დაუყვირა მონუცმა ივან ანდრეევიჩს, — დაბრუნდით უკან!

ივან ანდრეევიჩი ისევ შემოვიდა საძილე ოთახში.

— რაღაც ვასკა არა ჩანს, ჩვენი მამალი კატა. საწილევეშ რომ იმუოფებოდით, ხომ არ შეგხვედრიათ?

— არა, არ შემხვედრია, თქვენო აღმატებულებავ. ისე კი მოხარული ვიზნებოდი, ვასკაც გამეცნო. ეს ჩემთვის დიდზე დიდი პატივი იქნებოდა...

— ვასკას ახლა სურდო სჭირს, სულ აცხვიკებს და აცხვიკებს! უნდა ვავლახოთ ვასკა!

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, რა თქმა უნდა, გამასწორებელი ლონისძიებები შინაური ცხოველების მოსათვინიერებლად უცილებელია-მეთქი.

— ა-ა-ა!.. ლმერთმა ხელი მოგიმართოთ, მოწყალეო ხელმწიფევ. მეც ეს ჭაინტერესებდა.

ქუჩაში რომ გავიდა, ჩვენი გმირი ისე გაქვავდა ერთ ადგილას, გეგონებოდა, დამბლის დაცემას ელოდებაო. მერე ქუდი მოიხადა, შუბლზე სიმწ

რის ოფციი მოიხოცა და ისე მოჭუტია თვალი, თითქოს რაღაცა მოეფიქროს. ბოლოს დაძვრა ფეხი და შინისაკენ გასწიო.

შინ ივან ანდრეევიჩის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ შეიტყო, რომ გლაციირა პეტროვნა კარგა ხანია დაბრუნებულიყო თეატრიზან, მოსვლის თანავე კბილი ატკივებოდა, ექიმის მოსაყვანად და წურტჭუბის შოსატანად კაუგზავნა კაცი. ახლა კი თურმე ივან ანდრეევიჩს ელოდუმონდა.

ივან ანდრეევიჩმა ჯერ შებლში იტკიცა ხელი, მერე პირი დაიბანა, ტანისამოსი გამწმენდინა და მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა ცოლის საძილე თთახ-ზი შესვდა.

— სად ბრძანდებოდით, ვაუბატონო? — ჰეითხა ცოლმა, — აბა ერთი თქვენს თავს დახედეთ, რას დამგვანებიხართ აღამიანის სახე არა გაქვთ! სად დახეტიალობდით აქამდე? შინ ცოლი გიკვდებათ, თქვენ კი მთელ ქალაქში და-გეჭებენ. სად, სად იყავით? ალბათ ისევ მე დამეძებდით, აქაოდა პატანი ექ-ნება დანიშნული და უნდა ჩავუშალოო. გრცხვენოდეთ, ბატონო, გრცხვენო-დეთ! ამის შემდეგ თქვენც ქმარი გქვიათ! მაღლე თითით საჩვენებელი გახდე-ბით!

— სულიკო! — უპასუხა ივან ანდრეევიჩმა.

მაგრამ აქ ჩვენმა გმირმა ისეთი უხერხულობა იგრძნო, იძულებული შე-იქნა ჯიბეში ხელი ჩაეყო ცხვირსახოცის ამოსალებად და დაწყებული სიტყვა შეეწყვიტა, რადგან არც სიტყვები ყოფნიდა სათქმელად, არც აზრი და არც გამბუდაობა... წარმოიდგინეთ მისი გაოცება, შიში და ელდა, როცა ცხვირსა-ხოციან ერთად ამიშკას ლეშიც ამოუვარდა ჯიბიდან. ეტყობა, საწოლიდან გა-მომომა რომ დააპირა, სასოწარკვეთილმა ამიშკას ლეში ისე ჩაიტენა ჯიბეში, უნებლიერ შიშით ატანილმა ვერც კი შენიშნა. ალბათ იმედოვნებდა, ამით ქვალსაც დავფარავ, სამხილსაც მივაფუჩეჩებ და დამსახურებულ სასჯელს თავს დავალწევო.

— ეს რა ამოგივარდათ? — შეჰყვირა ცოლმა, — ღმერთო ჩემო, მკვდა-რი ფინია! ძალლს რა უნდოდა ჯიბეში? ახლავე თქვით, სად იყავით და რა ჩაიდინეთ?

— ძვირფასო! — უპასუხა ივან ანდრეევიჩმა და ამიშკაზე უფრო მისი-კლილდა, — ძვირფასო!


მაგრამ ახლა მომავალ შეხვედრამდე უნდა დავტოვოთ ჩვენი გმირი, იმი-ტომ რომ აქ სულ ახალი და განსაკუთრებული თავგადასავალი იწყება. როცა იქნება, ბოლომდე მოვიყვებით, ბატონებო, მთელი ამ ვაი-ვიშისა და წამების ამბავს. მანამდე კი დამეთანხმებით, რომ ეჭვიანობა მიუტევებელი, გრძნობაა. უფრო მეტიც: ეს უბედურებაც კია, ბატონებო!..



ჭან რუსელობ

ლექსიტი

თარგმნა გარიცე გამოცემისთვის



ეროვნული
სამართლის

ზოგი თავისთვის, ზოგიც სხვისთვის, ან სხვასთან ერთად,
თითო, უალ-უალკე და ყველა ერთად,
პულმოლგინებით და მოთმინებით
კუმნით რალაც სპექტაკლს.

შენ მე მაქციე ნამდვილ თოჯინად,
უოველთვის ეცდილობ — ვიყო მორჩილად.

შენ ჩემში ცოცხლად დასამარდი, დაიდე ბინა,
შანჩი რად მტანგავ, რას მოითხოვ, გამაგებინე.

საუთარ თავს ვსჭი, დამშვიდებით როცა ვფიქრდები.
ზოგჯერ, სიბრაზით ანთებული, მხეცად ვიქცევი.

შენ, როგორც მიწას ჩამარხული ნალმი თუ მინა,
ჩემს არსებაში ხან ბობოქრობ, ხან კიდევ გძინავს.

როცა მწვერვალზე ასვლის შემდეგ ძირს დავეცემი,
შენ ჩემთან ერთად ფერფლად ქციავს ვერ გაემცევი.

რატომ აღარ გსურს ჩემი ნახვა — სულაც აზ მიკვირს,
შე საკუთარი თავი ველარ მომიძებნია,
საჩის წინ ვდგავარ და ვულიმი ვიღაცის სახეს,
მინდა დაერწმუნდე, ეს ლიმილი ისევ ჩემია,
დროს მთელი სახე დანის წვერით დაუსერია.

ვერ ვეგუები დასასრულის მოახლოებას,
უსარგებლოა ჩემთვის უკვე უველა ცდუნება,
ამდენმა ფიქრმა დამიმძიმა ძლიერ გონება,
ახალგაზრდობა ჩემს პირდაპირ სარკეში ქრება,
ვერ ვეგუები დასასრულის მოახლოებას.

89 ვხედავ...

სულ უფრო სწრაფად მოძრაობს თვალი,
მკვეთრად აღვიქვამ გარშემო ყოველს.
მხოლოდ განძრევის აღარ მაქვს თავი,
სქელი ნაჭუჭი, ჩემივე მსგავსი,
შემოხვეული მაქვს როგორც გარსი; გრაფიკული გამოსახული



ბედნიერება რომ განმეცადა
თავი მინდოდა გამომეცადა,
მე ორეულის დაძლევა მწიდდა,
მთელი ქვეყანა შემოვიარე,
სიხარულს მაინც ვერ ვეზიარე.

ვხედავ, სიბნელე სწრაფად ეშვება,
გაურკვევლობა ირგვლივ შეფდება.
მთელი არსებით მსურს შებრძოლება,
დავძლიო მინდა ბურუსი სქელი, —
წყვდიადის მიღმა განთიადს ველი.

●
...მაშინ შემეძლო
შევხებოდი უკიდო ზეცას.
აფეთქებული მხვდებოდა ნუში,
გალიმებული ვხვდებოდი ძელქვას.

...დრომ გადაშალა სურათი შენი,
ვერ გავიხსენე თვალების ფერი.

შენამდე უკვე ვეღარ აღწევს გაწვდილი
ხელი,—
ჩვენ შორის კედლად ალმართულა მრავალი
წელი.

●
შენგან გავიგე
საყვარელი არსების ფასი,
გავიგე,
როგორ დამეცალა მე ცოდნის თასი.

შენ მე მასწივლე სიხარული და ალტაცება,
სხვისი ტკივილით შეწუბება და თავდადება.

შენ გამიყავი სიხარული მე შენი წილი,
გაინაწილე ჩემთან ერთად მრავალი ჭირი.

თვალის გარშემო ნაოჭებმა, თმებზე ჭალარამ,
შენი ქალური სათნოება სულ ვერ დამალა.

გიორგი ხოლოძე

შორეულ ტბაზე



შორეული

თარგმანი იმპერიული ენერგეტიკის

Xერ კიდევ გუშინ მოაგარისენი მშვიდად საუბრობდნენ ჭიშკარებთან და თავ-თავიანთ ოჯახებთან ერთად სეირნობდნენ ტბის ნაპირას, ბავშვები ქვიშის ბორცვებზე თამაშობდნენ, ბინდბუნდში კი ჟერანდებზე აბაუზურები ანათებდა და თითქოს არაფერი მოასწავებდა პანიკას. დღეს კი...

აგერ, ქუჩაში ჩქარი ნაბიჭით, თითქმის სირბილით მოდის სახეშეშლილი ქალი, თან მოათრევს სურსათის დასაკეც ურიყას, რომელზედაც დაყრილია მთელი სააგარაკო ბარგიბარხანა, თავისუფალი ხელით კი მოაქვს ლითონის გასაშლელი საწოლი. ქალს მატარებელზე მიეჩქარება.

აი, მეორეც... მოდის ისეთივე აჩქარებული ნაბიჭით. მხარზე გადაუგდია საოჯახო ნივთებით სავსე დიდი ზურგჩანთა, საიდანაც მოჩანს ბადმინტონის სათამაშო ჩოგნები... თან მოათრევს ხუთი-ექვსი წლის ორ აბლავლებულ გოგონას. მასაც მატარებელზე ავიანდება!

აგერ, ასი კილომეტრის სიჩქარით მოჰქრის და მთელ ქუჩაზე მტვრის კორიანტელს აყენებს სატვირთო მანქანა, რომელიც პირთამდეა დატვირთული შეკრული ლოგინით, ზედ კი შიშისაგან ხელიხელჩიკიდებული მოხუცი კაცი და ქალი სხედან.

ჩაიქროლებს ტრაქტორივით მორახრახე, ახალი, წითელი „ზეოროუეცი“, სახურავზე დამაგრებული ტელევიზორით... მას უკან მისდევს „მოსკვიჩი“. რომლის სახურავზეც გასაბერი რეზინის ნავია.

აი, მთელი სააგარაკო დაბის დასაცინი, ორმოცდაათიანი წლების მშვენება, მოუქნელი, როგორც დრედნოუტი, პატრონის მიერ ჰყებელა მწვანედ შეღებილი, ბავშვებით გატენილი „ზიმი“, რომლის სახურავიც და მისაბმელიც სავსეა ბოხჩებით, საოჯახო ნივთებით.

საით მიეშურებიან? ომი ხომ არ არის?... იქნებ მიწისძვრაა ან წყალდიდობა?..

არა. დღეს 25 აგვისტო, ტრადიციული დღე, როდესაც იწყება დაბიდან მოაგარისეთა და დამსვენებელთა პანიკური გაქცევა და რომელიც გრძელდება სუთ დღეს, 30 აგვისტომდე. ბოლო ორ დღეს მიემგზავრებიან უკვე მოხუ-

ცები, უმთავრესად პენსიონერები. იმათ სადღა მიეჩქარებათ?.. და ერთბაშად უკაცრიელი ხდება დაბა.

თუმცა ეს მოვლენაც ისევე კანონზომიერია, როგორც პლანეტების მოძაობა. მაგრამ, სულერთია, ყოველ წელს მოაგარაკეთა ასეთი ვაჭრები / მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ყველაზე არა, ზოგიერთი — მოხალულებულ კია, როგორც მაგალითად, ფედია.

— მიდიან! — ღრიალებს ფედია ამტვერებულ ქუჩაში და მზად არის ფართოდ გაშლილი ხელები მოშევიოს ყველას, ვინც ტოვებს დაბას. — მიემ-ჯზავრებიან! — და ფედია მართლა „ეხვევა“ გზად შეფეთებულ ტურისტს თუ საძულველ მოტოციკლისტს — უბედურთა ყვირილი ისმის ტბის გაღმაც, სამი კილომეტრის იქით. ფედია ცდილობს სიხარულით მეც გადამეხვიოს, მაგრამ მე თავს ვიძერენ მისი რეინის ხელებიდან.

— ახლა ჩვენც დავისვენებთ, არა, მეზობელო? — ამბობს ფედია და მთელ სახეზე ღიმილი ეფინება. — დავისვენებთ მოაგარაკებისაგან და ამ.. რა ჰქვია... ნეა... ნეა... ნეა... — იგი ცდილობს მომიახლოვდეს და ხელი მაინც „ჩამომართვას“.

— ნეანდერტალელები, ფედია, ნეანდერტალელები! — სასწრაფოდ ვპასუხობ, რომ თავი დავალწიო და ერთი ნაბიჯით ვიხევ ზურგსუკან ხელებდა-მალული.

რა თქმა უნდა, გარკვეული მოსაზრებით მეც ვიზიარებ ფედიას სიხა-რულს, თუმცა ასე აშკარად არ გამოვჩატავ. მოაგარაკეთა გამგზავრების შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმესა და სიმშვიდეში ჩვენც ბოლოს და ბოლოს კარგად დავისვენებთ. თავად მე ხომ, სიცხისაგან სულშეხუთულს, ყველაზე ხშირად ზაფხულში მიხდება ჯდომა ფანჯრებდახურულ ჩემს მანსარდაში, სადაც თხელ ედლებში კარგა მაგრად აღწევს ქუჩაში მოსეირნე მოდასაყოლილი ახალგაზ-რდების, ტრანზისტორებისა და მაგნიტოფონების ლრიალი, ფანჯრებთან ჩაქ-როლილი, მაყუჩმოხსნილი მოტოციკლების გრუბუნი და ტურისტთა დასა-ვენებელი სახლის რადიოს ხმა. მთელ იმედებს შემოდგომაზე ვამყარებ ხოლ-მე. მშვენიერი ტბისპირა დაბიდან მივდივარ აცივებისას, როდესაც ორი ელექტროლუმელიც კი ველარ ათბობს ჩემს მანსარდას.

ვინ არის ფედია? რას საქმიანობს?

ზაფხულობით იგი თვალყურს ადევნებს, რომ წესრიგი იყოს პლაზე და კიდევ, საკუთარი ინიციატივით, ტყის სანაპირო ზოლზე, რომელიც გზის გაღ-მა მხარეს გასდევს. მართალია, ტყეს ჰყავს თავისი მცველი — ივანე პოლ-კარპოვიჩი, ჩია, გაურკვეველი ასაკის კაცი, მაგრამ იგი ზაფხულობით იხდის თავის ფორმას და დიდ კოკარდიან ქუდს, იცვამს მოთხუპნულ პერანგს, შარ-ვალს, წინსაფარს და გადაიქცევა ხოლმე მეღუმელედ, მჭედლად, მღებავად და საერთოდ, ხელს ჰქიდებს ყოველგვარ სახალტურო საქმეს. ყველაფერს ცუ-დად, მაგრამ სწრაფად იკეთებს და სალამოს შვიდი საათისათვის ის უკვე ლო-თების ბრძოშია, რომელიც იერიშით იღებს. დასაკეტად გამზადებულ სპირ-ტიანი სასმელებით მოვაჭრე მაღაზიას. ფედიას ეცოდება მეტყევე, ეს უბე-დური და ავალმყოფი აღამიანი. ფედია დიდად გულკეთილია და მზად არის ჯველას გაუწოდოს დახმარების ხელი.

ამ რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა ფედია დაბაში. ცხოვრობს შორეულ

ნათესავ ქალთან, რომელსაც საოჯახო საქმეებში ეხმარება. ისე კი ლენინგრადისა: მხარბეჭიანი, ლონიერი, უროსავით მუშტებით, მაგრამ სახით მოხრდილ ბიჭს უფრო ჰგავს და ხასიათი და საქციელიც ბავშვისა აქვს. ნშიტომაც ორმოცდამეოთხეში გადამდგარს ასაკი სულ არ ეტყობა, რის გამოც სახელით და მამის სახელით კი არ მიმართავენ, არც ფიოდორს უწოდებენ, უბრალოდ ფედიას ეძახიან. ლენინგრადის ბლოკადის დროს ავიაბომბები ჩერტი ჩერტია იმ სახლს, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა და დაანგრია. ყველა დაისახულია, რომ ეტლის ბავშვი, საბანში გახვეული, საბავშვო ეტლით, რომელშიც იგი იწვა, მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა.

როდესაც ფედიას ეკითხებიან, როგორ გადარჩი ცოცხალიო, — პასუხობს: უბრალოდ, ეტლი მსუბუქად დაეცა ბორბლებზე, ერთი შეხტა და პერიი... — აგრძელებს იგი, — გავგორდით ეზოში.

ლენინგრადის ბლოკადის დროს იმდენი საოცრება ხდებოდა, რომ ფედიას ნაამბობიც დასაჯერებელი იყო... იყო ათასიდან ერთი შესაძლებლობა და ფედიაც გადარჩია. ბავშვი იპოვეს, წილი ბავშვთა სახლში ძარღვეს, მაგრამ დაბომბვის დროს მიღებულმა მძიმე კონტუზიამ შემდეგში დიდხანს მიაჭაჭვა იგი საწოლს ინვალიდთა სახლში. მისი თქმით, ჯერ კიდევ ცოტი ხნის წინ სხეულის მთელი მარცხენა მხარე ჰქონდა დადამბლავებული, ვერც ხელს ამოძრავებდა და ვერც ფეხს ხრიდა. და აი, დაბაში ჩამოსელის შემდეგ, როდესაც ხელი მიჰყო ფიზიკურ შრომას, სწრაფად იწყო გამოჯანმრთელება. ვარჯიშობდა იოგას სისტემით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ გათავისუფლდა კონტუზიისაგან— ცოტას კოჭლობს, დროდადრო ხელი მათრახივით ჩამოეკიდება ხოლმე, ზოგჯერ ენასაც უკიდებს. სხვაფრივ ყოჩალად არის. ინვალიდობის პენსიას ლებულობს, ზაფხულობით კი დამატებითი შემოსავალიც აქვს — როგორც „პლაზე მომუშავეს“. ძალიან ჭირს ამ საღავიდარაბო საქმეზე მუშაობის მსურველთა პოვნა.

— მოდით, ჩამოგართვათ ხელი, — მთავაზობს ფედია.

— ა, არა, — ვეუბნები და ხელებს ზურგსუკან ვმალავ: ერთხელ უკვე „ჩამომართვა“ ხელი. ტკივილისაგან ავლრიალდი და მუხლებზე ჩავიჩოქე.

როგორ გავიცანით ერთმანეთი და შემდეგ როგორ დავმეგობრდით?.. ერთხელ ფედია ჩემთან მოვიდა და მთხოვა, რაიმე წასაკითხი მომეცითო. ჟურნალების მთელი დასტა მივეცი, ხოლო როცა დამიბრუნა, თან უამრავი შეკითხვა დამაყარა.

ფედიას სერიოზულად უნდა ელაპარაკო, ასევე სერიოზულად უნდა უპასუხო „შეკითხვებზე“. სიყალებს მაშინვე გრძნობს, შეიძლება აფეთქდეს კიდეც და ეშმაქმა იცის, რას არ დაგწამებს.

მე, ჩვეულებრივ, დილით ადრე ვსეირნობ ხოლმე ტბის ნაპირას. დასუფთავებს თუ არა სანაპიროს, ფედია ჩემს მოლოდინში წინ და უკან დადის ტბის სკივრსა და ბენზინის კასრის შორის, რომლებიც პლაზის განაპირას აწყვია, ტბის მახლობლად, სადაც მანქანები დაჭქრიან. სკივრში, რომელიც კასრიდან ირმოცდათი მეტრითაა დაშორებული, იგი ინახავს თავის „ხელსაწყოებს“: ცოცხებს, ნიჩბებს და „შამფურს“ — ხელჯოხს წამახული წვერით, რომელზედაც დასუფთავების დროს წამოაცვამს ხოლმე გაზეთის ნაგლეჭებს, პოლიეთილენის პარკებს და სხვა ათასგვარ ხარაბურას, რითაც ანაგვიანებენ პლაზს

უდარდელი დამსვენებლები, მეთევზეები და ტურისტები. კასრს ნახევრამდე რომ აავსებს ნაგვით, წაუკიდებს ცეცხლს და მოთმინებით ელის, როდის და-რწვება ბოლომდე. იგი თავის საქმეს მუდამ გულმოდგინედ აკეთებს, იმიტო-მაც პლაზზე დილაობით ყოველთვის სისუფთავეა. მართალია, პლაზზი და მისი მიმდებარე ტყის ზოლი საღამოობით ძნელად საცნობია, ღამით კი ღამეები აქ თეთრია, მზე თითქმის არ ჩადის! — კვლავ სანაგვედ გადაწყვეტილ ხოლმე. მაგრამ ეს უკვე მეთევზეთა ოინებია. ისინი დანაგვიანების დიდი ოსტატები არიან. კარგიდ იციან, რომ ტბაში თევზი არ არის, ღამლამობით მაინც მოლიან უჩვეულო რეზინის კოსტუმებში და მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილნი... და მაშინვე კოცონებს აჩალებენ, ხის ლარტყებს აძრობენ ახლომდებარე სკა-მებიდან და ტოტებს აჭრიან ხეებს. უყვართ ბუნების წიაღში მაგრა გადაკვრა, ლაზათიანი წაქეიფება, გაუთავებელი საუბრები და ხშირად ავიწყდებათ, რის-თვის მოვიდნენ ამ სიშორეზე. იმ ფულით, რაღაც საცოდავი ჭიჭყინას დაჭე-რაზე რომ ეხარჯებათ, კარგა ხნის წინ შეიძლებოდა ოქროს თევზის ყიდვა, მაგ-რამ არ ყიდულობენ და განაგრძობენ ტბაზე სიარულს, გადადიან მატარებლი-დან მატარებელში და შემდეგ სათობით ჯაყჭაყებენ ხალხით გაჭედილ ავტო-ბუსში...

ფედია ნაპირზე მდარაჭობს და როგორც ყოველთვის მაძლევს შეკითხ-ებს. შეკითხვები სხვადასხვა თემას ეხება და არცთუ ისე მარტივია.

მაგრამ ზოგჯერ ცდილობს დამემალოს კიდეც. ხან ნაღვლიანიც მინახავს — თუ ვანემ აწყენინა, ხან კი პერანგშემოხეული და უპეებჩალურჯებულიც.

აგრე, იგი ჩემკენ მოდის, როგორც ჩანს მორიგი შეტაკება ჭქონია, და ენის ბორძივით მეკითხება:

— რას ეძახიან გამოქვაბულის... რა ჭქვია იმას.. .იმ ძეელ ადამიანს?.. ნეა.. ნეა... — თვალებს ჭუტავს და ცდილობს გაიხსენოს.

— ნე-ან-დერ-ტალ-ელი...

— დიახ, დიახ! — მიქნევს თავს. — გინახავს ნეა... ს სადგომი? სიტყვის დამახსოვრება უჭირს, თორემ ისე მნიშვნელობა ესმის. ასჭერ მაინც კავუმეორე დამარცვლით — ვერა და ვერ იმახსოვრებს, მაგრამ ბარბაროსები, ველურ ხალხს რომ ნიშნავს — იცის.

— ამა სად უნდა მენახა, ფედია, ძეელი ადამიანის სადგომი?

იგი ხელს მტაცებს პიჯაკის კალთაში — ხელების ზურგსუკან დამალვა მოვასწარი — და მიმათრევს. მივდივართ თითქმის სირბილით, აღლიანი ნაბი-ჭებით. გავედით პლაზის ბოლოში, რომლის იქით, სანაპიროს გასწვრივ გადა-ციმულია მყუდრო მდელოები. ფედიამ ერთ ასეთ მდელოზე გამიყვანა, რო-მელიც ოთხივე მხრიდან გარშემორტყმულია აყვავებული ასკილის ბუჩქებით. ირგვლივ გამაბრუებელი სურნელი ტრიალებს.

მდელოს შუაგულში ჩამჭრალი კოცონის კვალია, ჯერაც ხრჩოლავს მუ-გუზლები. გარშემო კი ყრია პაპიროსის ნამწვები, კონსერვის ქილები, დამტ-ურეული ბოთლები, საჭმლის ნარჩენები, მერხებიდან აგლეჭილი ხის ლარტყები, გაზეთების და უურნალების ნახევები და, რაც მთავარია, უშველებელი დაღრ-ღნილი ძვლები.

— ერთი შეკითხვა!... რა ცხოველისაა ეს ძვლები? — დაუინებით მე-კითხება ფედია.

მე ხელში ვიღებ კანჭის ძვალს, აქეთ-იქით ვატრიალებ ხელში და მხრებს ვიჩეჩია. ძნელი გამოსაცნობია, იქნებ დინოზავრისაა?

— რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, ქვის თუ კოსმოსის?

— ეს უკვე, ფედია, თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული საუკუნეში ისურვებს ცხოვრებას, — ვპასუხობ შემრიგებლურად. რა შეავი ამ შენს ნეანდერტალელებს?

გაურკვევლად ბუტბუტებს:

— გაიქცნენ, ეგ ეშმაკები!.. რას დავეწეოდი.. მაგრამ ერთ მათგანს მანც „გადავეხვიე“, მეორეს კი ხელი „ჩამოვართვი“.

ერთხელ კი თითქმის თვალცრუმლიანს შევხვდი.

— ფედია, რა მოხდა?

— კასრი გადააგდეს, იგურ, ტბის შუაგულში...

ხელი მოვიჩრდილე და გავიხედე. მართლაც, ტბის შუაგულში მოჩანდა ნახევრად ჩაძირული კასრი.

— იქნებ ტალლამ გამორიყოს მერე ნაპირზე?

— არ გამორიყავს! ლუზაზეა დამაგრებული.

— ვის შეეძლო ამის გაკეთება?

— ვის და... შურს ძიობენ... მაგრამ დამაცადონ, მე მათ ვუჩვენებ სი-ირს! — იმუქრება ფედია...

ერთხელ ფედია მოტოციკლისტებსაც შეება. ხუთი-ექვსი თავზეხელალებული ახალგაზრდა გამაყრუებელი ლრიალით დააგვლვებდა მოტოციკლები, ფეხით მოსიარულეთა გზაზე, სადაც ბავშვები დარბიან და მოხუცებსაც უყვართ სალამოობით სეირნობა. გვერდით კი გზატკეცილია, აგრეთვე მოასფალტებული გზის ზოლი მოტოციკლებისა და ველოსიპედებისათვის. აქაც და იქაც საგანგებო საგზაო ნიშნებიც კია დადგმული, მაგრამ ამ ახალგაზრდებს ასი კილომეტრის სიჩქარით ჭირითი მაიმცდამაინც ფეხით მოსიარულეთა გზაზე უყვართ, რათა ხალხი დააფეხონ, აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარონ და წყევლა-კრულვის კორიანტელი დააყენებინონ, თვითონ კი იხარხარონ, სანამ ხმა არ ჩაეხლიჩებათ.

ერთ-ერთ მათგანს ფედიამ მოტოციკლი წაართვა და თან ყურები ააჩია. ნაპირზე მოვიდნენ მშობლები, არაფრის გავონება არ სურთ. ილანძლებიან, იმუქრებიან, სასამართლოში გიჩივლებთო...

გამოიძახეს ფედია რაცენტრში, ცოტათი დატუჭსეს, ბენზინის კასრის სანაცვლოდ კი მისცეს მეორე ხის სკივრი — ნაგვის ჩასაყრელად. დადის ახლა თავმომწონედ, ახალი პერანგიც კი ჩაუცვამს.

მეორე დილას კი — ადამიანის სახე არა აქვს, ზურგზე აყიდებული ტო-მარა მიაქვეს, მოსალმებაც კი არ სურს.

— რა მოხდა, ფედია? — ვაჩერებ.

იგი მიწაზე აგდებს ტომარას, იქიდან იღებს გამხმარ, ხაშხაშმოყრილ ფუნთუშას, შემდეგ თეთრი და შავი პურის ნატეხებს, შემდეგ კი მთელ შავ პურსაც.

— აი, შეხედე, მდელოზე ავკრიფე, — მეუბნება იგი თითქმის ტირილით. — ვის გაუგონია პურის გადაგდება?! ეცხოვრათ ერთი ბლოკადის დროს!.. საიდან გაჩნდნენ ეს არამზადები?.. საიდან? — მრისხანედ მოიწევს ჩემკენ.

როგორ ვებრძოლოთ პურისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებას, თვითონ არ ვიცი.

— გამდიდრდნენ, გაზულუქდნენ, მშივრები, მათხოვრები ~~არიან~~ არიან,— ვცდილობ გასაგებად ავუხსნა და დავამშვიდო. კიდევ რა მოვიგონო? მის თოთბაზე მრავალი წერილი დაიბეჭდა გაზეთის ფურცლებზე!..

იგი არ მისმენს, მაწყვეტინებს:

— აი, მარია პეტროვნა, დეიდაჩემი მიყვებოდა: ბებია სადილის შემდეგ ნამცეცებს ავროვებდა და პირში იყრიდა, თუმცა ლარიბები არ ყოფილია...

— ის სხვა პური იყო, — კვლავ ვცდილობ მის დამშვიდებას.

— როგორ სხვა?

— გლეხური, ხელით გამომცხვარი, მძიმე შრომით მოპოვებული...

— ახლანდელი?

— ახლანდელი? — აქ დაფიქრება იყო საჭირო. — პურმა ღაერგა თაცისი სულიერი დანიშნულება, იგი გადაიქცა „პროდუქტად“, ამიტომ არის მის მიმართ სხვანაირი დამოკიდებულება.

— რა, პური რეინისა გახდა?

— მანქანური, ლითონნთან აქვს საქმე. მანქანები თესავენ, მანქანები იღებენ პურს. მას თითქმის არ ეხება აღამიანის ხელი. და ხალხიც სხვანაირია, არა ისეთი სანტიმენტალური, როგორიც წინათ იყო.

იგი უნდობლად მიყურებს — ვერ გაუგია, ვხუმრობ თუ სერიოზულად ჰეუბნები, შემდეგ იკიდებს ზურგზე ტომარას და უკანმოუხედავად მიდის...

ფედიამ ლოთებსაც გამოუცხადა ომი, რომლებიც სალამონბით მაღაზიის იერიშით იღების შემდეგ პლაზზე და მდელოებზე იკრიბებოდნენ. ერთხელ ვი სანაპიროზე დამეწია, კანკალებდა, ენა ებმოდა...

— რა მოხდა, ფედია?

— ეს ნეა... ნეა... ნეა... რატომ...

— ნე-ან-დერ-ტალ-ელები...

— ეს ნეა... რატომ... ამტვრევენ ბოთლებს პლაზზე. რატომ არ აწყობენ პუჩქების ძირში? მოხუცი ქალი დადის აქ ჩანთით, ვინახავთ? ის შეაგროვებდა...

იი, შეკითხვა! მაგრამ ხომ უნდა კუპასუხო.

— ეს ნეა... არასდიდებით არ დააწყობს ბოთლებს პუჩქების ძირში. ეფექტი არ ექნება. გაგიუდება, რომ ბოთლები ქვებზე ან ასფალტზე არ დაანარცხოს, რათა ნამსხვრევები იქეთ-იქით გაიფანტოს! იი, მაშინ ვრძნობს თავს აღამიანად!.. პუჩქების ძირში კი გინდა დაუწყვია, ვინდა არა, აბა ამას რა ეში აქვს.

— მაშ, მოხუცი ქალი? ნეამ... მ იცის მის შესახებ?

— იცის! მაგრამ მიუფურთხებია. — მე უდვე ებრაზობ და გაცლას ვამჯობინებ.

ზურგსუკან კი მესმის:

— მაშ სინდისი? აქვს კი ნეა... ს სინდისი?..

მძიმე ცხოვრება აქვს ფედიას. მოვა, მდუმარედ ჩამოჭდება სკამზე ჩვენთან ეზოში:

- თავს დავანებებ სამუშაოს, ეშმაკსაც წილია...
- მოხდა რამე?
- სანაგვე სკივრი წაიღის და დაწვეს!..
- ვის შეეძლო ამის გაკეთება? — ვეკითხები გაოცებული.
იგი გამკიცხველი თვალებით მიყურებს.
- წარმოგიდგენია, რას დაემსგავსებოდა პლაზი და მთელი სტრატეგიული ნოდ? — ვეკითხები.



დუმს, ფიქრობს, შემდეგ ალიარებს:

— წარმომიდგენია! დიახ, მეზობელო, შენ მართალი ხარ...

— ცოტა ხანს კიდევ მოითმინე, — ვეუბნები. — უკვე ივლისის ბოლოა, საცაა აგვისტოც დალგება, დამსვენებლები და ტურისტები ნელ-ნელა წავლენ. ძეთევზეებიც ცოტანი დარჩებიან. მერე კი დაისვენებ.

იგი ცოცხლად წამოდგება.

— კარგი, ცოტას კიდევ წავიბრძოლებ, გადაწყვეტილია! წავალ რაიცენტრში, მოვითხოვ ხუთ ახალ მერხს და ახალ ქასრს — რაიმე უფრო მძიმეს!..

მესამე დღეს დაბრუნდა სატვირთო მანქანით. რაიცენტრში ფედია შეიძლება და მისცეს სანაგვე ყუთი... გრანიტის! ნახევარ ტონას იწონილა! ასაწყობი, ხუთ ფილიანი: ერთი ჭირზე, ოთხი გვერდებზე. ფედია დიდი მონლომებით ეხმარებოდა მუშებს ყუთის აწყობასა და ლითონის კაუჭებით მის გამავრებაში.

მთელი დაბა მორბოდა ამ საოცრების სანახავად. გრანიტის სანაგვე ყუთა
შთამბეჭდავი შესახედაობა ჰქონდა. მხოლოდ ერთი რამ აფიქტებდა ყველას,
ვაითუ ვერავინ გაბედოს ამ სარკოფაგში ნაყინის ჭიქის ან კონსერვის ქილის
ჩაგდება და ასე იდგეს უჭმალ.

— არ იდგება! — გამოვიდა უკანა რიგებიდან მხიარული, მწვანე საცურაო კოსტუმში გამოწყობილი მობანავე, რომელსაც ხელში ლუდის ბოთლი ეჭირა. — ბედნიერ ნაოსნობას გისურვებთ! — და ისე სთხლიშა ბოთლი გრანიტს, რომ ნამსხვრევები სულ აქეთ-იქით გაიფანტა.

იქვე გვერდით ტაში შემოჰკრეს. უმრავლესობა გაჰყვიროდა:

— ახალი მოიტანეს, ახალი!

და ფედიაც ბელნიერი ილიმებოდა.

ახლა კი ხშირად შეიძლება შეხვდეთ ფედის უკაცრიელ ნაპირზე ფრინველთა შორის. თითქოს იციან, რომ არაფერს ავნებთ. მოავარაკეთა და ტურისტთა წასვლის შემდეგ მიყუჩებულ ნაპირისკენ მოცურავენ ტბის გალმანაპირიდან იხვები. ისინი ზოჯერ ასობით არიან. ფედია მათ მეთევზეთა მიერ ყოველ ნაბიჯზე დაყრილი პურით კვებავს. როგორც ჩანს, იხვები ძალიან ენდობიან აღამიანებს. ისინი სულ ახლოს მოცურავენ, ხელითაც კი შეიძლება მისწვდე. იხვების შემდეგ ოოლიები მოფრინავენ ყოველი მხრიდან და დიდ-ხანს დასტრიკალებენ მათ თავზე. ხოლო როცა შორიახლოდან შეათვალიერებენ ფედის — ყვავებიც თამამდებიან.

თოლიები ფედიას გადაგდებულ პურს ჰაერშივე იჭირენ ან პირდაპირ ნის-კარტიდან გლეხენ რომელიმე თვალგაშტეჩებულ იხვს. ყვავები ყოველთვის

ფრთხილობენ. საპატიო მანძილზე დახტიან ფედიას გარშემო თავიანთი გახე-
ებული ფეხებით და კმაყოფილდებიან იმით, რასაც მათ ფედია გადაუყრის.

საოცარია ამ უკაცრიელ ნაპირზე მჯდომარე, ფრინველთა გუნდით გარ-
შემორტყმული და მათთან ალერსიანად მოსაუბრე მარტოხელა არამიანის
ნახვა.

შესაბულება

დღეები კი სულ უფრო და უფრო პატარავდება. გვიანებულება აღრე
ბინდდება. უკვე ველარ დაინახავ ჩაუვალ მზეს, ლამის თორმეტ საათზეც რომ
მწვავედ აცხუნებდა. ველარ დაინახავ ვერც ტბაში მობანავეებს და ველარც
მინდორზე ბურთით მოთამაშე ბავშვებს.

მოვიდა ჩემი ქალაქში გამგზავრების დროც. ამ დილით უკანასკნელად მივ-
დივარ სასეირნოდ.

ტბა სევდიანად გამოიყურება. პირქუში, ტყვიისფერია წყალი. ზედ მო-
ქუფრული ღრუბლები ჩამოსწოლია. ქარმა ხეებს აქა-იქ შემორჩენილი, გამ-
ხმარი, დაგრეხილი ფოთლებიც შემოაძარცვა. ფოთლებითაა დაფარული ჩაუ-
შებული ბალახი, ბილიკები, გზა და ფეხქვეშ შარიშური გააქვთ.

ირგვლივ მოწყენილობაა — დაცარიელებულ ნაპირზეც და მისკენ მიმა-
ვალ გაუკაცრიელებულ აგარაკის ქუჩებშიც.

მაგრამ, აგერ, ჩემკენ მორბის ფედია, რომელიც უცბად ბუჩქებიდან გა-
მოძვრა:

— მეზობელო, მეზობელო! — ყვირის და შეშფოთებული მიქნევს
ხელს, — ყუთი, ყუთი წაულიათ...

პირველად ვერც კი მივხვდი, რომელ ყუთზე ყვიროდა, ვიდრე აქოშინე-
ბული არ მომვარდა და პიჯაკის კალთაზე არ წამავლო ხელი. — მე უკვე ან-
გარიშმიუცემლად მოვასწარი ხელების ზურგსუკან დამალვა.

და კვლავ მივრბივართ აღლიანი ნაბიჯებით, როგორც ზაფხულში.

აი, პლაჟიც. აქეთ-იქით ვიყურები... და ვერ ვპოულობ გრანიტის სანაგვე
ყუთს.

— როგორ შეძლეს იმსიმშიმე ყუთის წალება? — სიბრალულით ვუყუ-
რებ ფედიას.

— წაილეს, წაილეს! — კი არ ყვირის, ღრიალებს ფედია. — დაშალეს და
წაილეს.

დაშლილიც კი გრანიტის ფილები ბევრს იწონის, — თავს ვიქნევ მე.

— ამწეთი წაილეს! — ღრიალებს ფედია, თან ხელით მიჩვენებს სველ
ქვიშაზე განიერი საბურავებისაგან დატოვებულ ღრმა კვალს. — გრანიტი წაი-
ლეს!.. ნეა... ნეა.. ნეაა... — ბლავის და თან ენა ებმება.

— ნე-ან-დერ-ტალ-ელებმა.

— ეშმაკმა დალახვროს, ვერ გამომითქვამს! — და მუშტს ირტყამს ფარ-
თო, განიერ ხელისგულზე...

ტბის თავზე შეშფოთებული ყვირიან თოლიები, წყნარ ყურეში კი, სადაც
ჩვეულებრივ პატარები ბანაობენ ხოლმე, უამრავ იხვს მოუყრია თავი.

ჩველანი ფედიას მოლოდინში არიან. პურის გარდა მათ მისი ალერსიანი
სიტყვებიც სჭირდებათ.



მღვამე ჩუპრისავი

ლექსიგი



თარგმანი მივი ბარაბაზა

ჭერ ლუსკუმი თვლემს ტყეში, ჭერ ტევრს ფოთლები ბინდავს, —
არ შეუმართავს ცალი ფერისცვალების ამბოხს.
მაგრამ სიმწვანეს რადგან ნეკერჩელის ალი წმინდა
ელამუნება უჭვე, — ცეცხლო, გაღვივდი! — ვამბობ.

ის კი თავის უამს ელის და იდუმალი ძალით
ლველფს იქ ინახავს, სადაც ბნელი კორომი ხვნების,
მაგრამ თუ ნეკერჩელი ალისფერია, ალის
ფერი გასცდება კორომს, ალივით უსტვენს ტყეში.

ტყის ცეცხლო — ყირმიზ-ლალო, აღმა შეჰყევი მაღლობს,
უსტეინე ჩუმი სევდით, გულისგულში რომ ატანს.
უშურველი და ლალი, აღარაფერზე ვნაღვლობ,
სანამ ბრიალებ თვალწინ დიდებული და... სადა.

ჩეენ, თანაბარნი სულით, ზიარად ვწუხთ და ვხარობთ,
ერთი გვაქვს სახლიც — ახდილ გუმბათს ცის ვერცხლი აცრის.
მიდი, ფერების ცეცხლო, გასწვდი თთხივე მხარეს,
მერე შენივე ფრთების ფერფლს დაცხრი და... დაცხრი.

ზემოდგომისათვის

ისე ლალია სუნთქვა, ისე შორს სწვდება მზერა,
რომ აგერ-აგერ ქალალდს ტკივილს გაანდობ ფერადს:
რაზე? — იმაზე იქნებ, რომ უნუგეშოდ მშვიდი
ვროშნების სახლი ხიდან სამხრეთს გასცემერის რინდით?

ან იქნებ — მეხი რომ ქუხს და სიზმარს რომ გავს ცხადი,
და ფოთოლცვენა ბარღნის და სიჭაბუქე გადის?

თქვი, რას გურნახობს გული? წაიწყმედ სულს და ნამუსს? —
დაარღვევ მყუდროებას, ასე ღვთიურს და ამოს?

არა, არც ერთი სიტყვით! ოლონდ, მჭმუნავი, ჩუმად
თვალს გავაყოლებ ფრთოსნებს, რომ დანდობრინ რგუშენს.
და ხელს შევუშვებ კალამს.. და სულს ნაფრთხი მიჰტესშეს
და ჩემს ყისმათზე მაღლა აღვიმართები მყისვე.

მე ვიყავ, და მე წაველ. და არ ვახსოვარ არვის.
და ჩრდილი ჩემი ტრამალს თავს დასტრიალებს მალვით.
და ვსუფევ ისე მაღლა, რომ სასწაული, ნეტავ,
სხვა რაა, თუ არ ყოვლის აქედან ლიმით ჭვრეტა?

შებმია სული ორივე ხელით
ყოფნის სევდის თუ გაქრობის ვარამს,
მავრამ მას, ეულ მცენარის დარად,
სხვის ჩრდილში თავის მიღრეკა ელის.

შეხე, ბლია ტოტი ვით მწიფს და კვესავს,
თვალს მაინც სხვისი უკიდებს ხალისს.
— გაღმოუცოცავს თქვენს მაყვალს ჩვენსას,—
ლიმილით ამბობს მეზობლის ქალი.

რაღა მაყვალი, როცა მინებდა
ჭინჭარს ანწლი და.. ხელი ხელს მისცეს;
მინდორი ახოს ეპოტინება
და თავაწყვეტით მიიღტვის სივრცე —

საით? ან რისკენ? — ხომ სულერთია! —
სხვა მიწისკენ თუ... ცისკენ აპირებს,
საპირისპირო — რაღაც ფეთიან
უფსკრულს ელტვის თუ ნანატრ ნაპირებს?

რას იზამ, ყველას გვაბრუებს თითო
და თმენით ვზიდავთ ტრფიალის ეკლებს.
ჩემო ძვირფასო, სხვისი ხარ თითქოს? —
ა. რა სიშმაგრო მოვილტვი შენკენ!

მე შენს სახელს დავარქმევ წელიწიდს უბინაოს,
ჩვენს ტყე-ღრეში ხეტიალს, რაღაც ჭრელად შინაურს.

ღა ღამეს ფანჯარასთან, და კედელზე სანათურს,
ღა ჩემთვის გაუგებარ უინს უსაზმნო კამათის.

შე შენს სახელს დავარქმევ მდინარის გადარევას,
მოზღვავებულ სიცოცხლეს, სევდის გემოგარეულს.



შენ კიდევ რომ დამტოვო — არაფერი მომივა.
...და ჩრდილს — ხვატში, და ჩიტის ბნელ უღრანში ძრომიალს.

შენ კიდევ რომ დამტოვო, — ასჯერ დავითიცებდი!
რომ კვლავ, სახელდებული, ჩემთან გამოიჭცევი.

ოუმც არ გეცოდინება (ასე რთულად მარტივი!),
რომ არა ვარ მარტოკა, როცა თითქოს მარტო ვარ.

რომ, სულივით, ჩემთან ხარ და ჩემს ყოფნის ამართლებ.
... და ღამეს ფანჯარასთან, და კედელზე სანათურს.

...მე მესმის, მესმის მამული ჩემი!
ცაცხვების გასწვრივ და შეკრეჭილ ლობეთა გასწვრივ
ვეხეტები და — გინდ მომკალ! — ვეღარ ვცნობ თვალწინ
ასვეტილ სიერცეს. და თვითონაც უცნობად ვრჩები.

აქ — ხატა იდგა. იქ იყო ბალი.
ახლა კი ამწე აყანყულა საძირკვლის თხრილთან...
ნაწვიმარია. და სარდაფში მომავალ სახლის —
გერ კიდევ ბატის ყალყვითელა ჭუკები ყვინთავს.

და ჭმუნავს სული. ვერ მიუგნია
ნიშატისათვის, აქ გაფრენილ უამს რომ ერთვოდეს, —
ბავშვობის ქუჩებს იმ ქვეყნისკენ პირი უქნიათ
და არც მარადი მეხანძრე ჩანს კოშკის ერდოზე.

თვალმა იმდენი მოისაკლისა,
გულს აწი ვერრა, მე მგონია, ვერ გააწბილებს.
სამრეკლო ყუჩად კვლავ გასცემის ძველი საყდრის კარს,
სასაფლაოს და ქარხნის მილებს, ცაში აწვდილებს.

მღინარის პირას — თეთრი სიმლერა —
ძველი ტაძარი კვლავ ცას ეტრფის თმენით და რიდით,
თან ყველა ლერი აგურით და ყველა ქვის ლერით
მშობელ მიწასთან თანხმობას ხმობს. დღე არის მშვიდი

აგე, მაისის ხოჭოები დაფუთფუთებენ —
დაბზუიან და დაბრუნავენ მიწას მალიად
და უამის წირვას არყის ხეთა სანთლებს უნთებენ;
ო, თაღი დღისა ამ დროს, ღმერთო, რა მაღალია!



უკრაინული
პირველი ტერიტორია

ახალნაყარი შრიალებს შამბი,
ბუჩქებში შავი შაშვი სტვენს და... მე კვლავ მხნედა ვარ.
პეპლები ისევ ცაცხლს ელტვიან. ცხოვრება გარბის —
ასე ცინცხალი! — ისევ უკან მოუხედავად.

სიცოცხლე კიდით-კიდე გაშლილა
ლალი ზარხოშით და მთვარეულ შუქთა ბლონდებით.
და ყველა ბუჩქი რა ცდაშია, რა ყოფაშია —
არ განმეორდეს რათა... არც მე განვმეორდები.

მიმართვა მეარღვე უავოსაძმი დუშან „ბეთანიაში“ ჩეივისას

შავო, გეთაყვა, შენთან — ალავერდა!
გერ ფხიზელი ვარ, ხედავ თავადაც,
ამიტომ მინდა, გულით ალადუით,
მეც ერთი ჭიქა ვთხოვო თამადას.

ჩეენ, ჩრდილოელებს, არ მოგვდგამს წესად
ენამზეობა, ეს იცის ყველამ,
მაგრამ — მარნიდან სურნელი ესე!
მაგრამ — ამ ლვინის ჩინჩხლების ელვა!

გავლევდი სოფელს ანაქორეტად,
მაგრამ, თუ ცეცხლი მარგო გამჩენმა,
მე ვიტყვი ასე: იყავ პოეტი! —
და ხელს დავიჭრობ გულზე მარჯვენას.

მიდი, აოღანი ღმერთთან საუბრობს,
ატირე გულთა დასაკოდავად.
თქვი: გაშიშვლებულ სულის სანუქფოდ
ყლუპი ლვინო ხომ ძალზე ცოტა?

თქვი: ალსარების სრულის მაგიერ
ყლუპი ლვინო ხომ ძალზე ბევრია?
მიდი, იმლერე იმგვარ მაგიოთ,
სუცოცხლუში რომ ერთხელ მღერიან.

მადლობა, ძმაო, რომ ვგრძნობ და ვხედავ,
სიმღერა როგორ ამოსკვნით ჩივის

გრიბოედოვის საფლავის სევდას
და ფიროსმანის საფლავის ტკივილს.

ეწვევა სწვა დროს სწვა გახელებით
გულს მოგონების დარღი ფარული —
რა გამომწვევად მომხიბვლელები
ვიყავით ძმობით და სიყვარულით.

შოგვაგონდება — უფსკრულის თაეზე
ჩვენი სერობა. მთვარე მაღალი.
ჩვენ ღამის თბილისს ვლოცავდით თასით
და შენ არღანის ჰანგით გვდალავდი.

□



ტექნიკა სუსტიტუ-ტრანსფა

მოგორიშვილი



თარგმანი ხანი დარჩენა

„დედაბირი შეიძლი..“

ატარი პამულშვილი, — რომელიც დაახლოებით ცხრილის უკანასხე მდებარეობს ტულადან — ბოსტანისა და ჭისკენ მიმავალ შარაგზას შორის რამდენიმე ძეელი მტირალი არყოს ზეგბის ძირში არის პატარა, მოვრძო ბორცვაკი. ამ ადგილას განისვენებს ეარია ალექსანდრეს ასული შმიდტის ნეშტი, „დედაბირი შმიდტი“, როგორც მას ეძახდნენ მისი სიცოცხლის მოლოდ წლებში. იგი გარდაიცვალა 1911 წელს, მისი მეგობრისა და მასწავლებლის, მამაჩემის, ლევ ტოლსტიოს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდგომ.

როცა ეს ქალი გარდაიცვალა, მის მეგობრებს არაერთხელ მოსურვებიათ მოვონება დაეწერათ. მისი ცხოვრებისეული ამბები არ შეიძლებოდა დავიწყებას მისცემოდა, რადგან გულისამაჩუცებლად იცხოვრა ამქვეყნად და ბევრს გამოადგებოდა გაკვეთილად. რამდენჯერმე მოვკიდე კილამს ხელი, რათა მოკლედ მაინც მომეთხრო ის, რაც ხსოვნას შემორჩა. მაგრამ ვეღარ ვბეჭდავდი, როცა გამახსენდებოდა, რა უჩვეულოდ თავმდაბალი და მორჩილი ბუნების ქალი იყო .მას მუდამ უმძიმდა და უხერხულად გრძნობდა თავს, როცა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ლაპარაკობდნენ ან ზრუნავდნენ მასზე. „სულო, დამეხსენით“, — ამბობდა ასეთ შემთხვევებში და ხუმრობით ხელს გაიქნევდა ხოლმე. მეც რატომლაც მეუხერხულებოდა, ვაითუ, მისი მორიდებულობა ხელვყო-მეთქი, მაგრამ დედაბირი შმიდტის ხსოვნა ისე ხშირად გამომდგომია მაგალითად და ახლაც სამაგალითოა ,იმდენჯერ გავუმხნევებივარ ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში, რომ ვბეჭდავ მისი სიკვდილის შემდეგ მაინც გიამბოთ ამ თავმდაბალ ადამიანზე ყოველივე, რაც მახსოვს და ვიცი.

ყველაზე გაცხარებულ დროს, როცა მამაჩემის სულში გარდატეხა ხდებოდა, როცა, მისი სიტყვებით, ცხოვრებისეული განწყობილება შეეცვალა, სხვა სურვილები გაუჩნდა და სიკეთებ და ბოროტებამ ერთმანეთს გაუცვალუს ადგილები, როცა იგი მგზნებარედ და გულწრფელად წერდა ყოველივე ამას, — მისი ერთი ხელნაწერი თხზულება ხელთ ჩაუვარდა მოსკოვის ნიკოლოზის აჯავლებლის ერთ-ერთი კლასის ზედამხედველ ქალს ოლგა ალექსის ასულ ბარშევას. ოლგა ალექსის ასული გახლდათ ფაქიზად აღზრდილი, კარგად

* დამასრული, დასაწყისი ის. „საუნჯე“ № 1.

განათლებული, ნაზი აგებულების სუსტი ქალი, ძველი თავადიშვილის ოჯახიდან. და ამასთან ერთად ნაზი, მგრძნობიარე სულის პატრონი. ტოლსტოის თხზულება რომ წაიკითხა, იგი გაიკვირვა სიმართლის უზარმაზარშა, ძალამ, რითაც ნაწარმოები სუნთქავდა. მოუნდა თავისი შთაბეჭდილება გერმანიულინა უახლოესი მეგობრისათვის — მარია ალექსანდრეს ასული შპილტისთვის, რომელიც იმავე სასწავლებელში მსახურობდა. პირდაპირშე ჩატარდა მარია ალექსანდრეს ასულმა თავდაპირველად მოისურვა გვეგო — მაგაზე წერდა ტოლსტოი თავის სტატიაში. როცა გაივო, რომ იგი მართლმადიდებლობას ჰყიცხავდა, მარია ალექსანდრეს ასულმა, ამ ფრიად მორწმუნე ქალმა, უარი განაცხადა სტატიის წაკითხვაზედაც კი, ესოდენ რიდით რომ ურჩია ბარშევამ.

— თქვენი ტოლსტოი უღმერთოა! ჩამოეხსენით, გეთაყვა! არც წავიკითხავ! — პირდაპირ მიახილა მარია ალექსანდრეს ასულმა.

მაგრამ ოლგა ალექსის ასული არ მოეშვა. ცოტა ხანში ისევ შესთავაზო მარია ალექსის ასულს ხელნაწერის წაკითხვა.

— არ შეიძლება ლანძლოთ და უარყოთ ის, რაც არ წაგიკითხავთ, — ჩუმად შენიშნა მან თავის მედგარ ამხანაგ ქალს.

მარია ალექსანდრეს ასულს რაღა ეთქმოდა ბარშევას სამართლიან შეიშვნაზე და დაიწყო ხელნაწერის კითხვა. პირველივე სტრიქონებიდანეე თხზულებამ დაატყვევა და ისე მიიგაჭვა მისი ყურადღება, რომ ბოლომდე სულმოუთქმელად წაიკითხა.

— ჩემო სულიკო ოლგა ალექსის ასულო, — შესძახა მან თავის მეგობარ ქალს, როცა ბოლომდე წაიკითხა, — უნდა ვიშოვო ყველაფერი, რაც ამგვარი სულისკვეთებით აქვს დაწერილი ტოლსტოის.

— ყური მოვკარი, სახარება ახლად უთარგმნია, — თქვა ოლგა ალექსის ასულმა.

— მაშინ იხლავე წავიდეთ სინოდის ბიბლიოთეკაში და ვიკითხოთ, ხომ არ შეიძლება ამ თარგმანის ყიდვა.

რასაკვირველია, სინოდის ბიბლიოთეკაში არათუ ვერ იპოვეს ტოლსტოის სახარება, არამედ კლასის ზედამხედველი ქალების მოთხოვნამ შეაცმუნა და აღაშფოთო კიდეც ბიბლიოთეკის მოხელენი.

— მაშინ წავიდეთ თვითონ ტოლსტოისთან! — გადაწყვიტა მარია ალექსანდრეს ასულმა.

ოლგა ალექსის ასული გაშტერდა... არ ეთანხმებოდა, ეუბნებოდა, როგორ შეიძლება უცნობი ადამიანი შეაწუხო და თავი მოაბეზროვ.

— მერედა რას იფიქრებს ტოლსტოი. ჩვენს მისვლას...

მაგრამ მარია ალექსანდრეს ასულმა ბოლომდე არც მოუსმინა:

— დამეხსენით, გეთაყვა, თქვენი ირისტორიული მანერებით! — ყვიროდა იგი და თან სწრაფად იცვამდა, — ადამიანმა თვალი აგვიხილა, სინათლე გვიჩვენა! სიცოცხლე მოგვცა! ჩვენ კი მაღალი საზოგადოების წესებზე, ზრდილობაზე ვფიქრობთ! ჩაიცვით და გავემგზავროთ.

ტანჩია ოლგა ალექსის ასული დაემორჩილა და ორივე მანდილოსანი გაემგზავრა ხამოვნიკიში, სადაც იმუამად ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა.

ყველაფერი, რაც აქამდე დავწერე მარია ალექსანდრეს ასულის გადმოცემით ვიცოდი, და ვფიქრობ, არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენია, რაღან უფარდა ამ დროის გახსენება და ხშირად მიამბობდა ხოლმე. შემდეგ მო-

მითხრო როგორ შეხვდა მამა მასა და ოლგა ალექსის ასულს მოსკოვში, ჩვენი სახლის სასტუმრო ოთახში. მეც იქ ვიყავი. მამა ალექსიანად შეეგება ქალებს, გულიანად ესაუბრა და სტუმრებმაც მაშინვე ივრძნეს, რომ მათ წინ ახლობელი და ძვირფასი ადამიანი იდგა.

— თქვენ მაშინ სულ მთლიად ახალგაზრდა იყავით, — ალექსანდრე მარია ალექსანდრეს ასული, — თმა საღადა გეონდათ გადავარცხნილი! შეშათქვენმა წარგვიდვინა თქვენი თავი: „ეს კი ჩემი მდივანი გახლავთ“.

ამ ხნიდან მარია ალექსანდრეს ასული და ოლგა ალექსის ასული ხშირად დადიოდნენ ჩვენთან. ჩვენ მათ „მამაჩვენის კლასის ზედამხედველ ქალებს“ ვეძახდით. ყველანი ალექსიანად და მეგობრულად ვექცეოდით.

მარია ალექსანდრეს ასული საქმიანად შეუდგა ცენზურის მიერ აკრძალული მამაჩემის თხზულებათა გადაწერას. მასთან მუდმივი ურთიერთობა მქონდა, ხან ხელნაწერს მივაწვდიდი, ხან თხზულებებში ახალი შესწორებები შემქონდა, ხანაც მამაჩემის სხვადასხვა დავალებას გადავცემდი. თანდათან მარია ალექსანდრეს ასული ჩვენი ოჯახის მეგობარი გახდა. განსაკუთრებით დაუმევობრდა ჩვენი ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს — ჩემს პატარა ძმას ვანიკოს, ჯერ ისევ ბავშვი რომ გარდაიცვალა. როცა ყველანი იასნაია პოლიანაში გავემგზავრებოდით, ვანიკო თუმცა ძლივს ახერხებდა წერას, მაინც როგორლაც წერილებს უგზავნიდა მოსკოვში მარია ალექსანდრეს ასულს. ერთ-ერთ წერილში მარია ალექსანდრეს ასული მწერს: „საყვარელ ვანიკოს მადლობას ვუთვლი წერილის გამო. გული ამიჩუყდა. მან ხომ თვითონ მომწერა. რა საყვარელი, კარგი ბიჭუნაა! უთხარით, არასოდეს დამავიწყდება მისი ჩემდამი ესოდენი ყურადღება. მაგრად ვკოცნი“...

დედაჩემსაც მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდა. მალე ყველა ჩვენი ინტერესი მისთვისაც გულითადი და მახლობელი შეიქნა და თანდათანობით ჩვენი მეგობრები მისი მეგობრებიც გახდნენ.

რაღვან მარია ალექსანდრეს ასულსა და ოლგა ალექსის ასულის რწმენა მკვეთრად შეიცვალა და ორივენი ჩამოშორდნენ მართლმადიდებლურ რელიგიას, იგრძნეს, რომ სასწავლებელში მათი დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. და ორივენი გადადგნენ. უნდოდათ ძალა მოესწოროთ ფიზიკურად შრომაში, გაგმებიც კი შეიმუშავეს ახალი შრომითი საქმიანობისათვის. ჩვენში ჩრდილოეთის ჰავის პირობებში ორ სუსტ, შრომას შეუჩვეველ ქალს ძალზე გაუკირდებოდა არსებობა დაქირავებული მუშახელის გარეშე მარტო საკუთარი ძალებით, ამიტომ გადაწყვიტეს სამხრეთში გადასახლებულიყვნენ, საღაც ბუნებასთან კიდილი ასე ძნელი არ არის, და გარდა ამისა იქაური ჰავა გამოაჭანმრთელებდა ავადმყოფ მარია ალექსანდრეს ასულს.

მამამ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. გამოჩნდა ერთი კაცი, ვინაც დათანხმდა საარენდოდ მიეცა ახალი კოლონისტი ქალებისათვის მიწის ნაკვეთი სოჭთან ახლოს.

დაიწყო სამზადისი. მეგობრები, ვინ შურით, ვინ კიდევ შიშით შეპყურებდა ამ ორ მამაც ქალს, რომლებიც ემზადებოდნენ საკუთარი შრომით მოეპოვებინათ პური არსობისა.

მარია ალექსანდრეს ასულს ტულაში პატარა სახლი პქონდა, რომელიც კავკასიაში გამგზავრების წინ რამდენიმე ათას მანეთად გაყიდა.

ბოლოს მეგობრები გამოგვეთხვნენ და გზას გაუდგნენ.

ერთ-ერთ სადგურში, მოსკოვსა და ხარკოვს შორის, მიმნდობ მოვზაურ

ქალებს მოჰკარეს საგზაო ჩანთა, რომელშიც ფული და პასპორტი ჰქონდათ. იძულებულნი შეიქნენ ხარჯოვში გაჩერებულიყვნენ და საქმე ისე მოეწყოთ, რომ ვზის გაგრძელება შესძლებოდათ. ქალები ამოდენა ზარალმა ჭრა და-ალონა, პირიქით, თავი ისე დაიჭირეს, თითქოს უკეთესიც კრიკო /ასუ/ რომ მოხდა.

— ღმერთმა მოგვხედა, — ამბობდა შემდგომ მარია ალექსანდრეს ქალი, — ჩავედით კავკასიაში მარტო საკუთარი ხელების ანაბარა, და ამგვარად მაშინ-ვე აღმოვჩნდით იმ ხალხის მდგომარეობაში, იძულებულნი რომ არიან შრო-მით გაიტანონ თავი. ფული გვაცდუნებდა, დაქირავებულ მუშახელს გამოვი-ყენებდრთ და სხვებსაც ვაცდუნებდით.

კავკასიაში მიწის ნაკვეთი რომ მიიღეს, მეგობრები მუხლჩაუხრელად შრო-მობდნენ. მოხუცი არც ერთს არ ეთქმოდა, ალბათ ასე, ორმოც წლიმდე იქ-ნებოდნენ. მარია ალექსანდრეს ასული ქალწული იყო, ოლგა ალექსის ასუ-ლი — ქვრივი. ორივენი სუსტი ჭანის პატრონები და ამიტომ ფიზიკური შრო-მისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ.

ახალგაზრდობაში მარია ალექსანდრეს ასული ჭლექით იყო ავად, და იმ ხანებშიც, ჩვენ რომ გავიცანით, დროდადრო ძლიერი ბრონქიალური შეტევა ემართებოდა. მეტისმეტად გამხდარი იყო, ცარიელი ძვალი და ტყავი. მძიმედ სუნთქვავდა, ზოგჯერ გვესმოდა, ამოსუნთქვისას მკერდში როგორ უხიხინებდა ნახველი. ექიმები ურჩევდნენ მშვიდად ეცხოვრა, არაფერი ეკეთებინა, ნაად-რევად დაიღუპები, თუკი ჩვენს რჩევას არ შეასრულებო, ემუქრებოდნენ. მაგ-რამ მარია ალექსანდრეს ასული არ შეუშინდა ექიმების მუქარას და მიწისმუ-შის მძიმე ხვედრი იტვირთა.

სინამდვილეში მართალი თვითონ აღმოჩნდა და არა ექიმები. კავკასიაში მუშაობის პირველსავე წლებში მარია ალექსანდრეს ასულს გადაავიწყდა თა-ვისი ბრონქიტი, ავადობამ მხოლოდ სიცოცხლის მიწურულს შეახსენა თავი. მაგრამ მაშინაც კი იმ მძიმე სენმა ვერ აიძულა რაიმე შეეცვალა თავის ცხოვ-რებაში.

კავკასიიდან გვწერდა, „ზორბა ქალი“ გავხდიო.

მამამ ამაზე უპასუხა: „უდავოდ აჭარბებთ, როცა ამბობთ, ზორბა ქალი გავხდიო, ძალზე ეშიშობ, მეტისმეტად ქანცგაწყვეტილი ხომ არა ხართ. თუმც, ამას არა უშავს, ოლონდ იცოცხლეთ...“

მიწის სამუშაოების მთელი სიმძიმე, რა თქმა უნდა, მარია ალექსანდრეს ასულს დააწვა მხრებზე. ძალიან კი ცდილობდა ოლგა ალექსანდრეს ასული მიხმარებოდა მინდვრად თუ ბოსტანში, მაგრამ პატარა ხელებისა და სუსტი აღნაგობის ქალმა ვერ გაუძლო ფიზიკურ შრომას.

— არა, გეთაყვა, მარია ალექსანდრეს ასულო, — ეუბნებოდა იგი, -- უჩემოდ მოთიბეთ, მე კი წავალ და მეტიუ არნოლდს წავიკითხავ...

მარია ალექსანდრეს ასული ზოგჯერ გაბრაზდებოდა.

— რა ეგოისტი ხართ! რძიან ჩაის რომ მოითხოვთ, მერედა, საიდან მო-ვიტანო რძე, თუ კი თივას არ მოვიმარაგებთ ზამთარში ძროხისათვისი აბა! — მერე ცოტა შეარბილებდა კილოს, — წადით, წადით! ოლონდ სამოვარი დაღ-ვით. ჩაი ძალიან მინდა.

თივას რომ აიღებდა, მარია ალექსანდრეს ასული შინ წავიდოდა იმ იმე-დით, ჩაი ადულებული დამხვდებაო. მაგრამ არც სუფრა იყო გაშლილი და არც სამოვარი დუღდა.

ოლგა ოლექსის ასული იჯდა სკამზე, ცალ ხელში წიგნი ეჭირა. მეორე ხელში მარაო და უბორიებდა სამოვრის მილში. სამოვარი იატაკე რდგა და ჩერ კიდევ არ აღულებულიყო.

მარია ოლექსანდრეს ასულს გულიანად გაეცინებოდა, მოენგროდა თავის საყვარელ, მაგრამ უგერგილო მეგობარს, გააჩაღებდა ნახშირი და რამდენიმე წუთში ორივე შემოუსხდებოდნენ ჩაის. ამ დროს კარგი ალექსის ასული უამბობდა არნოლდის წიგნში ამოკითხულ მშვინეულ ამზე და ამზე ცალკე აღინიშნა.

როგორლაც ოლგა ოლექსის ასული ვერ გაუფრთხილდა თავს და კავკასიური ციება შეეყარა. მამამ გაიგო ეს ამბავი და მეგობარ ქალებს წერილი გაუგზავნა.

„განსაკუთრებით სასიხარულო იყო ,ოლგა ოლექსის ასულო, თქვენი ამბავის შეტყობა, რადგან ვიცოდი, ციება შეგეყარათ და ვშიშობდი. რა კარგად ცხოვრობთ! თქვენი ცხოვრება რაღაც საარაკოდ წარმომედგინა ,თურმე რა დრო გასული... ცხოვრობენ ყველანი ადამიანურად, მხოლოდ მე ვერ ვცხოვრობ ისე, ადამიანებს რომ შეეფერება, რაღაცნაირად საძაგლად ვცხოვრობ. ზოგჯერ სევდა მომეძალება, მაგრამ ვკიცხავ საჭუთარ თავს: კი არ უნდა იდარდო, არამედ უკეთ უნდა იცხოვრო. სულ ვცდილობ უწერო, მაგრამ ცუდად გამომდის. ოღონდაც კი ღმერთმა შემაძლებანოს არა ვქმნა, არა ვთქვა, არ გავიფიქრო ბოროტება“..

სხვა წერილში კი წერს:

„რაოდენ სასიხარულო კარგი ამბების გაგება თქვენზე.. უცნაური გრძნობა მაქვს თქვენდამი: ვიცი, როცა სულში სიკეთეა, ამქვეყნადაც ყოველივე კეთილად იქნება. ვიცი, სულში სიკეთე გაქვთ, მაგრამ მაინც მეშინია, მეტისმეტი არ მოგივიდეთ, არ გადაიღალოთ შრომით, და რაღაც არ მოხდეს,— თუმც კი ვიცი, არაფერია მოსახდენი. აქამდე ტყუილად ვშიშობდი, და მხოლოდ სიხარულს მგვრიდა თქვენი ცხოვრება. ღმერთმა ინებოს, რომ ასევე სიხარულს განიშებდეთ ჩვენცა და სხვა ახლობელი ადამიანებიც. ასეთი სიხარული, მაღლობა ღმერთს, უამრავი მაქვს“...

1890 წლის 10 აგვისტოს მამა წერს:

„გმადლობთ თქვენი წერილის გამო... თქვენ ხშირად მითვლით მადლობას, მე კი არ ვიცი როგორ გადავიხადოთ ყველა იმ სიხარულის სანაცვლოდ, რომ-ლებსაც თქვენ მანიშებთ? თქვენი ამბის გაგება (გემ შემატყობინა) და თქვენი წერილი ყოველთვის სასიხარულოა. აი, ცხოვრობენ ადამიანები ადამიანური ცხოვრებით და არამც თუ არ ნანობენ, წარმართობა რომ დააგდეს, არამედ მხოლოდ ხარობენ. და როგორი ადამიანები — სუსტნი, არაჯანსალნი. ვერა-სოდეს ვერ შევძლებ მოვიფიქრო და დავწერო ისეთი მტკიცებები, ჩვენ მიერ ნაქადაგევი მოძღვრების სასარგებლოდ, როგორც თქვენ იძლევით საკუთარი ცხოვრებით“...

ცხოვრობდნენ მარია ოლექსანდრეს ასული და ოლგა ოლექსის ასული მიწის ნაკვეთზე, რომელიც არენდით ჰქონდათ ალებული კავკასიაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ მიწათმფლობელ სტარკისაგან. ქალები მას ძალზე დაუმე-გობრდნენ და როგორც კი რაიმე გაუჭირდებოდათ, მაშინვე მიაშურებდნენ რჩევისა თუ დახმარებისათვის.

მაგრამ სტარკმა რატომლაც განიზრახა აქედან წასულიყო და მეგობარმა ქალებმაც გადაწყვიტეს კავკასიის დატოვება.

მათ ეს ამბავი მამას შეატყობინეს და მისგან ასეთი პასუხი მიუვიდათ:

„დიდი ხანია ცელოდი თქვენგან რაიმე ამბავს, ძვირფასო მარია ალექსანდრეს ასულო, და ის, გავიგე კიდეც — კარგიც და ცუდიც. კარგი იმიტომ, რომ ცოცხლები ხართ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, მთლად ცუდი არა, მაგრამ არც მთლად კარგი, იმიტომ, რომ თითქოს ნანობთ კავკასიაში რომ გადახვედით, თითქოს, თუ სტარკი არ იქნება, შეიცვლება ყველაზე ფუნდანტურანზრახვა და, თითქოს ამიტომაც გინდათ უკან დაბრუნდეთ. გრადულობის გადახვენით გეგმებს, ნუ ივარაუდებთ, რომ არსებობს დრო, ადგილი და ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირონი და მნიშვნელოვანნი იყვნენ თქვენი ცხოვრებისათვის და რომ არის ადგილი, დრო და ადამიანები, რომელთა შორის თქვენ არ შეგეძლებათ ოყოთ კარგი და, ამიტომაც სავსებით ბედნიერნი.

მოგვწერეთ, გეთაყვა, კიდევ და რაც შეიძლება სწრაფად, ასევე სთხოვეთ ოლგა ალექსის ასულსაც, გადაეცით მას ჩემი სიყვარული და იგივე რჩევა, რაც შეიძლება ნაკლებად იმოქმედეთ. რაც უფრო გამოუვალი გეჩვენებათ მდგომარეობა, მით უფრო ნაკლებად უნდა იმოქმედოთ. მოქმედებით ჩვენ, ჩვეულებრივად, ვაფუჭებთ ხოლმე პირობებს, რომლებიც თავისითავად საუკეთესოდ მოგვარდებოდა. გეთაყვა, ოლგა ალექსის ასულო, მომწერეთ და რაც შეიძლება დაწვრილებით თქვენი მდგომარეობის, გეგმებისა და ფინანსური ამბების შესახებ, თქვენ ეს არ უნდა გაინტერესებდეთ, მე კი მაქვს უფლება გალისყური გამოვიჩინო.

საკუთარ თავზე კარგის გარდა ვერაფერს მოგახსენებთ. დღითიდლე სასიხარულო ხდება ცხოვრება, სულიერი განწყობილებაც გამიუმჯობესდა და გარეგანი პირობებიც სასიკეთოდ შეიცვალა“.

მ წერილის მიღების შემდეგ მუგობარი ქალები აღარ გაჰყოლიან თავიანთ მეგობარს.

საიდანლაც ღმერთმა შემწედ მოუვლინათ მათ თათარი ილი, ვინაც თავისი ილალი გულით იგრძნო სულიერი სიალილე ორი განსწავლული მანდილოსნისა. დარჩა მათთან საცხოვრებლად და გაიზიარა მათი ხეედრი.

მამაჩემი მუდმივად უგზავნიდა წერილებს მეგობარ ქალებს, ამხნევებდა და თანაუგრძნობდა ყველა საქმეში, რაც არ უნდა შემთხვეოდათ.

„მადლობელი ვარ თქვენი, ძვირფასო მარია ალექსანდრეს ასულო და ოლგა ალექსის ასულო, — წერს მამა 1891 წლის 3 თებერვალს, — რომ ისევ და ისევ გვახარებთ თქვენი წერილებით. თქვენ ისე კარგად ცხოვრობთ (ვგულისხმობ თქვენი ცხოვრების გარეგნულ ფორმას), რომ ყოველთვის თქვენი წერილების მიღებისას შიში ამიტანს, ვიდრე გავხსნიდე და კითხვას დავიწყებდე, კათუ, მწერენ სხვაგვარად დავიწყეთ ცხოვრებაო. მაგრამ, მადლობა უფალს, ყველაფერი კარგად მიღის, და თქვენ, ქრისტიანმა რობინზონებმა იპოვეთ თქვენი პარასკევა — ილი, გადაეცით მას ჩემი სალაში.

ვლაპარაქობ გარეგნულ ფორმაზე, რადგან მარტო ის ერთი შეიძლება შეიცვალოს ჩეენგან დამოუკიდებლად... ადრე ხშირად ვიტყუებდი თავს, სულ საწინააღმდეგო იზრი მჭონდა, ვფიქრობდი, თუკი ჩემი ცხოვრების ფორმა უზნეოა და მე არ შემიძლია მისი შეცვლა, ეს განსაკუთრებით უბედურ შემთხვევითობის გამოა-მეთქი, მაგრამ ახლა კი ვიცი, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მორალურ-ზნეობრივი ძალები საკმარისად არ გამაჩინია და არა უარ ლირსი უკეთესი პირობებისა. პირიქით ფიქრი, — ყველაფერი გარეგან პირობებს გა-

დააბრალო, — ძალზე მავნებელი თავის მოტყუებაა, ეს კი იდამბლავებს ჰეშ-
მარიტი ცხოვრებისათვის საჭირო ძალას, რამაც ჰეშმარიტებისა და სიყვარუ-
ლის გზით უნდა გატაროს...“

სხვა წერილში მამა მარია ალექსანდრეს ასულს უზიარებს თავის ტომუშაო
გეგმას და ლიტერატურულ ჩანაფიქრს.

„ოდესლაც მინდოდა დამეწერა ასეთი იგავი, მითი, — მარხილებით მიანები მარხილებით მიცურავენ უფსკრულისაკენ, სადაც ისე უნდა დაიმსა-
ვრინენ, რომ მათგან აღარაფერი დარჩეს. და აი, ისინი მარხილებით მიექუ-
ნებიან და თან ერთმანეთს ედავებიან, ეჩხუბებიან იმაზე, რომ ერთი არ ასვე-
ნებს მეორეს, ეპოტინება და ტანისამოსს უთხვრის. ერთადერთი საქმე, რაც
უველამ უნდა გავაკეთოთ ამ მარხილებზე ის არის, რომ ერთმანეთს სიხარუ-
ლის ლიმილი მოვგვაროთ, სიყვარული გავულვიძოთ. ეს არის ერთადერთი რამ,
რაც არ დაიმსხვრევა უფსკრულში, რაც გადარჩება.“

ძალზე ბევრს ვწერ. ვწერ ძალიან ნელა, უამრავგერ ვასწორებ და არ ვიცი,
ეს რის გამო ხდება, იქნებ გონებრივმა ძალამ მიმტყუნა, რაც ცუდი არ არის,
ოშონდ კი სიყვარულის ნიჭი მომემატოს, სულაც იქნებ იმის გამო ხდება ასე,
რამ ის საგანი, რაზედაც ვწერ, ფრიად მნიშვნელოვანია“.

გავკასიაში მეგობარმა ქალებმა თითქმის ოთხი წელიწადი იცხოვრეს.

ბუნებით სუსტი ჯანის ოლგა ალექსის ასული, რომელიც კიდევ უფრო
დაასუსტა ციებამ, როგორდაც გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა.
ავადმყოფობამ რამდენიმე დღეში ჩაიყვანა სამარეში.

მარია ალექსანდრეს ასული მარტო დარჩა. უნუგეშო დღეში ჩავარდა.
მას აღარ შეეძლო კვლავ დარჩენილიყო ქავკასიაში, ეცხოვრა საყვარელი მე-
გობრის გარეშე, აქ ხომ თვითეული წვრილმანი მის თავს ახსენებდა, და ისიც
ჩვენსკენ გამოეშურა. იცოდა, ჩვენს ოჯახში შეეძლო თავისი მწუხარება გად-
მოელვარა, ეტირა და გული მოეოხებინა.

სიხარულისა და მღელვარებისაგან თვალცრემლიანნი შევხვდით საყვარელ
მარია ალექსანდრეს ასულს ოთხი წლის განშორების შემდეგ. როგორც კი ჩა-
მოვიდა, იმ დღესვე წერილი გაუგზავნა ჩემს დას მაშა, რომელიც მაშინ არ
იმყოფებოდა იასნაია პოლიანაში.

„ძვირფასო მაშა, არაფრის მოწერა არ შემიძლია. მხოლოდ ერთს გატყვი:
ძალიან, ძალიან კარგად ვარ. დღეს თქვენთან, იასნაიაში, დიღხანს და გული-
ანად ვესაუბრე სოფია ანდრიას ასულს, ლევ ნიკოლოზის ძე შინ არ იყო. შემ-
დეგ მოვიდა, და არ მჯეროდა, რომ მას, ნამდვილად მას ვხედავდი, თუმცა
მთელი ეს ხანი მტკიცედ მწიმდა, რომ უსათუოდ ვნახავდი... ლევ ნიკოლოზის
ძე მხნედ არის, მაგრამ ამ ოთხ წელიწადში ძალიან გამხდარა. თქვენები ყვე-
ლანი დიდი სიყვარულით შემხვდნენ...“

მის წერილს მამამ რამდენიმე სიტყვა მიაწერა: „საღამოს ჩამოვიდა მა-
რია ალექსანდრეს ასული“ და „იგი ისევ ისეთივეა. ძალზე სასიხარულოა მისი
ნახეა“...

1893 წლის 11 ივნისს მამა ისევ უგზავნის წერილს მაშას:

„...მარია ალექსანდრეს ასული ძალზე კარგი აღამიანია. ნათელი, მშვიდი,
ხალისიანი და არაჩვეულებრივად მტკიცე საკუთარი მსოფლმხედველობა
აქვს.“

მარია ალექსანდრეს ასულმა არ ისურვა ჩვენს სახლში ცხოვრება და სო-

ფელში ერთ გლეხის ქალთან დასახლდა. ჩვენსა ხშირად შემოირჩენდა, რათა წაეკითხა, რასაც მამაჩემი წერდა და თან მოეგონებინა განსვენებული ოლგა ალექსის ასული. როცა იხსენებდა ოლგასთან თავის დამოკიდებულებას, კუცხავდა საკუთარ თავს, ვერ მოვუარე და ვერ დავითარე ავადმყოფი მუგოჭარი ქალიო.

— აჲ, მე კი ეგოისტი ვეძახდი! — გულმოკლული იხსენებული ალექსანდრე ასული თვითონ ვყოფილვარ საშინელი ეგოისტი! — და მარია ალექსანდრეს ასულს ცრემლი ახრჩობდა.

დროთა განმავლობაში მწუხარება განელდა და მარია ალექსანდრეს ასულს ისევ სამუშაოსაკენ გაუწია გულმა. იგი ეხმარებოდა, რამდენადაც ძალა შესწევდა, ოჯახს, საღაც ცხოვრობდა, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა.

ხშირად მამა და მე მივდიოდით მის გაწკრიალებულ სამყოფელში, გლეხის ქოხში და რაზე არ ვესაუბრებოდით — მატერიალურსა თუ განყენებულ საკითხებზე.

ერთხელ გვიამბო ამ დღეებში რა ამბავი შემთხვევია, თან სიცილით კვდებოდა.

ერთ დილას, მის დიასახლისს მარია ალექსანდრეს ასულისათვის თოკი მიუტანია და უთხოვია სახაზინო ტყეში წადით და ერთი შეკვრა ფიჩხის ქონა მოიტანეთო. მარია ალექსანდრეს ასულს წაუკრავს თავზე შალი, აულია თოკი და წასასვლელად გამზადებულა. დედაბერს ჭიშკრამდე მიუცილებია და გამოთხოვებისას ურჩევია, თვალი გეჭიროს, საღმე მეტყევეს არ გადაეყაროო.

— თორემ ლიაქსანა მაშინვე თავსაფარს მოგხდის და თოკს წაგართმევს.

მარია ალექსანდრეს ასული გაშეშდა.

— გეთაყვა, საქურდლად მგზავნით? — აყვირდა იგი, — ერთი უყურეთ! საქურლად მგზავნის! არა, გეთაყვა, შემეშვით! ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია და არც გავაყეთებ!

კუთხეში მიაგდო თოკი, ჩაუარა შემცბარ დიასახლისს და ქოხში შებარჩიდა.

პარია ალექსანდრეს ასულს გამყოლი გული არ ჰქონდა, ამიტომ მალე შოლბა და თავისი დიასახლისი კიდეც გაამართლა. მაგრამ სოფელში, გლეხის ოჯახში ცხოვრება, ვისაც მარტოობა და სიჩუმე უყვარდა, — უფრო და უფრო უმძიმდა. ამას ვხედავდით, და რომ არ დაგვეკარგა ეს ძვირფასი აღაშიანი, შევთავაზეთ ჩვენს მეზობლად პატარა მამულში, ოვსიანიკოვოში დასახლებულიყო, საღაც ერთი პატარა სახლი და ორი ქოხი იდგა. აქ მას შეეძლო თავის გემოზე ეცხოვრა.

ეს მამული იასნაია პოლიანადან ექვს ვერსშია და აღრე მარია ალექსანდრეს ასულის ძმას, ვლადიმერ შმიდტს, ეკუთვნოდა. ერთხელ მოსკოვში მარია ალექსანდრეს ასულს ფრიად აწუხებდა ძმის მდგომარეობა. რომ დამშეოტომ მამული უსათუოდ უნდა გაყიდოს, რადგან დიდი ოჯახი ჰყავს სარჩენიო. მარია ალექსანდრეს ასულს ფრიად აწუხებდა ძმის მდგომარეობ. რომ დაემშვიდებინა, დედა შეპპირდა, ოვსიანიკოვოს ვიყიდითო. იმ ხანებში დედას შემონახული ფული ჰქონდა, ამიტომ ტულაში გამგზავნა, სათანადო საბუთები გამატანა და დამავალა, ოვსიანიკოვოს მამული იყიდეო.

როცა ჩვენი ოჯახი გაიყო 80-იან წლებში, ოვსიანიკოვო მე მერგო წი-

ლად. რაკი მაშინ ახალგაზრდა ქალიშვილი ვიყავი, საცხოვრებლად მშობლებთან დავრჩი, ოვსიანიკოვოში კი მარტო დარაჭი ცხოვრობდა. სწორედ ეს ოვსიანიკოვო შევთავაზეთ მარია ალექსანდრეს ასულს. იგი სიხარულით დაგვთანხმდა და ერთ-ერთ ქოხში დაბინავდა. სახლი მეტისმეტ ფუფუნებიდ /მოეჩვენა, მაგრამ ქოხითაც არ უნდოდა მუქთად ესარგებლა და, ხელფასურს/ იმით მიხდიდა, რომ კარმიდამოს და ნილის ბაღს უვლიდა. როცა ფლორენცია ნუ დაიტვირთავთ და ვინმე დაიქირავეთ კარმიდამოში სამუშაოდ-მეთქი, ეწყინა და ერთხელ მომწერა, „ვიცხოვრო ოვსიანიკოვოში და არაფერი გავაკეთო თქვენთვის — ჩემს ძალ-ლონეს აღემატება, უმჯობესია წავიდე თქვენგან, რაკი ჩვენს შორის არ არის შინაურული დამოკიდებულება“.

1907 წელს შევაკეთეთ მარია ალექსანდრეს ასულის ქოხი და გომური მივაშენეთ მისი ძროხის — მანეჩეასათვის. როცა მარია ალექსანდრეს ასული ისევ დაბრუნდა ქოხში, ვეღარ მორჩა მის ქებას და მადლიერების გამომხატველ წერილს წერილზე მიგზავნიდა.

„მადლობა, დიდი მადლობა, ძვირფასო ტანეჩა, მეფური სახლისათვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დიდი ხანია გადავედი, ვცხოვრობ და ვხარობ და გუნებაში სულ მადლობას გწირავთ. მართლაც, სანაქებო შენობა გამოვიდა. აი უკვე რამდენიმე დღეა ყინავს, 25 და 23 გრადუსი ყინვაა, ქოხში კი 16 სითბოა. მერედა, რა ნათელია, აღვილად სუნთქავ, იატაკიდან არ უბერავს — ერთი სიტყვით, ისეთი მშვენიერი რომ არის, არსად წასვლა არ მოგინდება. ხშირად ჩემი მეგობარი გლეხები დაიარებიან, რომ გათბნენ“.

„...ჩემთან თბილა, მიუხედავად სასტიკი ყინვებისა, მე კი ვწევარ თუ ფეხზე ვარ, სულ თქვენზე ვფიქრობ. სულ მადლობას გწირავთ ჩინებული, თბილი, დიდებული შენობისათვის“, — მწერს იგი 1908 წლის 4 იანვარს.

სასიხარულო იყო ოვსიანიკოვოში ჩასვლა და მარია ალექსანდრეს ასულის პატარა მეურნეობის ნახვა. ორ ნაწილად გაყოფილი ქოხი, მუდამ დაგვილი და დაწყრიალებულია. ქოხის უკანა ნაწილში, წინა ნაწილისაგან მაგილითა და რუსული ლუმელით რომ არის გამოყოფილი, საწოლი და საწერი მაგიდა დგას. კედელზე ჰქიდია კალენდარი სურათით — „ძვირფასი ლევ ნიკოლაევიჩის“ პორტრეტით. წინა ნაწილში დგას მაგიდა, კედელზე კი ჰქიდია ჭურჭლეულის თარო. ყოველგვარი იარაღმოწყობილობა: სარეცხი მანქანა, კარაქის სადლები, ხელის პლანეტი — წყრიალებს და თავის იდგილას დევს. ხენდროს პლანეტაცია, ბოსტანი და ხილის ბალი — სანიმუშოდ მოვლილია. მარია ალექსანდრეს ასულის ქოხზე მიშენებულია ლია წინკარი, საიდანაც გასასვლელია გომურში, მარია ალექსანდრეს ასულის საყვარელ ძროხა მანეჩეასთან, წლების მანძილზე რომ კვებავდა და შემოსავალს აძლევდა თავის პატრონს.

მანეჩეა მუდამ მაძლარია, სუფთა. ვრდისფერი ცხვირ-პირი და მშვიდად, კეთილად გამომზირალი თვალები აქვს, მერე მანეჩეამ ხბო მოიგო — რიცენოჩა და მაშინ ხომ მარია ალექსანდრეს ასულმა მთლად ბობოლად ჩათვალი თავი.

უნდოდა ცუტკარიც მოეშენებინა და მამაჩემს შეუკვეთა მისთვის ნიმუშად სკა გაეკეთებინა. 1895 წლის იანვარს იგი სწერს მამას მოსკოვში:

„ძვირფასო ლევ ნიკოლოზის ძევ, გააკეთებინეთ დურგალს ჩემთვის სკა თქვენი ხელმძღვანელობით. ხოლო მასალისა და ვადმოგზავნის ფულს მე ტატიანა ლევის ასულთან გავასწორებ. ოლონდ კარგი იყოს, სასწრაფოდ გააკე-

თებინეთ, ახლა ზამთარში კაცები თავისუფლად არიან და იაფად მოჰკიდებენ ხელს სამუშაოს, გაზაფხულზე კი გაძვირდება და ალარ გააკეთებენ. ქველებურად ვცხოვრობ — მხიარულად და კარგად, სულ მთლად ჭანმრთელი გარ. მაგრად გეხვევით სუჟეტის სუჟეტისას. თქვენი მარია შ.”

არ მახსოვს გააკეთებინა თუ არა მამამ სკა, მაგრამ მახსოვებელი კურტური ჰყავდა და თაფლით გვიმასპინძლდებოდა.

მიხვიდოდი ფეხით ან ცხენით, ის კი მის ბოსტანშია და რწყავს. შორიდან მოჰკრავს თვალს სტუმარს და შესახვედრად მოისწრაფის. თითქოს ახლაც ვხედავ თავზე ჩითის ჭრელი თავსაფარი წაუქრავს. გამხდარ, გაძვალტყავებულ მხრებზე ქურთუკი მოუსხამს, წელზე თოკი აქვს შემოხვეული ქამჩის ნაცელად, მოკლე ქვედა კაბა აცვია და მაღალყელიანი მამაკაცის ჩექმები მოუჩანს. მის ფეხებთან გორაობს და ეალერსება საცოდავი ფეხებმონგრეული ძალი შავოჩა, რომელიც მარია ალექსანდრეს ასულმა გადაარჩინა ყინვაში სიკვდილს.

მარია ალექსანდრეს ასული მეხვევი და მკოცნის. მისი გაძვალტყავებული ყვრიმალები ლოყებზე მესობა.

— ტანია! გეთაყვა! — გახარებული ყვირის იგი, — როგორ არის მამა? წამო, ჩაი დავლიოთ!

და ჩვენც ქოხში შევდივართ. მაშინვე სამოვარს დგამს. შემდეგ სარდათში ჩაძრება, იქვე, იატაქქვეშ რომ აქვს მოწყობილი და გამოაქვს ცივი რძით სავსე დანამული კოჭობი. თაროდან იღებს შავ პურს, მაგიდაზე დებს მარილს, ჩის ჭურჭელს და ხის კოვზს ნაღების მოსართმევად.

ვიდრე სამოვარი აღულდებოდეს, ვსაუბრობთ. საუბარში მუდამ ყველაზე ძვირფასსა და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხებს ვეხებით, ხშირად ორთავეს სიხარულის ცრემლი გვიბრწყინავს თვალზე.

უმეტესად მამაჩემზე ვსაუბრობთ.

— ამ, ტანია! — თვალცრემლიანი მეუბნება იგი, — რა დიდი სიყვარული აქვს ლევ ნიკოლოზის ძეს ადამიანებისადმი, იფიქრეთ, რამდენი მუშაობა დასჭირდა, რათა შეძლებოდა ხალხისთვის გადაეცა იგი, რამაც ხალხს ბედნიერება მოუტანა! ვინ შეძლებდა ესოდენ უზარმაზარი შრომა გაეწია, თუ არა მას, ამისათვის მხოლოდ გონება და ნიჭი არა კმარა, საჭიროა ადამიანი გიყვარდეს უდიდესი სიყვარულით. სხვაგვარად შეუძლებელია დაძლიო დაუძლევილი, გააქეთო გაუკეთებელი საქმე.

ამ ქალმა იცოდა, რომ მამა წლობით მუშაობდა თავის რელიგიურ თხზულებაზე, იცოდა, უფრო ნათელი და გასაგები რომ გაეხადა, კეთილსინდისიერად გადააკეთებდა და გადაასწორებდა ხოლმე „აურაცხელჭერ“, როგორც თვითონ წერდა ხოლმე მამა, ამოწმებდა და წონიდა თვითეულ სიტყვას.

— აი, ტანეჩა, — ამბობდა იგი, — თაობა თაობაზე იზრდებოდა ცრურწმენისა და ცრუ მეცნიერების გარემოში, ხოლო ძვირფასმა ლევ ნიკოლოზის ძემ ყოველივე ეს ამხილა და ნათელჲყო...

მამა ასე ძლიერ კი უყვარდა, მაგრამ ზოგჯერ მარია ალექსანდრეს ასული მაინც აძლევდა თავს ნებას, გაეკიცხა და რაკი მისი სული უყვარდა, ძალზე ორანჭებოდა, როცა ეჩვენებოდა, რომ მამა არ იდგა იმ თავის საკარტის სიმაღლეზე.

მახსოვს, მამაჩემის სტატიამ „არ ძალმიძს დუმილი“ გული ატკინა მარია

ალექსანდრეს ასულს და ამიტომ არც გადაუწერია და არც გაუვრცელებია, როგორც მისი სხვა თხზულებები.

— ამ სტატიაში იგი არ ჩანს. ეს სტატია სიყვარულით არ არის /დაწერილი, გაბოროტებული კაცის ნაწერია, — ამბობდა იგი, — არა, ირ არის ძვირფასი ლეგ ნიკოლოზის ძე ამ სტატიაში, არა...

ხშირად სამეურნეო საკითხებზედაც ვსაუბრობდით. მიაშპობდა, არც გააქეთა ჩემთვის ოვსიანიკოვოში, აგრეთვე თავის პირად საჭმეებსაც მანდობდა.

— აი, ტანეჩქა, — მეუბნებოდა და თავის სარეცხ მანქანას მაჩვენებდა, — რა დიდი საყრდენია ჩემთვის სარეცხი მანქანა. უამისოდ ვერ შევძლებდი შინამოსამსახურის გარეშე თავის გატანას. ახლა კი უველაფერს თვითონ ვაკეთებ.

როცა სამოვარი აღულდებოდა, მარია ალექსანდრეს ასული ჩაასხამდა ჩაის სუფთა ტოლჩებში, დაჭრილა თხელ და მოგრძო ნაჭრებად შავ სურნელოვან პურს. მე კი ხის კოვზით მოვხდიდი თავს სქელ ნალებს, ჩავუშვებდი ჩაიში, მარილს მოვაყრიდი პურზე და ასე მეგონა, ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დამილევია და მიჭამია უფრო გემრიელი რაიმე-მეთქი.

დროდადრო მარია ალექსანდრეს ასული გადიოდა თავისი ქონიდან და გაჰყურებდა სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს. მან იცოდა, რომ თითქმის ყოველთვის, როცა კი ვინმე ესტუმრებოდა იასნაია პოლიანადან, მამაც ვერ მოითმენდა და უეჭველად ისიც ჩამოვიდოდა ცხენით.

და მართლაც, სოფლის ფარდულებს მიღმა მხედარი რომ გამოჩნდებოდა, მარია ალექსანდრეს ასული შემორჩოდა ქოხში და ყვიროდა: „მამა!“

შემდეგ შესახვედრად გარბის.

ზოგჯერ მამა ჩამოხტება ცხენიდან, მიაბამს და ქოხში შემოდის, უფრო ხშირად კი ცხენზე მჯდარი ესაუბრება მარია ალექსანდრეს ასულს. ქალი დგას მის გვერდით, ხელი ცხენისათვის ჩაუვლია მხარზე და ალტაცებული, მოსიყვარულე თვალებით მისჩერებია.

მამა ცოტა გადმოიხრება ცხენიდან და უყვება რა წერილები მიიღო, ვინ ჰყავდა მნახველები.

როცა მამა უკან გაბრუნდება, ქოხში შევალთ და ცოტა ხანი ჩუმად ვართ. მარია ალექსანდრეს ასული სავსეა შთაბეჭდილებებით, მამასთან შეხვედრამ და საუბარმა რომ დაუტოვა, და არ მინდა განწყობილება დავურლვიო. შემდეგ მეც მივდივარ და ვგრძნობ, რომ დღეს უკვე უკათესი ადამიანი ვავხდი.

ზოგჯერ დავითანხმებდი ხოლმე მარია ალექსანდრეს ასულს ჩემთან ერთად წამოსულიყო. მაშინ იგი სასწრაფოდ გამოიცვლიდა საშინაო კაბას, ჩაიცვამდა „არისტოკრატიული სახლებისათვის განკუთვნილ კაბას“ როგორც ხემრობით ამბობდა ხოლმე და ჩვენც მივდიოდით იასნერი პოლიანაში. მთელი სალამო ჩვენთას იყო, დაიძინებდა კიდეც; დილით კი უთენია უბრუნდებოდა ოვსიანიკოვოში თავის საქმეს.

ნ კი, როცა მარია ალექსანდრეს ასული სამუშაოს შეუნაცვლებდა, შეაბამდა თავის ზარმაც პიატაჩოქს, თვითონ წამოიყვანდა ცხენს და ჩამოვიდოდა იასნაია პოლიანაში. შოლტი მარია ალექსანდრეს ასულს არ სჭირდებოდა, რადგან პიატაჩოქს გაჭენება არ შეიძლებოდა. მიღიოდა ცხენი ისე, როგორც თვითონ უნდოდა, ანუ ისე მოზოზინებდა, კაცი იფიქრებდა საცაა დადგებაო და ასე, რომ გაივლიდა საათნახევარში ექვსიოდე ვერსს, როგორც იქნებოდა პიატაჩოქი მოიყვანდა ხოლმე მარია ალექსანდრეს ასულს ჩვენს საღარბაზომდე.

ზამთრობით მგზავრობა უჭირდა. საოცრად გამხდარი მარია ალექსანდრეს ასული მცივანა იყო და ამიტომ მეტისმეტად თბილად იცვამდა. ჩაიცვამდა ფუფუიკას, ქურთუკს, მოკლე ქურქს და კიდევ ზევიდან უქრაინულ მოსახამს, თავზე ჯერ ჩითის თავსაფარს წიკრავდა. ზევიდან მოქსოვილ დაბამბულ ქუდს დაიხურავდა, ქუდს ზემოთ ჯერ ნაქსოვ თავსაფარს, ხოლო შემდეგ თბილ/თავ-შალს შემოიხვევდა.. ასე გამოწყობილი მოუღრეკავ სანგა ჰგავდა, რომელსაც ძალიან უძნელდება ყოველგვარი მოძრაობა.

ჩამოიცვამდა ხელზე თბილ თათმანებს, აიღებდა ხელში აღვირს და მო-ემგზავრებოდა იასნაია პოლიანაში. თუ გზაში არავინ შეხვდებოდა, იოლად ჩამოდიოდა, მაგრამ თუ საპირისპიროდ მარხილი გამოჩნდებოდა, მაშინ უჭირდა: პიატაჩოკი არასგზით არ გადაუხვევდა თოვლში და ხშირად შემხვედრ მარხილებსაც გადაუყირავებიათ თოვლში მარია ალექსანდრეს ასულის პატარა მარხილი. თუკი მოახერხებდა და პიატაჩოკს თოვლში გადაიყვანდა, მერე ისევ გზაზე გამოყვანაც არ იყო იოლი საქმე: ნამქერში ჩავარდნილი პიატაჩოკი ჩაწვებოდა თოვლში და იწვა შშვიდად, ვიდრე ლაგამით არ გამოათრევდნენ ნამქერიდან. უნდა დალოდებოდა მარია ალექსანდრეს ასული ვინმე მგზავრს, გაჭირვებაში რომ დაეხმარებოდა ან თვითონ უნდა გადმომდვრალიყო მარხილიდან, ლაგამში ჩაევლო ხელი პიატაჩოკისთვის და გამოეყვანა გზაზე. ამასობაში ვალინკებში თოვლი ჩაეყრებოდა და სუნთქვითაც ველარ სუნთქვავდა ხოლმე, იმდენი რამ ეცვა.

ჩვეულებრივ საღამო ხანს ჩამოდიოდა ხოლმე, რადგან ეს ყველაზე თავისუფალი დრო იყო მისთვის. ამას გარდა ისიც იცოდა, რომ სწორედ ამ დროს იჭდა მამა დიდ დარბაზში მრგვალ მაგიდასთან ოჯახის წევრებსა და სტუმრებთან ერთად. მარია ალექსანდრეს ასული თვალებში შესციცინებდა და იწოვდა თვითეულ მის ნათქვამ სიტყვას, რათა შემდეგ ამ სიტყვებით ეცოცელი მომავალ შეხვედრამდე.

თუმცა ამ ქალს უდიდეს სიხარულს ანიჭებდა თავის მეგობართან და მასწავლებელთან შეხვედრა, მაგრამ პირველ რიგში საქმეს აყენებდა და არასოდეს, თვით ამ სიხარულის გულისთვისაც კი არ მიუცია თავისი თავისათვის ნება საკუთარი მოვალეობა სხვისთვის გადაელოცა. მამაჩემის სიცოცხლის ბოლო წელს ასე მიპასუხა წერილზე, რომელშიც ვთხოვდი საღამო ჩვენთან, იასნაია პოლიანაში გაეტარებინა:

„ავადმყოფმა ძროხამ არ გამომიშვა. სხვას ხომ ვერ დავავალებ მის პოვლას — სირცევილია“.

როცა ჩემი მშობლები მოსკოვში ცხოვრობდნენ, ის იქაც ჩადიოდა მათ სანახავად. მაგრამ ოვსიანიკოვოში მუდამ სიხარულით ბრუნდებოდა.

1900 წელს რომში მწერდა მოსკოვში თავისი ჩასვლის ამბავს:

„ძალზე სასიხარულო იყო მამათქვენის და ყველა საყვარელი მეგობრის ნახვა, მაგრამ თავადური, ქალაქური, მდიდრული ცხოვრება ჩემს სულს არ ეხამება. და მე უბრალოდ ეისვენებ ბუნების წიაღში საკუთარ უბრალო და ბუნებრივ გარემოში“.

„კველანი ძალიან მებრალებით, — მწერს იგი სხვა წერილში, — რომ ხელოვნურ პირობებში ცხოვრობთ“.

ასე იცხოვრა მარია ალექსანდრეს ასულმა მრავალი წელი განმარტოებულ კარ-მიღამოში.

დილაუთენია იწყებდა შრომას, მოწვევიდა თავის მანეჩქანს, მარმზადებდა საჭმელს, გაირეცხავდა თეთრეულს, იმუშავებდა ბალსა და ბოხტინში... სალამოს კი აინთებდა თავის ნათურას, გაიკეთებდა სათველეს და როგორც თვითონ ამბობდა იწყებდა „ძვირფასი ლევ ნიკოლოზის ძის მიზეულებულების გადაწერას“. (იმ ხანებში მამაჩემის ყველა ფილოსოფიური თხზულება ცენზურამ აკრძალა და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა).

რამდენიმე ცალად გადაწერდა ხოლმე თხზულებას, რომელიც მოსწონდა და ხალხისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა. ხელნაწერებს თავის მეგობრებს უგზავნიდა. არაერთხელ გამოუგზავნია ჩემთვის, როცა იასნაია პოლიანაში არ ვიმუშოვებოდი, მამაჩემის რომელიმე სტატიის ხელნაწერი ანდა წერილების პირები. ზოგჯერ ეს ხელნაწერები რომელიმე საერთო მეგობრისთვის უნდა გაღამეცა.

„ვგზავნი თქვენს სახელზე — „რელიგიის“ სამ ეგზემპლარს, — მწერს ურთ-ერთ წერილში, — გადაეცით ისინი პოშას (პაველ ივანეს იე ბირიუკოვს), დუნაევს და ჩერტკოვს... საჩუქრად ვუგზავნი მათ“.

„გიგზავნით სულიერ საჩუქრას, — მწერს და თან ურთავს მამაჩემის წერილის პირს, — ეს ისეთი კარგი წერილია, რომ ჩემზე ფრიად კეთილისმყოფად მოქმედებს“.

როცა ბავშვებიან ქვრივს გავყევი ცოლად, მარია ალექსანდრეს ასულმა ხემთვის გადაწერა მამაჩემის წერილი, სადაც აღზრდის საკითხებს ეხებოდა.

„არ ვიცი გადმოგიგზავნათ თუ არა მაშამ მამის წერილი აღზრდაზე. მე თქვენთვის სწორედ ეს წერილი გადავწერე. ამ წერილში პოვებთ პასუხს აღზრდის საკითხებზე, თქვენი ახალი ოჯახური ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე რომ შეგვედებათ...“

მარია ალექსანდრეს ასულს ფრიად უყვარდა მარტოხელა ქალის ცხოვრებით რომ ცხოვრობდა და ყოველთვის სიხარულით ბრუნდებოდა უკან, როცა კი რაიმე საქმის გამო ოვსიანიყოვოდან გამგზავრება მოუხდებოდა.

1894 წლის 15 აპრილს იგი მოსკოვში მიგზავნის წერილს:

„...აი, თქვენ სულ სწუხართ ჩემზე, როგორ უნდა იცხოეროთ მარტო ასეთმა სუსტმა არსებამო. მე კი ვერა და ვერ მოვიჯერე გული სიხარულით, ასე რომ ვცხოვრობ... ტულაში აქამდე არ ვყოფილვარ და ჭერჩერობით არც ვაპირებ ჩასვლას. მენანება დავარღვიო სიჩუმე და ჩემი განმარტოებული ყოფა თუნდაც ერთი დღით“.

სხვა წერილებში იწერება:

„რა სიხარული მარგუნა ღმერთმა ცხოვრებაში. არც სევდა, არც ნალველი. ჭერჩერობით ყველაფერი კარგად არის და მხოლოდ ერთს ვისურვებდი, ყველამ ისე კარგად იცხოეროს, როგორც მე ვცხოვრობ“.

„...ვტქბები მშეიდი, იდეალური სიმყუდროვით...“

„...ჩეენთან უფრო უკეთ არის საქმე, ვიღრე რასაც კარგად ყოფნა ჰქვია. ჩემი ბოსტნიდან არც ვამოვიდოდი, ირგვლივ ისეთი სილამაზეა და რაც მოავარია — იდეალური სიჩუმე“.

1894 წლის 15 აპრილს მწერს მოსკოვში:

„...ეს-ეს არის დავბრუნდი სამუშაოდან: გავასუფთავე ჩემი ბოსტანი, ჩა-

ლაბულა მოვხვეტი, აგურიც ბლომად ამოვილე. მთელი დღე წელი არ გამიმართავს, ისე ვიმუშვევ. სწორე ვითხრა, მიხაროდა, ისე კარგია ირგვლივ ყველფერი. ისეთი თბილი აშინდი იდგა, მარტო კაბა მეცვა და ისე ვიმუშვევ, ჩემი ბოსტნის ერთ დესეტინაზე, ოსპი და ცოტა შერია დავთესე. მინდობა, სულ შერია დამეთესა, მაგრამ თესლი არავინ გამიცვალა, ოსპი კი ჭმისწულმა/მაჩუქა. ბოსტნის მეორე ნაწილს ხვალ მოვასუფთავებ".

„...ჩეენთან ოვსიანიკოვოში მიწიური სამოთხეა, — მწერალ-მხედველობი, — ჯანმრთელად ვარ და მთელის არსებით გამიტაცა ბოსტანმა. ვდგები გამთენის სამ საათზე და გვიანობამდე ვმუშაობ. ორი საუენი შეშა შევაგროვე ზასეკში, ამ დღეებში გადმოვიტან. მიხარია ხენდროს და ბოსტნეულს რომ ვხედავ".

„ჩემთ ძირფასო მეგობარო ტანეჩია, მაპატიეთ, პასუხი რომ დაგიგვიანეთ. ამ ხანებში ბევრი ვიმუშავე თივის შეგროვებაზე, აქეთ კიდევ ხენდრო. საღამო ხანს ისე ვიღლებოდი, რომ მოწერის თავი იღარ მქონდა... მე, ჩემთ საყვარელო, ჯანმრთელად ვარ, მხნედ, მხიარულად, სულში ზეიმი მაქვს. დილიდან საღამომდე ვმუშაობ, და მერე მკვდარივით ჩამეძინება კარავში, ბოსტანში რომ დგას..."

„მთლიანად საშემოდგომო სამუშაომ გადამიყოლა. სულს უხარია და არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა ღმერთსა და თქვენ, ასე კარგად წომ ვცხოვრობ"...

აი, ისეთი სიხარულის შეძახილებით არის სავსე ყველა წერილი მოზუცი შმიდტისა, ჩარტოხელა ქალისა, ვინაც შრომაში გალია მთელი ცირკრება.

ერთ-ერთ წერილში მამაჩემი მაშას სწერს 1906 წლის 30 იანვარს:

„ახლა სადილობამდე ვიყავი მარია ალექსანდრეს ასულთან. რე არა აქვს. ზის მარტო თავის ქოხში, და შეკითხვაზე: კარგად თუ ხართ, ხომ არ მოგეწყინათ-მეთქი, პასუხად ტაშს შემოკრავს".

მეზობელი სოფლების გლეხებთან მარია ალექსანდრეს ასულს ყველაზე კეთილმეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. ეს თავისთავად ხდებოდა, ყოველგვარი ხელოვნური ძალდატანების გარეშე მისი მხრიდან.

როგორლაც სოფლის პატარა ბიჭებმა გაიგეს, რომ მარია ალექსანდრეს ასულს კარგი, საინტერესო წიგნები ჰქონდა, და აი, ისინი გაიქცნენ მასთან წიგნების სათხოვნელად.

„დიდი სიხარული მეწვია, — მომწერა ამ საკითხთან დაკავშირებით,— უკვე მეორე დღეა, რაც ბავშვები მოდიან ჩემთან ოვსიანიკოვოდან საკითხავი წიგნებისათვის, თავიანთი სურვილით: რაოდენ სასიხარულოა, როცა რაიმე კარგი კეთილბა თავისთავად, ვინმეს ჩაურევლად. არავითარი ძალდატანება, არამედ ბუნებრივად, თვითონვე მოინდომეს და მოვიღწენ კიდეულ. დღეს თრი მოვიდა, გუშინაც — ორი ამათ კი სხვებიც მოპყვებიან, და უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ საუკეთესო ურთიერთობა დამყარდება. ეს ძალზე მსია-მოვნებს. ახლა მივწერ მაშას, რომ წიგნები გამომიგზავნოს, ანდა პოშას, თო-რემ სულ ათი წიგნი მაქვს".

დედაკაცები მარია ალექსანდრეს ასულთან რჩევის საკითხავად და წამ-ლებისათვის დაიარებოდნენ, გლეხები კი — სასაუბროდ.

ერთხელ ოვსიანიკოვოს მეზობელ სოფელ სკურატოვოში სახაზინო ღვი-ნის ფარდულის დაკეტვის საჭმეშიც კი ჩერთო. არ ვიცი, ვისი თაოსნობით

წამოიჭრა საკითხი სკურატოვოში ლვინის ფარდულის განსხვის თაობაზე. გლეხებს ეშინოდათ საკუთარი სისუსტის და ამიტომ დაწერეს არზა, არ ვესურს ჩვენს სოფელში ლვინის ფარდული იყოსო. ის არზა საერთო უფროს გადასცეს. ეს იყო იანვარში. და მაინც იმავე წლის მარტში სოფელ კუტარტოვოს ერთმა გლეხმა ს. ბ.-მ გააქირავა თავისი ქოხი ლვინის ფარდულისათვის და სააქციზო უწყებიდან ბედ ორასი მანეთი აიღო. გლეხები შეჩატინებული არის და შემწეობისათვის მარია ალქსანდრეს ასულთან, ის კი, თავის შძრივ, სასწრაფოდ იასნაია პოლიანაში გამოეშურა. მამა იმხანად შეუძლოდ იყო და ეს საქმე მე მომანდო. წავედი სკურატოვოში, ვესაუბრე გლეხებს, შევკრიბე საკირო ცნობები და გადაუწყვიტე ტულაში გავმგზავრებულიყავი: გავიგო ერთი რა ამბავია-მეთქი. ჩემი გამგზავრებიდან მეორე დღეს, 1907 წლის 10 ივნისს, მარია ალქსანდრეს ასული მწერს:

„ახლა, თქვენ რომ წახვედით, სკურატოვოში ჩამოვიდა სააქციზო სამსახურის ჩინოვნიკი იმ ფარდულის სანახავად ს. ბ.-მ ლვინის სავაჭროდ რომ გააქირავა. გლეხები მივიღნენ და ჰქითხეს ჩინოვნიკს, რატომ არ მოჰყვა შედეგი ჩვენს კანონიერ მოთხოვნას, საერთოს უფროსს 1907 წლის 17 იანვარს რომ გავუგზავნეთთ. ჩინოვნიკი შეეკითხა გლეხებს: ჯერ ერთი, თქვენ, სკურატოვოს გლეხებმა, ერთხელ მაინც რატომ არ გამოგზავნეთ სამი წლის განმავლობაში განცხადება სააქციზო სამსახურში, რომ არ გსურდათ ლვინის ფარდული ყოფილიყო თქვენს სოფელში? მამასახლისმა ხომ წაგიკითხათ განცხადება?* მეორეც, თქვენი მამასახლისი გამოცხადდა ჩვენთან სააქციზო უწყებაში ს. ბ.-სთან ერთად და ზეპირად განაცხადა, სოფელი თანახმა არის ლვინის ფარდულის გახსნაზე, მხოლოდ ორიოდე გლეხია უარზეო. აი რატომ მისცა ბე სააქციზო უწყებამ ს. ბ.-ს. თუკი თქვენ არ გსურთ ლვინის ფარდული, შემოიტანეთ ცველამ 200 მან. სააქციზო უწყებაში. მაშინ დავხურავთ. გლეხებმა უპასუხეს: „პირველად გვესმის განცხადების ამბავი. მამასახლისს არავითარი განცხადება არ წაუკითხავს“.

გლეხები სამჯერ მივიღნენ ვიცე-გუბერნატორთან. მესამედ რომ მივიღნენ, გუბერნატორმა ცივად მიიღო ისინი: „ხომ გითხარით, როცა ყველაფერს გავარჩვევ საერთოს უფროსთან, როცა გავიგებ, რომ თქვენმა არზამ არ დაიგვიანა ანუ ბეს მიცემამდე მოვიდა, მაშინ ლვინის ფარდული არ გექნებათ“. გლეხებმა უპასუხეს: „ოც ივნისს ფარდულს გადმოგვიტანენ. პეტრეს დღეს მისი გახსნაა“, „გადმოვიდეს მერე, — უპასუხა ლოპუხინმა, — ჩვენ კი განვიხილავთ საქმეს და დავხურავთ ფარდულს, თუკი თქვენი არზა ბეს გაცემამდეა შემოსული. მორჩია და გათავდა. „გლეხები მთლად სასოწარკვეთილნი დაბრუნდნენ. ახლა დედაკაცებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ, ყველანი ერთად გუბერნატორთან წასულიყვნენ და ეთხოვთ — არ გაეხსნა ფარდული. მამასახლისს, სერგეის და უფროსობას თავშეკავებულად ექცევიან. არც კი შემიძლია გადმოგცეთ, ძვირფასო ტანეჩქა, როგორ მტკენს გულს მთელი ეს ამბავი. შევთავაზო და დავითანხმო გლეხები შეკრიბონ ფული ბეს შესატანად,

* თურმე მამასახლისი უნდა შეკითხეოდა გლეხებს გსურთ თუ არა სოფელში ლვინის ფარდულის გახსნაო. მას ეს არ გაუკეთებია. მაგრამ როცა კრებაზე მამასახლისში შესთავაზია გლეხებს, ვინც ფარდულის გახსნის მომხრე ხართ, დარჩით, ხოლ მოწინაურმდეგენა — გადაოთ, უკლებლივ ცველა სკურატოვოში გლეხმა დახურო ქვდი და გავიდა ქოხიდან.

ვერ ვბედავ. 1 მან. 60 კაპ. ფუთი ფქვილი ღირს, არავითარი შემოსავალი არა აქვთ, ისლა დარჩენიათ, საქონელი გაყიდონ, ენა ვერ მომიბრუნდება ვუთხრა, ფული შეაგროვეთ-მეთქი”.

ყველანი ჩავებით სახაზინო სამიკიტნოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დედა-ჩემი ტულაში ჩავიდა და ცნობები შეკრიბა, როდის მივიღა საქციზო უწყებაში გლეხების არზა ღვინის ფარდულის თაობაზე .თურმე ბეს ჭაცელი მარტო შესულა, მაგრამ რატომდაც გლეხების არზა მაუდქვეშ ამოუდვიათ.

გლეხები არ შედრენენ და ყველანი ერთად მეხუთედ მივიდნენ ვიცე-ვუბერნატორთან. ახლაც იგივე პასუხი მიიღეს: „შევეცდებით გავარკვიოთ თქვენი საქმე საქციზო მმართველობაში და მაშინ გაცნობებთ“.

მაშინ მარია ალექსანდრეს ასულმა გადაწყვიტა ესესხებინა 200 მანეთი, რათა ეს ფული საქციზო მმართველობაში შეეტანა. მან წერილი მისწერა ერთ თავის მდიდარ ნაცნობს და აუხსნა, რისთვის სჭირდებოდა ფული და სთხოვა ესესხებინა 200 მან. იმედოვნებდა, რომ მეგობრებში ცოტ-ცოტას შეკრებდა და ვალს ასე გადიახდიდა.

პასუხმა დაიგვიანა და მარია ალექსანდრეს ასულიც და გლეხებიც მეტად ლელავდნენ. ეშინოდათ, ფარდული თუ გაიხსნებოდა, მერე იმაზე უფრო გაძნელდებოდა მისი დახურვა, ვიდრე გახსნის თავიდან აცილება იყო. მისგან ასეთი წერილი მივიღე, სკურატოველმა გლეხებმა რომ ჩამომიტანეს იასნაია პოლიანაში:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო ტანეჩქა! დაეხმარეთ გლეხებს. სამიკიტნოს მაინც ხსნიან. ჩამოვიდა მამასახლისი და მითხრა: სამიკიტნო იქნებათ. გლეხები სასოწარკვეთილი არიან. გეთაყვა, ჩემო მტრედო, სთხოვეთ კეთილ მიხერალ სერგის ძეს გაისარჯოს გლეხების გულისთვის, ან იქნებ თქვენ თვითონ მიხვიდეთ გუბერნატორთან. ს. ბ.-მ გლეხებს ფული შესთავაზა, მათ უარი უთხრეს და უნდათ მხოლოდ ერთი რამ — სამიკიტნო არ იყოს“.

ველაპარაკე გლეხებს .მათ მტკიცედ და ბეჭითად აქვთ გადაწყვეტილი, არ დაანებონ სოფელში ღვინის ფარდულის გახსნა. საამისოდ რაღას არ იგონებდნენ. ერთმა გლეხმა შემოგვთავაზა საკითხი ასე გადაწყვეტილიყო: მოდით, გავახსნევინოთ დუქანი ნახევარი წლით, დავლით 200 მანეთის არაყი მთლიანად და მერე დავხუროთ“. მეორემ განაცხადა: „უმჯობესია გადიცვა გამოვაცხადოთ“. როცა ვკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი, იმანაც და სხვა გლეხებმაც ასე ამიხსნეს, არ მივცემ ღვინის ჩამოტანის ნებას, როგორც კი მოიტანენ უუთებით, მაშინვე დავამსხვრევთო. მე, რა თქმა უნდა, ძალიან გულ-მხურვალედ ვურჩიე, არც ერთი გაეკეთებინათ და არც მეორე, შევპირდი, ერთხელ კიდევ ჩავალ ტულაში, ისევ მივდგებ-მოვდგები, ეგების რამე გავახერხო-მეთქი. გლეხები დავარწმუნე, მოთმინება სჯობს, რადგან ყოველი ძალა-დატანება მათის მხრივ, რასაკვირველია ბუნტად ჩაითვლებოდა და ამის გამო დაისჯებოდნენ, დუქანს კი, მაინც უაშველად გახსნიდნენ. გლეხებმა დამიჭერეს. მე ისევ გავემგზავრე ტულას.

არ მახსოვს დაწვრილებით, რა გავაკეთე, მაგრამ ვიცი, რომ საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. მდიდარი ნაცნობი, რომელმაც მარია ალექსანდრეს ასულს 200 მანეთი ასესხა, თხოვდა, ფულს უკან ნუ დამიბრუნებთო. ასე რომ,

* ჩემი ქმარი მ. ს. სუხოტინი

მარია ალექსანდრეს ასულს ეს ტვირთიც ჩამოშორდა. იგი ზეიმობდა.

„მიწამდე გიხრით თავს, ჩემო სიხარულო ტანეჩა, — მწერლა იგი, — დუქანი რომ დახურეთ. ივან ივანეს ძე (გორბუნოვ-პოსალოვი, მუხალი და გამომცემელი წიგნის ფირმისა „პოსტედნიკი“, მრავალი წელი ოვსისიცოვოში რომ გაატარა) დღეს გლეხებს დაუწერს მადლობის წერილს, და ეს წერილი გუბერნატორს მოდის მათ ხომ არ მიუშვებენ. აქ ყველანი ვზეიმობთ და მადლობას გწირივთ, ძვირფასო მეგობარო!“

ხშირად დაიარებოდნენ მარია ალექსანდრეს ასულთან ავადმყოფები. უბრალო სენს იგი თვითონვე აქიმობდა, ხოლო უფრო მძიმე შემთხვევებში ავადმყოფებს თავის მეგობარ ეჭიმებთან გზავნიდა. რადგან ჩვენთან, იასნაიაში მამაჩემის სიცოცხლის ბოლო წლებში ეჭიმი ცხოვრობდა, მარია ალექსანდრეს ასული ხშირად უგზავნიდა თავის ავადმყოფებს, თან საალერსო ბარათს გაატანდა ხოლმე და სთხოვდა ან მიეღო ავადმყოფი ან თვითონ ჩამოსულიყო. ყველანი ყოველთვის ხალისით ეხმარებოდნენ მარია ალექსანდრეს ასულს, უნებურად გადაედებოდათ ხოლმე ამ ქალის ალერსიანი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება აღამიანების მიმართ.

ოვსიანიკოვოს სახლში, როცა იქ მარია ალექსანდრეს ასული ჩავიდა, პირველ წლებში მამულში მუდმივად არავინ ცხოვრობდა, მხოლოდ შემთხვევითი მაცხოვრებლები იყვნენ ხოლმე. ერთი ზაფხული გაატარა იქ ჩემმა დამ მ. ლ. ობოლენსკიამ თავის ქმართან ერთად. საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა იქ მამაჩემის შეხედულებებთან ახლოს მდგომი ი. ი. ბოჩკარიოვი. დროებით ცხოვრობდა ფრიად უცნაური კაცი — მოხუცი შვედი აბრაამ ფონ ბუნდე. კიდევ ბალში თვითნაკეთებ მიწურში ცხოვრობდა მოხუცი მეფუტკრე „პროფესორი“, როგორც ჩვენ ვეძახდით. ეს მეტსახელი იმიტომ შევარქვით, რომ თვითონ თავის თავს მეფუტკრეობის „პროხვესორს“ ეძახდა. ეს იყო რუსი რობინზონის ტიპი, რომელმაც იცოდა საკუთარი ხელებით ყოველგვარი ცხოვრებისეული გასაჭირის მოგვარება-დაქმაყოფილება. თვითონ აიშენა მიწური, ჩადგა ღუმელი, გაიკეთა ფარდული და ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მიწურის სახურავზე კი ხენდრო მოიყვანა. თვითონ იწნავდა ლიფნის მაღალყელიან ჩექმებს და ჭილის ქუდებს; სამწუხაროდ არაყი ძალიან უყვარდა და ზოგჯერ მთვრალი მიდიოდა მარია ალექსანდრეს ასულთან. ეს ამბავი ძალიან ტკენდა გულს მარია ალექსანდრეს ასულს და იგი ყოველ ლონეს ხმარობდა ზემოქმედება მოეხდინა მასზე, რათა კაცს დაეთრგუნა ეს დამღუპველი ჩვევა. „პროხვესორი“ ცდილობდა თავის შეკავებას, მაგრამ ხშირად ჩვეულება სჭაბნილა მარია ალექსანდრეს ასულის შეგონებებს და შემოდგომის ერთ წვემიან დღეს საბრალო „პროხვესორი“ მკვდარი უპოვიათ თხრილში, იქვე ოვსიანიკოვოსთან ახლოს. თხრილი წყლით იყო სავსე და მოხუცი აღბათ დაიხრიო შიგ, როცა გზიდან გადავარდა.

ყველა ამ შემთხვევით ბინადართა შემდგომ ოვსიანიკოვოს სახლში ცხოვრობდა გორბუნოვების ოჯახი, რომელიც ყოველწლიურად აგარაკად ქირაობდა ამ სახლს. მარია ალექსანდრეს ასულს ძალიან უყვარდა გორბუნოვების ოჯახი, რომელთანაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა.

წლები გადიოდა და მარია ალექსანდრეს ასულს უფრო და უფრო ხშირად აწუხებდა ჩვეულებრივი ბრონქიტი. უკვე ვამჩნევდით, რომ ძალამ საკ-

მაღდ უმტყუნა და მუშაობა უფრო და უფრო უმძიმდა „ეს ქალი ისე დაძაბულად ცხოვრობს, რომ მის გამო მუდამ მეშინია“, — სწერს ლევ ნიკოლოზის ძე ერთ წერილში თავის ქალიშვილს მაშას. ყველანი შეშფოთებული ვრცელით მისი ავადმყოფობის გამო. მაგრამ მარია ალექსანდრეს ასული მუდამ ვადავა-წებოდა ნუ სწუხართ და ნურც ზრუნავთ ჩემზე.

„დიდად მადლობელი ვარ, ძვირფასო ტანეჩე, ბელეკონი გრიგორიშვილი ზავნეთ, — შეერდა იგი, — უკეთ შეძინა, მაგრამ უფრო მეტად მომედინა ოფლი. ახლა თავს უფრო მხნედ და ძლიერად ვგრძნობ. ჩემო მტრედო, ჩემო ძვირფასო, სთხოვე მამას ნუ ჩამომაკითხავს, ჩანს მალე გამოვკეთდები და თვითონ მოგინახულებთ სუჟველას. ძალზე მეშინია კოზლოვკის გზების. ღმერთმა დაიფაროს და რომ დავარდეს! მადლობელი ვარ, ასე რომ გიყვარვართ...“

„გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, — მწერს სხვა წერილში, — ლამლა-მობით ოფლი ისევ მომდის, მაგრამ გაცილებით ნაკლებად. ერთი სული მაჭვს, როდის გნახავთ. სიცოცხლესავით მწყურია მამაშენის ნააზრევის წაკითხვაც და გადაწერაც“.

„ჯანმრთელად ვარ, სანათლისლებო ყინულივით, მაგრამ თუკი ავალ შევიქნები — ჩემი გულწრფელი სურვილია საავადმყოფოში დავწევ და იქ მოვ-კვდე, ასე რომ, დარწმუნებული ვარ, თუ მოკვდები, — ყველანი, ჩემი ძვირ-ფასი მეგობრები, მაპატიებთ“.

„ჩერ ისევ სისუსტეს ვგრძნობ და არსად არ გავდივარ.. კარგია, რომ ამ ბოლო ლამეებში არ გავოფლიანებულვარ, თორემ ოთხ-ხუთჯერ ვიცვლიდი თეთრეულსა და საცვლებს. ამიტომაც დავსუსტდი ასე.. მაპატიეთ და მრის-ხანება მოწყალებით შემიცვალეთ, მაგრამ არ შემიძლია შეგატყობინოთ ჩემი ავადმყოფობის ამბავი, ეს ჩემს ძალ-ლონეს ალემატება. ამას იმიტომ კი არ ვა-გეთებ, რომ არ გენდობით, ანდა თქვენს წყენას ვერიდები ,არამედ იმიტომ, რომ ყველანი სულითა და გულით მიყვარხართ...“

ისეთი წერილებით ცდილობდა საყვარელი მოხუცი ქალი დავემშვიდები-ნეთ. და ჩვენც გვჯეროდა, რომ ვადმყოფობა არ უჭირდა და რომ ჩვენი ზედ-მეტი ზრუნვა უფრო აწუხებდა.

— არ გეშინიათ მარტოობის? — ვეკითხებოდი მე, — მოწყენილი არა ხართ ხოლმე? არ დარდობთ, რომ არავინ შეგიცოდებთ, არავინ მოგივლით?

— აჭ, სულო ჩემო, რას ამბობ? — გულწრფელად მეუბნებოდა მარია ალექსანდრეს ასული, — მარტოკა ღმერთთან ერთად ისე კარგად ვგრძნობ თავსი ისე კარგად! როცა თვითონ გამოცდი ტანჯვას, უკეთ მიხვდები სხვე-ბის ტანჯვას, — მერე დასძენდა, — ეს ღმერთს ვუყვარვარ და იმად მიგზავ-ნის.

თუმცა მარია ალექსანდრეს ასული ცდილობდა უწინდებურად ემუშავა, მუშაობა მაინც თანდათან უფრო და უფრო უმძიმდა, მაშა მიამბობდა, რო-გორ ბრუნდებოდა წელში ოთხად მოხრილი სამუშაოდან და სიარულის ღრის თანდათან როგორ იმართებოდა და მხოლოდ მაშინ გასწორდებოდა სრულად, როცა სახლს მიუახლოვდებოდა. შინაური საქმეებისა და ბალსა და ბოსტანში სამუშაოს გარდა მარია ალექსანდრეს ასულს ზამთრისთვის შეშა უნდა მო-ემარაგებინა. თვითონ მოპერინდა შეშა ზასეკის ტყიდან და თვითონ აპობდა. მაგრამ ეჩვენებოდა, რომ საჭმარისად არ შრომობდა. თავის ცხოვრებას ერთი მისი ნაცნობი ქალის ცხოვრებას უდარებდა და მწერდა:

„აი წმინდანი მშრომელი ქალი! მე კი როცა გადავხედავ საკუთარ ცხოვ-
რებას, და ჩემს შრომას იმისას შევადარებ, ძალიან მრცხვენია!“

მახსოვს, შემოდგომაზე ოვსიანიკოვოში ნერგები ჩავუტანე: არყისა და
ნაძვის ხეები — და ვთხოვე მარია ალექსანდრეს ასულს დაუქირავებინა დღი-
ური მუშები და მეორე დღეს ხეები მათთვის დაერგვევინებინა. ორმოგბი უკვე
წინასწარ იყო გამზადებული.

უკრებული

მეორე დღეს დილით გავიღვიძე და ვხედავ, საშინელო დამზადებულება, გამ-
ჟოლავი ქარია და წვიმა ცრის. გული ჩიმწყდა. დარწმუნებული ვიყავი, მარია
ალექსანდრეს ასული არა მარტო სიტყვა სიტყვით შეასრულებდა ჩემს თხოვ-
ნას, უეჭველად თვითონაც იმუშავებდა დღიურ მუშებთან ერთად. ჩავიცვი
ტყავკაბა, ჩავჭეჭი ეტლში და ამ მოზუზუნე ქარში, სეტყვასა და წვიმაში, რომ-
ლებიც ტყლაპუჭჭი მცემდა და სასტიკად მირტყამდა სახეში, ოვსიანიკოვოში
გავეშურე.

არც შევმცდარვარ; რასაც ვვარაუდობდი, სწორედ ისე იყო. მარია ალექ-
სანდრეს ასული გლეხის გოგოებთან ერთად იდგა მინდორში და სამუშაოს
ხელმძღვანელობდა. ძალით დავითანხმე თავი მიენებებინა სამუშაოსათვის და
ქოხში წასულიყო ჩაის დასალევად. დღიური მუშები, რომლებიც ვერ ბედავ-
დნენ სამუშაოზე უარის თქმას, ვიღრე მათთან მარია ალექსანდრეს ასული
იყო, სიხარულით გაიქცნენ ქოხებში.

ზოგჯერ, როცა მარია ალექსანდრეს ასული იასნაია პოლიანაში ჩამოვი-
დოდა, გვიკვირდა ხოლმე, ისეთი ცუდი ფერი ედო.

— რა მოგივიდათ, მარია ალექსანდრეს ასულო? — ვკითხავდით, —
ცუდად ხართ?

— რატომ, გეთაყვა? — პირდაპირ პასუხს გაურბოდა ხოლმე.

— რაღაც ფერმკრთალი ხართ..

— ოჳ, გეთაყვა, ჩამომეხსენით! აქ განათებაა ასეთი, — გვეტყოდა მარია
ალექსანდრეს ასული და შებრუნდებოდა, რომ კარგად ვერ დაგვენახა მისი
გადაფითრებული პირისახე.

ამ „განათებით“ ხშირად ვაბრაზებდით ხოლმე.

— მარია ალექსანდრეს ასულო, როგორ არის განათების საქმე? — შე-
ვუჩნდებოდით ჩვენ.

— მშვენივრად, მშვენივრად! ჩამომეხსენით, გეთაყვა!

და ჩვენთან ერთად ისიც გულიანად იცინოდა თავის თავზე.

ამ ქალს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა არაჩეულებრივად მხიარულად
და გადამდებად ეცინა. და ჩვენც ოჯახში ხშირად ვაბრაზებდით იმის გამო, რა-
თა გაგვეგონა ეს გულწრფელი, გულიანი, ხალისიანი სიცილი.

— მარია ალექსანდრეს ასულო! — შევუჩნდებოდით ხოლმე მე და მაშა,
— ოდესმე თუ გყვარებიათ ვინმე?

— ჰა, ჰა, ჰა! აბა როგორ, გეთაყვა! ვიტანჯებოდი და მერე როგორ! ი
სისულელე თუ გინდა, — და მარია ალექსანდრეს ასული სიცილისაგან იგუ-
დებოდა.

— მარია ალექსანდრეს ასულო, გვიამბეთ როგორ იტანჯებოდით, ვინ
გიყვარდათ?

— ოჳ, გეთაყვა, ჩამომეხსენით! მადლობა ღმერთს, რომ ყოველივე დიდი
ხანია წარსულს ჩაბარდა... დამავიწყდა კიდეც ყოველივე...

მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით. და მარია ალექსანდრეს ასული გახარებული ხმით, რომ ამ ანკესზე არ წამოეგო, გვიამბობდა, იყო ვიღაც ცმირი, ვის გამოც ვიტანჯებოდით. თან შიგადაშიგ გულიანად კისკისებდა, როგორიც ჩვეოდა ხოლმე. ამას გარდა მსახიობ შემსკოის აღმერთებდა. ქალი საჭრობით ელოდა ხოლმე მცირე თეატრის გამოსასვლელ კირთან მის გეჭრების უფრთა ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი. არც ის დაუმალავს, რომ რწყებულის შესრულებისათვის უშოვია. ისე ვუფრთხილდებოდი, როგორც უძვირფასეს საგანძურესო, გეითხრა.

— მაგრამ, გეთაყვა, იგი ჭეშმარიტი ხელოვანი იყო! — დასძენდა ხოლმე დინჯად.

მარია ალექსანდრეს ასულს უყვარდა და აფასებდა ხელოვნებას, განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებდა მასზე მუსიკა. ჩვენთან ხშირად ისმენდა ხოლმე და მარია ალექსანდრეს ასულიც სულის სიღრმემდე ტკბებოდა. დღესავით მახსოვს მისი გაძვალტყავებული სხეული, ჩამომჭკნარი პირისახე, მკვეთრად გამოჩრილი ყვრიმალის ძვლები და ყბები და მშეენიერი, შთაგონებული თვალები, რომლებიც თითქოს ამქვეყნიურს ვერაფერს ამჩნევდნენ და სულის სიღრმეში იხედებოდნენ.

ჯანმრთელობის რაკი უმტყუნა, მარია ალექსანდრეს ასულს შემოსავალიც შეუმცირდა. ეს ამბავი ჩეენ გვაღელვებდა, რადგან მეტად ძნელი იყო დაგვე-ცოლიებინა მიეღო რაიმე მატერიალური დახმარება. დედაჩემი ზოგჯერ საკუ-თარი ხელით შეუკერავდა კაბას და მარია ალექსანდრეს ასულიც მხოლოდ იძირომ არ ეუბნებოდა უარს კაბაზე, რომ იცოდა, გულს ატკენდა დედის, აქა-ოდა, საჩუქარი დამიწუნაო. მარია ალექსანდრეს ასული ხუმრობით ამ კაბებს „არისტოკრატიული სახლებისთვის“ განკუთვნილ კაბებს ეძახდა. ყველა ჩვენი მეგობარი ცდილობდა ეჩუქებინა მისთვის რაიმე ისეთი, რაც გამოადგებოდა და შრომას შეუმსუბუქებდა. მაგრამ მარია ალექსანდრეს ასული იშერათი გა-მონაკლისის გარდა, ცდილობდა ისე აერიდებინა საჩუქრები, რომ მჩუქნელი-სათვის გული არ ეტკინა, ეუბნებოდა: რაც მჭირდება, ყველაფერი იმაზე მეტი მაქვსო. ერთხელ ჩემმა ძმამ ინდრეიმ გაიგო, რომ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ფული გაუგზავნა. მან ფული უკან დაუბრუნა და მე მომწერა:

„...მაშინვე მივხვდი, რომ ძმურად გსურდათ ჩემთვის ხელი გაგემართათ. გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო; ძალიან ამიჩქუდა გული, მაგრამ ფული მაინც არ ივიღე, იმიტომ, რომ გასაჭირი უკვე უკან დარჩა. წელიწადში ერთ-ხელ მიჭირს ხოლმე, როცა ძროხა არ იწველება. ახლა კი რიცხონჩყამ ხბო მოიგო და ჟველაფერი ჩინებულიდ აეწყო. რძეს ქარხანას ვაბარებ და ყოველდღიურად 45 კაბიკი მაქვს. ჩემთვის ეს მთელი სიმღიდრეა, მეც მყოფნის, დამხმარე ქალსაც ვისტუმრებ და მესამესაც ეყოფოდა... მაგრად გუცნით შენ და ანდრიუშას და ფრიად მახარებს თქვენი ასეთი სიყვარული“.

ასევე არ აიღო ჩვენი საერთო მეგობარი ქალისაგან გაგზავნილი ფული.

„მუდამ ცრემლის მორევამდე მიჩუყებს გულს სიყვარულის კეთილი გრძნობა, მაგრამ ფულზე იმიტომ ვამბობ უარს ,რომ ადამიანებს სხვადასხვა მოთხოვნილებანი გვაქვს, და მდიდარ ხალხს თავისთვისაც არა პყოფნის“.

ერთხელ დედაჩემი და ჩემი და საშა ჩავიდნენ მარია ალექსანდრეს ასულ-თან და რაღაც სურსათ-სანოვაგე ჩაუტანეს, თავისგანაც და ჩემგანაც. მან მაშინვე მომწერა ეს ამბავი:

„...მეოთხე საათი იქნებოდა ,უცებ ეტლის ხმაური შემომესმა, მოვიდნენ დედა, საშა, მომიტანეს ჩაი, თაფლის ბურლული. გავშეშდი, როცა დავინახე საყვარელი სოფია ანდრიას ასული, თვითონ რომ შემომიტანა ეს ყველაფერი ქოხში. მანვე გადმომცა თქვენი დიდი სიყვარულისა და ჩემზე ზრუნვის ამბავიც. კინაღამ ავტირდი სიხარულისიგან, რომ თქვენ, ჩემო ძეირფასო, გახსოვართ. გმადლობთ. ეს ჩემთვის უდიდესი სიხარულია, რომელიც მას უდიდესი უდიდესი სიხარულია, რომელიც მას უდიდესი უდიდესი რებია“.

ჩვენს მეგობართავან რამდენიმემ სცადა მარია ალექსანდრეს ასულთან ერთად ეცხოვრა, შრომაში დახმარებოდნენ. და თუმცა ასეთ წინადადებაზე პირდაპირ არასოდეს უთქვამს უარი, მაინც უმძიმდა ვინმესთან ერთად ცხოვრება, ვინც არ უნდა ყოფილიყო; მაგრამ კიდევ უფრო იტანჯებოდა, როცა მასთან საკუთარი შრომით ცხოვრების სასწავლად მიღიოდნენ.

— ჩემგან რა უნდა ისწავლოთ? ბოროტი ეგოისტი ვარ და მეტი არაფერი, — ამბობდა ქალი, — ძლივს გამაქვს თავი. სხვებისთვის რა მაგალითი უნდა ვიყო.

უნდოდა თუ არა, რაფი ძალამ უმტყუნა და ველარ უმქლავდებოდა თავის მეურნეობას, იძულებული გახდა მოახლე აეყვანა. მარია ალექსანდრეს ასულისათვის ეს არ იყო იოლი საქმე, თუმცა იმ ქალს დამხმარეს ეძახდა და არა მოსამსახურეს, თან როგორც თავის თანასწორს, ისე ეპყრობოდა, „თქვენბით“ მიმართავდა და ლუკმასაც უნაშილებდა — მაინც გულწრფელ მარია ალექსანდრეს ასულს სიმშვიდეს უკრგავდა იმის შეგნება, რომ დაჭირავებული მუშახელი ჰყავდა, ასეთი ცხოვრება კი მას მუდამ ზიხლს გვრიდა...

მარია ალექსანდრეს ასულის დამხმარე ქალები ხშირად იცვლებოდნენ, რაღაც დიდხანს ვერც უძლებდნენ მონაზონივით ცხოვრებას განმარტოებულ, მიყრუებულ კარ-მიდამოში. 1910 წლის ზაფხულში ქალის ნაცვლად მარია ალექსანდრეს ასულმა დამხმარედ ყმაწვილი კაცი აიყვანა მეზობელი სოფლიდან. ლვიძლ დედასავით ზრუნავდა იგი და უვლიდა თავის ჭაბუკ დამხმარეს და ყოველნაირად ცდილობდა გაელამაზებინა მისი ცხოვრება.

იმ ზაფხულს, ჩვეულებისამებრ, ოვსიანიკოვოს სახლში ცხოვრობდა ლ. ი. გორბუნოვის ოჯახი. ერთხელ სალამოს, როცა საქმეები მოითავა, მარია ალექსანდრეს ასულმა შესთავაზა ივან ივანეს ძეს იასნაია პოლიანაში წავიდეთო. შეაბეს ცხენი, ჩასხდნენ ეტლში და გამოემგზავრნენ. იასნაიაში ლევ ნიკოლოზის ძესთან საუბარში შემოაღამდათ და ამიტომ გადაწყვიტეს ლამეც აქ გაეთიათ. დილაუთენია გააღვიძა ივან ივანეს ძე ცოლმა, რომელმაც ოვსიანიკოვოდან სამწუხარო ამბავი ჩამოიტანა: შუალამის პირველ საათზე მარია ალექსანდრეს ასულის ქოხსა და ბოსელს შორის თივას ცეცხლი მოჰკიდებია... რაღან ქოხი ნისა იყო, ხოლო ბოსელი მოწნული და ჩალით დახურული, თვალის დახამხამებაში ყველაფერი ერთიანად გადაბუგულა.

ხანძრის დროს მარია ალექსანდრეს ასულის ქოხში ეძინა ოვსიანიკოველ დედაბერს, ვისაც მასპინძლის ნაცვლად ძროხა უნდა მოეწველა, ხოლო ფარდულში, ქოხის შორიახლოს — მარია ალექსანდრეს ასულთან სტუმრად ჩასულ მის ნაცნობ ქალს. ამ ქალს გაღვიძებია ხანძრის ტკაცუნზე და ქოხში შევარდნილა დედაბრის გასაღვიძებლად. გაიღვიძეს გორბუნოვის ცოლმაც და ბავშვებმაც, სახლში რომ ცხოვრობდნენ. მაშინვე გაცვიდნენ მარია ალექსანდრეს ასულის საყვარელი ძროხის გადასარჩენად, რომელიც ყველა პირუტყვის

მსგავსი გიუტობდა და არ უნდოდა ულროო დროს თავისი ბოსლიდან ვამოსვლა. ვიდრე ისინი ძროხას ეჯაჭვურებოდნენ. ციცხლი ისე მოედო ქოხს, რომ შიგ ვეღარ შეხვიდოდი.

მარია ალექსანდრეს ასულს დაეწვა რაც კი რამ ებადა: კაბეჭი, ჭურქი, თეთრეული, ქვეშაგები, სარეცხი მანქანი, კარაქის სადღვები, პლანეტი, ჭურჭელეულობა, უველა წიგნი, და ორმოცდაცამეტი მანეთი: ეს ქუჩას უზარდებანისად მიაბარა სწორედ იმ ქალმა, ფარდულში რომ ეძინა. გრიგორი შემოსილი

ყოველივე ამის ანაზღაურება შეიძლებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მარია ალექსანდრეს ასულს იმ ამბავმა მოუკლა გული, რომ ცეცხლში დაიწვა მისდამი გაგზავნილი მამაჩემის ყველა წერილი, ხელნაწერი მისი მოთხოვნისა „სულელი ივანე“ და მამაჩემის მრავალი თხზულების საბოლოო ჩედაქცევია, საკუთარი ხელით რომ ჰქონდა გადაწერილი. სხვათა შორის, თხზულებაში „სახარების გამოკვლევა“ მამაჩემს საკუთარი ხელით ჰქონდა ჩაწერილი უამრავი შენიშვნა და შესწორება. ერთი თავისი უძვირფასესი ნივთი — ხელნაწერი წიგნისა „მაშ რა ვაკეთოთ? მარია ალექსანდრეს ასულმა ჭერ კიდევ 1901 წელს მაჩუქა წარწერით: „აჩუქა ჩემს ძვირფას ტანეჩიას ქ. შმიდტმა“ — ეს ხელნაწერი წარმოადგენს სქელ აკინძულ წიგნს, სადაც შენარჩუნებულია ცენზურის მიერ ამოღებული აღგილები.

როცა ეს ამბავი შეიტყო მარია ალექსანდრეს ასულმა, ხმამალლა შეჰყვირა, პირისახეზე ხელები აიფარო და დიდხანს იჯდა ჩუმად. მაშინ იასნაია პოლიანაში არ ვიყავი. მარია ალექსანდრეს ასული 1910 წლის 6 ივლისს წერილს მიგზავნის ოვეინიკოვოდან:

„...ყველაფერი დამეწვა. და ყველაზე ძვირფასი, რაც ჩემი ცხოვრების აზრისა და არსეს წარმოადგენდა — ლევ ნიკოლოზის ძის ხელნაწერები და ჩემი შევოჩეა. მომიტევეთ ყველა ჩემი შეცოდება ნებსითი და უნებლივ, ხოლო ცოდვებთან ერთად ჩემი მძიმე ივალდებული სიბერე. სიტყვები არ მყოფნის მაღლობის სათქმელად, ძეირფასო მეგობარო, ჩემდამი სიყვარულის გამო. მე არ ეღირვარ ამად...“

მნელი იყო მარია ალექსანდრეს ასულისათვის იმ განსაცდელთან შერიგება. როგორ უნდა ეცხოვო, როცა ხელთ არ ჰქონდა ის უსაზღვროდ ძვირფასი აზრები, რომელთაც შემოდგომისა და ზამთრის გრძელ ლამეებში გადაიკითხავდა და გადაწერდა ხოლმე და რომლებიც სულიერი ცხოვრებისათვის ძალას ჰმატებდა. ბევრის ალდგენაც ალარ შეიძლებოდა. მთელი მრავალწლიანი მიწერ-მოწერა ყველაზე უძვირფასეს მეგობართან და მოძღვართან — ცეცხლში ჩაინთქა. თანაც მატერიალურადაც რა ძნელია ისევ შეაგროვო მეურნეობისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელი წვრილმანები, რომლებიც შეუმჩნევლად გროვდება და რომელთაც უნებლიერ ეჩვევი.

სხვადასხვა მონაცემებით დამტკიცდა, რომ ხანძარი გაუჩენია მარია ალექსანდრეს ასულის ახალგაზრდა დამხმარეს, რათა მოეპარა სხვისი ფული, მარია ალექსანდრეს ასულს რომ ჰქონდა მიბარებული. მარია ალექსანდრეს ასულმა არა თუ აპატია ეს დანაშაული, არამედ არავის აძლევდა ნებას მისი თანადასწრებით ბრალი დაედოთ ბიჭისთვის.

— ლმერთი ფარვიდეს, გეთაყვა! ლმერთი ფარვიდეს! — მგზნებარედ ამბობდა იგი, — ეს ჭერ კიდევ საკითხავია, ბრალეულია თუ არა. ხომ გაგიგიათ, ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა — ათასიო. ლმერთი ფარვიდეს!

მაშინვე, ხანძრის შემდეგ, ხე-ტყის მასალა შევიძინე და დურგალს შე-
უკვეთე ახალი ქოხის აშენება. შეეცვეთე უფრო მაღალი და ფართო ქოხი,
რათა სნეულ დედაბერს უფრო თავისუფლად ესუნთქა. მარია ალექსანდრეს
ასული მთელი არსებით მიწევდა წინააღმდეგობას ამ ახალ ნაგებობაზე. მაგრამ
ვიცოდი, ეს ქალი ისე კარგად ვერსად ვერ იცხოვრებდა, როგორც თვისიანი-
კოვოში.

„გუშინ ვერ მოვახერხე გამოგლაპარაკებოდით მშენებლობის საქმეზე, —
მომწერა მარია ალექსანდრეს ასულმა, — როცა ჩემი განხრახვა შეიტყო, --
დიდ მადლობას მოვახსენებთ, ლრმალ შემძრა თქვენმა თანაგრძნობამ, მაგრამ
მშენებლობა პირადიდ ჩემი გულისათვის რომ დაიწყოს, ამას ვერასგზით ვერ
შევურიგდები. მარტო გაფიქრებაზეც კი აუტანელი სევდა შემომაწვება, უბ-
რალოდ, სული მტკიცა ხოლმე. ვიცხოვრებ სადაც და როგორც ღმერთი მი-
კარნახებს. მაგრად გკოცნით ყველას, გულითა და სულით გემშვიდობებით
სუყველას. 15-ში ვფიქრობ ძმასთან გამგზავრებას“.

მე არ დავუჩერე მარია ალექსანდრეს ასულს და განვაგრძე მშენებლობა.
მთელი წელიწადი იცხოვრა მარია ალექსანდრეს ასულმა, როგორც მომწერა
კიდეც, „სადაც და როგორც ღმერთი უკარნახებდა“. ბოლოს როცა მივწერე,
ხომ ფიქრობთ თვისიანიკოვოში დაბრუნებას-მეთქი, ასე მიპასუხა:

„ჩემო ძვირფასო ტანეჩქა, არათუ ვფიქრობ, ძვირფას თვისიანიკოვოში
დაბრუნებაზე, არამედ ფორთხვით ჩამოვალ, ოლონდ იქაურობა უფრო ძვირად
დააზღვიერ, ვინიკობაა ხანძარი გაჩნდეს, არ იზარალოთ“.

მეორე პირობად წამომიყენა, ნება დამრთეთ თვალყური მივადევნო სამუ-
შაოებსო. ეს ჩემთვის მოსახერხებელი იყო, რაკი თვითონ იასნაიაში არ ვცხოვ-
რობდი, მარია ალექსანდრეს ასულს სავსებით საკუთარი მოთხოვნილებისა და
გემორნების მიხედვით შეეძლო ახალი ქოხის აშენება. მანამდე გადავიდა ქოხ-
ში, ვიდრე საბოლოოდ გააწყობდნენ და თვითონ ითავა დარჩენილი სამუშა-
ოებისა და ჩემი საქმეების ხელმძღვანელობა.

„...ჩემო კარგო, იცოდეთ ერთი, — მწერს იგი, — ყველაფერს ისეთი
სიყვარულით, კეთილი სურვილით ვაკეტებ, როგორც არასოდეს გამიკეთებია“.

„...გახსოვდეთ, — მწერს შემდეგ, — რომ სულითა და გულით მეწადა
მოვხმარებოდით, მაგრამ ჩემმა ბებერმა, ავადმყოფმა თავმა, შეიძლება მიმტ-
ყუნოს და შევცდე...“

როცა თავის ახალ „სასახლეში“ გადავიდა, ასე ეძახდა ქოხს, არ შეუწყვე-
ტია მადლობით სავსე წერილების გამოგზავნა.

„საყვარელო მეგობარო, გმადლობთ ახალი ჩინებული შენობისთვის, სა-
დაც შემიძლია ვიავადმყოფო, დავახველო ისე, რომ არავინ შევაწუხო..მრცხვე-
ნია სხვის სახლში რომ ვცხოვრობ, ამ გულისგამაწვრილებელი და ბინძური
სენით შეპყრობილი. ტანეჩქა, ჩემო საყვარელო, ძალიან გთხოვთ, არ მომერი-
დოთ და მიბრძანეთ ყველაფერი, რის გაფეტებაც გინდათ თვისიანიკოვოში, ნუ
წამართმევთ სიხარულს იშისა, რომ მოგემსახუროთ. თქვენ ეჭვადაც არ იცით,
რა სიყვარულით ვეკიდები ყველაფერს, რაც თქვენ გეხებათ“.

...ჩემს პატია სახლში კარგად ვარ-მეთქი, ამისი თქმა ცოტაა. გმადლობთ,
ჩემო სულო, ისე ვცხოვრობ, თითქოს ქრისტეს უბეს ვიყო შეფარებული, სულ
ვფიქრობ, რისთვის მარგუნა ღმერთმა ასეთი კარგი ცხოვრება...“

„...ეგვიპტის ძალა მომეკრიბა და ჩამოვსულიყავი თქვენთან მადლობის სათ-

ქმელად იმ შესანიშნავი ცხოვრების გამო, როგორიც თქვენ მომაგეთ ღვთაებრივ ოვსეანიკოვოში. ჩემი ძვირფასო მეგობარო! — იცოდეთ ერთი ჩამ, სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ჩემი უგულითადესი შადლობა...”

თავისი განძის დაკარგვამ სევდით დადაღა მუდამ მხიარული, მხედვები და სიცოცხლის მოყვარული მარია ალექსანდრეს ასული, მაგრამ უფრუქოშედარულე შეუმცირდა, სამაგიეროდ სიკეთე და სილბო შეემატა. დათქმით მას შემცირულად ცხოვრებას, და მთელი თავისი გულისყური პარალულიდან მის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე გადაიტანა. უკვე ალარ ეშინოდა ხელმოკლედ ცხოვრების შრომისა და ავალმყოფობისა, რაშიც მუდამ პოულობდა სულიერად ზრდის გზებს. მთელ თავის სულიერ ძალებს ახლა მხოლოდ იმაზე ხარჯავდა, რათა გაეზარდა მოყვასისადმი სიყვარული. პირველ ხანში თავს ძალას ატანდა, შემდგომ ეს სიყვარულიანი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ ჩვევად ეჭცა და მისი სიცოცხლის დასასრულს მარია ალექსანდრეს ასულისათვის სუნთქვასავით ბუნებრივი გახდა უკლებლივ ყველა ცოცხალი არსების სიყვარული. როცა მისი თანდასწრებით ვინმე ჩხუბობდა, ბრაზობდა ან კამათობდა, ან ვისმე კიცხავდა, მარია ალექსანდრეს ასული გულწრფელად იტანჯებოდა და მაშინვე იმას გამოექომაგებოდა, ვისაც გულს ტკენდნენ, თან ცდილობდა მოერიგებინა მოკამათენი და ყოველივე გაუგებრობისათვის დაებრალებინა. მახსოვს, რამდენჯერმე დაუქაჩავს ჩემი კაბის კალთა, ანდა სახელო, როცა ვინმეს მივვარდებოდი და ვკიცხავდი.

— არ გინდათ, ტანეჩა არ გინდათ, — ჩიმჩურჩულებდა ყურში, — თავი დაანებეთ, მთლად ბავშვია... არ ესმის... როგორ შეიძლება გაბრაზება?

ყველაზე მეტად უმძიმდა თავის შიკავება, როცა უკუღმართად ესმოდათ ანდა მისი თანდასწრებით კიცხავდნენ მამაჩემს. მაგრამ სიცოცხლის მიწურულს ასეთ შემთხვევაშიც გამოუმუშავდა თავშეკავების უნარი. ქალი ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგის თვალსაზრისხე დამდგარიყო და თან რბილად და ალერსიანაუ არწმუნებდა, ლევ ნიკოლოზის ძეს ნდობითა და სიყვარულით მოჰკიდებოდა, ეცადა გაეგო მისი. ცდილობდა საკუთარი სიტყვებით აეხსნა ის, რასაც ფიქრობდა, ამბობდა და წერდა ლევ ტოლსტიო.

ბოლო ხანებში მარია ალექსანდრეს ასულს აწუხებდა. მისი მეგობრის ლევ ნიკოლოზის ძის სულიერი განწყობილება, ვისაც უფრო და უფრო უმძიმდა იასნაია პოლიანაში ცხოვრება. მამა ხშირად ჩადიოდა იასნაია პოლიანადან ოვსიანიკოვოში, რათა მისთვის საკუთარი სული გადაეშალა.

1910 წლის ზაფხულის მიწურულს მამა ჩემთან ჩამოვიდა სტუმრად სოფელში, ნოვოსელსკის მაზრაში. აქედან გაუგზავნა მან მარია ალექსანდრეს ასულს თავისი უკანასკნელი წერილი, რომელიც ამ ქალის სიკვდილის შემდეგ აღმოვაჩინე მის ქალალდებში. აი, ისიც:

„10 სექტემბერი, 1910 წელი. კოჩეტი.

გამარჯობათ, ჩემი ძვირფასო ძველო მეგობარო და ერთმორწმუნევ. საყვარელო მარია ალექსანდრეს ასულო, ხშირად ვფიქრობ თქვენზე. ახლა, როცა არ შემიძლია შემოგიაროთ ოვსიანიკოვოში და გინახულოთ, მსურს მოგწეროთ ყველაფერი ის, რაც თქვენ იცით. სახელდობრ ის, რომ ძველებულად ვცდილობ ნაკლებად ცუდი ვიყო და რომ, თუმც მუდამ ვერ ვახერხებ, ამ სურვილში გპოვებ მთავარ საქმესა და სიცოცხლის სიზარულს, და კიდევ იმას, რაც ასევე იცით, რომ მიყვარხართ, გაფასებთ და მიხარია, რომ გიცნობთ.

გეთაყვა. მომწერეთ თქვენი ამბავი, ფიზიკურიც და სულიერიც. თქვენი მარად მოსიყვარულე ლევ ტოლსტიო”.

23 სექტემბერს მამა დაბრუნდა იასნაია პოლიანაში და ისტვე ხშირად მოინახულებდა ხოლმე თავის „ძველ მეგობარსა და ერთმორჩიმუნებულს”.

უკანასკნელად ოვესიანიკოვოში 26 ოქტომბერს იყო, ორი დღით ადრე, ვიდრე იასნაია პოლიანადან წავიდოდა. მარია ალექსანდრეს ასული შეამბო, რომ მამა ცხენით მისულა და უთქვამს, სამუდამოდ ვაპირებისანი უკლიანადან წასვლასთ. მარია ალექსანდრეს ასული ავიშვიშებულა და ხელი ხელს შემოუკრავს.

— გეთყვა, ლევ ნიკოლოზის ძევ, ეს სისუსტეა, გავივლით... — უთქვამს მარია ალექსანდრეს ასულს.

— ჰო, — უპასუხნია მამას — ეს სისუსტეა.

მაგრამ მამას არ უთქვამს; გაუვლიდა თუ არა ეს სისუსტე. ორი დღის შემდეგ, 28 ოქტომბერს, მამა შულამისას ექიმ დუშან პეტრეს ძე მაკოვიცკისთან ერთად გავიდა სახლიდან, მე და ჩემს ძმას, სერგეის დაგვიტოვა წერილი, წავედი იმიტომ, რადგან სხვაგვარად არ შემეძლო მოვქცეულიყავი”.

როცა მარია ალექსანდრეს ასულმა შეატყო მამის წასვლის ამბავი, მაშინვე იასნაია პოლიანაში გადავიდა საცხოვრებლად. სადაც მწუხარება იყო, სადაც ნუგეში იყო საჭირო, ყოველთვის იქ გაჩნდებოდა მარია ალექსანდრეს ასული. ასე მოხდა ამჯერადაც მარია ალექსანდრეს ასული წამსვე ჩვენთან მოვიდა და თან მოიტანა მარაგი უდიდესი სიყვარულისა და სინაზისა. ლამეებს დივანზე ითენებდა დედაჩემის საძინებელ ოთახში და მისი სიმშვიდე რომ არ დაერღვია, პირისახეს ბალიშში ჩარგავდა და ისე ახველებდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ მარია ალექსანდრეს ასული ძალიან გახდა, წელში მოიხარა, დარღიანი და ჩუმი შეიქნა. მხოლოდ უფრო ალერსითა და სიყვარულით ეძლეოდა ირგვლივ მყოფთ. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა და 1911 წლის ივლისში მომწერა: „ცუდმა ამინდებმა და ძნელმა სათიბმა ავად გამხადეს“. მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია. ეს მისი სულიერი მოთხოვნილება და სიხარული იყო. თიბვას რომ მორჩა, წერის შეუდგა.

„მოხარული ვიქნები ისევ ჩავუჩდე საყვარელ საქმეს. წიგნში „ცხოვრების გზა“ შემაქვს შეცვლილი და გამოტოვებული ადგილები. სხვანაირად ამ წიგნს არ დაბეჭდავდნენ“, — მწერს იმავე წერილში.

ამავე წლის შემოღვიმაზე მოვინახულა ჩემი საყვარელი ძველისძველი რევოლუცი, და ჩეცნც, როგორც ყოველთვის გული გადავუშალეთ ერთმანეთს და ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ. ეჭვადიც არ გვქონია, რომ ცალი ფეხი სამარეში ედგა, თუმცა კი შევამჩნიე, რომ უფრო და უფრო უნელებოდა სასიცოცხლო ინტერესები და თანდათან ეზრდებოდა სულიერი ცხოვრების მოთხოვნილება. 1911 წლის 18 ოქტომბერს, ჩემს სოფელში ი. ი. გორგუნოვისაგან ასეთი დეპეშა მივიღე:

„მარია ალექსანდრეს ასული გარდაიცვალა დღეს, სამშაბათს, გამთენის 7 საათზე. გელოდებით თქვენ და თქვენს განკარგულებას. გორბუნოვი“.

რაფი ვიცოდი, რომ მარია ალექსანდრეს ასული არ აღიარებდა აშკარად მართლშადიდებლურ სარწმუნოებასა და ისიც ვიცოდი, რომ არ სურდა დაემარხათ საეკლესიო წესისამებრ, ყოველივე ეს დეპეშით ვაცნობე თვესიანიკოვოში. იმ ხანებში არ შემეძლო დამეტოვებინა ჩემი ოფახი, ამიტომ მარია ალექ-

სანდრეს ასულის გარდაცვალების და მისი დაკრძალვის ყველა წვრილმანი მხოლოდ მნახველთა გადმოცემის თანახმად შევიტყვე.

ოვსიანიკოვოში დარაგად იმ ხანებში იყო მარია ალექსანდრეს ასულთან შეხედულებებით ახლოს მყოფი გლეხი მეზობელი სოფლიდან პრი სკვორდოვი. მოხუცს უყვარდა ეს გლეხი და ხშირად გულითადად ესაუბრუბოდა. მარია ალექსანდრეს ასულის გარდაცვალების წინადღით სკვორდოვმა, შემსწმებულები ქალი მეტისმეტად იყო დასუსტებული და შესთავაზა, გორბუნოვებს მოსკოვში ვუდეპეშებო. მარია ალექსანდრეს ასულმა მტკიცე უარი განუცხადა.

— გემუდარებით, პეტრე ივანეს ძევ, — ეუბნებოდა ქალი, — ნუ შეაწეუნებთ ჩემი გულისთვის. თუკი თავს ძალიან ცუდად ვიგრძნობ, ზვენიგოროდში წავალ და სავადმყოფოში დავწვები დიმიტრი ნიკოლოზის ძესთან*.

სკვორდოვმა დაუჯერა, მაგრამ დამშვიდებით მაინც ვერ დამშვიდდა. მეორე დღეს, როგორც კი გარდვიდა, მას სანახავად წავიდა. მარია ალექსანდრეს ასული საწოლზე იწვა, პირით კედლისაკენ და ფართოდ გახეხილი თვალებით კადელს მიშტერებოდა, რომელზედაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ეკიდა ჭვარუმა და ლევ ტოლსტოის სურათი. უკვე აღარაფერს ამბობდა. ასე თანდათანობით ჩაინავლა და გადავიდა ამიერ ქვეყნიდან იმიერ ქვეყანას..

მარია ალექსანდრეს ასულის დაკრძალვას რამდენიმე მეგობარი დაესწრო. მას დატოვებული ჰქონდა ა. წ. თებერვალში დაწერილი ბარათი, სადაც ითხოვდა დაესაფლავებინათ საეკლესიო წესის აღუსრულებლად, რაღვანაც იგი უკვე ოცდაათი წელიწადია ჩამოშორებული იყო მართლმადიდებლურ ეკლესიას. ბარათის ბოლოს იგი თხოვნით მიმართავდა ხელისუფალთ, არ დაესაჭათ მისი მეგობრები იმის გამო, რომ ისინი მის თხოვნას აღასრულებდნენ.

დამწერეთა გადმოცემით დაკრძალვა ძალზე უბრალოდ და გულისმომწყვლელად ჩატარდა. გვამი ჩაისვენეს უბრალო ხის კუბოში, და ჩაუშვეს არყის ხის ძირას გათხრილ სამარეში, იმ ბოსტნის კიდეში, სადაც ამდენხანს შრომობდა კეთილი დედაბერი. როცა მის ნეშტს მიწა მიაყარეს და საფლავზე პატარა წაგრძელებული ბორცვი წარმოიშვა, ყველანი რამდენიმე წუთს შედგნენ სამარესთან ქუდმოხდილნი. შემდეგ გორბუნოვმა თქვა:

— მშეიღობით, საყვარელო დაო! ღმერთმა ინებოს, რომ ყველამ ისე უიცხოვროთ, როგორც შენ იცხოვრე*!

* დიმიტრი ნიკოლოზის ძე ნიკიტინი იყო ზვენიგოროდის სერობო სავადმყოფოს მთავარი ექიმი, მარია ალექსანდრეს ასულისა და ჩერნი თჯახის მეგობარი. მისი დაკრძალვის დღე ნიკიტინმა ოვსიანიკოვდან მომწერა: „ჩავუშვით სამირეში საყვარელი მარია ალექსანდრეს ასული. ლევ ნიკოლოზის ძალ შემდეგ ეს ქალი თვითეული ჩვენგანის სინდისი იყო...“.

* (საინტერესო როგორ შეხვდა ხელისუფლება მ. ა. შმიდტის სამოქალაქო წესით დაკრძალვას. გორბუნოვი და იმამად ოვსიანიკოვში მცხოვრები ა. ა. ბულანეე პასეხისგებაში გადასცეს, როგორც დაკრძალვის მოთავენი, და ერთი წლით პატიმრობა მიუსახეს. თუმც მე არიდერთხელ განვაცხადე, რომ მ. ა. შმიდტი საეკლესიო წესის აღუსრულებლად დაკრძალულია ჩემს მამელში ჩემი განკარგულების თანიხმად, იმიტომაც ვითხოვ: ბრალი მე დამდონ ანდა უკიდურეს შემთხვევაში მოწმედ მაინც გამიყვანონ-მეტვი, არავითარი პასუხი ჩემს განცხადებზე არც ერთხელ არ მიმიღია. ხოლო გორბუნოვმა შუამდგრმლობაზე, სადაც ითხოვდა, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებით მოწმეებად გიმოვეძახებინეთ მე და კიდევ რამდენიმე პირვენება, პასუხად მიიღო ქაღალდი, სადაც ნათევამი იყო, რომ მისი შუამდგრმლობა დატოვეს უშედეგოდ, „რაღგან განსახილველ გარემოებებს ამ მოწმეთა შეობებით არა თუ არავითარი სასაჩევლო მნიშვნელობა არ ექნება საქმისათვის, არამედ სერთოდაც არ ეხება საკითხს და ზედმეტად გადატვირთვეს სასამართლო საქმეს დამატებითი მონაცემებით).

ი., მთელი ამბავი „მოხუცი ქალის შმიდტის“ უბრალო, თავმდაბალი და მარტივი ცხოვრებისა, ვფიქრობ, ჩეენი საერთო მეგობრის, გორბუნიშვის, სურვილი რომ ახდეს და ჩვენი ცხოვრება ცოტათი მაინც დაემსჯებსოს მართ ალექსანდრეს ასულის ცხოვრებას, მაშინ უამრავი სიხარული და ბეღზიერება შეუძარებოდა აღამიანებს. ერთი შეხედვით თითქოსდა არატქიმის ნიკოლა გამორჩეული ეს შეუმჩნეველი, თავმდაბალი, მურომელი ქალი. ჭიჭრების კრისტიანი უცველი იმ ლირსების, რითაც ასე მდიდარი იყო, მაშინ ხედავ, რომ ასეთები ძალზე იშვიათად გვხვდებიან ცხოვრების გზაზე, აღამიანების სიყვარული, სიყვარული და გულმოწყალება ცხოველთა, მორჩილება სნეულებისა და უბედურებაში, შრომის სიხარული, — ი., მისი დადებითი თვისებები, და ამასთან ერთად არ ყოფილა თვითკმაყოფილი, ზარმაცი, შურიანი, ხარბი, მოყვარის გაკიცხვა არ იყოდა. განა ეს ლვაწლმოსილი ცხოვრება არ არის? და რაფი ამ მოზუცმა, სუსტმა, ავადმყოფმა, შედარებით ფუფუნებასა და სილალეში იღზრდილმა ქალმა შეასლო ასე გარდაექმნა თავი, იღარავინ უნდა მივეცეთ სასოწაოებეთილებას. საერთო ძალებით შეგვიძლია ცხოვრება იმგვარად მოვაწყოთ, როცა იქნება უფრო მეტი ჭეშმარიტი ძმობა, ჭეშმარიტი თანასწორობა, ჭეშმარიტი სიყვარული, ვიდრე ახლა ვხედავთ.

ამავათი იმისა, თუ როგორ ვდავათდით ის და მათაჩები მიზის საკითხს

მამაჩემის სიყვარული მიწისა და პატივისცემა მიწათმოქმედებისადმი არა მხოლოდ პრინციპული, არამედ ორგანული გრძნობაც იყო. ე. წ.* მოქცევამდე, თუ გნებავთ, სულიერ გარდაქმნამდე, მამა გატაცებით მისღევდა მეურნეობას, სრულყოფდა მის ყველა სფეროს, რამდენადაც ხელეწიფებოდა. გლეხთა სამიწადმოქმედო შრომასთან მუდამ ახლოს იდგა და ხშირად კიდეც მონაწილეობდა. როცა კი სულიერი „გარდატეხის“ დრო დაუდგა, მამამ უარყო ყოველგვარი საკუთრება, როგორც ფულადი, ისე საადგილმამულო. მას არაფრის ქონება არ სურდა, და ჩვეული მგზნებარებითა და გატაცებით, მთელი ძალებით ისწრაფოდა, გადაეგდო მისთვის ესოდენ მძიმე უღელი.

* ზე ვწერ — ე. წ.-ს იმიტომ, რომ არ მიმაჩნია, თოთქოს მამაჩემის სელში ღაიბადა რაღაც ხალი თვისება, რაც აღრე არ ჰქონია. ყოველივე, რაც მან შემდგომ გამოთქვა თავის რელიგიურ-ფილოსოფიურ თხშულებებში, ეს ყოველივე, მუდამ ცოცხლობდა მის სულში, რასაც ხშირად გამოთქვამდა კიდეც თავის დლიურებსა, მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ ცხოვრებაში. მხოლოდ დროებითი დაშრება ინტერესთა — ლიტერატურულ, თვაბურ, ქონებრივ და სხვათა — უშლიშა ხელს მთელი სისრულით გამოვლენილიყო მისი სულიერი არსობა, და როცა დასრულდა სიდუმლო შინაგანი ჭიდილი და პირთამდე ავსო მისი სული, მან თოლად ჩამოიყიდა ეს ქერქი და გაღააგდო. არ შეუცველია რა თავისი გზა, მამა სიყვალუმდე მტკიცედ მოღვაწეობდა ისე, როგორც ჭერ ისევ აღრეულ სიჭაბუკეში უთქვამდა გელი, როცა თავის დლიურში წერდა: ჩგუშინ საუბარმა ლმერთსა და რწმენაზე, — წერს იგი სეკასტოპოლის მისაღვიმებთან მყოფი 1855 წლის 4 მარტს, — აღმიძრა დაადი, უზარმაზარი აზრი, რის განხორციელებასაც, მგონია შემწევს მის უნარი, უნდა მიეუძღვნა ცხოვრება, ეს აზრია — დავაარსო ხალი რელიგიი, რომელიც შეესაბამება კაცობრიობის განვითარებას, ქრისტეს რელიგიას, მაგრამ გაწმენდილს რწმენისა და იდემალებისგან, პრატისული რელიგიისას, რომელიც ხეტარებას მომავალში კი არ გვიჩდება, არამედ მიწაზე განიიჩებს ნეტარებას... ეიმოქმედო შეგნებულად აღამიანების რელიგიისთან შესაერთებლად — ი., საუკველი აზრისა, რაც იმედი მაქვს, გამიტიცებს".

ეს არც ისე იოლად მოსაგვარებელი საქმე გახლდათ: მას ჰყავდა უოლი და ცხრა შვილი, თვითონვე რომ შეაჩერა ეცხოვრათ იმგვარიდ, როგორც მისი წრის ხალხი ცხოვრობდა.

დედაჩემი, ვინაც თვრამეტი წლისა ცოლად გაძყვა ასაკით უდირეს მიანს, მასზე მაღლა რომ იდგა გამოცდილებით, წრითა და მდგრადი მიზანით, საწილობრივ თავისმა ქმარმა აღზირდა. იგი ვეიამბობდა, რომ მუმაჩემი, მიზანითად, უკრძალავდა მეორე კლასის ვაგონით მგზავრობას, უცაფულდა მეტენა კლასის ვაგონით უნდა ემგზავრა. ჩვენ, ბავშვებს, საგულდა გულოდ გვზრდიდნენ და განსაკუთრებული განათლება მოვცეს. სახლში ცხოვრობდა არა-დიღნენ და განსაკუთრებული განათლება მოვცეს. სახლში ცხოვრობდა არა-ნაკლებ ხუთი აღმზრდელი და პედაგოგი და ომდენივე კიდევ ჩამოდიოდა გაკვეთილების ჩასატარებლად (მათ შორის მღვდელიც). ვსწავლობდით: ბიჭები ექვს, მე კი ხუთ ენას, მუსიკას, ხატვას, ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, სალმრთო სჭულს.

მამა წინააღმდეგი იყო საშუალო სკოლაში შევსულიყავით, არა მარტო ქალიშვილები, არამედ ვაჟიშვილებიც.

ოჯახში ლამის პირეელი შვილის გაჩენისთანავე გადაწყდა, რომ როცა უფროსი ვაჟი — სერგეი — თვრამვეტი წლისა შესრულდებოდა, მოსკოვში გადავიდოდით საცხოვრებლად, იქ სერიოზი უნივერსიტეტში შევიდოდა, მე კი უფროს ქალიშვილს, სერიოზულ წელიწადნისევარით უმცროსს — მაღალ საზოგადოებაში გამიყვანდნენ.

ყოველივე ვარაუდისამებრ აღესრულებოდა, ლალად, ყოველგვარი გართულების გარეშე: მამა წერდა რომანებს და სოფლის მეურნეობას მისდევდა. დედა შრომობდა და ძუძუს აწოვებდა პატიორებს, ასწავლიდა უფროს შვილებს. გადაწერდა მამის თხზულებებს და საოჯახო საქმეს განავჭებდა. ცხოვრება მშვიდი და ბედნიერად მიედინებოდა. ოჯახის თავი მამა იყო და ყველანი უსიტყვოდ ვემორჩილებოდით მას.

მაგრამ აი, 70-იანი წლების დასასრულს მამა ეჭვებმა შეაწეხეს. რა არის ცხოვრების აზრი? ისე ცხოვრობს, როგორც უნდა იცხოვოს? იყეთებს თუ არა იმას, რაც აუცილებელია საკუთარი თავისა და სხვების ბედნიერებისათვის?

ამ ეჭვებმა და აუტანელმა სულიერმა ტანგვამ, მან რომ გადაიტანა ცხოვრების აზრი, ძიების უამს, მაშინ ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა მამა.

მან განსაცვიფრებელი სიმართლის ძალით აღწერა ეს განცდები თავის წიგნებში: „აღსარება“, „რა არის რწმენა ჩემი“ და დაუმთავრებელ მოთხრობაში „შეშლილის ჩანაწერები“.

აღარ გავიმუორებ, ვიტუვი მხოლოდ, რომ მისი სულიერი წინასწორობის დარღვევა დაეტყო მთელი ოჯახის ცხოვრების წყობას. მამა ჩაეფლო ინტერესებში, რომელიც ახალმა მსოფლმხედველობამ გადაუშალა. ახალმა აღამიანებმა, სრულიად უცხონი რომ იყვნენ ოჯახისათვის, გულისთქმაში ჩააგდეს იგი და ეს აღამიანებიც დაინტერესდნენ ტოლსტოის პიროვნებით.

დიდი ხნის წინანდელი ინერცია მძლავრობდა და მამა ერთბაშად არ ცდილა, შეეცვალა ოჯახის გარეგნული ცხოვრება, ის კი არადა 1882 წელს იყიდა და ივეგით გააწყო სახლი მოსკოვში, ხამოვნიკის შესახვევში. მანვე გვიყიდა ვტრი, კარეტა, ორი მარხილი და განკარგულება ვასცა, რომელი სამი ცხენი ჩამოეყვანათ იასნაია პოლიანადან მოსკოვს.

უფროსი ძმა უნივერსიტეტში დაღიოდა. მე კი ის იყო მიღიალ საზოგა-
ვალოებაში წარმადგინეს. პირველ მეჯლისზე მამამ წამიუვანა.

მაგრამ ცოტაცოტაობით მამასთვის ასეთი ცხოვრება უფრო / და უფრო
აუტანელი შეიქნა. განსაკუთრებით უმძიმდა მიწის მესაკუთრე არა იყო. იგი
მოუწოდებდა ოჯახს, მთელი ქონება ვაეცათ, და გლეხებიცით უცხოცრათ.

ოჯახს, დედის მეთაურობით, რაკი არ გაუვლია ის გზა, უფრო უფრო განვლო,
არ შეეძლო გაეგო მოტივები, რითაც მამა ხელმძღვანელობდა ქადაგის მაც-
სრულიად ვერაფერი გაეგო თავისი მესვეურისა. რამდენი წელიწადი გვატარა
ოჯახის ამ თავკაცმა ერთ გზაზე და უცებ ყველაფერი უნდა დანგრეულიყო
და დაუდგომოდით სრულიად ახალ, გამოუცნობ გზას. განსაკუთრებით გაოგნე-
ბული, ნაწყენი, გაღიზიანებული, შეშინებული და თავგზადაკარგული იყო
დედა.

დედამ ვერ გაიგო, რატომ უნდა დაენგრიათ ცხოვრება, სადაც იგი ბედ-
ნიერიად გრძნობდა თავს — ცხოვრება, ასე სვებედნიერიად მიმდინარე.

„ყველას ერთმანეთი გვიყვარს. ის კი ყველას უყვარს და პატივს სცე-
მენ, ყველანი ემორჩილებიან. და მერე რა კარგია ცხოვრება, როცა ასეთი გო-
ნიერი მოსიყვარულე წინამძღოლი გვყავს. ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვა-
წეობს, რასაც აღამიანთა სიყვარული, დიდება და ფული მოაქვს, და ნეტავ
კიდევ რაღას დაეძებს?“

მას აქეთ, რაც დაიწყო „იდეები“, (ასე ამბობდა დედაჩემი), ყველაფერი
გაცუჭდა. ბავშვებმა როგორც კი დაინახეს, რომ მამამ შეწყვიტა მათი ხელმ-
ძღვანელობა, აღარ ისურვეს მორჩილად ყოფნა, მთავრობამ რაღაც საზიანო
ქროლვა რომ იყნოსა, ყურები ცქვიტა, მაგრამ რაკი ვერ ბედავდა თავად ტოლ-
სტოისთვის ეხლო ხელი, ასახლებდა და აპატიმრებდა ტოლსტოის სულიერად
ახლობელ ადამიანებს. აწყობილი, ბედნიერი ოჯახური ცხოვრების ნაცვლად
იყო ბრძოლა, დავა, რასაც ცრემლები, ურთიერთსაყვედურები მოჰქონდა. ვის-
თვის ან რისთვის იყო ეს საჭირო? მერე კიდევ რა უფლება აქვს ძალით მოით-
ხოვოს ჩვენგან შეცვლა იმ ცხოვრებისა, რასაც წლების განძილზე თვითონეე
შეგვაჩვია? — ასე მსჯელობდა დედაჩემი.

ბავშვებს ცოტა გვესმოდა იმისა, რაც ხდებოდა და მხოლოდ მამისა და
დედის უთანხმოება გვტანხავდა. ვხედავდით, რომ ორივენი ძლიერ განიცდიდ-
ნენ, ხშირად ტიროდნენ, მაგრამ როგორ მივშველებოდით — არ ვიცოდით.

ბოლოს მამამ გადაჭრით განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ სურდა მესაკუთ-
რე ყოფილიყო და დედას შესთავაზა მთელ ქონებას თვითონ დაპატრონებო-
და. დედამ ამაზე უარი უთხრა. მაშინ მამამ სხვა გამოსივალი იპოვა: შემოგვთა-
ვაზა ისე მოვმცეულიყავით, თითქოს ის უკვე გარდაცვლილი იყო. შემკვიდ-
რეებს, ისევე როგორც ეს მისი გარდაცვლების შემდეგ მოხდებოდა, მამის
ქონება ერთმანეთში უნდა გაეყოთ.

ასეც გავაკეთეთ. 1890 წელს ვნების კვირის იასნაია პოლიანაში ჩა-
მოეიდნენ ჩემი ძმები, რათა შომხდარიყო ქონების გაყოფა! მე ვწერ ჩემს დღი-
ურში 1890 წლის 13 მაისს: მამამ მოისურვა, თორემ, რასაკვირველია, ამას
არაერთ გააქეთებდა.

მაგრამ უკვე მაშინ მესმოდა, როგორ უმძიმდა მამას. როგორლაც სამი-
ვენი ერთად: სერგეი, ილია და მე შევედით მასთან კაბინეტში, რათა გვეთხო-
ვა მამასთვის შეეფასებინა მთელი ქონება. დავუქაკუნეთ:

— ვინ არის?

— მოვედით...

მამა არც დალოდებია, რას ვეტყოდით, რა გვინდოდა, და სწრაფად მოგ-
უხალა:

— პო, პო, ვიცი... საჭიროა ხელი მოვაწერო, რომ ყველაფრჩქული
უკადებ თქვენს სასარგებლოდ.

ასე იმიტომ გვითხრა, რომ მისთვის ეს ყველაზე საშძიმო ტვირთი იყო
და უნდოდა სასწრაფოდ გადაეგდო ეს ტვირთი. მესმოდა, როგორ უმძიმდა
ხელი მოეწერა და გვესაჩუქრებინა ის, რაც კარგა ხანია თავისად აღარ მიაჩ-
ნდა, როცა საკუთარ მიწებს, სახლსა და ფულს გვაძლევდა საჩუქრად, თითქოს
აღიარებდა, რომ ეს მისი საკუთრება იყო.

სიკელილმისჯილივით ჩქარობდა თავი გაეყო მისთვის გაკეთებულ მარ-
ყუქში, რასაც, იცოდა, ვერ აცდებოდა — და ჩვენ სამივენი, მის წინაშე მდგარ-
ნი, ვიყავით ეს მარყუქი.

მამის ქონება ათ თანაბარ ნაწილად ვაიყო და კენჭისყრით დაურიგდა ცხრა
შვილსა და მეათე — დედას. ეს გაყოფა ყველასათვის ძნელი იყო. გული მტკი-
ოდა, რომ მეც ვმონაწილეობდი იმ საქმეში, მამას რომ არ მოსწონდა. მაგრამ
თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ამ გაყოფით მოისპობოდა მრავალი უსიამოვნო
ჩხუბი და კამათი ოჯახში.

ჩემმა დამ მაშამ ვადაჭრით ვანაცხადა უარი თავის წილ ქონებიზე (დედა-
ჩემმა მაინც წინდახედულება გამოიჩინა, გამოჰყო ეს ნაწილი და მაშინ ვა-
დასცა მაშას, როცა თხოვდებოდა და მაშასაც უარი აღარ უთქვამს).

თვითეულ ადამიანს საკუთარი სულიერი თვისება გააჩნია. არიან ადამია-
ნები, ყველაფერს სწრაფად რომ ვადაწყვეტენ ხოლმე წუთიერი შთაბეჭდილე-
ბის ზეგავლენით, ამას რა შედეგი მოჰყვება, არ ფიქრობენ. ასეთ ადამიანებ-
ზე ნ. ნ. გუსევს თავის წიგნში „ორი წელიწადი ტოლსტოისთან“ მოტანილი
აქვს მამაჩემის სიტყვები, კარგად რომ ვამოხატავენ ჩემს აზრსაც:

„ყოველთვის მეშინია ასეთ ადამიანთა ვამო, რომლებიც წამშივე ფიცხლად
ვადაწყვეტენ ხოლმე რაიმეს: მამულიც ვასცა... ხოლო შემდეგ, თუკი ძალა
არ ეყოფა, საკუთარ თავს კი არა, იმ მოძლვოებას დაადანაშაულებს, რომლის
აღსრულებაც სურდა: იტყვის, ამის გაკეთება შეუძლებელია.“

სხვა ადამიანებს ეშინიათ საკუთარ ძალას დაეყრდნონ, შიშობენ, ვაითუ,
მომავალში შეხედულებები შეგვეცვალოსო და ჩვენივე საქციელი სანანებელი
გაგვიხდესო, და ამიტომაც რჩებიან უწინდელ პირობებში, თან უმძიმთ და
თან რცხვენიათ.

მე ადამიანთა ამ ბოლო ჯგუფს ვეკუთვნოდი. მეტისმეტად არ მსურდა
მონაწილეობა მიმელო გაყოფაში. იმ ხანებში ჩემთვის გაცილებით ადვილი
იყო უარი მეთქვა მამის მემკვიდრეობაზე, ვიდრე მიმელო საკუთარი წილი.

მაგრამ მე წამიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით არასოდეს ვიქცევი, ამი-
ტომ თავდაპირველად ვადაწყვეტე კარგად ვამეაზრებინა საკუთარი მდგომარე-
ობა და საკუთარი ძალები ამეწონ-დამეწონა.

იმ დროის დღიურში ჩაწერილი მაქვს:

„მშერდა მამასი, ვინაც არაფერში არ მონაწილეობდა და უარი ვანაცხა-
და თავისი წილის აღებაზე. და მეც ფრიად კეთილსინდისიერად ვცდილობდი

კარგად მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს აი, რა გადავწყვიტე:

ჯერ ერთი, არა მაქვს უფლება არ ავიღო საკუთარი წილი, იმიტომ, რომ მაინც გამომიყოფენ და დედაქემის სახელზე დაწერენ, დედა მაანც შომცემს შემოსავალს ჩემი წილი აღგიღმამულიდან და ესეც არ იყოს, ჩემ მაგივრად რად უნდა იდავიდარაბოს?! ხოლო მეორეც, იმდენი მოთხოვნერდებულებულებინია და თვითონ ისე ცოტა სარგებელი მომაქვს, რომ ვინმეს კუსტშეერთნდა ფრაგდე და სარჩენად გავუხადო თავი. უწინარეს ყოვლისა იმაზე უნდა ვიზრუნო, რათა მოთხოვნილებები შევიმცირო, ხოლო ფულის მოშორებას ყოველთვის შევძლებ, თანაც ისე ცუდი მომვლელი ვარ იმისა, რაც მაბადია და ისე ხშირად მჭირდება რაც შეიძლება მეტი ფული, რომ აბა როგორლა უნდა განვაცხადო უარი საკუთარ წილზე!

მაშინ მეგონა, რომ ჩემთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა საკუთარი მოთხოვნილებების შემცირება და ჩემი წილი ქონების მოშორება, ვიდრე ეს სინამდვილეში აღმოჩნდა. ისე ვმსჯელობდი: ჩემი ცხოვრების მთავარ საქმედ უნდა გავიხადო, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დავხარჯო საკუთარ თავზე სხვა ადამიანთა შრომის ნაყოფი და რაც შეიძლება მეტი გავცე სანაცვლოდ... თუკი მე ახლა უშუალო ზიზღის გრძნობას ავყვები და არ ავიღებ ჩემი კუთვნილი ქონების წილს, შეიძლება ისე მოხდეს, — ალბათ უეჭველად ასე მოხდება — რომ ვერ გავუძლო ცდუნებებს, და ამ ცდუნებათა დასაკმაყოფილებლად, ადვილი მოსალოდნელია, რაიმე ცუდი საქციელი ჩავიდინო: ან გავთხოვდე ფულის გამო, ან ვიმუშაო ისეთ აღვილას, ჩემს აწმენას რომ არ შეესაბამება, ანდა რაღაც ამდაგვარი უსათუოდ მოსალოდნელია.

და ასე ივიღე ჩემი წილი ქონება: მამული სოფელ ოვსიანიკოვოში. — ას თხხმოცი დესეტინა მიწა იასნაია პოლიანასთან ახლოს და მცირეოდენი ფულადი კაპიტალი.

უწინდებურად იასნაია პოლიანაში ვცხოვრობდი. ოვსიანიკოვოში ცხოვრობდა ჩვენი მეეტლის ვაჟი, რომელიც იქ მეურნეობის განავებდა, მაგრამ საქმე ცუდად მიღიოდა, მიწა იჭარით გავეცი მეზობელი სოფლების გლეხებზე და ინვენტარი გავყიდე.

მახსოვს, პირველად ვლეხებმა ბე რომ მომიტანეს. სამზარეულოში ვიყავი წვენს მზარეულ სემიონ ნიკოლოზის ძესთან ერთად. სამი გლეხი შემოვიდა. ურთ-ერთმა გამონასკვული ხელსახოცი გამოხსნა და მაგიდაზე დააწყო მანეთიანები, ორშაურიანები და სპილენძის შაურიანებიც, თან გულისყრით ითკლიდა, არ შემეშალოსო. ვიდექი და ველოდებოდი, როდის დაითვლიდა, რათა იმედო ეს მძიმე შრომის შედევრად მოპოვებული ფული და ჭიბეში ჩამედო. მეორე დღეს ოვსიანიკოვოში ჩავედი, რათა გლეხებთან ერთად პირობები ჩატომეწერა.

ისე გამიჭირდა, რომ გუნებაში გადავწყვიტე, რაც არ უნდა დამჯდომოდა შემეცვალა ეს მდგომარეობა. განვიზრახე მარტოკას გამომენახა ვზები ამ უდლის თავიდან მოსაშორებლად.

გადავწყვიტე გლეხებისაგან აღებული ფული უკან დამებრუნებინა, მაგრამ ოვსიანიკოვოსათვის რა მექნა, ვერაფერი მოვიფიქრე.

მამას არ დავთათბირებივარ, რადგანაც მსურდა ჯერ მარტოს იმეწონა საკუთარი სინდისის ძალები.

მაგრამ მამაჩემის მგრძნობიარე, მოსიყვარულე გულს ჩემი განწყობილება ვერ დავუმალე. მან მაშინვე იგრძნო, რომ რაღაცით შეწუხებული ვიყავი. აი, რას სწერს იგი მაშის 1894 წლის 29 აგვისტოს:

„გუშინ ტანია ოვსიანიკოვოში იყო გლეხებთან პირობების ვასირებული. გული მწყდებოდა მისი საქციელის გამო, მაგრამ განვებ ვდუმდი. იქიდან ძალზე მოწყენილი დაბრუნდა. დღეს დილით, მის ოთახში რომ გრძელებული ტექსტები, მოწყენილი რატომ ხარ-მეთქი. ყველაფრის გამოო, მიპასუხა ზა იქვე დასძინა, „მაგრამ არა, არის ერთი მიზეზი“. — „რა მიზეზია?“ „ოვსიანიკოვო. რატომ უნდა ჩაიდინო სისაძაგლე, როცა ეს არავის სჭირდება“. ბაგეები აუთროთოლდა და აქვითინდა. როცა თავს მოერია, მითხრა, ამ საქმეზე უსათუოდ დაგეთათბირებიო. უკვე მოვიფიქრე, როგორ უნდა მოიქცეს ტანია და გული სიხარულს ველარ იტევს. მაგრამ, აი, გავიდა დღე და არაფერს მეუბნება. იქნებ პვონია, დამავიწყდა (როცა მხოლოდ ამით ვცოცხლობ), ან იქნებ რცხვენია. მაგრამ ურველივე კარგად იქნება, რადგან იგი არ ცდილობს არ დაინახოს, რაც არ სურს“.

შემდეგ წერილში ისევ მაშის ატყობინებს:

„ტანიას ოვსიანიკოვოშე ველაპარაკე. ძალიან მინდა იქ საქმე ისე მოვაწყო, რომ მიწის ფული საზოგადოებრივ საქმეს მოხმარდეს „a la Henri George“.

რაჯი მამას გადავუშალე მძიმე საწუხარი, ისე რომ მტანზავდა, დავმშვიდლი. მან ამიხსნა თავისი გეგმა, როგორ მოვქცეულიყავით მიწის საკითხთან დაკავშირებით და ჩვენც ოვსიანიკოვოში წავედით, რათა გლეხებისთვის გვეთქვა ჩვენი განზრახვის თაობაზე. მამის საუბარი გლეხებთან საკმაოდ ზუსტად არის აღწერილი „აღდგომაში“.

სულრან თითქოს მძიმე ლოდი ამაცუალეს.

სახნავი მიწა და ტყეები გლეხებს გადაუცა.

კარ-მიდამო ჩემს სარგებლობაში დავიტოვე, უმთავრესად იმიტომ, რომ იქ დასახლებულიყო მარია ალექსანდრეს ასული შმიდტი, ჩვენი ძველი მეგობარი და მამაჩემის შეხედულებების ერთგული მიმდევარი. ოვსიანიკოვოს კარ-მიდანში სხვებიც ბევრნი ცხოვრობდნენ, რომლებსაც საცხოვრებელი სახლი სჭირდებოდათ.

ჩემი საქციელის პასუხად მრავალი შექება და მაღლობა დავიმსახურე. ამან ერთხელ კიდევ დამანახა, რა ხშირად აქებენ ან კიცხავენ ადამიანები იმას, რაც არც ქების ღირსია და არც გაკიცხვისა.

სხვათა შორის ლ. ი. ვესელიტსკაიასავან* ასეთი წერილი მივიღე:

„სწორუპოვარო ტატიანა ლევის ასულო!

ნუ გაბრაზდებით, ჩემთ ძვირფასო, მშვენიერო და ჰქვიანო, იმის გამო, რომ იაკუბოვსკიმ საიდუმლოდ გაგვიმხილა თქვენი იმბავი. ისე გახარებული და აღფრთვანებული ვარ, რომ არ ვიცი, ან ვული სადა მაქვს ან სრულ ჰქუაზე თუ ვარ. რაც არ უნდა მითხრან, არაფერი მესმის და არ შემიძლია

* პეტრი ჭორჭის მსგავსი.

* ლ. ი. ვესელიტსკაიამ, „ვ. მიკულიჩის“ ფსევდონიმით დაწერა არა ერთი ნიჭიერი მოთხოვა „მიმოჩეა პატარძალი“, „მიმოჩეა წყლებზე“, „მიმოჩეა მოიწამლა“, და ასე შემდეგ 1914 წელს მან გამოაქვეყნა მოგონებები სათაურით „წარსულის ჩრდილები“, მიძღვნილი ლევ ჩიკოლოშის ძე ტოლსტოისადმი, მისი ოჯახისა და მეგობრებისადმი.

არც წერა, არც ლაპარაკი, არც კითხვა მანამდე, ვიდრე არ გეტყვით: გმაღლობთ ყველა იმ გრძნობათა გამო, რომლებიც თქვენმა საქციელმა გამოიწვია. გვოცნით და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ გნახეთ და გიცნიათ.

უფრო და უფრო ნათელი ხდება იასნაიაში ის, რაც ყველაზაოთვის ნათელი უნდა გახდეს. კიდევ ერთხელ გვოცნით მაგრალ.

მთელი სულით თქვენი მოსიუმართულებული ლიდია ვეხელიტსკაია".

რავი ეს წერილი მიწის გადაცემიდან რამდენიმე თვის შემდგომ მივიღე, პირველად ვერ გავიგვე, რა უამბეს ჩემზე ლიდია ივანეს ასულს. მას აქეთ ახალი მოვლენები და ახალი ინტერესები გაჩნდნენ და ამ ეპიზოდში უკანა რიგში გადაინაცვლა. გარდა ამისა, ის, რაც გავაკეთე საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად, ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე იოლად ჩასაღენი საქციელი იყო. და ამიტომ შექებასაც ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა. იყო უამრავი სხვა რამ, რომელთა აღსრულება ვაცილებით მეტად მიჰირდა, რისთვისაც არა-თუ მაქებდნენ, არამედ, ხშირად მყიცხავდნენ.

მაშინ, როცა მე და მამაჩემი ოვსიანიკოვოს საქმეებს ვაგვარებდით, ჩემ-თვის სავსებით სულერთი იყო, რას ამბობდნენ ჩემზე, მე და მამას არ გვეცალა, ოვსიანიკოველ და სკურატოველ გლეხებთან ჭირობებს ვაღენდით, და სხვა აღარაფერი მაინტერესებდა. ამ პირობის შავი პირი მამაჩემის ხელით არის დაწერილი, ხოლო ჩემი ხელით ჩამატებულია აღვილები, მამის მითითების თანახმად. იგი ჩემთან ინახება, როგორც იმ საოცარი სიახლოესი წუთების სახ-სოვარი, ჩემსა და მამას შორის რომ სუფევდა. რაც ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია მოხავონებლად...

ამ პირობის თანახმად მთელი სახნავი და სათიბი მიწები სრულ გამვებ-ლობასა და სარგებლობაში გადაეცემოდა ორ საგლეხო საზოგადოებას, მათ შეეძლოთ დაეხნათ, დაეთესათ და აელოთ მოსავალი თავიანთ სასარგებლოდ სახნავ-სათიბ მიწებზე, ეძლვებინათ თავიანთი საქონელი ვალ-მინდვრებში, ესარგებლათ ტყით და ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გაეწმინდათ და ვა-მოეტანათ ძარჩემხმარი ხეები.

გლეხები კი ვალდებულებას იღებდნენ: შეეტანათ საზოგადობრივ სალა-როში თვითეულ დესეტინა მიწაზე ექვს-ექვსი მანეთი, გაეპონერებინათ ნია-დაგი, უდარაჯათ ტყისთვის და გადაეხადათ ბეგარა. გლეხები ვალდებულნი იყვნენ იგარაში აღებული დარჩენილი ფული გამოეყენებინათ საერთო გაჭირ-ვების შემთხვევაში ორი სოფლის საზოგადოების კრების გადაწყვეტილების თა-ნახმად.

ბოლოს ვთხოვდი ჩემს ორ მემკვიდრეს, რომ ჩემი სიკვდილის შემდგომ მიწა სრულ საკუთრებაში ვადიეცათ გლეხებისათვის.

თუმც მამამ ამიხსნა ჰენრი ჭორჭის სამიწათმოქმედო სისტემა, მაგრამ მაშინ ეს სისტემა თითქმის არც მაინტერესებდა.

სული სიხარულს ვერ იტევდა, რადგან ვხედავდი, რომ მამა ძალზე გახა-რებული იყო, ხოლო გლეხები — კმაყოფილნი.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ავიღე ხელთ ჰენრი ჭორჭის წიგნი და კეთილსინდისიერად შევისწავლე.

როცა გავიგვე ამერიკული რეფორმატორის სისტემა, აღტაცებისაგან ისე-

თი მღელვარება დამეუფლა იმ გენიალური მოძღვრების ნათელი სამართლიანობის გამო, რომ მსურდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად გადამეცა თეითეული ადამიანისათვის ის, რასაც ვგრძნობდი, და განვიცდიდი. დარწმუნებული ვარ არც ერთი გულწრფელი ადამიანი, ვისაც წინასწარ არა აქვს აჩვებული ცუდი აზრი, არ შეიძლება არ მოექცეს იმ დიდი ლოგიკური ხიბლის ზეგავლენის ქვეშ რომელიც, როგორც ყოველივე დიადი, დაფუძნებულია იმ პუნქტების შემდეგ, რომ როგორც მოძღვრებაში რომ არის გამოხატული.

ამ ადამიანს თავისი სისტემა კაბინეტში ბეჭითი შრომით კი არ შეუქმნია, არამედ საკუთარმა ცხოვრებამ, გაჭირვებული მუშაკაცის ცხოვრებამ შეაქმნებინა. მან ჰეშმარიტება მოიპოვა პირადი ტანჯვის წილ. თეითონ ჰყვება, ერთხელ როგორ შეიქნა იძულებული ქუჩაში სამათხოვროდ გაეწვდინა ხელი, რათა ავადმყოფი ცოლისათვის წამლები ეყიდა. სამუშაოს საკითხი მისთვის მტანგველ დილემად იქცა და მან ეს საკითხი თავისი ძლიერი გონიერობა და თავისი კეთილშობილური, მგზნებარე გულით გადაწყვიტა.

და დღემდე ადამიანებს ეშინიათ ენდონ მიწის საკითხის ამ უწმინდეს გადაწყვეტილებას, რომელთანაც ჰ. ჭორვი მივიდა, ეჭვი არ მეპარება, რომ ოდესმე კაცობრიობა თვალს გაახელს და დაინახავს საყოველთაო კეთილდღეობის ამ უბრალო ხერხს, და ბედნიერება და სიმდიდრე კაცობრიობისა ისე გიოზრდება, რომ ადამიანები შიმშილით აღარ დაიხოცებიან, როგორც ახლა.

რელიგიურ პრინციპზე დაფუძნებული ზნეობრივი ცხოვრება ყოველთვის ყველაზე ხელსაყრელია, მაგრამ საუკუნეებს საუკუნეები ენაცვლება და ადამიანებს ეშინიათ ამის აღიარება.

ჰეშმარიტებისა და ადამიანების მიმართ იმავე სიყვარულით სავსე მეორე დიადმა სულმა რომ გაიგონა ამერიკელი ჩეფორმატორის დიადი სიტყვები დედამიწის საპირისპირო მხარეზე, შეთრთოლდა და გაეპასუხა მას.

მას შემდეგ, რაც ჭორვის წიგნი წაიკითხა, მამა ერთთავად ცდილობდა გაეურცელებინა მისი მოძღვრება. ჩემი თანდასწრებით საუბრობდა ხოლმე ამ თემაზე და მეც გულათრთოლებული ვუსმენდი. მხოლოდ ერთი რამ მაცბუნებდა. თუმცა ამ სისტემის ცხოვრებაში გასატარებლად, არ იყო საჭირო უხეში „ჩიმორთმევა“, რომელსაც, როგორც ყოველგვარ ძალმომრეობას, ვერ იტანდა მამა, — მაგრამ მაინც მიწის გადასახადი მთაერობას უნდა აეკრიბა. მთავრობა კი ძალმომრეობას ემყარება.

ეს ამბავი მამას ვუთხარი: მიპასუხა, ზოგჯერ ეს აზრი მეც მაცბუნებს. მაგრამ არსებული წყობილების პირობებში მიწის საკითხის ასე გადაწყვეტა მაინც ყველაზე საუკეთესოა. გარდა ამისა, მას წარმოდგენილი აქვს ისეთი საზოგადოებრივი წყობა, სადაც ხალხის მმართველობა სხვაგვარი იქნება, ვიდრე ამჟამად არის, იქნება ნებაყოფლობითიო.

ამ დროს კი ოვსიანიკოველი გლეხები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს. კრებდნენ საიგარო გადასახადს, შეპქონდათ ბანქში და ხარჯავდნენ საზოგადოებრივი გასაჭირის დროს. ერთხელ სკურატოვში დაეხმარნენ იმათ, ვისაც სახლები დაეწვათ, ერთხელ მოუსივლიან წელიწადში ქერის თესლი იყიდვს, გუბურა ამოთხარეს.

ჩემამდე იღწევდა ხმები, რომ გლეხები ჭერ კიდევ სავსებით არ მენდობოდნენ და ეშინოდათ, ვაითუ, ერთბაშად მოგვთხოვოს ამ წლების მთელი საიგარო ფულიო.

მაგრამ მალე დაინახეს, რომ არათუ არ ვითხოვდი მათგან ფულს, არა მედ იმასაც არ ვამოწმებდი, რამდენი შეჰქონდათ.

როცა ამაში დარწმუნდნენ დაანებეს თავი საიჯარო გადასახადის / შეტანის და უკვე მუქთად სარგებლობდნენ. ზოგიერთმა გლეხმა ქორვაჭრობაც კი დაიწყო, თვითონ მუქთად იღებდა და მეზობელს კი ფულს ახლევინებდა.

მომდიოდა საჩივრები, ჭორები, დაბეზლებანი. მაშინ ჯერადაც მაშალი გახლდით და იასნაია პოლიანადან შორს ვცხოვრობდი. მე იქ მცირე ხნით ჩავდიოდი ხოლმე და არა მქონდა საშუალება ოვსიანიკოვოს საქმეებისათვის მიმეხედა. გარდა ამისა, გული მატკინა გლეხების ქორვაჭრობამ და გადავწყვიტე ყურად მელო მათი თხოვნა — საგლეხო ბანკის მეშვეობით მიმეყიდა მათთვის ის მიწი, რითაც სარგებლობდნენ.

რაკი ოვსიანიკოვოსთან დაკავშირებით აღარ მაინტერესებდა პ. ჭორჯის სისტემა, მით უფრო დიდი გულისყურით მოვეკიდე ამ სისტემის თეორიულ მნარეს.

იასნაია პოლიანაში მოდიოდა უურნალები, საგანგებოდ მიძღვნილი ჭორჯის სისტემის პროპაგანდისადმი და მისი მრავალი წიგნი, რომლებიც მამაჩემის ხელმძღვანელობით ითარგმნებოდა რუსულ ენაზე. ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელთ მხედებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

როცა ჭორჯის ყველა წიგნი წავიკითხე, იმავე საკითხზე სხვა ავტორების თანაულებების კითხვას შევუდექი, ვფიქრობდი, იქნებ აქ მეპოვა, რაომე ახალი ან მასი თეორიის უარმყოფელი. შემდეგ ვაშოვე და წავიკითხე ის მასალები, სადაც ჭორჯა აკრიტიკებდნენ. ვფიქრობდი, თურმე საწინააღმდეგო აზრებიც ყოფილა, რაც ვერც მე მოვიფიქრე და ვერც მამაჩემმა.

მაგრამ მიწის საკითხის გადაჭრის თაობაზე ვერაფერი ვიპოვე ისეთი, რაც პ. ჭორჯის შეეღრებოდა, სამაგიეროდ რუს კრიტიკოსებთან აღმოვაჩინე ბევრი აღმაშტოთებელი უცოდინარობა იმ ავტორისა, ვისაც ისინი ასე აკრიტიკებდნენ.

წიგნების მთელი წერილი რომ წავიკითხე, უწინდებურად ჩემს თვალსაზრისებრი დავრჩი. ვერაფერი ვიპოვე უფრო უბრალო, უფრო ნათელი, უფრო სასარგებლო, უფრო სამართლიანი, ვიდრე ჭორჯის სისტემა იყო.

როგორ მსურდა მთელი ქვეყნიერება გაცნობოდა ამ სისტემას. ეჭვი არ პეპარებოდა, რომ იცოდე ეს სისტემა — ნიშნავს, უსათუთდ მისი მიმდევარი ვახდე. მაგრამ რა გამეკეთებინა, რათა მიმეპყრო ადამიანთა გულისყური მისცენ?

გადავწყვიტე დამეწერა პოპულარული წიგნი, სადაც ჩამოყალიბებული ექნებოდა პ. ჭორჯის მოძღვრება.

მეგონა, შემწევდა ამის ძალა, საკუთარ თავზე გამოცდილი მქონდა, რა ძნელია ადამიანისათვის, ვინც არ იცნობს პოლიტიკური ეკონომიკის მეცნიერებას და არ არის განათლებული ამ სფეროში, მაშინვე გაიგოს და დაეუფლოს დიდი ამერიკელი ეკონომისტ-ფილოსოფოსის აზრს. მრავალი სპეციალური ტერმინი ბუნდოვანია საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის. რაკი ეიცოდი, რამდენი რამის წაკითხვა, რამდენი ფიქრი დამჭირდა და წინასწარ რამდენ ვინმეს ვამოვკითხე, ვიდრე ნათლად გავიგებდი ჭორჯს, გადავწყვიტე ჩამომეყალიბებინა

მისი შეხედულებები ყველასათვის მისაწვდომ, ყოველი რიგითი მკითხველისათვის გასაგები ენით.

რამდენჯერმე გადავწერე და გადავაკეთე ჩემი წიგნის დასაწყისი და ცდილობდი უბრალოდ, ნათლად, გასაგებად გადმომეცა ჩემთვის ტვირფის აზრები.

ხშირად ეჭვები შემიპყრობდნენ, ისე ვწერ ან იმას ვწერ, რა უკავშიროს, ან იქნებ საერთოდაც არავის სჭირდება ჩემი შრომაზეთვის უკრიავება

რასაკვირველია, ამის საუკეთესო მსაჯულად მამაჩემი გამოდგებოდა. მაგრამ საკუთარ წიგნს განსახილველად იმიტომ ვერ ვაძლევდი, რომ ვიცოდი, მამა ვერ იქნებოდა ჩემი წიგნის ოვისუფალი და პირუთვნელი განმსჯელი. გადავწყვიტე პირველი ნაწილი ფსევდონიმით გამეგზავნა.

ხელნაწერი რემინგტონზე გადავბეჭდე და მანქანაზევე გადაბეჭდილი წერილიც გავუგზავნე, სადაც ვთხოვდი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტიოს პასუხი გამოეგზავნა მოსკოვში ამა და ამ მისამართზე. რაც მომაფიქრდა, ისე მოვაწერე ხელი: 3. პოლილოვი. მოსკოვში კი შევუთვალე ჩემიანებს, წერილს როგორც კი მიიღებთ, მაშინვე სოფელში გადმომიგზავნეთ-მეთქი.

უდიდესი მოუთმენლობით ველოდი პასუხს. მაგრამ არა და არ ჩანდა. სწორედ ამ დღეებში აირ-დაირია დაზღვეული წერილების საფოსტო უწყებები, იმის ნაცვლად რომ ჩვენ მოგვაულოდა უწყება, — ჩვენს მეზობლებს გადაუგზავნეს. ვლელადი, ყველას ვკიცხავდი და მოუთმენლობისაგან აღგილს ვერ ვპოულობდი.

ბოლოს გადავწყვიტე იასნაია პოლიანაში გავმგზავრებულიყავი.

დილით ჩავედი და, რაკი მამა მუშაობდა, აღარ მოვწყვიტე სამუშაოს. ჩემს დას საშას ვკითხე, იასნაიაში ახალი ხომ არაფერია-მეთქი, ვინ მოდიოდა და ან რა წერილები მიიღეთ-მეთქი. საშამ მითხრა, სხვა საინტერესო წერილებს შერის მამამ მიიღო ხელნაწერი და წერილი ვიღაც პოლილოვისაგან, რამაც ფრიად გაახარია. მერე დასძინა, მამა ხელნაწერს ძალზე იქნებდა და პოლილოვს სტატიასავით გრძელი და რამდენჯერმე გადაკეთებული წერილი გაუგზავნაო. ვაჩვენა ჩემივე წერილი, ფსევდო-პოლილოვის სახელით გამოგზავნილი და შიგვე ჩადებული ჩემი ხელნაწერი. კონვერტზე მამაჩემის ხელით ეწერა: „პასუხი გაეცემ“, დაბლა კი ფრჩხილებში მიწერილი ჰქონდა („საინტერესოა“).

მოვთხოვე საშას მამაჩემის პასუხს ასლი. მომიტანა. გულის კანკალით და უდიდესი მღელვარებით წავიკითხე. აი, ის წერილიც:

„1908 წლის 8 ნოემბერი. იასნაია პოლოანა:

პეტრე ალექსანდრეს ძევა

თქვენმა სტატიაში და წერილმა უდიდესი სიხარული მომანიჭა. კარგა ხანია. შევწყვიტე და არც არასოდეს მაინტერესებდა პოლიტიკური საკითხები, მაგრამ მიწის საკითხი, ანუ იგრარული მონობის საკითხი, თუმც კი პოლიტიკურ საკითხად ითვლება, არის, როგორც თქვენ მართებულად შენიშვნავთ, ზნეობრივი საკითხი, უწმინდესი ზნეობრივი მოთხოვნილებების დარღვევის საკითხი და ამიტომაც ეს საკითხი არათუ მაინტერესებს, არამედ მაწამებს, მაწამებს ის სულელური, უხეში გადაწყვეტა ამ ხაკითხისა, როგორც ეს ჩვენმა უბედულმა მთავრობამ მოიმოქმედა, და ის სრული გაუგებრობაც საზოგადოების წარმომადგენლებისა, რომლებიც თავს მოწინავედ მიიჩნევენ. ამიტომაც

შევიძლიათ წარმოიდგინოთ სინარული, თქვენი მშვენიერი სტატიის წაკითხვაშ რომ მომანიჭა. თქვენი სტატია ხომ მკაფიოდ და ძლიერად იჩენს საქმის არსე. ეს საკითხი ისე მაწამებს, რომ ამ დღეებში ძალზე ცხადი სრული ვნახე: „სწავლულ-მეცნიერთა“ საზოგადოებაში გახლდით, ვეკამათებოთ მათ შეხედულებებზე და ჩამოვაყალიბე სწორედ ის შეხედულება მიწის ურძო საკუთრების არსებულ აღმაშფოთებელ უსამართლობაზე, რაც დაწერული მშვენივრად არის გამოთქმული თქვენს სტატიაში. მე როგორლაც ჩავიწერო ეს სიზმარი და მინდოდა ცოტა შემესწორებინა და დამებეჭდა. ეს სიზმარი ასრულდა თქვენ მიერ და თქვენს სტატიაში.

ლმერთი შეგეწიოთ, რათა დაასრულოთ ეს შრომა და რაც უფრო ცწრულ მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება. იცნობთ თუ არა ნიკოლაევს?*

გაეცანით, ის მცოდნეა პ. ჯორჯისა, ისეთი მგზნებარე მომხრე მისი მოძღვრებისა და თანაც ისეთი მშვენიერი ადამიანი, როგორსაც იშვიათად შეხვდებით.

დიდად გმადლობთ იმ სინარულისთვის, რაც მე მომანიჭეთ.

ვფიქრობ, საკითხი აგრარული მონობის უსამართლობაზე და მისგან განთვისუფლების აუცილებლობაზე ახლა შეგნების იმავე დონეზე დგას, რა დონეზედაც იდგა ბატონყმობის საკითხი 50-ან წლებში: ეს არის იმგვარივე შეგნებული აღმფოთება ხალხისა, რომელიც ცხადად გრძნობს გამეფებულ უსამართლობას, ისეთივე შეგნება უსამართლობისა მდიდართა კლასის იშვიათ საუკეთესო წარმომადგენელთა შორის და ისეთივე უხეში, ნაწილობრივ გაუცნობიერებელი, ნაწილობრივ კი გაცნობიერებული გაუგებრობა საკითხისა მთავრობაში.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ უმაგლეხთა გასათავისუფლებლად ხელისუფლებას ევროპის მაგალითი ჰქონდა და, რაც მთავარია, ამერიკისა, ახლა კი ეს მაგალითი ალარ არის და თუ არის, იგი კულისხმობის წერილი კერძო მიწათსაკუთრების შექმნას და არა მხოლოდ არ ათავისუფლებს ხალხს აგრარული მონობისაგან, პირიქით განამტკიცებს ამ მონობას. თანაც, როგორც ყოველთვის, მმართველი წრეები, დგანან რა ზნეობრივი და გონებრივი კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რევოლუციაზე გაიმარჯვეს, განსაკუთრებით თვითდარწმუნებულნი და უზეშნი გახდნენ, არც იმის თავი აქვთ თვითმყოფადად იფიქრონ, არც იმისა, შეიგნონ, რომ მიწის საკუთრება უზნეობაა. თამამად ამსხვრევენ რუსეთის ცხოვრების საუკუნეობრივ საფუძვლებს იმ მიზნით, რათა რუსი ხალხი ევროპის ხალხებივით მიიყვანონ საშინელ, არაზნეობრივსა და დამლუპველ მდგომარეობამდე, თავიანთი გონებაშეზღუდულობისა და უზნეობის გამო ამ ადამიანებს არ ესმით, რომ რუსი ხალხი ამჟამად არ იმყოფება იმ მდგომარეობაში, როცა შეიძლება აიძულო მიბაძოს ევროპას ანდა ამერიკას, პირიქით, ახლა იმ მდგომარეობაშია, რომ შეუძლია უჩვენოს სხვა ხალხებს ის გზა, რა გზითაც შეიძლება მიაღწიო ხალხის გათავისუფლებას აგრარული მონობისაგან. არ ვამბობ, მთავრობა, გინდა თუ არა, ჭირიანი და ზნეობრივი უოფალიყო-მეთქი, — მთავ-

* (მე არათუ ვიცნობდი ნიკოლაევს, არამედ დიდაც მეხმარებოდა როგორც ჩჩევა-დარიგებებით, ასევე წიგნებით. მან გადმომცა მთელი თავისი ბიბლიოთეკი აგრარულ საკითხზე, საიდანაც უამრავი მასალა ამოვეკიბე. განსვენებულმა ს. დ. ნიკოლაევმა, რომელიც 1920 წელს გარდაიცვალა, პ. ჯორჯის თითქმის ყველა თხზულება თარგმნა რუსულ ენაზე).

რობა თუნდაც სულ მცირედ მაინც რომ ყოფილიყო ის, რითაც თავს იქნებს, ყოფილიყო რუსული, — მაშინ გაიგებდა, რომ რუსი ხალხი, ვისაც ქველთავანები შეგნებული აქვს, რომ მიწა ღმერთს ეკუთვნის, იგი სათემოა და ოთაფრით კერძო საკუთრების სავანი, — გაიგებდა, რომ რუსი ადამიანი ჩვენი დროის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში სხვა ხალხებთან შეღარეულობის დამდგრადი წინ დგას.

ჩვენი მთავრობა სავსებით უცხო რომ არ იყოს ხალხისთვის, რომ არ იყოს სასტიკი, უხეში და სულელური დაწესებულება, იგი გაიგებდა არა მხოლოდ იმ უდიდეს როლს, რომელმაც უნდა განახორციელოს, ვააფორმოს ხალხის დიალი, მაწინავე იდეალებზე, არამედ იმასაც გაიგებდა, რომ ხალხის დამშვიდება, დაშოშმინებას, რასაც ახლა აღწევს ივანე მრისხანეს დროის შემდეგ გაუკონარი დასჯითა და ყოველგვარი ჭურის საშინელებებით, უეჭველად მოახერხებდა, თუკი განახორციელებდა ერთ საერთო-სახალხო იდეალს: გაენთავისუფლებინა მიწა მესაკუთრის უფლებისაგან. მაშინ არც მეფეს, არც მის მინისტრებს, არ მოუწევდათ, დამნაშავეებივით დამალვოდნენ ხალხს გასამმაგებული დაცვის მიღმა. მხოლოდ მიღი, გამოაცხადე მანიფესტი, როგორც მაშან, ყმა გლეხთა გათავისუფლების დროს, მთავრობა იღწევის მიწის მონობისაგან ხალხის გასათავისუფლებლადო, და ხალხი უველა დაცვაზე უკეთ დაიცავს ხელიუფლებას, რომელსაც მაშინ თავისად ჩათვლის. პირდაპირ მიკვირს ჩვენი, ე. წ. მაღალი საზოგადოების სიბრძავე!

სათათბირო? სათათბიროს წევრებთან უოველ შეხვედრაზე საკუთარ მოვალეობად მიმართდა, მეთხოვა წამოეჭრათ მაინც კერძო საკუთრების უფლებისაგან მიწის გათავისუფლებისა და მიწის გადასახადის შეტანის საკითხი ჭორჭის მიხედვით. პასუხი მუდამ ერთი იყო. ამ საკითხზე არ გვიმუშავნია, უცნობია ჩვენთვის. მთავარი კი ის არის, რომ ეს საკითხი არაფრით არ წამოიჭრება განსახილველად. როგორც ჩანს, ეს ბატონები მეტისმეტად არიან გატაცებულნი. წყლის ნაყვით, რათა დრო დარჩეთ იმაზე დასაფიქრებლად, რა არის ძხოლოდ მნიშვნელოვანი და საჭირო. ისინი ბრძები არიან, მაგრამ კიდევ უარესია ის ამბავი, რომ ჰვონიათ — თვალხილულნი ვართო.

მაშ როგორდა არ მიხაროდეს თქვენი მოღვაწეობა! გთხოვთ, მომწეროთ თქვენი საქმის წარმატების ამბავი.

მეგობრული მადლიერების გრძნობით გართმევთ ხელს
ლეგ თოლსტოი

7 ნოემბერი 89 წელი
იასნაია პოლიანა“.

ძალზე რთული, არეული გრძნობები აღმიძრა ამ წერილის წაკითხვამ.

ალტაცებული ვიყავი, მამას რომ მოეწონა, მაგრამ თან მრცხვენოდა და ეხანობდი საკუთარი მისტიფიკაციის გამო. მხოლოდ ახლა მიეხედი, რომ მამა როცა გაიგებდა, ვინ იყო ნამდვილი ავტორი, გული დაწყდებოდა და ეწყინებოდა, რომ ახალ კერაზე კი არ წარმოიშვა ჭორჭის იდეის ცოდნა და პროპაგანდა, არამედ მისივე სისხლისა და ხორცისაგან.

როცა დედა ადგა, მანაც მიამბო, მაგრა სულ ვიღაც პოლილოვის გამოგ-

ზავნილ სტატიაზე ლაპარაკობს, ძალიან აქებსო. ისევ დაიწყო ლაპარაკი ჯორგზე, რამაც უკვე თავი მომაბეზრაო.

ათროთოლებული ველოდი მამის მოსვლას. ბოლოს იგი გამოვიდა თავისი კაბინეტიდან დარბაზში. მივესალმეთ ერთმანეთს და საუზმეზე დავსხედით.

იმ დღეს მეტად მნიარულ გუნებაზე იყო და მიამბობდა, დილით აა წერილები მიიღო. სხვათა შორის, ერთი მისი ახალგაზრდა მუჯუმუჯუჯუჯულაბან დაქორწინებულა და ოლუწერდა თავის ცოლს იუმორისტული წერტილები აუკველმხრივ იდეალური ქალი არისო, ჩინებული აცხობს ლვეზელებს, მაგრამ არავითარი ლოგიკა არა აქვს, პერანგები სულ სუფთა მაცვია, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი ფიქრები და იდეალები იმ ქალისთვის ჟცხო არისო და ა. შ. დანამდვილებით ვერ ვიტუვი, რაოდენი სიზუსტით გადმოცემდა წერილის შინაარსს. მე ეს წერილი არ წამიკითხავს, მაგრამ დაახლოებით მახსოვს მამის გადმოცემის მიხედვით. მამა ბევრს იცინოდა:

— ყველანი ასეთები ხართ.

მან ჭამა დაიწყო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვკითხე:

— მოგეწონა პოლილოვის სტატია?

— დიახ, ძალიან. რაო, შენ მას იცნობ?

— დიახ. იცი, რომ ეს ფსევდონიმია? პოლილოვი ქალია.

‘ამამ ჭამა შეწყვიტა და თავი ასწია.

... შეუძლებელია!

— არა, სიმართლეა.

— ვინ არის?

მე გამეცინა.

— თანაც შენი ძალზე ახლობელი ქალია.

— შეუძლებელია!

— არა, სიმართლეა.

— ვინ არის?

— მე ვარ!

— შეუძლებელია!!!

ექ უკვე ვუამბე ყოველივე, რატომ გამოვუგზივნე ხელნაწერი ფსევდონიმით. მამას საყვედური არ უთქვამს. მაგრამ ვიგრძენი, სწორად გამოვიცანი, როცა ვშიშობდი, ვაითუ გული გაუტყდეს-მეთქი. გულგატეხილობა არ გაუმნელია, მაგრამ ისეთ ახლობელ ადამიანებს შორის, ჩვენ რომ ვიყავით, შეუმნეველი არაფერდ დარჩება, არც ერთი ჩრდილი.

ძალიან სერიოზულად მოვილაპარაკეთ, როგორ უნდა დაგვეწერა წიგნი და ჩემი სამუშაო გეგმა ჩამოვუყალიბე.

წიგნი სამი ნაწილისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. პირველი ნაწილი — ძირითადი მხარე... მიწის საკუთრების უზნეობა. მეორე — ჩამოყალიბება არ-სებული ავრარული პროგრამებისა და მათი კრიტიკა, და მესამე — ჯორჯის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება.

შევფერხდი მეორე ნაწილზე. ძნელი ამოსარჩევი იყო ის, თუ რა ითვლებოდა ამ საკითხში მნიშვნელოვნად. ვიშოვე უამრავი წიგნი, მაგრამ რამდენიც არ წავიკითხე, მაინც იყვნენ ვილაც-ვილაც კომპეტენტური ავტორები, რომ-

ლებიც კიდევ უნდა წამეკითხა. მარქსი, კაუტსკი, კონრად შმიდტი, გერცენშტაინი, ჩერნოვი, ტუვან-ბარანოვსკი და მრავალი სხვა ავტორი — ზოგი წავიკითხე, ზოგიც გადავათვალიერე. მაგრამ რაკი არ მქონდა სპეციალური/განათლება ამ სფეროში, ჩემთვის ძნელი იყო ორიენტირება უამრავ-საკითხთაშორის.

მამას, ჩვეულებისგან, არავითარი რჩევა არ მოუცია, მაგრამ ჩემი საუბრის ბოლოს გაეცინა და მითხრა:

— კი მაგრამ, სად არის პოლილოვი? მე ისე კარგად მუავდა წარმოდგენილი: მოხდენილი, ლურჯპიჯაკიანი.

შემდეგ თავზე ხელი გადამისვა და დასძინა:

— თუ არ დაამთავრებ ამ წიგნს, იცოდე, ნამდვილი ქალი იქნები.

ჰაი, რომ არ მიღვინა ჩემი სქესისათვის! ნამდვილ ქალად დავრჩი. და ხელნაწერიც დღემდე დაუმთავრებელია.

1928 წლის 5 ივნისი.
მოხვოვი.

მასინერების ციაგი

შესაფალი

ერთმა პარიზულმა გაზეთმა მკითხველებს ასეთი ვეკითხვა მისცა: „რა ნიშნის მიხედვით შეიძლება იგრძნოს ადამიანმა მთახლოებული სიბერე?“ ვიღაცას ასე უპასუხნია: „სიბერე მაშინ მოდის, როცა მოგონებები ცოცხლდანან“.

ეს რამდენიმე ხანია ძალიან ცხოვლად ვგრძნობ ამ ფენომენს. როცა მარტო ვრჩები, ვხედავ, მოულოდნელად ჩემ წინ გამოიკვეთება განვლილი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი. ცოცხლდება სურათები, თითქოს ხმებიც გომესის...

ყველაზე უფრო ხშირად მოგონებები მამაჩემთან არის ლაკავშირებული, რადგან ჩემს ცხოვრებაში იგი უძვირფასესი და უნაოლესი ხატება რყო. ხშირად ვერ ვახერხებ ესა თუ ის მოვლენა წინა ან მომდევნო წლების ამბებს დაუკავშირო. უფრო მეტიც, მიახლოებითი თარიღის დადგენაც მიძნელდება. ნეგრამ ეს ხელს არ მიშლის. ყოველივეს ისე ცხადიდ ვხედავ, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

მინდა იღვძეჭდო მოგონებების იალკიალი ისე, როგორც ჩემს შეხსიერებაში ცოცხლდება.

პასიანი

ეს ამბავი მოხდა მამაჩემის სიცოცხლის მიწურულს, როცა იგი თავის ბოლო რომანს „ალდგომას“ წერდა.

ერთხელ მასთან კაბინეტში შევედი და დავინახე, მაგიდაზე კარტს აწყობდა. ხშირად, როცა დასვენება მოესურვებოდა ანდა უნდოდა გონების თვალი გადაევლო იმისთვის, რაც დაწერა, გაშლიდა ხოლმე პასიანსს, მაგრამ ზაშინაც კი, მაინც თავის საფიქრალს ფიქრობდა. ჩაუთქვამდა, თუ პასიანი გამოვა, ასე გავაკეთებ, თუ არა — მაშინ სხვაგვარადო.

ეს მისი ჩვეულება რომ ვიცოდი, ვკითხე:

— რაიმე ჩაუთქვი?

— ჰო.

— რა ჩაუთქვი?

— აი რა. თუ პასიანი გამოვა, ნეხლიუდოვი ცოლად შეირთავს კატიუშას,
თუ არადა, არ შევაულლებ.

როცა მამამ დაამთავრა პასიანი, ვკითხე:

— როგორ არის საქმე?

— აი, როგორ არის, — მითხრა მან, — პასიანი კი გამოვიდა, მაგრამ
კატიუშა ვერ გაჰყვება ნეხლიუდოვს.

და მამამ ამას ერთი სახუმარო ამბავი მოაყოლა პუშკინის ცხოვრებიდან,
რაც მისთვის მეგობარ ქალს ქალბატონ მეშჩერსკაიას უამბია: „ერთხელ პუშ-
კინს უთქვამს ერთი თავადის ასულისათვის: „წარმოვიდგენიათ, რა ჩაიდინა
ჩემმა ტატიანამ? უარი უთხრა ონეგინს, ამას მისგან არაფრით არ მოველო-
დი“.

— ასეა, — შენიშნა მამამ, — როცა მწერალი გმირს შექმნის, ის გმირი
მერე საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, ავტორის ნებისაგან დამოუკიდებლად.
ავტორს ისლა დარჩენია მიჰყვეს გმირის ხასიათს. აი რატომ იქცევიან ჩემი
კატიუშა და პუშკინის ტატიანა თავისი სურვილის შესაბამისად და არა ავტო-
რის ნების თანახმად.

„თანაც, რათა შექმნა ცოცხალი გმირები, — გავითიქრე მე, — პუშკინი
უნდა იყო.. ანდა ტოლსტოი“

მოსაზღვრე ხელოვნება

თუკი ნახატში, სპექტაკლში, წიგნში უკლებლივ ყველა წვრილმანია აღ-
ნიშნული — ეს ჩვეულებრივ მოწყვენის გრძნობას ბადებს.

პირიქით, როცა ავტორი მოხაზავს მხოლოდ ძირითად ხაზებს, სხვა და-
ნარჩენს კი მაყურებლის ან მკითხველის წარმოსახვას მიანდობს, მაშინ მკით-
ხველს ჰვინია, რომ ავტორთან ერთად ჭმნის. უდავოა, რომ ამ მთავარ ხაზებს
უნდა პქონდეთ უნარი აღაგზნოს თქვენი წარმოსახვა, გულისხმაში ჩაგაგდოთ,
გადაგიშალოთ ფართო პორტიჭონტი.

— ხელოვნებაში ოქრო რომ მოიძოო, — ამბობდა მამა, — უნდა შეკრიბო
ზლეა მასალა და კრიტიკის საცერტიში გაცხრილო.

მამას უყვარდა ციტირება ერთი ფრანგული წერილიდან: „პატიებას
გთხოვთ გრძელი წერილისათვის, დრო არ მქონდა მოკლედ მომეწერა“.

ცნობილია, რომ შექსპირის ეპოქაში არავინ იწუხებდა თავს მდიდრული
დეკორაციებისათვის. საქმარისი იყო ბოძე მიეწერათ, რას წარმოადგენდა
ეს „დეკორაცია“. მაგრამ ვინ იტყვის, რომ საზოგადოება ამ დროს ნაკლებად
ტკბებოდა თეატრით, ვიდრე მაშინ, გარემოს თვითეული აქსესუარი ეპოქის
შესაბამისი რომ იყო და თანაც თავის აღვილზე.

მამას მოპერნდა ორი აღწერის მაგალითი: ცუდის და კარგის.

ერთ ფრანგულ რომანში მამას მოუწია რამდენიმე გვერდის წაკითხვა,
სადაც შემწვარი ბატის ხორცის სუნი იყო აღწერილი.

— რასაკვირეელია, — ამბობდა იგი, — ბოლო გვერდამდე იგრძნობ

ცხვირში შემწვარი ბატის სუნს. მაგრამ არის განა ეს ხერხი ჭეშმარიტი შთაბეჭდილების შესაქმნელად? გახსოვთ, პომეროსი როგორ აღწერს ელენეს სილამაზეს? „როცა ელენე შემოვიდა, მისი სილამაზის დამნახველი მრჩულები ფეხზე წამოდგნენ“. უბრალო სიტყვებია, მაგრამ თქვენ ხელოვთ ამ/ სილამაზის ძალამ ფეხზე როგორ წამოაყენა მოხუცნი. არ იყო საჭირო მიუღია-ბის, ტუჩ-პირის, თმის აღწერა და ა. შ. თვითეულ აღამიანს შეფუძველისებურად წარმოიდგინოს მშვენიერი ელენე. მაგრამ თვითეული გრძნობს ძალას სილამაზისას, რამაც ფეხზე წამოაყენა ასაკოვანი აღამიანები.

და ბოლოს მამა კოლტერს იმოწმებს „მოსაწყენი ხელოვნება — ეს არის ყველაფრის თქმა“.

პაოლო ტრაგედია

ერთხელ სალამო ხანს მომახსენეს, თქვენი მეგობარი ქალიშვილები ტრუბეცკოები და მათი ბიძაშვილი მოქანდაკე პაოლო ტრუბეცკოი გერვივნენო—ამ მოქანდაკეზე ბევრი რამ მსმენოდა, მეტიამეტად ორიგინალური პიროვნება გას-ლდათ. ბავშვობა და სიჭაბუკე მილანში გაატარა. როცა იტალიაში ცხოვრობდა, ტრუბეცკოი ერთხელაც არ ყოფილა მუზეუმებში. იგი პირწავარდნილი ვეგეტარიანელი გახლდათ. დედამისი სამხრეთის შტატის ამერიკელი იყო. თვითონ რუსულად ვერ ლაპარაკობდა. ამტკიცებდნენ, ტრუბეცკოი ძალზე ნიჭიერია და საზღვარგარეთ მისი სახელი ფართოდ არის ცნობილი.

მოუთმენლად ველოდი მის მობრძანებას. ყოველივე, რაც კი ხელოვნე-ბათან არის დაკავშირებული, ყოველთვის ძალზე მაინტერესებდა.

დავინახე მალილი, მორცხვი და ჩუმი ჭაბუკი, მაგრამ ისეთი თვალები ჭქონდა, თითქოს ისრუტავდა ყველაფერს, რაც კი მისი მხედველობის არეში ხვდებოდა.

ტრუბეცკოისა და მამაჩემის პირველი საუბარი ძალიან სასაკილო იყო.

— მე არც ერთი თქვენი წიგნი არ წამიკითხავს, — უთხრა ტრუბეცკოიმ.

— კარგადაც მოქცეულხართ, — შენიშნა მამამ.

— მაგრამ წავიკითხე თქვენი სტატია თამბაქოს მავნებლობაზე და მინ-დოდი გადავჩვეოდი თამბაქოს წევას.

— მერე როგორ არის საქმე?

— როგორ და ასე: სტატია კი წავიკითხე, მაგრამ თამბაქოს წევას ისევ განვაგრძობ.

და ორივე მოსაუბრეს გაეცინა.

პირველი შეხედვისთანავე მოხიბლა ტრუბეცკოი მამაჩემის გარეგნობამ და თვალს იღევნებდა მის თვითეულ ნაბიჯსა და ქცევას. მხატვარი გატაცე-ბით სწავლობდა თავის მომავალ მოდელს, რათა აღმოეჩინა ის, რაც საჭიროა ჭანდაკების შესაქმნელად.

მამა ბუნებით თავმდაბალი და მორცხვი იყო. როცა გრძნობდა სტუმრის დაუინებულ მზერს, უფრო მეტად შეცბუნდებოდა ხოლმე.

— ახლა მივნედი, — ჩამიჩურჩულა მან ყურში, — რას უნდა განიცდი-დეთ ქალები, როცა ვინმე შეგიყვარებთ! რაოდენ გრცხვენიათ ალბათ, გერი-დებათ!

თავი რომ გადაერჩინა სტუმრის დაუინებული მზერისაგან, მამამ გადაწყ-

ვიტა წასულიყო... აბანოში (იმ ეპოქაში რუსულ სახლებში აბაზანები იშვიათი ძოვლენა იყო და ამიტომ საერთო აბანოებში დაიარებოდნენ). მან ხმამაღლა განუცხადა თავისი განზრახვა ყველა დამსწრეს. და უცებ დავინახე / როგორ გამოცოცხლდა ტრუბეციონი.

— ლევ ნიკოლოზის ძევ, თუ ნებას დამრთავთ, თქვენთანი ერთად წამოვალ.

თავისი მოდელის შიშველი ნახვა მოქანდაკისათვის მოუსილდეს შედის გალიმება იყო. სიხარულისაგან ერთიანად გაბრწყინდა.

მამას თავზარი დაეცა.

— არა, — თქვა მან, — სხვა დროს წავალ აბანოში. დღეს მეტად ცივი საღამოა.

როგორც ცნობილია, ტრუბეციონიმ ტოლსტოის რამდენიმე ბიუსტი და ქანდაკება შექმნა. შესაძლებელია, სწორედ ეს ნამუშევრებია დიდი მოქანდაკის ყველაზე საუკეთესო ქმნილებები.

„ვის ეზინია სიკვდილისა“

ერთხელ ისანაა პოლიანჩი საღილად ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებსა და დეიდა ტანიას ოჯახს გარდა, კიდევ რამდენიმე სტუმარი და მეზობარი იყო, მათ შორის დიდი ტურგენევი.

ჩამოვარდა სიტყვა სიკვდილზე, შიშხე გარდაუვალი აღსასრულის წინაშე.

— ვისაც სიკვდილის ეშინია, ასწიოს ხელი, — თქვა ტურგენევმა და ასწია ხელი. მიმოიხედა ირგვლივ. მხოლოდ მისი დიდი მშვენიერი ხელი იყო იშეული. მაგიდასთან ისხდნენ ჩემი ძმები, და, დეიდაშვილები — გოგონები და შიშები — მთელი ამაღა ახალგაზრდა გოგონებისა და ჭაბუკებისა, ოცი წლისაც რომ არ შესრულებულიყვნენ. განა ამ ასაკში სიკვდილის ეშინიათ?

— ჩანს, მარტო მე მშინებია, — ნაღვლიანად განაცხადა ტურგენევმა.

მაშინ მამამაც ასწია ხელი.

— მეც მეშინია სიკვდილის, — თქვა მან.

და უცებ გაისმა დეიდა ტანიას წერიალი ხმა.

— რა მხიარული თემა ნახეთ სასაუბროდ, იქნებ რაიმე უფრო გულისმომ-წყვლელი გეოგვათ?

— არადა, ტანია შენც მოკვდები, — უთხრა მამამ, რომელსაც უყვარდა. გახუმრება თავის ცოლისდასთან.

— მეც მოვკვდები! აი კიდევ შენი ერთი ხუმრობა! — არც დაეჭირებულა, ისე შესძახა დეიდამ.

ყველას გაეცინა და სხვა თემაზე დაიწყეს საუბარი.

ტოლისოვალთა საჭთა

ერთი ჩემი მეგობარი, ვასილი მაკლაკოვი, განათლებული და გონიებამახვილი კაცი, ტოლსტოის მიმდევრებზე ლაპარაკობდა. „ის, ვისაც ტოლსტოი ეს-მის, არ მიჰყვება მას, ხოლო ვისც არ ესმის — მიჰყვება“.

ხშირად დავრწმუნებულვარ ამ სიტყვების სიმართლეში. მრავალრიცხოვან მომსელელთა შორის, დედამიწის ყოველი კუთხიდან რომ მოეფინებოდნენ მამაჩემის სანახავად, იყო მრავალი ე.წ. „ტოლსტოველი“. უფრო ხშირად ისინი მიისწრაფოდნენ გარეგნულად დამსგავსებოდნენ თავიანთ მასწავლებელს, ისე, რომ ვერც ერკვეოდნენ მის ღრმა იდეებში. მათ, ვისტურებსში ტოლსტოი, არ შეეძლოთ გაპყოლოდნენ, ტოლსტოი ხომ მიიჩნევდნენ მასწავლებრი. ადამიანი თავისუფალია, შეუძლია იცხოვროს თავისი შეხედულებისამებრ. მაში ასე, მათვის, ვისაც ესმოდა ტოლსტოი, გარეგნულ ნიშნებს არა ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

ერთხელ მამასთან მოსულ ხალხში დავინახე ერთი უცნობი ახალგაზრდა კაცი. რუსული პერანგი ეცვა და დიდ ჩექმებში ჩატანებული ფართე შარვალი.

— ვინ არის ეს კაცი? — ვკითხე მამას.

მამა ჩემკენ გადმოიხარა, პირზე ხელი აიტარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ეს ახალგაზრდა კაცი ეკუთვნის ჩემთვის ყველაზე უცხო და მიუწვდომელ სექტას — ტოლსტოველთა სექტას.

გიზაგთან

მამას ძალიან აინტერესებდა ვიუები. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, უურადღებით ადევნებდა თვალს. ამბობდა, სივისე — ეს არის უკიდურეს ზღვრამდე მისული ეგოიზმით.

მოსკოვში ჩვენი სახლის ბალი სულით ავადმყოფთა კლინიკის პარკს ემიგნებოდა, მხოლოდ ფიცრის ღობე გვყოფდა. ხვრელში შეგვეძლო დაგვენახა, ხეივნებში როგორ სეირნობდნენ სნეულები. ზოგიერთი მათგანი გავიცანით. ისინი ყვავილებს გვიწვდიდნენ, ხოლო როცა ზედამხედველები არ იყვნენ, კიდევ ვესაუბრებოდით. ერთი უბედური კაცი ჭკუიდან გადასულიყო ერთადერთი შვილის, ჩემი პატარა ძმის, ვანიკოს ტოლა ბიჭის, გარდაცვალების შემდეგ. ავადმყოფმა ძალიან შეიყვარა ვანიკო. იგი მოთმინებით ელოდა ვანიკოს გამოჩენას ბალში, კრეფდა მისთვის უმშვენიერეს ყვავილებს, პარკში რომ ხარობდა.

ვანიკო სიყვარულითა და ალერსით პირთამდე სავსე ბავშვი იყო, ყველა უყვარდა, ვინც კი გარს ეხებია. ისე ნაზად ექცეოდა ამ კაცს, რომ ავადმყოფის სულში ისევ გაიღვიძა სიცოცხლის წყურვილმა. კლინიკიდან რომ გამოეწერა, ამ კაცმა გულისამაჩუკებელი წერილი გამოუგზავნა დედაჩემს: ვანიამ შთამინერვა, რომ ამჭვეულად კიდევ მრავალი სიყვარული და ხიბლი არსებობსო, და მაღლობას უხდიდა დედას, რომელმაც სული შთაბერა ესოდენ მშვენიერ არსებას.

ერთხელ ერთმა სულით ავადმყოფმა მოახერხა კლინიკიდან გაქცევა და ჩვენს ბალში დაიმალა, ზედამხედველებმა სწრაფად მოირჩინეს და როცა ბალის დათვალიერების ნებართვა მიიღეს, დაჩხრიკეს ყოველი კუთხე -კუნძული. ბოლოს მიაგნეს იმ საცოდავს, ხეს რომ ამოფარებოდა.

მამა იცნობდა კლინიკის ფსიქიატრს, პროფესორ კორსაკვას. ეს იყო მეცნიერი, ცნობილი თავისი გამოკვლევებით ნერვიული და ფსიქიური დავალებების სფეროში. მამა ხალისით ესაუბრებოდა მას ამ თემაზე.

ერთხელ საღამოს კორსაკოვმა მიგვიწვია წარმოდგენაზე, საღაც მსახიობებიც და მაყურებლებიც სულით ავადმყოფები იყვნენ. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. გაითამაშეს რამდენიმე პატარა სცენა. ვერაფრით იფიქრებული, რომ როლს სულით ავადმყოფები ასრულებდნენ. მაგრამ მაყურებლებზე ამას ცერიტულდით. მახსოვს, ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი, ჩემ გვერდით რომ რჯდა, სიცილს ვერ იკავებდა. სახეზე წამოწითლდებოდა თავშექავეჭრის გვერდი მაინც აუტყდებოდა სიცილი და დარბაზში გაისმოდა უგონები, შემაშეხებული ხარხარი, უფრო ქვითინს რომ მიაგავდა. სხვა მაყურებლები რაღაცას ჩუმად ბუზლუნებდნენ, ზოგიერთები კი, რომლებიც ზედამხედველებსა და სანიტრებს შორის ისხდნენ, ბოროტად იყურებოდნენ ძექთ-იქით, სცენას სულ არ აქციავდნენ ყურადღებას.

შესვენების დროს რამდენიმე კაცი მოვიდა და მამაჩემს გამოელაპარაკა. უცებ დავინახეთ, ჩვენკენ გამორბოდა ერთი ავადმყოფი, რომელსაც შავი წვერი ჰქონდა და მოელვარე თვალები უბრწყინავდა სათვალის მინის მიღმა. ეს ერთი ჩვენი მეგობარი იყო.

— აა, ლევ ნიკოლოზის ძევ! — შხიარულად შესძახა მან, — როგორ გამეხარდა თქვენი ნახეა! მაშ ასე, თქვენ აქ ბრძანდებით! რამდენი ხანია ჩვენთან იმყოფებით?

მაგრამ როცა გაიგო, ტოლსტოი მუდმივი ბინაღარი კი არა, სტუმარი იყო, გული დაწყდა.

გლეხი

მამას მუდამ ტრადიციული ხალათი ეცვა, ხოლო ზამთრობით სახლიდან როცა გავიდოდა, ტყაპუჭის იცვამდა. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ უბრალო ხალხს უფრო დაახლოებოდა და შეხვედრისას მათაც ისე დაეჭირათ თავი, როგორც თანასწორთან. მაგრამ ზოგჯერ ტოლსტოის ასეთ ჩაცმულობას გაუგებრობა სდევდა თან. აი, რა მოხდა ერთხელ.

ტულაში იდგმებოდა „განათლების ნაყოფი“. შემოსავალი გამიზნული იყო მცირეწლოვან დამნაშავეთა თავშესაფრისათვის. მთხოვეს პიესაში როლი მეთამაშა. დავთანხმდი და ხშირად მივდიოდი რეპეტიციებზე იასნაია პოლიანდან ტულაში.

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს კარისკაცმა გვაცნობა, ვიღაცა შემოსვლის ნებართვას ითხოვსო.

— ვიღაც მოხუცი გლეხია, — თქვა მან, — ავუხსენი, არ შეიძლება-მეთქი, ის კი მაინც თავისას გაიძახის. მე მგონი, მთვრალია... ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ აქ მისი ადგილი არ არის...

მაშინვე მიცხვდით, ვინც უნდა ყოფილიყო ეს გლეხი, და თუმცა კარისკაცს დიდად არ ესიამოვნა, ვუბრძანეთ, ახლავე შემოუშვით-თქო.

რამდენიმე წუთში დავინახეთ მამაჩემი, მოღიოდა და თან ეცინებოდა, რა ზიზლით შემხვდნენ ჩემი ტანსაცმლის გამოო.

სამოვარი თავს არ შოაარინებს

გასული საუკუნის ოთხმოცდათიანი წლები. ზამთრის ლამე ჩევნი მოსკოვის უახლის დარბაზი. მხოლოდ მამა და მე ესხედვართ ტაძრები ღია მოვალეობის მისამართი. მაგიდაზე აწყვია ნამცხვრის ზორჩენები, ხილის ნათალი, ჭურჭელი — ყველაფერი, რაც გადარჩა მიწფლული ტაძრების სტუმრებს.

იმ საღამოს ჩევნთან, ჩვეულებისამებრ, საკმაოდ ჭრელი საზოგადოება შეიქრიბა. მამა და მე წასულ სტუმრებს ვახასიათებდით. მათ შორის იყო მამაჩემის ორი მეგობარი — ორი პროფესორი, ხშირად რომ დაიარებოდნენ ჩევნთან. ერთი — სამართლის პროფესორი იყან იანული, ჩისუქებული, თავაზიანი, კეთილი გულის ადამიანი. მეორე — ფილოსოფოსი ნიკოლაი გროტი, მთავარი რედაქტორი უურნალისა „ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხები“, სადაც მამაც თანამშრომლობდა.

ჩემი მეგობრებიც იყვნენ — ნორჩი გოგონები, ახალგაზრდა ჭაბუქები. ორი ახალგაზრდა კაცი ხშირად მოდის ჩევნთან და შეიმჩნევა, რომ მეტროიან.

მამა მეკითხება, რა დამოკიდებულება მაქვს ამ ხალხთან და რას ვფიქრობ, ასე დაუინებულ ყურადღებას რომ იჩენენ ჩემდამი. როგორც ყოველთვის, ახლაც საესებით გულწრფელად ვეუბნები ყველაფერს.

— როგორ გვინია, მათ შენი ცოლად შერთვა უნდათ?

— კი, ზოგჯერ ეს სარწმუნოდ მეჩვენება, — ვეუბნები მე და ჩევნც უკვე ვფიქრობთ, რომელზე გათხოვება იქნება უკეთესი, ვმსჯელობთ მათ ღირსებასა და ნაკლი, ვწონით, ბედნიერების შანსი რომელთან უფრო მეტი იქნება.

— კი მაგრამ, — უცებ ამბობს მამაჩემი, — იქნებ ჩევნ გვვინია ასე, იმათ კი ეს განზრახვა შესაძლოა სულაც არ გაუვლიათ გულში?

— შესაძლებელია, — ვეუბნები მე, თუმცა ეჭვი მეპარება.

ამ დროს გვესმის, როგორ ამოდის ზევით დედაჩემი იმის სანახავად, თუ რას ვაკეთებთ ასე გვიან.

— რაზე ჩურჩულებთ შეთქმულებივით? — გვეკითხება დედა.

— რაზე და, — ამბობს მამა, — მე და ტანია საკუთარ თავს ვეკითხებით, იანულსა და გროტს ჩევნი სამოვარის მოპარვა ხომ არა იქვთ განზრახულითქო?

დედაჩემმა, ჩვეულებისამებრ, ვერ გაიგო ხუმრობა.

— რა სისულელეა? — ამბობს ივი, — იცით თუ არა, რომ შუალამის ორი საათია. წარმოდგენილი მაქვს, ხვალ რომელ საათზე გაიღვიძებს ტანია...

მამა წამოდგა. მეც მშობლებს ლამე მშვიდობისა ვუსურვე. მამის ვაკოცე და ყურში ჩავჩურჩულე:

— სამოვარი არავის მოპარინებს თავის...

შესა დელია?

ნორჩობაში, როგორც მრავალი ჩემი ასაკისანი, ქედმალალი ვიყავი და სხვების მიმართ უფრო მკაცრი გახლდით, ვინემ საკუთარი თავის მიმართ.

მამა ომას მამჩნევდა და გული სტკიოდა. მისთვის დამახასიათებელი დელიკატურობით გადაწყვიტა ჩემი გამოსწორება. ყოველთვის, როცა აღამიანზე იოლად და ზედაპირულად ვიტყოდი რამეს, იგი ჩვეულებრივად კითხვას შემომიბრუნებდა.

— რა სულელია ეს კაცი, — ვიტყოდი მე.

— შენზე სულელია? — ვითომც არაფერიაო, ისე მკეთხველი მუშავე.

როცა მამაკაცზე ვიტყოდი, აუტანელია-მეთქი, ანდა ქალზე, საზიზლარი დედაკაცია-მეთქი, მამა მუდამ შემეცითხებოდა:

— შენზე აუტანელია? შენზე უმსგავსია?

მშვენივრად მესმოდა მისი საყვედური, მაგრამ არ მსურდა მელიარებინა და კადნიერად ვპასუხობდი:

— დიახ, ჩემზე სულელია, ჩემზე აუტანელია, ჩემზე უმსგავსია.

მაგრამ მამის გაკვეთილი გამომადგა. ამის საბუთი გახლავთ, რომ ეს ამბავი დღემდე მახსოვს.

ზოგინის ვალე

ბავშვობაში ფორტეპიანოზე დაკვრას გვასწავლიდნენ. ჩემს ძმას ილიას შუსიკის ნიჭი სრულიად არ ჰქონდა. მისი ფრანგულის მასწავლებელი ამბობდა, როცა ილია დაკვრას იწყებს, ძალლები ყმუილით გარბიანო.

ერთხელ, როცა მამაჩემი თავის კაბინეტში მუშაობდა, უცებ გაიგონა, რა საოცრად ცუდად უკრავდა ილია შოპენის ვალს. წუთითაც არ აშორებდა ფეხს პედალს, ყურადღებასაც არ აქცევდა, ყალბ ნოტებს რომ იღებდა და განაგრძობდა საშინელ ფორტისიმოში დაკვრას.

მამა წამოდგა და შეალო იმ ოთახის კარი, სადაც ილია უკრავდა. აქ კი მიხვდა, რატომ გახდა უცებ ილია ასეთი ვირტუოზი: კაბინეტში ილიასთან ერთად იყო ჩვენი დურგალი პრობორი, ფანჯარაში ორმავ ჩარჩოებს რომ სვამდა. ჩვენ ჯველანი ვმეგობრობდით მოხუც პრობორთან, განსაკუთრებით კი ილია. იგი ხშირად მიღიოდა სახელოსნოში, სწავლობდა დურგლობას და ხისაგან პატარ-პატარა ნივთების კეთებას.

მამა მიხვდა, ილიას უნდოდა თავისი დაკვრით თავი გამოეჩინა პრობორის წინაშე. აი, რატომ შეეწირა საბრალო შოპენი ამ საქმეს.

მამა წყნარად გამობრუნდა უკან და შემდეგ გვიამბო ეს ამბავი.

მას აქეთ, როცა ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი მოისურვებდა განეცვიურებინა ქვეყნიერება ან აეძულებინა სხვები ალფრონგანებულიყვნენ მასი პიროვნებით, მას ეუბნებოდნენ: — „ეს პრობორის გულისთვის ხდება“.

გარშემუნებთ, ეს სიტყვები ხშირად გვიმუხრუჭებდა, რომ ბაქიობა არ დაგვეწყო.

ზოგილა

ჩვეულებრივ, შემოდგომაზე დედაჩემი უმცროს ბავშვებთან ერთად მოსკოვში მიემგზავრებოდა, ისინი სკოლაში დაღიოდნენ. მამაჩემი, მე და ჩემი და კიდევ რამდენიმე თვე ვრჩებოდით იასნაია პოლიანაში. „მამაჩემის მსგავსად

ჩვენც რობინზონებივით ვცხოვრობდით, სახელდობრ ასე: ვცდილობდით თვითონვე მოვმსახურებოდით საკუთარ თავს, უშინაშოსამსახუროდ, ვალაგებდით ოთახებს, ვამზადებდით საჭმელს, რასაკვირველია, მკაცრად ვეგეტარიანულ საჭმელებს.

ერთხელ გავიგეთ, რომ ჩამოდის ჩვენი დეიდა, ჩვენი ოფანის ურინდვის შეგვა-
ბარი, რომელიც გულით გვიყვარდა. ვიცით, რომ დეიდას ჰქონის ურინდვის შეგვა-
ბი უყვარს, განსაკუთრებით კი ხორცი. რა ვქნათ? გავაკეთოთ „ლეში“? (ასე
ვეძახით ხორცს). მაგრამ ამის გაფიქრებაზე ტანში გვზარავს. ვიღრე მე და
ჩემი და ამ საკითხზე ვმსჯელობდით, შემოვეიდა მამა. ვუთხარით, არ ვიცით,
როგორ მოვიქცეთ-თქო.

— ჩვეულებრივად მოამზადეთ საღილი, — გვითხრა მან.

დღისით ჩამოვიდა დეიდა, როგორც ყოველთვის, ლამაზი, მხიარული,
ენერგიული.

მოაწია საღილობის დრომ. წავედით სასაღილოში.

და რა დავინახეთ? დეიდაჩემისთვის განკუთვნილ თეფშზე უზარმაზარი
სამზარეულო დანა დევს, ხოლო სკამის ფეხზე ცოცხალი ქათამია გამობმული.
საცოდავი ფრინველი ფართხალებს და თან სკამს მიათრევს.

— ხედავ? — უთხრა მამაჩემმა სტუმარს, — ჩავი ვიცოდით, რომ ცოც-
ხალი არსების ჭამა გიყვარს, წიწილა მოგიმზადეთ. ვერც ერთი ჩვენთაგანი
ვერ დაკლავს .ამიტომაც დაგიდეთ წინ ეს სასიკვდილო იარალი. თვითონვე
დაჭეალი.

— კიდევ ერთი შენი ხუმრობა! — გაეცინა დეიდა ტანიას, — ტანია, მაშა,
ახლავე გამოხსენით საბრალო ფრინველი და დაუბრუნეთ თავისუფლება.

სასწრაფოდ შევუსრულეთ დეიდას სურვილი. როგორც კი წიწილა გა-
ვუშვით, შემოვიტანეთ მაკარონი, ბოსტნეული, ხილი. დეიდა ყველაფერს მა-
დიანად შეექცეოდა. მაგრამ იქვე უნდა შევნიშნო, რომ საყვარელი სიძის ამ
გაკვეთილმა ვერ გადაარწმუნა დეიდაჩემი. იგი ისევ განაგრძობდა ხორცის
ჭამას.

მამას შაურიანი ადამიანი

მოსკოვიდან იასნაია პოლიანამდე დაახლოებით ორასი კილომეტრია. ზოგ-
ჯერ მამა ამ გზაზე ფეხით მიდიოდა. მას იზიდავდა სალოცავებში სიარული.
დაადგებოდა დიდ შარჩიგზას ზურგზე ტომარამოქილებული, გამოესაუბრებოდა
ხოლმე მოხეტიალე ხალხს, ვისთვისაც იგი უცნობი მგზავრი იყო. მოგზაურო-
ბას ჩვეულებრივ ხუთხ დღე სჭირდებოდა, გზაში შეჩერდებოდა ხოლმე ლამის
გაუთევად ან საჭმლისათვის რომელსამე ქოხში ანდა სასტუმრო-ბაკებში. თუ
გზად რკინიგზის სადგური შეხვდებოდა, მაშინ მესამე კლასის მოსაცდელ
დარბაზში ისვენებდა.

ერთხელ, ერთი ასეთი შესვენების ხანს, გადაწყვიტა ბაქანზე გაესეირნა.
ბაქანზე სამგზავრო მატარებელი იდგა, რომელიც ის არის უნდა დაძრული-
ყო. უცებ მამამ გაიგონა, რომ ვიღაცამ დაუძახა:

— მოხუცო! მოხუცო! — ეძახდა ქალბატონი, რომელსაც თავი გამოეყო

უაკონის ფანჯრიდან — შეიჩინე ქალების ოთახში და ჩანთა მომიტანე, წამოლება დამავიწყდა...

მამა სასწრაფოდ გაიქცა თხოვნის შესასრულებლად და სატელი იპოვა ჩანთა.

— დიდი მადლობა, — უთხრა ქალბატონმა, — ესეც შენი შეიტყმის, საფასურად გქონდეს, — და მან დიდი სპილენძის შაურიანი გამოსაზღვრებელი მშვიდად ჩაიდო ჭიბეში ფული.

— იცით, ვის მიეცით შაურიანი? — პერთა ქალბატონს მისმა თახამგზავრმა, რომელმაც შეიცნო ხანგრძლივი მგზავრობისაგან გამტვერილ მოგზაურში „ოშისა და მშვიდობის“ სახელგანთქმული ავტორი, — ეს კაცი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი გახლავთ.

— ლმერთო ჩემო! — შესძახა ქალმა, — ეს რა ჩავიდინე? ლევ ნიკოლოზის ძევ, ლევ ნიკოლოზის ძევ, ლვთის გულისათვის, მიმიტევეთ, დამიბრუნეთ შაურიანი! რა უხერხულად გამომივიდა! ოჰ, ლმერთო ჩემო, ეს როგორ დამემართა.

— ტურილად ლელავთ, ქალბატონო! — უპასუხა მამამ, — ცუდი არაფერი ჩაგიდენიათ. შაურიანი დავიმსახურე და ვერ დაგიბრუნებთ.

მატარებელმა დაუსტეინა, დაიძრა და თან წაიყვანა ქალბატონი, რომელიც ევედრებოდა მამას, მაპატიეთ და შაურიანი დამიბრუნებოთ.

მამა გალიმებული მიაცილებდა მიმავალ მატარებელს.

იყო თუ არა ტოლიშვილი ცხამორიზენი?

დაჩწმუნებული ვარ მამაჩემისათვის რომ მეკითხა, ცრუმორწმუნე ხარ თუ არა-მეთქი, ვაღაპტირით მიპასუხებდა — არაო.

მაგრამ ხშირად შემიმჩნევია, რომ ზოგჯერ მამა რალაც ნიშნებს მნიშვნელობას ანიჭებდა. რიმდენჯერმე მიგრძენია, დამიწყობდა თავის ძლიერ ხელებს მხრებზე და მაიძულებდა ისე შევბრუნებულიყავი, რომ სწორედ მარჯვენა მხრიდან. დამენახა ახალი მთვარე.

თუკი მეცე დაგობერტივათ თავის ბლუზის უძულმა ჩაიცვამდა, იგი აშკარად განიცდიდა და რაიმე მარცხს ან უსრამოვნებას ედოდა.

ჩაუთქვამდა რამეს და ხშირად იტყოდა: თუ შემისრულდება — ასე გავაკეთებ, არადა, არ გავაკეთებ.


ერთხელ იასნია პოლიანადან ცხენებით მივდიოდით მიძაჩემთან, სერიოზა ტოლსტოისთან. მისი მამული ჩვენგან ოცდათხუთმეტ კილომეტრში იყო გზად რამდენიმე სოფელი გავიარეთ. რუსული სოფლები მუდამ ერთ გრძელ რიგად არის ჩიმწერივებული და ეს ერთიანერთი, მუდიმ ძალზე ფართო ქუჩა. ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრზე გრძელდება. ჩვენი ცხენები ერთ-ერთ ასეთ შარაგზას მიუყვებოდნენ ჩორთით, რომ უცებ მამამ მარჯვნივ გადაუხვია, ქახის წინ მდგარ ბორბლებიან კასრს გვერდი აუქცია და შემდეგ გზა გააგრძელა. მეც მას გაუყევი უკან და როცა შარაგზაზე გასულნი გაეუსწორდით ერთ-მანეთს, ვკითხე:

— მითხარი, რატომ აუქციე გვერდი კასრს?

— განა შენ არ დაგინახავს, შავმა კატამ გზა რომ გადაგვიჭრა და კარის ბორბლებქვეშ ჩაიმალა?

— მაშასალამე, კატამ რომ გადაგირბინა, იმ გზაზე აღარ გინდონა ხომ გაგვილო?

შამას არაფერი უპასუხნია და ჩვენც გზა განვაგრძეთ.



ლოგიკური არათანიმდევრობა

რუსეთ-იაპონიის ომის დროს მამა მგზნებარე გულისყურით ადეკვებდა თვალს ჟველა პერიპეტიას. როცა რუსებმა პორტარტული მტერს ჩააბარეს, მამა გაშმაგდა.

— ჩემს დროში ამას არ იზამდნენ, — თქვა მან.

— აბა რას იზამდნენ? — ჰკითხა ერთმა მამაჩემის მიმდევარმა, რომელიც საუბარს ესწრებოდა.

— ააფეოქებდნენ ციხე-სიმაგრეს, მაგრამ მტერს არ დაუთმობდნენ.

— და დახოცავდნენ ამ ციხე-სიმაგრეში მყოფ ადამიანებს? — ტოლსტოველს შიგ გულში მოხვდა თავისი მასწავლებლის სიტყვები.

— თქვენ რა გინდათ! რაკი სამხედრო ხარ უნდა აღასრულო კიდეც შენი ვალი!

ტოლსტოველი საგონებელში ჩავარდა.

მე კი საკუთარ თავს ვეკითხებოდი: მარტო ლოგიკამ წარმოათქმევინა მაშაჩემის ბაგეთ ეს სიტყვები? ვინ იცის, ეგების ყოფილი მებრძოლის მოვონებებმაც გაიღვიძეს?

„ჩალის ჯუდი“

ერთხანს მამა თეატრით იყო დაინტერესებული. ერთხელ საიმპერატორო მცირე თეატრში წავიდა, რათა ენახა ლაბიშის თავშესაჭცევი პიესა „ჩალის ქუდი“. მამა იმუამად მუშაობდა კომედიაზე „განათლების ნაყოფი“.

ანტრაქტის დროს ფოიეში ნაცნობ პროფესორს შეხვდა. ის შეცის, ტოლსტოი ასეთი ფრივოლური პიესის წარმოდგენაზე რომ იხილა.

— ლევ ნიკოლოზის ძევ, თქვენც მობრძანდით ასეთი სისულელის სანახავად? — უთხრა გალიმებულმა პროფესორმა.

— მუდამ ვოცნებობდი რაიმე იმის მსგავსი დამეწერა, — უთხრა მამამ, — მაგრამ სამისოდ ნიჭი კარ მეყო.

მას არ დაუცემინა ცხვირი

როცა მამა ცხვირს ცაცემინებდა, გეგონებოდა, ყუმბარა გასკდაო: მთელ სახლში ისმოდა. თუ ღამით დაცემინებდა, დედაჩემს უცაბედად ვაეღვიძებოდა და მერე შეშინებული დილამდე თვალს ველარ მოხუჭავდა ხოლმე.

— როცა ღამით ცხვირის დაცემინება მოვინდება, — უთხრა დედამ მამაჩემს, — ფრთხილად გამაღვიძე, რომ მერე ისევ შევძლო დაძინება.

მამა შეკპირდა.

ერთხელ, ლამით, ცხვირის დაცუმინება მოუნდა, და ფრთხილა, გააღვიძა ცოლი.

— სონია, არ შეგეშინდეს, ახლა ცხვირი უნდა დავაცუმინო.

დედამ გაიღვიძა, ყური მიუგდო. გავიდა ორი, სამი, სამოგზაურო სამართლი. გადაიხარა ქმრისკენ და გაიგონა მისი თანაბარი ჭურჭელი, ყურადღებები მამამ აღარ დაცუმინა ცხვირი და ისევ მშვიდად დაიძინა.

დედა იმინი

დედა იშვიათად იცინოდა. იქნებ ამიტომაც, სიცილი განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა.

მახსენდება ორი შემთხვევა, როცა დედა მთელი გულით იცინოდა და ორი-ვეჯერ მამაჩემის წყალობით.

დედაჩემი აღმერთებდა პატარა ბავშვებს. როცა ყველანი დავიზარდენით და საზრუნავი აღარაფერი დარჩა, დაცარიელებულად იგრძნო თავი. იგი შემთხვევას არ უშევებად ხელიდან, რომ მოევლო ბავშვისათვის, სადაც არ უნდა ენახა.

ერთხელ სოფლის ბიჭუნას უძიძავებდა.

— მე შენთვის გუტაფისის თოჯინის შევუკვეთაც, — ცეცხლა მამამ, — რომელსაც გამუდმებით კუჭი ექნება იშლილი, ვიმედოვნებ. მაშინ სავსებით ბედნიერი იქნები.

დედას გაეცინა, პირზე ხელი აიფარა, ცდილობდა როგორმე თავი შეეკავებინა მისთვის ესოდენ უჩვეულო მხიარულებისაგან.

მეორედ ასე იყო, იასნაია პოლიანაში ჩავედი.

— უფრთხილდი, — მითხრა მამამ, — დედამ ახლახან უამრავი რაოდენობის სალებავი იყიდა და ყველაფერს ლებავს, რაც კი ხელთ ჩაუვარდება. სამცროლიანობა მოითხოვს ვალიარო, რომ დღემდე იგი ინდობდა ცოცხალ არსებებს, მაგრამ...

დედა გრძნობს ქმრის ხუმრობაში სინაზეს და ბედნიერია. იგი იცინის, შეცბუნებულია და თან გაკვირვებული, რომ არ შეუძლია სიხარულზე უარის თქმა.

მამაც გახარებულია, რომ გაართო მეუღლე და ნაზად შეჰყურებს მას.


შანდარიში

მამა მუდამ მესამე კლასის ეაგონით მგზავრობდა.

ერთხელ საქმეები პქონდა მოსაგვარებელი და პატარა ქალაქში გაემგზავრა, მოსკოვიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრში.

აქ იგი შეჩერდა თავის სიძესთან, რომელიც ამ ქალაქში თანამდებობის პირი გახლდათ. საქმეები რომ მოილია, მამა სადგურში წავიდა, რათა შინ გამოგზავრებულიყო. ბიძა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად აცილებდა მიმას.

საღურზე მათ მლიქვნელურად მიესალმა უანდარმი, ყოველგვარი სამსახურეობრივი ჩინით რომ იყო დამშვენებული.

უანდარმა იცოდა, რომ მიემგზავრებოდა სახელგანთქმული  მწერალი, გრაფი ლევ ტოლსტიო. და გადადგა თუ არა მამამ სალიაროსაკენ იამდენიმე ნაბიჯი, უანდარმა წინ გაუსწრო, შეეგება, ქუსლი ქუსლს შემოჭრული სამხედრო წესისამებრ ხელის აწევით მიესალმა.

— ნუ შესწუხდებით, თქვენო ბრწყინვალება! მისი ბრწყინვალება ნებას დამტოვს ბილეთი ავულო? რომელი კლასის ბილეთი სურს მის ბრწყინვალებას — პირველი, მეორე?

— მეორე, — უთხრა შემცირმა მამამ.

შინ რომ დაბრუნდა, მამამ გვიამბო, როგორ დაუთმო უანდარმს. დასცინდა საკუთარ თავს და ვერ ეპატიებინა, ასეთი სისუსტე რომ გამოიჩინა. ეზიზლებოდა საკუთარი თავი.

ჩანდა აწუხებდა ეს უმნიშვნელო შემთხვევა, რამდენჯერმე უამბო სხვებსაც.

მე კი ვფიქრობ, რომ სისუსტე არაფერ შუაშია. იმიტომ არ უთხრა უანდარმს, მეორე კი არა, მესამე კლასის უაგონის ბილეთი ამილეთო, რომ, უბრალოდ, არ შეეძლო გაეწიოლებინა უანდარმის მოლოდინი. შეგნებულად მამას არასოდეს არ სურდა ვისთვისმე უსიამოვნება მიეყენებინა. იცოდა, თუკი მესამე კლასის ბილეთს აიღებდა, უანდარმს გულს ატკენდა.

მაგრამ მამა მუდამ მზად იყო საკუთარი თავი დაედანაშაულებინა შესაძლო თუ წარმოდგენილი ცოდვების გამო.

მისი ციფავათ

როცა მამა ოთხმოცი წლისა შესრულდა და ეკითხებოდნენ: „თავს როგორ გრძნობთ?“ — იგი ასე პასუხობდა, თუკი სისუსტესა და აპათიას გრძნობდა:

— დღეს ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ოთხმოცი წლისა ვიყო.



ეგოცენტრულ, თავის თავზე შეუვარებულ ადამიანზე ამბობდა:

— ამ ადამიანს უდიდესი უპირატესობა აქვს: მეტოქე არა ჰყავს....



როცა ისეთ რამეს ითხოვდა, რის მიცემაც არ შეეძლოთ, იტყოდა:

— ვიხუმრე... თორემ სულაც არ მინდა...



როცა რაიმეს გაკეთება სურდა, მუდამ ეშინდა, ვერ შევძლებო, ანდა იმის მიღება სურდა, რაც ძნელად გამოსდიოდა, ამბობდა:

— როცა დიდი გავიზრდები, მაშინ გავაკეთებ.
ანდა:

— როცა დიდი გავიზრდები, რასაც მოვისურვებ, იმას მივაღებ. მიყვარს უველაფერი, რაც მაქვს.

მიმაჩემს დაქორწინების პირველ წლებში იასნაია პეტრი შეუძლებელი რუსი მწერალი გრაფი სოლოგუბი. მან დაინახა, რომ ტოლსტოი კმაყოფილია, საკ- სებით მაღლიერი თავისი ბედისა.

— რა ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, — უთხრა სოლოგუბმა, — ყვე- ლაფერი გაქვთ, რაც გიყვართ.

— არა, — უპასუხა მამამ — უველაფერი არა მაქვს, რაც მიყვარს, მაგრამ მიყვარს უველაფერი, რაც მაქვს.

ველოსიპედი

მამას სპორტის უველა სახეობა უყვარდა. გასული საუკუნის დასასრულს, როცა მოდაში შემოვიდა ველოსიპედები, მან შეიძინა და ზამთრობით სეირ- ნობდა დიდ მოსკოვურ მანეჟში.

— სასაცილო რამ მემართება, — უვებოდა იგი, — საკმარისია წარმოვიდ- გინო რაიმე დაბრკოლება, რომ მაშინვე დაუოკებლად მივიღებული იქითკენ და ბოლოს წავაწყდები კიდეც. ეს განსაკუთრებით ეხება ფაშფაშა ქალბატონს, რომელიც ჩემსავით სწავლობს ველოსიპედით სიარულს. ფრთე- ბიანი ჭუდი ახურავს, საკმარისია შევხედო, რომ მაშინვე რხევას იწყებს და ვგრძნობ, ჩემი ველოსიპედი აუცილებლად მისკენ მიემართება. ქალბატონი ყურისწამლებიდ ყვირის და ცდილობს გამექცეს, მაგრამ — ამოდ. თუკი ვერ მოვასწრებ ველოსიპედიდან გაღმოხტომას, გარდუვალია, უნდა დავეჭიხო და გადავიყირავო. ასეთი რამ უკვე რამდენჯერმე დამემართა. ახლა ვცდილობ მანეჟში იმ დროს მივიდე, როცა იმედი მაქვს, ის ქალი იქ არ იქნება. და ის, ვეკითხები საკუთარ თავს, — შენიშნავს იგი — გარდაუვალია თუ არა კანონი, რის თანახმადაც ის, რასაც ვულით გვსურს გავექცეთ, უველაზე უფრო გვიზი- დავს.

„შანოფონა“

მამაჩემი დიდი აზრისა არ იყო ქალებზე. ხშირად თავის სიძულვილს ხუმ- რობაში გემოხატავდა, მაგრამ ზოგჯერ, თანამოსაუბრის დასარწმუნებლად, სე- რიოზულადაც კი ლაპარაკობდა იმ საკითხზე. ოჯახურ წრეში ასეთ საუბრებს „უენოფონას“ ვეძახდით.

როცა შინ მარტო კაცები რჩებოდნენ, იგი დროს იხელთებდა, რათა სულ- მთლად გავენადგურებინეთ.

— ჩვენ ცოტას „უენოფონბიობდით“, — გვეტარდა ლიმილით.

ზოგჯერ მამა გამოთქვამდა თავის ჭეშმარიტ აზრს ქალებზე. მრსი იზრით, ქალს, რომელიც მორალისა და რელიგიის კანონების თანახმად კუთხითობს, სრული უფლება აქვს პატივისცემისა. ქალს უძვირფასესი ღირსებანი გააჩნია,

რაც მამაკაცს არა აქვს და ქალი არასწორად იქცევა, როცა სურს მამაკაცს გაუტოლდეს იმ უფლებებში, რასაც იგი მოკლებულია.

როცა ქალი ცდილობს თავისი ხიბლით იცდუნოს მამაკაცს, ისე მიუღებელ ტანსაცმელს, როცა მიაჩნია, რომ მთავარი კავშირი ქალისა და კუპისა ტქბობაა მხოლოდ, როცა გაურბის დედობას, რათა თავისი სილურაზე შეინარჩუნოს, ქალი საზიზლარი არსებაა და საზოგადოებისათვის კარგი დრო უკავებია.

— როცა ვხვდები ასეთი ჭურის ქალს, მინდა ვიყვირო, პოლიციას ვუხმო: „ქურდები! მიშველეთ!“

ერთხელ მოვისმინე მამაჩემის საუბარი კაცთან, რომელიც ქალის უფლებას იცავდა და მიაჩნდა, რომ ქალი და მამაკაცი ერთნაირი შესაძლებლობისა და ნიჭის მქონენი არიან.

— არა, — ეწინააღმდეგებოდა მამა, — ქალი და მამაკაცი თუ ადაპ თანასწორნი რომ იყვნენ თავიანთი ნიჭით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალს აქვს ის თვისება, რაც ჩვენ არა გვაქვს.

— რა თვისება?

— რა და... ბავშვის დაბადების უნარი.

როცა მამა თავის ხელოვნების ტრაქტატზე მუშაობდა, ხშირად გადამიწეოდა ხელნაწერი.

ერთხელ ჩემი დღიურიდან ერთი გვერდი მთხოვა, რათა თავისი წიგნში ჩაეტოო, როცა ამ ნაწყვეტს განმარტავდა, დაწერა, რომ დამოწმებული აქვს თავისი მეგობრის სიტყვები, რომელსაც ესმის ხელოვნება:

ვკითხე:

— ვხვდები, რატომაც არ დამასახელე, მაგრამ რატომ დაწერე am (მეგობარი კაცი) და არა amie — (მეგობარი ქალი).

— იცი რა, — მამა ცოტა შეაცებუნა ჩემმა შეკითხვამ, — ასე იმიტომ მოვიქეცი, მეითხველი უფრო დიდი პატივისცემით განიმსჭვალოს გამოთქმული აზრის მიმართ.

როცა მამა ვარ ვალი

როცა მამაჩემი წერდა რომანს „ოჯახური ბედნიერება“, მაშინ ჭერ ისევ უცოლო იყო.

— მაშინ მეჩვენებოდა, — მითხრა ერთხელ მამამ, — რომ სულის სიღრმემდე ვიცნობდი ქალს. მაგრამ როცა ცოლი შევირთვე, მივხვდი, სულაც არ ვიცნობდი. მხოლოდ ჩემი ცოლის წყალობით შევძელი შემეცნი ქალი. ახლა კი, — განაგრძობდა იგი, თან თმაზე ხელს ისეამდა, — მას შემდეგ, რაც ჩემი უფროსი ქალიშვილები მანდობენ თავიანთ საიდუმლოს და გულს მიშლიან ხოლმე, ვალიარებ, რომ არც ქორწინებამდე, არც უფრო გვიან, ქალზე არაფერი მცოდნია და მხოლოდ ახლა ვიწყებ მის შეცნობას.

205 მუშაობა, 206 დი მღვიმის

ერთხელ, სალამოს იასნაია პოლიანაში შრომის განაწილებაზე ვსაუბრობდით. მამა ამ ხანებში წერდა წიგნს „მაშ რა ვაკეთოთ?“ ტოლსტოი მგზნება-

რედ ილაშქრებდა პრივილეგირებული კლასების მიერ მუშების ექსპლოატაციის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა უსამართლობას იმისა, რასაც მოკრძალებულია „შრომის განაწილებას“ ეძახიან.

— ხელით შრომა, — ამბობდა იგი, — მუდამ აუცილებელია, ჩაგრამ უმეტესი ნაწილი სამეცნიერო თუ სამსახიობო შრომისა, რომელსაც ჩვენ ვართ, ემსახურება მხოლოდ ვიწრო წრეს ადამიანებისას, რომელიც არავილეგირებულთა კლასს ქმნიან. ეს შრომი თითქმის ყოველთვის უსარგებლოა მუშებისა და გლეხებისათვის, მაშინ როდესაც მათი შრომის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით არსებობას და წარმოებას მეცნიერებისა და ხელოვნების ამ ერზაცისა, რომლებითაც ასე ვამაყობთ.

— მოითმინეთ, ლევ ნიკოლოზის ძევ, — შეაწყვეტინა მამას მხატვარმა რეპინმა, რომელიც ჩვენთან სტუმრად იყო, — მოგეხსენებათ, პეტერბურგის გარეუბანში ვცხოვრობ, სამშენებლო მოედანთან ახლოს, სადაც გემებს აგებენ. ხშირად ვხედავ ხოლმე, როგორ მთათრევენ მუშები ტანზე თოკით გამობმულ უზარმაზარ კოჭებს. ერთხელ, როცა მუშებს ქანცი გაუწყდათ მძიმე ტვირთისაგან, დავინახე, თრი ყოჩალი ბიჭი ვამოეყო მათ, შესხდნენ ამ კოჭებზე და მხიარულად ამლერდნენ. მათი სიხალისე მუშებსაც გადაედოთ, ახალი ძალები შეემატათ და გაუადვილდათ დაძაბული შრომა.

— მერედა, რა? — ჰკითხა მამამ.

— აი, რა, — თავმდაბლად უთხრა რეპინმა, — იმათ, ვინც თავისი ხელოვნებით უმსუბუქებენ მუშებს ცხოვრებას, აქვთ არსებობის უფლება. მათ თავისი როლი აქვთ. ვგრძნობ, მე ერთი იმათგანი ვარ. მინდა ვიყო იმათან, ვინც მღერის.

— ეზ ძალიან კარგი, — სიცილით შენიშნა მამამ, — ცუდი მარტო ის არის, რომ უმრავლესობას სურს კოჭებზე შეხტეს და იმლეროს, ხოლო ძალზე ცოტაა, ამ კოჭის თრევა რომ სურდეს... აი პრობლემაც ეს გახლავთ.



ჩვენი უიტენი

11. უიტენის ცხოვრიბა

ჩ და უოლტ უიტენი სა-
კლასიკოსია. ხანგრძლივი ბრძოლა ამერიკულ
და მსოფლიო სიტუვიერების ისტორიაში კუთ-
ვნილი ადგილის მოსამავებლად პოტის სრუ-
ლი გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვების
ურავა და უეჭველი დასტური ნიუ-იორკის
ერთ-ერთ გარეუბანში აღმართული უიტენის
დიდებული ძეგლი. ამ ძეგლის გახსნას გულმ-
ხრვალედ გამოეხმაურნენ ამერიკის ფართო მა-
სები. ჰეიმზე გამოსულმა ამერიკელმა მწერლებ-
მა ერთხმად აღნიშნეს უოლტ უიტენის მძლავ-
რი ჰეგავლენა ქვეყნის მოწინავე ლიტერატუ-
რაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგ-
ლისში ლიტერატურა უიტენის შესახებ უწევებ
ნიკადად იქცა. პოეტის ბიოგრაფიას და შემოქ-
მედებას ბოლო წლებში მრავალი წიგნი და სა-
ურნალო სტატია მიეძღვნა, ამის შეათებიც კი
არ დაწერილა იმ სახელოვან მწერლებზე, სი-
ცოცხლეში რომ დაჩრდილეს ამერიკელი სიტ-
უვის ოსტატი.

ვალტერ უიტენი დაიბადა ნიუ-იორკის შტატ-
ში, 1819 წლის 81 მაისს, ატლანტიკის ოკეანის
ნაპირას. უკაცრიელ, გორაკებიან ე. წ. გრძელ
კუნძულზე, პატარა სოფელ უესტ ხილლიში
(დასავლეთი გორაკები).

გრძელ კუნძულს, ინგლისურ ენაზე „ლონგ
აილენდს“ თევზის ფორმა აქვს. ხმელეთის ეს
გრძელი ზოლი 120 მილზეა გაჭიმული და
მშიდროდ ჩავრის იმ კუნძულს, რომელზეც ნიუ-
იორკი მდებარეობს.

ამ ადგილებში ირასი წლის წინ დამკვიდრე-
ბულიყვნენ უიტენის ძაპები და პაპისპაპები,—
ნახევრად შემამულეთა და ნახევრად გლეხთა,
ინგლისელ და ბოლანდიელ ფერმერთა ძლიე-
რი, პატრიარქალური ოჯახები. საჭმელ-სასმელი
არ ყოლდათ, მხარდამხარ მუშაობდნენ, წიგნი
არ უკითხავთ, უყვარდათ ცხენები, დაღიოდნენ
ეკლესიაში, სკამდნენ ულს და ღრმა მოხუცებუ-
ლობაშიდე აღწევდნენ.

პოეტის დედა, ლუიზა, წარმოშობით ბოლან-
დიური ოჯახიდან იყო. მისი ქალიშვილობის
გვარი გახლდათ ვან ველზორი. ეს გულლია,
საჭრიანი ქალი ერთოთავად ბავშვებს დაჭკანკა-
ლებდა: თავზე და საობაზო შეურნეობას უძლვე-
ბოდა. ლუიზას ვალტერის გარდა რვა შვილი
შეავდა. ვალტერს მოწიდულობაშიც ბავშვივის
უწვარდა დედა. ლედა-შვილს ბოლომდე გულ-
ობილი ურთიერთობა აკავშირებდათ.

უიტენის დედისეული ფლამანდიური სისხლი
უდუღდა ძარღვებში. ამაზე ნათლად შეტკეპ-
ლებდა: მისი ახოვანება, ციხესიმაგრე თვალები,
ნაზი და ფაქიზი კანი, ოქროსეურად ალეწილი
სახე, მშვიდი, ფლეგმატური სიარული, და რაც
მთავარია, — არაჩვეულებრივად გაწონასწო-
რებული, ხათო, წყნარი ხასიათი.

პოეტს მამისადმი განსაკუთრებული გრძნო-
ბები არ გააჩნდა. მამა, მდუმარე და პირქუში
კაცი, ხშირად ტოვებდა თავის ფერმას და ხერ-
ხის და ნაჯახით აღტურვილი შეზობელ სოფელ-
კალაქებისკენ შემურებოდა სამუშაოდ: აკე-
თებდა ხის ძელურებს, თხრიდა სარდაფებს,
აგებდა ნალიებს.

ვალტერი დურგლობაში უმართავდა ხელს მა-
მას, მაგრამ აღმართ ძაღლებ ცოტა ხანს, რადგან

¹ დასასრული. I თავი იხილეთ „საუნგე“ № 4.

ხანგრძლივი მუშაობით თავის შეწყვება, არ
ხშევოდა; საერთოდ ირმოცი წლის ასაკამდე
უატმენს არ ჰქონია ისეთი საქმე, თავდავიწყე-
ბით, მოელი. არსებით რომ შემყვარებოდა.

ოთხი წლის იურ ვალტერი, როცა მისი აჭაპი
დროებით ბრუკლინში, მამის ხელით აშენებულ
ახალ სახლში გადავიდა საცხოვრებლად. დღეს
ბრუკლინი ნიუ-ორქის ნაწილია, მაშინ კი და-
მოუკიდებელი ქალაქი იყო და ჭერ კიდევ ხო-
ფელს ეძახდნენ. ბიჭი ბრუკლინის სკოლაში შია-
ბარეს ხახუავლად. ის არც კარგად სწავლობდა
და არც ცუდად, მასწავლებლებზე საშუალო
მოწაფის შიაბეჭდილებას ტოვებდა.

როგორც კი ოტრომეტი წელი შეუსრულდა,
სკოლა დაატოვებინდა და იქვე, ბრუკლინში გა-
ამწესება სამუშაოდ. კანტორაში მუშაობდა, შიკ-
რიკად, ვექილებს ემსახურებოდა, მამა-შვილს,
მუდამ ფიქრიანი, სიმკვირცხლეს და სიმარ-
ჩეს მუცლებული, დიდი ვერაფერი დამტარებე-
ლი იყო, მაგრამ უფროსები გულისხმიერად
დეიდებოდნენ: წიგნის საკითხებად განაწყონა,
ბიბლიიოთებაში ჩაწერეს და მანაც სულმორიქ-
მელიად წაიკითხა ვალტერ სკოტი, კუპრი, „ამას
ერთი ღამე“.

სასტამბო ხელობას უიტშენს მოხუცი ასო-
თამწყობი ასწავლიდა. ისინი ძალე დამეგობრდ-
ნენ. ვალტერს არც აქ უგრძვნია განაწყენება,
შევიწროება და უკმერხობა: და ჩადგან თავი-
სულალი დროც ბევრი შეიძლდა, თორმერი წლის
უმაწვილეს, გაზირში დასახეჭდად ლექსების
და სტატიების თხზვა დაიწყო. ჩედაქტორი ხა-
ლისით უძეჭდავდა პიერაფერს, თუმცა ამ
თხზულებებში ნიჭის ნიშანწყალიც კი არ იპო-
ვებოდა.

შალე ვაჟაფრედა სხვა სტამბაში დაიწყო შუ-
შაობა და პირველივე დღეებიდანვე გამოისწო-
რებოდნ უსაქმრურის ჩემუტაცია დაიშევიდრა.
შინი ახალი უფროსი, ბრუკლინის გაზეთ „ვარ-
სკოლავის“ გამომცემელი დაცინვით შენიშვნავ-
და: „ამ უმაწვილს ციება რომ შეეყაროს, კან-
კალიც ეს დაეზარდა!“¹⁴

အပေါ် မြိုင်ရှိစာ ဒေလက္ခာရမာ နှေ့စွဲမီးခု စူးစေ့မဟု-
မော်လုပ်ဖို့ပေါ်၏ ရွှေ၊ လူ၊ အနေ့သာ၏၊ အမိန့်ကျိုး တာဝန်-
ဆောက်တာ၏ ဖြော်လုပ်ခိုက် လုပ်စာ ဖြော်လုပ်ဖူး၊ မျှော်-
လာ၊ ဥက္ကတာ ဖြော်လုပ်ခိုက် ပြော်လွှာ့သူ၏ နှေ့စွဲမီးခု၊
ပုဂ္ဂိုလ် စူးစေ့မီးခု မြိုင်ရှိစာ မြိုင်ရှိစာ လုပ် မြိုင်ရှိ-
စာလုပ်ခိုက်၊ တာဝန်ဆောက် စာမျက်နှာ၏ ပြော်လွှာ့သူ၏ မြိုင်-

ეს ნადრევი მიღებულია მარტინ განმარტობის
და მდუმარების წიაღში დანოკმა — უატმენის
უმთავრესი თვისებაზე უკუჩურუ უძლიშვანი ნაპირი
და ჭეცა — ასეთი მიზანისათვის წკლული, უკიდე-
ვანო პერსაფი. მთელი ცხოვრების მანძილზე
ამ პერსაფის ძლიერ ჟემოქმედებას განიცდიდა,
ბავშვობიდანვე თვალწინ უკიდევანო სივრცე-
ები ედგა, უშვილებელი და ცარიელი მორი-
ზონტი: ირგვლივ არაური იყო შემთხვევითი
და წვრილმანი. პატარაობიდანვე ბუნების ყვე-
ლაშე უფრო გრანდიოზული გამოხატულება
წარმოსდგა მის წინაშე. იქნებ აქედან იღებს
დახაბაშის უატმენის პორტური ხახების უკიდე-
ვანობა, გრძნობების და ფიქრების ის „ოკეა-
ნისებურობა“, რომელთა მეშვეობითაც შემდგომ-
ი კოსმიურ პორტაც იქცა იგი გარკვეულ
დრომდე ამგვარი გრძნობები და ფიქრები —
თავად პორტისთვისაც კი გაურკვეველი
თავქოს ცხრაკლიტულში იყო გამომწყვდეული
და შათი არსებობის კვალი არც პორტის პიოგ-
ჩაფინას აჩნდა და არც მის თავდაპირველ ნაწე-
რებს.

三

სხვა ჭაბუკები სწორედ ამ ახალში ტოვებენ
შშობლიურ მიღამოებს და ცხოვრების ზეირ-
თებს აძლევენ დიდი ხნით თავს, რათა ან დაი-
ღუბონ ან კიდევ სახელი მოიხვეჭონ. უიტმენმა
კი თავის მივარდნილ აღვილებს შიგაშურა და
მცირე სოფელ ბაბილონში გამწესდა სკოლის
მასწავლებლად. ეს სამსახური არც კარიერის
გახაკეთებლად იყო გამოსადეგი და არც უულის
მოსახვებად, სამაგიეროდ ბევრი თავისუფალი
დრო ჩემპიონად პორტს, რათა თავისი კუნძულის
ნაპირას ეხეტიაჲა ანდა საათობით ებანავა იმ
უურები, რომლის სიახლოვესაც ბაბილონი აღ-
მართულიყო. მოსწავლეების შშობლები ვალიე-
ბულების თანახმად რიგრიგობით კვებავდნენ
მას, ამატომ შიმშილით კუჭი არ განმობია.

„მუდმივად ჩაღაცაშე უიქრობდა და იქვე, გაყიდოლისევე წერდა ჩაღაცებას“. — „ხსენებდა მრავალი წლის შემდეგ მისი ყოფილი მოწაფე სენატორდ ბრაუნი. 15

მაღვე უატშენმა მიატოვა შასწავლებლის აღ- გოლი და შეობლების უერმის მახლობლად, ჩრდი- ლოეთით მდებარე ქალაქ გენტინგჰორნში გადა- სახლდა. აქ მან უოკელდლაურ გამირ „გრძელი კუნძულის“ მცვიდრის რედაქტორად დაიწყო მუშაობა, ნიუ-იორკიდან სასტამბო პრესი და შრიუკტი ჩამოიტანა. იგი ამ განხილის მხოლოდ რედაქტორი როდი იყო, ასოთამწყობის, რეპორ- ტორის და სხვა უბრალო მუშავის საქმესაც თავადევ უძლვებოდა. საღამობით კა ფოსტა- ლიონის უწევდა საკუთარი ცხენით შემოვ- ლიდა გარშემო მდებარე სოუელ-ქალაქებს და განხილის არიგებდა. მრავალი წლის შემდეგ, სიბერის უაშს, პოეტი მალლივრების გრძნობით იხსენებდა, თუ რა თბილად ხედებოდნენ მას მწუხრის ვარსკვლავებქვეშ ფერმერები, მათი ცოლები და ქალაშვილები. მაგრამ ამ ხამსახურ- საც მალე შეეღია, რადგან ხამისოდ დროის ულანგვა აღარ სურდა და გაშეირთხაც უკვე იშვიათადლა სცემდა. გამომცემლებზა რომ შეატყვეს, საჭმე არახაიმედო კაცის ხელში იყო, უული აღარ გაიღდა.

რამდენიმე თვის შემდეგ უოლტმა კვლავ შასწავლებლობას მიაჟო ბეჭი მეზობელ ხო- ცულში.

ჩემი მომავალი ეს კაცი განხრას ირიდებს თავს კარიბრის გაერთებასთ. უატშენი წომ იმ ქვეუ- ნაშა ცხოვრობდა; სადაც სიმდიდრეს მთავარი ადგილი ბჟონდა დათმობილი, მაგრამ თავად არ აძირდია ცდუნებას და მომხვევლობა არ და- უწევდა. ადოლარების და ცენტრების მისოვის ჩა- ლის უახლ შემნდა“, — იგონებდა მოგვიანებით მისი მეგობარი. უატშენის ცხოვრებისა და შე- მოქმედებითი მოღვაწეობის ამ ადრეულ პერი- ოდში განხაუთერებით შეაფიც გამოვლინდა პოეტის ქაოტური და მუიფე სოციალური ბუნე- ბა. ერთის მხრივ, ის თითქოს მუშაა, სტამბის ასოთამწყობი. ამავე დროს მთამომავლობით ფერმერია, ქველი საგვარეულო ბუდის ერთგუ- ლი და მიწის მუშავი, საბოლოოდ რომ არ გაუწ- ჩვიტა კავშირი მიწასთან, თან ინტელიგენ- ტიცაა — სკოლის შასწავლებელი, განვეობის რე- დაქტორი, უურნალისტი.

ამგვარი ქაოტურ-მრავალფეროვანი ადამია- ნები არცოთ ისე ცოტანი იუვნენ მაჟინდელ ამე- რიკაში. ამ ქვეუანაში გერ კიდევ ერთი და იგივე ადამიანი წვრილი ბურცუაც იყო, მუშაც, გლე- ხიც და ინტელიგენტური პროფესიის წარმო- მადგრელიც. თაცდათიან წლებში ჩირ კიდევ არც კა იყო შესაძლებელი კუენისმიღმური

რესპუბლიკის თვითეულ მოქალაქეს მყარი და ჩამოყალიბებული სახე გეონოდა. უფრო მოგ- ვიანებითაც — ორმოცდაათიან წლებში — კარლ მარქსს შეონდა სატურპლი შეეხობულ შტატებზე ეთევა, თუმცა, არ იქ უკავიარსებობს კლასები, მაგრამ „საბოლოოზე ას არის ჩამოყა- ლიბებული“. 16 კლასების სტატისტიკის პრო- ცესი ძალზე მდორედ მიმდინარეობდა. უიტ- მენის ბავშვობის და სიჭაბუკის ეპოქაში შე- ერთებული შტატების კლასები ძალზე მედინა, მოძრავი და ცვალებადი იყო. კლასებს შორის საჭღვრების სიცერტიფიკაციის გამო უოკელ მო- ქალაქებს შეცდლო ერთი საჭოგადოებრივი დაქ- გუფებიდან მეორეში გადასვლა. დღევანდელ ემიგრანტ პროლეტარს ხანგალიოდ მიწისმცულო- ბელობა ძალუმდა. უიტმენის ადრეული ბიოგ- რაფიის მეორე თავისებურებად უზრუნველობის, განსვენების, სიმუულოვანის ატმოსფერო მიმაჩ- ნია. ამ ატმოსფეროში საქმიანობდა და მოქმე- დებდა პოეტი.

არსებობის ბრძოლა, რაღა თქმა უნდა, მიხსოვისაც აუცილებელი იყო, ისიც ნომ უკელა- კევდაუნის ადამიანისა. მსგავსად ქაპანუკი- ტით იპოვებდა ლუკმა-პურის. მაგრამ რაოდენ იოლი ჩანს ეს ბრძოლა იმ ბრძოლასთან შედა- რებით, რაზნოჩინელ მწერლებს რომ უწევდათ მაშინდელ ევროპაში.

იმხანადვე შორეულ რუსეთში, ხენკენდორ- ფის და დუბელტის პეტერბურგში ქალაქის მყრალ და ნესტიან კუთხებში ვალტერ უიტ- მენის თანატოლი ნეკრასოვი ეხეტებოდა და მის წინაშე მუდამ ამგვარი ულტიმატუმი იღვა: ან კატორდული შრომა ან შიმშილი; თავის თავზე და თავის „სისხლიან მუშაზე“ ჩრსი პოეტი სრული უფლებით აცხადებდა:

სიბოროტის და ძალადობის უფსკრულთა
წილი,
ის მე მათრევდა ნაშიშმილარს და
ნატანჯს ფრიად.

1841 წლის გაზაფხულზე უოლტ უატშენი ჩშობლიურ სოუელში ხანგრძლივი უოუნის შემდეგ როგორც იქნა ნიუ-იორქში გადასახლდა და ზედიზედ შვილი წლის მანძილზე შეუმ- ჩნევლად მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლო- ბებში ასოთამწყობად, თან ნარკვევებს, შოთხ- რობებს და საკირბოროტო წერილებს წერდა.

1842 წელს სიცხიზლის ხაჭოგადოების შეკ- ვეთით უატშენმა მცირე მოცულობის უურნალ- ში დასაბეჭდად დაწერა რომანი ლოთობის წი- ნააღმდეგ. უურნალის ცურცლებზე რომანის შესახებ ასეთი რეკლამები გამოქვეყნდა:

ციფხილიც მოგვასულთა

საცურალიზოდ:

„ზრანცლინ იცავსი აც უჩაღური ლოტია
სახელმოვავილი აპერიკალი აპტორის
თანამარხოვა მორხოვა
და იცილებოთ და

აღ ფრთო ვა დ ი თ!

ავტორის ტალანტი და მიმზიდველი სიუკეტი
დიდ წარმატებას უქადის რომანის

მოთხოვობა ხაგანგებოდა დაწერილი ქურნალ
„აბალი სამყაროსათვის“ ამერიკის
ერთ-ერთი ხაუკეთებო რომანისტის შიგი
რათა, ამერიკილი ანალგაზრდობა
სპირტიანი ხასმელების დამღუცველ
ეჭვაქ გამოგლიჭოს შელიდან!

მოგვიანებით უიტშენს უყვარდა ხოლმე თქმა,
ამ ანტიალუპოლურ რომანს რომ ვწერდი,
ხშირად მოვწყდებოდი ხელნაწერს და შთაგონე-
ბის გასაღვივებლად ჭიქა ჭინისთვის გადავირ-
ბენდი შეზობელ სამიკანუროში.

რომანი უალბი და სწორხაზოვნად გულუბრუ-
ვილო გამოდგა. იგრძნობოდა, რომ ავტორი არ
იყო გატაცებული არჩეული თემით. საერთოდ,
უიტშენის იმუამინდებული ნაწერებისთვის ნიშნეუ-
ლია ამგვარი გულგრილობა. ერთ დამოუკიდე-
ბელ აზრს ან ერთ რამდენადმე თამაშ ხახესაც
კი ვერ წააწყდებით. ჩერ კიდევ ნიუ-იორკში
ჩახვლამდე პორტი გახატონებული დემო-
რატიული პარტიის წევრი გახდა და მოჩი-
ლად ასრულებდა მის დირექტორებს. 1846 წელს
მას პარტიულ გაზეო „ბრუკლინის არწივის“
რედაქტორობა შესთავაზეს, მაგრამ აქაც არ-
ვითარი თვითმყოფადობა არ გამოუვლენია.

დემოკრატიული პარტია თავისი რადიკალური
ფრაქტეოლოგიის შიუხედავად, ყოველნაირად
ეწინააღმდეგებოდა ზანგების სასწრავო განთა-
ვისუფლებას, უიტშენი იმსანად ბოლომდე იშია-
რებდა პარტიის თვალხაზრისებს. როცა „დემო-
რატები“ დაიწინებით შოთხოვდნენ მექსიკის
დაბურობას, პორტი თავის გაზეთში წერდა: მექ-
სიკელები „ძალშე უხეშნი“, ვერაგნი და ცრუ-
რწმენით აღსავსენი არაან, ამიტომ „პროგრე-
სის სახელით“ აუცილებლად უნდა ჩამოვარ-
თვათ მათ მიწებით.

ის შეაცრად ტუქსავდა „მოუთმენლებს“ და
„დანატეროსებს“, რომლებიც ზანგების სასწრა-
ვოზ განთავისუფლებას შოთხოვდნენ. არა-
ისახელ უგრძვნია უიტშენს იმის საშიშროება,
რომ უკადურეს ზომათა მომხრენი — მემარჯვე-
ნენი და მემარცხენენი — შეერთებულ შტა-
ტებს დამხობამდე და დაზუპვაზდე შიოუვანდნენ. 17

ქვერტიშვილი, პასიურობა, ბოროტების შემართ
წინააღმდეგობა ამერიკითი პოეტის უმთავრეს
პიროვნებისეულ ნიშნებიდ ჩინონ მოელი შიხი
ცხოველების მანძილზე. შიგური არვინი თვის
წიგნში აღიმზნავს, რომ უიტშენი შესანიშნავი
მოცურავე იყო, მაგრამ არ არ მოცურავე შებარ-
აუბია ქარიშხალის ჰილი მარტინ და უკავების
საპირისპიროდ. „მე ერთი არაჩვეულებრივი
უნარი გამართდა, — იგონებს პოეტი ხორცი
ტრაუბელთან საუბარში, — ძალშე დადგანს
შემცემლო წულის სედაპირზე წოლა, დაწვები
ზურგზე და საიცემაც სურს იქით წაგილოს
წყალშა. ამგვარად ცურვა მე ძალმიძღვა უხა-
რულოდ“.

ეს სიტუცები ძალშე ნიშანდობლივია უიტშე-
ნის ცისქოლოგიის პირველხაფუძველთა განა-
ვითარების უიტშენშე როცა ვუიქრობ, —
დამაჯერებლად აცხადებს ნიუტონ არვინი, —
თავზე დატეხილ ზვირთებთან გააფირებით შერ-
კინებული კი არ წარმომიდგება, არამედ წუნა-
რად მოცურავი, ზურგზე გაწოლილი და იმუდო-
ან, მეგობრულად განწყობილ სტიქიას შინდო-
ბილი“.

საერთოდ, პროტესტი, გულისუყრობა, რისხ-
ვა უცხო იყო შისი ტემპერამენტისათვის. ერთი
მისი მეცნიერთაგანი ისხენებს, აბეზარ კოლო-
მბესაც კი არ გაუქნევდა ხელს. „ჩევნ დანარ-
ჩენები კოლომბისგან გამეტებულნი დამის გა-
აფირებამდე ვიყავით მისული, ის კი წარმხაც
კი არ იხრიდა, თითქოს შისთვის არ არსებობ-
დნენ მებენარები“ — სულერთოვად რომელი-
დაც შაფორულ შელოდის ლილინებდა, სიტუა-
ცივიათად დაძრავდა, მოცელი კვირის შანძილოც
შეიძლებოდა, ერთხელაც კი არ გაედო ხმა,
თუმცა თავად სანაქებო მსმენელი იყო.

იმ აღრეულ წლებში უიტშენი პერიანად იყ-
ვამდა: ცილინდრი ეხურა და ხელში მსუბუქი
ხელქოში ეკავა მას უყვარდა უქმალ ხეტიალი
ნიუ-იორკში. დადიოდა და თან უურალებით
ათვალიერებდა გამვლელებს.

იმხანად ის დიდი თეატრალიც იყო. როგორც
პრესის წარმომადგენელი, თავისუფლად შედა-
ოდა ნიუ-იორკის მრავალ თეატრში. მსოფლიოს
ჩრდილო მსახიობები გამოილოდნენ შაშინ ნიუ-
იორკები მაულებლის წინაშე. პორტი განხა-
კუთრებით იტალიურმა თეატრამ გაიტაცა: რუ-
ბინი, ალბონი, პოლინა ვიარდო და სხვა ხახე-
ლოვანი მომღერლები თეატრით წილებში
ჩვენთან, პეტერბურგშიც იყვნენ გასტროლებში.
რამდენიმე სეზონი ამერიკაშიც იმღერეს და
უიტშენს მათი გასტროლები თავისი შაბაზე-
დილებიანი ხიჭაბურის უმნიშვნელოვანეს მო-
ლენად მიაჩნდა.

უსასრულოდ გრძელ ბროდვერზე (ნიუ-იორკის შოვარი არტერია) ჩაშინ მოუხერხებელი თმნიშები მიღი-მოდიოდნენ გრუბუნით. კოუიებზე ცქალი, შუბლებასსნილი, ზორბა შეეტლები იუვნინ წამომსხდარნი. მათ თავიანთი წრის სიამაყენიც ჰყავდათ. უიტმინს რომ შენიშვნენ ხოლმე, შეგობრულად მიესალმებოდნენ და ვაერდიდ დაისვამდნენ. პორტი შეპირად უკითხავდა მეტლებს ურაგმენტებს შექსპირის „იულიუს კეისარიდან“, თან ცდილობდა თავისი ხმით ქუჩის ლრანკელი ჟაფარა. შეეტლები კი მათებური იუმორით შეცვრილ ათასგვარ (უმეტესწილად არცოუ უხამსობას მოკლებულ) ეპიზოდებს მოუთხრობდნენ საკუარი ცხოვრებიდან.

საერთოდ უიტმინს ბევრი მეგობარი ჰყავდა, შეცწილად უბრალო ხალის წრეში. ამერიკელმა პორტმა ადრევე გამოამუღავნა ის პორვებისეული თვისება. თვითონ რომ „მაგნიტიში“ უწოდა: დურგლები, ხელოსნები, შეპორნები მეგობრებით ხელებოდნენ და ფამილიარულად ესალებოდნენ შას.

უიტმინი უკვე თცდაათშე მეტი წლისა იყო, იმაც შეჭალარავებოდა, მაგრამ ჩერ კიდევ არავის, თავად პოეტსაც კი არ გაევლო გონებაში, რომ ის გენიოსი, უდიდესი შემოქმედი იყო. ავრ უკვე მეოთხე აოწლეულს უახლოვდებოდა, საშუალო დონეს აღმატებული კი ჩერ არაური შეექმნა. რა იყო მის ხელი? პოთორნისა და ელგარ პოს წაბაძეოს შეონშეული ულიმდამი მოთხრობები (მაშინ უმთავრესად ამ შეირლებს ბაძავდნენ), რომლებშიც ნაცნობალებოდებს, ცრემლის ანგელოზებს და მოვარეულებს შეხვდებოდით, და გაუმართავი, დილეტანტური ლექსები. ერთმა ჩელაქტორმა ეს ლექსები ასეთი დანართით დამეტდა: „ავტორს კიდევ ნახევარი საათი რომ ემუშავა ამ სტრიქონებზე, მშვენიერი ლექსები ავტენტოდა ხელო“.¹⁰ უკველივე ამას თან ერთვოდა მის მიერ ჩედაქტირებული წირილ-წვრილი გაზეობები. ეს იყო და ცს. რაც კი შეიძლებოდა მომავალ თაობებს გადასცემით შემკვიდრეობით.

ერთხელ (1848 წელს) პოეტი ახალ ირლეანში გაზირ „ნახევაროთვარები“ (ამგვარია ახალი ირლეანის ფიგურალური ხახლები) სამუშაოდაც კი გაემგზავრა, მაგრამ ხამი თვიც კი არ გასულა და უკეთ პფაფთან იჭდა, ბროდვერზე, თავის საუფარელ სამიკიცნოში.

ასე და ამგვარად, უოველგვარი გეგმის გარეშე განვლო მან ნახევარი ცხოვრების გზა. ასც ბედნიერების მადევარი უოუილა, არც დიდების; იმით კმაყოფილდებოდა, რაც თავისთავად მიუტივტივდებოდა, თავი იხე ცვირა, ზეგო-

ნებოდათ ჩერ კიდევ ასეული ან ათასეული წლები აქვს განსალევით. აღმართ დედამისს არა-ერთგვის დაუჩიველია „ნეტავ ვალტერმა ცოლი ითხოვოს ან კიდევ სადმე მოწიურს სამუშაოდ; ძები განაწერებულები წამოიბერებუნებდნენ: ჩვენ ყველანი ვმუშაომზ, მხრიოდ ვალტერია უმაქნისი, დილიდური უწუნულებელი ხე-წოლში აგდია, პირქუში წარმატებულ უწუნულებელი უერმერიც რომ იუო და დურგალიც, ოცდათხუ-თმეტი წლის ვაუიშვილი აიძულა, ნაჯახი და ხერხი აელო ხელში, თან დასძენდა. ეგ უცრო გამოგადგება, ვიდრე სტატიები და ლექციებით (მართლაც ფერმერებისთვის ჭოხების აშენება და გაყიდვა უფრო სასარგებლო ხაჭმე გამოდგა), მაგრამ ანაზღად გამოირკვა, რომ ეს უგერ-გილო კალმოსანი, კენიოსი, წინასწარმეტყველი და ახლი ხახარების შეადავებელი იყო.

8.

და უიცრად უიტმინის ცხოვრება ძირიესვია-ნად შეიცვალა, როგორც ზღაპარში ხდება ხოლ-მე, თითქოს იგი სხვა ადამიანად იქცა. იმის მაგივრად რომ დინებას წაშუოლოდა და ზვირ-თებს ზანტად დანებებოდა, პირველად თავის ცხოვრებაში შორეული, ძნელად მისაღწევი მი-ზანი დაისახა, და ძალ-ღონე არ დაუშურებია, რათა უკველა ის წინააღმდეგობა გადაელახა, რო-მელიც შიგნისეკნ მიმავალ გზაზე ეღლებოდა. პირველად იჩინა ამ ადამიანში თავი ფლიანდი-ურმა, ჭიუტმა ნებამ. დაიწყო მისი მიოგრაფიის უვილაშე რთული, უკველაზე მინიჭებულოვანი, კეშ-მარიტად შემოქმედებითი პერიოდი. ჩვენთვის მხოლოდ ეს პერიოდია საინტერესო.

უკველაზე უცნაური უიტმინის ბიოგრაფიაში მისი ფერისცვალების ანაზღეულობაა. ცხოვ-რებდა კაცი, ისევე როგორც უვილა ჩვენთაგანი ცხოვრობს, მიაღწია თცდაცამეტი წლის ასაკს, და უცრად, სავსებით მოულოდნებულად, წინას-წარმეტყველად, პირენთაბრძენად და ლვის-მჭვრეტელად იქცა. ჭერ კიდევ გუშინ თავის გახელულ სტატიაში ქალაქის გამგეობას საჩეი-ნიგში უწესრიგობათა გამო ედავებოდა, დღეს კი სახარებას წერის მსოფლიო დემოსიენის!“ „ადამიანში ანაზღად ტიტანი იშვა“ — აღნიშ-ნავს პოეტის ერთ-ერთი თაუგანისმცემელი. ავრ კიდევ გუშინ ის უკველასათვის უსარგებ-ლო ლექსების უნიათო მჩღაბნელი იყო, ახლა კი მის მიერ ნაწერ გვერდებზე ცხოველმოსილი ასოებით მარადიული ხიცოცხლეა აღმეტდილი. ამ გვერდების მნიშვნელი მხოლოდ ჩამდენიშე ათეული გვერდი თუ შექმნილი კაცობრიობის მოელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე“. თვი-

თონ უიტჩენი თავის ფერისცვალებას ამგვა-
რად აღნიშნავს:

მითხარ, ნუთუ შენ არასოდეს არა გწვევია
ეძი ღვთაებრივ თვალისახელის?

როდესაც საპნის ბუშტებივით ქრებიან
თვალწინ

სიმრავლეები წიგნების და სიმდიდრეების,
ჩვევათა და ხელოვნებათა,
პოლიტიკური ანდა სივიწრო ამბებისა
ან სამიჯნურო ისტორიების?

(„მითხარ, ნუთუ შენ არასოდეს არა
გწვევია“)

მისივე ხიტუვებით რომ ვთქვათ, ეს „ღვთაებ-
რივი „თვალისახელის წამი“ იცლისის ერთ ნა-
თელ დილიას 1858 თუ 1854 წელს ეწვია. „შე
მახსოვეს — წერს ის პოემაში „სიმღერა საკუთარ
თავზე“ — ჟაფხულის გამჭვირვალე დილა იდ-
გა, მე ბალახზე ვიწევი... და უეცრად მუშდროე-
ბას, სიმშვიდეს და ადამიანურ სიბრძნეს აღმა-
ტებული ყოვლისმცოდნეობის იმგვარი გრძნობა
დამეუფლა, რომ მივხვდი... ღმერთი მშა იყო
ჩემი, მისი სული ჩემივე განუყრელი ნაწილი,
ხოლო საშუალოს სიყვარული ედო საფუძველთა
საფუძველად“.

ჩენ არა გვწამს ახეთი მუისიერი ფერისცვა-
ლება: სავსე პავლედ რომ ქცეულიყო, აღრეც
პავსე უნდა ყოფილიყო. როდესაც უოლტ უიტ-
ჩენი უცერულ ხელურნალო ნაკვევს წერდა
ანდა მთელი დღეების მანძილზე ლონგ აილენ-
დის სანაპიროზე იწვა, ვინ იტუვის, მაშინ თუ
რა გრძნეული, თავად მისოვისვე მიუწვდომელი,
უფორმო გრძნობები უტრიალებდა გულის
წიაღში? აკი მოგვიანებით თავადვე ამბობდა,
სადღაც ტვინის საიდუმლო ლაბორატორიაში
ჩემი წიგნი ნელნელა იქმნებოდა, მე არაური
ვიკოდი მის შესახებ და გამიძვირდა კიდეც,
როდესაც ანაზღად სამშეოზე გამოსული ვნახეო.
თუმცა ჩენ გვიპირს იმის გაგება, პატარა
შწვანე უოთლები ერთ მშვენიერ დღეს როგორ
გადაიქცივიან უშველებელ ალისფერ უცვი-
ლალ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ალისფერი
უვავისლი, რომელიც სავსებით არ ჩამოშევს ამ
უოთლებს, თავიდანვე მათში იყო ჩამალული,
რათა მერე ერთ ლამეში ეცეოთქა და სასწაულებ-
რივად დანახვებოდა ქვეყნიერებას!

შართალია, ერთხანს ისეთი პირი უჩინდა
უიტჩენის ცხოვრებას, იღიქრებდი ქველა დევლ
კალაპოტს მიძყვებათ. სამხრეთიდან რომ დაბ-
რუნდა ისევ ბრუკლინში დახახლდა და იქ ფრი-
სილერების — (თავისუფალი მიწა) ახალ პარ-
კიას მიემსრო, ამგრად ადრინდელთან შედარე-

ბით უფრო მემარცხენე გრუვს დაუკავშირდა,
მაგრამ მას სავსებით განერიდა პოლოტიკას,
მამისეულ უორმას დაუბრუნდა, განმარტოვდა.
ხშირად ოკეანის ნაპირას სეირნომზა, და თავისი
დახვეწილი, კლაუნილი სეირი დაუბრუნდა აურაც-
ნელ უტრცლებას. უიტჩენის აგარ ძალაში გაპ-
ვირვებული იყო, რადგან არა მარტივი პირ-
ველად თავის სიცოცხლეში დაუბრუნდა ცხოვ-
რების გეგმა შეიმუშავა. „ნერად საგარო ლიქ-
ციების წაკითხვას ხომ არ აპირებს, შორის
კასრი კალადები რომ დავგროვა“ — ამბობდა
მისი მიამიტი დადა ურიცხვი შავი ხელნაწი-
რის შემხედვაზე.20

მაგრამ უიტჩენის არც იმის საშუალება გააჩ-
ნდა, რომ შორისად მისცემოდა თავის ახალ
საქმეს. დროდადრიც მაინც უნდა ეწერა ხეგ-
ვეთო სტატიები, ამასთანავე მამამისი უკვე
ხშირად ავალმყოლობდა და მას ბრუკლინის ხახ-
ლების მშენებლობაში ცელით აღჭურვილი თა-
ნაშემწე ესაკვირობოდა.

და მაინც ხეთწილეული, 1840 წლიდან მოყო-
ლებული 1855 წლამდე, რატჩენის ცხოვრებაში
უაღრესად მნიშვნელოვან ეტაბს წარმოადგენს.
ეს არის მიზანსწრაული, გულისყურიანი, თა-
ვაუღებელი, ჯერარგანცდილი შემოქმედებითი
შრომა-გარების წლები. სწორედ ამ შრომაშ
აქცია ეს ერთი ჩვეულებრივი ურსალისტი
(მისი მხგავსნი მრავლად იყვნენ მაშინდელ ამე-
რიკაში) უკვდავ, მსოფლიოში ხახლომოხვეჭილ
წიგნის აკტორად.

ამ წიგნის წერას რომ მიმყო ხელი, უიტჩენ-
მა თავის თავს ის ამოცანები დაუხახა, რომელიც
დაძლევა მნილოდ გენიოსს თუ ხელეწილება.
უპირველესი ამოცანა იმ პირობას ითვალისწი-
ნებდა, რომ წიგნი კეშმარიტად ამერიკული,
ხალხური, აშერიყის სულის გამომხატველი უნდა
უყოფილიყო.

იმხანად შტატების პუბლიკისტიკაში მრავალ-
გვის გამოიიტვა მწარე კეშმარიტება, რომელიც
ძალის შეურაცხმული იყო აშაცი რესპუბ-
ლიკის ეროვნული თავმოყვარეობისათვის. ამტ-
კიციცებდნენ, რომ ამ ქვეყნის ხელოვნება მიმ-
ბადებელობა და ჩერ არ შექმნილა კეშმარიტად
ამერიკული, „უცოდალური“ ეკროპის ტოლფა-
სი ხელოვნების ნიმუშები. იანები ეკროპას
ინერციით კვლავ „უცოდალურის“ უწოდებდნენ,
თუმცა ეკროპა უკვე კაპიტალისტურ-ინდუს-
ტრიულ ქვებში იხარშებოდა და მისი ფეოდა-
ლიზმი ხარჭივოთდა თუ გამოდგებოდა.

და რადგან ორმოციანი და ორმოცდაათიანი
წლების ამერიკელებს ურცევად სწამდათ, უკე-
ლა დარგში გავუსწარით ეკროპას, ვერაფრით
ვერ ურავდებოდნენ თავიანთ ჩამორჩენას ლი-

ტერატურის, შუსყის, პოეზიის და უერწერის სფეროში. ოუმცა ლიტერატურაში ამერიკელებს უკვე ჰყავდათ დიდი ტალანტის მქონე აღამიანები: ვაშინგტონ ირვინგი, უენიმორ კუპერი, ახლადგარდაცვლილი ელგარ პო, ახალი ინგლისის დახვეწილ ინტელიგენტურ წრეებში ერთხმად აღიარებული ფილოსოფიას-მორალისტი ემერსონი „ცხოვრების უსალმუნის“ და „მონძაშე შეთხზული სიმღერების“ ავტორი, ტბილსასმენი პენრი ლონგველი. მიგრამ აქვე უნდა ითქვას. რომ უველი ეს ჭემოჩამოთველილი პიროვნება ცვროპული ტრადიციის ერთგული იყო. ისინი თავიათ შემოქმედებას ეცროპულ გემოვნებას უსაღაგებდნენ და კეშმარიტად ეროვნულ-აშერიკული მუხტი შათ ნაწერებში ჩალენე სუსტი იყო უიტშენის მტკიცებით, შეერთებულ შტატებს ამგვარი პოეტების ყოლა ხელს არ აძლევდა. პოეტს თანდათან ჩრდენა ეძარებოდა. ის ფიქრობდა რომ „ბრუკლინელი ასოთამწყობი“ და „ნიუ-იორკელი პანელის ხაყვარელი“ ვალტერ უიტშენი თავადევ იყო მოწოდებული ხაიმისოდ, რათა ახალი ამერიკული ეროვნული პოეზიისთვის დაედო სათავე.

„უიტშენის წინაშე კოლოსალური ამოცანა იდგა — ამბობს მისი ბიოგრაფი გიუ აინსონ ჩოსეტი, — და შან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაწილომოდა, ეს ამოცანა გადაეცირა, — ამერიკის ხმად, სხეულად, მის მრავალხასოვან განსხვაულებად ჭრიულიყო“.

იმავე ბიოგრაფის ძალის დამაჯერებელი ვარაუდის თანახმად, ამ გადაწყვეტილებამ განსაზღვრული ფორმა თავდაპირველად 1848 წელს მიიღო, როცა უიტშენმა ახალი ორლეანი მოიარა და უკან დაბრუნდა. ამ მოგზაურობის დამს შან ჩეილშეტი შტატი მოიარა. ზალაშქრატები, მდინარეები და პრეტიები გადაღახა, ხაბოლოდ, სულ ითხი ათას მილზე მეტი მანძილი განვლო.

„ამერიკელები უველავე უფრო პოეტური ხალხი, დედამიწაზე თდესმე მაცხოვებელ ხალხთაგან“ — ასეთი უოკოჩური მრჩამელი დაბრუნდა უიტშენი მოგზაურობიდან, — შეერთებული შტატები თავისთავად პოემა“.

ეს იყო პოემა, რომელიც ჩერ არავის არ შექმნა და უიტშენმა გადაწყვიტა მისი შექმნა. მოგვიანებით პოეტს არაერთგზის უთქვაშს, ჩემი წიგნი პირველი ხტრიკონიდან ბოლო სტრიქონაშე თანადროული ამერიკის ნაკარნახევია. ერთ-ერთ ლექსში ის პირდაპირ ამბობს: „ვინც მოისურვებს იმის შეტყობის, თუ რა კვეყანა ამერიკა და როგორ უნდა ამონხნას ის დიდი გამოცანა. რომელსაც უველა უცხოსათვის ამერიკის ათლატური დემოკრატია

წარმოადგენს, მან უნდა აიღოს ხელში ეს წიგნი“.

„ეს დღეშიც ლექსად თუ პროპატ დაწერილ წიგნებს შორის უველავე ული მერიკული წიგნია. — კვერს უკრავდნენ შეგვანებით კრიტიკოსები. — ეს წიგნი აშშ-ის უკავების დემოკრატიის უველავე უტრუალი სარტყეა“.

4.

ამერიკას თავისი არსებობის უბედისები ხანა ედგა, თავბრუდამხვევ წარმატებათა და ნათელ, თუმცადა განუხორციელებელ იმედთა ხანა.

იმ ეპოქაში მცხოვრებ უოველ ამერიკელს ფსიქოლოგიურად შეონდა შთანერგილი სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ შათი სამშობლო გიგანტურად ფართოვდებოდა სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ. 1816 წელს შეიქმნა ინდიანას შტატი, 1817 — მისისიპისა, 1818 წელს — ილინისის, 1819 წ. — ალაბამას, 1821 წ.— მისურის. თავისუფალი მიწის უართო სივრცეების ეს უსწრალესი ათვისება, ატლანტიკის იკეანიდან წყნარ იყეანემდე რომ იყო გადაჭიმული, ორმოცდათიანი წლების დასაწყისში დასრულდა ნევადას, უტახას და „ოქროს ფსკერის“ — კალიფორნიის შემოერთებით.

ამ მოულე დროში, ერთი ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში, ჭრი კიდევ თაობათა ცვლის პროცესიც რომ არ იყო დასრულებული, ატლანტიკის იყეანესა და მდინარე მისისიპის შორის შეუურული არცო ისე დიდი ხახელმწიფო უეცრად უზარმაზარი კონტინენტის უდიდეს მეურვედ გადაიქცა. ცამეტი შტატი იყო და განდა იცდათოთხმეტი.

ჩრდილოეთ ამერიკაში მდებარე ჩესპერჭლიკის საზღვრების უმაგალითოდ სწრაფი გაფართოება უიტშენის თანამედროვეთა ცნობისებაში აღიძესდა როგორც დიდი ეროვნული ტრანსიცი.

იმისათვის, რათა კონკრეტული წარმოადგენა შევექმნას იმედინდელ მდგომარეობაზე, საკმარისია თვალი გადავავლოთ უიტშენის გვიანდელ წერილში ცირკულაციულ მედიდური ტონით წარმოოქმნა ხიტუვების.

„არცო ისე დიდი ხინის წინ, — ამბობს ორატორი, უიტშენის ეპოქის ტიპიური იანეი, — ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია 900 ათას კვადრატულ მილსაც კი არ შეადგენდა, ამას კი ეს სივრცე თთხნახევარ მილი ათას აღწევს! ჩემი კვეყანა დიდ ბრიტანეთსა და საურანგეთს ერთად აღებულს თხუთმეტსაც აღემატება სიდიდით; მისი ხანა-

პირთ შოლი, ალიასკის ჩათველით, დედამიწის გარშემოწერილობის თანაცარდია.. აქ რომ ხალხი ისე მჭიდროდ დაახახლო, ბელგიაში რომ ხახლობენ, მთელი პლანეტის მაცხოვრებლები დატევიან. და რადგან ჩვენი ორმოცხვილობიანი მოსახლეობის უცელაზე ღარიბ-ღატაკი მოქალაქეებისათვის არსებობს სრული თანახწორულებიანობა, შეგვიძლია სიამაყით...” და ა. შ. და ა. ფ. 21

და რაც მთავარია, ამ ნოუიერი შიწების უზარმაზარი ნაწილი ჩირ კიდევ გაუტეხელი უამირი იყო. 1860 წელსაც კი იმ ორი ათასი მილიონი აერთ შიწიდან, იმხანად რომ ფლობდა რესპუბლიკა, მხოლოდ მეხუთედი ნაწილი ჰქონდათ ამერიკელებს ათვისებული. ოთხი მეხუთედი დაუმუშავებელი მიწებისა, ჯერ კიდევ მოლოდა დასახლებას და უამირის გატეხვას. ამიტომაც აძლევდნენ ამ უამირ შიწებს უცელას, ვისაც კი შეეძლო და სურდა მათი დამუშავება. ამან, რა თქმა უნდა, რამდენიმე ათწლეულით შეგაუერჩა შტატების პროლეტარიზაცია... ნებისმიერ ხელმოკარულ კაცს და უსახლეარო ღარიბ-ღატაკს შეეძლო ფერმერად ქვეულიყო...

ამ საყოველთაო თაპტიმიზმით გაფერენილ ბედნიერ ატმოსფეროში გაილია უატმენის უშუოთველი სიკაბუკე. ამ ატმოსფეროს წიაღშივე წარმოიშვა მისი წიგნი. ამ კეთილისმყოფელ ეპოქის უუძემდებლებად, მის მოციქულებად მინიეულნი იყვნენ ამერიკის შერეფებული შტატების პრეზიდენტი თომას ჩეივერსონი (1748-1826) და მისი ერთ-ერთი დიდი მემკვიდრე ენდრიუ ჩეივერსი (1787-1845). ეს ადამიანები მაშინდებლი დემოკრატიული მასების კერპებს წარმოადგინდნენ. უიტმენის მამა ქედს იდრეკდა მათ წინაშე და ამერიკელ პატრიოტებს შორის გავრცელებული ჩვეულების თანახმად, შეიღებს მათი სახელები დაარქვა.

უიტმენის პოეზია ჩეივერსონისა და ჩეივერსის ამ დემოკრატიული ერთი ცხოველშეულე ინაბეჭდს ატარებს. პოეტის სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეების სერიოზული შევლევარი ნიუტონ არვინი პირდაპირვე წერს თავის წიგნში: „ის იზრდებოდა და მწიფებოდა იმ წლებში, როდესაც ტანქე, და უპე-დურება არ აკლდა ხალხს, მაგრამ ამასთანავე მატერიალური სიმდიდრის ზრდა და საზღვრების გაფართოება დიდ სიხარულს შევრიდა უცელას. ის იმ სოციალურ ფერას ეკუთვნოდა, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა იყო და იმედით აღსავსე. უიტმენის მხოლოდ იმ ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა, რომელიც თავიანთი „სიმკირის“ მიუხდავად გრძნობდნენ, რომ მათ წინაშე მთელი ქვეუნიერებაა

გადაშელილი, ხოლო ჭეფერსონის და ჩეივერსის პარტია კეთილდღეობასთან ერთად დოკუმენტი მოიხვევს და გააძლიერს კიდევ ხალხს“.

ამ თატიმისტური გრძნობითაა იღებული უატმენის წიგნი. ის არამარტო მაშინდელი ამერიკის ხინამდვილეს ასახაური, წარატექნიკური მოიდებაც. წიგნის გამოშეცემული არის 1861 წელი, — უატმენმა ააწერ თავად და თავადვე დაბრჭედა (800 ცალი) ერთ პატარა, მეგობრების კუთვნილ სტამბაში. წიგნს ერქვა „ბალახის უოთლები“ და 1865 წელს გამოიცა, მოეტის მაშის გარდაცვალებაშედე რამდენიმე დღით აღრჩე. აფტორის გვარი უდაზე არ ყოფილია აღნიშნული, თუმცამა წიგნში დაბრჭედილ ერთ-ერთ პოემაში ამგვარი სტრიქონი იყო:

მე ვარ უოლტ უატმენი, თავზეხელალებული იმერიკელი და ჩემშია მოქცეული მთელი სამყარო.

წიგნის გამოსვლაშედე პოეტი თავისთავს ვალტერს უწოდებდა. მაგრამ ვალტერი ინგლისელის უერისთვის — „არისტოკრატული“, „უელდალური“ ხახელია. ამიტომ თავისი „ხალხური“ წიგნის შექმნისთანავე უატმენმა ხახელი შეიცვალა და გაცილებით უამილიარული ელუერი შესძინა თავის ხახელს: ახლა მას ვალტერის ნაცვლად ერქვა ვალტი (Walt — ინგლისელი უონეტიკის მიხედვით უოლტი). იგივე იქნებოდა რუს მწერლალს ფიოდორის ნაცვლად უედია რომ დაერქმია.

კალენ्डორის მწვანე უდაში ჩაესვათ წიგნი, ყდაზე ბალახის დერაქები და უოთლები იყო აღმიტდილი.

წიგნს ერთვოდა ავტორის დაგეროტიბული პორტრეტი, — სამუშაო ხალათში გამოწყობილი ლამაზი, გაღარაშერთული მამაკაცი, უელი მომიშვლებული ჰქონდა, ნიკაპს პატარა მჩევალი წვერი უფარავდა, ცალი ხელი გიბეში ჩაეცა, მეორე მეუღლის ედო და დახვეწილი, მეოცენებე, ჩაფიქრებული გამომეტუველება უძრიოდა ხახეზე. ავტორის ჩაცმულობა და თავდატერა კიდევ ერთხელ უსვამდა ხახს იმ ამბავს, რომ ის „მდაბიოთა უენას“ ეძუთვნოდა.

წიგნს ხმაურიანი ლანძღვა-გინებით შეხვდნენ. „ბოსტონის მაცნემ“, რომელიც ახალი ინგლისის უცელაზე უფრო თავდატერილი წრეების გემოვნებას გამოხატავდა, განაცხადა, რომ „ეს წიგნი მაღალფარდოვნების, ბაქიობის, უმეტების და სიტლანების ნაზავია“.

იმხანად ხახელმოხვეჭილ კრიტიკოს გრძნეულდა, (ხადლეისოდ ცნობილია მხოლოდ იმით, რომ ცილი დასწავა ელგარ პოს და დაამახინა

შისი ბიოგრაფია) ექუთვნის „ბალაბის ფოთლებისადმი“ მიძღვნილი გესლიანი ხტრიქონები, ლექსი დაიძეჭდა უოველკვირეულ იუმორისტულ ფურნალში „მომზა“; „ეგ სათაური ზედმიწევნით შეპფერის შენს წიგნს, შენს სტომაქს არმად შეკურება ეგ სისაძავლე, „ბალაბის ფოთლებს“ ვინ არ შევაძან, რომელი მხეცი, ძროხებს აჭამე და მოუგდე ღორებს ნაძრახებს, მაგრამ კაციათვის არ ეგვების ეგ საცოხნელი, ვირიანი და გასეხილი დამპალი სწებით, ხალხი გაგირბის და მოგაბის: „ტლუ და ონერი, ეს შენ ხარ ღორი, მწვირიადი, მყრალი და უელი“.22

ამ შრისხანე რეცენზიის ავტორი ნამდვილად განციფრდებოდა, მისთვის რომ ეთქვათ, სწორედ ამ „პირიანი“ და „გადამდებსნებიანი“ წიგნის გამო უიტმენს ნიუ-იორქში ძეგლი აღუმართესო. არც იმას ირწმუნებდა, რომ ამავე წიგნს მომავალში მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნიდნენ და მილიონთა თვალში ის განდებოდა ერთ-ერთი იმ უბრწყინვალეს წიგნთანი, რომელიც კი შექმნილ იდესმე ამერიკაში.

ამავე რუტუს გრიჭუოლდმა, სხვაგან, „ბალაბის ფოთლებს“ „ნებვის გროვა“ უწოდა და მთავრობისაგან მისი აკრძალვა მოითხოვა.

ფოსტალიონს უიტმენისთვის წიგნის ახალ-ახალი ცალები მომქონდა: ეს პოეტის მიერ ნაჩრევარი გვჟემპლარები იყო, რომლებსაც აღმფოთებით უბრუნებდნენ უკან. სახელმოხვევილში პოეტმა ქონ უიტერმა წიგნი ცეცხლს მისცა.

და უეცრად თვით ემერსონისგან მიიღო წერილი პოეტმა, იმ ემერსონისგან, რომელიც ცვერლაშე უფრო ავტორიტეტული ამერიკელი მწერალი იყო და რომელსაც ქვეყნის მკითხველთა მასებზე უდიდესი მორალური ზეგავლენა ჰქონდა. ემერსონი მაშინ მცირე სოფელ კონკორდში ცხოვრობდა (პოსტონის მახლობლად), და ამიტომ მას „კონკორდილ ბრძენ-კაცე“ უწოდებდნენ. უოველი მისი სტატია, ყოველი საჭარო ლექცია მოვლენად იყო მიჩნეული ამერიკელთა საზოგადოებრივ ცხოვრებიში, და ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მღელვარება დაეუფლებოდა უიტმენს ამგვარი წერილის მიღებისას.

„მარტოოდენ ბრმას არ ძალუს იმის დანახვა, თუ ჩარიგ ძვირფასი ხაჩუქარია თქვენი „ბალაბის ფოთლები“. სიბრძნის და ტალანტის მხრივ ეს თვითმყოფადი წიგნი აღმატება უოველივეს, რაც კი ამერიკას შეუქმნია. ბედნიერი ვარ, რომ ვკითხულობ მას, რადგან უდიდესი ძალისხმევა მუდამ ბედნიერების მომნიჭებელია“ და ა. შ.

ემერსონის აღფრთოვანება უმთავრესად იმით

აისსნება, რომ უიტმენის წიგნში მან საკუთარი გრძნობები და იდეები ამიყითხა, იგივე ემერსონის აზრით, „ბალაბის წიაღში წარმოშობილმა“ პოეტმა სავხებით დამოუკიდებელი გზით მიაგნო ამ ახალ სამყაროს.

ემერსონის გულმხურვალე. წერალის მიღებისთანავე უიტმენმა თავისი ფრენტულ უფრო მაღალი აღმოსავლეთ ნაწილს მიაშურა და სამარტინო ქმნიდა ახალ ლექსებს „ბალაბის ფოთლების“ ხელახალი გამოცემისათვის. იქვე გაატარა მთელი ზაფხული და მოგვიანებით ცხოვრების ამ მონაცევის „უბედინიერესი ხანა“ უწოდა. შემოღვიძაზე პოეტი კვლავ ნიუ-იორქში დაბრუნდა და გადაწყვიტა უკანასკნელი ღონე ენ-მარა, რათა მისი კრიტიკოსების მიერ შელანდული, გაუსაღებელი წიგნის მიმართ მკითხველის უურადღება აღეძრა. ნიუ-იორქში და ბრუკლინში, როგორც ძველ უურნალისტს, რამდენიმე საგაზეოთ რედაქციისთან შეგობრული კავშირი ჰქონდა და გადაწყვიტა ამით თავისებურად ესარგებლა, საკუთარ თავზე და წიგნზეც მაქებარი შენიშვნები შეთხსა და რეცენზიის სახით მათი დაბეჭდვა მოითხოვა.

აი, ერთ-ერთი მისი თვითრეკლამა: (დაბეჭდილია „უოველდლიურ ბრუკლინის ტაიმსში“): „შეურევნელი ამერიკული სისხლი აქვს, — ხარისით ჯანმრთელია, — კეთილად აღნავი — სხეულზე ერთი ლაქაც კი არ ატყვია — თავის ტკივილი და საკვების მოუნელებლობა არ აწუხებს — მადა შესაშური, — სიმაღლე ექვსი ფუტი, — წამალი გემოთიც არ გაუსინგავს — სასმელთაგან მხოლოდ წყალს სვამს, — უყვარს უურეში, მდინარეში და ზღვაში ცურვა, — უღლი მოშიშვლებული აქვს — მისი პერანგის სახელო ფართოა და სწორი, — სახე წითლად დასწევია, — კუნთმაგარი და ძლიერი საყვარლის სახე აქვს — ეს იმ კაცის სახეა, რომელსაც უველა ეხალმება და რომელიც უველას ძლიერ უყვარს, განხაჯუთრებით კი ჭაბუკებს, ხელოსნებს და შუშებს, — აი, როგორია უოლტ უიტმენი, ახალი ლიტერატურული თაობის უუძრემდებელი!“

იგივე სულისკვეთებით არის შეთხული უურნალ „Democratic Review“-ში დაბეჭდილი ქებათა-ქება: „როგორც იქნა ჩვენს შორის გამოჩენდა ქეშმარიტად ამერიკელი პოეტი გვეცო საბრალო მიმბარეელთა ფუსფუსი დღეიდან ჩვენ სავხებით დამოუკიდებელი გავხდებით... დღეიდან ჩვენ თვითონ ვიწყებთ ამაყი და ძალუმი სიტუაციაზე მწერლის შექმნას! დროულად მოვცელ შენ, პოეტო!“

მეორე მსოფლიო ომის დროს დაწერილ ლექსებში ასახულია პროტესტი ფაშიზმის სიმხეცის წინააღმდეგ. ომის შემდეგ დაიწერა მისი ხაყურადღებო ლექსების კრებული — „ქარიშხალი“, „ხატურა“ და სხვა.

იტალიის კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისათვის 1986 წლიდან სიკვდილამდე აჩერულია იტალიის პარლამენტის სენატორად.

1976 წ. ბელო (Bellow) სოლ. ამერიკელი მწერალი. დაიბადა 1915 წლის 10 ივნისს ლაშინში (კვებეკის შტატი, კანადა). 1918 წელს კანადაში გადასახლებული პეტერბურგის კომერსანტის ოქაში. სწავლობდა ჩიკაგოსა და ჩრდილო-დასავლეთ უნივერსიტეტებში. მიიღო ანთროპოლოგიურ და სოციოლოგიურ მეცნიერებათა ბაჟალივრის ხარისხი. 1946 წლიდან ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორია. მისი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით ცნობილია მოთხრობა „უაზროდ მოხეტიალე“ (1944 წ.), რომანები: „მსხვერპლი“ (1947 წ.), „ოდი მარის თავგადასავალი“ (1955 წ.), რომელსაც ბამაცონება წლის საუკეთესო წიგნის უროვნელი პრემია, „ჩაეჭიდე დღეს“ (1956 წ.), „პენდერსონი, წვიმის მელე“ (1959 წ.), „პერცოვა“ (1946 წ.), „მისტერ სამლერის პლანეტა“ (1966 წ.) და სხვა.

1977 წ. ალექსანდრე (Aleksandre) ვახენტე. ესპანელი პოეტი. დაიბადა 1898 წლის 26 აპრილს სევილიაში. დაიწყო ბეჭდვა 1926 წ. ადრუულ კრებულებში შეიმჩნევა სიურრეალიზმის გავლენა. 1933 წ. დააწილდოვეს ესპანეთის ეროვნული ლიტერატურული პრემიით. 1936—1939 წლებში გამოაქვეყნა ანტიფაშისტური ლექსები. ავტორია წიგნებისა: „სამოთხის ჩრდილი“ (1944 წ.), „უკანასკნელი დაბადება“ (1953 წ.), „გულის აზბავი“ (1954 წ.), „შინაგანი დიალოგები“ (1974 წ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია ფილოსოფიური ლირიკა. ესპანეთის კულტურის სხვა მოდეაწერებთან ერთად გამოდიოდა ფრანკისტური ტერორის წინააღმდეგ.

1978 წ. ჟინგირი (Singer) ისააკ ბაზევის, ებრაელი მწერალი-რომანისტი, რომელიც

წერს ოდიშის დიალექტზე, დაიბადა 1904 წელს, 14 ივნისს ვარშავის მახლობლად, რაძიმონში, რაბინის ოჯახში. სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, მაგრამ შემდეგ თავი დაანება სწავლას და 20-იან წლებში დაიწყო პოლონეთის ებრაულ გამომცემლობებში თანამშრომლობა. 1935 წელს წავიდა ემიგრაციაში აშშ, 1943 წლიდან აშშ მოქალაქეა. 1950—1969 წლების მანძილზე გამოვიდა მისი ნოველების ძირითადი კრებულები: „მუსკატუბის ოქაზი“, „ადგილ-მამული“, „წოლება“. განსაკუთრებით ცნობილია ნოველები: „სულელი გიმპელი“ (1975 წ.), „სპინოზა მარკეტ-სტრიტიდან“ (1981 წ.), „კაუკას მეგობარი“ (1970 წ.) და სხვა. ისააკ ზინგერმა თდიშის ენაზე თარგმნა თომას ჩანის „გადოსნური მთა“.

1970 წ. მიეკუთვნა აშშ-ის უმაღლესი ლიტერატურული პრემია.

1970 წ. ელიტისი (Elytis) ოდისეას (ნამდვილი გვარი ალეპულესი) (Alapudhelis) ბერძენი პოეტი. დაიბადა 1911 წლის 2 ნოემბერს პერაკლონში (კრეტა). პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1953 წელს ავანგარდისტულ უურნალ „ნეა გრამატიკა“-ში. 1945 წ. გამოვიდა მისი ლექსების კოლე „სიმღერა გმირული და სამგლოფიარო...“, რომელიც მიეძღვნა მეორე მსოფლიო ომის ამბებს. 1948—1959 წლებში ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ მუშაობდა საბერძნეთის სხვადასხვა დაწესებულებებში და ბევრს მოგზაურობდა. 1959 წელს გამოაქვეყნა პოეტური კილი „აქსიონ ესტი“. 1964 წელს მის ლექსებზე ცნობილია კომპოზიტორმა მიკის თეოდორიკისმა შექმნა მუსიკალური ნაწარმებები. ოდისეას ელიტისს ეკუთვნის აგრეთვე ლექსების კრებული „მარია ნეფელი“.

1980 წ. ჩესლავი (Czeslaw) მილაშ, პოლონელი პოეტი.

1981 წ. კანეტი (Canetti) ელიას, ავსტრიული ნოველისტი და რომანისტი. დაიბადა 1905 წლის 26 ივნისს ქ. რუჩიუში (ბულგარეთი), ესპანელი ებრაელის ოჯახში. ექვემდებარებული იყო, როდესაც ოჯახი ჭერ ინგლისში, ხოლო შემდგომ ავსტრიაში გადასახლდა. სწავლობდა ვენის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია ქიმიის დარგში. ამით მან დაამთავრა თავისი სამეცნიერო კარიერა და მწერლობა დაიწყო. 1938 წლამდე ცხოვრობდა ავსტრიაში, ხოლო გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსიის შემდეგ გადავიდა შვეიცარიაში და ჭერ ციურისში, ხოლო შემდეგ ინგლისში დასახლდა. იგი ამჟამადაც ლონდონში ცხოვრობს. ელიას კანეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა არც თუ ისე დიდია, მის კალამს ეკუთვნის ერთად-

ერთი რომანი „დაბრმავება“ (1985 წ.), რამდენიმე დრამა, მინიატურები და მგზავრის ჩანაწერები, მათ შორის კომედიები „ქორწლი“ (1982 წ.), „განწილულები“ (1982 წ.). აგრეთვე დღიურებისა და აფორიზმების წიგნები: „ადამიანის პროვინციაქ ქუდურული წემუარები „გადარჩენილი ენა“ (1962 წ.) უკანისადან უურში“ (1978 წ.). მასებისა და ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულება ელიას კანეტის შემოქმედების ძირითადი თემა. ელიას კანეტი აქტიურად იღაშერებდა უაშიშმის წინააღმდეგ, იმის შემდეგ კა აშკარად მშვიდობის მომხრეთა რიგებში დგება.

1982 წ. გარსები მარკესი (Garcia Márquez) გაბრიელ. კოლუმბიელი მწერალი, უურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1928 წელს სოფელ არაკატაში (მაგდალენის დეპარტამენტი), დაამთავრა ავტონომიური უნივერსიტეტის ბოგოტაში. შემაობდა კურნალისტად. 1959—1960 წლებში იყო „პრენს ლატინას“ სააგენტოს კორესპონდენტი. ავტორია მოსხრობების „ჩამოცვენილი ფოსტები“ (1958 წ.), „პოლკოვნიკს არავინ არა სწერს“ (1958 წ.), „ბოროტი საათი“ (1962 წ.), კრებულებისა: „მამა გრანდეს დაკრისალება“ (1962 წ.), რომანებისა: „მარტოობის ასი წელი“ (1967 წ.), „პატრიარქის შემოდგომა“ (1976 წ.). 1978 წლიდან იგი არის პოლიტიკური ინფორმაციის დამუშავების საერთაშორისო კომისიის წევრი და კოლუმბიის მშვიდობის საბჭოს საბატოო პრეზიდენტი, აგრეთვე ლათინურ ამერიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდის თავმჯდომარე. იმუსიცებოდა ემიგრაციაში შექსივაში.

1982 წელს მიენიჭა კუბილი მწერლის ულავს ვარელას პირველი ხარისხის ორდენი, რომლითაც გილდოვდებიან ეროვნული და ხატიაშორისონ კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი.

1983 წელს გაბრიელ გარსია მარკესი დაბრუნდა სამშობლოში.

1983 წ. გოლდინგი (Golding) უილიამ, ინგლისელი მწერალი-ნოველისტი. დაიბადა 1911 წლის 19 ნოემბერს. დაამთავრა ლესფორდის უნივერსიტეტი. 1954 წელს გამოაქვეყნა რომანი „ბუნებით მბრძანებელი“, რომელმაც მას სახელი გაუთქვა. მისი ნაწარმოებებია: რომანი — „მემკვიდრეობი“ (1955 წ.), მიეს „საილენდის მემკვიდრეობი“ (1958 წ.). რომელებშიც იგი სიმბოლიკის ელემენტებს აკავშირებს სიტუაციის ჩილისტურ წარმოსახვასთან. რომანის „თავისუფლების დაკარგვა“ გმირია მხატვარი, რომელიც ძირითად უურადღებას აქცივს ცხოვრების აზრის ძებნას და არა შემოქმედებას.

უკლიამ გოლდინგი თავის შემოქმედებაში პროტესტს აცხადებს იმ ხაზოგადოების მიმართ, რომელიც წარმოშობს ომს, ჩაგვრასა და პორვენებით განადგურებას.

1962 წელს უკლიამ გოლდინგი იუ ჩეენს ქვეყანაში და მონაწილეობა მიიღო რომანის შესახებ გამართულ სიმპოზიუმში, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა.

1984 წ. სეიფერტი (Seifert) იაროსლავ, ჩეხი პოეტი, დაიბადა 1901 წლის 23 ნოემბერს პრაღაში, მუშის ოქანში. 1921 წელს გამოქვეყნა ლექსების კრებული „ცრემლიანი ქალაქი“, რომელშიც მისი რევოლუციური განწყობა არის ასახული. შემდეგ იგი პროლეტარული ხელოვნებიდან პოეტიზმშე გადავიდა, უმდერიდა სიუვარულის რომანტიკას, მოგზაურობის ეგზოტიკას („ერთი სიუვარული“ — 1923 წ., „ტსფ-ეს ტალღებზე“ — 1925 წ.). მისი წინააღმდეგ მიმართულია მისი კრებული „ბულბული ცუდაზ გალობრი“ (1926 წ.). მიუნხენის ტრაგედიამ გამოიწვია მათი პატრიოტული გრძნობების გამწვავება („ჩაქრეთ ციცხლი“ — 1988 წ., „ბოენა ნემცოვას მარაო“ — 1940 წ. და სხვ.).

იაროსლავ სეიფერტის პოეტიკა უახლოვდება კლასიკურ ჩეხურ ლირიკას. მან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებას მიუძღვნა ლექსების კრებულები „თიხის მუზარადი“ (1945 წ.), „მოცარტი პრაღაში“ (1946 წ.), „დედიკა“ (1954 წ.), „ბიჭი და ვარსკვლავები“ (1956 წ.) და სხვა.

გა მკუთვნის აგრეთვე ა. ბლოკის, გ. აპოლინერისა და დ. გურამიშვილის თარგმნები ჩეხურ ენაზე.

1985 წ. სიმონი (Simon) კლოდ, ცნობილი ფრანგი რომანისტი, მახალი რომანის „ერთორთი წარმოშებრი კუნძულ მადაგასკარზე, ქალაქ ტანანარივაში“. ფრანგი კოლონიალურ აღმინისტრაციის მოხელის ოქანში. სწავლობდა პარიზში, შემდეგ თქვეორდნა და კიბირიშში. მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში. 1940 წ. მოხდა ტუველ და ვაიქცა ტუვეობიდან. მის პირველ რომანს „შულერი“ (1946 წ.) აშკარად ა. კაშიუს მოთხრობის „უცხო პირის“ გავლენა ატყვერა. 1947 წელს გამოაქვეყნა შენიშვნა-მოგონებები „დაკიმული ძაფი“, რომელშიც ახახულია მთელი მისი მომავალი რომანების ორმატიკა, კერძოდ ამბოხი აღამიანის თავგადა-

სავალი, რომელიც სიცარიელეს ურტყავს, მაგრამ მაინც არა ნებდება („გულივიჩი“ — 1952 წ., „ქარი“ — 1957 წ., „ბალაზი“ — 1958 წ., „ფრანდრიის გზა“ — 1960 წ., „ოტრი ქალაზი“ — 1962 წ.).

კლოდ სიმონი ცდილობს შეავსონ მიობებები შექმნას მესსიერების უანიშნებების საფუძველზე. მისი აზრით უკელა მოვლენა და განცდა ერთ დონეზეა განლაგებული, ისევე როგორც მხატვრულ ტილოზე. ამის შედეგად მის ნაწარმოებებს ახასიათებს დაუკავშირებელი კომიტიცია, შემეცნებისათვის ძნელი დიალოგები, რომლებიც ფაქტიურად მონოლოგებში გადადის.

1967 წელს კლოდ სიმონის მიენიჭა მედალის ლიტერატურული პრემია.

ასეთია ნობელის პრემიის ლაურეატების ხიალიტერატურის დარგში. როგორც აგ მოულებისთვის დარღვეული ჩანს, სულ 1901 წლიდან დღემდე ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა 82 პირი.

პრემია მრავალ გაცემის მიხედვის 1904, 1917, 1968 და 1974 წლებში).

პრემია სხვადასხვა მიზეზით არ მიუკუთვნებიათ შეიძლება (1914, 1918, 1935, 1940, 1941, 1942 და 1948 წლებში).

ლაურეატებს შორის ექვსი ქალია. ესენი არიან ლაგერლოფი სელმა, დელედა ვრაცია, უნდსეტი ზიგრიდ, ბაკი პერლ, მისტრალი გაბრიელა და ზაქსი ნელი.

სახელმწიფოების მიხედვით ლაურეატები ასეა განაწილებული: საფრანგეთი — 12, აშშ — 8, გერმანია — 6, ინგლისი — 6, შვეცია — 6, იტალია — 5, ესპანეთი — 4, სსრკ — 4, სამ-სამი წარმომადგენელი შეავთ დანიას, ირლანდიასა და ნორვეგიას, ორ-ორი პოლონეთს, საბერძნეთს, ჩილეს, შვეიცარიას და ჩეხოსლოვანების, ხოლო თითო ლაურეატით წარმოდგენილი არიან ავსტრიალია, ავსტრია, ბელგია, გვატემალა, იაპონია, ისრაელი, ისლანდია, ინდონეზია, იუგოსლავია, კოლუმბია და ფინეთი.

ავტორის სახიამოვნო მოვალეობაა მადლობით აღნიშნოს ის ყურადღება და დიდი დახმარება, რომელიც მას ამ მასალის მომზადებაში პროფესორ ნოლარ კაკაბაძემ გაუწია. ავტორი აგრეთვე დიდ მაღლობას უხდის იური გოგოლეს წინამდებარე წერილის მომზადებაში დადი დახმარებისათვის.



კამილ ციპრიან ნორვიზი

თარგმნა ამბროსი გრიშიძეაზვილმა



აზრები

3 ოლონელი პოეტი კამილ ციპრიან ნორვიზი დაიბადა 1791 წლის 24 აგვისტოს სოფელ ლიასურა-გლუხოვოში, ვარშავის მახლობლად. 1831—1840 წლებში ყრმა კამილი ჭერ გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ სამხატვრო სკოლაში სწავლობდა. 1842 წლიდან პოეტი ემიგრაციაში მიემგზავრება საფრანგეთში. პარიზში იგი გაეცნო და ემიგრანტებს — ა. მიცეცვიჩს, ი. სლოვაცკის, ფ. შოპენს, ზ. კრასინსკის, ა. გერცენს. ემიგრაციაში ყოთნისას პოეტი ბექას მოგზაურობდა. იგი განიცდიდა ეკონომიკურ გაჭირებას და სიკრალ შიშილობდა კიდევ. 1877 წლიდან უპატრიონთა სახლში აფარებდა თავს. სიცოცხლაში თავისი ნაწარმოებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გამოქვეყნებას მოესწრო. მრავალი მათგანი კი უკვალოდ დაიკარგა.

ნორეიდის ნაწარმოებთა ძირითადი პრობლემატიკა ცივილიზაციის ისტორია, პიროვნების ბედი, ქრისტიანობა და ჰუმანიზმი, ხელოვნება და სინამდევლე. მისი სიუკუთხმა ქმნილებებია პოტერი ცაცლი — «Vade mecum»! ფილოსოფიური პოემა „A Dorio ad Phrygium“ — ტრაგედია „ეულისებს იქით“, „კლეოპატრა“, „მაღალი წრის ქალბატონის ბეჭედი“.

თავის სამშობლოში აღიარებას მოკლებული პოეტი ემიგრაციაში გულისტაკივილით წერდა: „უფალი ღმერთის ნებით ოდესაშე დავბრუნდები ხალხში, რომელმაც ჩემს სამშობლოში ცხოვა რებისა და მოქმედების საშუალება არ მომცა. ნერავ იმიშედაც ხომ არ მეტყვიან უარს, დავბრუნდე და მათ შორის მოვყვალე“.

პოეტის წინასწარმეტყველება ნაწილობრივ გამოიწლდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ, მართალია, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მან ვერ შეძლო სამშობლოში დაბრუნება და 1883 წლის 23 მაისს პარიზში გარდაიცვალა, მაგრამ მშობელმა ხალხმა ძლიერ დააფასი სიკედილის შემდეგ. ნორვიდის სახელი პოლონეთში უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ პოლონერი თროვიანი პოეტური კრებულის „პოეზიის“ 1983 წლის პრილ-მაისის ნომერი მოლიანად ნორვიდის უბილეს მიეძღვენა. ამ ეურნალის ისტორიაში მსვავსი რამ იშვიათია. ასეთი პატივი, ნორვიდის გარდა ერთ-ორ პოლონელ პოეტი თუ რევბია მხოლოდ. ეურნალის სწორედ ამ საიტილეო ნომრიდანაა ამოკრებილი ეს აზრებიც, რომლებიც ნორვიდს თავისი სიცოცხლის სხვადასხვა დროს აქვთ გამოთქმული ლექსებში, პოემებში, ესეებსა და „ოდესებს“ პოლონურ თარგმანში.

გთარგმენი

არა რაოდენობა, არამედ ხარისხია ლიტერატურაში მთავარი. დადგა დრო — დაცულებით სიტუაცია და სინდისიერად გამოვიყენოთ იგი. წიგნის დაბეჭდვა არ უნდა გახდეს ჩვენი მთავარი საზრუნავი, მომავალში მსოფლიო ლიტერატურა ამ გზით წავა და მრავალ წიგნს მოუწევს დაწვა, რათა აღსდგეს ფენიქსი სიტუაცია.

ძალიან მწამს კეთილი რწმენის. იგი ერთადერთი საიმედო შუამავალი და მასწავლებელია სტილისა. მხოლოდ მას შეუძლია შეავხოს ის, რისი გამოთქმაც არ ძალგვის ზოგჯერ სიტუაცია მარაგის სიმცირის, ხშირ შემთხვევაში კი — იქნებ უოველოვისაც. — ხაგნების უფერულობის გამო.

ლიტერატურა, ჩემი აზრით, უკვე არის, ან მოკლე ხანში გახდება, უფრო სწორად, აუცილებლად უნდა გახდეს — მხოლოდ სასარგებლო საქმიანობის ასპარეზი. ამრიგად, უბრალოდ წერა — აი, ერთადერთი რამ, რისი გაქორებაც არ შემიძლია. ეს ხომ არც საჭიროა და არც ესორტიკური. მეონის ხარჯვაც კი უაზრობაა ამგვარი წერისათვის.

უკრიანი
სიმღერები

სიტუა — მოქმედების ანდერძია, რისი მიღწევაც მოქმედებით არ შეიძლება, ისაა სიტუაციი გაცხადებულ-ნაანდერძევი. მხოლოდ ამგვარი სიტუაცია სასარგებლო და მხოლოდ ასეთები აღსდგებიან საქმედ. სხვა ყველა დანარჩენი ან წმინდა წყლის ურაზეოლოვია ანდა მექანიკური აუცილებლობა, ანუ ხელოვნება — ხელოვნებისათვის.

სახალხო არტისტი ისევე უწევს ადამიანთა წარმოსახვას ორგანიზაციას, როგორც, მაგალითად, სახალხო ტრიბუნი ახდენს ქვეყნის ძალების მიმდევარის მიმნიჭებელი, თუმცა თავად უსულო...

სტილი იგივე ადამიანია. რატომ?

იმიტომ, რომ სტილი არ არის მხოლოდ საგწის მდებარეობის ადგილი, არამედ დროისაც. იმიტომ, რომ სტილი არა მარტო ხალხს, არამედ ცივილიზაციას ეკუთვნის. ამიტომ იგი არის სიტუაციისათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, თუმცა თავად უსულო...

სიკეთებს ყველაზი ვაფასებ, ჩემშიც კი.

დიადია მხოლოდ ის, რაც მშვიდია.

ნამდვილ იუმორს ფსევრზე ცრემლი უნდა ჰქონდეს.

მოქმედების ადამიანები ისინი არიან, ვისთვისაც სულ ერთია, სად იცხოვრებენ. საცხოვრებელი ადგილია მათზე დამოკიდებული და არა თვითონ — საცხოვრებელ ადგილზე.

კითხვა ცველას არ შეუძლია. იმიტომ, რომ მყითხველი ავტორთან უნდა თანამშრომლობდეს, ხოლო, რაც უფრო ამაღლებულია წიგნი, მით უფრო ინდივიდუალურია მისი კითხვა.

პოლონელმა პორტებმა თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულებს, ვინაიდან ენა თავისი მასახრდოებელი წყაროსაცენ შემოაბრუნეს. ენამ შეწყვიტა მხოლოდ წიგნებად არსებობა — მას ხალხი იგებს. კიდევ ნაბიჭი და პორტები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე დაგებიან. მათი სიმღერა საქმეს არ დაშორდება. სიმღერა და საქმე ერთად კი — უდიდესი ძალა, როდესაც სხვაგვარად მოქმედების საშუალება არ არის. თუ ისინი ერთმანეთის მნარდაშარ სიარულს ვერ შეძლებენ — მაშინ რაღა დარჩება? რაც არ უნდა იყოს, სიტუაცია ჩვენი უკანასკნელი იარაღია.

ვილეტონი პოლიტიკური ლირიზმია (...) ჭრდურობაში ეს არის ორნამენტი. არქიტექტურაში — არაბესკა. მხატვრობაში — ფონი და «Chiaro-scuro», მუსიკაში — „სკერცო“,² ლირიკაში დადუმება, სიმღერის ბოლომდება ართქმია, ანდა... ლიცენცია...³

თუ ჰიგმუნდი (კრისინსკი) თავის მშვენიერ ლექსში „რესურექტურა“ ხაკუთარ თავს დანახავდა და იკითხავდა: „ესაა ხალხის სინდისი?“ მაშინ იგი უნდა შეძრწუნებულიყო, ვინაიდან ამ პიმნში უფრო მეტი ირონიაა. ვიდრე ბაირონის ვენეციურ მოთხრობებში.

ურავირული

ვერავინ, ვისაც წიწაკის გემო უგრძვნია, ვერ დაიჭერებს, რომ ჭიშაბურის შარმოქმნილი. როდესაც ლაპარაკობენ ირონიულ საგანთა შესახებ ირონიულად, მხედველობაში აქვთ საგანთა ჭეშმარიტი ბუნება.

დანტეს რომ დღეს ეცხოვჩა, განხაშმენდელის, ჭოჭოხეთისა და სალხინებელის კალმით გავლის ნაცვლად უეხით გაივლიდა პირველ ორს, ხოლო მესამის ზღურბლზე მუხლს მოიყრიდა საფლავის ქანდაკებასთან.

ორატორები სახელმწიფოს პოეტები არიან, ისიც როგორც პოეტები — ხალხის ორატორები.

პოეზიას აქვს თავისი არქიტექტურული ფორმა, ლექსის პროფილის ჭედურობა, შუქ-ჩრდილების მხატვრობა, გამარჯვებული ლაშქრის სიმღერის მუსიკა, ხტროფების განშორებისა და მოგერიების ცეკვა, ზინაგანი სინათლე და სითბო — სიმღერის სინდისი — თავის დროზე, და ციცხლი... ხოლო აქ, გუმბათთან, ჩახუტებულები ერთმანეთს შეერწყმიან...

პოეზია ციცილიზებული ადამიანის უმაღლესი ფუნქციაა, მუსიკა მისი ნიშილი. მაგრამ „რა-მაინა“ და „ბჟაგავატგიტა“ რაღაც გალობის მსგავსია...⁴

სიმღერა არა მხოლოდ ხელოვნება და ცვავილია, არამედ ხაქმეც...

კიდევ არიან პოეტები, თუ სულს ლაფავენ.

ვინ არ იცნობს მაინეს? მაშ გთხოვთ აიღოთ მესამედი ნაწილი სპინოზასი, მეოთხედი — იობისა, ასევე მეოთხედი — მალიშისა, თითქმის ნახევარი ბაირონისა, ნახევარი გერმანელი სტუდენტისა და შეიკვრება მთელი, რომელიც რაღაც მაინეს მსგავსს მოგვცემს. ხოლო თუ ეს მაინე არ იქნება და რაღაც მცირეთი ალემატება მას, მაშასადამი, ეს განხხვავებაა თავად ჰაინ.

ნახევარი საუკუნე გავიდა და არც ერთ პოლონელ პოეტს თავის დროზე სიმართლე არ უთქვამს — გარდა... მიცემისისა, და მანაც მხოლოდ ნაწილობრივ თქვა „ყარიბთა წიგნში“, ხოლო ციბრიან ნორვილმა — უვილა დაბეჭდილსა თუ დაუბეჭდავ და სწორედ ამიტომ დაუბეჭდავ წიგნში.

შეიძლება უმაღლეს ლირიზმამდეც კი მიაღწიაო, ოღონდ ამისათვის ხაჭიროა ფეხშიშველამ იარო ანდა ქალამნები ჩაიცვა და ჭოხი დაიჭირო ხელში. სხვაგვარად ჭლეჭი დაგლრლის, შემდეგ მშვენივრად დაგიტირებენ და ხამარცვინო სკულპტურულ ქანდაკებასაც დაგადგამენ, რომელიც მტირალ ქალს გაშონატავს ლირით ხელში.

პედინიერი და დალოცვილია მწერალი, რომელმაც იცის და იცავს განუნებული ხიტუვის ჭეშმარიტ შესწებარებას...

შექსპირს შეეძლო ეთქვა: „მე ვიცი ბოროტება“, კალდერონს — „მე ვიცი სიკეთება“, ხოლო ზოგმუნდს (კრასინსკის) „მე ვიცი ისტორია“.⁵

ჩემი აზრით, პოეტებად არ შეიძლება ჩაითვალონ ისინი, რომელმაც შევანან ადამიანებს, მხოლოდ კვირაობით რომ იცვამენ სუფთა პერანგებს.

უველა პოეტს თავის შემოქმედებაში⁶ რაღაც ადგილი ბუნდოვანი და გაუგებარი აქვს. ასეთია, მაგალითად, ადამის (მიცევისის) „იმპროვიზაცია“, ასევე გაუგებარ ადგილებს ვხვდებით სხვა პოეტებთანაც. მიუხედავად ამისა, საზოგადოება, აგერ უკვე ათეული წლებია კითხულობს მათ და კომენტარების მოთხოვნილებას ცერ გრძნობს...

ისრაელში (...) პოეტს სრულიად განსაზღვრული და ნათელი ხოციალური მდგომარეობა იყავა. საზოგადოებაში მაშინ მისი ადგილი და თანამდებობა დაახლოებით ისეთი იყო, როგორც დოკა ნაფიცი მსაჭულისა (...).

ბერძენი პოეტი ორუეოსი ძალიან შევს ებრაელთა წინასწარმეტყველს. თუ დრამატულია — მაშინ ის ხუცესია, რადგან სამსხვერპლო სცენის წინა აქვს, თუ გმირულია — ის ისტორიკოსია ან სამხედრო მუსიკის ხელმძღვანელი (..).

პოეტებს მნიშვნელო რომში თუ ენიჭებათ განსაუკრებული ლიტერატურული მისია. მესიის გამოცხადების საათის მოახლოებასთან ერთად, ჭრიალი პოეტები დუმდებიან ანდა იქცევიან პედაგოგებად, მეცნიერებად და მსუიდველებად, რომელთაც მიცენატების გარეშე არ გაეძლებათ. მათი ხოციალური მდგომარეობა არ არის მყარი (...) ამის გამო პოეტების საზოგადოებრივი ღირსება ეცემა და მათი პოეტური გვირგვინიც ემსობა იმავე ხინქარით, რა ხინქარითაც ახლოვდება შესიის გამოცხადების საათი. ბოლოს პოეზია ლიტერატურულ ისპარეზს ტოვებს. რატომ? ამის საიდუმლო ერთობ ნათელია. ხუცესებს აღარ შეიძლათ იმედი, რომ რაიმეს გაყეოებას შეძლებდნენ ბერძენის ბაგახთან.

კეთილშობილმა და გენიალურმა ზოგმუნდმა ერთხელ აღიტოვანებულმა მითხრა; „წერე! წერე! პოლონური ენის სადიდებლად!“ დაეს ლმერთმა შეუნდოს მას, თუ ახლა ვნანობ, რომ მაშინ ასე არ ვუპასუხე: „კი, ბატონი, მე ვწერ, მაგრამ გადამიხადეთ თუნდაც თრიოდ ათასი ფრანკი.“

ხომ იყო პოეტი, რომელმაც პოეზიის ისტორიაში ისეთივე ადგილი დაიკავა, როგორც სკურატემ უალოხოუის ისტორიაში, და რომელმაც, არანაკლებ ვიდრე ამ ბრძენშია, თავის სარბიელშე პოეტური სტიქია განიხილია და დაღი დაახვა პოეზიას თავისი სიკვდილით? (...) ასეთი პოეტი იყო უბრწყინვალესი ნოელ ბაირონი, რომლის შესახებაც თქვა მიცევისმა, პოეზიის ნაპოლეონიამ (...) ნოელ ბაირონს უან-უაკ ჩუხოს ეძახდა დედამისისი (...) არ შემიძლია მივიღო ეს შედარება, ისევე როგორც ვერ გავიზიარებ თანამედროვეთა აზრსაც ბაირონშე და გიერტად ვამბობ — ბაირონი პოეტთა სოკურატეა. მან შეძლო პოეტური სტიქიის ცხოვრებაში დამკვიდრება, მისი მოქმედებად გარდასხვა, რაც მას კარგად შეინდა გაცნობიერებული და დასაბუთებული თავისი ენერგიული ძალის სიმღერით, და ბოლოს — თავისი სიკვდილითაც.

არის უალრესად საზარელი შეცდომა, როდესაც არ ვიცით, (ბოლო თითქმის ცოდვა,

როდესაც ვიცით) უბედური ხალხის ნაწარმოებების ჭავითხვა ისეთი თვალით, როგორითაც ვკითხულობთ ბედნიერი ხალხის ნაწარმოებებს.

თანამედროვე პოეზიისათვის დაშანასიათებელია, რომ იგი ლექსის გმირად აღებს იდეას ან უპიროვნო ფენომენს: უველა ესენი ჭერ კიდევ მანფრედები, პამლეტტერი ტერენერი, უაუსტები და ა. შ. არიან და ამდენად იგი არა ეპოვეა. 

სახალხო პოეტი ის არის, ვის შემოქმედებაშიც ხალხი მონაწილეობს და ისეთ ადგილს იკავებს, როგორისაც იგივე ხალხი იკავებს კაცობრიობის ისტორიაში.

თეოლ პოლონერის დღემდე მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია მიკევიჩი თავის სახალხო მწერლად, რომელიც ხინამდვილეში მხოლოდ განხაეუთრებული იყო და არა ხახალხო. ხალხურობა არ არის განხაეუთრებულობა, არამედ არის ძაღლი, რომელმაც უნდა მიითვისოს უველავერი, რაც საკუთარი მზარდი პოეტური სტიქიისათვის არის საჭირო და აუცილებელი.

არა მწერლები განსჯიან მწერლებს და არტისტები — არტისტებს, არამედ საქმენი მათნი გამოაჩენენ მათ.

გამოცდილება გვასწავლის, რომ ერთ სიმღერას არაერთხელ შეუცვლია საუკუნეებით ჩამოყალიბებული მიმართულება და სრულიად სწავლარად წარუმართავს იგი.

ხელოვნების შედევრის ერთადერთი მოწოდება იყოს უფრო მეტი, ვადრე გრამატიკა და ასეთიცაა მსოფლიო მნიშვნელობის უველა შედევრი.

ზნეობისა და მოვალეობის თემა ჩვენი პოეტების შემოქმედებაში გამონაკლისის სახით გვხვდება. იგი არავითარ შემთხვევაში არაა მათი პოეზიის მთავარი მასაზრდოებელი წყარო. მორალისტები თითქმის არა გვევს. ამდენად, ჩვენს პოეზიაში ფერწერული სიმშვენიერე სკარბობს, მაგრამ ასეთი მდგომარეობა, ჩემი აზრით, მაღლე შეიცვლება.

ვინც საგანთა ბუნებას კარგად იცნობს, მან მშვენიერად იცის ისიც, რომ ვირგაულისს „გეორგიკას“ რვა ლექსი უფრო მეტი შრომის ფასად დაუჭირა, ვიდრე მის კუთვნილებაში მუთლი მიწის დიდი ფართობების დაზუშავება.

პოეტს არც შეუძლია და არც სიამოვნების შომგვრელია ონბაზად უოუნა. თუმცა ეს თითქმის არცაა მასზე დამოკიდებული...

ვიქტორ ბიუგო იმ ბრწყინაველე ტალანტების თანავარსკვლავების მიეკუთვნება, რომელიც, თუკი ხალრენი არაფერი აქვთ, რითაც შეუძლიათ დისპარმონია შეიტანონ, აქეთ-იქით იყურებიან... და არ იციან რა წამოიწყონ. ისინი ტალანტები არიან, იმ ტალანტების მსგავსი, რომელიც ძირს დასცა ერთმა ბედნიერმა რევოლუციამ, რაღაც რევოლუცია, საზოგადოებრივ წყობას რომ ცვლის, აქცევს მათ უსაქმოდ დარჩენილ ხელოსნებად.

ზოგიერთების აზრით, პოეზიისათვის აუცილებელია ისეთი ხაგნები, რომელიც არ იქნებოდნენ უფერულნი და ულამაზონი. ამგვარი პოეზია, რომელიც მართლა რომ პოეზია იყოს, ასეთ ხაგნებს მოითხოვს... და მათ ელის, ჩემთვის არ არსებობს.

პრექტიკული საქმიანობა ჩაღაც პროპორციით მშვენიერების აუცილებელი პირობაა.

მეჩვენება, რომ პირველი სიტუაცია შინაგანი სიმღერისა და მონოლოგის სახით უწდა წარ-
მოთქმულიყო. ამგვარი სიტუაციის კვალს დღემდე ვაწყდებით ინდილ განდეგიდათა შორის.

— მეორე, დიალოგი და პროლოგი ერთად, ანუ საუბარი ანალოგიებით.

— მესამე, ქორი — სარიტუალი და ასე შემდეგ...

კეშმარიტი პოეზია განსაზღვრული ჰომიო იყო, არის და იქნება ჭვრეტა. იშიტომ რომ
ორი ლექსით შეიძლება გადახაზო მთელი ეპოქა, ხოლო სურათი და ქანდაკება ერთი სიტუაცით
ერთმანეთს დაახლოვო.

პიროვნების აღზრდისა და ფორმირების მიზნით ასეთი რჩევის მიცემა შემიძლია: ბიბ-
ლიისა და ბომეროსის კარგად წაჟითხვა.

სატირის აგების მთავარი პირობა იგივეა, რაც უოველვარი მშენებლობისა. სხვაგვარად,
არც ერთ მშენებელს ჯერ არაფერი აუგია და ვირც ააგებს. თუ დაწოლა მიმართული არ
იქნა ხაძირკველში ჩაგდებული დიდი ქვისეკენ და არა შევით — ლავგარდანისაკენ.

მე წშირად გამომიცდია ასეთი რამ — ამილია ხელში პომეროსი, გადამითვალიერებია მიხი
„შესავლის“ რამდენიმე გვერდი და მომჩენებია, რომ იგი უფრო მეტია, ყველა გახართობი
მაშინ ისეთი შეგრძნება დამუტლებია, თითქოს ბროლის ფართომინებიანი ფანჯრის იქით
„იღაცას ვხედავდე, რომელიც უანგრის გაღებასა და ბუნებაზე თვალის შევლებას ცდილობს.
პომეროსი ნატურალისტია — აი, უფელაფერი!

ჩემი აჭრით, მიუხედავად აյადემიური დეფინიციისა და გულმოდგინე ძიებისა, ჩვენს
ხალხს მაინც არ გააჩნია ისეთი ეპოქა, ძვირფასი ხაგანძურივით რომ აქვთ ბერძნებს დაცუ-
ლი. შართალია, მოგვეპოვება მშვენიერი და, ერთი შეხედვით, ეპოქის მსგავსის ნაწარმოე-
ბები, მაგრამ ისინი, უბრალოდ თუ ვატუვით, პირობითადაა მიკუთვნებული ამ ეანრს. ამდენად,
მათი შეაცილებული გამოტანა შეუძლებელია.

ეპოქა ამაღლებული განწყობილების ნაწარმოებია, ერთი რომელიმე, წინასწარ შერჩეუ-
ლი მოქმედების გძირული ხასიათის შესახებ რომ მოგვითხრობს და ეპითეტივით გამოხატავს
ამა თუ იმ ამბავს, რომელიც ხალხსა და ეპოქას გადახდენია.

ზოგიერთის აჭრით, ტრაგიკულ პოემას არ ვიცნობთ, — ტრაგიკული პოემა არა გვაქვს.
ისეთი ტრაგედია, როგორიცაა პოემა — „დაუსრულებელად“ წოდებული, (კრასინსკისა) თავის
დამწერლობაში არ უნახავს არც ერთ ხალხს, არც ერთს.

და რა დასრულებულია — რა შევსებული! „დაუსრულებელი“ კი დაარქვეს. — ი! — იგი
მხოლოდ უსასრულოა, უსაზღვრო... მხოლოდ მონახაზიც კი კმარა, შედევრი რომ შევიგრძ-
ნოთ.

ლექსი, რომელიც, შიიღეთ მოწყალება და, გამომიგზავნეთ, არა მხოლოდ მომხიბლა-
ვია — ლიტერატურულად, არამედ გამორჩეულიც — თავის რითმათა სიმშევნიერით. ოლონდ
მახში (ნამდვილად განხრას, რამეთუ აფტორს ხატისო ტალანტი ეტუობა!) პოეზია სრულიად
არ იგრძნობა,

რატომ? იმიტომ, რომ მცირეოდენი ნაპერწელები და ლექსის ფორმა ჯერ კიდევ არა ცენზია!



თუ ვთარგმნიდი „ჩაილდ-ჰარლონდს“ — მაშინ დავწერდი კრიტიკულ წერილს, ვარა ლურად — (უველავე დახრულებული პოლონელი მწერალი არის არა წერეჭვის, უსიმუნდი, იულიუში და ა. შ. არამედ ფრედრო!!!) თუ — ვამბობ, ვთარგმნიდი კი არა მარტივი მასალა, დავწერდი მეორე ასეთ კრიტიკულ წერილს — და ეს მთარგმნელობა თანამედროვეთათვის სასარგებლო იქნებოდა.

როდესაც ვინცენტი ბოლივ გარდაიცვალა, პოეტის თაყვანისმცემლებმა მისი ვაკელშიც დაკრძალვა გადაწყვეტილის. ამ ვადაწყვეტილებამ გულით აგვატირა, რადგან იგი იქიდან კი არ გამომდინარეობდა, რომ პოლონელები განაზღნენ, არაშედ იმ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ ისინი არახოდეს, არც ერთ პოეტს სიცოცხლეში არ მოუერებიან და ამიტომ გულუხვები უნდა იყვნენ და არიან კიდევ მათი სიკვდილის შემდეგ.

მაგრამ პოეტისათვის ეს ხომ არც არის მთავარი. მას მშვენიერსა და კეთილშობილ ხელში უპყრია კალამი, ბებერი ცაცხვის ტოტი ჩარნოლესიერდან, ან კიდევ უვავილი ვისიშეს საფულავიდან და სხვა ამგვარი.

მეტყველება იმიტომ, რომ არის მეტყველება, აუცილებლად დრამატული უნდა იყოს ხსვაგვარად როგორ იქნებოდა მეტყველება? მონოლოგიც კი ან საკუთარ თავთან ანდა საგან-თა სულთან ლაპარაკია.

როგორ მოხდა, რომ მეტყველების ერთი ნაწილი მოლინად გამოტოვებულია ყველა ენის გრამატიკაში” (...) მეტყველების ეს ნაწილია — დუმილი. მონტესკიემ ახალი არაფერი ვვითხრა, როდესაც თქვა, რომ მეტყველებაზე მეტის გამოხატვა შეუძლია და არაერთხელ გამოუხატავს კიდევ — დუმილსო. ოღონდ ის მაშინ, როდესაც იგი ლაპარაკს ახლავს როგორც ატრიბუტი და დასაბუთება. მაგ ის, რასაც ლაპარაკზე არანაკლების გამოხატვა შეუძლია, უნდა იყოს, ლაპარაკის ნაწილი. პრეტენზია სამართლიანი მეჩვენება.

პროზის არქონა პირველი ნიშანია უველა ლიტერატურის დასაწყისში. ადამიანი თავისი პირველივე ნაბიჯებით სამყაროში შედის როგორც მოაზროვნე არსება: იგი პოეტია

უველაურის თქმა აქამდის ნებადართული არ არის, ხოლო ამგვარი თავისუფლების გა- რეშე ხელოვნებას არ შეიძლება კეშმარიტი გაქანება მიეცეს და ცხოვრება მხოლოდ ადრე მოპოვებული კეშმარიტებების შეთვისებად იქცევა.

ვისაც ჰლვებზე უხერიალია თუნდაც ორიოდე თვე მაინც, იგი ძილს ორ სკამზედაც კარგად შეძლებს.

სრულყოფილი ლირიკა თაბაშირის ჩამოსხმას უნდა ჰგავდეს: შენარჩუნებული უნდა იქნას და დანით არ გააგლურონ ის კუთხეები, საღაც ფორმა ფორმას სცდება და კიდეს ჰქმის. მხოლოდ ბარბაროსი ჩამოათლის მას დანით და ამით ფორმას მოლიანობას დაარღვევს. მაგრამ, გეფიცებით, ის, რასაც პოლონელები ლირიკად უხსმიბენ, არის ჩეხვა და მაზურკა, შეტი არაფერი.

როდესაც პოეზია ივიწყებს, რომ რაღაცის გახაკეთებლად არის მოწოდებული — ამით ეს თეტიკასაც ივიწყებს.


ამგვარი პოეზია ვერ გამიგია. მე იგი მაგონებს ლამაზი ქალის შდგომარეობას ჩინეთში, როცა იგი ადგილიდან არ იძერის, რამეთუ ძლიერაა ჩასუქებული და ხელსაც არაურს ახლებს, ჩადგან ნაზ თითებსა და ფრჩხილებს უფრთხილდება.

მაგრამ განა მეფე ნაუსიკას ქალიშვილი პომეროსის პოემაში იმიტომ არის ანე შომხიძელავი, რომ თავად რეცხავს თეთრეულს მდინარეზე!..

„Sapienti-sat est“⁹.

არ დავუშვებ, რომ ჯერ კერპი შექმნან პოეზიისაგან, ხოლო შემდეგ უმისავალ ცანკალებდნენ, ხომ არ დაემხობათ მიწაზე?

მაშ ვინ გადადგამს ნაბიჯს წინ!



ცარიცალი

მიმართა, რომ პოლონელებისათვის საყვარელი ხალხური პოემა „პან თადეუში“ მართლაც სახალხო პოემაა, რომელშიც ერთადერთი სერიოზული ფიგურა ებრაელია... დანარჩენი შექმედი პირები ავანტიურისტები დონდლოები, ანტიდოტების მოყვარულნი, უბრდები არიან. ხალხის წრიდან პოემაში ორი ქალია გამოყვანილი: ტელემანა, სახლის მულობელი, მოსკოველი და ჭოტია — პენსიონერი, ცხადია, რომ პოემა არის უაღრესად ხალხური, რომელშიც კაშენ, სვამენ, სოკოს კრიფენ და ელიან, თუ როდის მოვლენ ფრანგები და სამშობლოს გაუთავისულებენ...“

III ვარაუდი:

1 ვადემეკუმი — (ლათ.) „იარე ჩემთან“ მოძვ. ცნობარი, გზის მაჩვენებელი. პატარა ფორმის შიგნი (ჯიბით სატარებელი).

2 კურცი — (ლათ.) მცირე ზომის ჩქარტემპიანი მუსიკალური ნაწარმოები.

3 ლიცენცია — (ლათ.) პოეტური თავისუფლება.

4 აქ დიდი გოეთე გვახსენდება: ვისაც პოეზია არ უყვარს, ბარბაროსია.

უნდა იღენიშნოთ ისიც, რომ განდი „ბჟაგავატგიტას“ შესახებ წერდა: არადერი ისე არ მხიბლავს, როგორც გიტა და რამაიანა, მუსიკა ამ ორად ორი წიგნისა, რომელთა ცოდნაც მე შემიძლიი დავიჩიმო (იხ. ბჟაგავატგიტას ქართული თარგმანი, თბ., 1983 წ.). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულად „ბჟაგავატგიტა“ ლუთაებრივ გალობას ნიშნავს (მთარგმ. შენიშვნა).

5 ზიგუნდ კრასინსკი — (1812, პარიზი, 1859, იქვე) პოლონელი დიდგვაროვანი წარმოშობის პოეტი. წერდა პოლონერ და ფრანგულ ენებზე. მისი ნაწარმოებები აგებულია ისტორიულ თემებზე, იყენებდა ვ. სკოტის ზოგიერთ მწერლურ ხერხს. დაწერილი აქვს აგრეთვე დრამა „ირიდიონი“, რომელიც ეროვნული მოძრაობისადმია მიძღვნილი, თუმცა სიუჩატურად ასახავს ძეელი რომის დაცუმის პერიოდს. კრასინსკი არის აგრეთვე ინტიმური და ფილოსოფიური ლირიკის ეცტორი.


6 ალექსანდრ ფრედრი (1798—1876) — პოლონელი დრამატურგი. პოლონელი საზოგადოებისათვის ცნობადი გახდა სატირული პიესა „პან გელდბაზი“—ით. დაწერილი აქვს აგრეთვე პიესები: „კოლ-ქმარი“, „ქალბატონები და პუსარები“, „შურისძიება“ და სხვა.

7 ვანცენტი პოლი — პოლონელი პოეტი. ცნოლია მისი პოემები: „გაენდა“, „ვასმისტრი დოროში ლიტვაში“, „სიმღერი ჩვენს მიწაზე“ და სხვა.

8 ეველი — ბორცვის სახელი ქ. კრაკოვის ახლოს, მდინარე ერსლის მარცხნა ნაპირზე. იგივე სახელი ჰქვია არქიტექტურული და რელიგიური ძეგლების კომპლექსს ქალაქის ცენტრში. აქ მთავარ კათედრალურ ტაძარში პოლონეთის მელეებსა და ეროვნული ისტორიის გამოჩენილ მოლვაწეებს კრძალავდნენ.

9 პავიანთათვის საკმარისია (ლათ.).





3აროლინგების გიგანტური, მაგრამ არამყარი იმპერიის დაცემაშ 19 საუკუნის მიწურულს ევროპული კულტურის საერთო დაქვემდება გამოიწვია. კულტურის „მფარველობის“ ტენდენცია, რომელიც შუა საუკუნეების ამ პირველი დიდი იმპერიის მშართველ კლასებს ახასიათებდა, ერთი საუკუნეც არ გაგრძელებულა. სოციალურ-კულტორულ ვითარებაში მას ძლიერი ფეხვები არ გააჩნდა და ამდენად, კარლოს დიდის იმპერიის დაშლა შუასაუკუნეობრივი კულტურის საერთო დაიხად აუღერდა დასავალეთ ევროპაში.

ეს პროცესები გერმანიაშიც აისახა. ერთგვარი გამოცოცხლება დამთხვა საქსონური დინასტიის აღნიშვნებას, როცა 962 წლიდან იმპერატორ ოტო I მიერ ჩამოყალიბებულმა „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაშ“, ასეთუ ისე, სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის მყარი პოლიტიკური საფუძველი შექმნა.

მაგრამ ე. წ. „ოტონური“ აღორძინება ხელოვნებაში აისახა რომანული კონცეციის ამსატრაქტული ფორმებითა და ხიუგეტის ხაზობრივ-პიბრტულისეული საშუალებებით გადმოცემაში, რაც ერთგვარ უკანგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

რომანულ პერიოდთან შედარებით უაღრესად დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო გოტიკური მოტივების დაშვიდრება დახავლეთ-ევროპულ ხელოვნებაში, ვინაიდან მასში წინა პლანზე წამოიწია რაციონალურმა მომენტებმა და საკმაოდ ძლიერად გამოხატულმა რეალისტურმა ტენდენციებმა. ეს აისახა ხუროიმოძღვრებაში, რომელმაც კონსტრუქციებისა და დეკორის არაჩვეულებრივად თავისებური, ჰედმიწევნით ლოგიკური სისტემა შეიმუშავა. ამგვარი ტენდენცია მკვეთრად გამოვლინდა საურანგეთისა და, ნაწილობრივ, გერმანიის იმდროინდელი ტაძრების ცადატურციილ ვერტიკალებში. გარკვეული თვალსაზრისით იმიტომ, რომ გერმანული ხელოვნება XIX-XIV საუკუნეებში ურანგული გოტიკის სტრიქული გავლენის ქვეშ წარმოგვიდგება. მხოლოდ პორტურეტულ ქანდაკებაში გამოვლინდა გერმანული ხელოვნების გამოკვეთილი ინდივიდუალობა. ამ თვალ-

საზრისით საინტერესოა ნაუმბურგის ტაძრის (XIII საუკუნის ქანდაკებები). განხაუტორებით აღსანიშნავია საქვეუნოდ სახელგანთქმული და, მართლაც, სწორუპოვარი მარკვარაუ ეცემარდისა და მისი შეუღლის უტას სახეები.

გვიანდელი გერმანული გოტიკა — XIV საუკუნის შეორე ნახევრისა და XV საუკუნის გერმანული ხელოვნება, ფაქტიურად, რენესანსის აღრეულ ფაზადაც შეიძლება მივიჩნიოთ. აღორძინების ამგვარი დაგვიანება აქ იმიტომაც მოხდდა, რომ სხვა ქვეუნებთან (იტალია და საფრანგეთი) შედარებით, გერმანია XV საუკუნის დასაწყისში ჩერ კიდევ ჩამორჩენილ, დაქუცმა-ცებულ ქვეუანას წარმოადგენდა.

„გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია“ პრაქტიკულად ურთიერთისავან დამოუკიდებელი სახელმწიფოებისავან შედგებოდა. ქვეუანაში ჩერ კიდევ არ იყო ერთიანი ეკონომიკური ცენტრი, ცალკეული ოლქები მეტად არათანაბრად იყვნენ განვითარებული. წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება ქვეუანის მხოლოდ იმ ჩაიონებში ხდებოდა, რომლებიც საგარეო ბაზრებს უკავშირდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ეკონომიკის აღორძინება და კულტურული ცხოვრების შესამჩნევი გამოღვიძება გერმანიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეებში აღინიშნებოდა. აღორძინების ეპოქას კი, როგორც ცნობილია, დასაბამი მისცა ფეოდალური ფორმაციის წიაღში ახალი, კაპიტალისტური ურთოერთობების ჩახახვაშ.

ხელოვნების რენესანსული ნაკადების გაჩენას ქალაქების განვითარებამ მხოლოდ XV საუკუნის შუახანებში შეუქმნა ეკონომიკური საფუძველი. ამ პერიოდში გერმანულ ხელოვნებაში მრავალი დარგი წარმოჩნდა — წიგნის ილუსტრაცია, არქიტექტურა, ქანდაკება (ქვასა და ხეში), კედლისა და დაზგური ფერწერა, გრავიურა ხესა და სპილენძებ...

უერწერაშ განხაკუტორებული აღმავლობა XV საუკუნის ბოლოს განიცადა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთელი ამ ხნის განძილებე ხელოვნება ერთხსა და იმავე, ძირითადად რელიგიურ თემებს იმეორებდა. მაგრამ იწყებოდა მისი ერთობ ორიგინალური ინტერპრეტაციაც.

მხატვრობის აღმავლობა ერთგვარად განაპირობა ისტორიულმა ვითარებამ. გოტიკისათვის დამახასიათებელი ვერტიკალური დანაწევრების

* მასალა მოამზადა მანანა მუჭირიშვილმა.

გვერდით განიდა პირიშონი გალურიც. გერმანულ ფერწერაში ხათავე დაიდო ახალმა ტენდენციამ: ზოგადს ცვლის კონკრეტული, საგნები აღიქმება მთელი მათი მატერიალური არსით. ამ პერიოდის მხატვრები ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევ სინამდვილის ასახვას — ქრისტესა და მარიამის სახეებში აშკარად ჩნდება აღამიანის ტანქვაც და ხინარეულიც, წმინდანები ხალხის ახლობლები ხდებიან.

გერმანიის ტერიტორიის პოლიტიკურმა დანაწევრებამ და კონომიკური განვითარების თავისებურებებში ამ პერიოდში ხელი შეუწყო ხელოვნების ოდგილობრივი ხელოვნების შექმნას (კიოლის, ულმის, აუგსბურგის, ავსტრიის, ტიროლის, თიურინგიის, ბაბიურგის, მესენის და სხვ.). დროთა განმავლობაში თითოეულმა ხელაშ ხაյუთარ ხელწერის მიაგნო ეს განაპირობა როგორც განსხვავებულმა ტრადიციებმა, ასევე უცხო ქვეყნების გავლენამაც. ამ სკოლების წარმომადგენლებია მეტად საინტერესო და ორიგინალური მხატვრები: შტეფან ლოხნერი, კასპარ იშენბარი, მარტინ შონგაუერი, ჰანს შიუხლინი, ფრიდრიხ პერლინი, ლუკას მოზერი, კონრად ვიტცი, ჰანს მულჩერი, კონრად ლაიბი და სხვ. მრავალი მათგანის ხახელი უცნობია და იმიტომ მათ მოიხსენიებენ მათივე ნაწარმოებების მიხედვით (მაგ. „მაისტრების ხაუროთხევლიხა“ და „მარიამის ცხოვრების“ ოსტატი).

შტეფან ლოხნერმა თავის შემოქმედებაში კოოლნის ადრეულ ტრადიციებს (დღესასწაულებრივი ფერები, გრაფიოზულობა, ლირიკული განწყობილება) დაუპირისპირა ახალი ხელწერა — სხეულის მკვეთრი გამოსახვა, სივრცის დამაჭრებლად წარმომენა. ამ თვალსაზრისით, განხაკუთრებით აღსანიშნავია მისი „მადონა ით“ (კიოლი, ხევისკომი მუზეუმი) და „მადონა ვარდების ხევიანში“ (კიოლი, ვალრატ-რიხარტც მუზეუმი).

გერმანულ მხატვრობაში ლუკას მოზერმა ახალ ხაფეხურზე აიყვანა რეალიზმი. მისი ბიოგრაფიული ცნობები ძალის ძუნწადა შემოჩენილი. ვარაუდობენ, რომ იგი დაიბადა 1880 წელს. მან მოხატა ტილერბრონის ხაუროთხევლი, რომელზეც ასახულია სცენები მარიამ ზაგდალინელის ცხოვრებიდან. ეს ხაუროთხეველი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ პირველად მოჰერი შეეცავს გადაეჭრა სივრცის ხაკითხი, დამაჭრებლად წარმომენა ინტერიერი. მაგრამ მოზერის სურათები შაინც არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. პერზავების გამოსახვისას მის სურათებში კვლავაც ჩრება თქმოსფერი ფონი.

მოზერის ხელოვნებამ უშუალო გაგრძელება კაოვა ჰანს მულჩერისა და კონრად ვიტცის შე-

შოქმედებაში.

ჰანს მულჩერი დაიბადა 1400 წელს. რაინდენ-ფერში. 1427 წელს იგი ულმის მოქალაქეც ხდება და ხიცოცხლის ბოლომდე მოგამოვლის. მისი ნამუშევრებიდან შემორჩენილია მხოლოდ რვა დაფა, რამდებიც კურცების საკურატო მულტიკომის ამშვენებდნენ (დასავლეთ ბერლინი). შულჩერი დიდ უურადლებას უთმობდა აღაშიანის სეულის გამოსახვას, ზომიერს, მის შემოქმედებას ახასიათებს დრამატიზმი, სამაგიეროდ იგი სუხრია სივრცის გადმოცემაში.

განსაკუთრებული დრამატიზმით გამოიჩინა მხატვრის ნამუშევარი „ქრისტე პილატეს წინაშე“. სურათის ცენტრში მწვანე ხავერდის ქსოვილში გამოწყობილი პილატე იგი ხელს იბანს და ამით თითქოს სურს აჩვენოს, რომ სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებში მას, ბრალი არ მიუძღვის. ამასთან მიბრუნებულია ჭალათისენ, რომელსაც რეინის კუდი ახურავს და ხელებშეკრული ქრისტე უკირავს. ჭალათის სახე დიდი ისტატობითა შესრულებული. ბრალდებული შეშინებული და დაზნეული დგას, მუქი იასამნისფერი სამოსი აცვია, თვალი დი გაფართოებია და შუბლშე სისხლის წილობი აჩინია. დიდი ისტატობით არის შესრულებული ქრისტეს უკან შეგზუდებული დანარჩენი ჭალათების სახეები.

კონრად ვიტცის ხელოვნებაში ერთმანეთს შეერწყა ორი განსხვავებული ტენდენცია, რომლებსაც ხათავე ლუკას მოზერმა და ჰანს მულჩერმა დაუდეს.

კონრად ვიტცის — უნიკიტერის მხატვრის სახელი 1402 წილს დანიელ ხურკმარდტმა აღმოაჩინა. როგორც ირკვევა, ვიტცი დაბადებული უნდა იყოს 1400-1410 წლებში, როგორვაილში და, როგორც ვარაუდობენ, თავდაპირველად იქ მოღვაწეობდა. 1431-1448 წლებში მუშაობდა ბაზელში, სადაც დაქორწინდა კიდევ. სწორედ მაშინ მიიღო დავალება — მოეხატა წმინდა ლეონბარდის ცეკვისის საკურთხეველი.

კონრად ვიტცი სიცოცხლის ბოლო წლებში ცენტრაში მუშაობდა. მან შექმნა თანადროული აღამიანის ტიპი, შეძლო მისი ხასიათის აღეჭვატური გაღმოცემა. მისი ნაწარმომებები სწორედ ამ ღირსებითა და მონუმენტურობით ითვლება დიურერის პერიოდის ხაუკერტესონი. ნამუშებად. თუ მხატვარს მინცდამინც შარჩვედ არ გამოუდის ცენტრალური, პერსეპტიული კინსტრუქცია, სამაგიეროდ იგი კარგად ახერხებს შიდა სივრცის დამაჭრებლად ჩვენებას შუქ-ჩრდილების შეოხებით. ამავე დროს იგი დიდი გემოვნებით გადმოსცემს სხვადასხვა მასალის ცედაპირის ფაქტურას (ძვირფასი ქვებისა და ფარჩის ბრწყინვალებას, იარაღის ელვა-

რებას). ვიტცმა ეფროპულ ხელოვნებაში პირ-ველმა ასახა არსებული კონკრეტული ადგილი (უნევის ტბის სანაპირო) და უარი თქვა ოქ-როსტერ უონზე.

ოსტატი ბერტრამი და ოსტატი ფრანკე ჰაბ-ბურგელი მხატვრები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი სკოლის წარმომადგენლებად გვევლინებიან, მათი შემოქმედება ძლიერ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ბერტრამისაგან განსხვავებით ფრანკეს შემოქმედებაში ლირი-ული განწყობილება ჭარბობს. ფრანკეს საუკრ-თესო ნაშემებარია მაშტურგის ერთ-ერთი მკ-ლესის საკურთხეველი, რომელსაც „ბარბარას საკურთხეველს“ უწოდებდნენ. ამრამად იგი შელსინკის ეროვნულ ტუჩიუმშია დაცული. სა-კურთხეველზე ალბუშდილია სცენები წმინდა ბარბარას ცხოვრებილან. განსაკუთრებული ის-ტატობით გამოიჩინა თრი დაუა „საოცარი ქმ-დელი“ და „შწუხების ღალატი“. „საოცარ კადელზე“ ჩანს ზამა დიოსკუროსი, რომელიც ეჩენებია თავის ქალიშვილს ბარბარას. დიოს-კუროსი ძვირფას ფარჩაშია გამოწყობილი, ახუ-რავს წითელი ქუდი, ოქროს ქამარი შემოურტ-უამს და ხელში უზარმაზარი ხანჩალი უჭირავს. ქალიშვილს უწყრება, რადგან იგი მამას შეეკა-მათა და ხანჩალამოდებული მისდევს. გრძე-ლი, თეთრი კედლის გასწრივ, მეორე სურათზე ჩანს სასწაული: კედელი ისხნება და ქალიშვილი აღმოჩნდება მეორე მხარეს, კადელი ისევ ისუ-რება, ხოლო გაცოცებული და განრისხებული მამა რჩება მეორე მხარეს. სწორედ ამ თეთრი კედლის სიცარიელის გამოსახვაში ჩანს ფრანკეს დიდი ხელოვნება.

შესამე სურათი მოგვითხრობს, თუ როგორ გასცემს თრი მწყემსი ქალიშვილის ადგილსამ-ცოლელს. ამის გამო მწყემსები ისჯებიან — მათი ცხვრები კალიებად გაღაიქცევიან.

ოსტატ ბერტრამის შნიშვნელოვანი ნაწარმოებია ჰამბურგის ცკლესის წმინდა პეტრეს სა-კურთხეველი. ვარაუდობენ, რომ ბერტრამი მინ-დენიდან იყო, ამიტომ მას ხშირად მინდენილ ისტატს უწოდებენ. „პეტრეს საკურთხეველზე“ მოცემულია ოცდაოთხი სცენა თრ სართულად. თვრამეტი სცენა ძველი აღთქმის მიხედვითა შესრულებული, ექვსი კი ახალი აღთქმის მი-ხედვით — „მარიამის ცხოვრებიდანაა“ აღ-ბული. მისი აღამიანები გონგები არიან, აქვთ დიდი უძრობორციო, წაწვეტებული თავები, უზარმაზარი ხელები და ფეხები.

გვიანდელი გოტიკის ტიპიური ექსპრესიონის-ტი მხატვარია იან პოლაკი. მართალია, მისი გვა-რი პოლონურ წარმოშობაზე მეტყველებს, მაგ-რამ მას გერმანულ მხატვრად ივლიან. მოდე-რეობდა მიუნხენში, მის „ჭაღოქარი სიმონის

ჩამოვარდნა“-ზე ნაჩვენებია ქაოსურად აღრი-ული უამრავი ფიგურა, იან პოლაკის ნაშუშევ-რებში ჭარბობს შავი, თეთრი და წითელი ფე-რები.

უურნალის გარეკანზე დაგენტილი სურათე-ბის ავტორებიც ამ პერფორაცი-მუსულინუბი არიან.

უდიდესი ხელოვნები მინეტები წარმოადგინდა 1485 წელს, ტიროლის მხარეში. პახერი ცნო-ბილია როგორც მხატვარი და როგორც მო-ქანდაკე. მისი შემოქმედებისათვის დამახასი-თებელია საოცარი პლასტიკურობა. ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია „მკლესის შაშათა სა-კურთხეველი“ (ძველი პინაკოთეკა, მიუნხენი), რომელიც მხატვარმა 1485 წელს შექმნა. ურაგ-ზენტულად არის შემორჩენილი დიდ ფორმატ-ზე შესრულებული „მარიამის ქორწინება“, სა-დაც მარიამი ერთობ თრიგინალურია — ასე-ტური, ულამაზო (ზალცბურგის ფრანცისკანელ-თა ცელესის საკურთხეველი).

მიუნხენის ძველი პინაკოთეკის „მკლესის შაშათა საკურთხეველი“, რომელიც უერწერუ-ლი დაფებისაგან შედგება, გააზრებულია მთლი-ან ქმნილებად. ოთხი დაუა დამაჭერებლად გან-სხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ და მესამე დაუაზე გამოსახულია იერონიმე და გრიგორი, რომლებსაც წითელი ფერის სამოსი აცვიათ, შავი სამოსით არის წარმოდგენილი ავგუსტინე (მეორე დაუა), ხოლო მწვანეთი ამბროსი (მე-ოთხე დაუა). ეკლესიის ოთხივე მამა ერთნაირ ქვის ბალდახინებში სხედან. პირველი და მესა-მე ბალდახინი ნაცრისცერი ქვემისაგან შედ-გება, მეორე და მეოთხე კი — ლვინისცერისა-გან. ტახტის საყრდენებზე დგას ოთხი პატარა ნაცრისცერი ქანდაკება.

„მეოთხე დაუა“ მოთავსებულია უურნალის გარეკანზე. მწვანე ფერის სამოსში გამოწყობილ ამბროსის ეს-ეს არის ბატის ფრთისათვის წვერი წაუთლია და გულმოდგინედ სინქავს, რათა წინ გადაშლილ წიგნში ჩანაწერები გა-კეთოს.

ალსანიშნავია, რომ ოთხივე დაუაზე სულიწმი-დის მტრედები სხვადასხვაგვარადაა წარმოდგე-ნილი. ერთნაირად მდიდრული, ოქროცურვილი მოხახებით შემოსილი ეკლესიის მამები ა-ცარიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხე-დავად იმისა, რომ საბოლოოდ მათში მაინც ერთი ტიპი — მდაბიური წარმოშობის პირვ-ება, გამოიკვეთება.

სურათზე გამოსახულია აგრეთვე შემცირებ-ული წომის კუბური ფორმის აკვანი, რომელ-შიც წევს ბაგშეისსახიანი ამბროსი. „წმინდა ლეგენდა“ მოგვითხრობს: ერთ მშვენიერ დღეს აკვანში მწოლარე ამბროსისთან მოულოდნელად ფუტკრების მოელი გუნდი მოფრინდა. ზოგი

სახეზე დაგადა ბავშვს, ჭოვი პატარინა პირში შეუცრინდა. როცა ფუტკრები უკანვე გაფრინდნენ, შეშინებულმა მამამ ჩაიღაპარია: „თუ ცოცხალი გადარჩა ბავშვი, მისგან უთუოდ და პიროვნება დადგებაო“.

უურნალის გარეუანზე მოთავსებული ერთ-ერთი სურათის ავტორია პანე ბორნემანი. იგი დაიბადა 1425 წ. ძირითადად პამბურგისა და ლიუნებურგის მოღვაწეობდა. ბორნემანის ცნობილი ნაწარმოებია „ლიუნებურგის პაილი-გრინტალის მონასტრის საკურთხეველი“. ქ. ლიუ-ნებურგის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის პატრი-ნიკე შემონახულია ორფრთიანი საკურთხევე-ლის დაფები, რომელიც მხატვას დაუკვეთეს ლიუნებურგის წმინდა ანდრიას ორდენის ეკ-ლესიისათვის.

სურათზე გამოსახულია დემონური ძალების შეირ ქ. ლიუნებურგის შტატმალტერის ავესის შოკვდინება, რომელმაც ერთ-ერთი ეპისკოპოსი უსამართლოდ სიკვდილით დასაჭა.

ორთო ცხენზე ამხედრებული წითელ მომქ-როვილ ფარისებრ გამოწყობილი აგრძის თავს ძლიერ იყავებს. საშინელი დემონი მკერდის უდა-რიავს და მის ჩამოგდებას ცდილობს, დანარ-ჩენები კი ცხენის წაჭვევას ლაშობენ.

ამ პერიოდის ერთ-ერთი ორიგინალური ნა-წარმოებია პანე პირტცის „იკარლისტუს საკურ-თხეველი“, რომლის დაუებშიც გამოსახულია ქრისტეს მსხავრდადებისა და წამების ეპიზო-ზები. პირტცის ცერტერაში ჩერალისტურ სახე-ებს უჩვეულო ცხოველმყოფელობას ანიჭებს ცესტის პლასტიკურობა.

მრავრ და დრამატულ კულმინაციას ქვეით „ქრისტეს წვერცმა“. თვით კომპოზიცია და ში-ნაარსი სურათისა უჩვეულოა კუთხის კანო-ნიკური გამოსახვისათვის. ველური ერის შეკ-ურობილი პატარა ბიჭი, რომელსაც წითელი ჭუდი ახურავს და იმდროვნებული ჰიდალგის უ-ლეტი აცვია, ქრისტეს შემცირებული წაშლიშვირია და იღლიაში ბურილი ამოუჩირია...

მხატვარი, რომელმაც წმინდა ჯვრის (პა-ლიგენციროვის) საკურთხეველი მოხატა, უცნო-ბია და ამიტომაც იგი პირობითად ამავე სა-ხელწოდებითა ცნობილი — პალიგენცირო-ცელი თხტატი. დღეს ეს საკურთხეველი ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმშია დაცული. ამავე თხტატს მიეკუთვნება არანაკლებ ღირე-ბული თრი დაფა, რომლებზეც გამოსახულია „მარიამის სიკვდილი“ და „წმინდა კლარას სიკვდილი“ (ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი).

უურნალში ნაწვენებია „წმინდა კლარას სიკ-ვდილი“. მომაკვდავი კლარა საწოლში გულხელ-დაკრეციილი წევს, მის თავთან შეგომ მონაზ-ვნებს შევი ხამოსი აცვიათ. მომაკვდავისაკენ დახრილი ბუთი წმინდანი კი თქროსფერი, მწვა-ნე და მოწითალო ფარისის ხამოსში არიან გა-მოწყობილნი. მათ ზემოთ, კოშკში, წმინდა ბარბარასა და წმინდა მარგარიტას ფიგურებია გამოსახული.

ამრიგად, გერმანიის პროტორენსანსულ ფერ-წერაში ხელოვნების ობიექტად იქცა მიწიერი ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო, ვნებები, აზ-რები. გამოყენებულ ბიბლიურ სიუსეტებშიც ასკეტურ წმილანთა ადგილს თანდათანობით რეალური აღამიანები იყავებენ.

მახალა მოამზადა მანენა მუჯირიშვილია

На грузинском языке

1986 № 5

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ఎన్. బిలపా. గారిఫణించె. డాక్టర్.

6' 119



19520
1000000000

ერთობლივ კანიკული წესის მშენებლის